ნოდარ გრძელიშვილი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი

რეგიონი

ეკონომიკა
პოლიტიკა
მართვა

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2020

წიგნში განხილულია რეგიონული ეკონომიკის, პოლიტიკის და მართვის თანამედროვე პრობლემები, რეგიონული და მუნიციპალური ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები. საქართველოში საბიუჯეტო ფედერალიზმის და დეცენტრალიზაციის საკითხები, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების თავისებურებები, რეგიონების მდგრადი განვითარების ძირითადი მიმართულებები და სხვ.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, დოქტორანტების, ახალგაზრდა მკვლევრებისა და მეცნიერ-ეკონომისტებისათვის. იგი დიდ დახმარებას გაუწევს რეგიონების განვითარებით დაინტერესებულ ყველა პირს.

რედაქტორი:

ნოდარ ჭითანავა – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

რეცენზენტები:

თეიმურაზ ბაბუნაშვილი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ნათია გოგოლაური – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი. ახალი უმაღლესი სასწავლებლი

ზურაბ სანდირაძე – წიგნის სტილისტი-კორექტორი

წიგნი იბეჭდება ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის, სამართლის და სოციალური მეცნიერების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 02 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №8.

რეკომენდებულია დასაბეჭდად ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჯორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს 2020 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №16.

© ნ. გრძელიშვილი, 2020

გამომცემლობა „უნივერსალი", 2020

თბილისი, 0186, ს. ჭოლიბაურისპირველის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-805-2

სარჩევი

თავი 1. რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები

1.1 რეგიონული ეკონომიკა თანამედროვე ეტაპზე 26
1.2 რეგიონული სტრატეგიები 30
1.3 რეგიონული ბაზრების განვითარების ძირითადი თეორიები და კონცეფციები 35
1.4 რეგიონული ბაზრის ეფექტიანობის კრიტერიუმები და კლასიფიკაცია 40

თავი 2. რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრინციპები, ფორმები და მეთოდები

2.1. რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების (მართვის) პრინციპები 42
2.2 რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მეთოდები 46

თავი 3. სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკა

3.1 რეგიონული პოლიტიკის ფორმირების მექანიზმები 52
3.2 რეგიონული პოლიტიკა და სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგია 53
3.3 საქართველოს რეგიონული პოლიტიკის პრინციპები 57

თავი 4. ეროვნული მეურნეობის ტერიტორიული (რეგიონული) ორგანიზაციის საფუძვლები და ტერიტორიულ-სანარმოო ფაქტორები

4.1 რეგიონული მართვის თეორიები და ეკონომიკის ტერიტორიულ-საწარმოო ფაქტორები 60
4.2. ეროვნული მეურნეობის ტერიტორიული ორგანიზაციის საფუძვლები 64

თავი 5. რეგიონული მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბრენდინგი

5.1 ტერიტორიული განვითარების მართვა 68
5.2 ტერიტორიული განვითარების მართვის მიზნები და ამოცანები 70
5.3 ტერიტორიული მეურნეობის მართვის სტრუქტურის ფორმირება 72
5.4 ტერიტორიული განვითარების მართვის ძირითადი მიდგომები 75
5.5 რეგიონული განვითარების მართვის მაჩვენებლები 76

5.6 რეგიონული მმართველობა – რეგიონის ადმინისტრაციის მეთაურის ინსტიტუტი საქართველოში 78
5.7 რეგიონული მარკეტინგი 81
5.8 ბრენდინგის როლი რეგიონის (ტერიტორიის) მიმზიდველობის ფორმირებაში 88

თავი 6. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა – საზღვარგარეთული გამოცდილება

6.1 რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა: საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შედარებითი ანალიზი 92
6.2 საბიუჯეტო დონეებს შორის მოთხოვნილებების განაწილების საერთაშორისო გამოცდილება 101
6.3 ცენტრსა და რეგიონს შორის ხელისუფლების ფუნქციების განაწილების იმიტაციურ-ექსპერტული მოდელირება 111

თავი 7. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში

7.1 ევროპის კავშირი და ადგილობრივი თვითმმართველობა 116
7.2 ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება 118
7.3 დეცენტრალიზაცია და სუბსიდიარობა 119
7.4 რეგიონული განვითარების ღონისძიებები, რომლებიც საქართველოში ფინანსირდება ევროკავშირის მიერ 121

თავი 8. რეგიონული მონიტორინგი – ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის შემუშავების ინფორმაციულ-ანალიტიკური სისტემა

8.1 რეგიონული სიტუაციისა და პრობლემების მონიტორინგი 125
8.2 რეგიონული მონიტორინგის სახეები 140

თავი 9. რეგიონის განვითარების საინვესტიციო გარემო და ინოვაციური პოლიტიკა

9.1 რეგიონის საინვესტიციო და საინოვაციო პოლიტიკა 142
9.2 რეგიონის განვითარების ინოვაციური პოტენციალი და პოლიტიკა 145
9.3 საინოვაციო და ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციები საქართველოში 151
9.4 ინოვაციური პროცესებისადმი რეგიონული მხარდაჭერის საკითხები და საზღვარგარეთული გამოცდილება 156

9.5 უნივერსიტეტების როლი რეგიონის ინოვაციურ განვითარებაში 159

თავი 10. პროგნოზირების და დაგეგმვის როლი რეგიონული ეკონომიკის მართვის სისტემაში

10.1 რეგიონული განვითარების პროგნოზირება 164
10.2 რეგიონული დაგეგმვა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემაში 166
10.3 პროგრამების მნიშვნელობა რეგიონის ეკონომიკის მართვაში 175
10.4 რეგიონული განვითარების ანალიზის სტატისტიკური ბაზა 178
10.5 რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკა 183

თავი 11. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ტენდენციები

11.1 მთიანი რეგიონებისადმი განსაკუთრებული მიდგომის აუცილებლობა 195
11.2 მაღალმთიანი რეგიონების თანამედროვე სიტუაციის ანალიზი 198
11.3 მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობა 201
11.4. მაღალმთიანი დასახლებების ეკონომიკური პროფილი 206
11.5 მაღალმთიანი დასახლებების სოფლის მეურნეობა 212
11.6 მაღალმთიანი დასახლებების ტურისტული შესაძლებლობები 213
11.7 "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო შეღავათები 215

თავი 12. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობის გამომწვევი მიზეზები

12.1 რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დიფერენციაცია და ტერიტორიული დისპროპორციები 220
12.2 რეგიონებში არსებული უთანაბრობის მიზეზები და გადაწყვეტის გზები 225

თავი 13. რეგიონული და მუნიციპალური ეკონომიკის რეგულირების მექანიზმები

13.1 რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე ხელისუფლების ურთიერთქმედების მექანიზმები 234
13.2 საბიუჯეტო ფედერალიზმი ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების სისტემაში 240
13.3 მუნიციპალური ბიუჯეტი – ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური საფუძველი 252
13.4 ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსების სისტემის რეფორმა 264

თავი 14. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და მთლიანი რეგიონული პროდუქტის გაანგარიშების მეთოდოლოგია

14.1 ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 267
14.2 მთლიანი რეგიონული პროდუქტი (ანალიზი და შეფასება) 268

თავი 15. რეგიონული კონკურენტუნარიანობა და მისი კომპლექსური შეფასება

15.1. კონკურენტუნარიანობის კონცეფცია 277
15.2 საქართველო და გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 280
15.3. რეგიონული კონკურენტუნარიანობა და მისი შეფასების კრიტერიუმები 282
15.4. ქვეყნებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის რეიტინგული შეფასებები 285

თავი 16. რეგიონული კლასტერები – საქართველო და მსოფლიო გამოცდილება

16.1 კლასტერული პოლიტიკის ფორმირება საზღვარგარეთის ქვეყნებში 289
16.2 რეგიონული კლასტერები (არსი. პრინციპები) 292

თავი 17. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და მოწყობის საკითხები

17.1 საქართველოს სახელმწიფოებრივ – ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლები 297
17.2 საქართველოს ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ-გეოგრაფიული დარაიონების საფუძვლები 304
17.3 ილია ჭავჭავაძე საერთო-ეროვნული და რეგიონული (ადგილობრივი) თავისებურებების შესახებ 312

თავი 18. რეგიონის მდგრადი განვითარების პროგლემები

18.1 ახალი გლობალური დღის წესრიგი მდგრადი მომავლისათვის 315
18.2 რეგიონის მდგრადი განვითარების ძირითადი მიმართულებები 321

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები 324
დანართი. საქართველოს რეგიონები, მუნიციპალიტეტები, სოფლები 340

რედაქტორისაგან

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესების განვითარების ფონზე ჩამოყალიბდა ფაქტორთა ერთობლიობა, რომელთა დროულად შეცნობით და ეფექტიანად ამოქმედებით სუვერენულ სახელმწიფოს შეუძლია გლობალიზაციასთან ადაპტირება და საკუთარი ინტერესების შესაბამისად ინტეგრაციული პროცესების მიზანმიმართული რეგულირება.

ამ რთული ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭიროა, როგორც გლობალიზაციის, ასევე რეგიონალიზაციის თანამედროვე პროცესების თავისებურებათა და ტენდენციების ობიექტურად გაცნობიერება, კანონზომიერებათა გამოვლენა და მათი გათვალისწინებით პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმების ჩამოყალიბება და ეფექტიანი ფუნქციონირება.

წინამდებარე წიგნში, რომელიც ეძღვნება რეგიონული ეკონომიკის განვითარებას, კომპლექსურად განხილულია პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზეა დამოკიდებული, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონების მდგრადი განვითარება. ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების პრობლემატიკა აქტუალურ მნიშვნელობას იძენს გლობალიზაციის განვითარების პროცესში. ამ მხრივ უნიკალური გამოცდილება დაგროვდა მსოფლიოში. ჩამოყალიბდა ახალი თეორიები, კონცეფციები, მოდელები. პრაქტიკამ ბევრი მათგანის სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცა, ზოგიერთმა თეორიულმა მიდგომამ დროის გამოწვევებს ვერ გაუძლო. ამასთან, გაირკვა, რომ ერთ შემთხვევაში პოზიტიურად აღიარებული მოდელი განსხვავებული პირობებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ეს ბუნებრივიცაა, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მოცემულ ეტაპზე ქვეყნის ისტორიულ, კულტურულ და ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებებს უნდა ითვალისწინებდეს. ცხადია, ყველა ქვეყნისათვის მისაღები ერთიანი მოდელი არ არსებობს. აქვე აღვნიშნავთ, რომ შიდარეგიონული განვითარების პრობლემების კომპლექსურ შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. ჩამოყალიბდა და ეფექტიანად ფუნქციონირებდა ეკონომიკის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც შეძლო მაღალ მეცნიერულ დონეზე განეხორციელებინა საქართველოს რეგიონების (ავტონომიური რესპუბლიკების, ადმინისტრაციული რაიონების, ქალაქების) სოციალურ – ეკონომიკური განვითარების პრობლემების კვლევა, 1980-85 წლებში მომზადდა 2000 წლამდე პერიოდისათვის რესპუბლიკის თითოეული ქალაქის და ადმინისტრაციული რაიონის კომპლექსური განვითარების პროგრამები. ეს იყო ქართული ეკონომიკური მეცნიერების უდიდესი წარმატება.

ისტორიული გარემოებების გამო, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ისევე როგორც სხვადასხვა პროფილის სამეცნიერო დაწესებულებები) გააუქმა. ამით ფაქტობრივად შეწყდა რეგიონული პრობლემატიკის კვლევითი სამუშაოები.

ერთი მხრივ, მსოფლიოში გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის ყოველისმომცველი პროცესების სწრაფი ტემპებით განვითარება, რომელიც თვისებრივად ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს სუვერენულ სახელმწიფოს, მეორე მხრივ, სუვერენულ საქართველოში, რო-

მელსაც რეგიონების განვითარების მრავალასპექტიანი პრობლემების კვლევის და პრაქტიკაში დანერგვის მდიდარი ტრადიცია აქვს, შიდა რეგიონების (მხარეების, მუნიციპალიტეტების) განვითარების შესწავლის მიზანმიმართული (სტრატეგიულ ინტერესებს დაქვემდებარებული) სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოებიც არ მიმდინარეობს. მესამე მხრივ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეროვნული ეკონომიკა ქვეყნის რეგიონების (მხარეების) ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შედეგია, მათი საწარმოო თავისებურებების, ფორმირება-განვითარების კანონზომიერებათა, სამეურნეო-ორგანიზაციული პრინციპების ერთობლიობაა, გასაგებია თუ რატომ არის აუცილებელი საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი პირობების ცვლილებების. ასევე ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა სრულად გათვალისწინება და ტერიტორიის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების კომპლექსური განვითარება. თითოეული რეგიონის (ტერიტორიის) განვითარების საერთო-სახელმწიფოებრივ ამოცანებთან ოპტიმალური შეხამებით ყალიბდება ორმხრივი ინტერესების ერთიანი პროცესით საერთო-ეროვნული მიზნების განხორციელების ხელშემწყობი გარემო. ყოველივე ეს ადასტურებს იმას, თუ რაოდენ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს წინამდებარე ნაშრომს. ვიმედოვნებ, მკითხველი თავად დარწმუნდება ამაში.

მკითხველთა საზოგადოებაში მყარად დამკვიდრდა ტრადიცია ნებისმიერი წიგნის, მით უფრო, ურთულეს პრობლემებზე წარმოდგენილი გამოკვლევის მიმართ, მინიმუმ სამ კითხვას გაეცეს დამაკმაყოფილებელი პასუხი: პირველი, რამდენად აქტუალურია თემა-პრობლემა, რომელსაც წიგნი მიეძღვნა, მეორე – რისი თქმა უნდოდა ავტორს და რამდენად შეძლო ეს და მესამე, მომავლისათვის რა მნიშვნელობა აქვს შემოთავაზებულ წიგნს. როგორც მკითხველმა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თემა-პრობლემა, რომელსაც წიგნი ეძღვნება უაღრესად აქტუალურია არა მხოლოდ დღეს, არამედ იქნება მომავალშიც. მეორე კითხვაზე პასუხიც გარკვეულია. ავტორმა თავისი სათქმელი თქვა და არგუმენტირებულად აჩვენა, რომ შეუძლებელია ქვეყნის განვითარება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისაგან მოწყვეტით, ისევე როგორც დუშვებელია სახელმწიფოებრივი ინტერესების უგულებელყოფა. მესამე კითხვაზეც პასუხი ცალსახაა: წიგნი მომავლის სტრატეგიაზეა ორიენტირებული და ამიტომ იმსახურებს ყურადღებას. წიგნი მიუხედავად იმისა, რომ დაზღვეული არ არის გარკვეული ხარვეზებისაგან (და ეს ბუნებრივიცაა) მისი გამოცემა ყოველმხრივ მისასალმებელია.

როგორც მკითხველი, წიგნის რამდენიმე უპირატესობას გამოვყოფ. ჯერ ერთი, იგი გამოირჩევა კომპლექსურობით. ავტორი რთულ პრობლემას იხილავს გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის კონტექსტში. ეს კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად სწორი მიდგომაა. მეორეც, მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილების განხილვა, რეგიონული განვითარების თეორიებისა და კონცეფციების ანალიზი და ავტორისეული ინტერპრეტაცია საქართველოს რეგიონების განვითარებასთან კავშირში (მხედველობაში მაქვს საქართველოში რეგიონების განვითარების ისტორიული თავისებურებებისა და ტენდენციების წარმოდგენა), ავტორის თამამი მცდელობაა საკუთარი კვლევებით რეალობას არ მოსწყდეს და განაწყოს მკითხველი ღრმად დაუკვირდეს სხვათა და საკუთარი ქვეყნის გამოცდილებას.

წიგნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოზიტიურ მხარედ მიმაჩნია, ავტორის დამაჯერებელი წარმოდგენები და სწორი მეთოდოლოგიური მიდგომები დღეანდელ პირობებში საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიაზე (ეროვნული მეურნეობის ტერიტორიული ორგანიზაციის საფუძვლები, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფაქტორები, რეგიონული ეკონომიკის რეგულირების მექანიზმები, პროგნოზირება დაგეგმვა, ევროინტეგრაციის ისტორიულ-ეკონომიკური მნიშვნელობა, რეგიონული კონკურენტუნარიანობა, ინოვაციური განვითარების უპირატესობა, მთის რეგიონების მდგრადი განვითარების აუცილებლობა და სხვ.)

არგუმენტირებულია ავტორის მოსაზრებები ეკონომიკის მართვაში ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პროცესების რეგულირების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ წიგნში პრობლემები განხილულია ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე. ავტორი თანმიმდევრულია იმაში, რომ რეგიონის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესები სისტემური მიდგომით შეფასდეს და მის საფუძველზე შემუშავდეს მიზნობრივი პროგრამები, რათა მიღწეულ იქნას ქვეყნის და რეგიონების მდგრადი და დაბალანსებული განვითარება, მთელისა და მისი ნაწილების ორგანული ერთიანობა. ავტორი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ რეგიონების განვითარების ინტეგრაციული ხასიათი თავად განსაზღვრავს იმის აუცილებლობას, რომ გამოყენებულ იქნას მეცნიერების სხვადასხვა დარგში ჩამოყალიბებული მიდგომები და მათი შეკერებით განისაზღვროს მიდგომათა ერთიანი სისტემა.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს ავტორის პოზიციას იმის შესახებ, რომ რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძველი სტიქიურად, ცალმხრივად მხოლოდ ადგილობრივი პირობების (ინტერესების) გავლენით არ უნდა ჩამოყალიბდეს. ამოსავალი უნდა იყოს ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა. ცენტრი უნდა ასრულებდეს ქვეყანაში ტრანსფორმაციული პროცესების წარმმართველის ფუნქციას, უზრუნველყოფდეს ბუნებრივ-საწარმოო, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სხვა თავისებურებებით ერთმანეთისაგან განსხვავებული რეგიონების ერთიანი სტრატეგიით განვითარებას.

თითოეულ რეგიონს (ტერიტორიულ – ადმინისტრაციულ ერთეულს) აქვს საკუთარი ინტერესები. მათი საერთო-სახელმწიფოებრივ ამოცანებთან შერწყმით შეიქმნება ორმხრივი ინტერესების ერთიანი პროცესით საერთო-ეროვნული მიზნების განხორციელების პირობები.

წიგნი მკითხველს აძლევს სწორ ორიენტაციას თუ როგორი მიმართულებით უნდა წარიმართოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. პრიორიტეტი ენიჭება ტერიტორიიის განვითარების სოციალურ ორიენტაციას, რაც ცხოვრების ხარისხზე ეკონომიკის საერთო შედეგების გავლენის დონეს განაპირობებს და ობიექტურად მოითხოვს ეკონომიკური ზრდის ისეთი ფაქტორების ამოქმედებას, როგორიცაა განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადი განვითარება.

წიგნში ვრცლად განხილულია მაღალმთიანი რეგიონების განვითარების თავისებურებები. სწორად არის დასმული მთის პრობლემების კომპლექსურად ათვისების ამოცანა, რომე-

ლიც უნდა განხორციელდეს მიზნობრივი პროგრამებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ სამთო მიწათმოქმედების სპეციალიზაცია ახლებურად გაზრებას მოითხოვს, ასევე სოფლის განსახლების ტრადიციული მიდგომების გამოყენებას, განათლების, კულტურის განვითარების მიმართულებათა სწორ შერჩევას, ნიადაგის ნაყოფიერების, წყლისა და მცენარეული რესურსების ეფექტიანად გამოყენების რეზერვების გამოვლინებას. პრინციპული მნიშვნელობა აქვს თვით მთის რეგიონების ათვისების მეთოდების სწორად განსაზღვრას. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ათვისება, ინდუსტრიული ან რეკრეაციული ათვისება ან მათი კომბინირებით ათვისების სრულიად ახალი მეთოდი. დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციისა და ინტეგრაციული პროცესების განვითარებას, მთისა და ბარის ზონის სამეურნეო სუბიექტების კოოპერირებას საძოვრების, სათიბების ერთობლივად გამოყენებისა და ათვისებისათვის, თევზის მეურნეობის, მეფუტკრეობის განვითარების, ასევე სპორტულ გამაჯანსაღებელი ბაზების, საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისათვის.

წიგნში დიდი ყურადღება ეთმობა ტერიტორიის განვითარებაში პროგნოზირების, დაგეგმვის, პროგრამირების როლსა და მნიშვნელობას, განსაკუთრებით პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის გამოყენებას. ეს არ არის შემთხვევითი. სამწუხაროდ, საქართველოში საბაზრო პირობებში ეკონომიკური დაგეგმვა სრულად არ გამოიყენება. ეს მაშინ, როცა მას პროცესების რეგულირების განმსაზღვრელი ფუნქცია აკისრია, მით უფრო საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების პლურალიზმის პირობებში, როცა მრავალმხრივი პროცესების კოორდინაცია მართვის (რეგულირების) მკაფიოდ გამოკვეთილი ფუნქციაა.

სწორია ავტორის მოსაზრება, რომ რეგიონის განვითარების კომპლექსური პროგრამა უნდა წარმოადგენდეს ტერიტორიის განვითარების სტრატეგიას (ინდიკატორს), რომელიც ეფუძნება ქვეყანაში განსაზღვრულ მიზანს, მოქმედ კანონმდებლობას, თანამედროვე მეცნიერულ მეთოდებს, რესურსულ პოტენციალს, კოორდინაციის მექანიზმს და სრულად გამოხატავს ეკონომიკის განვითარების ეროვნულ და რეგიონულ ინტერესებს.,

წიგნი განხილული პრობლემების მრავალფეროვნებით, მასშტაბურობით, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით უფრო გააძლიერებს საქართველოში შიდარეგიონული განვითარების ისტორიული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური ასპექტების კვლევის ინტერესს და, შესაბამისად, სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირებაში საზოგადოების აქტიურ ჩართვას.

რეგიონული განვითარების პრობლემები, განსაკუთრებით ქვეყანაში არსებული რესურსული პოტენციალი უნდა ისწავლებოდეს უმაღლეს სკოლაში.

წიგნი ხელს შეუწყობს თანამედროვე გამოწვევების ფონზე რეგიონული განვითარების პრობლემატიკის რეალურად გაცნობიერებას, რეგიონული განვითარების თავისებურებების, ტენდენციების, როგორც სინამდვილის მთავარი მახასიათებლის მნიშვნელობის ობიექტურად აღქმას, ადგილობრივ ინტერესებს მისადაგებული ღონისძიებების შემუშავებას.

წიგნი დიდ სარგებლობას მოუტანს ეროვნული ეკონომიკის თანამედროვე პრობლემატიკით დაინტერესებულ მეცნიერ-მკვლევრებს, უმაღლესი სკოლის სტუდენტებს, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის სამსახურებს, ყველას, ვისაც შეხება აქვს საქართველოს რეგიონების განვითარების მრავალმხრივობით გამორჩეულ პრობლემებთან.

შესავალი

საქართველოს რეგიონები ერთმანეთისაგან განსხვავდება განვითარების დონეებით, მეურნეობის სპეციალიზაციისა და სტრუქტურის მიხედვით, ქვეყანასთან მიმართებაში მათი როლით, მნიშვნელობითა და ადგილით.

ჩვენი ქვეყანა ტერიტორიული განსხვავებულობის თავისებური კალეიდოსკოპია. რეგიონული სიჭრელისა და სირთულეების მიხედვით, საქართველოს ცოტა ანალოგი თუ მოეძებნება მსოფლიოში. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეგიონების ეკონომიკური პოლიტიკის ობიექტურ საფუძვლად, სწორედ რეგიონული თავისებურებანი და განსხვავებანი უნდა იქცეს.

კონკრეტულად, ცალკეულ რეგიონებს შორის მკვეთრი განსხვავება ზოგიერთ ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებელში გამოიხატება, როგორიცაა, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, რეგიონების საწარმოო და სოციალური სპეციალიზაცია, დემოგრაფიული სიტუაცია, ყოფითი ტრადიციები, ადათ-წესები, კულტურის დონე და სხვა.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის არსებული კონტრასტების შერბილება, სოციალური და ბუნებრივ-საწარმოო პირობების გაუმჯობესება, მეურნეობრიობის ტრადიციების შენარჩუნება და თვისებრივად ახალ სიმაღლეზე აყვანა, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომპლექსური მიდგომებით.

რეგიონული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება და განვითარება შეუძლებელია, მხოლოდ საბაზრო თვითრეგულირების ფარგლებში ხორციელდებოდეს. მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ რეგიონული პროცესების განვითარებაში სახელმწიფოს, როგორც რეგულატორის როლის მინიმიზაცია, ხშირ შემთხვევაში, რეგიონების წინააღმდეგობრივად და არათანაბრად განვითარებას განაპირობებს, რაც საბოლოო ჯამში, შეიძლება გარკვეული შიდა დაპირისპირების საფუძვლადაც იქცეს.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის რეგიონების (ტერიტორიების) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგულირების ეფექტიანი სისტემის ფორმირება.

საქართველოს ტერიტორიების განვითარების ანალიზი მიუთითებს, რომ ქვეყანაში რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებული მექანიზმები, მათ შორის საფინანსო-საბიუჯეტო-სატრანსფერო, არაეფექტურად გამოიყენება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის რეგიონების განვითარების ეკონომიკური პირობების შედარებით გამოთანაბრებაზე. არსებული მდგომარეობა ქვეყნის ტერიტორიული განვითარების რეგულირების პროცესში, გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს შესაბამისი მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია, მაშინ როცა რეგიონული ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირება უნდა ემყარებოდეს მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომებს.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია რეგიონული ეკონომიკის, რეგიონული მენეჯმენტის, რეგიონული პოლიტიკის და ზოგადად რეგიონული მეცნიერებების პროპაგანდა ახალგაზრდა მკვლევრებსა და სტუდენტებში, აგრეთვე ნიჭიერი სტუდენტების წარმოჩენა და

მათთვის მეცნიერული კვლევების ორგანიზაციაში ხელის შეწყობა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება. კონფერენციის მაღალ დონეზე წარმართვისა და მასში საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა მონაწილეობისათვის საჭიროა კონფერენციის მასალების დაბეჭდვა და მისი შედეგების განთავსება ინტერნეტში, სხვა გარკვეული წამახალისებელი ღონისძიებები მაგ., სტუდენტებისათვის სპეციალური ტრენინგ-პროგრამების ჩატარება.

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია, როგორც კლასიკური ლიტერატურა რეგიონული პოლიტიკის, რეგიონული ეკონომიკის და ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ, ასევე უახლეს პერიოდში გამოცემული სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიკაციები და ინტერნეტ რესურსები, სტრატეგიული გეგმები, უცხოელი და ქართველი სპეციალისტების, მათ შორის წიგნის ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო კონფერენციების მასალები, სამეცნიერო შრომები და განხორციელებული კვლევები.

წიგნის გამოცემა დაფინანსებულია **ახალი უმაღლესი სასწავლებლის** მიერ, რისთვისაც გულითადი მადლობა მინდა მოვახსენო რექტორს, პროფესორ **თამარ გარდაფხაძეს**.


მადლობას ვუხდი წიგნის რედაქტორს, ცნობილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, პროფესორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მრავალი ახალგაზრდა მეცნიერის აღმზრდელს, ბატონ **ნოდარ ჭითანავას**. წიგნის რეცენზენტებს: საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **თეიმურაზ ბაბუნაშვილს**; ეკონომიკის დოქტორს, ახალი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორს **ნათია გოგოლაურს**; წიგნის სტილისტ-კორექტორს ბატონ **ზურაბ სანდირაძეს**.

მადლობა ყველა კეთილისმსურველს, ვინც რაიმე სახით მიიღო მონაწილეობა წიგნზე მუშაობის პროცესში.

ავტორი მადლიერებით მიიღებს ნაშრომის მიმართ გამოთქმულ ყველა საქმიან და სამართლიან შენიშვნას თუ მოსაზრებას და გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში. (regioni.ge@yahoo.com).

Nodar Grdzelishvili

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE



REGION

Economics

Politics

Management



Publishing House "UNIVERSAL"
Tbilisi 2020

The book discusses the current problems of regional economy, policy and management, mechanisms of state regulation of regional and municipal economy, issues of budget federalism and decentralization in Georgia, peculiarities of development of mountainous regions, main directions of sustainable development of regions, etc.

The book is intended for students, doctoral students, young researchers and economists. It will be of great help to all those interested in the development of the regions.

EDITOR:

Nodar Chitanava – Doctor of Economic Sciences, Professor.
Academician of the Academy of Agricultural Sciences

REVIEWERS:

Teimuraz Babunashvili – Doctor of Economic Sciences, Professor.
President of the Georgian Academy of Business Sciences
Natia Gogolauri – Doctor of Economics, Professor of the New Higher Education Institute

Zurab Sanadiradze – proofreader of the book

The book will be published by the decision of the Faculty of Business, Law and Social Sciences of the new higher education institution in 02 December 2020, Protocol #8

Recommended for printing at Technical University named after I. Jordania according to the decision of the Scientific Council of the Georgian Industrial Forces and Natural Resources Study Center, 29 October 2020, Protocol # 16

©N. Grdzelishvili, 2020

Publishing House "UNIVERSAL", 2020

4,A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi,Georgia ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-805-2

Contents

Chapter 1. Theoretical-methodological issues of state regulation of the regional economy

1.1 Regional economy at the modern stage 26
1.2 Regional Strategies 30
1.3 Basic theories and concepts of regional market development 35
1.4 Regional Market Efficiency Criteria and Classification 40

Chapter 2. Principles, Forms and Methods of State Regulation of the Regional Economy

2.1 State regulation of the regional economy Management principles 42
2.2 Forms of state regulation of the regional economy and Methods 43

Chapter 3. State Regional Policy

3.1 Mechanisms of regional policy formation 52
3.2 Regional policy and state economic strategy 53
3.3 Principles of Georgia's regional policy 57

Chapter 4. Fundamentals of Territorial (Regional) Organization of National Economy and Territorial-Industrial Factors

4.1 Regional management theories and territorial-industrial factors of the economy 60
4.2. Fundamentals of National Territorial Organization of Agriculture 64

Chapter 5. Regional Management, Marketing, Branding

5.1 Territorial Development Management 68
5.2 Goals and objectives of territorial development management 70
5.3. Formation of territorial management structure 72
5.4 Basic approaches to territorial development management 75
5.5 Regional Development Management Indicators 76
5.6 Regional governance- of the region Institute of Head of Administration in Georgia 78

5.7 Regional Marketing 81
5.8 The role of branding in shaping the attractiveness of a region (territory) 88

Chapter 6. Regional Economic Policy – Foreign Experience

6.1 Regional Economic Policy: A Comparative Analysis of the Experiences of Georgia and Foreign Countries 92
6.2 International experience in allocating needs between budget levels 101
6.3 Functions of government between the center and the region Imitation-expert modeling of distribution 111

Chapter 7. Association Agreement with the European Union and Local Self-Government in Georgia

7.1 European Union and local self-government 116
7.2 Association Agreement and Local and Regional Authorities 118
7.3 Decentralization and subsidiarity 119
7.4 Regional development activities funded by the European Union in Georgia 121

Chapter 8. Regional Monitoring – National and Regional Information-analytical system of policy development

8.1 Monitoring of regional situation and problems 125
8.2 Types of regional monitoring 140

Chapter 9. Investment Environment of Regional Development and Innovative policy

9.1 Investment and Innovation Policy of the Region 142
9.2 Regional Development Innovative Potential and policy 145
9.3 Innovation and technological development in Georgia 151
9.4 Issues of regional support for innovation processes and foreign experience 156
9.5 The role of universities in the innovative development of the region 159

Chapter 10. The Role of Forecasting, Planning, Programs, Statistics and Diagnostics in the Regional Economic Management System

10.1 Regional Development Forecasting 164
10.2 Regional planning in the system of state regulation of the economy 166
10.3 The importance of programs in managing the economy of the region 175
10.4 Statistical Database of Regional Development Analysis 178
10.5 Regional Development Diagnosis 183

Chapter 11. Development Trends in the Mountainous Regions of Georgia

11.1 The need for a special approach to mountainous regions 195
11.2 Analysis of the modern situation in the mountainous regions 198
11.3 Population of highland settlements 201
11.4. Economic profile of highland settlements 206
11.5 Agriculture of Highland Settlements 212
11.6 Tourist opportunities in highland settlements 213
11.7 State benefits defined by the Law of Georgia on the Development of Mountainous Regions 215

Chapter 12. Causes of Socio-Economic Inequality of Regions

12.1 Socio-economic of the regions Differentiation of development and determination of territorial disproportions 220
12.2 Causes of inequality in the regions and ways to solve them 225

Chapter 13. Mechanisms for Regulating the Regional and Municipal Economy

13.1 At the regional and municipal level of government Interaction mechanisms 234
13.2 Budget federalism in the system of socio-economic development of local self-governments 240
13.3 Municipal budget – financial basis of local self-government 252
13.4 Reform of the local budget financing system 264

Chapter 14. System of National Accounts and Methodology for Calculating Gross Regional Product

14.1 System of National Accounts 267
14.2 Gross Regional Product (Analysis and evaluation) 268

Chapter 15. Regional Competitiveness and Its Complex Assessment

15.1. The concept of competitiveness and modern factors 277
15.2 Georgia and Global Competitiveness Index 280
15.3. Regional competitiveness and its evaluation criteria 282
15.4. Rated assessments of the competitiveness of countries and regions 285

Chapter 16. Regional Clusters – Georgia and World Experience

16.1 Formation of cluster policy in foreign countries 289
16.2 Regional clusters 292

Chapter 17. Issues of Administrative-Territorial Division and Arrangement of Georgia

17.1 Constitutional and legal bases of state-territorial arrangement of Georgia 297
17.2 Basics of administrative-economic-geographical regions of Georgia 304
17.3 Ilia Chavchavadze on general-national and regional (local) peculiarities 312

Chapter 18. Sustainable Regional Development

18.1. New Global Agenda for a Sustainable Future 315
18.2 Main directions of effective management of sustainable regional development 321

References and Internet Resources 324
Appendix. Regions of Georgia, Municipalities, Villages 340

FROM THE EDITOR

In the modern world, against the background of the development of globalization and regionalization processes, a set of factors has been formed, with the timely recognition and effective implementation of which a sovereign state can adapt to globalization and purposefully regulate integration processes according to its own interests.

In order to solve this difficult task, it is necessary to have an objective understanding of the peculiarities and tendencies of the modern processes of globalization, as well as regionalization, to identify regularities and to establish and effectively function political and socio-economic mechanisms.

The present book, which is dedicated to the development of the regional economy, comprehensively discusses the problems on the solution of which the sustainable development of both the country and the regions depends. The problem of development of territorial-administrative units of the country is gaining urgent importance in the process of globalization. A unique experience has been accumulated in the world in this regard. New theories, concepts, models were formed. Practice has proven the life skills of many of them, some theoretical approaches have failed to withstand the challenges of time. However, it was found that in one case a positively recognized model was found to be unacceptable under different conditions. This is also natural, political, socio-economic development at a given stage should take into account the historical, cultural and natural-industrial peculiarities of the country. Clearly, there is no single model acceptable to all countries. We note here that special attention has been paid to the complex study of intra-regional development problems in Georgia since the 1960s. A scientific-research institution was established and functioned effectively, which was able to carry out a study of socio-economic development problems of the regions (autonomous republics, administrative districts, cities) of Georgia at a high scientific level. In 1980-85, complex development programs were prepared for each city and administrative district of the Republic for the period up to 2000. This was the greatest success of Georgian economic science.

Due to historical circumstances, the government that came after the "Rose Revolution" abolished the Scientific-Research Institute of Socio-Economic and Regional Problems of Georgia (as well as various other institutions), thus effectively suspending research on relevant regional issues.

On the one hand, the rapid development of comprehensive processes of globalization and regionalization in the world, which poses qualitatively new challenges

to the sovereign state, on the other hand, in sovereign Georgia, which has a rich tradition of researching and implementing regional multidisciplinary problems. There is no purposeful (subject to strategic interests) scientific-research work. Thirdly, if we take into account that the national economy is the result of natural-historical development of the regions (parties) of the country, their set of production features, formation-development patterns, economic-organizational principles, it is understandable why changes in general state and local conditions are necessary. – Fully take into account the production characteristics and complex development of the production forces and natural resources of the area. An optimal environment conducive to the realization of common national goals through a unified process of mutual interests is formed in optimal harmony with the common-state goals of the development of each region (territory). All this proves the great theoretical and practical significance of this paper. I hope the reader himself will be convinced of this.

The tradition of any book, especially the research on the most difficult problems, has been firmly established in the readers' community, with convincing answers to at least three questions: first, how relevant is the topic-problem to which the book was devoted, What is the significance of the proposed book. As a reader I can confidently say that the theme-problem to which the book is dedicated is extremely relevant not only today but will be in the future as well. The answer to the second question is also certain. The author has said what he has to say and has argued that it is impossible to develop a country in isolation from the current processes in the world, just as it is inadmissible to neglect state interests. The answer to the third question is unequivocal: the book is focused on the strategy of the future and therefore deserves attention. Although the book is not insured against certain deficiencies (and this is natural) its publication is welcome in every way.

As a reader I will highlight a few advantages of the book. First it is distinguished by complexity. The author sees a difficult problem in the context of the interconnectedness and interdependence of the processes of globalization and regionalization. This is a conceptually and methodologically correct approach. Secondly, discussing the experience gained in the world, analyzing theories and concepts of regional development and authorial interpretation in connection with the development of Georgian regions (I mean presenting the historical features and trends of regional development in Georgia), the author's bold attempt not to interrupt reality with his own research. Experience.

I consider one of the important positive aspects of the book to be the author's convincing ideas and correct methodological approaches to the development strategy of

the regions of Georgia in the current conditions (basics of the territorial organization of the national economy, factors of socio-economic development of the regions, mechanisms of regional economy regulation, forecasting, European economic importance Competitiveness, the advantage of innovative development, the need for sustainable development of mountain regions, etc.)

The author's views are argued in terms of regulating the processes of centralization and decentralization in the management of the economy. It should be noted that the problems in the book are discussed on the basis of a unified methodological approach. The author is consistent in assessing the political, socio-economic development processes of the region with a systematic approach and developing targeted programs based on it in order to achieve sustainable and balanced development of the country and regions, organic unity of the whole and its parts. The author convincingly argues that the integrative nature of the development of the regions itself determines the need to apply the approaches developed in different fields of science and to combine them to define a unified system of approaches.

The author's position that the political, economic and organizational basis of the region should not be formed spontaneously, unilaterally only under the influence of local conditions (interests) is of fundamental importance. The starting point should be the protection of the national-state interests of the country. The center should fulfill the function of the leader of the transformation processes in the country, ensure the development of regions with different industrial-industrial, economic, socio-cultural and other peculiarities with a unified strategy.

Each region (territorial-administrative unit) has its own interests. Combining them with common-state tasks will create the conditions for the realization of common-national goals through a unified process of mutual interests.

The book gives the reader the right orientation in which direction the socio-economic development of the regions should proceed. Priority is given to the social orientation of the development of the territory, which determines the level of impact of the overall economic consequences on the quality of life and objectively requires the activation of economic growth factors such as education, science, culture, health, etc. Only in such a case is the sustainable development of the socio-economic system of the territory possible.

The book discusses in detail the peculiarities of the development of mountainous regions. The task of complex assimilation of mountain problems, which should be implemented through targeted programs, is correctly posed. This is due to the fact that the specialization of mining agriculture requires a new understanding, as well as the use

of traditional approaches to rural settlement, the right selection of directions for education, culture development, revealing reserves for soil fertility, water and plant resources. It is of fundamental importance to correctly define the methods of mastering the mountain regions themselves. For example, agricultural development, industrial or recreational development or a completely new method of development combined with them. It is of great importance for the development of cooperation and integration processes, cooperation of mountain and lowland economic entities for pastures, joint use and development of pastures, development of fish farming, beekeeping, as well as sports recreation facilities, resort farming and tourism.

The book pays great attention to the role and importance of forecasting, planning, programming in the development of the area, especially the use of program-targeted method. This is not a coincidence. Unfortunately, economic planning is not fully used in market conditions in Georgia. This is when it has the defining function of regulating processes, especially in the context of the pluralism of property and agricultural forms, when the coordination of multifaceted processes is a clearly defined function of management (regulation).

The author is right that the complex program of regional development should be a territorial development strategy (indicator) based on the defined goal of the country, current legislation, modern scientific methods, resource potential, coordination mechanism and fully reflects the national and regional interests of economic development.

The book will strengthen the interest of researching the historical, political, socio-economic, ecological aspects of intra-regional development in Georgia with the diversity and scale of the discussed problems, using modern research methods, and consequently the active involvement of the society in the formation of the regional policy of the state.

Problems of regional development, especially the resource potential of the country should be taught in high school.

The book will help to really understand the problems of regional development in the light of modern challenges, to objectively perceive the peculiarities of regional development, trends as the main feature of reality, to develop measures tailored to local interests.

The book will be of great benefit to researchers interested in the modern problems of the national economy, high school students, state and local government services, all those who are concerned with the multifaceted problems of the development of the regions of Georgia.

INTRODUCTION

Georgian regions are different from each-other by levels of development, according the specialization and structure of the farming, with their role in relation to the country as a whole, by meaning and place.

Our country is a peculiar kaleidoscope of territorial difference. According to regional diversity and complexity a little analog if found in the world of Georgia. With that in mind as an objective basis for the economic policy of the regions, regional features and differences, need to be addressed.

The sharp difference between specific regions in particular manifested in some such important characteristics such as natural-climatic conditions, natural resource potential, industrial and social specialization of the regions, demographic situation, former traditions, customs, level of culture and more.

Mitigating the existing contrasts between the levels of socio-economic development of the regions of Georgia, improving the social and natural-industrial conditions, maintaining farming traditions and bringing them to a qualitatively new height must be ensured by complex approaches

The functioning and development of the regional economic system is impossible only in the framework of market self-regulation. The experience of successful countries in the world proves that minimizing the role of the state as a regulator in the development of regional processes often leads to contradictory and unequal development of regions, which may eventually become the basis for some internal controversy.

The economic development of the country is significantly conditioned by the formation of an effective system for regulating the socio-economic development of the regions (territories) of the country.

The analysis of the development of the territories of Georgia indicates that the existing mechanisms of socio-economic development of the regions in the country including financial-budget-transfer, inefficient use, which has a negative impact on the relative equalization of economic conditions in the development of the country's regions. The current situation in the process of regulating the territorial development of the country is due to the fact that there is no relevant scientifically substantiated concept, while state regulation of regional economic development should be based on scientifically sound approaches.

We consider it necessary to propagate regional economics, regional management, regional policy and regional sciences in general to young researchers and students, also

present talented students to facilitate them in the organization of scientific research. We consider it expedient to organize scientific conferences of students and young scientists. In order for the conference to be conducted at a high level and for the participation of students and young scientists from different higher education institutions of Georgia, it is necessary to print the conference materials and publish its results on the Internet, also other certain incentive activities e.g. conducting a special training program for students.

This paper uses both the classic literature on regional politics, regional economics and local self-government, as well as recent scientific papers, publications and Internet resources, strategic plans, textbooks, monographs, materials of scientific conferences, scientific papers and researches published at different times by foreign and Georgian specialists, including the author of the book, are also used.

The publication of the book is funded by the **New Higher Education Institute**, for which I would like to thank the Rector, Professor **Tamar Gardapkhadze.**

I would like to thank the book's editor, well-known scientist and public figure, Professor, Academician of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Mr. **Nodar Chitanava**, educator of many young scientists; Book reviewers: President of the Georgian Academy of Business Sciences, Doctor of Economics, Professor **Teimuraz Babunashvili**; Doctor of Economics, Professor of the New Higher Education Institute **Natia Gogolauri**; To the book proofreader Mr. **Zurab Sanadiradze.**

Thanks to all the benefactors who in any way participated in the process of working on the book. The author will gratefully accept all business and fair remarks or opinions expressed towards the paper and will consider them in further work.

თავი 1. რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები

1.1 რეგიონული ეკონომიკა თანამედროვე ეტაპზე

მეცნიერების თვალსაზრისით, რეგიონული ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური ცოდნის სრულიად ახალი დარგი, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფება. უფრო მეტიც, რეგიონული ეკონომიკის საგნის სპეციფიკურობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი, ამ მხრივ, კვლავაც აქტიური მეცნიერული ძიება მიმდინარეობს. დღეს თეორიაში არ არსებობს რეგიონული ეკონომიკური საგნის ერთიანი ხედვა. ნაშრომში – „რეგიონული ეკონომიკის შესავალი" (ჰარვარდის უნივერსიტეტი, აშშ, 1971წ.) ე. გუვერი [1:გვ.4] წერდა: „რეგიონული თუ სივრცობრივი ეკონომიკა შეიძლება რეზიუმირებული იყოს საკითხში: რა სად იმყოფება? რატომ? და აქედან რა უნდა გამომდინარეობდეს?" ამერიკელი ეკონომისტები, ჯ. კეინი და ჯ. მაიერი კრებულში „რეგიონული ეკონომიკის ნარკვევები" აღნიშნავენ, რომ რეგიონული ეკონომიკა, ეკონომიკური ცოდნის უმეტესი დარგების მსგავსად, პოლიტიკური პრობლემების განსაკუთრებული კლასის მიმართ ეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენებითაა დაკავებული. რუმინელი ეკონომისტი ვ. ვასილიევი რეგიონულ ეკონომიკას განიხილავს, როგორც საწარმოო ძალების რეგიონული განლაგების სტრატეგიასა და ტაქტიკას, ხოლო ბულგარელი მეცნიერები – კ. კრისტევი და მ. გენეშკი რეგიონული ეკონომიკის ქვეშ განიხილავენ საზოგადოებრივ მეცნიერებას, რომლის შესწავლის საგანსაც წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის სრულყოფა წარმოადგენს. [2:გვ.13-14]

რეგიონული ეკონომიკის საგანს მეცნიერები ყველაზე ზოგადი სახით განსაზღვრავენ ერთდროულად, როგორც მეურნეობის ფორმას და როგორც ეკონომიკური ცოდნის დარგს. რეგიონული ეკონომიკა თავისთავად წარმოადგენს მეცნიერებას რეგიონული ეკონომიკური ურთიერთობებისა და მეურნეობის ტერიტორიული ფორმების ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ, რეგიონულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან ურთიერთკავშირში. ეს მეცნიერული ხედვის ორი ურთიერთშემავსებელი მხარეა, რაც არ გამორიცხავს თითოეულის სპეციფიკურობას. სხვა სიტყვებით, რეგიონული ეკონომიკა თავისთავად წარმოადგენს რეგიონული საწარმოო და საზოგადოებრივი ურთიერთობების, მათი ფუნქციონირების კანონებისა და კატეგორიების ერთობლიობას, მოიცავს მეურნეობის ტერიტორიული ფორმების განვითარების თავისებურებებს.

რეგიონული ეკონომიკური განვითარება ეს არის "ეკონომიკური პროცესების მართვისა და რესურსების (დაგეგმილი) მიზანმიმართული გამოყენება, რომელიც რეგიონის მდგრადი განვითარებისაკენაა მიმართული.[3]

რეგიონული ეკონომიკური განვითარება აერთიანებს სხვადასხვა დარგის და მიმართულების მეცნიერებებს, მაგ. როგორიცაა: დაგეგმვა, საჯარო პოლიტიკა და ფინანსები, გეოგრაფია, ეკონომიკა და რეგიონული მეცნიერებები. [4:გვ.19-38]

ქვეყნის ტერიტორიული განვითარების თეორიულ და გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევებში დიდი წვლილი მიუძღვით მსოფლიოში ცნობილ მეცნიერ-ეკონომისტებს: უ.

იზარდს, ჰ. ამსტრონგს, ჯ. ტეილორს, ჰ. ზიბერტს, ა. ვებერს, ა. ლიოშს, ჰ. რიჩარდსონს, ა. გრანბერგს, რ. გროცს, ჯ. ფრიდმანს, ბ. შტულცბერგს, ვ. ვიდიაპინს, ა. შვეცოვს და სხვ.

XX საუკუნის 50-იან წლებში დასავლეთში ჩამოყალიბდა "რეგიონული მეცნიერება" ("Regional Science"), რომლის იდეოლოგი და ორგანიზატორი გახდა უ. აიზარდი. მისი ინიციატივით 1954 წელს დაფუძნდა "რეგიონული მეცნიერების საერთაშორისო ასოციაცია". მასში გაერთიანებულია სერიოზული სამეცნიერო წრეები მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან.

საქართველოში რეგიონული კვლევის ფუძემდებელია პროფესორი ვალერიან მელქაძე. რეგიონულ ეკონომიკურ კვლევებში დიდი წვლილი მიუძღვის პროფესორ ირაკლი მიქელაძეს. სხვადასხვა დროს საქართველოს სოციალურ–ეკონომიკურ პრობლემებს, ქვეყნის ადმინისტრაციულ–ეკონომიკურ დარაიონებას და რეგიონული ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის კვლევის საკითხებს მრავალმა მეცნიერმა მიუძღვნა თავისი შრომები და გამოკვლევები. ამ მხრივ, აღსანიშნავია: ივ. ჯავახიშვილის, ალ. ჯავახიშვილის, პ. ინგოროყვას, ნ. კეცხოველის, ნ. იაშვილის, გ. გველესიანის, პ. ჟლენტის, დ.მოურავიძის, ე. ბარათაშვილის და სხვათა ნაშრომები.

ასევე, საქართველოში აღნიშნული პრობლემების გარშემო გამოქვეყნებულია მეცნიერ-მკვლევრების (რ. აბესაძე, ა. თვალჭრელიძე, ნ. ჭითანავა, ი. მესხია, რ. ოთინაშვილი, ნ. ჩიხლაძე, ნ. ხარებავა და სხვ.) რიგი მონოგრაფიები და სტატიები.

რეგიონის ცნება, თავისი თანამედროვე მნიშვნელობით, პირველად ანტიკურ რომში გვხვდება. [5:გვ.193]

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული განსხვავებული შეხედულების თანახმად, „რეგიონი" შედარებით ახალი ცნებაა და იგი მხოლოდ მე-15 საუკუნიდან გვხვდება. „რეგიონი" წარმოიშვა ლათინური სიტყვისაგან: „regere" (მართვა, წარმართვა, ბატონობა), რომელმაც მოგვიანებით მიიღო ფორმა რეგიო. დროთა განმავლობაში, რეგიონმა შეიძინა მიმართულების, ობიექტის, სფეროს, ტერიტორიის მნიშვნელობა. [6]

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „რეგიონალური... მოიცავს, ეხება ცალკეულ მხარეს, ქვეყანას ან რამდენიმე მეზობელ ქვეყანას" [7:გვ.387]

„რეგიონის" განმარტება შეუძლებელია მხოლოდ ერთი დეფინიციით. იგი ხშირად მიჩნეულია, როგორც ეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკური სუბგაერთიანება, როგორც დაგეგმვისა და ტერიტორიული სიდიდე, როგორც სუბნაციონალურ ტერიტორიულ ერთეულთა თანამშრომლობის აღმნიშვნელი ცნება და სხვ. [8:გვ.27] ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში „რეგიონი" მოიცავს ისეთ განსხვავებულ ტერიტორიულ ერთეულებს, როგორიცაა გერმანიის მიწები, ბრიტანული საგრაფოები ან ნიდერლანდური პროვინციები. [9]


დღეისათვის მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, „რეგიონის" ცნებაში გაიგივებულია სხვადასხვა რანგის ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულები (ავტონომიური ერთეულები, მხარეები, ქალაქები, სასოფლო- ადმინისტრაციული რაიონები),

რომელთაც გააჩნია მმართველობის საკუთარი ორგანოები, ეკონომიკური და სოციალური კომპლექსები, ინფრასტრუქტურა და სხვ.

რეგიონის დამახასიათებელი ნიშნებია:

1. სივრცობრივი მთლიანობა;
2. ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული და სხვა შიდარეგიონული კავშირები;
3. ეკონომიკური ერთგვაროვნება;
4. რეგიონის ორგანული კავშირი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემასთან;
5. მართვადობა.

რეგიონი ინსტიტუციურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ეთნოფსიქოლოგიურ და ა. შ. ფუნქციებს ასრულებს. რეგიონული განვითარების მიზანია, ერთი მხრივ შექმნას მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის ჰარმონიული განვითარებისათვის ხელსაყრელი პოლიტიკური, ეკონომიკური განვითარებისათვის, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა პირობები, მეორე მხრივ, რეგიონული სამეურნეო კომპლექსების განვითარების და მისი ქვეყნის ეკონომიკასთან სიმბიოზის საფუძველზე ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებას. [10:გვ.14-15]



რეგიონი – ქვეყნის მდგრადი რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას განიმარტება, როგორც ფუნქციურ-დაგეგმარებითი ერთეული, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ერთობლიობას და, როგორც წესი, ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების სამოქმედო ტერიტორიას. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, რეგიონად აგრეთვე განიხილება ქ. თბილისი, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკები და დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. [11]

ევროპარლამენტმა თავის 1988 წლის 18 ნოემბრის რეგიონულ ქარტიაში რეგიონი განსაზღვრა, როგორც ტერიტორია, რომელიც, გეოგრაფიული აზრით, აყალიბებს გარკვე-

ულ მთლიანობას ან არის იმ ტერიტორიების კომპლექსი, რომლებიც ჩაკეტილ სტრუქტურას წარმოადგენს და რომელთა მოსახლეობისათვის დამახასიათებელია განსაზღვრული საერთო ელემენტები. [12:გვ.524]

განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე რეგიონი სივრცობრივ–ტერიტორიული აზრით სხვადასხვა გაგებით იხმარება. ჩვენი ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით რეგიონის ცნების სივრცობრივ გეოგრაფიული, პოლიტიკურ ადმინისტრაციული და ეკონომიკური შინაარსის დადგენა–დაზუსტება აუცილებლობას წარმოადგენს. ამის საჭიროება იმ გარემოებითაც არის ნაკარნახევი, რომ მსოფლიო მასშტაბით გლობალიზაციის საპირისპიროდ და მასთან ერთად მიმდინარეობს საზოგადოებრივ–პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ინტენსიური რეგიონალიზაცია, რაც რეგიონული შემეცნების, პოლიტიკის, მართვის რეგულირების საფუძველი ხდება.[13:გვ.456]

რეგიონული ეკონომიკა რეგიონალისტიკის შემადგენელი ნაწილია, რომლის საგანსაც საზოგადოების ტერიტორიული განვითარების პროცესების კვლევა წარმოადგენს. რეგიონული ეკონომიკა ორგანულადაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ სისტემასთან. აქედან გამომდინარე, მისი განვითარების ყველა საკითხის განხილვა მიზანშეწონილია საერთო-სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკასთან განუყოფელ კავშირში. რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო ეკონომიკასთან კავშირი, მთლიანობაში, განაპირობებს მის შინაარსს საზოგადოების ეკონომიკური ინტერესებისა და მისი ცალკეული სოციალური ჯგუფების და, საბოლოო ჯამში, ცალკეული მოქალაქეების ინტერესების რეალიზაციის თვალსაზრისით.

თანამედროვე პირობებში გამოთანაბრებითი სოციალურ-ეკონომიკური მიზნები ვლინდება ერთიანი მინიმალური სოციალური სტანდარტებისა და თანაბარი სოციალური დაცვის უზრუნველყოფაში, რეგიონების ეკონომიკური შესაძლებლობებისაგან დამოუკიდებლად. ამ რთული პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია რეგიონული ეკონომიკის რეალიზაციის მექანიზმებზე. მთავარი ინსტრუმენტის სახით აქ გამოდის ეკონომიკის გამოთანაბრების ხასიათი, სტილი.

რეგიონული ეკონომიკის ამოცანების რეალიზება ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და შემდგომი ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებად და პირობად გვევლინება.

რეგიონის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორებს შორის, მომავალში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სრულყოფა „თანაბარწონითი" რეგიონების ფორმირებით, სხვადასხვა დონის რეგიონების ეკონომიკურ ურთიერთობებში. როგორც სამართლიანად შენიშნავს აკადემიკოსი ა. გრანბერგი, ეკონომიკური რეფორმების დაწყებით რეგიონების დიფერენციაცია გაძლიერდა, რაც ორი მიზეზით აიხსნება: პირველი, საბაზრო კონკურენციის მოქმედებით, ბაზრისადმი ეკონომიკის სხვადასხვა სტრუქტურის მქონე რეგიონების არაერთნაირი ადაპტირებითა და მოსახლეობისა თუ ხელისუფლების განსხვავებული მენტალიტეტით. მეორე, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის მნიშვნელოვანი შესუსტებითა და „ცენტრთან" ეკონომიკურ ურთიერთობებში რეგიონების უთანასწორობით. რეგიონის ეკონომიკა თავისთავად წარმოადგენს

რთულ მულტიფუნქციონალურ სისტემას, რომლის სტრუქტურაც მთელი რიგი შიდა და გარე ფაქტორებით, რეგიონის საწარმოო ძალების განვითარების დონით, ეროვნულ და მსოფლიო ეკონომიკაში მისი ჩართულობის ხარისხით განისაზღვრება.

რეგიონული ეკონომიკა – ეს ერთი მთლიანი სისტემაა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: ეკონომიკური ბაზისა და სოციალური ინფრასტრუქტურისაგან.

1.2 რეგიონული სტრატეგიები

ცნება „სტრატეგიის" ქვეშ იგულისხმება მოქმედებათა გრძელვადიანი გეგმა ყველაზე ზოგადი სახით. საკვანძო სიტყვებად ამ ცნებაში ფიგურირებს: გრძელვადიანი პერსპექტივა, მიზნები, პრინციპები, ინტერესები, გეგმა, პროგნოზი, მთავარი მიმართულებები. რეგიონთან, როგორც ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკურ ერთობასთან მიმართებაში, მისი განვითარების სტრატეგიის ცნება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: რეგიონის მიერ ეკონომიკის სფეროში ხანგრძლივ პერსპექტივაში მთავარი მიზნების, მიმართულებებისა და მოქმედების პრინციპების მიღება, რომლებიც ბაზირებულია საერთო ინტერესებზე და მაქსიმალურად ითვალისწინებს კორპორატიულ ინტერესებს, აგრეთვე მოსახლეობისა და ყველა სამეურნეო სუბიექტის სოციალურ-ეკონომიკური აქტივაციის ხელშეწყობას.

რეგიონის განვითარების სტრატეგიის ცნება მრავალგანზომილებიანია: არსებობს რეგიონის სტრატეგია მთლიანობაში; კორპორატიული სტრატეგია რეგიონში (მსხვილი ფირმების, ბანკების, კორპორაციების) თავისი მიზნებით, ინტერესებით; ბიუროკრატიული ინტერესების მატარებელი ადგილობრივი ხელისუფლების სტრატეგია (რეგიონის ადმინისტრაცია); რეგიონში მოქმედი ცალკეული პოლიტიკური ძალების ეკონომიკური სტრატეგია; და ბოლოს, საუბარი შეიძლება მოსახლეობის სტრატეგიულ ინტერესებზეც (ეს უკანასკნელი ყოველთვის არ აისახება შესაბამის პოლიტიკურ პარტიებში). დგება ამ სტრატეგიების შეთანხმებისა პროგრამებში და საერთო რეგიონულ სტრატეგიაში მათი გაერთიანების რთული ამოცანა. მისი გამტარებელი და შემმუშავებელი სწორედ რეგიონული ხელისუფლება უნდა იყოს, როგორც ყველა ინტერესის უფლებამოსილი წარმომადგენელი ტერიტორიაზე.

რეგიონის განვითარების სტრატეგია არ არის უკვე არსებული რეგიონული სტრატეგიის ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც, ძირითადად, შექმნილია რეგიონის დაგეგმვის პროცესში, ზემოდან ქვემოთ მიმართული პროცესის დროს. ეს არის კონკრეტული რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოცემულობაზე ორიენტირებული კონცეფცია, რომელიც მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად. რეგიონის განვითარების სტრატეგია უნდა იყოს შეძლებისდაგვარად კონკრეტული, უნდა მოიცავდეს დაგეგმილ ღონისძიებებსა და ფინანსურ გეგმას. გამომდინარე იქიდან, რომ განვითარება წარმოადგენს მუდმივ და უწყვეტ პროცესს, მისი კონცეფცია არ უნდა იყოს დახურული ტიპის

დოკუმენტები პროექტების ჩამონათვალით, არამედ – ცოცხალი და მოქნილი დოკუმენტი.[14]

პრინციპულია საკითხი სტრატეგიის მოქმედების ვადების შესახებ, როგორც წარსული გამოცდილება, ისე ლოგიკური მიდგომა, აგრეთვე მაკროეკონომიკური გათვლებიც აჩვენებს, საუბარი უნდა ეხებოდეს რამდენიმეწლიან პერიოდს.

წამყვანი პროექტები – განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პროექტები, რომლებიც რეგიონის განვითარებას წარმოაჩენს, აღძრავს მოტივაციასა და ინიციატივას, წარმოადგენს წინსვლისა და წარმატების მაგალითებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი განხორციელება. რეგიონული განვითარების სტრატეგია გამოიყენება სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა პროცესში.

გამოცდილება აჩვენებს, რომ:

- რეგიონის დონეზე არსებობს შედარებით კარგი თანამშრომლობის მაგალითები;
- სექტორებს შორის თანამშრომლობა შედარებით გართულებულია.

რეგიონული განვითარების სტრატეგია მყარად უნდა ეფუძნებოდეს რეგიონში არსებულ მოთამაშეებს, სამიზნე ჯგუფებსა (ფერმერები, ტურისტები, ხანდაზმულები, ახალგაზრდები და ა.შ.) და მათ საქმიანობას. იდეალურ შემთხვევაში განვითარების სტრატეგია იდეების გენერირების ქვემოდან ზემოთ მართული პროცესით უნდა იქმნებოდეს. ადგილობრივი განვითარების ჯგუფის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია ყველა მოთამაშისა და ინტერესთა ჯგუფის წარმომადგენლის ჩართულობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათ მიერ პროცესის აღიარება და მიღება;

ამიტომ მიზანი, მიმართულება, ძალის მობილიზაცია, კოორდინაცია და სამოქმედო გეგმა უნდა იქნეს წინასწარ განსაზღვრული. სტრატეგიის ეფექტები რეგიონის ფარგლებში:

- რეგიონის შიდა აქტორების გააქტიურება;
- ცალკეული აქტივობების გამიჯვნა;
- რეგიონის საერთო მიზნის იდენტიფიცირება და მიკერძოებული მიზნების თავიდან აცილება;
- რეგიონში არსებული პროექტების ურთიერთდაკავშირება;
- სინერგიების გამოვლენა და გამოყენება;
- კონკრეტული საპროექტო იდეების გენერირება და განხორციელების შესაძლებლობა.

რეგიონის განვითარების სტრატეგია არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ ფონდებისა და დაფინანსების მოძიების საშუალება. არ ცერთ პროგრამასა და ფინანსურ წყაროს არ შეუძლია ყველა პროექტისა თუ იდეის დაფინანსება. მისი მნიშვნელოვანი ფუნქციაა:

- მოსახლეობის გააქტიურება;
- პარტნიორებს შორის ბარიერების შერბილება;
- განხორციელებადი პროექტების იდენტიფიცირება.

სტრატეგიის შინაარსობრივი მიზანია:

• რეგიონის ერთობის განმტკიცება;

• რეგიონული იდეების შეჯიბრი.

უნდა ითქვას, რომ არ არსებობს სტრატეგიის შემუშავების უნიკალური წესი. თუმცა, შესაძლებელია გამოვიყენოთ შემდეგი სქემა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რას უნდა მოიცავდეს განვითარების სტრატეგია:

რეგიონის შერჩევა/იდენტიფიცირება – სად ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, ეს არეალი უნდა იყოს მაქსიმალურად ჰომოგენური, მაგ.: ერთგვაროვანი ბუნება, იდენტობა.

სიტუაციის ანალიზი.

• რეგიონის სტატისტიკური ანალიზი:

მოსახლეობის განვითარების დონე, დასახლების სტრუქტურა, ინდუსტრიის სტრუქტურა, ბაზრების სტრუქტურა, დასაქმების სტრუქტურა, სკოლისა და განათლების სისტემა, ბუნებრივი გარემოს აღწერა, ინფრასტრუქტურა, კულტურა, ასევე აუცილებელია ადამიანური რესურსებისა და სოციალური მდგომარეობის შეფასება.

• ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, იმის განსაზღვრა, თუ სად არის მთავარი პრობლემა, გამოწვევები, შესაძლებლობები და საფრთხეები რეგიონის შესაძლებლობებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების აღწერა, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სტრუქტურის აღწერა, რეგიონის პრობლემებისა და განვითარების შესაძლებლობების ხარისხობრივი დასაბუთება.

მიმართულება, მიზნები და განვითარების სტრატეგია – სად გვინდა ვიყოთ 5 და 10 წლის შემდეგ:

• მიმართულების განსაზღვრა და მიზნების იდენტიფიცირება – მიზნების იდენტიფიცირება საშუალებას მოგვცემს, დავინახოთ გასავლელი გზა. მიზნები წარმოადგენს პრობლემური მდგომარეობის პოზიტიურ ფორმულირებას;

• განვითარების სტრატეგიის აღწერა – სტრატეგია აღწერს გზას, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ დასახულ მიზნებს, რა დარგობრივი მიმართულებები, ინსტრუმენტები და საკვანძო სფეროები უნდა განვითარდეს და რომელი ინტერესთა ჯგუფები უნდა იყოს ჩართული და ერთმანეთთან დაკავშირებული;

განსაზღვროთ, როგორ უნდა შეირჩეს პროექტები ხარისხობრივი მახასიათებლებით და როგორი ფოკუსირება გავაკეთოთ ინოვაციებზე, ცოდნაზე, პროექტების პოტენციალსა და პილოტურ ხასიათზე.

სამოქმედო არეალის განსაზღვრა და დამუშავებული საპროექტო იდეები. სამოქმედო არეალი მოიცავს თემატური პროექტების ერთობლიობას, ე.წ. პროექტების დერეფანს. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია საკვანძო პროექტები, რომელთაც ამა თუ იმ სამოქმედო არეალში იმპულსის ფუნქცია აქვთ. მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ პროექტები, რომლებსაც სწრაფი ეფექტის მოტანა შეუძლიათ (მაგ. რეგიონული გამოფენები). საუკეთესო და წარმატების პოტენციალის მქონე პროექტები უნდა შეირჩეს წინასწარ განსაზღვრული კრი-

ტერიუმებით; მაგ. წილი რეგიონის ღირებულებათა ჯაჭვში ან დასაქმების ამაღლებაში, როგორ გაუმჯობესებს რეგიონის იმიჯს, პროექტის ინოვაციურობა, მდგრადობა.

რეგიონის განვითარების ორგანიზება – როგორ ვაპირებთ თანამშრომლობას და რომელი ორგანიზაციები უნდა ჩავრთოთ პროცესში. განხორციელების სტრუქტურა სამუშაო პროცესის წინასწარი აღწერა საშუალებას მოგვცემს, პროცესი უმტკივნეულოდ წარიმართოს. წინასწარ უნდა განისაზღვროს თითოეული სუბიექტის როლი და დაკისრებული მოვალეობა, რაც გულისხმობს თამაშის წესების წინასწარ განსაზღვრას. კერძოდ, გადაწყვეტილების მიღებას ხმათა უმრავლესობით, თანამონაწილეობის წესებს, საჯაროობას და ა.შ.

შედეგზე ორიენტირებული პროექტების დაგეგმვა, ფინანსური გეგმის შედგენა რეგიონის განვითარებისათვის. როგორია პროექტების მონახაზი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია საწყისი ეტაპისათვის, რათა დროულად ვიპოვოთ პარტნიორი; განვსაზღვროთ, რა ფინანსური და ადამიანური რესურსი არის საჭირო; არის თუ არა შემუშავებული პროექტის მაილსტოუნები, შუალედური მიზნები, არის თუ არა გადანაწილებული პასუხისმგებლობები; ვინ არის პროექტის განმახორციელებელი, ვინ არის დამხმარე და რაში გამოიხატება დახმარება.

დოკუმენტირება, მონიტორინგი, შეფასება – როგორ შევაფასოთ მიღწეული შედეგები. დროში გაწერილი გეგმა და ინდიკატორები გვეხმარებიან ჩატარებული აქტივობების წარმატების განსაზღვრაში; მაგ. პროექტის განხორციელების რომელიმე ეტაპზე იმის გასარკვევად, თუ კონკრეტულ სამოქმედო არეალზე შუალედური მიზნის მიღწევის გზაზე რა არ გამოგვდის, რა პრობლემა გვიშლის ხელს პროცესების დაჩქარების საქმეში, რა უნდა გავაკეთოთ მომავალში უკეთესად და ა.შ.

რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესი. რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავების საწყისი ფაზა მოიცავს ინტენსიურ საინფორმაციო კამპანიას. საინფორმაციო შეხვედრების მიზანია, მოსახლეობის ინფორმირებულობა პროცესის მნიშვნელობის შესახებ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მნიშვნელოვანი მოთამაშეების პროცესში ჩართულობა და მნიშვნელოვანი კონტაქტების დამყარება.

რეგიონზე მორგებული სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შედგენა მოითხოვს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის აქტიურ თანამშრომლობას. უნდა დაიგეგმოს, თუ რომელ საფეხურზე რომელი ჯგუფი და რა ფორმით ჩაერთვება მუშაობაში. ეს კი შეიძლება განსხვავებული იყოს ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე. სასურველია, რომ თემების, ადგილობრივი მმართველობის, საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენლები საწყის ეტაპზევე ჩაერთონ პროცესში. სამუშაო შეხვედრების ჩატარება და რეგიონის სუსტი და ძლიერი მხარეების ერთობლივი ანალიზი არის მათი ჩართულობის კარგი ფორმატი. სტრატეგიის შედგენას წინ უნდა უძღოდეს სამოქმედო გეგმა და პასუხისმგებლობების გადანაწილება.

პროცესის ორგანიზება მოითხოვს საკმაოდ დიდ დროსა და რესურსებს, ამიტომ მიზანშეწონილია არსებული კავშირებისა და რესურსების გამოყენება. პროცესის წარმატება-

ში გადამწყვეტი როლი აკისრია მოსახლეობის ჩართულობასა და ინოვაციურობას. [15:გვ.19-25]

სტრატეგიის ფორმირების ძირითადი ეტაპები (აქ ჩვენ შევეხებით წმინდა საორგანიზაციო მხარეებს), რომლებიც იმავდროულად მისი ძირითადი შინაარსის დამახასიათებელია, შემდეგ ოპერაციებს მოიცავს:

- სტრატეგიის საფუძვლების განსაზღვრა, სტრატეგიული იდეოლოგიის არჩევანი;

- რეგიონის განვითარების პირობებისა და ფაქტორების ანალიზი და მათი პროგნოზი სტრატეგიულ პერსპექტივაში;

- რეგიონის განვითარების სტრატეგიული მიზნების დასმა;

- რეგიონის სტრატეგიული ბაზის განვითარების, მისი სტრუქტურის, საშინაო და საგარეო ბაზრებზე ორიენტირებულობის ხარისხის განსაზღვრა სტრატეგიულ პერსპექტივაში;

- რეგიონისთვის სტრატეგიული ფუნქციების არჩევა, რომლებიც ახასიათებს მის მონაწილეობას საგარეო ეკონომიკურ გარემოში;

- ეკონომიკის განვითარების შიდა სექტორის შემადგენლობისა და მიმართულების განსაზღვრა, რომლებიც ორიენტირებულია ადგილობრივ რეგიონულ ბაზრებზე;

- ეკონომიკის ორგანიზაციის ტიპის, რეგიონში ეკონომიკური ურთიერთქმედების მექანიზმების, რეგიონული ეკონომიკური რეფორმის მიმართულებების შერჩევა;

- ადმინისტრაციის მოქმედების სტრატეგიების, მისი როლის განსაზღვრა საერთო რეგიონულ სტრატეგიაში, ყველა სხვა სამეურნეო აგენტებისა და სუბიექტების განსაზღვრა, რეგიონული ადმინისტრაციის მიერ მათთან ურთიერთობების პრინციპებისა და მეთოდების შერჩევა.

რეგიონული ანალიზი. განვითარების სტრატეგია არის ლოგიკურად შემუშავებული, მკაფიოდ განსაზღვრული ხედვა და სამოქმედო გეგმა, რაც იძლევა პროცესის მართვისა და კონტროლის საშუალებას. სწორედ ამიტომ, სტრატეგიის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია ინდიკატორებისა და გაზომვადი მიზნების იდენტიფიცირება.

სტრატეგიის შემუშავების პირველ ეტაპზე, რეგიონული ანალიზისათვის უმთავრესი წინაპირობაა სანდო მონაცემების არსებობა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს სამოქმედო არეალის განსაზღვრა და რეგიონული პოლიტიკის მიმართულების დასახვა. ეს შეიძლება ეხებოდეს შემდეგ ინფორმაციას:

• სად არის საბაზისო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა (ჯანდაცვა, საბავშვო ბაღები, საცალო ვაჭრობა);

• რომელ რეგიონშია ეკონომიკა დინამიკური და ახალგაზრდობის მაღალი ჩართულობა; სად არის უფრო მოძველებული ინდუსტრიული მიმდინარეობები;

• რა ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროებია ხელმისაწვდომი.

რეგიონის განვითარების მიმართულების ჩამოყალიბებამდე უნდა მოხდეს არსებული სიტუაციის შესაბამისი ინდიკატორებით შეფასება (არსებული მდგომარეობა).განვითარების დონის შესაფასებლად საჭიროა ორი მიმართულება:

• ინდიკატორების შერჩევა, რომლებიც რეგიონის განვითარების მიზნებს გადაიყვანს გაზომვად ცვლადებში;

• იმ მიზნების განსაზღვრა (მინიმალური სტანდარტების, სასურველი შედეგების), რომლებიც პოლიტიკური მხარდაჭერით მიიღწევა.

ამ მიმართულებით შესაძლებელი გახდება რეგიონის სივრცითი განვითარების შეფასება. როგორც წესი, შედარებები ხდება რეგიონის შემადგენელ ნაწილებს შორის (მუნიციპალიტეტი, თემი, სოფელი და ა.შ).

მიზნები უნდა მოიცავდეს რეგიონის, შეძლებისდაგვარად, ბევრ კომპონენტს.

ინდიკატორებზე დაკვირვება დროის ხანგრძლივ პერიოდში საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ განვითარების დინამიკა: იზრდება თუ მცირდება რეგიონებს შორის განსხვავებები განვითარების თვალსაზრისით; ამასთანავე, სტატისტიკური მონაცემების სისტემური დაკვირვებით გაეზომავთ მიზნების შესრულებას. გასათვალისწინებელია ასევე ის, რომ სახელმწიფო პროგრამების შედეგების შესაფასებლად ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებსაც აქვეყნებენ ოფიციალური სტატისტიკური სამსახურები.

ინდიკატორების დახმარებით შეგვიძლია, გამოვავლინოთ ამა თუ იმ პოლიტიკური ღონისძიებების შედეგები.

ინდიკატორები საშუალებას იძლევიან, ღიად და გამჭვირვალედ შეფასდეს ეს შედეგები. ამიდან მოყოლებული, რომ რეგიონული განვითარება არის ყოვლისმომცველი სფერო, შესაბამისად უნდა მოხდეს ცალკეული ინდიკატორების კოორდინაცია და შეფასება. მხოლოდ ასე არის შესაძლებელი კონკრეტული რეგიონის ცხოვრების დონისა თუ სამუშაო პირობების მდგომარეობის შეფასება. [16:გვ.6-27]

ამჟამად, საქართველოს გააჩნია 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. ის გვთავაზობს ჩარჩოს ინტეგრირებული ტერიტორიული ღონისძიებების განხორციელების კოორდინაციისთვის.

საქართველოს 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა წარმოადგენს საშუალოვადიან სამთავრობო დოკუმენტს, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს იდენტიფიცირებული განვითარების ბარიერების გათვალისწინებით ქვეყნის ტერიტორიული განვითარების ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, სამოქმედო პრიორიტეტებსა და განვითარების შესაბამის ღონისძიებებს. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

პროგრამის პრიორიტეტებია:

- ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- მცირე და საშუალო საწარმოების, ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკის სექტორებისა და ექსპორტის ხელშეწყობის მხარდაჭერა;
- ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა;

- ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე;
- რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდა, საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამების მომზადება.

ზემოაღნიშნული პრიორიტეტების მიხედვით, 2018-2021 წლების პერიოდში საქართველოს რეგიონებში ჯამში (გან)ხორციელდება 100-ზე მეტი ღონისძიება და აქტივობა. [17]

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამჟამად საქართველოს ყველა რეგიონს გააჩნია განვითარების სტრატეგია 2014-2021წწ. რეგიონული განვითარების სტრატეგიის დოკუმენტები მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) რეგიონული და ადგილობრივი განვითარების პროექტის ფარგლებში. პროექტი ხორციელდება შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის აღმასრულებელი პარტნიორია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. [18]

რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის, რეგიონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების განვითარების სტრატეგიებისა და მათი განხორციელების სამოქმედო პროგრამებისა და გეგმების მომზადებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი და რეგიონული სტატისტიკური მონაცემების არსებობა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ობიექტური ადგილობრივი და რეგიონული სტატისტიკის წარმოებას და განვითარებას. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის პროცესში ქვეყნის მთავრობის პოლიტიკა უნდა განხორციელდეს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის" სულისკვეთებისა და ქარტიის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

1.3 რეგიონული ბაზრების განვითარების ძირითადი თეორიები და კონცეფციები

ეკონომიკურ ლიტერატურაში ბაზრის მრავალი განმარტებაა:

- ბაზარი ეს არის საქონელგაცვლის სფერო;

- ეს არის საქონლის გამყიდველებსა და მყიდველებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა და ასეთ ურთიერთობათა დახმარებით ხორციელდება საზოგადოებრივი პროდუქტის მიმოქცევა;

- ესაა საქონლის არსებული და პოტენციური მყიდველების ერთიანობა და მათი საქონლის მწარმოებელთა ურთიერთობა.

რაც შეეხება რეგიონულ ბაზარს, ის წარმოადგენს ცალკეული რეგიონის ბაზარს, რომელთაც გააჩნიათ მოცემული რეგიონისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები – განსხვავებული, როგორც ადგილმდებარეობით, ასევე საქონლის ტიპებით, ფასებით, კონიუნქტურით, მოთხოვნილებით და საქონლის მიწოდებით. ტერიტორიული ეკონომიკის განვითარება, სამეწარმეო სუბიექტების თანამშრომლობა და სოციალური შრომის განაწილება რეგიონულ და ეროვნულ წარმოებაში განსაზღვრავს რეგიონული ბაზრის ფორმირებას და ფუნქციონირებას. რეგიონული ბაზარი გაგებულ უნდა იქნას, როგორც საქონლის მიმოქცევის ტერიტორიული სფერო. ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს: "რეგიონული ბაზარი არის მიმოქცევის სფეროს ტერიტორიული ორგანიზაცია, სადაც კოორდინირებულია მწარმოებლებისა და მომხმარებლების ინტერესები" [18*] ზოგიერთი ავტორი, კი ცდილობს განსაზღვროს რეგიონში არსებული ბაზრის მახასიათებელი ძირითადი ელემენტები: "რეგიონული ბაზარი არის სასაქონლო ურთიერთობებისა და კავშირების გეოგრაფიულად განსაზღვრული, კომპლექსურად ორგანიზებული ღია სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება კონტაქტი მატერიალურ, ფინანსურ, საკრედიტო და ფულადი სახსრების ნაკადებს შორის, როგორც რეგიონში, ასევე მის ფარგლებს გარეთ და რეგიონში ახალი ინსტიტუციური გარემოს ევოლუციური ფორმირებას ახდენს" [19*];[20*]

რეგიონული ბაზრები ერთ მთლიანობაში აერთიანებენ რეგიონული კლავწარმოებითი პროცესის საგარეო და საშინაო ეკონომიკურ სივრცეებს, ხოლო შიდა სივრცე წარმოადგენს რეგიონული ბაზრების ინფრასტრუქტურის სისტემის ფორმირების სოციალურ-ეკონომიკურ არეალს.

ზოგადად, რეგიონის საბაზრო სისტემა არის სხვადასხვა სახის ურთიერთდაკავშირებული ბაზრების ერთობლიობა, რომელთა მთავარი მიზანი რეგიონული ეკონომიკის ეფექტური განვითარების უზრუნველყოფაა.

რეგიონული ეკონომიკის განვითარების პოზიციებიდან გამომდინარე გარკვეულ ინტერესს იწვევს გეომარკეტინგის კონცეფცია. ამ კონცეფციის მიხედვით ხდება ბაზრების გეოგრაფიული სეგმენტაცია, რომელიც დიფერენცირებულია რეგიონული მარკეტინგული სტრატეგიის სხვადასხვა ზონების გამოყოფის საფუძველზე. ასეთი სტრატეგიის შემუშავებას საფუძვლად უდევს მყიდველების საბაზრო ქცევის რეგიონულ ფაქტორებზე დამოკიდებულება.

გეომარკეტინგის სხვადასხვა სამეცნიერო სკოლა არსებობს, რომელიც იკვლევს როგორც სხვადასხვა დონის რეგიონულ ბაზრებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა პრობლემების ფართო სპექტრს, ასევე ცალკეულ ფირმებსა და მათ კლიენტებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა კონკრეტულ პრობლემებს.

გარკვეულ ინტერესს იწვევს გეომარკეტინგის ამერიკული სკოლა, რომლის თავისებურებაა ბაზრის გამოკვლევა მიკროდონეზე, სავაჭრო საწარმოთა განლაგების შესწავლა, ცალკეული ფირმების განვითარების პროგნოზირების მიზნით პროდუქციის მიმწოდებლებისა და მომხმარებლების შესწავლა.

გეომარკეტინგის ამერიკული სკოლის წარმომადგენლებისათვის რეგიონული ბაზრები ინტერესს იწვევს პროდუქციის რეალიზაციის პირობებისა და საქონელსა და მომსახურებაზე ახალი მოთხოვნის ფორმირების თვალსაზრისით. ამ კონცეფციას საფუძველი შეუქმნეს ამერიკელმა ეკონომისტებმა ა. შოუმ და ლ. უელდმა. ისინი გახდნენ ახალი ფილოსოფიური იდეის ავტორები, რაც დაკავშირებულია წარმოების საბაზრო ორიენტაციასთან და მოთხოვნის ფორმირებასთან. აქედან გამომდინარე, ფირმების მთელი კომპლექსის შექმნასთან, რომლებიც დაკავშირებულნი იქნებიან წარმოებული პროდუქციის გადაადგილებით ბაზარზე.

უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს იდეა დაედო საფუძვლად გასაღების თეორიას (ჯ.ფრედერიკი, ს.დუნკანი, პ.ჩერინგტონი), რომელიც შემდეგ ტრანსფორმირებულ იქნა ბაზრის მართვის თეორიად (დ. ხოუარდი, ე. მაკორტი, ა. კორბინი).

ამ თეორიის ფარგლებში ბაზარი განიხილება ცალკეული საწარმოო ფირმების დონეზე. მთავარი ყურადღება ექცევა საბაზრო ინფორმაციის ბაზაზე სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღების პრინციპების შემუშავებას, მოთხოვნის სტიმულირების მეთოდების გამოყენებას და ბაზარზე პროდუქციის მოძრაობას.

XX საუკუნის 50-იან, 60-იან წლებში გეომარკეტინგის ამერიკული სკოლის ყურადღების ცენტრში იდგა სავაჭრო საწარმოების და მომსახურების სფეროს საწარმოთა ოპტიმალური განლაგების სქემის შერჩევა და საქონელმოძრაობის სივრცობრივი პრობლემები.

სივრცეში საქონელმოძრაობის მიმართულებათა შერჩევისას გაითვალისწინება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მომხმარებელთა რაოდენობა და კონცენტრაცია, სარეალიზაციო პროდუქციის თავისებურებანი, ბაზარზე კონკურენციის დონე, ტერიტორიული შეზღუდულობა, საქონელმოძრაობის ალტერნატივა და ა.შ.

გეომარკეტინგის ბრიტანული სკოლის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს რეგიონული ბაზრების კვლევა მაკროდონეზე, მოთხოვნისა და მიწოდების საერთო რეგიონული სისტემის შესწავლა საერთო რეგიონული პროგნოზირებისა და დაგეგმვის მიზნით.

XX საუკუნის გეომარკეტინგულ სკოლებს შორის ცნობილია აგრეთვე სასაქონლო ნაკადების სივრცობრივი განაწილების კონცეფცია (ა. შოუ), საბაზრო პროცესების სამკუთხედის კონცეფცია (ფ.კლარკი), ბაზრების რადიკალური ჰეტეროგენულობის კონცეფცია (უ. ალდერ-სონი).

XX საუკუნის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა ბაზრის ინსტიტუციონალური კონცეფცია, რომლის წარმომადგენლები იყვნენ ო.ულიამსონი, დ. ენსმისტერი, გ. დომინგეზი, კ. ჯონსი, დ. სიმონსი, მ. იანელი.

რეგიონული ბაზრების განვითარების ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების ანალიზიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა:

1. რეგიონული ბაზრების განვითარების თეორიებსა და კონცეფციებს შორის განსხვავება დაკავშირებულია შესასწავლი მოვლენის მრავალასპექტიანობასთან, თითოეული მათგანი გამომდინარეობს გარკვეული მიზნებიდან და ამოცანებიდან, რომელთა მეთოდოლოგიურ მიდგომებს განსაზღვრავს მოცემული პრობლემის შესასწავლი ასპექტები;

2. თითოეული კონცეფცია ხასიათდება რეგიონული ბაზრების შინაარსისადმი სპეციფიკური მიდგომით. ინსტიტუციონალურ კონცეფციებში ცენტრალურს წარმოადგენს მიმოქცევის სფეროს ეკონომიკური აგენტების სისტემა, რომელიც რეგიონული ბაზრის არსს შეადგენს და მის ძირითად ფუნქციად მიჩნეულია ეკონომიკური კავშირების უზრუნველყოფა.

დასავლეთის ეკონომიკურ მეცნიერებაში ჩამოყალიბებული რეგიონული ბაზრების განვითარების ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების ანალიზი საშუალებას გვაძლევს მათ შინაარსში გამოვყოთ განვითარების შემდეგი მიმართულებები, რეგიონული ბაზრების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები.

1. რეგიონული ეკონომიკის საბაზრო ინსტიტუტებისა და სამეურნეო სუბიექტების ეფექტური ურთიერთქმედების უზრუნველმყოფელი ეკონომიკური მექანიზმების ფორმირება;

2. შიდა რეგიონული და რეგიონთაშორისი სავაჭრო ეკონომიკური კავშირების საბითუმო ვაჭრობის, საცალო ვაჭრობის, საფინანსო საკრედიტო და საქმიანი, მომსახურების ორგანიზაციულ-სამეურნეო ფორმების არჩევა, აგრეთვე ორგანიზაციულ-სამართლებრივი კავშირების ფორმების შერჩევა;

3. მომხმარებელთა ინტერესების პრიორიტეტული უზრუნველყოფის ორიენტაციიდან გამომდინარე რეგიონული ბაზრების სისტემის ფორმირება;

4. განსხვავებული რეგიონული ბაზრების ტიპებისათვის საქონელმოძრაობის ეფექტური არხების შერჩევა;

5. სატრანსპორტო-სასაწყობო პროცესების საფინანსო და ინფორმაციული ნაკადების და რეგიონების საბაზრო ინფრასტრუქტურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზრის განვითარების პროცესების რეალიზაცია.

ამრიგად, სასაქონლო ნაკადების სივრცობრივი განაწილების კონცეფციების პოზიციიდან რეგიონის მიმოქცევის სფეროს ეკონომიკური პროცესების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინებულ იქნეს რეგიონული ბაზრების ძირითადი კანონზომიერებები, რაც საშუალებას იძლევა გაგებულ იქნას მატერიალური, ფინანსური, ინფორმაციული, ორგანიზაციული კავშირების არსი, რომლებიც საქონლისა და მომსახურების პროცესში უზრუნველყოფენ რეგიონული ეკონომიკის სუბიექტების ურთიერთქმედებას.

დასავლეთის ეკონომიკურ მეცნიერებაში ჩამოყალიბებული რეგიონული ბაზრების განვითარების კონცეფციების ძირითადი ასპექტების გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს რეგიონული ბაზრების განვითარების საფუძვლების და კონცეფციის შემუშავებისას. [19:გვ.5-11]

1.4 რეგიონული ბაზრის ეფექტიანობის კრიტერიუმები და კლასიფიკაცია

ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება ძირითადად განპირობებულია შემდეგი ხელსაყრელი პირობების არსებობით:

– საკუთრების სხვადასხვა ფორმების არსებობა და იურიდიული თანაბარუფლებიანობა;

– სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური დამოუკიდებლობა;

– მწარმოებლების კონკურენცია;

– თავისუფალი ფასწარმოქმნა;

– ღია ეკონომიკის არსებობა;

– ბაზრის განვითარებული ინფრასტრუქტურა;

– სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციული ურთიერთობების და მონოპოლიზმის სახელმწიფო რეგულირება;

– რეგიონში არსებული სამეურნეო ერთეულების მართვაში მარკეტინგული მართვის მეთოდების უპირატესი გამოყენება.

რეგიონული ბაზარი შესაძლებელია სხვადასხვა ნაწილად დავყოთ. ყოველი ნაწილი ასრულებს თავის ფუნქციას და რეგიონში მისი განვითარების დონე შესაბამისად განისაზღვრება საწარმოო ძალების, საბაზრო ინფრასტრუქტურის, მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების და სხვა ფაქტორების განვითარების დონით. ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, სტრუქტურულ-ტექნოლოგიური და საკანონმდებლო პირობების სრულყოფით მიიღწევა რეგიონული ბაზრის ყველა სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირება.[20:გვ.240]

რეგიონული ბაზრის კლასიფიკაცია შესაძლებელია უკვე არსებული და კარგად ჩამოყალიბებული ბაზრის კლასიფიკაციის შესაბამისად:

– წარმოების საშუალებების ბაზარი;

– მოხმარების საშუალებების ბაზარი;

– ინტელექტუალური პროდუქციის ბაზარი;

– ფასიანი ქაღალდების ბაზარი;

– სამუშაო ძალის ბაზარი.

თითოეული ზემოთ აღნიშნული ფაქტორის განვითარება უშუალოდ არის დაკავშირებული რეგიონული მარკეტინგის მეთოდების ეფექტიან გამოყენებასთან. რეგიონული მარკეტინგის მიზნებია: რეგიონში მიმდინარე კომერციული საქმიანობის მომგებიანობის უზ-

რუნველყოფა, რაც მიიღწევა რეგიონის რესურსული, საწარმოო და შრომითი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებით;

– რეგიონში წარმოებული ახალი საბეობის პროდუქციისა და მომსახურების ასორტიმენტის და ხარისხის გაზრდის გზით სხვა რეგიონულ ბაზრებზე შეღწევა და უპირატესი მდგომარეობის მოპოვება;

– საბაზრო შესაძლებლობების პროგნოზირება, უკვე არსებული სასაქონლო ასორტიმენტის პირობებში რეგიონის მომხმარებლების მოთხოვნის შესწავლის ტენდენციები და მოსახლეობის გადახდისუნარიანობა;

– რეგიონში ეფექტიანი წარმოებისა და საქონლის რეალიზაციის მიმართ პროგრამულ-სისტემური მიდგომის პრაქტიკაში დანერგვა;

– თუ შესაძლებელია, ძირითადად საკუთარ რესურსებზე დაფუძნებული კონკურენტუნარიანი კომპლექსის ჩამოყალიბება, რომელმაც უნდა უპასუხოს საბაზრო ეკონომიკის სამ ძირითად კითხვას: "რა", "როგორ" და "ვინ". ე. ი. რა საბეობისა და რაოდენობის პროდუქცია და მომსახურება უნდა აწარმოოს რეგიონმა, როგორ უნდა აწარმოოს და ვინ უნდა მიიღოს და მოიხმაროს პროდუქცია.

ამასთან, აუცილებელია რეგიონული მარკეტინგის პრინციპების ჩამოყალიბება:

– პირველი პრინციპი – რეგიონის ეკონომიკური საქმიანობის პრაქტიკულ შედეგზე მიზანმიმართულობა. რეგიონში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ეფექტიანი რეალიზაცია გულისხმობს რეგიონის ბაზრების მთელი მოცულობის დაკავებას და რეგიონული მარკეტინგის გამოყენების შედეგად რეგიონთაშორის ბაზრებზე გასვლას და რეგიონის სრული პოტენციალის გამოვლენას.

– მეორე პრინციპი – რეგიონის ორიენტაცია საბაზრო საქმიანობის გრძელვადიან შედეგებზე, რაც გულისხმობს არახელსაყრელი პირობების შექმნას მონოპოლისტური წარმონაქმნებისათვის და კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებას.

– მესამე პრინციპი – რეგიონში არსებული წარმოებისა და მომსახურების სფეროს მორგება პოტენციური მომხმარებლების მოთხოვნებზე და რეალიზაციის აქტიური სტრატეგიის შემუშავება.[21:გვ.576];[22:გვ.686]

რეგიონული ბაზრების ფორმირება ობიექტურად არის დაკავშირებული კონკრეტულ ტერიტორიასთან.

სახელმწიფოს როლი ბაზრის განვითარებაში. სახელმწიფო ქმნის და ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს შენარჩუნებას. ასეთ გარემოში დაუშვებელია ბაზრის ცალკეული სეგმენტების, ინსტრუმენტების ან მონაწილეების დისკრიმინაცია, ან პირიქით უპირატეს ან მონოპოლიურ მდგომაროებაში ჩაყენება. არ ხდება ბაზრის რომელიმე სეგმენტზე ვაჭრობის ხელოვნურად ადმინისტრაციული გზით გააქტიურება სხვა სეგმენტების ხარჯზე. სახელმწიფო და ბაზრის რეგულატორი უზრუნველყოფენ სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებულ ბაზრის მონაწილეთა ღია და გამჭვირვალე საქმიანობას.

მარტივი და გასაგები საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმი. სასურველია მთავრობამ დაბეგროს წმინდა საინვესტიციო შემოსავალი, ნაცვლად ცალკეული ტრანზაქციების დაბეგვრისა. აღნიშნული არ უნდა ითვალისწინებდეს საგადასახადო შეღავათების დაწესებას, არამედ

იგი უნდა მიანიშნებდეს, რომ საგადასახადო სისტემა უფრო მეტად ეკონომიკურ ზრდაზეა ორიენტირებული. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა ტიპის ინვესტიციების და ბაზრების თანაბარ პირობებში ჩაყენებას. ფინანსური ბაზრების განვითარება კორერილებულია ქვეყანაში ფინანსური განათლების დონესთან. შესაბამისად სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებას. კაპიტალის ბაზრები ერთი მხრივ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისა და შესაბამისად მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, მეორე მხრივ, კაპიტალის ბაზრებს ახასიათებთ მერყეობა და რისკები, რომელთა გარეშეც, ანუ პერიოდულად ზარალის მიღების გარეშე, ბაზარი ვერ ფუნქციონირებს. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მერყეობების წარმოქმნისას არ მოხდეს სახელმწიფოს მიერ ბაზრის პრინციპებში ჩარევა ან არასწორი კომუნიკაცია. მნიშვნელოვანია საბაზრო პროცესებისადმი, მათ შორის მცურავი სავალუტო კურსისადმი ერთგულება. მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში ეკონომიკის დანარჩენ სექტორებში, მათ შორის კაპიტალის ბაზრებზე, მერყეობა მნიშვნელოვნად ნაკლებია. ასევე შენარჩუნებულია კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა, რაც დადებითად ახასიათებს ქართულ ეკონომიკას 1990-იანი წლებიდან მოყოლებული.

განვითარებისათვის შესაბამისი სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შექმნა. სტაბილურ ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური პოლიტიკა პარალელურად ფინანსური ბაზრებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. უადვილებს ინვესტორებს და კომპანიებს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას. ხელს უწყობს გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთების შემცირებას და დასტაბილურებას, იზიდავს უცხოელ ინვესტორებს. კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს აუცილებელი კომპონენტია ძლიერი და დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის არსებობა, მკაფიოდ განსაზღვრეული მანდატით, რომელიც ფასების სტაბილურობის შენარჩუნებას ითვალისწინებს.

მომხმარებელთა და ინვესტორების უფლებების დაცვა. მაქსიმალურად უნდა იქნას დაცული წვრილი, ნაკლებად გათვითცნობიერებული ინვესტორების ინტერესები. კაპიტალის ბაზრის განვითარების, განსაკუთრებით სააქციო კაპიტალის შემთხვევაში აუცილებელი პირობაა მცირე ინვესტორთა ინტერესების დაცვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, როგორც მარეგულირებლის როლი, ასევე საგანმანათლებლო, კორპორაციული მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება და ფინანსური აღრიცხვის სრული გამჭვირვალეობის საკითხები. კორპორატიული მმართველობის მაღალი სტანდარტების დანერგვა. ემიტენტი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ სწორი და სანდო ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა. ზემოთ აღწერილი სახელმწიფოს როლის გათვალისწინებით კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობის ძალისხმევა მიმართული იქნება რამდენიმე ძირითადი მიმართულებით: კანონმდებლობა, ინფრასტრუქტურა და განათლება. [23:გვ.18-20]

თავი 2. რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრინციპები, ფორმები და მეთოდები

2.1 რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების (მართვის) პრინციპები

განვითარებადი ეკონომიკა ფაქტორების იმ რთული ერთობლიობის გავლენას განიცდის, რომელიც მისი ფუნქციონირების საბაზისო მექანიზმებზეა დაშენებული. ეკონომიკაზე მარეგულირებელ ზეგავლენას გარე მსოფლიო ეკონომიკური ფაქტორები, საქართველოს საერთო-სახელმწიფო ინტერესები და შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები ახდენს, და აღსანიშნავია რეგიონული ინტერესების მონაწილეობის, საქართველოს სახელისუფლო ორგანოების მოღვაწეობისა და ხელისუფლების მიერ რეგიონების მართვის კომპონენტი.

სახელმწიფო რეგულირების რეგიონული საფეხური – არანაკლებ რთულია, ვიდრე სახელმწიფო რეგულირება ცენტრალურ დონეზე. სხვათა შორის, საზღვარგარეთის და ასევე ადგილობრივი გამოცდილება იმაზე მეტყველებს, რომ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ტერიტორიული ორგანოების მხრიდან რეგულირება ხშირად უფრო დიდ ეფექტს იძლევა, ვიდრე ცენტრალიზებული ზემოქმედება. აღიარებულია, რომ რეგულირების უფრო ოპტიმალურ ვარიანტს სამეურნეო სუბიექტებზე ცენტრალიზებული და რეგიონული ზემოქმედების შეთანაწყობა წარმოადგენს. ამასთანავე, ცენტრალიზებული ზემოქმედება თამაშობს სტრატეგიულ, წამყვან როლს, მაგრამ ეკონომიკის რეგულირების ამოცანების ძირითადი მოცულობა, მარეგულირებელი ზემოქმედების მთელი პრაქტიკა, პირველ რიგში, რეგიონულ დონეზე რეალიზდება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარების გზით.[24]

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, თუ რა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სახელმწიფო რეგულირების პრობლემების გადაწყვეტა რეგიონულ დონეზე.

რეგიონულ დონეზე სახელმწიფო რეგულირების პრობლემატიკა მრავალგვარია: შეიძლება განისაზღვროს რეგიონის ცხოვრების მთელი რიგი სფეროები, სადაც მარეგულირებელ ზემოქმედებას განსაკუთრებელი მნიშვნელობა გააჩნია, აგრეთვე, ამ რეგულირების სხვადასხვა ფორმა, მეთოდი და ინსტრუმენტი, რომლებიც სახელმწიფოსა და რეგიონული ადმინისტრაციის განკარგულებაშია. ამასთან ერთად, მიზანშეწონილია რეგიონული განვითარების პრობლემების გამოყოფა, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელი ხდება რეგულირების დროს და სახელმწიფო რეგულირების (პრინციპები, ორგანიზაციები, მეთოდები, მექანიზმები) ორგანიზაციული პრობლემების იდენტიფიკაცია.

ერთი მხრივ, ეკონომიკის გლობალიზაცია, მეორე მხრივ, რეგიონალიზაცია ცენტრალური სახელმწიფო ზემოქმედების როლის არსებით სახეცვლილებას ახდენს. ამ უკანასკნელის ფუნქციები მნიშვნელოვნად ნაწილდება, როგორც სახელმწიფოთაშორის, ასევე კორპორატიულ და რეგიონულ დონეზე.

ქვეყანაში სამეურნეო სისტემის გარდაქმნის რთულ, ობიექტურად დეტერმინირებულ პროცესში ერთ-ერთ მთავარ ტენდენციად ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვის ტერიტორიული ასპექტის როლის განუხრელი ზრდა გვევლინება. ეს ადეკვატურად აისახა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების განვითარებაში. რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ობიექტურად ისეთ პირობებში აღმოჩნდნენ, როცა მათ მთავარ და გაცილებით უფრო რთულ საკითხებზე – ტერიტორიის სოციალურ განვითარებაზე, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე, უწევთ პასუხის გაცემა. მათ ბევრ სხვა რამეზეც მოეთხოვებათ პასუხი, პრაქტიკულად ყველაფერზე, რასაც ადგილი აქვს ტერიტორიებზე, განსაკუთრებით მას მერე, რაც მერი აირჩევა პირდაპირი წესით. იხ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი [25]; იხ.მუხლი 48[26]; იხ.მუხლი49[27].

ეს გაზრდილი პასუხისმგებლობა მმართველებს აიძულებს, მათ წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრის ყველა შესაძლო გზების გამოყენებას, ხელმძღვანელობის სულ უფრო ახალი ფორმებისა და მეთოდების მოძიებასა და დანერგვას ტერიტორიების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გზით. ამის შედეგად, გარკვეულ ადგილებზე მეურნეობის გაძლოლის პრაქტიკაში, ტერიტორიული ეკონომიკური მართვის ახალი კონცეფცია მწიფდებოდა, რომელსაც გარკვეული აზრით, ტერიტორიებზე პრაქტიკით გამომუშავებული ახალი მიდგომების მომცველი ადგილობრივი კანონშემოქმედება მიჰყვებოდა კვალდაკვალ.

სახელმწიფო რეგულირების ტერიტორიული ასპექტი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მრავალფეროვანი ტერიტორიული ფაქტორების, ტერიტორიული რგოლების ადგილისა და როლის მნიშვნელობას ასახავს სახალხო მეურნეობის, ქვეყნის მთელი სამეურნეო კომპლექსის რეგულირების პროცესში. ბოლო წლებში ჩამოყალიბებული პროგნოზირებისა და დაგეგმვის ტერიტორიული ასპექტი ორ ძირითად ნაწილს მოიცავს:

- საკუთრივ ტერიტორიულ პროგნოზირებასა და დაგეგმვას, ანუ ტერიტორიული გეგმების, პროგნოზების, პროგრამებისა და სხვა დოკუმენტების შემუშავებას;

- ქვეყნის საერთო პროგნოზირების, სქემებისა და გეგმების, ბალანსების ტერიტორიული ჭრილის შემუშავებას.

ეკონომიკური მართვის ასპექტს მიეკუთვნება სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკა, ეკონომიკური დარაიონების დადგენა.

ასობით პუბლიკაციაშია მოცემული ეკონომიკური მართვის ტერიტორიული ასპექტის ცალკეული მხარეების, მისი ისტორიის, თეორიისა და პრაქტიკის დაწვრილებითი დახასიათება. მათგან, მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები კომპლექსურ ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს და საგნისადმი სხვადასხვა მეთოდოლოგიურ მიდგომებს აფუძნებს.

ეკონომიკური მართვის ტერიტორიული ასპექტის საკითხების მთელი კომპლექსიდან, ყურადღების კონცენტრირება, პირველ რიგში, რეგიონული ეკონომიკის რეგულირებაზე უნდა მოხდეს, რეგიონებში ობიექტურად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ სისტემებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების მრავალგვარი პრობლემისა და ამოცანის გადასაწყვეტად.

ტერიტორიული ეკონომიკური მართვის განვითარება ობიექტურად არსებული წანამძღვრების ძალით წარიმართება, რომლებიც განსაზღვრავს კიდეც მის უმთავრეს არსებით

მახასიათებლებს. შედარებით უფრო ზოგად წანამძღვრებს შორის უნდა დავასახელოთ სოციალური სისტემების (ბუნებრივი სისტემებისგან განსხვავებით) გეგმაზომიერი განვითარება.

გეგმაზომიერება წანამძღვარია იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოების მიერ შეგნებულად მხარდაჭერილი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროპორციულობა და კომპლექსურობა მეურნეობის ტერიტორიულ რგოლებსა და საზოგადოების განვითარების ტერიტორიულ პროპორციებზეც ვრცელდება.

ეკონომიკური ხასიათის წანამძღვრებს შორის უნდა აღინიშნოს შრომის ტერიტორიული დანაწილების პროცესები, საწარმოო ძალების ტერიტორიული ორგანიზაცია, სხვადასხვა რანგის ტერიტორიული ორგანოების ფორმირება. მოცემულ საკითხებზე ფართო თეორიული ლიტერატურა არსებობს, გაცილებით ნაკლები ყურადღება კი ისეთ, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ საკვანძო საკითხს ექცევა, როგორიცაა ტერიტორიების ეკონომიკური ინტერესები. ერთი რეგიონის საზღვრებში სხვადასხვა, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო პერსპექტივის ეკონომიკური ინტერესების არსებობა, ბუნებრივია, მათი შერწყმის აუცილებლობას იწვევს, რაზეც მიმართულია კიდეც ტერიტორიული ეკონომიკური მართვა. როგორია ეს ეკონომიკური ინტერესები, სუბიექტთა საქმიანობის მამოძრავებელი მოტივები მატერიალურ მოთხოვნილებებთან და რეგიონის ეკონომიკურ სისტემასთან დაკავშირებით?

ტერიტორიული ინტერესები წარმოჩინდება რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების მიერ ფორმირებადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნებისა და პირობების სახით. კორპორატიული და დარგობრივი ინტერესები, რომლებიც გამოიხატულია მოთხოვნებში, წინადადებებსა და ორიენტირებში, მმართველობის ზემდგომი ორგანოების – კომიტეტების, სამინისტროების, უწყებების და სხვათა მიერ განისაზღვრება. [28]

საწარმო წარმოადგენს ერთი მხრივ – დარგობრივ, მეორე მხრივ – ტერიტორიებისა და მესამე მხრივ – მოცემული კოლექტივის, როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ერთეულების ინტერესებს.

საჭიროა, მხედველობაში ვიქონიოთ, რომ დარგობრივი და ტერიტორიული ინტერესებით სულაც არ ამოიწურება მოცემული ტერიტორიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების „მამოძრავებელი ძალების" კომპლექსი. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას საერთო-სახელმწიფო ინტერესის შესახებ, რომელიც მართვის ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიერ პოლიტიკის წარმართვაში გამოიხატება. ეს პოლიტიკა ქვეყნის ტერიტორიული რგოლების განვითარების მრავალ საერთო მიმართულებასა და მხარეს განსაზღვრავს; გარდა ამისა, ივი კონკრეტული ტერიტორიული ერთეულების განვითარების კონკრეტულ საკითხებს შეეხება. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ტერიტორიებზე გამოვლენილი ინტერესები რთულ დინამიურ სისტემას წარმოადგენს. ტერიტორიებზე კონკრეტული სუბიექტები ხშირად, არა ერთი რომელიმე ჯგუფის ინტერესების, არამედ – ჯგუფების ინტერესების გამომხატველნი არიან. ამასთანავე, ესა თუ ის ინტერესი უფრო აშკარა ხდება მართვის სუბიექტის მის შესაბამის სისტემაში განხილვის დროს. მაგალითად, ურთიერთობის სისტემაში: „საწარმოო – სამინისტრო", საწარმოო შეიძლება გა-

მოვიდეს ტერიტორიული ინტერესის წარმომადგენლად, ხოლო ურთიერთობის სისტემაში „საწარმოო – ტერიტორია" კი ხშირად კორპორატიული ან დარგობრივი ინტერესისაა.

მართვის შედარებით დამოუკიდებელი სუბიექტების მიერ წარმოქმნილი ზემოთ აღნიშნული ინტერესები საკმაოდ არასოდეს ემთხვევა, ხოლო რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდნენ კიდეც ერთმანეთს. გაცილებით უფრო რთულია სხვადასხვა ინტერესთა გამომხატველი ჯგუფების ინტერესების გადაჯაჭვა და მათი ურთიერთკავშირი. თითოეული სუბიექტისთვის აქ შეიძლება გამოიყოს წამყვანი ინტერესი, რომელიც მთელი საზოგადოებისა და ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მთავარი ფუნქციებით განისაზღვრება. ტერიტორიული ეკონომიკური მართვის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ მთავარ წანამძღვრად რეგიონებში ტერიტორიული სამეურნეო თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების სისტემების დანერგვა უნდა განვიხილოთ. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ამოცანები რეგიონულ დონეზე უფრო კონკრეტული ხდება და გარკვეულ სპეციფიკას იძენს.

რეგიონებისა და მსხვილი ქალაქებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ ამოცანებს:

- ადგილობრივ საწარმოთა და სამუშაო ადგილების შენარჩუნებას;
- ადგილობრივი ეკონომიკის პროპორციულ განვითარებას;
- რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ბაზის უზრუნველყოფას;
- ძველი ინდუსტრიული რაიონების სტრუქტურულ გარდაქმნას;
- ეკოლოგიური სიტუაციისა და კეთილმოწყობის გაუმჯობესებას;
- მიზანმიმართული პროფესიულ განათლებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას რეგიონის მოთხოვნილებათა შესაბამისად;
- ღარიბი ტერიტორიების დახმარებას, და სხვ.

ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, უფრო დაწინაურებული რეგიონების პირობებში, სტაბილური ეკონომიკისთვის დამახასიათებელი სახელმწიფო რეგულირების ამოცანების განსაზღვრა შესაძლებელია შემდეგი სახით:

- უმთავრესი მიკროეკონომიკური პროპორციების მხარდაჭერა (იმ შემთხვევებში, როცა ამის გაკეთება ბაზარს არ შეუძლია), მაგალითად, მოთხოვნასა და მიწოდებას, ფულად მასასა და სამეურნეო საქმიანობის მოცულობას, საექსპორტო და შიდა ეკონომიკას შორის;
- სამუშაო ადგილების რაოდენობისა და ხარისხის მიწოდებასა და სამუშაო ძალების შეთავაზებას შორის აუცილებელი შეთანაწყობის მხარდაჭერა, მათ შორის მოსახლეობის, ქალაქების, რაიონების, ცალკეული შემადგენლობის მიხედვით;
- სტრატეგიული საქონლის წარმოების, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- საერთო ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარება და ეკონომიკის ყველა სექტორისთვის საერთო სამეურნეო პირობების შექმნა, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, ინფორმაციული სისტემებით სარგებლობის ნორმალური შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- ფულადი და საფინანსო-საკრედიტო სისტემის ეფექტიანი უწყვეტი ფუნქციონირების მხარდაჭერა;

- საზოგადოების მნიშვნელოვანი სფეროების, დარგებისა და საწარმოებისთვის ობიექტურად არსებული ნეგატიური ფაქტორების მოქმედებისა და სამეურნეო საქმიანობის ხარჯების კომპენსაცია;

- სტრატეგიულ კონიუნქტურაში საქონელმწარმოებელთა ორიენტირება, ეკონომიკის ყველა სექტორისთვის სამეურნეო საქმიანობის აუცილებელი ინფორმაციული უზრუნველყოფის შექმნა;

- აუცილებელი საინვესტიციო და ინოვაციური აქტივობის მხარდაჭერა, მსხვილი საინვესტიციო და მეცნიერულ-ტექნიკური პროექტების რეალიზაციის ხელშეწყობა;

- ეკონომიკაში არსებული და მოსალოდნელი მწვავე პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტა, მათ შორის მიზნობრივი პროგრამების ურთიერთმოქმედი სისტემების რეალიზაციის საფუძველზე;

- მოსახლეობის მინიმალური გარანტიებისა და მისი ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა, რეგიონთაშორისი, დარგობრივი, პროფესიული და ცხოვრების დონის მიხედვით მკვეთრი, გაუმართლებელი განსხვავებების ლიკვიდაცია;

- სახელმწიფოს (ქალაქი, რეგიონი) მიერ მოსახლეობისთვის შეთავაზებული ე.წ. „სოციალურ კეთილდღეობათა" ან „საზოგადოებრივი საქონლის" აუცილებელი მოცულობებისა და სტრუქტურების განსაზღვრა და მხარდაჭერა, სოციალური პოლიტიკის რეალიზაციაში ეკონომიკის ყველა სექტორის ეფექტიანი ჩართულობის ხელშეწყობა, მოსახლეობის სოციალური აქტივაციის, თვითდასაქმებისა და თვითდახმარებისთვის სათანადო პირობების შექმნა.

2.2 რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმები და მეთოდები

საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური მართვის პრაქტიკაში საკმარისად დამუშავებულია სახელმწიფოს მიერ სამეურნეო ობიექტებზე ზემოქმედების მრავალფეროვანი საშუალებები, რომლებიც, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე გამოიყენება. ცენტრალური და რეგიონული ზემოქმედების შეთანაწყობა, სახელმწიფო რეგულირების ამა თუ იმ ფორმისა და მეთოდის პრიორიტეტულობა მოცემული სახელმწიფოსა და რეგიონის კონკრეტული პირობებით, ცენტრსა და ტერიტორიებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების ხასიათით განისაზღვრება. აღსანიშნავია, რეგიონულ დონეზე რეგულირების სტანდარტული მეთოდების გამოყენების რიგი თავისებურებები. გარდა ამისა, ცენტრსა და რეგიონებს შორის შეინიშნება გარკვეული განსხვავებები რეგულირების გამოყენებული მეთოდების მიხედვით. ამასთან, ცენტრს ცალკეული მარეგულირებელი ინსტრუმენტებით სარგებლობის მნიშვნელოვნად მეტი შესაძლებლობები გააჩნია, ვიდრე რეგიონებს. მიუხედავად ამისა, საქართველოს რეგიონული გამოცდილების შესწავლამ აჩვენა, რომ რეგიონები ისწრაფვიან ეკონომიკის რეგულირების ყველა შესაძლო ცნობილი ფორმის, მეთოდისა და ინსტრუმენტის გამოყენებისკენ.[29:გვ.334]

ეკონომიკის რეგულირების ფორმები წარმოადგენს საშუალებებს, ძირითადი მარეგულირებელი მეთოდებისა და ამ მეთოდების საზღვრებში კი – კონკრეტული მარეგულირე-

ბელი ინსტრუმენტების გამოყენების ხასიათს. ცნობილია, ეკონომიკის რეგულირების ფორმების შემდეგი კლასიფიკაცია:

1.პირდაპირი და ირიბი ზემოქმედება. პირდაპირი ზემოქმედება აღნიშნავს სახელმწიფოს ჩარევას უშუალოდ სამეურნეო სუბიექტების ძირითად საქმიანობაში – იმაში, თუ რა და როგორ აწარმოონ, სად გაგზავნონ და ა.შ. პირდაპირი ზემოქმედება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდის (როგორც „ხისტი", ისე „რბილი" მეთოდის) გამოყენებით. ირიბი ზემოქმედება – ესაა ზემოქმედება არა თვითონ საქმიანობაზე, არამედ ამ საქმიანობის პირობებზე, სამეურნეო სუბიექტების გარემომცველ გარემოზე (საგადასახადო, ადმინისტრაციული და სხვ.). იგი შესაძლოა, სახელმწიფოსთვის უფრო ეფექტურიც კი იყოს პირდაპირ ზემოქმედებასთან შედარებით, თუმცა, გარეგნულად არ არღვევს საწარმოს საბაზრო თავისუფლებას.

2. დირექტიული და რეკომენდებული (ინდიკატური) ზემოქმედება. დირექტიული ზემოქმედება გულისხმობს სავალდებულოდ შესასრულებლი დავალებების, მითითებების, ნორმების, მოთხოვნების მიმართულებას. დირექტიულად შეიძლება განხორციელდეს, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ზემოქმედება; ანუ დირექტიული, სავალდებულო მოთხოვნები შეიძლება გავრცელდეს საწარმოო საქმიანობაზეც კი. რეკომენდებული (ინდიკატიური) ზემოქმედება, შეიძლება აგრეთვე, მიმართული იყოს, როგორც თვით სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაზე, ასევე ამ საქმიანობის პირობებზეც. სახელმწიფოს მხრიდან მიმართული წინადადებები, ორიენტირები და სხვა საწარმოსთვის არაა სავალდებულო, მაგრამ მათი შესრულება სასურველია. ისინი შეიძლება გამყარდეს მასტიმულირებელი ზომებით. ზოგჯერ ეს შენიღბული მოთხოვნებია. საწარმოს უფლება აქვს, არ შეასრულოს ისინი, თუმცა, ამავე დროს, ამგვარ მოქმედებაზე იგი თითქოს პასუხისმგებლობასაც იღებს. ასე რომ, დასავლეთში ინდიკატიური დაგეგმვის სისტემაში საწარმოთა გავრცელებული რეაქცია ასეთია – უმჯობესია შესრულდეს ის, რაც რეკომენდებულია.

3. კერძო და პოლიტიკური ზემოქმედება. პირველი გულისხმობს ზემოქმედებას სუბიექტის შიდა და გარემომცველი გარემოს ელემენტებზე, ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და სფეროებზე. მეორე, უფრო რთული ფორმა აღნიშნავს საწარმოს (დარგი, რეგიონი) საქმიანობის, როგორც სისტემის რეგულირებას, რომელიც ალბათ, ყველა შესაძლო შესაძლებლობის, შედეგის უფრო სრულ ნუსხას ითვალისწინებს ზემოქმედების ობიექტის კომპლექსური, სისტემური ანალიზის საფუძველზე.

4. მიმდინარე და პერსპექტიული (სტრატეგიული) ზემოქმედება. მიმდინარე ზემოქმედების დროს, სახელმწიფო რეაგირებს ცვალებად სიტუაციაზე, მუდმივად წარმოქმნილ ახალ პრობლემებზე, საკითხებზე, ამოცანებზე, მაგრამ ნაკლებად მართავს ამ სიტუაციის განვითარებას – ესაა მოკლევადიანი, მყისიერი ზემოქმედება. ზემოქმედების მეორე ტიპი ითვალისწინებს სიტუაციის წინასწარხედვას, აქედან გამომდინარე, გააჩნია მიმდინარე და პერსპექტიული მოქმედებების, გრძელვადიანი ამოცანების გადაწყვეტის განსაზღვრული გეგმა. სიტუაციის განვითარება კონტროლდება, ვითარდება მისი სტრატეგიული მართვა.[30:გვ.63-68]

უპირატესობა უნდა მიენიჭოს ირიბ, რეკომენდებულ, სისტემურ, სტრატეგიულ სახელმწიფო ზემოქმედებას, სახელმწიფო რეგულირებას. იგი, როგორც წესი, უფრო შრომატევადი და რთულია, თუმცა – ბევრად უფრო ეფექტიანი. ეს არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ ბევრ შემთხვევაში სხვადასხვა ეტაპზე პრიორიტეტი შეიძლება ალტერნატიულ ფორმებსაც მიენიჭოს.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მეთოდებისა და გამოყენებადი ინსტრუმენტების კლასიფიკაცია ასახავს პრაქტიკაში მათი წარმოშობისა და გავრცელების თანმიმდევრობას, საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის განვითარების შესაბამისად.

კანონებსა და ნორმატიული აქტებში პერიოდული ცვლილება არის კიდეც მარეგულირებელი ზემოქმედება, რეგულირების ზოგადი მეთოდი. თანამედროვე სინამდვილეში რეგიონული ეკონომიკური კანონმდებლობა მნიშვნელოვან სფეროდ იქცა, ხოლო რეგულირების მიზნით მისი გამოყენება სულ უფრო აქტიურ პოზიციებს იკავებს. მნიშვნელოვანია, არ მოხდეს კანონმდებლობის „კაბინეტური" სტრუქტურირება და კანონებსა და აქტებში საზოგადოებისა და სამეურნეო სუბიექტების მიერ რეალურად მოთხოვნილი წესები, ნორმები და ეკონომიკური საქმიანობის უმთავრესი ამოცანები აისახოს.

ფართო სფეროს წარმოადგენს საგადასახადო რეგულირება – გადასახადების, როგორც მართვის ინსტრუმენტის, როგორც ეკონომიკური და სოციალური რეგულატორების, სამეურნეო სუბიექტებსა და მოსახლეობის ეკონომიკურ ქცევაზე ზემოქმედების ბერკეტების მიზანმიმართული გამოყენება. ამასთან დაკავშირებით, თითოეული გადასახადი უნდა განიხილებოდეს მთლიანობაში, მის ფისკალურ და მარეგულირებელ ფუნქციებთან ერთად. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გადასახადის გავლენის მექანიზმის შესწავლა გადამხდელზე: როგორი იქნება მისი რეაქცია სხვადასხვა, მათ შორის მარეგულირებელ, საგადასახადო ზომებზე. ამ მექანიზმს საკმაოდ მკაფიო რეგიონული სპეციფიკა გააჩნია. სხვადასხვა რეგიონში რეაქცია შეიძლება განსხვავებული იყოს.

ჩვენი აზრით, არსებული კანონმდებლობა არ იძლევა მოქნილი მარეგულირებელი საგადასახადო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას. ამასთან, საგადასახადო განაკვეთების დიფერენციაცია, ძალიან მკვეთრი განსხვავებების გათვალისწინებით, საქართველოსთვის უკიდურესად აუცილებელია. რეგიონული საგადასახადო კანონმდებლობა ამ განსხვავებებს მნიშვნელოვნად ითვალისწინებს და გადასახადების, როგორც რეგულატორების გამოყენებისთვის დიდ შესაძლებლობებს ქმნის. გამოცდილება აჩვენებს შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტიანობას:

- საგადასახადო განაკვეთების დაწევას მოგებამდე (რეგიონის ბიუჯეტში გადარიცხვების ნაწილში);
- გადასახადებისაგან დროებით გათავისუფლებას;
- საინვესტიციო საგადასახადო კრედიტის გამოყენებას;
- საშეღავათო გადასახადისა და მთელი რიგი რეგიონული გადასახადების გამოყენების დიფერენციაციას (გადამხდელთა და საგადასახადო ბაზის ცალკეული ელემენტების მიხედვით).

რეზერვებია საშეღავათო გადასახადების მექანიზმის გამოყენებაშიც. გამოცდილება აჩვენებს, რომ შეღავათების მასტიმულირებელი, მარეგულირებელი ეფექტი იზრდება, თუკი შეღავათების რაოდენობა მცირდება, როცა შეღავათები წარმოდგენილია შედარებით მოკლე პერიოდებით (ეფექტის შემოწმებით და თუ საჭიროა, შეღავათის პროლონგაციით), თუკი შეღავათების შემოღების (გაუქმების) გადაწყვეტილება მიიღება წარმომადგენლობითი და არა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. მთლიანობაში, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონულ დონეზე გადასახადები ჯერ კიდევ არ გვევლინება ეკონომიკის არსებით რეგულატორად. რეგიონებში ეკონომიკის რეგულირების საქმეში მნიშვნელოვნად დიდ როლს იკავებს ბიუჯეტი. რეგიონისთვის ღირებული და სოციალურად მნიშვნელოვანი დარგებისა და ობიექტების მხარდაჭერა, ინვესტიციების სტიმულირება, რეგიონული შეკვეთების პრაქტიკა, დასაქმების სტიმულირება და ახალი სამუშაო ადგილების გაჩენა, ტერიტორიული ტრანსფერტების ხარჯზე ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში სამეურნეო და საცხოვრებელი პირობების დაახლოება – ეკონომიკის მართვაში ადგილობრივი ბიუჯეტების გამოყენების ძირითადი მიმართულებებია.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი არის ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსულობების (ყველა წყაროდან მიღებული შემოსავლების ჯამი), მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების (ხარჯების) ძირითადი საფინანსო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ.

თვითმმართველობის ბიუჯეტი ასახავს ადგილობრივი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს. იგი პირდაპირ ან ირიბად ახდენს გავლენას ყველა მოქალაქის კეთილდღეობაზე. მოსახლეობის ცხოვრების დონე დიდად არის დამოკიდებული ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება ადგილზე დროული და ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას. ადგილობრივი ბიუჯეტი უშუალოდ საზოგადოებრივი ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ნაწილია. მათზე, ისევე როგორც სახელმწიფო ბიუჯეტზე ვრცელდება საბიუჯეტო სისტემის ერთიანობის, ბიუჯეტის ყოვლისმომცველობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, დამოუკიდებლობის, უნივერსალურობისა და სხვა პრინციპები. ადგილობრივი ბიუჯეტების ურთიერთობა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში შემავალ სხვა ბიუჯეტებთან უზრუნველყოფილია ერთიანი სამართლებრივი ბაზით, ფულადი სისტემის ერთიანობით, ერთიანი საგადასახადო და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკით, საბიუჯეტო პროცესის ერთიანი პრინციპებისა და კლასიფიკაციის გამოყენებით, ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და მისი შესრულების ანგარიშების ერთგვაროვანი წესით, ასევე, დამტკიცებული ბიუჯეტისა და მისი შესრულების შესახებ ინფორმაციის გადაცემის სავალდებულობით.


ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია, როგორც სხვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის, ისე საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისაგან.[31:გვ.3] (ადგილობრივ ბიუჯეტზე და გადასახადებზე ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ).

ბიუჯეტის ხარჯზე არცთუ მცირე ხარისხით წარმოებს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ფორმირება. საინვესტიციო აქტივობის განვითარებასა და უცხოური ინვესტიციების სტიმულირების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბიუჯეტო გარანტიები. რეგიონთა განვითარების ბიუჯეტები ხელს უწყობენ საინვესტიციო პროექტების ინიცირებას, საწარმოთა მოდერნიზაციას, ადგილობრივი წარმოებების ორგანიზაციას. ადგილობრივი ბიუჯეტები ახდენენ აგროსამრეწველო კომპლექსის გარკვეულ მხარდაჭერას.

ტერიტორიებზე სახელმწიფო საბიუჯეტო რეგულირების პრაქტიკაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს რეგიონული შეკვეთები. რეგიონული შეკვეთის სისტემა ითვალისწინებს:

- ამა თუ იმ სახის პროდუქციაზე შემკვეთის მოთხოვნისა და რეგიონისთვის საერთო-საზოგადო გადახდისუნარიანობის მოთხოვნის დაგეგმვას;
- შემკვეთთა მიერ პროდუქციის შესყიდვის გეგმის დამუშავებას, შესაბამისი კონტრაქტების დადებას, სახელმწიფო კონტრაქტების რეესტრის წარმოებას;
- სათაო შემკვეთთა დანიშვნას პროდუქციის ერთგვაროვანი ჯგუფების მიხედვით, შეკვეთის განთავსებისთვის საკონკურსო პროცედურების ორგანიზაციას, შეკვეთის განთავსებას სხვა მეთოდების მეშვეობით;
- შეკვეთების ფორმირებისა და განთავსების რეგიონთაშორის კოორდინაციას;
- რეგიონული შეკვეთის ფორმირებისა და განთავსების ავტომატიზაციასა და კომპიუტერიზაციას.

რეგიონული პოლიტიკის მეთოდები



რეგიონებში ძალზე მნიშვნელოვანია მათი მდგრადი ფუნქციონირებისა და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის სატარიფო და საფასო რეგულირების პრაქტიკა. სატარიფო და საფასო რეგულირების ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენს: სუბსი-

დირების ხარჯების, კონკურენციის წახალისებისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, საფასო შეთქმულებათა და ფასების კრიმინალური მართვის აღკვეთა, სისტემატური შემოწმებები აღრიცხვის საგადასახადო ორგანოებთან თანამშრომლობის გზით.

რეგიონული ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირება და განვითარება შეუძლებელია მხოლოდ საბაზრო თვითრეგულირების ფარგლებში ხორციელდებოდეს. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ რეგიონული პროცესების განვითარებაში სახელმწიფოს, როგორც რეგულატორის როლის მინიმიზაცია, ხშირ შემთხვევაში, რეგიონების წინააღმდეგობრივ და არათანაბარ განვითარებას განაპირობებს, რაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება გარკვეული პოლიტიკური დაპირისპირების საფუძველიც გახდეს.

რეგიონულ დონეზე სახელმწიფო რეგულირების საქმეში არსებით როლს თამაშობენ ადმინისტრაციული მეთოდები. მათ შორის, სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის მიმდინარე რეგლამენტირება-რეგისტრაცია, ნებართვა სხვადასხვა ოპერაციების ჩატარებაზე, სანქცირება, შეთანხმება და ა.შ. ანუ ყოველივე ის, რაც თავის თავში მოიცავს ბიუროკრატიული ადმინისტრირების საფრთხეს, მაგრამ რაც აუცილებელია რეგიონში ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაციისთვის. რეგულირების ეფექტიან ადმინისტრაციულ ინსტრუმენტს სამეურნეო სუბიექტების ლიცენზირება, კვოტირების სხვადასხვა სახე, ხარისხის სავალდებულო სტანდარტების დადგენა, სერტიფიცირება წარმოადგენს (რაც აქტიურად გამოიყენება რეგიონული ბაზრების დაცვის მიზნით). დიდი მარეგულირებელი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო სუბიექტებისთვის რეგიონული საკუთრებით სარგებლობის რეჟიმების დადგენას. ეს, პირველ რიგში, შეეხება მიწათსარგებლობის რეჟიმებს, სათავსოებსა და სხვა ობიექტებზე იჯარის საგადასახადო განაკვეთების დიფერენციაციას, საზღვაო სივრცეებით, ტყეებით, წიაღისეულით, სხვა რეგიონული რესურსებით სარგებლობის რეჟიმებს.

რეგიონებში სახელმწიფო რეგულირების პრაქტიკაში დიდი ადგილი უჭირავს საწარმოებთან, ბანკებთან, მწარმოებელთა და მეწარმეთა ასოციაციებთან რეგიონული ადმინისტრაციის სხვადასხვა სახის სახელშეკრულებო ურთიერთობებს, მათ შორის, სამმხრივ (ადმინისტრაცია, დამსაქმებლები, პროფკავშირები) შეთანხმებებს პარტნიორობის შესახებ.

და ბოლოს, რეგიონულ დონეზე სახელმწიფო რეგულირების სისტემაში ფართოდ გამოიყენება პროგრამირება, სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირება და დაგეგმვა, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და ეკონომიკური პოლიტიკის გატარების თავისებური, რთული, მაგრამ აუცილებელი მეთოდები.

უკანასკნელ პერიოდში რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მიიჩნევენ ტერიტორიულ კლასტერიზაციას. კლასტერის კატეგორიის ქვეშ იგულისხმება დამოუკიდებელი საწარმოო და სერვისული ფირმების, ტექნოლოგიებისა და "ნოუ-ჰაუ"-ს, საშუამავლო საბაზრო ინსტიტუტების და მომხმარებლების ქსელი, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ ღირებულების შემქმნელი ერთიანი ჯაჭვის ფარგლებში.[32:გვ.89]

გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების მეტად ეფექტური ინსტრუმენტი შეიძლება იყოს ქვეყნის ეკონომიკის კლასტერული განვითარების სტრატეგია. (რეგიონულ კლასტერებზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

თავი 3. სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკა

3.1 რეგიონული პოლიტიკის ფორმირების მექანიზმები

რეგიონული პოლიტიკა რეგულირების მექანიზმია, რომლითაც სახელმწიფოსა და რეგიონების ინტერესები რეალიზდება.

რეგიონული პოლიტიკა საერთო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

რეგიონული პოლიტიკის მთავარი *მიზანია* საერთო და რეგიონული ინტერესების ბალანსის უზრუნველყოფით ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნება. რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთ *ძირითად ამოცანას* ყველა რეგიონში ცხოვრების ღირსეული დონის მიღწევა, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის გათანაბრება და სოციალურ პირობებში მნიშვნელოვანი კონტრასტების გამორიცხვა შეადგენს.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის *პრიორიტეტული ამოცანებია*:

- რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეკონომიკური საფუძვლების ფორმირება და განმტკიცება. საბიუჯეტო ფედერალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით რეგიონების ფინანსური დამოუკიდებლობის განმტკიცება, ფედერალური და რეგიონული ორგანოების სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფა;
- ობიექტურად ჩამოყალიბებული რეგიონთაშორისი განსხვავებულობის დონის დაახლოება ცენტრალიზებული ფინანსური დახმარებით. საჭიროა მძლავრი სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის მქონე რეგიონებისა და ქალაქების განვითარების მასტიმულირებელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა;
- განსაკუთრებით რთული ბუნებრივი პირობების მქონე ზონებისა და რეგიონებისათვის ნორმალური ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა. შრომის ტერიტორიული დანაწილების გონივრული ორგანიზება ეკონომიკური და სხვა სახის უპირატესობას უზრუნველყოფს. საერთო და რეგიონული ბაზრების ჩამოყალიბებისათვის ისინი ყოველმხრივად უნდა იქნას გამოყენებული. ამასთან, განვითარების ისტორიულად ჩამოყალიბებული პირობების გათვალისწინებაც მეტად აუცილებელია.

ამგვარად, რეგიონული პოლიტიკა, ერთი მხრივ, ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური სივრცის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ქმნის პირობებს, მეორე მხრივ, რეგიონებისა და მათ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნილებების დამოუკიდებელად დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს.

რეგიონული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირებისა და ფუნქციონირების რეგულირება. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის რიგი თავისებურებებიც გასათვალისწინებელია, სახელდობრ:

- ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველა ფორმის დროს აღმოცენდება-ვითარდება და სხვადასხვა ეთნოკულტურულ გარემოში არსე-

ბობს. ამგვარად, აღნიშნული ინსტიტუტი განსაკუთრებული წესის საზოგადოებრივი მოვლენა და სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელი ელემენტია. ადგილობრივი თვითმმართველობა შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:

- ცენტრალური და რეგიონული ბიუროკრატიის თვითნებობისაგან ტერიტორიული ინტერესების დაცვა;
- ყოველდღიური მოთხოვნილებების დაცვის მიზნით მოსახლეობის თვითორგანიზაციისათვის პირობების შექმნა.

ადგილობრივი თვითმმართველობა XXI საუკუნეში საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობს. [67:გვ.84-85]


საქართველოს მთავრობას აქვს რეგიონული განვითარების სტრატეგიული ხედვა, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის გათანაბრების პოლიტიკის მიდგომებს. ეს გულისხმობს ინტეგრირებულ, დარგთაშორის და ტერიტორიაზე მორგებულ დაგეგმვას და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებას.

რეგიონული განვითარება, თანამიმდევრული დეცენტრალიზაცია და ტერიტორიული ერთეულების აქტიური როლი ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში კვლავ განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული ეკონომიკის წარმატების მისაღწევად.

ხელისუფლება მხარს უჭერს რეგიონულ დონეზე სოციალური, კულტურული, გარემოსდაცვითი, განათლების, ინოვაციების, კვლევის, ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროებში კერძო ბიზნესის ჩართვას. იხვეწება რეგიონული განვითარების დაფინანსების სისტემა, უმჯობესდება რეგიონული განვითარების ზედამხედველობისა და ანგარიშგების ინსტრუმენტები და მექანიზმები.[68:გვ.26-28]

3.2 რეგიონული პოლიტიკა და სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგია

რეგიონული პოლიტიკა გამომდინარეობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკიდან და განსაზღვრავს ყველა მიმდინარე ეკონომიკურ პროცესს და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას რეგიონში. რეგიონული ეკონომიკის პოლიტიკის რეალიზება და ფორმირების ეტაპების თანმიმდევრობა ასახულია მოცემულ სქემაში.



სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის არსის საინტერესო განმარტებას გვთავაზობს ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ნ. ჭითანავა. მისი აზრით, ეს არის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და რეგიონული ინტერესების დაბალანსების მიზნით, ახალი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების განსაზღვრისა და განხორციელების მექანიზმი.

სახელმწიფოს რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მთლიანობა და სახელმწიფოს სტაბილურობა, ქვეყნის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების (რეგიონები) სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა.[69:გვ.8-9]

რეგიონული ეკონომიკური სისტემების განვითარებაში საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმის გამოყენების ფარგლებში სასიცოცხლოდ აუცილებელია სახელმწიფო მარეგულირებელი ფუნქციების განმტკიცება, რეგიონებს შორის არსებული დისპროპორციების, განვითარების დონეების გამოთანაბრების ღონისძიებების შემუშავება და პრაქტიკაში გატარება.

რეგიონული პოლიტიკის მთავარი მიზანია საერთო და რეგიონული ინტერესების ბალანსის უზრუნველყოფით ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნება. ყველა რეგიონში რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს: ცხოვრების ღირსეული დონის მიღწევა, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის გათანაბრება და სოციალურ პირობებში მნიშვნელოვანი კონტრასტების გამორიცხვა.

სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლური ელემენტია ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფარგლებში მაკროდონეზე, მეზოდონესა და მიკროდონეებზე მიმდინარე პროცესების რეგულირება.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები შეიძლება მიღწეულ იქნეს შემდეგი ღონისძიებებით:

ა) რეგიონებისათვის ეკონომიკური განვითარების სტიმულირებით და შედარებით ნაკლები დოზით – პასიური ფინანსური დახმარებით. ასეთ ორიენტაციას შეუძლია, უზრუნველყოს მუნიციპალური საბიუჯეტო დამოუკიდებლობის გაუმჯობესება, შეამციროს ტრანსფერტის მიმღები მუნიციპალიტეტების რაოდენობა;

ბ) რეგიონული განვითარების სამართლებრივი სახელმწიფო რეგულირებით, ეკონომიკისა და სოციალური სფეროს კონკრეტულ ობიექტებზე ინვესტიციების, დოტაციებისა და სუბსიდიების გამოყოფით. საჭიროა, არსებითად შემცირდეს რეგიონული განვითარების ცენტრალური პროგრამების რაოდენობა, ძირითადი ყურადღებისა და რესურსების საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონთაშორისი მნიშვნელობის პროგრამებზე თავმოყრით და მათი რეალიზაციის ვადების შემცირების მიღწევით;

გ) რეგიონების მიხედვით დიფერენცირებული მაკროეკონომიკური რეგულატორებისა და მარეგულირებლების გამოყენების გაფართოებით (შეღავათიანი დაბეგვრა, დაკრედიტება და სხვა). მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ დაწესებული იქნება ქმედითი კონტროლი ეკონომიკური შეღავათების სწორ გამოყენებაზე (არა სხვა რეგიონების საზიანოდ).

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოების რეგიონული პოლიტიკის მეტად მნიშვნელოვანი მიმართულებაა ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის განსხვავების შემცირება. რეგიონების არათანაბარ განვითარებას ტერიტორიის გეოგრაფიული პირობები, ბუნებრივი და შრომითი რესურსების დონე, ეკონომიკური და სოციალური პოტენციალი განაპირობებს.[70:გვ.264]

დღეს საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეების გამოთანაბრება, რომელიც გულისხმობს საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეგიონებს შორის არსებითი დისპროპორციების დაძლევას.

სახელმწიფო ვალდებულია, სხვადასხვა რეგიონის მიმართ აქტიური, რეალური, დიფერენცირებული ეკონომიკური პოლიტიკა ჩამოაყალიბოს და გაატაროს. იგი რეგიონების ბუნებრივი, ეკონომიკური და სხვა სახის თავისებურებების მაქსიმალურად გამოყენებასა და ეკონომიკური საქმიანობის პირობების გამოთანაბრებაზე უნდა იყოს მიმართული. „რეგიონული თავისებურებების მრავალფეროვნება, რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განსხვავებანი მიგვითითებს იმაზე, რომ საქართველოში აუცილებელია, განხორციელდეს ისეთი რეგიონული პოლიტიკა, რომელიც დაემყარება დიფერენცირებულ მიდგომებს რეგიონების მიმართ, გაითვალისწინებს მათ თავისებურებებსა და კონკრეტულ ამოცანებს“.[71:გვ.518]

რეგიონების განვითარებისათვის ცენტრის მიერ სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერა, სტიმულების სისტემისა და დამოუკიდებელი განვითარებისათვის პირობების შექმნა, დასაბეგრი ბაზის განმტკიცება და გაფართოება მეტად მნიშვნელოვანია.

სუსტად განვითარებული რეგიონებისათვის აქტიურ ეკონომიკურ პოლიტიკაში იგულისხმება:

- რეგიონების ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამებში ცენტრის მონაწილეობა;
- ინვესტიციების მოზიდვისათვის პირობების ჩამოყალიბება;
- დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის პროგრამების განხორციელება;
- მოსახლეობის ცხოვრების სოციალური სტანდარტების უზრუნველყოფისათვის ფინანსური დახმარების გაწევა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიხედვით რეგიონების დონეების გამოთანაბრების პრობლემა უახლოეს დროში არ გადაწყდება. ამის გამო, დღეს პრიორიტეტული ამოცანაა რეგიონთაშორისი სოციალური უთანაბრობის გაძლიერების ტენდენციის დაძლევა და ნაკლებად განვითარებული რეგიონების ჩამორჩენილობის შემცირება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ცხოვრების დონის მიხედვით ჩამორჩენილი რეგიონების წინ წაწევა, "ამოქაჩვა". ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით რეგიონთაშორისი განსხვავების შემცირება კი, სოციალური ამოცანების გადაჭრის მთავარი საშუალებაა. მათი რეალიზაცია ეკონომიკური ზრდით მიიღწევა.

საქართველოში რეგიონების კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას ყურადღება უნდა მიექცეს:

1. რეგიონების აგრარული პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას;
2. სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის მქონე რეგიონებში მრეწველობის განვითარების მხარდაჭერას და მეწარმეობის ადგილობრივი ფაქტორების ამოქმედება-გააქტიურებას;
3. მდიდარი ბუნებრივი რესურსების მქონე რეგიონების სპეციფიკურობის გათვალისწინებას (საკურორტო მეურნეობის), ტურიზმის განვითარებას და სხვა.

რეგიონული სიჭრელისა და სირთულეების თვალსაზრისით, საქართველოს ცოტა ანალოგი თუ მოეძებნება მსოფლიოში. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ "საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების ობიექტური საფუძველია ის მრავალმხრივი ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული თავისებურებანი და განსხვავებანი, რაც ჩვენს რეგიონებს ახასიათებს". [72:გვ.22] აუცილებელია რეგიონული მიდგომები საბიუჯეტო, საგადასახადო, საკრედიტო, ინვესტიციების, მეწარმეობის წახალისების, დასაქმების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ექსპორტ-იმპორტის, რეგიონული და ეროვნული ბაზრების დაცვის სფეროში.

საქართველოს შიდაეროვნული და გეოპოლიტიკური თავისებურებები მოითხოვს, რომ ქვეყანაში უსათუოდ განხორციელდეს აქტიური, დიფერენცირებული და პროტექციონისტული რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, პრიორიტეტული რეგიონული მიდგომები. ეკონომიკაში რეგიონული და დარგობრივი მიდგომები ქვეყნისა და რეგიონების ეკონომი-

კური აღორძინების რეალური გზაა, ასევე, დასაქმების გაზრდის, საერთაშორისო შრომის დანაწილებაში ქვეყნის რაციონალურად ჩართვის ქმედითი ფაქტორი.

რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოვლენა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივ ფინანსურ ურთიერთობათა მართვასა და რეგულირებაზე, სახელმწიფოსა და რეგიონული ინტერესების ოპტიმალურ შეთანაწყობაზე, მოსახლეობის ცალკეულ ფენებს შორის, მათი დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლებაზე, მაღალშემოსავლიანი ინვესტიციების სტიმულირების მექანიზმების შემუშავებასა და რეალიზაციაზე, სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე და სხვ.

რეგიონში ეკონომიკური პოლიტიკის სწორად განსაზღვრისათვის, აუცილებლად გასათვალისწინებელია ისეთი პრობლემაც, როგორიცაა ინტეგრაციული პროცესი, რამდენადაც რეგიონი არ არის რაღაც ჩაკეტილი მეურნეობა, არამედ ის ღია ქვესისტემაა. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ კონკრეტულმა რეგიონმა სხვა რეგიონებთან და ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების გაძლიერებით განახორციელოს ეკონომიკური ზრდა-განვითარება.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია ქვეყნის რეგიონების განვითარება, მათ შორის უთანასწორობის აღმოფხვრა, ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვა, რეგიონების როლის ზრდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

საქართველოში რეფორმის მთავარი მიზანია სუბსიდიარობის პრინციპებზე დაყრდნობით თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გაზრდა, ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვა, თვითმმართველობის როლის გაზრდა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში და თვითმმართველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით.

უზრუნველყოფილი იქნება რეგიონული განვითარების დაგეგმვის პროცესში ახალი მიდგომების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში დარგთაშორისი კომპლექსური კავშირების განვითარებასა და ადგილობრივ პირობებთან მაქსიმალურად მორგებული ეკონომიკური მოდელის შემუშავებას. [73:გვ.32]

3.3 საქართველოს რეგიონული პოლიტიკის პრინციპები

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის კონკურენტუნარიანობისა და ინკლუზიურობის კომპონენტების ხორციშესხმა გრძელვადიან პერსპექტივაში მოითხოვს თანმიმდევრული და მძლავრი რეგიონული პოლიტიკის არსებობას. OECD-ის მიხედვით, ნაკლებად განვითარებული რეგიონების პროდუქტიულობის ზრდა მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს მთელი ქვეყნის პროდუქტიულობის მატებას. ამისათვის საჭიროა კონკრეტული ტერიტორიული პოტენციალისა და შესაბამისი მმართველობის მოდელის სრულფასოვანი გამოყენება ხელისუფლების ყველა დონეზე. ევროკავშირის გამოცდილების გათვალისწინებით იმისათვის, რომ რეგიონულმა პოლიტიკამ ეფექტიანად შეუწყოს ხელი საერთო ეროვნული განვითარების სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

შესაბამისი დაგეგმვისა და განხორციელების პროცესები უნდა დაეყრდნოს სამ ძირითად პრინციპს:

ეროვნული, სექტორული და რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და შესაბამისი სტრატეგიული თუ პროგრამული დაგეგმვის პროცესში, მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ცალკეული რეგიონებისა და ტერიტორიების განვითარების სპეციფიკური საჭიროებები და პოტენციალი. აღნიშნული უნდა მოიცავდეს, როგორც ფუნდამენტურ ტერიტორიულ ანალიზს, ასევე, ტერიტორიული ნიშნის მიხედვით შესაბამისად დასაბუთებულ და დიფერენცირებულ საჯარო ინტერვენციებს.

უმნიშვნელოვანესია, კოორდინაციის გაძლიერება იმ სამთავრობო მიდგომებსა და საინვესტიციო ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც მიმართულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისაკენ. რეგიონული პოლიტიკა უნდა იყოს მჭიდროდ კოორდინირებული დარგობრივ პოლიტიკასთან, ხოლო დარგობრივი პოლიტიკა, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს როგორც ქვეყნის საერთო, ასევე, კონკრეტული რეგიონების ტერიტორიულ საჭიროებებს. ამასთან, აუცილებელია გაძლიერდეს კავშირი იმ საჯარო ინტერვენციებს შორის, რომელიც ხორციელდება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. ამგვარი კოორდინაცია მიზანშეწონილია პოლიტიკის ციკლის ყველა ეტაპზე.

პარტნიორობა და მრავალდონიანი მმართველობა უნდა წარმოადგენდეს რეგიონული განვითარების პოლიტიკის საფუძველს. თავისთავად, აღნიშნული მოითხოვს მმართველობის სხვადასხვა დონეზე პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილე ყველა მხარის შესაძლებლობების გაზრდას, ასევე, ბიზნესის, აკადემიური და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას.

ერთად აღებული ეს 3 პრინციპი წარმოადგენს განვითარების უფრო ფართო, ინტეგრირებული ტერიტორიული მიდგომის ნაწილს, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს რეგიონული განვითარების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარისა და განვითარების პარტნიორის (მათ შორის სხვადასხვა საერთაშორისო, ეროვნული, ადგილობრივი, კერძო და სოციალური მოთამაშის) რესურსების, ცოდნისა და ინტერესების ეფექტიანი გამოყენება. ამასთან, გამართულად ფუნქციონირებადი, მრავალდონიანი მმართველობის სისტემა ეყრდნობა ადგილობრივ ცოდნას, კრეატიულობასა და ინოვაციურობას. როგორც ევროპის კარგად განვითარებული რეგიონების მაგალითები ცხადყოფენ, აღნიშნული წარმოადგენს სწრაფი განვითარების საუკეთესო წინაპირობას.

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესი, რომელიც ეფუძნება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, ხელს უწყობს იმას, რომ რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისას, მხედველობაში იყოს მიღებული საუკეთესო ევროპული გამოცდილება. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა რამდენიმე ჰორიზონტალური საჭიროება, მათ შორის:

რესურსების ფოკუსირების აუცილებლობა ინვესტირების მაქსიმალური ეფექტიანობის ხელშესაწყობად. იმ პირობებში, როდესაც სახეზეა განვითარებისათვის საჭირო რესურსების ნაკლებობა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საჯარო და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევა ქვეყნის განვითარებისათვის.

ჰორიზონტალური პოლიტიკის იმ მიზნების გათვალისწინება, რაც დაკავშირებულია მდგრად განვითარებასთან, გენდერულ თანასწორობასთან და სოციალურ ინკლუზიურობასთან. გარდა ამისა, რეგიონული განვითარების პოლიტიკა ითვალისწინებს ახალ გამოწვევებს, მათ შორის დემოგრაფიულ სიტუაციას და კლიმატურ ცვლილებებს.

აღნიშნული აგრეთვე წარმოადგენს ევროპის რეგიონული და ტერიტორიული პოლიტიკის მნიშვნელოვან მიზანს.[74:გვ.72]

საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიულ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ:

1. ძველი სამრეწველო რეგიონებისა და ქალაქების ეკონომიკის რეკონსტრუქცია, მრეწველობის დარგების აღდგენა–ამუშავებით, ინფრასტუქტურის მოდერნიზაცია, ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღება.

2. აგროსამრეწველო რეგიონების კრიზისული მდგომარეობის დაძლევა, ქართული სოფლის ეკონომიკის აღდგენა, ადგილობრივი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მიტოვებული სასოფლო–სამეურნეო მიწების ათვისება.

3. ექსტრემალური ბუნებრივი პირობების მქონე და უპირატესად სანედლეულო სპეციალიზაციის მიმართულების რეგიონებში სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია, პირობების შექმნა ეროვნულ უმცირესობათა განვითარებისათვის.

4. ტერიტორიულ–საწარმოო და სამრეწველო ობიექტების ფორმირების დაწყება განვითარება არაცენტრალიზებული ინვესტიციების ხარჯზე, არსებული ნედლეულის რესურსების კომპლექსური გამოყენებით, წარმოებების პრიორიტეტული განვითარებით.

5. საექსპორტო მიმართულებისა და იმპორტშემცვლელი წარმოებების განვითარების სტიმულირება. იმ რეგიონში, სადაც ამის განსაკუთრებით კარგი ხელშემწყობი პირობებია: თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირება, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის პროცესის დაჩქარება.

6. სახელმწიფო საზღვრისპირა რეგიონების განვითარებისა და სპეციალიზაციის ცვლილებების პროცესის დაწყება და სამუშაო ადგილების შექმნა.

7. რეგიონთაშორისი და რეგიონულ ინფრასტრუქტურულ სისტემათა განვითარება – ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ინფორმატიკის, რომლებიც უზრუნველყოფენ და ასტიმულირებენ რეგიონული ეკონომიკის ეფექტიანობას.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც, რომლის თანახმადაც, რეგიონული პრობლემები, რომლებსაც გააჩნიათ სტრატეგიული ხასიათი, ხვდებიან საერთო ეროვნული პრიორიტეტების რიცხვში და მათ გადასაწყვეტად ხდება საწარმოების ყველა რეგიონის რესურსების მობილიზაცია, ხოლო ლოკალური ხასიათის მქონე პრობლემები, ძირითადად, რეგიონული რესურსების ბაზაზე– ცენტრალური ხელისუფლების გარკვეული მხარდაჭერის პირობებში წყდება.[75:გვ.245]

თავი 4. ეროვნული მეურნეობის ტერიტორიული (რეგიონული) ორგანიზაციის საფუძვლები და ტერიტორიულ-საწარმოო ფაქტორები

4.1 რეგიონული მართვის თეორიები და ეკონომიკის ტერიტორიულ-საწარმოო ფაქტორები

სამეურნეო ცხოვრებაზე ტერიტორიულ-საწარმოო ფაქტორების მოქმედების გონივრული გათვალისწინებისათვის სახელმწიფოს მეტად ეფექტური რეგიონული პოლიტიკა სჭირდება. მრავალი თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა საბაზრო სტრუქტურების გამყარებაში რეგიონების მზარდი როლის გათვალისწინებით გადაიჭრება.

რეგიონული პოლიტიკა სახელმწიფოებრივი რეგულირების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამის გამო, მის შემუშავებასა და განხორციელებას დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

ამჟამად, რეგიონული განვითარების ისეთი მიმართულება უნდა განისაზღვროს, რომელიც **რეგიონების ინტერესებს ითვალისწინებს და პარალელურად ადგილობრივ ხელისუფლებას აკისრებს პასუხისმგებლობას**. სწორედ ამ თეორიაზე უნდა იყოს ძირითადად დაფუძნებული საქართველოს თანამედროვე რეგიონული პოლიტიკა, თუმცა ქვეყანაში განსაზღვრული როლი პოსტკეინსიანურმა და დაუბალანსებლობის რეგიონული განვითარების თეორიებმაც უნდა ითამაშოს.

მსოფლიოში რეგიონული მართვის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება არსებობს, მაგალითად:

– **პოსტკეინსიანური თეორია,** რომელიც რეგიონთაშორისი განსხვავებების სახელმწიფო რეგულირებას ეყრდნობა. მისი საფუძველია სუსტად განვითარებულ რეგიონებში ინვესტიციების სტიმულირება. რეგიონული პოლიტიკის საბაზრო ინსტრუმენტებიდან სუბსიდიები, საკრედიტო და საგადასახადო შეღავათები გამოიყენება.

– **ნეოკლასიკური** რეგიონული მიდგომა დაფუძნებულია თავისუფალ არარეგულირებად ბაზარზე, რომლის მიხედვითაც ბუნებრივად აღმოიფხვრება უთანასწორობა რეგიონებს შორის და შესაბამისად, არ იზღუდება საბაზრო მექანიზმების თავისუფალი მოქმედება.

– **დაუბალანსებელი** განვითარების თეორია არსებითად განსხვავდება ნეოკლასიკური მიმართულებისაგან. ამ თეორიის თანახმად, ბაზარი სახელმწიფო რეგულირების გარეშე, საბაზრო მექანიზმების ციკლურობის ძალით ზრდის რეგიონულ განსხვავებებს, რეგიონების ერთი ნაწილის სწრაფი, ხოლო მეორე ნაწილის შედარებით ნელი განვითარების ტენდენციების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ეკონომიკის სივრცობრივი ასპექტების კვლევაში უდიდესი წვლილი შეიტანა ა. ლიოშმა, რომელმაც წიგნში „მეურნეობის გეოგრაფიული განლაგება“, [59] განაზოგადა წარმოების განლაგებისა და მოსახლეობის განსახლების მანამდე არსებული თეორიები და მათი განზოგადების საფუძველზე წამოაყენა რაიონების ოპტიმალური კონფიგურაციის იდეა და ტერიტორიული დარაიონების აბსტრაქტული მოდელი. საბაზრო ზონებს იგი განიხილავდა, როგორც სხვადასხვა ეკონომიკური ძალების ბრძოლის შედეგს: ზოგიერთი მათგანი (ეკონომიკური ძალა) ხელს უწყობს საბაზრო ზონების კონცენტრაციას, ხოლო

ზოგიერთი კი პირიქით – დაქსაქსვას. დასახელებული „ეკონომიკური ძალებიდან“ პირველის ქვეშ იგი გულისხმობს მასობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოებაზე სპეციალიზებულ „ეკონომიკურ ძალებს“. ხოლო მეორეში კი – უნივერსალიზაციასა და სატრანსპორტო დანახარჯების შემცირებაზე ორიენტირებულ „ეკონომიკურ ძალებს“.

საბოლოო ჯამში, ა. ლიოში გამოყოფს ეკონომიკური რაიონების სამ ძირითად ტიპს:

1. ჩვეულებრივი საბაზრო ზონები;
2. რაიონების ქსელი ანუ ერთი და იგივე პროდუქციის რეალიზაციის ყველა ზონის ერთობლიობა;
3. რაიონების სისტემა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ა. ლიოშმა შემოგვთავაზა ეკონომიკური ლანდშაფტების პრინციპულად ახალი კონცეფცია.

განლაგების თეორია შემდგომში განვრცობილი იქნა ვ. კრისტალერის მიერ, რომელმაც ნაშრომში „სამხრეთ გერმანიის ცენტრალური ადგილები“, პირველად გააანალიზა დასახელებული პუნქტების ფორმირების სისტემა საბაზრო ურთიერთობათა პირობებში. მან ამ თეორიით ახსნა ის, თუ ერთი სახის პროდუქცია და მომსახურება რატომ უნდა იწარმოებოდეს (მიეწოდებოდეს) ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში (აქ იგულისხმებოდა პირველადი მოთხოვნილების პროდუქცია და მომსახურება), ხოლო სხვა სახის პროდუქცია და მომსახურება (მაგალითად ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვ.) უნდა იწარმოებოდეს საშუალო სიდიდის დასახლებულ ადგილებში და მესამე, ფუფუნების საგნები, თეატრები, მუზეუმები და სხვ. უნდა რეალიზდებოდეს და არსებობდეს მხოლოდ დიდ ქალაქებში.[60:გვ.65]

სივრცობრივი ეკონომიკის კლასიკური სკოლის წარმომადგენლების ზემოთ ჩამოთვლილი და განხილული თეორიების განზოგადებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ მიერ გამოიკვეთა რეგიონული მეცნიერების შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1. **ლოკაციური**, რომელიც აყენებს წარმოების განლაგებისათვის ყველაზე ხელსაყრელი (ოპტიმალური) ადგილის მოძებნის ამოცანას:

2. **რეგიონული**, რომელიც მიისწრაფის მეურნეობის ამა თუ იმ ცენტრისა და მთლიანობაში რეგიონის სტრუქტურის და მოცულობის ოპტიმიზაციის მიღწევაზე:

3. **კომპლექსური**, რომელიც პირველ ორ მიმართულებას აერთიანებს ერთ თეორიაში და ერთ მეთოდში.[61:გვ.40]

რეგიონული პრობლემების მკვლევარმა შვედმა მეცნიერებმა ე. ხეკშერმა და ბ. ოლინმა განავრცეს საერთაშორისო (რეგიონთაშორისი) შრომის დანაწილების თეორია, დაამკვიდრეს რა პრაქტიკაში წარმოების ურთიერთდამოკიდებული ფაქტორების (შრომა, კაპიტალი, მიწა და სხვ.) ანალიზი. მათი ძირითადი თეორიული მოდელის არსი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. ქვეყნებმა (რეგიონებმა) ექსპორტში უნდა გაიტანონ ინტენსიური მოხმარების ჭარბი პროდუქცია, ხოლო უნდა შემოიტანონ ინტენსიური მოხმარების დეფიციტური პროდუქცია;

2. საერთაშორისო (რეგიონთაშორის) ვაჭრობაში შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში გარდაუვალია „ფასების“ გამოთანაბრების ტენდენცია;

3. ამა თუ იმ პროდუქციის „გატანისა“ და „შემოტანის“ მოცულობა, თავისებურებები შეიძლება შეიცვალოს წარმოების ფაქტორების განლაგების ცვალებადობის კვალობაზე.

ძირითადი დასკვნა, რომელიც ე. ხეკშერისა და ბ. ოლინის დებულების გაანალიზებისა და განზოგადების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ისაა, რომ ჩამორჩენილი და განვითარებადი ქვეყნები (რეგიონები), რომლებიც, როგორც წესი, ჭარბი შრომითი რესურსების არსებობის პირობებში, კაპიტალის ძლიერ დეფიციტს განიცდიან, ორიენტირებული უნდა იყვნენ შრომატევადი პროდუქციის წარმოებაზე. ხოლო განვითარებული ქვეყნები (რეგიონები), რომელთაც გააჩნიათ დიდი მოცულობის ფუნქციონირებადი კაპიტალი (მათ შორის, სამეცნიერო-ტექნიკური) უნდა ესწრაფოდნენ კაპიტალტევადი პროდუქციის გატანას. ქვეყნები (რეგიონები), რომელთაც გააჩნიათ დიდი მოცულობის სასოფლო-სამეურნეო მიწები და მოსახლეობის სიმჭიდროვე ამ ტერიტორიებზე დაბალია, დაინტერესებულნი არიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანით. [62:გვ.60]

როგორც გამოცდილება ადასტურებს, მსოფლიოში თანამედროვე პირობებში შეიძლება ითქვას, არ არსებობს რეგიონული განვითარების რომელიმე, დომინირებადი მოდელი. უფრო მეტიც, ამ მიმართულებით ქვეყნებში წარმოებულ პოლიტიკას შორის უფრო მეტი განსხვავებები შეინიშნება, ვიდრე ვთქვათ, მონეტარული პოლიტიკის ასპექტში. აღნიშნულის მიზეზი კი ძირითადად ის ფაქტორია, რომ ნებისმიერი ქვეყნისათვის დამახასიათებელია რეგიონული მრავალფეროვნება. ამდენად, ამა თუ იმ ქვეყანაში რეგიონული განვითარების რეგულირებისა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხელისუფლება ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს რეგიონული თავისებურებები, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ბუნებრივ-გეოგრაფიული, ასევე ისტორიული და სხვა ასპექტების თვალსაზრისით. [63]

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის შრომებში აღნიშნულია, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში რეგიონული პოლიტიკის ობიექტს სხვადასხვა სახისა და ხასიათის რეგიონული უთანასწორობა, ცხოვრების დონესა და პირობებში, დასაქმებასა და უმუშევრობაში, ცალკეული რეგიონების განვითარების ტემპებში, მეწარმეობის პირობებში და ა. შ. განსხვავება შეადგენს. რეგიონული პოლიტიკის მიზანია იმ უთანასწორობების მინიმუმამდე დაყვანა, რომლებიც სოციალური კონფლიქტების აღმოცენებისათვის ქმნიან ნიადაგს, ქვეყნისა და მისი ცალკეული ნაწილების, ქვეყნების ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უშლიან ხელს.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მისი მთავარი შემადგენელი ნაწილების ცვლილების ტენდენციებით განისაზღვრება, კერძოდ:

- ბუნებრივი და შრომითი რესურსებით;
- ტექნიკური პროგრესით;
- წარმოების მასშტაბებითა და სტრუქტურით;
- შრომის საზოგადოებრივი (მათ შორის ტერიტორიული) ორგანიზაციით;
- ტერიტორიის ისტორიული განვითარების თავისებურებით.

ერთობლიობაში ისინი **ტერიტორიულ-საწარმოო ფაქტორებს** შეადგენენ და ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებად იყოფა.

ტერიტორიულ-საწარმოო ფაქტორები შესაბამისად ჯგუფდება და მნიშვნელობის მიხედვით ფასდება. არსებობს შემდეგი სახის ტერიტორიულ-საწარმოო ფაქტორები:

- ბუნებრივი;
- ეკონომიკური;
- დემოგრაფიული;
- სოციალური და სხვ.

პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია და მრავალწყობიანი ეკონომიკის ფორმირება აღნიშნული ფაქტორების შემადგენლობასა და როლის თანაფარდობაზე არსებითად მოქმედებს.

ტერიტორიულ-სივრცობრივი ფაქტორების ეკონომიკური შინაარსი კი სატრანსპორტო, მატერიალურ და შრომით ხარჯებს მეტად მჭიდროდ უკავშირდება და სამეურნეო საქმიანობის მოგებასა და ეფექტიანობაზე მოქმედებს.

ტერიტორიულ-სივრცობრივი ფაქტორები რამდენიმე ჯგუფად იყოფა, კერძოდ:

- **ბუნებრივი** (ენერგეტიკული, მინერალურ-სანედლეულო, ბიოლოგიური, წყლის), **კლიმატური,** სხვა რესურსები და მათი ლოკალიზაციის, მოპოვებისა და გამოყენების პირობები;
- **ეკოლოგიური რესურსები** ბუნებრივი რესურსების დამზოგველ გამოყენებასა და მოსახლეობისათვის ცხოვრების ნორმალურ პირობებს უზრუნველყოფენ;
- **ტექნიკური რესურსები** ტექნიკისა და ტექნოლოგიის მიღწეულ დონეს ახასიათებენ;
- **სოციალურ-დემოგრაფიული რესურსები** შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის, სოციალური ინფრასტრუქტურის დონეს და სოციალურ კლიმატს ასახავენ;
- **ტექნიკურ-ეკონომიკური რესურსები** მოიცავს პროდუქციის შრომატევადობას, მასალატევადობას, ენერგოტევადობას და სხვ.;
- **ეკონომიკური ფაქტორები** ეკონომიკურ-გეოგრაფიულ და სატრანსპორტო მდგომარეობას, წარმოების ეფექტიანობას, პროდუქციის ხარისხს, ტერიტორიულ-ეკონომიკურ და საერთაშორისო კავშირებს და სხვ. ახასიათებენ;
- **გეოპოლიტიკური ფაქტორები** ეკონომიკური მიზიდულობის ეროვნული და მსოფლიო ცენტრებიდან დაშორებულობის ხარისხს ასახავენ.

სუბიექტურ ტერიტორიულ-სივრცობრივ ფაქტორებს მიეკუთვნება: თვისებრივი დონე, კულტურული საქმიანობისა და რეკრეაციული მომსახურების ინტენსივობა, შემოქმედებითი კლიმატი, ადამიანების ადგილისადმი შეგუება.

ზემოაღნიშნულ ფაქტორებზე ქვეყნისა და თავისი რეგიონების დამოკიდებულება სრულიად ნათელია. ამის გამო, ეკონომიკური პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციისას,

ტერიტორიული შემადგენლის გათვალისწინება ეკონომიკის რეგულირებისა და სახელმწიფოებრივი მართვის სისტემის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ელემენტია.[64:გვ.81-91]

4.2. ეროვნული მეურნეობის ტერიტორიული ორგანიზაციის საფუძვლები

ეკონომიკის ტერიტორიული სტრუქტურა არის ქვეყნის სისტემის სივრცობრივ წარმონაქმნებად ანუ ტაქსონებად (ზონებად) დაყოფა.

ტაქსონები არის ზონები, სხვადასხვა დონის რაიონები, სამრეწველო ცენტრები და კვანძები.

ტერიტორიული სტრუქტურის ძირითადი ელემენტები უფრო მყარი და ნაკლებად მობილურია. ამის გამო, მისი სტრუქტურა, დარგობრივ სტრუქტურასთან შედარებით, გაცილებით ნელა იცვლება.

ტერიტორიული სტრუქტურა არის მეურნეობის ძირითადი სივრცობრივი ორგანიზაცია. ტერიტორიული ერთეული სამეურნეო, კვლავწარმოებით და სოციალურ ფუნქციას ასრულებს. მის ეკონომიკურ სტატუსს სხვადასხვა ფაქტორი, ფუნქციების შესრულებისა და რესურსების შერწყმის თავისებურებები განაპირობებენ.

სტატუსი შრომის ტერიტორიული დანაწილების სისტემაში ტერიტორიული ერთეულის ჩართვის დონეა და ხარისხს ასახავს.

ეკონომიკის ტერიტორიული სტრუქტურა მოსახლეობის სივრცობრივ განაწილებას, ეროვნულ სიმდიდრეს, წარმოებას, მოხმარების მოცულობას, შემოსავლებს და ა.შ. გამოხატავს.

საქართველოს ეკონომიკის ტერიტორიული სტრუქტურის საერთო ნიშანია ქვეყნის ტაქსონომეტრული პარამეტრების მიხედვით ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების არათანაბარი განაწილება.

მეურნეობის განვითარების ტერიტორიულ-ეკონომიკური პროპორციების ანალიზისა და სინთეზის მიზნით მსხვილ ეკონომიკურ ზონებს გამოყოფენ.

ეკონომიკური ზონები არის მსხვილი ტერიტორიული წარმონაქმნები, რომლებსაც საწარმოო ძალების განვითარებისათვის დამახასიათებელი ერთნაირი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები აქვთ.

ეკონომიკური ზონების გამოყოფის მთავარი პრინციპებია ტერიტორიის სამეურნეო ათვისების დონე და უმნიშვნელოვანეს რესურსებსა და მათი გამოყენების დონეს შორის თანაფარდობა.

ქვეყნის ტერიტორიას ეკონომიკური რაიონების მიხედვით ყოფენ.

ეკონომიკური რაიონები შედარებით ერთგვაროვანი ბუნებრივი რესურსებისა და პირობების მქონე ტერიტორიებია, რომლებსაც საწარმოო ძალების განვითარების დამახასიათებელი მიმართულება, ჩამოყალიბებული მატერიალური ბაზა, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა აქვთ.

ეკონომიკური რაიონები ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებაში ქვეყნის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გარკვეულ ფუნქციებს ასრულებდნენ.

ეკონომიკური რაიონების შიგნით ეკონომიკური აგლომერაციები ყალიბდება.

ეკონომიკური აგლომერაციები ტერიტორიულ-ეკონომიკური წარმონაქმნებია, რომლებსაც მეურნეობის სხვადასხვა დარგების ფირმების, ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ტერიტორიული კონცენტრაციის მაღალი დონე და მოსახლეობის სიმჭიდროვე ახასიათებს.

ეკონომიკურ აგლომერაციებს, ხშირად, სამრეწველო ზონებისა და სამრეწველო აგლომერაციების სახე აქვთ.

მცირე ტერიტორიაზე კომპაქტურად განლაგებული საწარმოთა ჯგუფები სამრეწველო კვანძს ქმნიან.

ეკონომიკის ტერიტორიული სტრუქტურა არა მარტო წარმოების ტერიტორიულ-სივრცობრივ განთავსებას, არამედ ტერიტორიულ-სამეურნეო სისტემებს შორის ეკონომიკური ურთიერთკავშირების ერთობლიობასაც ასახავს.[65]

საქართველოსათვის ძირითადი საწარმოო ტერიტორიულ-სტრუქტურული ელემენტები რეგიონებია. რეგიონებს ეკონომიკური ზრდის განსხვავებული ტემპები ახასიათებთ. ამის გამო, ეკონომიკის ტერიტორიული განვითარების პრობლემები არა მარტო სტრუქტურული, არამედ დინამიურიცაა. განსხვავებას კი ეკონომიკური რესურსების, განსაკუთრებით, შრომითი რესურსების განაწილების ტერიტორიული თავისებურება, კაპდაბანდებების გეოგრაფიის ცვლილება და ეკონომიკურ სტრუქტურაზე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის დიფერენცირებული გავლენა განაპირობებს.[66:გვ.152]

სტრუქტურული გარდაქმნების დინამიკა და ვექტორი რეგიონული და რეგიონთაშორისი პროპორციების ცვლილებაზეც ახდენს გავლენას. საზოგადოებრივი სისტემის გარდაქმნების პირობებში ქვეყნის ტერიტორიულ სტრუქტურაშიც მიმდინარეობს ცვლილებები. ტერიტორიული სტრუქტურის საბაზისო მახასიათებლები (ჰიპერკონცენტრაცია, გიგანტიზმი, რეგიონებისა და ცენტრების ჰიპერსპეციალიზაცია და სხვ.), უცვლელი დარჩა, მაგრამ ამ კომპონენტების მასშტაბურობა არსებითად შეიცვალა. დღეს რეგიონები საბაზრო გარდაქმნების მასშტაბებისა და ტემპების მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

საბაზრო ეკონომიკა წარმოების, შრომის, ცხოვრების უზრუნველყოფის ეკონომიკური პირობების დინამიურობას განაპირობებს. ეს კი რეგიონულ და რეგიონთაშორისი სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისპროპორციებს იწვევს. რეგიონულ პრობლემებს სხვადასხვა სფეროში საბაზრო გარდაქმნების უთანაბრობაც ამწვავებს.

საზოგადოების გარდაქმნის რთული და წინააღმდეგობრივი პროცესები რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ დინამიკაზე არაერთმნიშვნელოვნად მოქმედებს. მრავალი რეგიონისათვის საერთო ტენდენციაა მოსახლეობის რაოდენობისა და შობადობის შემცირება, სიკვდილიანობის ზრდა, იცვლება მშპ-ს ტერიტორიული სტრუქტურაც.

მეტად რთული სიტუაცია ჩამოყალიბდა ინვესტიციებთან დაკავშირებით. საინვესტიციო პროცესების დინამიკა საქმიანი აქტიურობის შემცირებით ხასიათდება. ბოლო ოთხი წელია საქართველოს ცალკეულ რეგიონში საინვესტიციო კლიმატი შედარებით გაუმჯობესდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით

ათასი აშშ დოლარი

რეგიონი	2016	2017	2018	2019*
ხულ	1 650 327,5	1 962 613,5	1 265 236,1	1 267 724,4
მათ შორის:				
ქ. თბილისი	1 415 376,3	1 514 709,8	1 033 290,7	820 168,9
აჭარა	108 433,9	209 642,1	75 551,3	207 031,2
კახეთი	3 421,7	12 113,9	-9 785,3	6 016,5
სამცხე-ჯავახეთი	30 812,9	38 856,5	44 795,7	62 942,8
ქვემო ქართლი	29 129,9	64 701,7	87 028,1	64 658,9
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	34 700,8	55 912,5	-10 530,8	77 060,3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	34 147,0	54 828,0	-10 828,9	74 436,1
გურია	553,8	1 084,5	298,1	2 622,1
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	25 408,1	59 852,7	26 763,1	18 085,4
იმერეთი	25 347,0	57 358,6	26 269,6	14 821,8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	61,1	2 494,1	493,5	3 263,6
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	3 044,0	6 824,4	18 123,2	11 762,8
შიდა ქართლი	4 542,1	1 087,8	15 240,0	440,6
მცხეთა-მთიანეთი	-1 498,1	5 736,6	2 883,3	11 322,0

წინასწარი მონაცემები.

წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმე
2. საქართველოს ერovნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოების რეგიონული პოლიტიკის მეტად მნიშვნელოვანი მიმართულება, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის განსხვავების შემცირებაა. რეგიონების უთანაბრო განვითარებას ტერიტორიის გეოგრაფიული პირობები, ბუნებრივი და შრომითი რესურსების დონე, ეკონომიკური და სოციალური პოტენციალი განაპირობებს.

რეგიონული ეკონომიკის განვითარების სამეცნიერო კონცეფციების შინაარსმა პერსპექტიული პერიოდისათვის უნდა განსაზღვროს:

1. ეკონომიკის განვითარების ტერიტორიული ეკონომიკური პროპორციების სრულყოფა რეგიონების მიხედვით. საზოგადოებრივი შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში ამა თუ იმ რეგიონის ეკონომიკური როლის განსაზღვრა.

2. რეგიონების მიხედვით მოსახლეობის განაწილებისა და წარმოების განლაგების თანაფარდობას შორის საუკეთესო ვარიანტების შერჩევა.

3. გამოვლენილი და პოტენციური ბუნებრივი რესურსების თანამედროვე და პერსპექტიული ბუნებრივ–ტექნიკური და ეკონომიკური შეფასება, რასაც შეუძლია უშუალო ზეგავლენა მოახდინოს მეურნეობის რაციონალურ ფორმირებაზე.

4. ახალი სოციალურ–ეკონომიკური და მეცნიერულ–ტექნიკური ფაქტორების გამოვლენა, რომლებსაც შეუძლიათ განსაზღვრონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის თანამედროვე და მომავალი განლაგება.

5. რაციონალური საწარმოო სპეციალიზაციის, სამეურნეო კომპლექსების ფორმირების, რეგიონებში ინფრასტრუქტურის მეცნიერული ვარიანტების დამუშავება, რამაც უნდა განსაზღვროს მეურნეობის ტერიტორიული სტრუქტურის პროპორციულობა და მათი ეკონომიკური განვითარების დონეების შემდგომი გათანაბრება.

6. მსხვილი სამეურნეო კომპლექსების შექმნისა და განვითარების ყველაზე უფრო პროგრესული ვარიანტების გამოვლენა ახალი სამეურნეო ათვისების ტერიტორიებზე.

7. სისტემაში „ადამიანი – მეურნეობა – ბუნება „მეცნიერულად დასაბუთებულ შეფარდებათა ძიება, რაც განსაზღვრავს რეგიონებში ბუნებრივი გარემოს რაციონალურ ორგანიზაციას.

8. საწარმოო ძალების განლაგების ეფექტიანობის გაანგარიშების ახალი მეთოდების შემუშავება, რეგიონების ეკონომიკის განვითარების უფრო სრულყოფილი ეკონომიკურ–მათემატიკური მოდელების ძიება.

საქართველოში უნდა განხორციელდეს აქტიური, დიფერენცირებული და პროტექციონისტული რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა.

თავი 5. რეგიონული მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბრენდინგი

5.1 ტერიტორიული განვითარების მართვა

ტერიტორიის განვითარების მართვა ხორციელდება მოქმედებათა და ღონისძიებათა ფართო სპექტრის გამოყენებით, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივი ადმინისტრაცია ეკონომიკის განვითარების სტიმულირებას ახდენს და ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს ეკონომიკური საქმიანობის იმ სახეებისთვის, რომელითაც ადგილობრივი საზოგადოებაა დაინტერესებული.

განვითარება – ესაა მოძრაობა წინ. ახალი მიზნების ფორმირება, ახალი სისტემების ჩამოყალიბება; განვითარება გულისხმობს ზრდას, გაფართოებას, გაუმჯობესებას, სრულყოფას.

განვითარებას ყოველთვის გააჩნია მიმართულება, რომელიც განისაზღვრება მიზნით და მიზანთა სისტემით, თუ ეს მიმართულება პოზიტიურია, სოციალურად სასარგებლოა, მაშინ საუბრობენ საზოგადოებრივ პროგრესზე; თუ ის ნეგატიურია, მაშინ ესაა რეგრესი ანუ დეგრადაცია.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ინტეგრალური მიზანია მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება და ამ პროცესს სამი შემადგენელი გააჩნია:

პირველი, შემოსავლების ამაღლება, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამაღლება და მისი განათლების დონის გაზრდა; მეორე, იმგვარი პირობების შექმნა, რაც ხელს უწყობს ადამიანების ღირსების შეგრძნების ზრდას სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური სისტემების ფორმირების მეშვეობით; მესამე, ადამიანის პირადი თავისუფლების ხარისხის ზრდა, მათ შორის, ეკონომიკური თავისუფლების გაზრდა.

ტერიტორიული განვითარების მართვა, ესაა საგანგებოდ ორგანიზებული სისტემური მოქმედება, რომელიც მიმართულია სოციალური, სამეურნეო და ბუნებრივი პოტენციალის მდგრადი და ბალანსირებული კვლევწარმოებისკენ.

ტერიტორიული განვითარების უმნიშვნელოვანესი ნიშნებია:

–მდგრადობა – ტერიტორიის პოტენციალის კვლავწარმოების ხანგრძლივად შენარჩუნება;

–ტერიტორიული განვითარების ბალანსირება – თითოეული რეგიონული სისტემისთვის მისი ძირითადი პოტენციალის გარკვეული პროპორციების დაცვა;

რეგიონებს (ტერიტორიებს) სხვადასხვა ისტორიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური, ეროვნულ-დემოგრაფიული და პოლიტიკური მიზეზების ზემოქმედებით, განვითარების სხვადასხვა დონე გააჩნიათ.

განვითარების დონეების მიხედვით მათი დაყოფა ხდება: მაღალგანვითარებულებად, ჩამორჩენილებად და ახალი ათვისების რეგიონებად.

განვითარების ტემპებით გამოირჩევიან:

- დინამიურად განვითარებული;
- ინერციულად განვითარებული;

- სტაგნაციური (განვითარების ტემპი 0 და დაბლა);
- დეპრესიული (წარმოების ტემპების მკვეთრი და ხანგრძლივი შემცირებით);

ეფექტური მართვის მიზანია რეგიონული განვითარების უზრუნველყოფისათვის ქმედითი ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმების განსაზღვრა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება. თანამედროვე რეგიონული მართვის ოპტიმიზებული ინსტიტუციური სტრუქტურების, სამართლებრივი მექანიზმების განსაზღვრა და ამ პროცესის კონსოლიდირება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის განსახორციელებლად.

სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, ეფექტიანი რეგიონული მართვა განიხილება, როგორც რეგიონულ დონეზე კოორდინირებული ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების ინდივიდუალური და ერთობლივი ძალისხმევა, რომელიც უზრუნველყოფს ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებების ეფექტიან განხორციელებას და მოსახლეობისათვის ხარისხიანი მომსახურების გაწევას.

რეგიონული განვითარებისა და ეფექტიანი მართვისათვის მნიშვნელოვანია:

- კადრების ეფექტიანი მართვა და ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა.
- ელექტრონული მმართველობის სისტემის დანერგვა.
- ელექტრონული მმართველობის საინფორმაციო ბაზების პროექტირება.

ელექტრონული მმართველობის სისტემა და საინფორმაციო ბაზების ფორმირება უზრუნველყოფს მთავრობასა და საზოგადოებას შორის ეფექტური ურთიერთობის სხვადასხვა ფორმის რეალიზებას, ხელს შეუწყობს მოქალაქეებს და ბიზნესწრეებს, აქტიურად გამოიყენონ ინფორმაციული რესურსები. გარდა ამისა, ელექტრონული მმართველობის სისტემა ხელს შეუწყობს შიდა ინსტიტუციური და ინსტიტუციათაშორისი მართვის გამარტივებას, საერთაშორისო პარტნიორების მოძიებას და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას. როგორც ვხედავთ, რეგიონული განვითარებისა და რეგიონული მართვის პროცესი ეფუძნება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების, მეწარმეების და მოქალაქეების თანამშრომლობას.

ცხადია, მოქალაქეთა მონაწილეობა რეგიონული განვითარების პროცესში უზრუნველყოფს რეგიონული მართვის მეტ გამჭვირვალობას, გახსნილობას, სამოქალაქო თანხმობის მიღწევას და რეგიონული მართვის ეფექტიანობის ამაღლებას.

რეგიონის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისა და შემუშავების პროცესში მოსახლეობის ჩართვა წარმოადგენს მათი რეგიონული განვითარების პროცესის საიმედო პარტნიორებად გადაქცევის საფუძველს.

ამასთან, მოსახლეობის ჩართვა და მასთან თანამშრომლობა იმავდროულად საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ზრუნვაში მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას უწყობს ხელს. იზრდება როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა და ხელისუფლებისადმი ნდობა, ისე

მოქალაქეთა პასუხისმგებლობა და ზრუნვა საკუთარ გარემოზე. ყოველივე აღნიშნული ხელს შეუწყობს ეფექტიან მართვასა და რეგიონულ განვითარებას.


რეგიონული განვითარების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანური რესურსების, მისი ინტელექტუალური პოტენციალის არსებობას, რაც დღეს მეტად აქტუალურ საკითხად ითვლება. აქედან გამომდინარე, შემუშავებულ უნდა იქნეს ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგია, სადაც განსაზღვრული იქნება ძირითადი პრიორიტეტები ადამიანური რესურსების მიმართულებით. ასეთ პრიორიტეტებად მოიაზრება მოხელეთა აღჭურვა კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ეფექტიანი ინსტრუმენტების (ცოდნა, უნარ-ჩვევები, მეთოდოლოგია და ა.შ.) საჭიროებათა გათვალისწინებით. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება და შესაბამისი ფინანსური სახსრების მობილიზება.

ამ მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს ადამიანური რესურსების მომზადება, რომელთა მონაწილეობით შესაძლებელი იქნება რეგიონის განვითარების სტრატეგიების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სტრატეგიებისა და პროგრამების ეფექტიანი შემუშავება და განხორციელება.

უნდა შემუშავდეს ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა სწავლების სახელმწიფო კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალურ საჯარო მოსამსახურეთა სწავლების სისტემის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს, სწავლების სახეებსა და ფორმებს, სწავლების სისტემის მაკოორდინირებელ რგოლებს, სწავლების კრიტერიუმებსა და მათ შესაბამისობას მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე სწავლების საჭიროებებთან.[33:გვ.23]

5.2 ტერიტორიული განვითარების მართვის მიზნები და ამოცანები

რეგიონების ფუნქციონირება და განვითარება განპირობებულია სამი არსებითი გარემოებით. პირველი ჯგუფი-ბუნებრივი (ბუნებრივი რესურსების არსებობა, ეკონომიკური სტრუქტურის მემკვიდრებითობა, ადამიანური და სოციალური კაპიტალის არსებობა); მეორე – ინსტიტუციონალური – საკუთრების კონცენტრაცია რეგიონის ტერიტორიაზე, დამოკიდებულება რეგიონულ ადმინისტრაციასა და ბიზნესს შორის, რეგიონში სოციალურად აქტიური ჯგუფების არსებობა და სხვ.); მესამე – ცენტრის მხრიდან სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება გამოიხატება რეგიონული პოლიტიკის თავისებურებაში.



თანამედროვე ტერიტორიული (ქვეყნის) განვითარების მოდელი არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება:

– სახელმწიფო მმართველობაში ტერიტორიის გამოყენების საკითხებზე შეუთანხმებლობა;

– ტერიტორიის გამოყენების გეგმაზომიერი მიდგომის არარსებობა;

– რეგიონთაშორისი კოოპერაციის არასაკმარისი ხარისხით განვითარება;

– ქვეყნის სუბიექტებს ან მხარეებს შორის არსებული დისპროპორცია;

– სახელმწიფო რეგულირების მიმართ კომპლექსური მიდგომების არარსებობა;

თანამედროვე ეტაპზე ცალკეულმა სახელმწიფოებმა უკვე შეიმუშავეს მსგავსი ხარვეზების აღმოფხვრის ეფექტური მექანიზმი:

– ტერიტორიული მოწყობის იმგვარი მექანიზმის შექმნა, რომელიც პასუხობს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გამოწვევებს;

– სტრუქტურული გარდაქმნები რეგიონებში;

– ინოვაციებზე ორიენტირებული შიდა რეგიონული განვითარება;

– სამეცნიერო-სამრეწველო პოტენციალის მქონე ქალაქებისა და რაიონების სტიმულირებული განვითარება – სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ახალი ცენტრების შესაქმნელად;

– თითოეული ქალაქისა და რეგიონის კონკურენციული უპირატესობის გამოვლინება;

– რეგიონთაშორისი ინფრასტრუქტურის სისტემების ეფექტური მშენებლობა (ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ინფორმატიზაცია);

– ქვეყნის რეგიონების საგარეო პოლიტიკური მხარდაჭერა;

– მოსახლეობის ეროვნულ-კულტურული განვითარება;

– კულტურული თანამშრომლობის და ჰუმანიტარული კავშირების გაღრმავება რეგიონულ დონეზე.

სწორად უნდა განისაზღვროს:

- სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის და რეგიონული განვითარების მიზნები და ამოცანები;
- რეგიონული განვითარების სახელმწიფო მართვის პრინციპების დაცვა;
- რეგიონული პოლიტიკის მეთოდების, ფორმებისა და მექანიზმების განსაზღვრა;
- რეგიონის ტიპოლოგია. რეგიონების ტიპების გამოყოფის კრიტერიუმების დადგენა;
- შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადება და სისტემური განახლება;
- რეგიონული განვითარების სახელმწიფო მექანიზმების სრულყოფა;
- მონიტორინგი;

5.3.ტერიტორიული მეურნეობის მართვის სტრუქტურის ფორმირება

კლასიკური გაგებით, მართვა განიმარტება, როგორც ადამიანებზე განხორციელებული მიზანმიმართული ზემოქმედება გარკვეული მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი პირობების შექმნით, ეფექტური, ჯგუფური საქმიანობის განსახორციელებლად და სასურველი შედეგის მისაღწევად.

დღესდღეობით, მართვის ობიექტიდან გამომდინარე, მკვლევრები გამოყოფენ მმართველობის განსხვავებულ სახეებს: შიდასაფირმო, კორპორატიულს, დარგობრივს, დარგთაშორის, მუნიციპალურს, რეგიონულს, სახელმწიფოებრივს.

მართვის არსი ვლინდება: ა) მართვის ობიექტის განვითარების მიზნების ფორმირებაში; ბ) გარკვეული ღონისძიებების დაგეგმვის სისტემაში; გ) მართვის ობიექტის ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნაში, რომლის დროსაც ამოქმედდება ეფექტური მუშაობის ყველა მოტივაცია; დ) მართვადი ობიექტის საქმიანობის კონტროლის მექანიზმის შექმნაში.

მმართველობითი საქმიანობა არის სუბიექტის მიზანმიმართული და განპირობებული ზემოქმედება ობიექტზე.

მარ◌ის, როგორც პროცესის საფუძველში ჩადებულია წინააღმდეგობა ადამიანთა ინტერესებსა და მოტივაციებს შორის, რომელიც თავს იჩენს მათი ურთიერთმოქმედებისას სხვა ადამიანებთან და სხვადასხვა მიმართულებით.

მართვა ყოველთვის მიზანმიმართულია და გარკვეული შედეგის მიღწევაზეა ორიენტირებული. მართვის მიზანი ყოველთვის განისაზღვრება თავად ადამიანების საქმიანობის ხასიათით. განვითარების მართვის საბოლოო მიზანი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფის კეთილდღეობაა.

ტერიტორიის განვითარების მართვა გულისხმობს იმგვარ მახასიათებლებს, როგორიც მართვის ობიექტი და მიზანია. ამგვარად, ტერიტორიული მეურნეობის მართვა არის ხელისუფლების ორგანოების მიზანმიმართული ზემოქმედების პროცესი სამეურნეო და საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაზე, ტერიტორიაზე არსებული რესურსების გამოყენებით — მოსახლეობის საზოგადოებრივი და ეკონომიკური კეთილდეობის მდგრადი განვითარების მიზნით.

მართვის ობიექტი. ტერიტორიის განვითარების გეგმების რეალიზაციის კონტექსტში იგულისხმება სამეურნეო სუბიექტების და მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის ერთობლიობა. სამეურნეო საქმიანობაში ჩართული სუბიექტების ინტერესებს და მოტივაციებს თავისი საზღვრები გააჩნია.

ტერიტორიის განვითარების მართვის ობიექტში მოიაზრება ადამიანების და ადამიანთა ორგანიზებული ჯგუფების ურთიერთობათა მთლიანობა, რომელიც ალმოცენებულია მოცემული ტერიტორიის რესურსების სხვადასხვაგვარი გამოყენების საფუძველზე.

მართვის ობიექტი თავის თავში უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

1. ტერიტორიული დარგობრივი კლასტერების ძირითად მახასიათებლებს და სხვა სამეურნეო სუბიექტებს და მასთან დაკავშირებულ სუბიექტებს.
2. მოსახლეობის ძირითად მახასიათებლებს, სტრუქტურასა და მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების ბუნებას.
3. ტერიტორიის ადმინისტრაციული საზღვრების დამთხვევა მოსახლეობის ინტერესების და დარგობრივი კლასტერების საზღვრებთან.

მართვის ორგანოების ტიპოლოგიის განსაზღვრა. არსებული გამოკვლევების ანალიზის საფუძველზე, მართვის თეორიასა და პრაქტიკაში საჭიროა გამოვყოთ მართვის ორგანოების შემდეგი ტიპები:

1. არჩევითი ორგანოები და თანამდებობის პირები;
2. საერთო კომპეტენციის ორგანოები;
3. მართვის დარგობრივი ორგანოები;
4. მართვის ადმინისტრაციული ორგანოები;

1. ხელისუფლებისა და მმართველობის არჩევითი ორგანოები მოქმედებენ მოსახლეობის სახელით, ასრულებენ მათი წარმომადგენლების ფუნქციას და გვევლინებიან ნორმატიული რეგულაციების განმხორციელებლებად. ამ შემთხვევაში, ისინი არიან განვითარების მიზნის მატარებლები და ტერიტორიის რესურსების მესაკუთრეები. ხელისუფლების არჩევი-

თი ორგანოების მთავარი პროდუქტია ნორმატიული აქტი, რომლის შესრულებაც მოქმედების სხვა სუბიექტებს ეკისრებათ. შესაბამისად, მართვის მთავარ მეთოდად გვევლინება ინდიკატიური მეთოდი.

2. საჯარო კომპეტენციის ორგანოები. სახელისუფლებო ორგანოების სტრუქტურაში არსებობს საზოგადო კომპენტენციის ორგანოები. ესაა სრუქტურული ქვეგანყოფილებები, რომლებიც ახორციელებენ ტერიტორიული მეურნეობის სრულ რეგულირებას. ეს ორგანოები მოწოდებულნი არიან შემდეგი ფუნქციების შესასრულებლად: არჩევითი ორგანოებისა და თანამდებობის პირების აპარატული მომსახურების უზრუნველყოფა; განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და სტრატეგიის ფორმირება და მათი მომზადება არჩევითი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისთვის – დასამტკიცებლად. საკონტროლო ფუნქციების განხორციელება დარგობრივ ორგანოებზე; ანალიტიკური ფუნქციები და სხვა.

3. მართვის დარგობრივი ორგანოები. ტერიტორიული განვითარების მართვის სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მართვის დარგობრივ ორგანოებს. ესენია ის სტრუქტურული განყოფილებები, რომლებიც ახორციელებენ დარგისა და ტერიტორიული მეურნეობის მართვას.

4. მართვის ადმინისტრაციული ორგანოები. პირველ რიგში, მათ მიეკუთვნებიან ორგანოები, რომლებიც ხელისუფლების ორგანოებისა და მართვის ზედამხედველობას და კონტროლს ახორციელებენ. ისინი მოქმედებენ მართვის ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებით.

გამოყოფენ მართვის ორგანოების სხვადასხვა სტრუქტურულ ტიპებს:

1. დეპარტამენტები, რომლებიც ნორმატიულ და ინდიკატიურ მართვას ახორციელებენ;

2. სამმართველოები – მართვის ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ცალკეული დარგების ხელმძღვანელობას;

3. განყოფილებები – ახორციელებენ ადმინისტრაციულ მართვას.

ტერიტორიის განვითარების მართვის ეფექტური მოდელები. ტერიტორიული განვითარების მართვის ეფექტური მოდელის არჩევა დამოკიდებულია სხვადასხვა მოდელის თეორიული და პრაქტიკული უპირატესობების აღიარებაზე, რაც უფრო მეტად შეესატყვისება ესა თუ ის მართვის მოდელი ტერიტორიაზე არსებულ სპეციფიკურ პირობებს, რაც უფრო მეტადაა დასაბუთებული თეორიულად და ადეკვატურია მოცემულ ტერიტორიაზე არსებულ ცხოვრებისეულ რეალიებთან – მით უფრო ეფექტურია მმართველობა.

რეგიონული მმართველობა სახელმწიფო მმართველობის ტერიტორიულ დონეს წარმოადგენს. რეგიონული მმართველობა მოიცავს კანონზომიერებების, პრინციპების, ფუნქციების, ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას. საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე პირობებში რეგიონული მართვის თავისებურებას წარმოადგენს:

1) ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების ინტენსიური ზემოქმედება არსებითად მათზე დამოკიდებულ ორგანოებზე;

2) განვითარების მმართველობის ურთიერთგანპირობება და რეგიონული თანასაზოგადოების ინტერესების ერთობლივი განახლება;

3) სისტემურობა;

4) რეგიონული მართვის პროფესიონალური დონე განსაზღვრავს რეგიონის პოტენციალის რეალიზაციის სპეციფიკურ დონეს;

5) რეგიონული მართვის სტრატეგიული მართვა, რომელიც მიმართულია რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

ამგვარად, თანამედროვე რეგიონული მართვის საბაზო პრინციპებს მიეკუთვნება:

- ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ბალანსირებული შერწყმა;
- მეცნიერული დასაბუთება;
- სტრატეგიულობა;
- ინიციატივიანობა;
- კერძო-სახელმწიფოებრივი პარტნიორობა; მობილურობა და ადაპტირება. სუბსიდიარულობა.
- რესურსული უზრუნველყოფა.

5.4 ტერიტორიული განვითარების მართვის ძირითადი მიდგომები

ტერიტორიული განვითარების ეფექტური მიდგომის არჩევა მსოფლიოში ცნობილი სხვადასხვა მიდგომების თეორიულ და პრაქტიკულ ალიარებაზეა დამოკიდებული.

მუნიციპალური მიდგომა. ამგვარი მიდგომა ხასიათდება იმით, რომ ხორციელდება „მოსახლეობის ნდობით“ და „მთავრობის ნებართვით“ კოლექტიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით და სამეურნეო საშუალებების გამოყენებით.

საინჟინრო მიდგომა. ამგვარი მიდგომა გამოირჩევა კიდევ უფრო მეტი შეზღუდვით და კომუნალურ მეურნეობას განმარტავს, როგორც საინჟინრო ინფრასტრუქტურის სრულყოფას, ხოლო განვითარებას, როგორც მხოლოდ ტერიტორიის ინფრასტრუქტურის ტექნიკურ სრულყოფას.

ქალაქმცოდნეობითი მიდგომა. ხასიათდება მუნიციპალური მიდგომის გარკვეული მსგავსებით. მისი კვლევის ობიექტია მოცემულ ტერიტორიაზე დაწესებულებების და საწარმოების ერთობლიობა. ამგვარი მიდგომა განვითარებას განმარტავს აბსტრაქტულად ანუ განვითარებაა, როცა ის შეესაბამება თანამედროვეობის მოთხოვნილებებს – მომავლისადმი ზიანის მიყენების გარეშე.

ადგილობრივი თანასაზოგადოებების კონცეფცია. შეისწავლის ყველა ადგილობრივი თანასაზოგადოების პოტენციალს და მისი რეალიზაციის გზებს. ამგვარი მიდგომისთვის მთავარი ადგილობრივი გარემო ფაქტორების გათვალისწინებაა.

სისტემურ-კორპორაციული მიდგომა. ამგვარ მიდგომას საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის 90-იან წლებში და ითვალისწინებს ქალაქის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური ინტერესების მხარდაჭერას.

5.5 რეგიონული განვითარების მართვის მაჩვენებლები

რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის შეფასებას თავისი სპეციფიკა გააჩნია, რომელიც განპირობებულია რეგიონული ეკონომიკის ღია ხასიათით. რეგიონის დონეზე შესაძლებელია განვიხილოთ პრობლემის გადაჭრის ამოცანა რეგიონული მართვის საკითხში:

–ცალკეული ინდიკატორების შეფასება; ეს მეთოდი დაფუძნებულია ისეთი ინდიკატორების შეფასებაზე, როგორიცაა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, ძირითად კაპიტალში ჩადებული ინვესტიციები, მოსახლეობის ფულადი შემოსავლები;

–მართვის რეალური შედეგების შედარება განვითარების შესაძლო შედეგებთან – მმართველობითი ზემოქმედების გარეშე;

–დანახარჯების და სარგებლის თანაშეფარდება;

–დასახული მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასება;

–რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის შეფასება.

ცენტრის მიერ რეგიონის განვითარების მართვის რეგიონული განვითარების შეფასება მოიცავს:

1. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნის მიღწევას;
2. მაკროეკონომიკური რეგულირების შედეგობრიობას;
3.საზოგადოებრივი საქონლის წარმოების ეფექტურობას.

მთლიანობაში რეგიონის დონეზე შეიძლება განვიხილოთ ყველაზე ადეკვატური კრიტერიუმები და მასთან შესაბამისობაში მყოფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები:

- მშპ და ამ მაჩვენებლების ზრდის ტემპები;
- მოსახლეობის შემოსავლების საშუალო დონე და მისი დიფერენციაციის ხარისხი;
- სიცოცხლის ხანგრძლივობა, ადამიანების ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობის დონე;
- განათლების დონე;
- მატერიალური სიკეთეების მოხმარებისა და მომსახურეობის დონე;
- ჯანმრთელობის დაცვის დონე;
- გარემოსდაცვის მდგომარეობა;
- ადამიანთა შესაძლებლობების თანასწორობა და მცირე ბიზნესის განვითარება;
- ადამიანების კულტურული ცხოვრების გამდიდრება.

ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური და მთლიანობაში საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროში მიმდინარე პროცესების სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებით, გამოიყოფა ორი ძირითადი მიმართულება: ეტატიზმი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი ურთიერთობების პროცესებსა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ითვალისწინებს და ანტიეტატიზმი, რომელიც ლიბერალური მიდგომითაა ცნობილი და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაციას ემხრობა.

პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ნეოკლასიკურმა მიდგომამ არ გაამართლა. რეგიონების განვითარების დონეებს შორის არსებული დისპროპორციების დაძლევას საბაზრო მექანიზმი (“უხილავი ხელი“) ვერ უზრუნველყოფს, შედეგად აუცილებელი ხდება ამ პროცესებში სახელმწიფოს (“ხილული ხელის“) მონაწილეობა.

გ. კამერონმა გამოყო სამი ძირითადი მიმართულება:

1. **ნეინტერვენციონალისტები,** რომლებიც უგულებელყოფდნენ სახელმწიფოს როლს რეგიონულ განვითარებაში.

2. **“ადაპტორები“,** რომლებიც აყენებდნენ სტიქიურად მოქმედ საბაზრო ძალებზე ზემოქმედების შერბილების საკითხს, რეგიონული განვითარების პროცესში სამუშაო ძალის მიგრაციისა და ინვესტიციების სტიმულირების თაობაზე.

3. **“რადიკალური გარდამქმნელები“,** რომლებიც მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს რეგულირების პოლიტიკის აქტივიზაციას.[34:გვ.345-469]

“ადაპტირების“ იდეა იმაში მდგომარებს, რომ სახელმწიფოს რეგულირების არსი და მიზანი რეგიონებში ბუნებრივად მიმდინარე პროცესების დაჩქარებაში უნდა გამოიხატოს, ანუ სახელმწიფომ უნდა შეასრულოს კატალიზატორის როლი და რეგიონების განვითარების საერთო ტენდენციებიდან გამომდინარე, კერძო კომპანიების ინტერესების გათვალისწინებით, გაატაროს ეფექტიანი პოლიტიკა. მან ხელი უნდა შეუწყოს შედარებით ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ინვესტიციური პოლიტიკის წახალისებას.

რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირების (მენეჯმენტის) თეორიის ფუძემდებლად ითვლებიან ს. დენისონი[35] და ა. ლიოში.[36:გვ.10]


სწორედ ამ ორმა მეცნიერმა ჩაუყარა საფუძველი ზემოთაღნიშნულ მიდგომებს. კერძოდ, ა. ლიოში მხარს უჭერდა სახელმწიფოს ზომიერ ჩარევას რეგიონული განვითარების პროცესებში, ანუ აძლიერებდა “ადაპტირების“ თეორიას. ხოლო ს. დენისონი კი ე.წ. “რადიკალური გარდაქმნის“ თეორიის ფუძემდებელი იყო, რომელიც დეპრესიული რეგიონების რეგულირების საკითხს განიხილავდა. მეორე მსოფლიო ომამდე დიდ ბრიტანეთში არსებულ პრობლემებს შორის იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამრეწველო ინვესტიციების გეოგრაფიულ განვითარებაზე ზეგავლენის მოხდენას ანიჭებდა, რაშიც უდავოდ წამყვანი როლი სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას ეკუთვნოდა.

ა. ლიოში კი რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირების უფრო ფართო სპექტრის მექანიზმებს განიხილავდა. ამასთან, რეგიონულ ეკონომიკურ პროცესებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საბაზრო თვითრეგულირების ინსტიტუტებს.

რეგიონების განვითარების სახელმწიფო მენეჯმენტის საკითხებში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა აგრეთვე ე. ჰუვერმა. ის სახელმწიფო რეგულირების ობიექტად განიხილავდა, როგორც კერძო საწარმოების ოპტიმალური განვითარების პრობლემებს, ასევე ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონებში სამეურნეო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და წარმოების მოცულობის ზრდის სტიმულირების საკითხებს. ე. ჰუვერი მიუთითებდა რა გრძელვადიან პერსპექტივაზე, სახელმწიფო რეგულირების კონკრეტული ღონისძიებების მნიშვნელობაზე, პირველ რიგში,

აყენებდა საკითხს მოკლევადიანი ანტიციკლური ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ.[37:გვ.58-76]

რეგიონის ანტიკრიზისული მართვა



რეგიონული განვითარების სახელმწიფო მენეჯმენტის უცხოური გამოცდილების გაცნობისას წარმოჩინდა თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელი საინტერესო პარადოქსი – მთლიანად ცალკეულ ქვეყნებს შორის დიდი განსხვავებები რაღაცნაირად შეხამებულია მათი რეგიონების გარკვეული ტიპების მნიშვნელოვან ერთიანობასთან. ამიტომ, თვალშისაცემია სხვადასხვა სახელმწიფოების მხრივ თავიანთი შიდა რეგიონული პრობლემებისადმი მიდგომის მრავალი საერთო ნიშანი.

ქვეყნის მეურნეობრიობის სივრცობრივ ორგანიზაციაზე ზრუნვა ნებისმიერი სახელმწიფოს აუცილებელი ფუნქციაა. რეგიონული მენეჯმენტის განხორციელებაში ამა თუ იმ დოზით ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი მონაწილეობს, რამეთუ მათი საქმიანობა ასე თუ ისე უკავშირდება ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიას.[38:გვ.46-47]

5.6 რეგიონული მმართველობა- რეგიონის ადმინისტრაციის მეთაურის ინსტიტუტი საქართველოში

რეგიონის ადმინისტრაციის მეთაურის ინსტიტუტი საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში შედარებით ახალია, კერძოდ, 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან.

„სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 [39] დადგენილებით სახელმწიფო რწმუნებულის დებულება (შემდგომში – დებულება) განსაზღვრავს სახელმწიფო რწმუნებულის სტატუსს, მის ამოცანებს, ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს, სახელმწიფო რწმუნებულის უფლებამოსილებათა ტერიტორიულ საზღვრებს, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს.

დებულებაში რამდენჯერმე შევიდა ცვლილებები, კერძოდ: „სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს მთავრობის დადგენილება №29; 2015 წლის 3 თებერვალი.[40]

„სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს მთავრობის დადგენილება №588; 2017 წლის 28 დეკემბერი.[41]

„სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს მთავრობის დადგენილება №424; 2018 წლის 15 აგვისტო.[42]

„სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საქართველოს მთავრობის დადგენილება №1; 2019 წლის 8 იანვარი.[43]

რეგიონულ ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, რომელიც ინიშნება საქართველოს მთავრობის მიერ. გუბერნატორს, აგრეთვე, აქვს სამინისტროების რეგიონული დეკონცენტრირებული ორგანოების კოორდინაციის ფუნქცია. ის ხელს უწყობს კოორდინაციას, როგორც ეროვნულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს, ისე მუნიციპალიტეტებს შორის. რეგიონული განვითარების თვალსაზრისით, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლის უფლება-მოვალეობებია:

- საქართველოს მთავრობის დავალებით, შესაბამისი ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში შეიმუშავებს ან/და ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებს და მონაწილეობს რეგიონული გან-ვითარების ღონისძიებებში;
- საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად ამზადებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს შესაბამისი სამოქმედო ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დავალებით კოორდინაციას უწევს რეგიონული პოლიტიკის განხორციელებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ცალკეულ ღონისძიებებს;
- კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფო უწყებების ურთიერთობას მუნიციპალიტეტების ორგანოებთან;

- საქართველოს მთავრობის დავალებით კოორდინაციას უწევს საქართველოს სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას.

თითოეული სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის საქმიანობას დახმარებას უწევს საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საფუძველზე შექმნილი სამხარეო საკონსულტაციო საბჭო (სსს).

საბჭოს მიზანია რეგიონული განვითარების პროცესში მუნიციპალიტეტების ინტერესების წარმოდგენა და განხილვა. საბჭო შედგება სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორისა და რეგიონის ტერიტორიულ საზღვრებში არსებული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლისაგან. [44:გვ.21]

საინტერესოა, 2018-2019 წლებში სახელმწიფო რწმუნებულის ცხრა ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯების რაოდენობა.



წყარო: https://transparency.ge

2018-2019 წლებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებში გაცემულმა შრომის ანაზღაურებამ 8,212,842 ლარი შეადგინა, რაც 1,411,749 ლარით მეტია 2016-2017 წლების ანალოგიურ მაჩვენებელთან (6,801,093 ლარი) შედარებით;

ადმინისტრაციების სარგებლობაში ჯამში 81 ავტომობილია, რომელთა შეკეთება/დიაგნოსტიკაზე 521,959 ლარი დაიხარჯა;

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებმა საწვავის შესაძენად 2018-2019 წლებში 1,109,683 ლარი დახარჯეს, რაც 234,575 ლარით მეტია 2016-2017 წლების ანალოგიურ მაჩვენებელთან (875,108 ლარი) შედარებით;

2018-2019 წლებში შესყიდული საწვავის მოცულობამ 505,076 ლიტრი შეადგინა;

სატელეკომუნიკაციო ხარჯებმა 2018-2019 წლებში 86,993 ლარი შეადგინა, 2016-2017 წლებში კი 61,227 ლარი იყო;

მივლინებებზე 2018-2019 წლებში 123,495 ლარი დაიხარჯა, 2016-2017 წლებში კი 154,690 ლარი;

წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის (კვებისა და რესტორნის მომსახურება, სასმელი პროდუქტების შეძენა და ა.შ.) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებმა ჯამში

86,742 ლარი გაიღეს (2018 წელს – 51,411 ლარი, 2019 წელს კი – 35,331 ლარი). შედარებისათვის – 2017 წელს წარმომადგენლობითმა ხარჯმა 32,635 ლარი შეადგინა.

თანამშრომელთა რაოდენობა:

სახელმწიფო რწმუნებულის 9 ადმინისტრაციაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 267 ადამიანია დასაქმებული, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კი ცხრით მეტი – 276 ადამიანი მუშაობდა.

შრომის ანაზღაურება:

2018-2019 წლებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებში შრომის ანაზღაურების სახით ჯამში 8,212,842 ლარი გაიცა (2018 წელს – 3,965,155 ლარი, 2019 წელს კი – 4,247,692 ლარი).

2018-2019 წლებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებში ანაზღაურების სახით

	ხელფასი - 2018 წელი	პრემია, დანამატი, ჯილდო - 2018 წელი	ხელფასი - 2019 წელი	პრემია, დანამატი, ჯილდო - 2019 წელი
სამეგრელო-ზემო სვანეთი	526,322	37,521	568.279	61.705
გურია	465,504	26.940	434.462	28.650
იმერეთი	508,427	36,430	526.079	65.550
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	457,372	7,227	461.203	23.983
სამცხე-ჯავახეთი	390.899	28,550	465.415	22.000
კახეთი	224.160	97,543	316.525	25.035
შიდა ქართლი	424,319	24,252	482.666	11.639
ქვემო ქართლი	532.298	41,550	542,169	74,765
მცხეთა-მთიანეთი	435,854	22,510	450.894	19,604
ჯამი	3,965,155	322,523	4,247,692	332,931

წყარო: https://transparency.ge

ამავე პერიოდში დანამატის, ჯილდოსა და პრემიის სახით ჯამში 655,454 ლარი გაიცა (2018 წელს – 322,523 ლარი, 2019 წელს კი – 332,931 ლარი).

2018-2019 წლებში დანამატის, ჯილდოსა და პრემიის სახით ყველაზე დიდი ოდენობით თანხა კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გაიცა – 122,578 ლარი.[45]

5.7 რეგიონული მარკეტინგი

ტერიტორიულმა მარკეტინგმა, როგორც დამოუკიდებელმა მიმართულებამ, განვითარება ჰპოვა XX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს. დაგეგმარების ცენტრალიზებული სისტემის დანგრევის შემდეგ, რეგიონები გაურკვევლობამ მოიცვა. ქვეყანაში მიმდინარე მზარდი ცვლილებების სიჩქარემ და ყველა სფეროში გამძაფრებულმა კონკურენციამ, ადგილობრივი ხელისუფლება აიძულა თავის თავზე აეღო პასუხისმგებლობა რეგიონების განვითარების პერსპექტივაზე.

"მარკეტინგის" ცნების ტერიტორიულ ჭრილში განსახილველად აუცილებელია გან-

ვსაზღვროთ თანამედროვე საწარმოს მმართველობის საწარმოო-სარეალიზაციო სისტემის თავისებურებები, რომელიც დაფუძნებულია ბაზრის კომპლექსურ ანალიზზე, ხოლო მისი ფუნქციები და ამოცანები შესაბამისობაშია ტერიტორიულ ეკონომიკასთან. ამ აზრით, ტერიტორიის ეკონომიკა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ყველა ხელთ არსებული რესურსების ინტეგრალური გამოხატულება მისი პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორების გათვალისწინებით და განვითარების ტენდენციის რეტროსპექტიული განხილვით. ამის შესაბამისად, ტერიტორიული მარკეტინგი საკუთარ თავში უნდა მოიცავდეს ტერიტორიული ეკონომიკის გაფართოებული აღწარმოების პროცესს, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიის, როგორც მთელის კონკურენტუნარიანობას. საკითხის ამგვარად დაყენება განსაზღვრავს სახელმწიფო რეგულირების ფორმებს და მეთოდებს, რაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მათ.[46:გვ.123]

სხვადასხვა მეცნიერ-ეკონომისტის მიერ გამოცემულ ნაშრომებში შეიძლება შევხვდეთ ცნებების მთელ რიგს, რომელიც ამა თუ იმ აზრით საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასახავს ტერიტორიის მართვის მარკეტინგული მიდგომის საკითხებს: "რეგიონული მარკეტინგი", "ადგილმდებარეობის მარკეტინგი", "ქალაქის მარკეტინგი", "ტერიტორიული მარკეტინგი".

საინტერესოა ტერიტორიის წარმატებული მართვის საზღვარგარეთული გამოცდილება. დასავლეთელი სპეციალისტების ნაშრომებში "ტერიტორიული მარკეტინგის" ცნება არ გვხვდება. ცალკეულ შემთხვევებში ის შეცვლილია "ადგილმდებარეობის ან ადგილის მარკეტინგის" ცნებით, რაც გულისხმობს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული წარმონაქმნის მარკეტინგს ან მარკეტინგს ქვეყნის დონეზე. ტერიტორიულ მარკეტინგს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავის ნაშრომებში კოტლერი და მისი კოლეგები, რომლებიც იყენებენ "ადგილის მარკეტინგის" ტერმინს და ამტკიცებენ, რომ მარკეტინგი უზრუნველყოფს ტერიტორიის პრობლემების გადაჭრას, ხელს უწყობს ტერიტორიული თანასაზოგადოების ადაპტაციას.[47:გვ.55]

ტერიტორიული მარკეტინგის კონცეფცია, ერთი მხრივ, ტერიტორიის მიმზიდველი იმიჯის შექმნით, ყურადღებას ტერიტორიის პოზიციონირებაზე ამახვილებს, მეორე მხრივ, ტერიტორიის პერსპექტიულ სამეურნეო სფეროებს წარმოაჩენს და ხელს უწყობს მათ განვითარებას.[48] ტერიტორიული მარკეტინგის განხორციელების მიზანი ტერიტორიის მდგრადი და მიმზიდველი სურათის შექმნა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა,ეკონომიკური პოტენციალის გაუმჯობესება, ინტეგრაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება და ტერიტორიების პოზიტიური იმიჯის ფორმირებაა [49:გვ.16]

ა.დაიანი, ფ. კოტლერის სოლიდარულია და ყურადღებას ამახვილებს მასზედ, რომ ტერიტორიის მარკეტინგი (და ნაწილობრივ ქალაქის მარკეტინგი) მოწოდებულია ტერიტორიული იმიჯის გასაუმჯობესებლად და მრეწველების მოსაზიდად, რომლთაც აიძულებს მასზე ისაუბრონ. სხვაგვარად რომ ითქვას, ტერიტორიული მარკეტინგის არსია საკუთარივე იმიჯის შექმნა.

ტერიტორიულ მარკეტინგი შეიძლება განიხილოთ, როგორც ტერიტორიის მართვის თანამედროვე ფილოსოფია, რომელიც მოიცავს ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოების ახლებურ გაგებას.[50]

ტერიტორიული მარკეტინგის გაგება სხვადასხვაგვარად შეიძლება. ერთი მხრივ, ის უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო რეგულირების ფორმებსა და მეთოდებს. მეორე მხრივ, ტერიტორიული ეკონომიკურ ჩამოყალიბებულ სისტემასთან შესაბამისობაში უნდა იყოს. ცხადია, რომ ტერიტორიული მარკეტინგი რთული და კომპლექსური ცნებაა.

ტერიტორიული მარკეტინგის მეთოდოლოგიური ასპექტი განსაზღვრავს მის მიზან-მიმართულ საქმიანობას, ტერიტორიის სოციალური და ეკონომიკური მიზნების მიღწევას. ტერიტორიული მარკეტინგი რთულად შემდგარი პროცესია და მას თავისი შესავლისა და გამოსავლის პარამეტრები გააჩნია.

ტერიტორიული მარკეტინგის პარამეტრებად გვევლინება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავს ტერიტორიის ეკონომიკური სისტემის სტრუქტურას და შინაარს. კერძოდ:

- პოლიტიკურ-სამართლებრივს (ნორმატიულ-სამართებლივი აქტები, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების წესები და პროცედურები, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა);

- ეკონომიკურს (ფინანსური, საბიუჯეტო, საგადასახადო პოლიტიკის, ინფლაციის ტემპების, მოთხოვნისა და მიწოდების კონიუნქტურის შეცვლის)

- სოციო-კულტურული (ნაციონალური ურთიერთობების კულტურა, კულტურული ტრადიციები, მენტალიტეტი, ჩვეულება, ცხოვრების დონე და განათლება)

- ტექნოლოგიური (წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების დონე, რესურსების ახალი წყაროების გამოვლინება და სხვ.)[51:გვ.67]

საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მიზნით, ტერიტორიულ მარკეტინგში ფართოდ გამოიყენება ისეთი მექანიზმები, როგორიც ბრენდინგი და სარეკლამო საქმიანობაა.

გეოპოლიტიკური ასპექტით, ტერიტორიული მარკეტინგი გვევლინება, როგორც ტერიტორიული ეკონომიკის ინსტრუმენტი.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ტერიტორიული მარკეტინგი ტერიტორიული ეკონომიკის ინსტრუმენტად გვევლინება. ამგვარად, ტერიტორიული მარკეტინგი განსაზღვრავს ტერიტორიის სტატუსსა და მდგომარეობას. ტერიტორიული მარკეტინგი ასევე გვევლინება, როგორც ტერიტორიის ძირითადი გეოპოლიტიკური უპირატესობების პრეზენტაცია.

ტერიტორიული მარკეტინგის სოციალური არსი ადამიანების სოციალური ერთობის ფორმირებაში ვლინდება, რომლებიც თავისივე ხელით ქმნიან სოციალურ პროდუქტს. ამგვარი ერთობა ხასიათდება შრომისადმი და წარმოების შედეგებისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულებით. რესურსების მომჭირნეობით, საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციით და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით.


ტერიტორიული მარკეტინგის ინოვაციურ-ტექნოლოგიური დახასიათება ტერიტორიულ ეკონომიკას მიმართავს ბაზრის პერსპექტიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ.

ტერიტორიული მარკეტინგის სისტემა არის წარმოების ინოვაციური პოლიტიკის ფორმირების საფუძველი. ტერიტორიული მარკეტინგის მექანიზმის პირდაპირი და უკუკავშირები ხელს უწყობს ბაზარზე პერსპექტიული მოთხოვნების გამოვლინებას.

სპეციალიზებულ ლიტერატურაში ტერიტორიის მარკეტინგის ფუნქციონირების მრავალი მიდგომაა აღწერილი, თუმცა ყველა ავტორი ერთსულოვნად თანხმდება, რომ მმართველობის ნებისმიერი პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია ტერიტორიის მარკეტინგის საერთო ლოგიკის ფორმირება. სამამულო და საზღვარგარეთული ლიტერატურის ანალიზიდან გამომდინარე, ტერიტორიული მარკეტინგის ლოგიკა მის სტრუქტურულ ელემენტებში ვლინდება.

ტერიტორიული მარკეტინგის ლოგიკის პირველი სტრუქტურული ელემენტი გულისხმობს მიზნის ან მიზანთა სისტემის განსაზღვრასა და ფორმირებას. მიზანში იგულისხმება ტერიტორიული მარკეტინგის სასურველი მდგომარეობა ან შესაბამისი ობიექტის შედეგები მომავალში, მის განსაზღვრულ მომენტში. მიზანი შესაძლოა იყოს მიუღწეველი დაგეგმილი პერიოდის ფარგლებში.

ტერიტორიული მარკეტინგის ინსტრუმენტები



ტერიტორიული მარკეტინგის ნებისმიერი სუბიექტი მიზნებისა და ამოცანების ფორმირების პროცესში ვალდებულია:

- განსაზღვროს დაგეგმილი სისტემის მიზნები და გადაიყვანოს ის შესასრულებელ ამოცანათა ენაზე, რაც მათი შესრულების გრაფიკის შექმნის საშუალებას იძლევა;
- გაითვალისწინოს ყველა ამოცანის გამოკვეთილი ფორმულირება და გამოიმუშაოს პროგრესის შეფასების კრიტერიუმები;
- გამორიცხოს ამოცანებს შორის შესაძლო წინააღმდეგობები.

ტერიტორიული მარკეტინგის ლოგიკის მეორე სტრუქტურული ელემენტი დაგეგმვისწინა პერიოდის ამოსავალი დონის ანალიზში მდგომარეობს.

ქვეყნის ან ტერიტორიის ეკონომიკის განვითარება ბევრად განისაზღვრება არსებული საწარმოო სიმძლავრეების არსებობით.

ტერიტორიული მარკეტინგის ლოგიკის მესამე სტუქტურული ელემენტი მოიცავს საზოგადოების მოთხოვნილების სტრუქტურისა და მოცულობის შესწავლას.

საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ტერიტორიული მარკეტინგის მიმართებაში მოითხოვს არა მხოლოდ სისტემურ, არამედ ინტეგრაციულ მიდგომებს, რომელიც მიმართულია ტერიტორიული ეკონომიკური სისტემის ელემენტების და ცალკეული ქვესისტემების ურთიერთკავშირის განმტკიცებასა და გამოკვლევაზე.


ჩვენი აზრით, ამგვარი მიდგომა ტერიტორიული მარკეტინგში ქმნის რეგიონის საბაზრო პოტენციალის გამოვლინების ახალ შესაძლებლობებს. ტერიტორიული მარკეტინგის

ლოგიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მისი მეთოდიკა. ძირითად მეთოდს მიეკუთვნება საექსპერტო (შეფასებითი) მეთოდი; სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის მეთოდები; პირდაპირი საინჟინრო-ეკონომიკური გათვლის მეთოდები; სბალანსო მეთოდი; მათემატიკურ-ეკონომიკური მეთოდები – მოდელების შექმნით; სისტემური ანალიზისა და სინთეზის მეთოდები;

ტერიტორიული მარკეტინგის მოდელი, როგორც ტერიტორიის პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილი მოიცავს გარკვეულ მარკეტინგულ ფუნქციებს:

- ანალიტიკურს (შიდატერიტორიული და გარესაბაზრო პირობების გამოკვლევა, ტერიტორიის ეკონომიკური სამრეწველო სექტორის მომსახურებას, კონკურენტუნარიანობის გამოკვლევას და ტერიტორიის ეკონომიკის სამრეწველო სექტორის კონკურენციული უპირატესობების განსაზღვრას).
- საწარმოო (კონკურენტული უპირატესობების რეალიზაციის ტერიტორიული სისტემის ორგანიზება);
- საგამანაწილებლო (მატერიალური და არამატერიალური ნაკადების ტერიტორიული არხების ორგანიზება ტექნოლოგიური, საკადრო, საფინანსო, საინფორმაციო, ინტელექტუალური და სხვ. ბალანსის საფუძველზე);
- მმართველობითი (სტრატეგიულ და ტაქტიკურ დონეებზე დაგეგმარება, ტერიტორიული მარკეტინგის ინფორმაციული უზრუნველყოფა; კონტროლი);

ტერიტორიული მარკეტინგის ციკლი



მარკეტინგული ციკლის პირველი სტადია მოიცავს მარკეტინგის მიზნების განსაზღვრას; რეგიონის შესახებ მოძიებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ყალიბდება ტერიტორიული მარკეტინგის საერთო მიზნები.

ტერიტორიული მარკეტინგის ძირითადი მიზნებია:

1. ტერიტორიული მარკეტინგის სისტემის (ტმს) ოპტიმალური ე.ი. აუცილებელი და

საკმარისი ფუნქციების განსაზღვრა, რომელიც გადანაწილდება მეორე დონეზე.

2. ტერიტორიული მარკეტინგის მთლიანობითი სისტემის ფორმირება მარკეტინგის ცენტრალური ორგანიზაციების სისტემის საფუძველზე. ამგვარად, ტერიტორიული მარკეტინგის ამოცანა, საწარმოს მარკეტინგული სისტემის სტიმულირება და საჭირო პირობების შექმნაა.

3. ტერიტორიის მარკეტინგული საქმიანობის მთავარი ამოცანაა ცხოვრების ხარისხის ამაღლება მისი ყველა მიმართულებით:

- ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა;
- სოციალური გარემოს გაუმჯობესება;

თანამედროვე პრაქტიკაში რეგიონული მარკეტინგი, ნაკლებად შესწავლილ ეკონომიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. კონკრეტული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, ბუნებრივი, დემოგრაფიული პირობების, მოთხოვნისა და მიწოდების, რეგიონის ბაზრის კონიუნქტურის და რეგიონთაშორისი კავშირების შესწავლა და ანალიზი, პირველ რიგში, შესაძლებელია რეგიონული მარკეტინგის გამოყენების გზით.

მარკეტინგული მიდგომების გამოყენება წარმოების ორგანიზაციისა და ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტზე საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტს შეადგენს. მარკეტინგული მართვის მეთოდების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტიანია დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებისათვის, რადგან მრავალი ფუნქცია, რომელსაც ასრულებდა სხვადასხვა სამინისტრო და უწყება, გადაეცემა საწარმოებს, გაერთიანებებს, ასოციაციებს, კონცერნებს.

რეგიონულ მარკეტინგში სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღების საფუძველს შეადგენს ბაზრის არსებული და პოტენციური მოთხოვნები და მათზე რეგიონში არსებული საწარმოების, ორგანიზაციების და სხვა ერთეულების საქმიანობის მორგების მექანიზმის გამოყენება. მარკეტინგული მართვის ფუნქციების საშუალებით შესაძლებელია რეგიონში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების რეალიზაცია.

რეგიონული მარკეტინგის პოლიტიკის გატარების პირობებში გამოიყენება ისეთი ელემენტები, როგორიცაა: რეგიონში არსებული ბაზრების სეგმენტირება და წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების პოზიციონირება, ასორტიმენტული და სამარკო პოლიტიკა, ახალი საქონლის დამუშავება, ფასების პოლიტიკა, განაწილებისა და წინსვლის სტრატეგია.

ჩვენი აზრით, რეგიონული მარკეტინგის სტრატეგია შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. სტრატეგიის შემუშავების პროცესში ხდება სამეურნეო ერთეულების საქმიანობის საერთო მიმართულების განსაზღვრა და ამის მიხედვით ფირმის პოზიციების განმტკიცება;

2. შემუშავებული სტრატეგია გამოყენებული უნდა იყოს სტრატეგიული პროექტების შედგენის დროს ძიების მეთოდის საშუალებით;

3. მოცემული სტრატეგიის აუცილებლობა ქრება, როგორც კი განვითარების რეალურ მსვლელობას ესა თუ ის სამეურნეო ერთეული მიჰყავს სასურველ შედეგამდე;

4. სტრატეგიის შემუშავების დროს შეუძლებელია ყველა შესაძლებლობის განსაზღვრა, რომლებიც წარმოიქმნება კონკრეტული ღონისძიებების პროექტის შედგენისას;

5. როცა ძიების პროცესში ჩნდება კონკრეტული ალტერნატივა, ყალიბდება ზუსტი ინფორმაციაც;

6. პროექტების შერჩევის დროს გამოიყენება ორიენტირებიც, იგი არის მიზანი, რომელსაც უნდა მიაღწიოს ფირმამ, ხოლო სტრატეგია არის ამ მიზნის მიღწევის საშუალება;

7. სტრატეგია და ორიენტირები ურთიერთშენაცვლებადია.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ რეგიონული მარკეტინგის განვითარების საფუძველი, პირველ რიგში, უნდა ვეძიოთ რეგიონის ეკონომიკური ბაზრის ფორმირებაში.

რეგიონული მარკეტინგის არსებითი ასპექტია რეგიონის ბაზრის მოთხოვნილებების (მომხმარებელთა მოთხოვნის) შესწავლა და მისი მაქსიმალური გათვალისწინება საქონლის (მომსახურების) წარმოების პროცესში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.

რეგიონული მარკეტინგის ეფექტიანი გამოყენება, პირველ რიგში, მიიღწევა რეგიონში არსებული ეკონომიკური სუბიექტების მიერ მარკეტინგული ძალისხმევის მაღალი ინტენსიურობით.

რეგიონული მარკეტინგის მართვის პროცესი მოიცავს საბაზრო შესაძლებლობების ანალიზს: მიზნობრივი ბაზრების შერჩევა; მარკეტინგის კომპლექსის შემუშავება; მარკეტინგული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება.

საქართველოსა და მსგავსი ეკონომიკის ქვეყნებში რეგიონული მარკეტინგის, როგორც ზოგადად მარკეტინგული ძალისხმევის მაღალი ინტენსიურობა მიზანშეწონილი და აუცილებელია ისეთი პირობების არსებობისას, როგორიცაა: ეკონომიკური სუბიექტების სრული თავისუფლება წარმოებით-გასაღებით გადაწყვეტილებათა მიღებაში; საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შედეგების საბაზრო გაცვლის ეფექტიანობასთან პირდაპირი დამოკიდებულების არსებობა; მონოპოლიური სტრუქტურების უქონლობა, აგრეთვე კონკურენციის სხვა შეზღუდვები; ბაზარზე ჭარბი მიწოდების არსებობა; ინფორმაციის არაერთგვაროვნება და ბაზრის განუსაზღვრელობის მაღალი დონე.

რეგიონული კონკურენტუნარიანობისა და რეგიონული მარკეტინგის პრაქტიკული გამოყენება საქართველოს ეკონომიკაში დღეისათვის შეიძლება არააქტუალური ჩანდეს. მართლაც, საქართველოს ეკონომიკაში ჩამოყალიბდა საკმაოდ რთული სიტუაცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია სამომხმარებლო ბაზრის დაუბალანსებლობა, ადგილობრივი სასურსათო და სამრეწველო საქონლის მწვავე დეფიციტი, ამიტომ მარკეტინგის უცხოური გამოცდილების პირდაპირი გადმოტანა ჩვენს საწარმოთა პრაქტიკაში საკმაოდ შეზღუდულია.

5.8 ბრენდინგის როლი რეგიონის (ტერიტორიის) მიმზიდველობის ფორმირებაში

ტერიტორიების ბრენდინგი ქალაქების, რეგიონების, გეოგრაფიული ზონებისა და სახელმწიფოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიაა, რომლის მიზანია ინვესტორების, ახალი მაცხოვრებლების, კვალიფიციური მიგრანტების და ტურისტების მოზიდვა.

ბრენდინგის დარგში მსოფლიოს ერთ-ერთმა წამყვანმა სპეციალისტმა საიმონ ანჰოლტმა, ტერმინის სახით პირველად გამოიყენა ფრაზა „ადგილების ბრენდინგი". ანჰოლტმა შექმნა კონკურენტული იდენტობის კონცეფცია, წარმოადგინა ის ექვსკუთხედის სახით, რომელიც გვიჩვენებს ტერიტორიის თანამედროვე ბრენდის ექვს ელემენტს – ტურიზმს, საექსპორტო ბრენდებს, პოლიტიკას, ბიზნესს და ინვესტიციებს, კულტურას, ადამიანებს.[52]

ამერიკის მარკეტინგის ასოციაციის განმარტებით, ბრენდინგი არის "სახელის, ტერმინის, ნიშნის, სიმბოლოს და დიზაინის კომბინაცია, რომელმაც უნდა განსაზღვროს საქონელი და მომსახურება, შექმნილი ერთი ან რამდენიმე გამყიდველის მიერ და გაბადოს იგი სხვა კონკურენტული პროდუქტების ან მომსახურებისგან გამორჩეული".[53]

საიმონ ანჰოლტი გვაფრთხილებდა, რომ ტერიტორიის რეკლამა, რომელიც არაა გამაგრებული რეალური ქმედებებით ინვესტკლიმატის, ტურისტული ინფრასტრუქტურის, ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, ეს ბრენდინგი არაა. ეს მხოლოდ ტერიტორიის რეკლამაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ რეკლამა ამავე დროს ფულადი ხარჯია, შეიძლება საკმაოდ დიდი თანხა იქნეს გადაყრილი, რეალური უკუგების გარეშე.[54:გვ.272]

ტერიტორიის ბრენდინგი გვაძლევს დიდ შესაძლებლობებს, თუკი მას სწორად მივუდგებით. პრაქტიკულად ყოველ ადგილს აქვს ისტორიული წანამძღვრები ტერიტორიული იდენტობის აქცენტირებისათვის, საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ ისტორია მის გამოსავლენად და მეთოდოლოგია მის განსავითარებლად.

რეგიონის ბრენდინგი განუყოფელია მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროცესებისგან, რამეთუ ბრენდი თავისი ბუნებით კონკურენტული უპირატესობის დემონსტრაციაა და შესაბამისად, მეტი ღირებულების. ტერიტორიას, რაც უფრო შესწევს გარედან რესურსების მოზიდვის, გადამუშავების და გაცემის უნარი, უფრო მეტად ეფექტურია მისი ცხოველმოქმედება.

ტერიტორიის (რეგიონის) წარსადგენად უპირველესად საჭიროა, თანამედროვე ინსტრუმენტების და ტექნოლოგიების გამოყენებით, შეიქმნას რეგიონის ძლიერი ბრენდი, მის გარეშე უკვე შეუძლებელია კონკურენტული ბრძოლის წარმოდგენა შიდა და გარე ინვესტიციებისათვის, ტურისტული ნაკადებისათვის და ა.შ.


რეგიონის ბრენდი უნდა ასახავდეს ტერიტორიის მოსახლეობის მენტალობისა და ტრადიციების საუკეთესო მახასიათებლებს, უნდა შეასრულოს იდეოლოგიური ფუნქცია, რომელიც გააერთიანებს რეგიონის მოსახლეობას საერთო ამოცანების შესასრულებლად.

ბრენდი ბუნებრივი გზით არ იქმნება, ის წარმოადგენს საზოგადოებრივი რეფლექსიის და პროექტირების ხელოვნურად ორგანიზებულ პროდუქტს. ბრენდის ხელოვნურობა გუ-

ლისხმობს დამკვეთის არსებობას, მასზე მომუშავე კვალიფიციური ჯგუფის არსებობას, ფინანსური და ინფორმაციული რესურსების არსებობას, კარგად ფორმირებულ ტექნიკურ დავალებებს, ბრენდის შექმნის და განვითარების პროგრამას, ბრენდის ეფექტურობის მონიტორინგს.[55:გვ.352]

რეგიონის ბრენდის დამუშავებისას, ასევე აუცილებელია, რეგიონის ბრენდის განვითარების და მხარდაჭერის სტრატეგიის და მექანიზმების, თავიდანვე პროექტირება. ასეთი სტრატეგიის შემუშავება საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო გასავლების, ინფორმაციულ, სოციალურ-კულტურულ, სპორტულ და სხვა პროექტებზე ოპტიმიზირების საშუალებას იძლევა.

რეგიონის ბრენდინგი



თანამედროვე მსოფლიოში, სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა, რეგიონი და ჭალაქი, თანმიმდევრულად მუშაობს წინ წაწევისთვის საკუთარი ტერიტორიის და საკუთარი ბრენდის ფორმირებაზე, რომლებიც ადგილის ტურისტულ მიმზიდველობას განაპირობებს.

ეს ტენდენცია განპირობებულია იმით, რომ ბოლო დროს ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგი გახდა, რომელიც განაპირობებს რეგიონის კეთილდღეობას.

ტერიტორიის ბრენდინგის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მისი ძლიერი მხარეების გამოყოფა, პოზიციონირება და გაძლიერება, რომლებიც ძირითადად შემთხვევებში თავსდება ტურისტული ბრენდის ფორმირების საფუძველში. რეგიონის, როგორც

ტურისტული ტერიტორიის, ბრენდი გამოხატავს რეგიონის ძირითად ღირებულებებს, მის მიზნებსა და მისიას ტურიზმში.

შეიძლება ითქვას, რომ ტურისტული ტერიტორიის ბრენდი წარმოადგენს იმიჯს ან სახეს, რომელიც არსებობს მომხმარებლის ცნობიერებაში და ავტომატურად აღიქმება მათ მიერ. რეგიონის ბრენდის, როგორც ტურისტული ტერიტორიის კონცეფცია, ამ შემთხვევაში წარმოადგენს ძირითად შემოქმედებით იდეას, რომელიც აგებულია რეგიონის ძირითადი რესურსების და ღირებულებების სიმბოლიზაციაზე, რომელიც გამოხატულია გრაფიკული, ხმოვანი, ანიმაციური ან სხვა სახით.

ბრენდის, როგორც ტერიტორიის სიმბოლოს შექმნა პირველი ნაბიჯია, იმისათვის რომ მთლიანად მოცემული ტერიტორია იქცეს ბრენდად გარესამყაროსათვის, ამას წლების მანძილზე გათვლილი და მიზანმიმართული მუშაობა ჭირდება.[56:გვ.376]

ზოგადად ცნობილია, რომ ნებისმიერი ტერიტორიის პოზიციონირება დაფუძნებულია მის უნიკალურობასა და თავისებურებებზე. ტურისტული ტერიტორია მხოლოდ მაშინაა ტურისტთათვის მიმზიდველი, თუკი მას გააჩნია საინტერესო ღირსშესანიშნაობანი, მდიდარი ბუნებრივი რესურსები, უნიკალური ისტორიული ძეგლები, მოსახლეობის კულტურული და ეროვნული თავისებურებანი. ამას გარდა, რეგიონის დადებითი იმიჯის შესაქმნელად, არანაკლებ მნიშვნელოვან როლს სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია, განვითარებული სარკინიგზო და საავტომობილო გზები, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მაღალი დონე და ტურისტულ მომსახურებაზე შესაბამისი ფასების ჭონა თამაშობს.

შეგვიძლია განვიხილოთ რეგიონის კონკურენტუნარიანობის და ტურისტული მიმზიდველობის შემდეგი არსებული ვარიანტები:

ა) თუკი ტურისტულ ტერიტორიას უკვე აქვს ნათლად გამოხატული მიმზიდველობა და უკვე არსებობს გარკვეული ტურისტული ნაკადი, მაშინ ტერიტორიის კონკურენტუნარიანობის მიღწევადი დონე განისაზღვრება განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურით, რომელიც შეესაბამება ტერიტორიის მიმზიდველობას. ამ შემთხვევაში ჩადებული ახალი ინვესტიციები სწრაფად მოგვცემს უკუგებას, ვიდრე, რა თქმა უნდა, ახალი ტურისტული ტერიტორიის შექმნისას.

ბ) თუკი ტურისტული ტერიტორია მხოლოდ ახლა იწყებს ფორმირებას ან ტურისტული მიმზიდველობა ხელოვნურად იქმნება, მაშინ ხარჯები გაცილებით მეტი იქნება. ამას გარდა, გაცილებით მეტი იქნება ხარჯი ტურისტთა ნაკადების მოსაზიდად, რადგან საჭიროა ტურისტული ინტერესის ფორმირება და შესაბამისად ტურისტთა ინტერესის გაჩენა მოცემულ ტერიტორიაზე ჩამოსასვლელად.

გ) თუკი ტურისტული ტერიტორია საკუთარი მიმზიდველობის დივერსიფიცირებას ახდენს, თუკი სხვა სამიზნე ბაზარზე ახდენს ორიენტირებას. ამ შემთხვევაში ხარჯები ყველაზე მაღალი იქნება. ამას გარდა, არსებობს რისკი, რომ ვერ მოხდეს მოცემული ტერიტორიის ფორმირება, როგორც ახალი ტურისტული ტერიტორიისა, ახალი მიმზიდველობით. ამ შემთხვევაში უკვე არსებული ტურისტთა ნაკადის შემცირებაც შესაძლო მოხდეს.

მოცემულ ვარიანტებს, საქართველოს მაგალითზე თუ განვაზოგადებთ, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, პირველი ვარიანტია უპირატესად მისაღები, რადგან საქართველოში შექმნილი იყო უნიკალური კურორტების მთელი ქსელი, რომელთაგან ბევრს, პოსტსაბჭოთა სივრცეში კვლავ აქვს ცნობადობა შემორჩენილი, ზოგიერთ მათგანს კი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სტაბილური პოლიტიკური ვითარების და სწორად გააზრებული ეკონომიკური დაგეგმვის შედეგად, ყველა წინაპირობა ჰქონდათ სწორედ რომ მსოფლიო მასშტაბის ბრენდებად ქცეულიყვნენ. მიგვაჩნია, რომ საქართველოში უპირველესად სწორედ ძველი საკურორტო სახელებია ასაღორძინებელი, რომელთაც, თავის მხრივ, შეუძლიათ, მთლიანად საკუთარი რეგიონი წამოსწიონ და აამუშაონ. ახალ ვითარებაში, ცალკე გამოსაყოფია ქალაქი მცხეთა, როგორც საქართველოს სულიერი დედაქალაქი და რელიგიური ცენტრი იქ დაცული სიწმინდეებით. მას სწორად დაგეგმილი ბრენდინგის შედეგად, ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მილიონობით მართლმადიდებელ პილიგრამთა მიღების შესაძლებლობა გაუჩნდება. (საკმარისია ითქვას, რომ საფრანგეთის პატარა ქალაქი ლურდი, სადაც პილიგრიმები სასწაულებრივად იკურნებიან, მე-20 საუკუნეში ევროპის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მონახულებადი ქალაქი გახდა. ყოველწლიურად მას ხუთ მილიონამდე მომლოცველი სტუმრობს.)

სწორად და ზუსტად შერჩეული და დაგეგმილი თანამედროვე პიარტექნოლოგიების და მარკეტინგის დახმარებით, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უდიდესი პოტენციალი გააჩნია საერთაშორისო პილიგრიმულ მარშრუტს – **„წმ. ანდრია პირველწოდებულის გზა“.**

ყველა მოცემული ვარიანტისათვის კი, საერთო და საწყისი შეიძლება ითქვას, მთლიანად ქვეყნის და კონკრეტულად მოცემული ტურისტული ტერიტორიის დადებითად სტაბილური იმიჯია. თუკი ქვეყნის სტაბილურობა უპირველესად პოლიტიკური საკითხია, ტურისტული ტერიტორიის სტაბილურად დადებით იმიჯს, კარგად გააზრებული და მრავალ წელზე გათვლილი ბრენდინგი განსაზღვრავს.

სწორედ დადებითი იმიჯის ფორმირებისათვის, დღის წესრიგში აქტუალურად დგება ტურისტული ტერიტორიების ბრენდინგი და არა მხოლოდ მათი სპონტანური რეკლამირება. მხოლოდ ტერიტორიის ბრენდინგის მიზანმიმართულმა სტრატეგიამ შეიძლება მოიტანოს გრძელვადიან პერსპექტივებზე გათვლილი წარმატებები.

ქვეყანას მეტი პოპულარიზაცია სჭირდება, რაც ერთჯერადი რეკლამებით ვერ მიიღწევა. მძლავრ პიარს, მიზანმიმართულ რეკლამას, კი პირველ ეტაპზე ქვეყნის, რეგიონების სახის შექმნა სჭირდება, რომლებიც თავიდანვე დადებით ემოციებს წარმოშობს პოტენციურ ტურისტებში. [57]

რეგიონის ბრენდი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს კატეგორიას. ბრენდინგი ორიენტირებულია ძირითადად გარე სუბიექტებზე და უნდა შეესაბამებოდეს ტერიტორიის განვითარების სტრატეგიულ ამოცანებს. [58:გვ.83-85]

თავი 6. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა – საზღვარგარეთული გამოცდილება

6.1 რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა – საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შედარებითი ანალიზი

რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირება სხვადასხვა ფორმით ნებისმიერი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტისას, საკმაოდ მნიშვნელოვანია საზღვარგარეთის გამოცდილების შესწავლა. მეცნიერულ გამოკვლევებში დიდი ყურადღება ეთმობა რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებს.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში რეგიონული პოლიტიკა გვევლინება არა, როგორც ცალკეული კანონებისა და პროგრამების ნაკრები, არამედ როგორც, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გავრცელებული გამართული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ზომების ერთიანი სისტემა.[76:გვ.104] სამწუხაროდ, აქამდე რეგიონულმა მეცნიერებამ ვერ შეძლო რეგიონული პოლიტიკის შინაარსის შესახებ მრავალწლიანი თეორიული დისკუსიების შედეგების განზოგადება და მისი მოკლე, ტევადი განსაზღვრების მოცემა. ყურადღება ექცევა რეგიონული პოლიტიკის ცნებისადმი დასავლეთის სპეციალისტების მიდგომას: „რეგიონული პოლიტიკა – უმუშევრობისა და შემოსავლების მაჩვენებლების მნიშვნელოვან შეუსაბამობათა აღმოფხვრისკენ მიმართული პოლიტიკაა". თუმცა, ამ დეფინიციიდან არაა გასაგები მოცემული პოლიტიკის სუბიექტი. ზოგადი სახით, რეგიონული პოლიტიკის მიზნები საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში შემდეგნაირად განისაზღვრება: „რეგიონული პოლიტიკის მიზნები – დაბალანსებულობა ანუ იმ უთანასწორობათა მინიმუმამდე დაყვანაა, რომლებიც ქმნიან ნიადაგს სოციალური კონფლიქტების პროვოცირებისთვის, ხელს უშლიან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მთლიანობაში, ანუ მათი ნაწილებისა (მხარეების) თუ ქვეყნების ჯგუფების (მაგალითად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები) დაახლოებას".

მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა და დაიწყო ეკონომიკის საფუძვლიანი რეფორმა საბაზრო ეკონომიკის საფუძველზე მოხდა სახელმწიფო საკუთრების მკვეთრი შეკვეცა. ამან კი შეუძლებელი გახადა საწარმოო ძალების გეგმაზომიერი განლაგება, რომელიც საბჭოთა რეგიონული ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენდა. თანამედროვე საქართველოს თავისებურებები რეგიონული პოლიტიკის შინაარსის შესახებ ახალი წარმოდგენების ფორმირებას მოითხოვდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიზანს ქვეყნის ტერიტორიებზე სამეურნეო საქმიანობის გეგმაზომიერი და ეფექტიანი განაწილების მიღწევა და ქვეყნის განვითარებაში სოციალური და ეკონომიკური დისპროპორციების შერბილება წარმოადგენს. ეს ფორმულირება ახასიათებს რეგიონული განვითარების ორ მხარეს:

- ეკონომიკურ ეფექტიანობას, რომელიც მოითხოვს წარმოების ეკონომიკურად რაციონალურ განაწილებას სივრცეში და თითოეული რეგიონის საწარმოო პოტენციალის გამოყენებას საერთო ეროვნული კეთილდღეობის მიზნით;

- სოციალურ სამართლიანობას, ანუ ეკონომიკური საქმიანობის იმგვარ სივრცობრივ დანაწილებას, როცა რეგიონის ყველა მცხოვრებლებს სასურველი კეთილდღეობის მიღწევის მეტ-ნაკლებად თანაბარი შესაძლებლობები გააჩნიათ.

რეგიონული პოლიტიკის ეს ორივე მიზანი წინააღმდეგობრივია. მაგალითად, თავისუფალი კონკურენციის პირობებში, რეგიონების შემოსავლების მაქსიმუმთა ჯამი ეროვნული შემოსავლის მაქსიმუმის ეკვივალენტურია, თუმცა სივრცობრივი ეკონომიკა არ წარმოადგენს თავისუფალ ეკონომიკას, ამიტომ ეროვნულ (ზრდა და განვითარება) და რეგიონულ (თანასწორობა) მიზნებს შორის კონფლიქტი წყდება შემდეგი გზით: განვითარების ყოველ კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე, ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებიდან ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში ერთ-ერთი დომინირებს. აკადემიკოს ა.გ. გრანბერგის აზრით, „ფორმულირებების მთელი მრავალფეროვნების მიუხედავად, რეგიონული პოლიტიკის მიზნები გამოხატავენ კომპრომისს ეკონომიკურ „ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის". ამ კომპრომისის ბუნება თვითუზრუნველმყოფი რეგიონების რესურსების პრობლემური რეგიონებისთვის ნაწილობრივი გადანაწილების აუცილებლობას უკავშირდება, რომლის შედეგია პირველთა განვითარების გარკვეული შენელება და მეორეთა – დაჩქარება. რეგიონების ჯგუფებს შორის ამ კომპრომისის მოძიების თეორიული საფუძველი, და აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის ოპტიმუმის პოვნა, მრავალრეგიონულ სისტემაში პარეტოს მიხედვით ხდება.

გერმანიაში ყოფილი ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობა აღმოსავლეთის მიწების წინ წამოწევის მიზნით საშუალებების გადანაწილებას წამგებიანად თელის; ესპანეთში კატალონიის განვითარებული სამრეწველო პროვინციის მცხოვრებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ცენტრის რეგიონული პოლიტიკის მიმართ, რაც ნაკლებად განვითარებული პროვინციების მხარდაჭერას უკავშირდება. იტალიის ჩრდილოეთში სამრეწველო განვითარების დონე და მისი ფინანსური მაჩვენებლები არსებითად აჭარბებენ ქვეყნის აგრარული სამხრეთის ანალოგიურ მაჩვენებლებს, რითაც ძლიერდება სეპარატისტული განწყობები. რეგიონულ პოლიტიკაში „სამართლიანობისა" და „ეფექტიანობის" მიზნებს შორის კონფლიქტურობა განპირობებულია ერთი და იმავე საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების რეალიზაციის აუცილებლობით. ამ თვალსაზრისით, რეგიონული პოლიტიკის მიზნები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს ეხება. „სამართლიანობის" მიზნების რეალიზაციაში სხვებზე მეტად პრობლემური რეგიონების მოსახლეობა არის დაინტერესებული, რომლებშიც სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე, შეუძლებელია ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლების მოლოდინი. მეორე მიზნის რეალიზაციის პროცესში, როგორც წესი, მხარდაჭერას იღებენ სამეწარმეო საქმიანობის შედარებით უფრო კეთილსაიმედო პირობების მქონე რეგიონების მწარმოებლები.

ჩვენი აზრით, რეგიონთაშორისი უთანასწორობის შემცირება ნიშნავს, რეგიონების დაახლოებას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით.

ეს ქმნის შედარებით კეთილსასურველ პირობებს საერთოეროვნული ბაზრის ეფექტიანი განვითარებისთვის, სოციალურ-ეკონომიკურ სახეცვლილებათა ჰარმონიზაციის მენტალიტეტის ხარისხობრივი ცვლილებისა და სახელმწიფოს მთლიანობის განმტკიცებისთვის. რეგიონული განსხვავებების გაძლიერება კი აძნელებს სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის საერთო პოლიტიკის გატარებასა და საერთო ეროვნული ბაზრის ფორმირებას და თავის თავში რეგიონული კრიზისებისა თუ რეგიონთაშორისი კონფლიქტების, ეროვნული ეკონომიკის დეზინტეგრაციის, სახელმწიფოს მთლიანობის შესუსტების საფრთხეს ატარებს.


მეცნიერების ვ. ლ. ლექსინისა და ა. ნ. შვეცოვის აზრით, „მსოფლიოში არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, გაექცეს პასუხისმგებლობას სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, ეთნიკურ და სხვა რეგიონული კრიზისების დაშვებაზე, სახელმწიფოს ყველა ტერიტორიის განვითარების, როგორც მთელი ხალხის ცხოვრების გარემოს უზრუნველყოფაზე”.[77:გვ.368]

სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის სტრუქტურაში გამოიყოფა ორი შემადგენელი ელემენტი: ზოგადსისტემური და სელექციური.

ზოგადსისტემური პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს რეგიონული განვითარების ინსტიტუციონალური გარემო. ამგვარი პოლიტიკის ზომები შერჩევითი დანიშნულებისაა. ისინი ყველა რეგიონზე თანაბარზომიერად ახდენენ გავლენას, ანუ ზეგავლენის ხასიათის მიხედვით, საერთო-სახელმწიფოებრივ ზომებად გვევლინებიან. ზოგადსისტემური რეგიონული პოლიტიკის ჩარჩოებში ხორციელდება: დამოუკიდებელ და ერთობლივ მოქმედებათა სფეროების, ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობათა განსაზღვრა რეგიონების განვითარების ყველა ასპექტის მიხედვით.

გარკვეული პირობითობით სახელმწიფოებრივი პოლიტიკურ-ტერიტორიული მოწყობის შესაბამისად, განასხვავებენ ზოგადსისტემური პოლიტიკის სამ ტიპს: რეგულატიურს, კონკურენტულსა და შერეულს. რეგულატიური პოლიტიკისთვის დამახასიათებელია სახელმწიფოს დომინანტური როლი თავისი ცენტრალიზებული რესურსებით, ხოლო რეგიონები განიხილება, როგორც დაქვემდებარებულები ცენტრალურ ხელისუფლებაზე, როგორც მათი პოლიტიკის გამტარნი. ზოგადსისტემური პოლიტიკის ეს ტიპი, უმთავრესად, უნიტარულ სახელმწიფოებში გვხვდება. (იხ.სქემა)

სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის სტრუქტურის ორი შემადგენელი ელემენტი: ზოგადსისტემური და სელექციური



პოლიტიკის კონკურენტული ტიპი ხასიათდება იმით, რომ ცენტრალური ხელისუფლება მხოლოდ „ზოგად წესებს" განსაზღვრავს რეგიონებში გადაწყვეტილების მიღების სრული დამოუკიდებლობის პირობით. რეგულატიური პოლიტიკისაგან განსხვავებით, კონკურენტული რეგიონული პოლიტიკის დროს რეგიონული განვითარების მთავარ მოქმედ ძალად რეგიონები გეევლინებიან. ზოგადსისტემური პოლიტიკის ეს ტიპი, უპირატესად, ფედერალურ სახელმწიფოებშია წარმოდგენილი.

შერეული ტიპისთვის ნიშანდობლივია ორი დიამეტრულად საპირისპირო – კონკურენტული და რეგულატიური ტიპისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შეთანაწყობა.

სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის მეორე კომპონენტს წარმოადგენს სელექციური პოლიტიკა. ვიზიარებთ მეცნიერების – ვ.ნ. ლექსინისა და ა. ნ. შვეცოვის თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც: რეგიონული განვითარების სახელმწიფო სელექციური (შერჩევითი), მხარდაჭერა სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ნაწილია. თუმცა, რეგიონული პოლიტიკის ჩარჩოებში ტერმინი „სელექციურობა" უფრო ფართო განხილვას საჭიროებს, ანუ, როგორც არა მხოლოდ „სელექციური მხარდაჭერა", არამედ როგორც „სელექციური პოლიტიკა". მოცემული პოზიცია არგუმენტირდება იმით, რომ მსოფლიო პრაქტიკაში სახელმწიფოს მხრიდან შერჩევითი ზემოქმედების ობიექტებად გამოდიან არა მხოლოდ

განვითარებაში ჩამორჩენილი რეგიონები, არამედ მჭიდროდ დასახლებული მაღალურბანიზებული არეალები – მეგაპოლისებიც. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს სელექციური ზემოქმედება შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ მხარდამჭერი (მასტიმულირებელი), არამედ შემზღუდველი (ანტიმასტიმულირებელი) მეთოდებითაც.

სელექციური რეგიონული პოლიტიკა თავისთავად წარმოადგენს სპეციფიკურ ფორმას, სელექციურობის – როგორც ეკონომიკური კატეგორიის გამოვლენის კერძო შემთხვევას. სახელმწიფოს მიზანმიმართული შერჩევითი ჩარევა ქვეყნების რეგიონული განვითარების პროცესში იწყება მაშინ, როცა სივრცობრივი სოციალურ-ეკონომიკური დისპროპორციები უზომო ხდება (რაც განიხილება, როგორც საბაზრო მექანიზმების მოქმედების გარდაუვალი ნეგატიური შედეგი). რეგიონული სელექციური პოლიტიკის ობიექტის შერჩევა დამოკიდებულია სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის მიზნებზე, რომლებიც, როგორც უკვე აღინიშნა, რეგიონული პოლიტიკის ორი მოდელის: „ეფექტიანობისა" და „თანასწორობის" ფორმირებას ახდენს. რეგიონული პოლიტიკის მოდელების შინაარსიდან გამომდინარე, გამოიყოფა პოლარიზებული და გამათანაბრებელი სელექციური რეგიონული პოლიტიკა.

პოლარიზებული სელექციური რეგიონული პოლიტიკა ითვალისწინებს ერთი ან რამდენიმე გამოყოფილი, შედარებით მაღალი ეკონომიკური და საინვესტიციო პოტენციალის მქონე რეგიონის პრიორიტეტულ მხარდაჭერას სხვა რეგიონების ხარჯზე. ეს კი ქვეყნის გამოყოფილ რეგიონებში ინვესტიციების ნაკადების შემოდინებას უზრუნველყოფს, რომელიც გამოიყენება „ლოკომოტივის" („ზრდის პოლუსის") სახით მთელი ეკონომიკის განვითარების დასაჩქარებლად. თავის მხრივ, სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ ზრდას მივყავართ ჩამორჩენილი რეგიონების ეკონომიკის თანდათანობით ამაღლებასთან. ასეთი მიდგომა განვითარებადი ქვეყნებისთვთვისაა დამახასიათებელი, რომელთა შორის შედარებით უფრო ნათელ მაგალითად გვევლინება ჩინეთი. სელექციური რეგიონული პოლიტიკის მოცემული მოდელი ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებულ ზრდას უზრუნველყოფს, მაგრამ ამავდროულად, აძლიერებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებით და სოციალურ დიფერენციაციას.

გამათანაბრებელი სელექციური რეგიონული პოლიტიკა წარმოადგენს თავისთავად ეკონომიკური განვითარების დონეებისა და ქვეყნის რეგიონთა საინვესტიციო პოტენციალთა გამოთანაბრების პოლიტიკას. სელექციური რეგიონული პოლიტიკის მოცემული მოდელის ობიექტებად გვევლინება პრობლემური რეგიონები. გამათანაბრებელი რეგიონული პოლიტიკის ობიექტებად რეგიონების შერჩევა რთულ ამოცანას წარმოადგენს, რასაც ყოველი ქვეყანა დამოუკიდებლად წყვეტს. ამ შერჩევის შესაბამისად, განისაზღვრება სელექციური რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტული აპარატი, რომლის დახმარებითაც ხელისუფლება მიზნად ისახავს რეგიონების პრობლემების გადაწყვეტას.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობაში რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრებაზე მიმართული სელექციური პოლიტიკის ობიექტებად გამოიყოფა რეგიონების სულ მცირე სამი ტიპი: დეპრესიული სამრეწველო

რეგიონები, დეპრესიული აგრარული რეგიონები და მჭიდროდ დასახლებული ურბანული არეალები.

შესაბამისად, შეიძლება საუბარი გამათანაბრებელი სელექციური რეგიონული პოლიტიკის ხასიათის შესახებ. გამათანაბრებელი სელექციური პოლიტიკის ობიექტებად მჭიდროდ დასახლებული ურბანული არეალების – მეგაპოლისების, განხილვის შემთხვევაში, საუბრობენ გამათანაბრებელი სელექციური რეგიონული პოლიტიკის შემაკავებელ ხასიათზე. მაგალითად შეიძლება გამოდგეს დიდ ბრიტანეთში გამოყენებული „სამრეწველო განვითარების სერტიფიკატების პრაქტიკა", რომელთა მიღებაც აუცილებელი იყო ზემაღალი კონცენტრაციის რაიონებში ახალი წარმოებების განლაგებისთვის. არგენტინაში კი წარმოების კონცენტრაციის ზრდამ მთავრობა აიძულა, დედაქალაქში კანონმდებლობით აეკრძალა ახალი სამრეწველო საწარმოების დაარსება.

გამათანაბრებელი სელექციური რეგიონული პოლიტიკის ობიექტებად, განვითარებაში ჩამორჩენილი რეგიონების განხილვის შემთხვევაში, შეიძლება საუბარი მასტიმულირებელი ხასიათის შესახებ. გამათანაბრებელი სელექციური რეგიონული პოლიტიკის მასტიმულირებელი ხასიათი ვლინდება ჩამორჩენილ რეგიონებში ინვესტიციების ნაკადების სტიმულირებასა და ამგვარი რეგიონებისთვის ფინანსური დახმარების გამოყოფაში. ეს მიდგომა დამახასიათებელია ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. ამის ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს კანადისა და ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა.

პრობლემური რეგიონების მასტიმულირებელი სელექციური პოლიტიკა, თანამედროვე ფორმულირების შესაბამისად – „პრობლემური რეგიონების განვითარების სელექციური მხარდაჭერა", მიმართულია მხოლოდ იმ მიზნების რეალიზებისკენ, რომლებიც საბაზრო მექანიზმების მოქმედების შედეგად ავტომატურად არ მიიღწევა. პრობლემური ტერიტორიების სელექციური მხარდაჭერა განსხვავდება ტერიტორიული განვითარების სახელმწიფო რეგულირების სხვა ზომებისგან (მაგალითად, აბსოლუტურად უპირობო ტრანსფერტები) სავალდებულო ინდივიდუალური და მიზნობრივი მიმართულებით. მასტიმულირებელი სელექციური პოლიტიკის მექანიზმები ისევე მრავალფეროვანია, როგორც რეგიონების დეპრესიის სიღრმე და ხარისხი.

სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის ბაზისად, ზემოთ შემოთავაზებული პარადიგმის განხილვის საფუძველზე მიზანშეწონილია საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ზოგადსისტემური რეგიონული პოლიტიკის რეალიზების თავისებურებების შედარება. ზოგადსისტემური რეგიონული პოლიტიკის ძირითადი ტიპების ძირითადი მახასიათებლები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ სქემაში.

ნიშანთვისებები	რეგიონალური ტიპი	კონკურენტული ტიპი	შერეული ტიპი
ძირითადი პრინციპე ბი	ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება; ერთიანი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სისტემა.	სახელმწიფო ხელისუფლება ორმაგია: ფედერალური და სუბიექტების.საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ზოგჯერ, სასამართლო ხელისუფლების ორმაგი სისტემა.	სახელმწიფო ხელისუფლება ფორმალურად, ერთიანია, მაგრამ არსებობს კანონმდებლობის, ზოგჯერ აღმასრულებელი ხელისუფლების ორი დონე.
ტერიტორიული ერთეულებისა და საკანონმდებლო უფლებამოსილების სფეროები.	ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები: იქმნება,იცვლება, რეფორმირდება ცენტრის გადაწყვეტილებით.	ფედერაციის სუბიექტები: იქმნებიან, იცვლებიან, რეფორმირდებიან დამოუკიდებლად	ავტონომიებიან ფედერაციის სუბიექტები: იქმნებიან, იცვლებიან, რეფორმირდებიან დამოუკიდებლად
	ტერიტორიული ერთეულების უფლებამოსილებათა სფეროები დგინდება ცენტრალური ხელისუფლების აქტებით.	უფლებამოსილების სფეროები განისაზღვრება კონსტიტუციით და შეიცავს: ფედერაციის განსაკუთრებულ უფლებამოსილებათა ნუსხას, სუბიექტებისათვის აკრძალვათა ნუსხას, სუბიექტების კომპეტენციისა და კონკურენტული კანონმდებლობის ერთობლივ (წარმოება) პრეზუმციას.	უფლებამოლებათა სფეროები განისაზღვრება ტერიტორიული ერთეულების განაწესით და მტკიცდება (სერთიფიცირდება) ცენტრალური მთავრობის მიერ. ფედერაციისთვის კონკურირებადი კომპეტენციები.
ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოების ფორმირების მექანიზმი	განისაზღვრება საკანონმდებლო ცენტრის მიერ	განისაზღვრება დამოუკიდებლად (ფედერალური საკონსტიტუციო შეზღუდვების გათვალისწინებით).	წინადადებების შემუშავება ხდება დამოუკიდებლად, მაგრამ მტკიცდებახელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ.
ფინანსური რესურსების დანაწილების სისტემა.	ფინანსური რესურსები კონცენტრირებულია სახელმწიფო ბიუჯეტში, საიდანაც ცენტრის შეხედულებისამებრ ნაწილდება.	დაფუძნებულია საბიუჯეტო ფედერალიზმზე; ფინანსური რესურსების დანაწილების მრავალსაფეხურიანი სისტემა.	ფინანსური რესურსები ნაწილდება ცენტრის შეხედულებისამებრ ან ,,საბიუჯეტო ფედერალიზმზე" დაფუძნებული რესურსების დანაწილების მრავალსაფეხურიანი სისტემით.
ქვეყნები	საფრანგეთი, შვედეთი, დანია, იაპონია.	აშშ, მექსიკა, ბრაზილია, გერმანია, შვეიცარია, ავსტრალია, ბელგია.	იტალია, ესპანეთი, ინდოეთი, პაკისტანი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთის ფედერაცია

წყარო: Лексин В. Н, Швецов А. Н – Государство и регионы: Теория и практика государственного регулирования территориального развития. Изд. 6-е, стереотипное. — М.: Книжный дом «ЛИБРОКОМ». 2012. — 368 с.

ზოგადსისტემური რეგიონული პოლიტიკის ტიპი დამოკიდებულია სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ-ტერიტორიულ მოწყობაზე. ზოგადსისტემური რეგიონული პოლიტიკის რეგულატიური ტიპი დამახასიათებელია უნიტარული ქვეყნებისთვის: საფრანგეთი, შვედეთი, დანია, იაპონია და სხვა. უნიტარული ფორმის პოლიტიკურ-ტერიტორიული მოწყობის დროს სახელმწიფოს ტერიტორია შედგება პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული ერთეულებისგან, რომელთაც საკუთარი კანონმდებლობა არ გააჩნია. მაგალითად, იაპონიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს პრეფექტურები, ქალაქები, დაბები და სოფლები წარმოადგენენ; საფრანგეთში – დეპარტამენტები, ოლქები, კანტონები. ერთიანი სახელმწიფოს თითოეული შემადგენელი ნაწილი თანაბარ უფლებებსა და წარმომადგენლობას ფლობს სახელმწიფო ორგანოებში. სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მთელი სისრულითაა აღჭურვილი ცენტრალური ორგანოები. ზოგადსისტემური პოლიტიკის რეგულატიური ტიპისთვის დამახასიათებელია ხელისუფლების ტერიტორიული დანაწილების არარსებობა. ტერიტორიული ერთეულების უფლებამოსილების სფეროები დგინდება ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების აქტებით. ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოების მოღვაწეობა არსებითად, ცენტრის გადაწყვეტილებების შესრულებამდე დაიყვანება.

ზოგადსისტემური პოლიტიკის კონკურენტული ტიპი თავისი შინაარსით დიამეტრულად საპირისპიროა რეგულატიურ ტიპთან. ის უპირატესად, ფედერალური ტიპის სახელმწიფოებრივი მოწყობის ქვეყნებში გამოიყენება. ამ შემთხვევაში, ტერიტორიული ერთეულები სახელმწიფოსმაგვარი წარმონაქმნებია ან თვით სახელმწიფოებიც კი – ფედერაციის სუბიექტები. ფედერაციის სუბიექტების რიცხვი საკმაოდ განსხვავებული შეიძლება იყოს.

ბელგიაში ის – სამია, ავსტრალიაში – 6, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში – 7, ავსტრიაში – 9, კანადაში – 10, გერმანიაში – 16, შვეიცარიაში – 23, აშშ-ში – 50.

სიტყვა „შტატი", რომელიც შედის რიგი ფედერაციული ქვეყნების ოფიციალურ დასახელებაში და აღნიშნავს ფედერაციის სუბიექტებს (აშშ, მექსიკა, ბრაზილია და სხვ.), „სახელმწიფოს" ეკვივალენტურია. ფედერაციის სუბიექტებს ხშირად საკუთარი კონსტიტუციები გააჩნიათ (აშშ-ს, მექსიკის ყველა შტატს და სხვ.), რომლებიც ცენტრალური ორგანოების დამტკიცებას არ საჭიროებენ. შტატებს საკუთარი მთავრობები გააჩნიათ.

ზოგადსისტემური პოლიტიკის კონკურენტული ტიპისთვის დამახასიათებელია მთლიანობაში ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის კონსტიტუციურად დადგენილ კომპეტენციათა გამიჯვნა. არსებობს ფედერაციის გაძღოლისა და მისი სუბიექტების განკარგვის, ობიექტთა გამიჯვნის რამდენიმე საშუალება: ფედერაციის განსაკუთრებული უფლებამოსილებები, ფედერაციისა და სუბიექტების ერთობლივი კომპეტენცია. კონსტიტუცია ამტკიცებს ფედერაციის განსაკუთრებულ კომპეტენციებს, ხოლო ყველა დანარჩენი საკითხი სუბიექტების განკარგულებაში რჩება.

განკარგვის ობიექტების გამიჯვნის მეორე საშუალება ფედერაციის სუბიექტების განსაკუთრებული კომპეტენციის დადგენაში მდგომარეობს, რომელშიც ფედერალურ ორგანოებს არ შეუძლია ჩარევა. ეს საგანთა გამიჯვნის იშვიათ წესს წარმოადგენს და წმინდა

სახით, იგი დღეს არ გამოიყენება, მაგრამ ხშირ შემთხვევებში აშშ-ს, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების კონსტიტუციების მიერ აპრობირებულია სხვა საშუალებებთან ერთად. იგი ფედერაციის სუბიექტებს აძლევს მათი განკარგვის სფეროში ჩაურევლობის გარკვეულ გარანტიებს ფედერალური ორგანოების მხრიდან. თუმცა, სუბიექტების განკარგვის სფეროს, ჩვეულებრივ, მიეკუთვნება საკითხები, რომელთაც პრინციპული მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

კიდევ ერთი ტიპის კონსტიტუციებში დადგენილია კომპეტენციის ორი სფერო: ფედერაციები და მისი სუბიექტები (არგენტინა, კანადა და სხვ.). ზოგჯერ კონსტიტუციაში მოცემულია ორივე სფეროსთვის განკუთვნილი საკითხების ნუსხა, ხოლო ხშირად კი მკაფიოდ მხოლოდ ფედერალური უფლებამოსილებების ჩამოთვლა ხორციელდება, ფედერაციის სუბიექტებისა კი „ნეგატიური კუთხით" არის დახასიათებული – ჩამოთვლილია რა სახის ზომების გატარების უფლება არ აქვს ფედერაციას სუბიექტებთან მიმართებაში.

სახელმწიფოს ტიპური მაგალითი, სადაც კონკურირებადი კომპეტენციის ინსტიტუტი გამოიყენება, არის გერმანია. კანადის კანონმდებლობაში ასევე, გარკვეული სფეროებისთვის გათვალისწინებულია კონკურირებადი კომპეტენციები – სოფლის მეურნეობა და მიგრაციის საკითხები.

ზოგადსისტემური პოლიტიკის შერეული ტიპი თავის თავში მოიცავს ზემოთ განხილულ ტიპებს: რეგულატიურს და კონკურენტულს. მოცემული ტიპის მაგალითს მიეკუთვნება უნიტარული სახელმწიფოები – ესპანეთი და იტალია, სადაც უმაღლესი ტერიტორიული ერთეულები ფლობენ სახელმწიფოებრივ ავტონომიას (კონკურირებადი ტიპის დახასიათება), თუმცა ესპანეთისა და იტალიის ოლქების ავტონომიურ თანასაზოგადოებათა განაწესები (სტატუსები) მტკიცდება ცენტრალური პარლამენტის აქტებით (რეგულატიური ტიპის დახასიათება).

სახელმწიფო ხელისუფლება ფორმალურად ერთიანია, მაგრამ არსებობს კანონმდებლობის ორი დონე, რაც დამახასიათებელია ზოგადსისტემური რეგიონული პოლიტიკის კონკურირებადი ტიპისთვის. მაგალითად, 1947 წლის იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 117-ე თავის თანახმად, სახელმწიფოს კანონმდებლობის მიერ დამტკიცებული ძირითადი პრინციპების ფარგლებში ეროვნული ინტერესებისა და სხვა ოლქების ინტერესებთან არაწინააღმდეგობრიობის პირობით, ოლქს შეუძლია გამოსცეს საკანონმდებლო ნორმები 18 პოზიციის მიხედვით (სამხარეო დაქვემდებარების უწყებებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ორგანიზაცია, თემების საზღვრები, ადგილობრივი პოლიცია, ქალაქმშენებლობა, სასოფლო და სატყეო მეურნეობები და სხვ.).

კომპეტენციათა გამიჯვნის განსაკუთრებული წესი დამახასიათებელია პაკისტანის, ნიგერიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნისთვის – რაც იმაში მდგომარეობს, რომ კონსტიტუცია მხოლოდ ორი სფეროს ნუსხას იძლევა: ფედერალურსა და ერთობლივი კომპეტენციისას. განსაკუთრებულ უფლებამოსილებათა სუბიექტების ნუსხა კი არ მოიპოვება. (მართალია, პაკისტანის კონსტიტუციაში იგი მოიხსენიება, მაგრამ სინამდვილეში არ არსებობს). ზოგადსისტემური პოლიტიკის შერეულ ტიპში უფლებების, უფლებამოსილებებისა და პრივილეგიების ერთობლიობა ყოველ ტერიტორიაზე ინდივიდუალურია.

ჩვენი აზრით, საქართველოში ზოგადსისტემური პოლიტიკის შერეული ტიპი გამოიყენება, რამდენადაც მისთვის დამახასიათებელია, როგორც რეგულატორული, ისე კონკურენტული ტიპის თავისებურებები. საქართველოს რეგიონული პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი ხარისხითაა დამახასიათებელი უნიტარული და არა ფედერაციული ან რეგიონული (მაგ. ესპანეთი) სახელმწიფოს ნიშან-თვისებები.

დღეს ყველა აღიარებს საქართველოში რეგიონული პოლიტიკის სრულყოფის აუცილებლობას. ჩვენი აზრით, საქართველოს რეგიონულ პოლიტიკაში უნდა გაძლიერდეს კონკურენტული ტიპის ნიშან-თვისებები, ანუ შეიქმნას პირობები რეგიონული (ადგილობრივი) ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებათა გაფართოებისთვის, ხოლო ცენტრის როლი კი – ინსტიტუციონალური მშენებლობის სფეროში რეგიონული (ადგილობრივი) ინიციატივების ეფექტიანი განვითარების ხელშემწყობისა და საერთო ინსტიტუციონალური პირობების შექმნაში უნდა მდგომარეობდეს (ეს შეიძლება ეტაპობრივი იყოს).

6.2 საბიუჯეტო დონეებს შორის მოთხოვნილებების განაწილების საერთაშორისო გამოცდილება

მოსახლეობის საბიუჯეტო მოთხოვნილებების შეფასება ნებისმიერი სახელმწიფოს საბიუჯეტო რესურსების საბიუჯეტო დონეებს შორის განაწილების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ამგვარი განაწილების ძირითად ფორმად ბიუჯეტთაშორისი ტრანსფერტები განიხილება, მათ შორის, გამათანაბრებელი ფინანსური დახმარებაც. სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, გამათანაბრებელი ტრანსფერტების ბიუჯეტშორისი სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ეკონომიკური ეფექტიანობა – დადებითი სტიმულები ქვემდგომი ორგანოებისთვის საბიუჯეტო მომსახურების ეფექტიანად წარმოსადგენად, რაც ძირითადად, ფინანსური დახმარების მეთოდიკის სტაბილურობისა და გამჭვირვალობის, აგრეთვე, მისი არამიზნობრივი ხასიათის ხარჯზე მიიღწევა და ხელისუფლების ტერიტორიულ ორგანოებს მოსახლეობის უპირატესობების (პრეფერენციების) შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას აძლევს;
- ტერიტორიული სამართლიანობა – მოსახლეობის საკვანძო საზოგადოებრივი მომსახურების საბაზო მოცულობისადმი ხელმისაწვდომობის გამოთანაბრება ქვეყნის ყველა ტერიტორიაზე.
- საზოგადოებრივი ფინანსების მართვა პასუხისმგებლობის საფუძველზე – სტიმულების არსებობა რაციონალური და ანგარიშვალდებული საბიუჯეტო პოლიტიკის გასატარებლად სუბნაციონალურ დონეზე.[78]

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების შესაბამისი ბიუჯეტშორისი გამოთანაბრების სისტემების შემუშავების დროს ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები როგორც წესი, მთელ რიგ პრინციპულ პრობლემებს აწყდებიან. ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს გამათანაბრებელი ფინანსური დახმარების წარმოდგენის მიზნების გან-

საზღვრა შეადგენს. საბიუჯეტო ფედერალიზმის თეორია გამოყოფს საბიუჯეტო გამოთანაბრების რამდენიმე ბაზისურ მოდელს:

- სუბნაციონალური ან ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო პოტენციალის გამოთანაბრება;
- საბიუჯეტო მომსახურების წარმოდგენის (ხარჯვითი მოთხოვნილებების ანგარიში) დონეების გამოთანაბრება;
- რეგიონის საშემოსავლო შესაძლებლობების გამოთანაბრება ხარჯვითი მოთხოვნილებების ტერიტორიული დიფერენციაციის გათვალისწინებით.[79]

საბიუჯეტო გამოთანაბრების ამა თუ იმ მიდგომის არჩევანი დამოკიდებულია ზემდგომი ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც თავის მხრივ, ქვემოთ განხილული მრავალრიცხოვანი სოციალურ-ეკონომიკური და ფისკალური ფაქტორებით განისაზღვრება.

მნიშვნელოვან ამოცანას საბიუჯეტო მომსახურების ნუსხის, ხელმისაწვდომობისა და წარმოდგენის დონის განსაზღვრა წარმოადგენს, რომლებიც გამოთანაბრებას ექვემდებარება ბიუჯეტშორისი ტრანსფერტების დახმარებით.

მოცემული პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტები დამოკიდებულია ხელისუფლების ორგანოების ფინანსური დახმარების გამანაწილებელ ხარჯვით პრიორიტეტებზე აგრეთვე, შესაბამისი ფინანსური სტატისტიკის არსებობაზე. მთავარ საკითხს აგრეთვე, კაპიტალურ ხარჯებში ქვემდგომი ხელისუფლების მოთხოვნილებების გათვალისწინების შესაძლებლობა წარმოადგენს. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ძალზე ცოტა ქვეყანა ატარებს კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამოთანაბრებას ერთიანი ტრანსფერტის ფარგლებში.[80] დომინანტურ მიდგომას ქვემდგომი ხელისუფლების საშემოსავლო შესაძლებლობების გამოთანაბრება წარმოადგენს სოციალური მომსახურების ბაზისური ნუსხის წარმოსადგენად მიმდინარე ხარჯების განხორციელების მიხედვით. მათ, როგორც წესი, განეკუთვნება საზოგადოებრივ კეთილდღეობათა რიგი: განათლება, ჯანდაცვა, კომუნალური მომსახურება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სახელმწიფო მართვის მომსახურებათა სხვები.[81]

სხვა პრაქტიკული მნიშვნელობის პრობლემა იმ ბიუჯეტშორისი ტრანსფერტების ტიპების განსაზღვრაში მდგომარეობს, რომლებიც საბიუჯეტო განოთანაბრებისთვის გამოიყენება. ზემდგომი ორგანოების საგადასახადო საბიუჯეტო პოლიტიკის სხვადასხვა მიზნებს ტრანსფერტების სხვადასხვა ტიპები შეესაბამება. როგორც წესი, რეგიონების საშემოსავლო შესაძლებლობების გამოთანაბრება ხორციელდება არამიზნობრივი ბლოკური ტრანსფერტების მეშვეობით საბაზო საბიუჯეტო მომსახურების წარმოსადგენად, მაშინ როცა საინვესტიციო ფინანსური დახმარების განსაზღვრის დროს მიზნობრივი (წილობრივი) ტრანსფერტები გამოიყენება.[82:გვ.85-99]

საერთაშორისო გამოცდილება მოცემული პრობლემების გადაწყვეტის სხვადასხვა მიდგომების არსებობას ადასტურებს. ამა თუ იმ ქვეყანაში ტრანსფერტების წარმოდგენის პრაქტიკა მრავალრიცხოვანი ფაქტორებით განისაზღვრება, რომლებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ:

1. საბიუჯეტო სისტემის ჰორიზონტალური დაუბალანსებულობის ხარისხი. რეგიონებს შორის სოციალურ-ეკონომიკური და ფისკალური განსხვავებების მნიშვნელოვანი მასშტაბები,, როგორც წესი, ხელისუფლების ფედერალური ან სუბნაციონალური ორგანოების მიერ მასშტაბური გადანაწილებითი პოლიტიკის გატარების აუცილებლობას იწვევს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, აშშ-ში მკაფიო რეგიონული კონტრასტები არ წარმოადგენს ფედერალური ცენტრის მიერ რეგიონული საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების საფუძველს. მრავალრიცხოვანი გამოკვლევები აჩვენებს, რომ წარმოების ფაქტორთა მაღალ მობილობასთან შერწყმულ ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოების ფისკალურ ავტონომიას ტერიტორიული დისპროპორციების ნიველირებასთან მივყავართ. თუმცა, მოცემული პირობები ყოველთვის არ გამოდგება განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების შემთხვევაში.

2. საბიუჯეტო სისტემის ვერტიკალური დაუბალანსებულობის ხარისხი. სუბნაციობალურ (სუბრეგიონულ) ორგანოებზე მიმაგრებულ ხარჯვით უფლებამოსილებებსა და საკუთარ საშემოსავლო წყაროებს შორის მრავალი მიზეზით გამოწვეული დისბალანსი საბიუჯეტო სისტემის დონეებზე ფინანსური რესურსების ხელაზალი გადანაწილების წანამძღვრებს ქმნის. პრაქტიკაში ამგვარი გადანაწილება, როგორც წესი, საბიუჯეტო დონეებს შორის საგადასახადო შემოსავლების დანაწილების მეშვეობითა და აგრეთვე, არამიზნობრივი ბლოკური ტრანსფერტების გზით ხორციელდება.

3. ფისკალური დეცენტრალიზაციის ხარისხი, როგორც ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოების მიერ საგადასახადო-საბიუჯეტო გადაწყვეტილებების მიღების ავტონომიურობის ხარისხი განსაზღვრავს საგადასახადო შემოსავლების შემოსულობის დონესა და წარმოდგენილი საბიუჯეტო მომსახურების მოცულობის დისპროპორციის ხარისხს. ეს თავის მხრივ, შეიძლება გახდეს გამოთანაბრების პოლიტიკის გატარების საფუძველი.

4. საზოგადოებრივი აზრი ტერიტორიული დისპროპორციების შესახებ ფედერალური და სუბნაციონალური გადანაწილების პოლიტიკის მასშტაბებს განსაზღვრავს არჩევნების გზით. როგორც წესი, უნიტარული მაღალცენტრალიზებული საბიუჯეტო სისტემების ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრი უფრო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ნაკლები ფისკალური ავტონომიისკენ და რეგიონთაშორისი ფისკალური კონტრასტების გამოთანაბრებაში ცენტრალური ხელისუფლების როლის გააქტიურების მიმართულებით იხრება. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გავლენა ბიუჯეტთაშორისი გამოთანაბრების სპეციფიკური სისტემების ფორმირებას იწვევს, რომელთა კლასიფიკაციაც რთულ ამოცანას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, გარკვეული პირობითობით შეიძლება ქვეყნების დაჯგუფება საბიუჯეტო გამოთანაბრების მიზნების, პირობებისა და მეთოდიკის მიხედვით.

მიზნები	გამოთანაბრების ობიექტი	პირობები	ქვეყანა
საბიუჯეტო მომსახურების ერთიანი მოცულობისადმი ხელმისაწვდომობა	ერთ სულ მოსახლეზე საბიუჯეტო ხარჯების ანგარიში	დაბალი ავტონომია ხარჯების მიხედვით, საშემოსავლო შესაძლებლობების უმნიშვნელო დიფერენციაცია	იტალია, ესპანეთი, ინდოეთი, ნიგერია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, უგანდა
საშემოსავლო შესაძლებლობების გამოთანაბრება	საგადასახადო პოტენციალი	საშემოსავლო შესაძლებლობების უმნიშვნელო დიფერენციაცია, მიზნობრივი ტრანსფერტების არსებობა ხარჯვითი მოთხოვნილებების გათვალისწინებით	კანადა
საშემოსავლო შესაძლებლობების გამოთანაბრება საბიუჯეტო მომსახურების ერთიანი დონის ხელმისაწვდომობის მიზნით	ხარჯვით მოთხოვნილებებს და საგადასახადო პოტენციალს შორის სხვაობა	საშემოსავლო შესაძლებლობებისა დახარჯვითი მოთხოვნილებების მნიშვნელოვანი დიფერენციაცია	გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, დანია, შვეცია, რუსეთი, ლიტვა, ავსტრალია, ჩინეთი, ინდონეზია, იაპონია, კორეა

წყარო: Boex and Martinez-Vazquez (2004) Designing Intergovernmental Equalization Transfers with Imperfect Data: Concepts, Practices, and Lessons, Georgia State University.

ქვეყნები სუბნაციონალური ხელისუფლების დაბალი ხარჯვითი ავტონომიით (ესპანეთი, იტალია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) როგორც წესი, ათანაბრებენ მოსახლეობისთვის წარმოდგენილი საბიუჯეტო მომსახურების მოცულობას რეგიონების საშემოსავლო შესაძლებლობების შეფასებების გამოყენების გარეშე.

ერთ-ერთი იმ მცირე ქვეყნებიდან კანადაა, სადაც ფორმალურად განსაკუთრებით სწორედ ტერიტორიების საგადასახადო პოტენციალი თანაბრდება. ეს ფაქტი ზოგიერთ მკვლევართა მხრიდან კრიტიკას იმსახურებს, რომლებიც კანადის პროვინციების ფინანსურ მოთხოვნილებებში მნიშვნელოვანი განსხვავებების გათვალისწინების აუცილებლობაზე მიუთითებს.[83:გვ.99-115]

ქვეყნების უმრავლესობა საბიუჯეტო გამოთანაბრების შერეული მეთოდიკების გამოყენებას მიმართავს ტერიტორიების, როგორც ფისკალური პოტენციალის, ისე საბიუჯეტო მოთხოვნილებების გათვალისწინების საფუძველზე, რაც საზოგადოებრივ კეთილდღეობათა მომხმარებლებისთვის თანაბარი ტერიტორიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ამოცანის შედარებით უფრო ეფექტიანად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად ყველა ქვეყანა სახელმწიფო მოწყობის ტიპის მიუხედავად, ამა თუ იმ ხარისხით იყენებს ტერიტორიული ბიუჯეტების ხარჯვითი მოთხოვნილებების შეფასებას. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილი იქნება სუბნაციონალურ ხელისუფლებათა ხარჯვითი მოთხოვნილებების განსაზღვრის საერთაშორისო პრაქ-

ტიკის დაწვრილებით განხილვა რუსეთის ფედერაციის პირობებში გამოყოფილი მიდგომების შესაძლო გამოყენების კონტექსტში.

მოთხოვნილებების გაანგარიშება ფაქტობრივი საბიუჯეტო ხარჯების საფუძველზე. ხარჯვითი მოთხოვნილებების შეფასების შესაძლო მიდგომას საბაზო წელში ან დროის გარკვეულ პერიოდში ფაქტობრივი საწარმოო საბიუჯეტო ხარჯების ანგარიში განეკუთვნება. მოცემული მეთოდიკის უპირატესობას მისი შედარებითი გამჭვირვალობა და გამოყენების სიმარტივე წარმოადგენს.

ასეთი მიდგომის რეალიზება შესაძლებელია სუბნაციონალური ხელისუფლების მიერ საგადასახადო-საბიუჯეტო გადაწყვეტილებების მიღებაში ავტონომიის საკმაო ხარისხის არსებობის პირობებში. ამ შემთხვევაში, იზრდება იმის ალბათობა, რომ ბიუჯეტების ფაქტობრივი ხარჯები მოსახლეობის ფისკალურ უპირატესობათა რეგიონთაშორის დიფერენციაციას შეესაბამებოდეს. ხანგრძლივ პერიოდში ცენტრალიზებული ხარჯვითი პოლიტიკის არსებობისას, რომლის ფარგლებშიც რეგიონების ხარჯვითი მოთხოვნილებები ხშირად ფინანსური რესურსების განაწილების პრიორიტეტს არ წარმოადგენს, ფაქტობრივი ხარჯები ყოველთვის ზუსტად არ ასახავს მოსახლეობის ამა თუ იმ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე მოთხოვნის დონეს.

საბიუჯეტო მოთხოვნილებების შეფასების მოცემულმა მიდგომამ მსოფლიო პრაქტიკაში საკმაოდ ფართო გავრცელება ჰპოვა, კერძოდ, ესპანეთში, ფინანსური დახმარების ზოგიერთმა სახემ ინდონეზიაში, ვიეტნამსა და აგრეთვე, მთელ რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

მეთოდის მთავარი ნაკლი სუბნაციონალური ხელისუფლებისთვის არარაციონალური ხარჯების შესამცირებლად სტიმულების არარსებობაში მდგომარეობს, რადგან საანგარიშო წელს გადაჭარბებული ხარჯების ბაზა შემდგომ პერიოდებშიც ფინანსური დახმარების მოცულობის ზრდას იწვევს. უფრო მეტიც, ამგვარი პრაქტიკა თავისი არსით, სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტებით უზრუნველყოფაში რეგიონული განსხვავებების კონსერვაციას ახდენს და საკვანძო საბიუჯეტო მომსახურებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გამოთანაბრებას ეწინააღმდეგება. როგორც საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, ხარჯვითი მოთხოვნილებების შეფასების მოცემული მიდგომა საიმედო რეგიონალური სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, აგრეთვე, საბიუჯეტო მომსახურებაზე მოთხოვნის შეფასების უფრო ობიექტურ მეთოდიკაზე გადასვლის პირობებში გამოიყენება.

მოთხოვნილებების შეფასება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. სხვა მიდგომა გულისხმობს ჰიპოთეზას ყველა რეგიონის ხარჯვითი მოთხოვნილებების ერთიანი დონის შესახებ. ამ შემთხვევაში, თუ საბიუჯეტო გამოთანაბრება უპირატესად ხარჯვითი მოთხოვნილებების საფუძველზე ხორციელდება, მაშინ ყველა რეგიონი-რეციპიენტი (მიმღები სუბიექტი) მთლიანი ფინანსური დახმარების თანაბარ წილს იღებს ერთიანი ჯამიდან მათი მოსახლეობის რაოდენობისა თუ სხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად. მოყვანილი მეთოდიკა ნეპალში გამოიყენება, ნაწილობრივ, ნიგერიასა და ინდონეზიაში. თავისი გამჭვირვალობის მიუხედავად აშკარაა, რომ მოცემული მიდგომის

გამოყენებას საბიუჯეტო გამოთანაბრების შედეგად რეგიონების განსხვავებულ ხვედრით საბიუჯეტო უზრუნველყოფასთან მივყავართ.

ამასთან დაკავშირებით, მთელ რიგ ქვეყნებში საბიუჯეტო მოთხოვნილებების ძირითად ზომად ტერიტორიის მოსახლეობის რაოდენობა წარმოადგენს. ვარაუდობენ, რომ სხვადასხვა რეგიონის მცხოვრებლები თანაბარ მოთხოვნას ავლენენ საზოგადოებრივ კეთილდღეობათა ერთსა და იმავე სტანდარტულ ნუსხაზე. ასეთი მეთოდიკა, არსებითად, გერმანიასა და კანადაში გამოიყენება, სადაც საბიუჯეტო რესურსებში რეგიონების მოთხოვნილებათა სპეციალური შეფასება არ ხორციელდება[84], აგრეთვე, ბანგლადეშში.[85] აღნიშნული მეთოდის ნაკლი ფასებზე გაძვირების ფაქტორთა გაუთვალისწინებლობაა, რომელიც საბიუჯეტო მომსახურებათა ერთეულის წარმოდგენის ღირებულების ვარიაციას განსაზღვრავს.

საფინანსო ნორმატივების ანგარიში საბიუჯეტო შეზღუდვებიდან გამომდინარე, ხარჯვითი შესაძლებლობების განსაზღვრის გავრცელებულ წესს წარმოადგენს საფინანსო ნორმატივების ანგარიში მომავალ საფინანსო წელს ამა თუ იმ სახის საბიუჯეტო მომსახურებაზე გეგმიური ერთიანი ხარჯებიდან ამოსვლით. გაანგარიშება იწარმოება გეგმიური ხარჯების საერთო რაოდენობის გაყოფით მომხმარებელთა რიცხვზე (სასკოლო ასაკის ბავშვები, მოსახლეობა შრომისუნარიანობის ასაკზე ზემოთ და ა.შ). საზოგადოებრივ კეთილდღეობათა წარმოდგენის მნიშვნელოვანი ტერიტორიული დიფერენციაციის არსებობის პირობებში შეიძლება გაანგარიშებული ნორმატივების კორექტირება გეოგრაფიულ პირობებში განსხვავებების ამსახველი ინდექსების მიხედვით. აღნიშნული მეთოდიკა მოქმედია უმთავრესად გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მაგალითად, უკრაინაში,[86] აგრეთვე, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისთვის დელეგირებული ხარჯვითი უფლებამოსილებების ფინანსირების დროს, როგორც მაგალითად, ჩინეთსა[87] და ვიეტნამში. მიდგომის თვალსაჩინო უპირატესობას მისი გამჭვირვალობა, სტატისტიკურ ინფორმაციაზე შედარებით ნაკლები მოთხოვნა, აგრეთვე, ხელმისაწვდომ ფინანსურ რესურსებზე დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინება წარმოადგენს. ამ მეთოდის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ხარჯვითი მუხლების მიხედვით, ერთიანი რესურსების განაწილება ყოველთვის არ შეესაბამება მოსახლეობის რეალურ საბიუჯეტო მოთხოვნებს. როგორც წესი, განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნების პირობებში ხარჯვით პრიორიტეტებს შორის რესურსების ალოკაცია ისტორიულად დადგენილი განაწილების საფუძველზე ხორციელდება.

ფინანსური ნორმატივების ანგარიში სოციალური სტარდარტებიდან და ნორმატივებიდან გამომდინარე. ხარჯვითი მოთხოვნილებების შეფასების ერთ-ერთ მეთოდს ზოგიერთი სტანდარტული საბიუჯეტო მომსახურების წარმოების თვითღირებულების გაანგარიშება მიეკუთვნება. ამგვარი მიდგომის გამოყენება მომსახურების მკვეთრად დადგენილი „სტანდარტების" („ნორმატივების") მოცულობას, აგრეთვე, ყველა მომსახურებასა და პროდუქციაზე ფასების შესახებ ინფორმაციის არსებობას მოითხოვს, რომელიც მომსახურების სტანდარტული ნუსხის წარმოების დროს გამოიყენება. ცხადია, რომ თვითღირებულების გაანგარიშებისთვის აუცილებელია საზოგადოებრივ სექტორში წარმოებულ მომსახურებათა ღირებულების შეფასების მეთოდოლოგია, ანუ საბაზრო ფასთწარმოქმნის არარსებო-

ბის პირობებში. შედარებით უფრო დასრულებული სახით ეს მიდგომა ბიუჯეტირების საბჭოთა პრაქტიკაში გამოიყენებოდა.[88:გვ.277-292] საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დაგეგმვის სამსახური და დარგობრივი სამინისტროები ნატურალური ნორმატივების მნიშვნელოვნად დიდ მოცულობას ითვალისწინებდნენ, რომელთა მეშვეობით საბიუჯეტო მომსახურებათა და საქონლის წარმოების რეგლამენტირება ხდებოდა. ამ ნორმატივების შემუშავება, როგორც წესი, ხორციელდებოდა საბიუჯეტო შეზღუდვებთან მიბმის გარეშე, რის გამოც ხშირად ისინი მთლიანი მოცულობით არ ფინანსდებოდა. აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ რუსეთში რეგიონული და ადგილობრივი ორგანოები მოცემულ ნორმატივებს იყენებდნენ ბაზის სახით ბიუჯეტების ხარჯვითი მოთხოვნილებების გაანგარიშებისთვის ზემდგომ ორგანოებთან ფინანსური დახმარების მოცულობის შეთანხმებულობის პირობებში. 1990-იან წლებში პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობა განაგრძობდა საბჭოთა ნორმატივების გამოყენებას ბიუჯეტების დაგეგმვისა და ქვემდებარე ბიუჯეტებისთვის ფინანსური დახმარებების განაწილების მიზნით.

მოცემული მიდგომის გამოყენება მთელ რიგ სიძნელეებსა და ნაკლოვანებებს უკავშირდება. პირველ რიგში, იგი მოითხოვს დიდი მოცულობის ფინანსურ და სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის (მათ შორის, ტერიტორიულ ჭრილში) დამუშავებას, რაც გარდამავალი ეკონომიკების განვითარებად ქვეყნებში სტატისტიკური ინფორმაციის შეკრების არასრულყოფილი სისტემების არსებობის პირობებში ფინანსური ნორმატივების გაანგარიშებათა მნიშვნელოვან დამახინჯებებს იწვევს. მეორეც, საბიუჯეტო მომსახურებით უზრუნველყოფის სოციალური სტანდარტები თუ ნატურალური ნორმატივები როგორც წესი, პროფილური სამინისტროების მიერ იანგარიშება, რომლებიც თავის ვიწრო დარგობრივ მიზნებს მისდევენ და ხშირად, იგნორირებას უწევენ საბიუჯეტო სისტემის ფინანსურ შეზღუდვებს. მესამე, სოციალური უზრუნველყოფის გაანგარიშებული ეს სოციალური სტანდარტები და ნორმატივები მომხმარებლებში საბიუჯეტო მომსახურების გაზრდილ მოლოდინებს ქმნის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის საფინანსო სისტემის ფუნქციონირებაში სოციალური რისკების ზრდა. მეოთხე, საბიუჯეტო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის ნატურალური მაჩვენებლების გამოყენება ხელისუფლების სუბნაციონალური ორგანოების სტიმულირებას ახდენს საბიუჯეტო ქსელის არაეფექტური ორგანიზაციების კონვერსაციის განსახორციელებლად.

ნატურალური ნორმატივების საფუძველზე საბიუჯეტო მოთხოვნილებების გაანგარიშება, როგორც წესი, მრავალ განვითარებულ მაღალცენტრალიზებულ ქვეყანაში გამოიყენება. ამ სახელმწიფოთა ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები ამა თუ იმ პრიორიტეტული საბიუჯეტო მომსახურების წარმოდგენის მთელ რიგ ნორმატივებსა და სტანდარტებს განსაზღვრავს, რომელთა მიხედვითაც ქვემდგომი ხელისუფლებისთვის ვალდებულებების დელეგირება ხორციელდება. მაგალითად, დანიაში, ნიდერლანდებსა და იაპონიაში.[89:გვ.387-435] სუბნაციონალური ბიუჯეტები იღებს სახსრებს როგორც წესი, სუბვენციების სახით ამა თუ იმ სახის ხარჯვითი უფლებამოსილებათა შესრულებისთვის.

გამარტივებული მიდგომა დამკვიდრებულია, კერძოდ, უგანდაში, ტანზანიასა და ჩინეთში[90], სადაც საბიუჯეტო მომსახურების წარმოდგენის სახელმწიფო სტანდარტები

შრომის ანაზღაურებაზე ფაქტობრივი ხარჯების, მატერიალური დანახარჯების მეშვეობით ფასდება.

ხარჯების რეპრეზენტატიული სისტემა. რეპრეზენტატიული სისტემის მეთოდი მოცემულ რეგიონში საბიუჯეტო მომსახურების ერთიანი ნუსხის წარმოდგენის ღირებულების შეფასების შესაძლებლობას იძლევა. მიდგომის საფუძველში დევს ჰიპოთეზა ხარჯვითი მოთხოვნილებების ტერიტორიული განაწილების შესაბამისობის შესახებ საბიუჯეტო მომსახურებაზე მოთხოვნის გეოგრაფიულ დიფერენციაციასთან. მისი გაანგარიშება ხდება საბიუჯეტო მომსახურების რეციპიენტთა რიცხვის მიხედვით.

ამ მიდგომის შესაბამისად, საბიუჯეტო მოთხოვნილებების შეფასების საწყისი ეტაპი ყოველ რეგიონში წარმოდგენილი საბიუჯეტო მომსახურებათა სტანდარტების განსაზღვრაში მდგომარეობს. ამის შემდეგ, შერჩეული თითოეული მომსახურებისთვის განისაზღვრება მიმხმარებელთა კატეგორია. თავის მხრივ, მომსახურების მიმღებთა საერთო რაოდენობაში რეგიონის ხვედრითი წილი შესაძლებლობას იძლევა მოხდეს მოცემულ მომსახურებაზე ტერიტორიის შედარებითი მოთხოვნის შეფასება. მომსახურებაზე ამგვარი მოთხოვნის ზომა შეიძლება, აგრეთვე, შესწორდეს მომსახურების წარმოდგენის გეოგრაფიული ფაქტორების ვარიაციის მეშვეობით შეფასებული ღირებულების დიფერენციაციის გათვალისწინებით. ყველა რეგიონში წარმოდგენილი კონკრეტული საბიუჯეტო მომსახურებათა ხარჯების ერთიანი მოცულობის გაყოფა სერვისის მომხმარებელთა საერთო რაოდენობაზე იძლევა მომსახურების შერჩეული სახისათვის გაღებული ხარჯების საშუალო სულად მოცულობას. ამგვარად, რეგიონის საბიუჯეტო მოთხოვნა საბიუჯეტო მომსახურების სტანდარტულ ნუსხაზე შეიძლება გამოისახოს შემდეგი სახით:

$$N_i = \sum_{j=1}^{m} D_{ij} \cdot n_j ,$$

სადაც N_i - i-ურ რეგიონებში j მომსახურებათა ნუსხის ღირებულებაა;

D_{ji} - i-ური რეგიონის შედარებითი მოთხოვნილება მომსახურებაზე;

nj – წარმოდგენილ მომსახურებაზე გაღებული ხარჯების საშუალო სულადი მოცულობა.

ამ სახით, მოცემული მეთოდი საბიუჯეტო შეზღუდვებიდან ამოსვლით გაანგარიშებული ნორმატივების გამოყენების ანალოგიურია. თუმცა მოცემული მიდგომის მოდიფიცირებული ვერსიებიც არსებობს, რომლებიც, კერძოდ, ამა თუ იმ მომსახურების სტანდარტულ დონეს აფასებენ საბიუჯეტო ხარჯებზე გეოგრაფიული ფაქტორების გავლენის რეგრესიული მოდელების მეშვეობით საგადასახადო პოტენციალის ფაქტორის კონტროლის პირობებში. მეთოდიკის გამარტივებული ვარიანტი გამოიყენება ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგიერთი სახის ბიუჯეტშორისი ტრანსფერტების განაწილების დროს.[91]

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ მოცემული მიდგომის ძირითადი პრობლემა საბიუჯეტო მომსახურების სტანდარტული ნუსხის არჩევანში მდგომარეობს. ხარჯვითი დეცენტრალიზაციის მნიშვნელოვანი დონის პირობებში რეგიონებს შეუძლიათ საბიუჯეტო მომსახურების სხვადასხვა შეთანაწყობის წარმოდგენა მომსახურების წარმოების სხვა-

დასხვა საშუალების გამოყენებით (მათ შორის, კერძო სექტორის სუბიექტების მიზიდვის გზით). ამ შემთხვევაში, რეგიონებს შორის საბიუჯეტო მომსახურების მოთხოვნილებების შედარება უფრო ნაკლებ კორექტული ხდება.

შედარებითი საბიუჯეტო მოთხოვნილებების ინდექსები. მსოფლიო პრაქტიკაში საბიუჯეტო მოთხოვნილებების განსაზღვრის ყველაზე უფრო გავრცელებულ მიდგომად რეგიონების შედარებითი საბიუჯეტო მოთხოვნილებების ინდექსების გაანგარიშება არის მიღებული. მოცემული მეთოდის ძირითად თეორიულ წანამძღვარს წარმოადგენს მტკიცება რეგიონის საბიუჯეტო მოთხოვნილებების დონის გარკვეულ გეოგრაფიულ ფაქტორებზე დამოკიდებულების შესახებ. ეს ფაქტორები ზრდიან ან ამცირებენ ტერიტორიის საერთო მოთხოვნილებებს ამა თუ იმ საბიუჯეტო მომსახურების დაფინანსებაში. როგორც წესი, ამ მიდგომის ფარგლებში საბიუჯეტო მომსახურებათა „სტანდარტის" განსაზღვრა პრინციპულ როლს არ თამაშობს, ხოლო მისი სარგებლობის ძირითად შედეგს საბიუჯეტო მოთხოვნილებების ტერიტორიათაშორისი შეთანაწყობის შეფასება წარმოადგენს.

ზოგადი სახით, რეგიონში საბიუჯეტო ხარჯების დონე განისაზღვრება შემდეგი სისტემით:

$$1.\ N_j = \sum_{i=1}^{n} \varphi_i \cdot f_i \quad \text{როცა } j=1,2,\ldots,n$$

$$2.\ \sum_{i=1}^{n} \varphi_i = 1, \quad \text{სადაც}$$

N_j_j მომსახურებაზე რეგიონის შედარებითი მოთხოვნილება,

f_{ij}_j მომსახურების წარმოდგენის ღირებულებასა და მოცულობაზე გავლენას მქონე i გეოგრაფიული ფაქტორის ნორმირებული მნიშვნელობა რეგიონში;

Φi_i ფაქტორის ხვედრითი წილი.

ზემოთ განხილული მიდგომის გამოყენება მჭიდროდ უკავშირდება მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტას. პირველი, განისაზღვრება გეოგრაფიული ფაქტორებისა და პირობების ერთობლიობა, რომლებიც თეორიულად ტერიტორიული ბიუჯეტების ხარჯვით მოთხოვნილებებზე ახდენს გავლენას. სავარაუდოა, რომ ამ ფაქტორებს უნდა მივაკუთვნოთ საკმაოდ ობიექტური რეგიონული პარამეტრები, აგრეთვე საბიუჯეტო მოთხოვნილებების დონეზე გავლენის მქონე ტერიტორიის საშემოსავლო ბაზისთვის დამახასიათებელი ცვლადები. გამოყენებულ ფაქტორთა რაოდენობა, როგოც წესი, დამოკიდებულია საიმედო სტატისტიკური მონაცემების არსებობაზე, აგრეთვე, ხარჯვითი მოთხოვნილებების გამომთვლელი ფორმულის გამჭირვალობისა და სიმარტივის იმპერატივზე. მაგალითად, უგანდასა და ინდოეთში მხოლოდ ორი ფაქტორი გამოიყენება: მოსახლეობის რაოდენობა და ტერიტორიის ფართობი, ხოლო შვეიცარიაში – მოსახლეობის რაოდენობა და მთიან რაიონებში მცხოვრები მოსახლეობის წილი,[92] მაშინ როცა დიდ ბრიტანეთში, ავსტრა-

ლიაში, ნიდერლანდებში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში 30-ზე მეტი მახასიათებელი გამოიყენება.

მეორე. აუცილებელია ფაქტორების შედარებითი მნიშვნელობის ამსახველი ხვედრითი წილის განსაზღვრა. ამ ამოცანის გადაწყვეტა, როგორც სტატისტიკური მეთოდების მეშვეობით ხორციელდება (მაგ, დიდ ბრიტანეთი, შვეცია, ბულგარეთი და სხვ.) ასევე ხორციელდება ხარჯვითი მუხლის წილის გაანგარიშების გზითაც, რაზეც სუბნაციონალური ბიუჯეტების ერთიან ხარჯებში მოცემული ფაქტორი/ფაქტორები ახდენს გავლენას (მაგ. ლატვია). [93] უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი ქვეყანა ტერიტორიის საბიუჯეტო ხარჯვითი მოთხოვნილებების გაანგარიშების ფორმულის საზით მონოფაქტორული რეგრესიის მეთოდიკას იყენებს, რომელიც აფასებს კავშირს ბაზისური წლის განმავლობაში ბიუჯეტების ფაქტობრივ ხარჯებსა და მათ დიფერენციაციაზე გავლენის მქონე ფაქტორებს შორის. ფაქტობრივად, [94] ეს ხერხი ემყარება დაშვებას რეგიონების ფაქტიური საბიუჯეტო ხარჯვითი მოთხოვნილებების შესახებ. როგორც წესი, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისთვის ეს ჰიპოთეზა დასტურდება.[95]

თუმცა მოცემული მიდგომა არსებით ნაკლოვანებებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, დიდ ბრიტანეთში, სადაც მეთოდის აპრობირებამ ძლიერი განვითარება ჰპოვა, თუმცა რეგრესიული ანალიზის გამოყენების შემდეგ გარკვეული პრობლემები შეინიშნება:

- **ფისკალური მოთხოვნილებების განსაზღვრაში სტაბილურობის არარსებობა.** რეგრესიულ მოდელში გამოყენებულ პირველად მონაცემთა უმნიშვნელო ცვლილება იწვევს სტრუქტურის, რაოდენობის, აგრეთვე, რეგიონული ფაქტორების ხვედრითი წილის ცვლილებებს, რაც წლიდან წლამდე გაანგარიშებულ მოთხოვნილებათა მნიშვნელოვანი ფლუქტუაციის მიზეზი ხდება;
- **გაანგარიშებათა გამჭირვალობა და სირთულე.** სტატისტიკურ მონაცემთა დიდი მოცულობა და უზარმაზარი გამოთვლები მათი აღქმის სიძნელეებს ქმნის სუბნაციონალური ხელისუფლების მხრიდან.

მიდგომის მეთოდოლოგიური და ინფორმაციული სიძნელეების მიუხედავად, აღნიშნული მეთოდიკა ფართოდ გავრცელებულია, როგორც ფედერალურ, ასევე უნიტარულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში. ამრიგად, საბიუჯეტო მოთხოვნილებების ობიექტური შეფასება მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ მთავარი ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც გამათანაბრებელი ბიუჯეტშორისი ტრანსფერტების ნებისმიერი სისტემის წინაშე დგას: ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფა, ტერიტორიული სამართლიანობა, საზოგადოებრივი ფინანსების მართვა პასუხისმგებლობის საფუძველზე.

მსოფლიო თეორიასა და პრაქტიკაში შემუშავებულია ტერიტორიული ბიუჯეტების ხარჯვითი მოთხოვნილებების გაზომვის მრავალი მიდგომა. ზემოთ განხილული მეთოდიკებისთვის დამახასიათებელია, როგორც უპირატესობები, ასევე სერიოზული ხარვეზები. ამა თუ იმ მიდგომის შერჩევა, როგორც წესი, დამოკიდებულია სახელმწიფოებრივი სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხზე, საბიუჯეტო გამოთანაბრების მოდელებზე. აგრეთვე, ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკურ არჩევანზე.

6.3 ცენტრსა და რეგიონს შორის ხელისუფლების ფუნქციების განაწილების იმიტაციურ-ექსპერტული მოდელირება

რეგიონული სიტუაციის ობიექტური, რეგიონული განვითარების რაოდენობრივი და თვისებრივი (ხარისხობრივი) შეფასებისთვის მიზანშეწონილია რეგიონების წარმომადგენელთა საექსპერტო გამოკითხვებთან შეთანხმებით, სოციოლოგიური მოდელირების მეთოდების გამოყენება.

სოციოლოგიური მოდელირების საზესხვაობას წარმოადგენს იმიტაციური მოდელები, რომლებსაც მთელი რიგი კვლევითი ამოცანების გადაჭრა შეუძლია. ეს მოდელები ყველაზე პერსპექტიული მეთოდების კლასს მიეკუთვნება. ამ რიგის მოდელირება რეგიონის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების ვარიანტების რეალიზაციის კონცეფტუალური სქემისა და ჩანაფიქრის თვალსაჩინო წარმოდგენის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს. იმიტაციურ მოდელში ჩადებული განვითარების ჰიპოთეზები, როგორც წესი, მოიცავენ ობიექტის განვითარების მთელ რიგ სცენარებს: ოპტიმისტურს, პესიმისტურს და რეალურს.

იმიტაციური მოდელირების მეთოდის გამოყენება ყველაზე უფრო მიზანშეწონილია მკვლევრის წინაშე მდგარი მთავარი პრობლემის შემოწმებისთვის – ცენტრსა და რეგიონულ ორგანოებს შორის ხელისუფლების ფუნქციების განაწილების შექმნილი ხასიათის ეფექტიანობის შეფასება მოსახლეობის მომსახურებისა და ფინანსური რესურსების თვალსაზრისით. ამგვარი კვლევების ჩატარებისთვის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს ფულადი შემოსავლებით უზრუნველყოფის დონის მიხედვით, რეგიონების ოთხი განსხვავებული ჯგუფის გამოყოფა.

პირველი ჯგუფი (ა) – დეპრესიული რეგიონები (ერთ კაცზე საშუალოდ მოდის 1,5 საარსებო მინიმუმზე ნაკლები).

მეორე ჯგუფი (ბ) – ნაკლებად უზრუნველყოფილი (დოტაციური) რეგიონები (ერთ კაცზე საშუალოდ 2 საარსებო მინიმუმი).

მესამე ჯგუფი (გ) – შედარებითი კეთილდღეობის რეგიონები (ერთ კაცზე მოდის საშუალოდ 3 საარსებო მინიმუმი).

მეოთხე ჯგუფი (დ) – მოსახლეობის მაღალუზრუნველყოფილი რეგიონები (დონორები) (ერთ კაცზე მოდის საშუალოდ 5 საარსებო მინიმუმზე მეტი).

რეგიონების დიფერენციაცია მოსახლეობის უზრუნველყოფის დონის მიხედვით, აჩვენებს მათი ეკონომიკური განვითარების განსხვავებულ პოტენციურ შესაძლებლობებს, და შესაბამისად, შიდა რეგიონული პროდუქტის განსხვავებული მოცულობების არსებობას, რომელთა გადანაწილებაც ასე თუ ისე შესაძლებელია.


რეგიონების განაწილების ხასიათის ანალიზი შემოსავლების დონის მიხედვით, ექსპერტებისათვის არის საფუძველი მოცემული რეგიონის განვითარების შესაძლო გზების შესაფასებლად.

გამოყენებული მეთოდი შესაძლებელს ხდის ქვეყანაში გადანაწილების პროცესის ხასიათის გრაფიკული გამოსახულების მიღებას (იხ. გრფიკი). გრაფიკზე თვალნათლივ არის ნაჩვენები, თუ როგორ არიან დანაწილებული ქვეყნის რეგიონები სივრცის ოთხ

განზომილებაში: ფინანსური გადმორიცხვები ცენტრალური ბიუჯეტიდან, შემოსავლები რეგიონული ბიუჯეტიდან, ეკონომიკის ეფექტიანი განვითარება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების უზრუნველყოფა. ამასთანავე, ხორციელდება რეგიონების დაჯგუფება ოთხი ტიპის მიხედვით: დეპრესიული – ა, დოტაციური – ბ, თვითუზრუნველმყოფი – გ, რეგიონი-დონორები – დ.

გრაფიკული მოდელირება შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს რეგიონების თითოეული ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი კოორდინატთა შერჩეულ სისტემაში. დეპრესიული რეგიონები სრულ და პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ცენტრალური ბიუჯეტიდან გადმორიცხულ რესურსებთან (ტრანსფერტების, დოტაციების, სუბვენციების ფორმით).

გრაფიკი. რეგიონების დაჯგუფება დანაწილების ურთიერთობათა ხასიათის მიხედვით



გრაფიკში, დეპრესიული რეგიონების მდებარეობა პოზიციონირებულია „ცილინდრის" ფორმით – A, რომელიც მიმართულია კოორდინატთა ღერძზე ცენტრალური ბიუჯეტისკენ. დეპრესიული რეგიონებისთვის დამახასიათებელია რეგიონის შიდა რესურსების მინიმალური გამოყენება, მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე, არაეფექტიანი ეკონომიკა, ისინი არ არიან დაინტერესებულნი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფ-

ლებამოსილებების მკვეთრი გამიჯვნით, დომინირებს დამოკიდებული მიმართების განწყობები და ცენტრისკენული ძალები.

დოტაციური რეგიონების ჯგუფი (B კვადრატი): კოორდინატთა ღერძზე რამდენადმე დაბლა პოზიციონირდება და კვადრატთან დაახლოებულ ფორმას იღებს. მათი პოზიციები ცოტათი უკეთესია დეპრესიულ რეგიონებთან შედარებით, ისინი არა მხოლოდ ელოდებიან გადმორიცხვებს ცენტრიდან, არამედ ცდილობენ საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის რეალიზებას. ამასთან, სახეზეა პოზიტიური მისწრაფებები სოციალურ-ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მიმართულებით. ექსპერტები ისეთ დადებით მომენტებზე მიუთითებენ, როგორებიცაა: გააზრებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება, ეფექტიანი გადანაწილებითი პოლიტიკა, ტერიტორიების შიდა სოციალურ-ეკონომიკური რესურსების გამოყენება. რეგიონების ეკონომიკური ზრდისა და განვითარების შემაფერხებელ ნეგატიურ ფაქტორებს მიეკუთვნება: საბანკო სისტემის განვითარების დაბალი დონე, რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროგრამის არარსებობა, ეკონომიკის კრიმინალიზაცია.

თვითუზრუნველმყოფი რეგიონების მდებარეობა (მართკუთხედი C) გამოირჩევა მყარი საშუალო შეძლებით. კოორდინატთა ღერძებზე ისინი პოზიციონირდებიან თანაბარი დაშორებებით ცენტრიდან. თვითუზრუნველმყოფ რეგიონებს გააჩნია მყარი ეკონომიკა, ცხოვრების საშუალო დონე, საშუალო საბიუჯეტო უზრუნველყოფა.

რეგიონი-დონორების ჯგუფი ხასიათდება მაღალი საბიუჯეტო თვითუზრუნველყოფით და ცენტრალური ბიუჯეტიდან შემოსავლების (გადმორიცხვების) დაბალი ხვედრითი წილით. ისინი, უმეტესად, კოორდინატთა ქვედა ვერტიკალში პოზიციონირდებიან Г ფორმის მარკუთხედის სახით (მართკუთხედი D). რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს კლავწარმოების პროცესში რეგიონის ყველა რესურსის ჩართვა – შრომითი, ფინანსური და ბუნებრივი რესურსებიდან დაწყებული ინტელექტუალური და სულიერ-კულტურულით დამთავრებული. მაგრამ კლავწარმოების პროცესის სრულყოფილი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რეგიონებში წარმოქმნილი პროცესების დროული გადაწყვეტა, ხოლო ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს უფლებათა საფუძვლიან გადანაწილებას ცენტრსა და რეგიონებს შორის.

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიითა და საქართველოს კანონმდებლობით ხელმძღვანელობისას, აუცილებელია ხელისუფლების ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გამიჯვნა. ეს გულისხმობს სამი ფუნქციონალური პოზიციის განსაზღვრას: ვინ მიჯნავს უფლებამოსილებებს, ვინ ახდენს მათ დაფინანსებას და ვინ მართავს. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ფუნქციონალური პოზიციები ხელისუფლების ცენტრალური ორგანოს განკარგვაში იმყოფება, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში კი დეცენტრალიზებულია. ბევრ ქვეყანაში ფინანსების დეცენტრალიზაციას ხელს უშლის პოლიტიკური ფაქტორები.

ამგვარად, გრაფიკული მოდელირების ექსპრეს-მეთოდი იძლევა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გამოვლენის, მათი ტიპოლოგიების (დეპრესიული, დოტაციური, თვითუზრუნველმყოფი და დონორი რეგიონები) შესაძლებლობას და,

რაც ყველაზე მთავარია, რეგიონში განაწილების პროცესის ვიზუალური სურათის შედგენას, რომელიც რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზების პრინციპულად განსხვავებულ გაგებას ემყარება.

რეგიონებში რეფორმების მიმდინარეობის შეფასება, როგორც მონიტორინგის მთავარი ელემენტი. ეკონომიკის რეფორმირების მიმდინარეობის მონიტორინგის ტექნოლოგიასა და სიტუაციაზე რეფორმების ზეგავლენას რეგიონებში თავისი სპეციფიკა გააჩნია და ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

1) სისტემური მეთოდოლოგიის გამოყენებას;

2) საკუთრივ რეფორმების ზემოქმედების გამოცალკევებას რეგიონული სიტუაციის შეფასებაში;

3) რეფორმების სავალდებულო და შესაძლებელი, სწრაფი და შორეული შედეგების ცალკეულ შეფასებას;

4) რეფორმირებასთან დაკავშირებული შედეგების გათვალისწინებას.

სისტემური მიდგომის გამოყენება გულისხმობს რეგიონული სისტემის მეტი შესაძლო რაოდენობის ელემენტთა ურთიერთდაკავშირებული ცვლილებების ანალიზს კონკრეტული რეფორმაციული ქმედებების განხორციელების პირობებში (მაგალითად, პრივატიზაციის რეგიონული შედეგები უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ამ პროცესის მასშტაბისა და ტემპის პოზიციებიდან, არამედ თითოეული კონკრეტული რეგიონის ყველა უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ, და სხვა პარამეტრებზე ზემოქმედების პოზიციიდანაც).

რადიკალური ცვლილებები პოლიტიკაში, ეკონომიკურ პირობებსა თუ სოციალურ კეთილდღეობათა დანაწილების მექანიზმებში, ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება მრავალფაქტორულად ფორმირებულ სოციალური ურთიერთობების ერთობლიობას და ცხოვრების დონისა და ხარისხის პარამეტრებს. ესენი კი, თავის მხრივ, განსაზღვრულია, როგორც ეკონომიკით, ისე საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს მდგომარეობით, ქცევის სოციალური სტერეოტიპებითა და თვით გეოპოლიტიკური სიტუაციითაც (მიგრაცია და ა.შ.) კი.

საკმაოდ მნიშვნელოვანია აგრეთვე, რეფორმების მიმდინარეობის ცალკეული შეფასების მეთოდების (საკუთრივ, რეფორმაციული ქმედებების რაოდენობრივი პარამეტრები) და მათი შედეგების (ამ ქმედებების სისტემური გამოვლინებები ეკონომიკის, სოციალური პოლიტიკის, და ა.შ. სფეროში, და შესაბამისად, მათი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ცხოვრების დონესა თუ დემოგრაფიულ სიტუაციაზე და სხვ.) გამოყენება. რეფორმების მიმდინარეობისა და მისი შედეგების ამგვარი ცალკეული შეფასებების საფუძველზე, შესაძლებელია გარეგნულად პარადოქსულ დასკვნამდე მისვლა: მოცემულ რეგიონში რეფორმის გატარება შეიძლება ბრწყინვალედ განხორციელდეს, ხოლო მისი შედეგები ნულოვანი და ნეგატიურიც კი აღმოჩნდეს რეგიონისთვის. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ რეფორმების შედეგიანობა არ განისაზღვრება მისი რაოდენობით (სიხშირით) და მიმდინარეობით.

რეგიონებში რეფორმების შედეგების სისტემური შეფასებისას, უაღრესად მნიშვნელოვანია სავალდებულო და შესაძლებელი (ალბათური), სწრაფი და შორეული შედეგების

განსხვავება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რეგიონში რეფორმის მიმდინარეობის აღქმა მოსახლეობაში განპირობებულია მაშინვე მიღებული სწრაფი შედეგებით, რაც, როგორც წესი, სრულებით არ წარმოადგენს სისტემური რეფორმირების შედეგების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს. მეორე მხრივ, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ რეფორმის შორეული შედეგების შეფასება საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლოა უკვე იმის გამო, რომ გარდაქმნისა და საზეცვლილების ყველაზე ხელშესახები შედეგები (როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიურიც) მთელი თავისი სისტემური სისრულით შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ პერსპექტივაში. ეს ვითარება მკაფიოდ ვლინდება მაგალითად, საცხოვრებელ-კომუნალური მეურნეობის რეფორმირების რეგიონულ შეფასებებში.

თავი 7. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში

7.1 ევროპის კავშირი და ადგილობრივი თვითმმართველობა

1993 წელს კოპენჰაგენში მიღებულ ევროპის კავშირის წევრობის კრიტერიუმებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ადგილობრივი მმართველობის საკითხები გათვალისწინებული არ არის. ევროპის კავშირი არ განსაზღვრავს, თუ როგორი და რა სიღრმის დეცენტრალიზაცია არის კარგი მისი წევრებისათვის და არ უწევს მონიტორინგს ადგილობრივი მმართველობის რეფორმებს. ევროპის კავშირის წევრობის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ქვეყანას გააჩნდეს მდგრადი დემოკრატიული მმართველობის ინსტიტუტები, მოქმედი საბაზრო ეკონომიკა და შესაძლებლობა და სურვილი გაიზიაროს და შეასრულოს ევროპის კავშირის სტანდარტები.

რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების მიმართ ევროპის კავშირის მოთხოვნები გამომდინარეობს რეგიონული და გათანაბრების პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპებიდან (ძირითადი მიმართულებები aquis communitaire-ს 22-ე თავში "რეგიონული პოლიტიკა და სტრუქტურული ინსტრუმენტების კოორდინაცია" არის გაერთიანებული), რომლის ამოცანაა ქვეყნებს შორის სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება. გათანაბრების პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული პროგრამები ითვალისწინებენ წევრი ქვეყნების ტერიტორიულ მოწყობას, სოციალური და ეკონომიკური განვითარების საჭიროებებსა და ურბანული და სასოფლო განვითარებისათვის აუცილებელ სასაზღვრო თანამშრომლობას.

გათანაბრების კონკრეტული პროგრამები თანხმდება ევროკომისიასთან და მათ ახორციელებენ წევრი ქვეყნები მრავალდონიანი მმართველობის პრაქტიკის მიხედვით.

მრავალდონიანი მმართველობის შესახებ დამატებით უნდა ითქვას, რომ ევროპის კავშირის სადამფუძნებლო დოკუმენტები პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების სამ ძირითად პრინციპს ეყრდნობა. ესენია: სუბსიდიარობა – ევროპის კავშირი არ უნდა იყოს პასუხისმგებელი იმ ამოცანების შესრულებაზე, რომელთა განხორციელება უკეთ იქნება შესაძლებელი ეროვნულ, რეგიონულ, ან ადგილობრივ დონეებზე; სიახლოვე – წევრი ქვეყნის მიერ შემუშავებული პოლიტიკა უნდა ხორციელდებოდეს მმართველობის იმ დონეზე, რომელიც ყველაზე ახლოს დგას მოსახლეობასთან; პარტნიორობა – მმართველობის საერთოევროპული, ეროვნული,

რეგიონული და ადგილობრივი დონეები უნდა თანამშრომლობდნენ პოლიტიკის ამოცანების განხორციელებაში და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესიც "მრავალდონიანი" უნდა იყოს.

მრავალდონიანი მმართველობა გულისხმობს იმას, რომ ყველა მონაწილეს, მათ შორის რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებას, გააჩნია შესაბამისი ინსტრუმენტები და კომპეტენცია იმისთვის, რომ შეასრულოს საქმიანობა დათქმულ ვადებში, მიაღწიოს მოთ-

ხოვნილ შედეგს და დაიცვას ევროპის კავშირის სამართლებრივი ნორმები (მაგ. საჯარო შესყიდვების, კონკურენციისა და გარემოს დაცვის სფეროებში).

ევროპული ინტეგრაციის პროცესმა მნიშვნელოვანი პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა ადგილობრივ ხელისუფლებების როლსა და შესაძლებლობებზე მთელ ევროპაში. ევროპის კავშირის ქვეყნების 300 რეგიონი და 91,000 მუნიციპალიტეტი გადამწყვეტ როლს ასრულებს ისეთ მნიშვნელოვან სექტორებში, როგორიც არის განათლება, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი და ეკონომიკური განვითარება. სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების 2/3 სწორედ თვითმმართველობებზე მოდის. ადგილობრივი ხელისუფლებების როლისა და მნიშვნელობის ზრდამ შესაბამისი ასახვა ჰპოვა ევროპის კავშირის მიერ 2010 წელს მიღებულ ეკონომიკის განვითარების 10-წლიან სტრატეგიაში "ევროპა 2020",[96] რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადგილობრივ ხელისუფლებების მონაწილეობას რეფორმის ეროვნული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

ადგილობრივი ხელისუფლებების კოოპერაციასა და ევროპულ დონეზე წარმომადგენლობას 1994 წლიდან ახორციელებს რეგიონების ევროპული კომიტეტი.[97] ევროპული კანონმდებლობა ევროკომისიასა და ევროკავშირის საბჭოს ავალდებულებს, კონსულტაციები გამართონ რეგიონების კომიტეტთან ყველა იმ საკითხზე, რომელსაც მუნიციპალურ დონეზე მნიშვნელოვანი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს. კომიტეტი წელიწადში ექვსჯერ იკრიბება ბრიუსელში და აფიქსირებს მოსაზრებებს, აქვეყნებს ანგარიშებსა და იღებს რეზოლუციებს თვითმმართველობების კომპეტენციებს მიკუთვნებული საკითხების საერთოევროპულ პოლიტიკაში ასახვის შესახებ.

ევროპის კავშირი ბევრად უფრო ჩართულია დეცენტრალიზაციასა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაში მის აღმოსავლეთ და სამხრეთ სამეზობლოში, რადგან ამ პროცესს განიხილავს, როგორც დემოკრატიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.

სამეზობლოსთან თანამშრომლობის მთავარი პრიორიტეტები მოცემულია ევროკომისიის 2013 წლის 15 მაისის კომუნიკაციაში ეკონომიკური და სოციალური კომიტეტისა და რეგიონების კომიტეტებისადმი,[98] რომლის მიხედვით, ევროპის კავშირი პარტნიორ ქვეყნებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შემდეგ საკითხებს: დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი ხელისუფლებებისათვის საკმარისი ფინანსური რესურსებისა და წყაროების გამოყოფა; ადგილობრივი მოხელეების შესაძლებლობათა ზრდა; მდგრადი ურბანიზაცია; ადგილობრივ ხელისუფლებათა ეროვნული ასოციაციების ჩართვა ეროვნული და ადგილობრივი პრიორიტეტების დაგეგმვასა და შესრულებაში.

აღნიშნულ პროცესში ევროპის კავშირის ძირითადი პარტნიორია ევროპის საბჭო. 2014 წელს მხარეთა შორის გაფორმდა პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავს აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში რეფორმების ხელშეწყობას იმისთვის, რომ ისინი დაუახლოვდნენ ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის სტანდარტებს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სფეროებში.

ადგილობრივი ხელისუფლებების გაძლიერება ამ ხელშეკრულების მე-5 თავის "დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობა" ერთ-ერთი კომპონენტია. საქმიანობა პროგრამის ფარგლებში ორ ფაზად 2015-2017 და 2018-2020 ხორციელდება.[99]

7.2 ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კომპეტენციებით განსაზღვრული საკითხები საქართველოსა და ევროპის კავშირის ასოცირების ხელშეკრულების 373-ე მუხლით არის გათვალისწინებული: "მხარეები დაეხმარებიან და განამტკიცებენ ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობას რეგიონული პოლიტიკის თანამშრომლობაში, რაც მოიცავს საზღვრისპირა თანამშრომლობას და შესაბამის მართვის სტრუქტურებს, გააღრმავებენ თანამშრომლობას ურთიერთხელსაყრელი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბების გზით, განამტკიცებენ და განავითარებენ ინსტიტუციური შესაძლებლობების ამაღლების საშუალებებს და ხელს შეუწყობენ საზღვრისპირა და რეგიონული ეკონომიკური და ბიზნეს კავშირების გაძლიერებას".

შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნა ზემოთ უკვე აღნიშნულ aquis communitaire 22-ე თავს "რეგიონული პოლიტიკა და სტრუქტურული ინსტრუმენტების კოორდინაცია" მიეკუთვნება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საზღვრისპირა თანამშრომლობის პროცესებში ადგილობრივი ხელისუფლებებისა და თემების მონაწილეობა უზრუნველყოფილია "ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციით",[100] რომელსაც საქართველოს 2006 წელს შეუერთდა.

იმისთვის, რომ თანამშრომლობა რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებთან ეფექტური იყოს, ასოცირების შეთანხმების იგივე 373-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითხოვს ცენტრალურ და ადგილობრივ საჯარო სამსახურებს შორის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ურთიერთქმედებათა მექანიზმების (ანუ მრავალდონიანი მმართველობის) გაუმჯობესებასა და ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების განვითარებას. ის, თუ რა იგულისხმება ამ თავში, დაზუსტებულია ასოცირების დღის წესრიგით, რომლის 2.1 თავში "პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა" ვკითხულობთ, რომ ადგილობრივი დემოკრატიის საფუძველია "დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელება ევროპის სბჭოს "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ქარტიის" შესაბამისად."

დამატებით, ეფექტური მრავალდონიანი პოლიტიკის განსახორციელებლად დღის წესრიგი მოითხოვს საჯარო ინსტიტუტებს შორის ეფექტურ კოორდინაციასა და რეგიონული განვითარების პროგრამების, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების სტრატეგიების შესრულებას (თავი 2.6 "თანამშრომლობის სხვა სფეროები").

ევროპის კავშირი ყველა დონის საჯარო უწყებისგან, მათ შორის თვითმმართველობებისგან, ითხოვს ევროკავშირის ძირითადი სამართლებრივი ნორმების დაცვას.

7.3 დეცენტრალიზაცია და სუბსიდიარობა

სუბსიდიარობა, ანუ მმართველობის პრინციპი, რომ ცენტრალური ხელისუფლება უნდა ახორციელებდეს მხოლოდ იმ საქმიანობას, რომელიც ადგილობრივ დონეზე ვერ განხორციელდება, ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპია.

აღნიშნული პრინციპი გარანტირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მიერ, რომელსაც საქართველო 2004 წლიდან შეუერთდა. ამასთან, ქარტია მოითხოვს, რომ ადგილობრივი ხელისუფლებების "ფინანსური წყაროები თანაზომიერნი იყვნენ კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ მათ უფლება-მოვალეობებთან. ქარტიის პრინციპების მნიშვნელობის ხაზგასასმელად და ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის რეკომენდაციის (CG/MON/2015(27)15) შესაბამისად, [101] "უფლებამოსილებათა გამიჯვნა სახელმწიფო ხელისუფლებასა და თვითმმართველ ერთეულებს შორის ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს. სახელმწიფო უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ფინანსური სახსრების შესაბამისობას ორგანული კანონით დადგენილ მის უფლებამოსილებებთან." მაგრამ, სწორედ ადგილობრივი პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსების ნაკლებობაა დღეს ქვეყანაში დეცენტრალიზაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი ბარიერი.

2015 წელს ევროპის საბჭოს მიერ საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, მოლდოვასა და უკრაინაში ჩატარებული მასშტაბური კვლევა [102] მუნიციპალიტეტებში ფინანსური სახსრების ნაკლებობასთან ერთად თვითმმართველობათა მნიშვნელოვან პრობლემად განიხილავს ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო ხაზინის დიდი დოზით მონაწილეობას თვითმმართველობის ხარჯების ფორმირების პროცესში, ასევე ადგილობრივი მოხელეების რაოდენობისა და ანაზღაურების გაცემის პირობების მკაცრ რეგლამენტირებას, რომლებიც შესაძლოა ირიბად ხელს უშლიდნენ თვითმმართველობებს საკუთარი მოვალეობების შესრულებაში.

თვითმმართველობათა ფინანსური შესაძლებლობების გამყარება, მათ შორის საკუთარი საშემოსავლო ბაზის გაჩენა თვითმმართველობათა ფინანსური დამოუკიდებლობის უმთავრესი წინაპირობაა და მოთხოვნილია ევროპის საბჭოს სხვადასხვა რეკომენდაციით. თვითმმართველობის ახალი კოდექსის თანახმად, მუნიციპალურ ბიუჯეტს დაემატა წილი საშემოსავლო გადასახადიდან. ასევე, სპეციალურ და მიზნობრივ ტრანსფერებთან ერთად მუნიციპალიტეტი დამატებით კაპიტალურ ტრანსფერს მიიღებს კაპიტალური პროექტის განხორციელების მიზნით. ტრანსფერის გაცემის საფუძველი მუნიციპალიტეტის ინიციატივაა.

სახელმწიფო და მუნიციპალურ ბიუჯეტებს შორის საშემოსავლო გადასახადის განაწილების პრინციპი 2015 წლის სექტემბრისთვის უნდა განსაზღვრულიყო, მაგრამ "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" კანონპროექტი დაგვიანებით წარედგინა საქართველოს პარლამენტს, რომელმაც იგი 2014 წლის დეკემბერს მიიღო და, შესაბამისად, მან ასახვა ვერ ჰპოვა 2015 წლის თვითმმართველობების ბიუჯეტებში. 2016 წლის და 2017 წლის ბიუჯეტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ

ცვლილებას თვითმმართველი ერთეულებისათვის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ მოჰყოლია. გადასახადების ადგილებზე დატოვებასთან ერთად შემცირდა ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობა – საქართველოს ბიუჯეტში გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობა თითქმის 28%-ით შემცირდა.

ფინანსურად თვითკმარი ადგილობრივი მმართველობის მისაღწევად აუცილებელია დეტალური ანალიზი, თუ რა მოცულობის ფინანსებია აუცილებელი ადგილობრივი მომსახურების გასაწევად, როგორია ადგილობრივი სერვისების მიწოდების ხარისხი და ფასი და რა შესაძლებლობები არსებობს ადგილობრივი რესურსების განკარგვისათვის.

დღევანდელი სიტუაცია ნამდვილად არასახარბიელოა. მაგალითად, შეზღუდულია ადგილობრივი ხელისუფლებების როლი მოსახლეობისთვის ძირითადი კომუნალური მომსახურეობის მიწოდების სფეროში – ელექტრომომარაგება და გაზმომარაგება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას სცდება. თვითმმართველობის ახალი კოდექსის მიხედვით, წყალმომარაგება მის გამგებლობას განეკუთვნა, მაგრამ ტარიფებსა და მომსახურების წესებს ეროვნული მარეგულირებელი კომისია ადგენს, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა ან პრივატიზებულია, ან სახელმწიფო შპს "წყალმომარაგების გაერთიანებულ კომპანიას" ეკუთვნის.

ასევე, თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, ადგილობრივი ტყეების განკარგვა მუნიციპალიტეტების კომპეტენციაა, მაგრამ 2013 წელს დამტკიცებული "საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია" განმარტავს, რომ ტყის გადაცემა მუნიციპალიტეტებისათვის (თბილისის გარდა) არ მომზდარა სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობის გამო და ამ პროცესის წამოწყებას ცენტრალური ხელისუფლება აპირებს მომავალში მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელდება ისეთი პროგრამები "რომლებიც ხელს შეუწყობენ ადგილობრივი თემების მიერ ტყეების კომერციულ გამოყენებას ახალი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის წყაროების შექმნისა და სიღარიბის დონის შემცირების მიზნით".

განსაკუთრებით პრობლემატურია სასოფლო-სამეურნეო მიწების საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიწის ბალანსი ქვეყანაში 2004 წლიდან არ დგება და წლიდან წლამდე საქართველოს სტატისტიკის სამსახური მიწის ფონდის განაწილების შესახებ პუბლიკაციაში მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის 2004 წლის 1 აპრილით დათარიღებულ მონაცემებს ეყრდნობა,[103] რომლის მიხედვითაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 3,025.8 ათასი ჰექტარია (ეს მონაცემი უკვე მოძველებულია, რადგან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მოხდა ქვეყნის კონტროლის ქვეშ არსებული მიწის ფონდის შემცირება). ამ რაოდენობიდან დაახლოებით 767 ათასი ჰექტარი განკერძოებულია, ხოლო 2,258 ჰექტარზე მეტი სახელმწიფო საკუთრებაში რჩება.

"ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 162-ე მუხლის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2017 წლის 1 იანვრამდე უნდა შეეშუშავებინათ მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების

გადაცემის გრაფიკი და წესი. აღნიშნული ვალდებულება არ შესრულებულა [104] რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ამ ვალდებულებების განხორციელება ადგილობრივ დონეზე დემოკრატიული მმართველობის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში იქნება გათვალისწინებული. სტრატეგიის სამუშაო ჯგუფის ბოლო შეხვედრა 2017 წლის 10 მაისს შედგა,[105] თუმცა ჯერ კიდევ უცნობია ვალდებულებათა შესრულების კონკრეტული ვადა.

ასეთ პირობებში პრაქტიკულად მიულწეველია ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საკუთარი ფუნქციების ეფექტურად შესრულება. ეს განსაკუთრებით პრობლემატურია რეგიონული განვითარების პროგრამების ფორმირებისა და განხორციელების დღევანდელ სისტემაში, რომელიც, პრაქტიკულად უგულებელყოფს სუბსიდიარობის, მოსახლეობასთან სიახლოვისა და პარტნიორობის პრინციპებს.[106:გვ.9-11]

7.4 რეგიონული განვითარების ღონისძიებები, რომლებიც საქართველოში ფინანსირდება ევროკავშირის მიერ

ევროკავშირი საქართველოსთან თანამშრომლობს ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის (ევროკავშირის პოლიტიკა აღმოსავლეთ მეზობლების მიმართ) ფარგლებში. მთავარი მიზანი არის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტს წარმოადგენს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერა მეზობელი ქვეყნებისადმი 2014-2020 წლების პერიოდში. იგი ჩაანაცვლებს 2007-2013 წლების ევროპის სამეზობლო პოლიტიკის თანამშრომლობის ინსტრუმენტს (ENPI). სხვა დაფინანსების წყაროებს წარმოადგენენ თემატური პროგრამები, რომლებიც ფოკუსირებულია ადამიანის უფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე.

ევროკავშირის დახმარება საქართველოს მიმართ, ძირითადად, ხდება ქვეყნის სამოქმედო პროგრამების მეშვეობით, რომელიც ყოველწლიურად დაფინანსებულია ENI-ს ფარგლებში. ასევე, საქართველო იღებს დახმარებას ENI-ს ფარგლებში დაფინანსებული რეგიონული და მრავალმხრივი სამოქმედო პროგრამებიდან (რომელიც ეხება რამდენიმე ან ყველა პარტნიორულ ქვეყანას).

EU ორმხრივი თანამშრომლობა საქართველოსთან. საქართველოსთან ორმხრივი თანამშრომლობა ხელს უწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნებს. 2014-2017 წლებში ევროკავშირის საქართველოსთან ორმხრივი თანამშრომლობის სტრატეგიული ჩარჩო, საკვანძო შედეგები და სავარაუდო ფინანსური განაწილება მოცემულია მხარდაჭერის ერთიან ჩარჩოში (SSF). ორმხრივი თანამშრომლობა ხელს უწყობს ეფექტურად განხორციელდეს ასოცირების შესახებ შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (AA/DCFTA) შესახებ შეთანხმება. ამასთანავე, თანამშრომლობის ფარგლებში შესაძლებელია გამოყოფილი იყოს დამატებითი დახმარება საზოგადოებრივი ინ-

სტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების მოდერნიზაციისათვის. 2007-2013 წლებში ევროკავშირმა საქართველოსთან ორმხრივი თანამშრომლობისათვის ENPI-ს ფარგლებში 452 მილიონ ევრო გამოყო. 2014-2017 წლებში ENI-ს ორმხრივი დახმარება საქართველოსთვის იქნება 335 მილიონ და 410 მილიონ ევროს შორის. აღნიშნული ციფრები სავარაუდოა: საბოლოო ხარჯები დამოკიდებული იქნება ქვეყნის საჭიროებებსა და რეფორმებისადმი ერთგულებაზე. საქართველომ, ასევე, შეიძლება ისარგებლოს დამატებითი ფინანსური დახმარებით, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მრავალმხრივი პროგრამების ქოლგის ქვეშ. აღნიშნული წარმოადგენს სტიმულირების მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს ღრმა და მდგრადი დემოკრატიის შესაქმნელად ქვეყნების მიერ გაწეულ ძალისხმევას გამოყოფს რა დამატებით ფინანსურ დახმარებას.

საჯარო სექტორის მხარდაჭერა და ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების ხელშეწყობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტებს ყველა სექტორში მიმდინარე და სამომავლო თანამშრომლობისათვის. სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივებს მხარს უჭერს სამეზობლო სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმი.

ENPI ორმხრივი პროგრამები საქართველოში 2014-2020 წლების მანძილზე კონცენტრირებულია რეფორმების განხორციელებაზე შემდეგ სფეროებში: რეგიონული განვითარება; მცირე და საშუალო საწარმოები; სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება; პროფესიული განათლება და სწავლება; კონფლიქტის მოგვარება და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება; სისხლის სამართალი; საჯარო ფინანსების მართვა. რეგიონული განვითარების პროგრამის შემუშავებისას, ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში დამტკიცდა სამი წლიური სამოქმედო პროგრამა (2014, 2015, 2016 წ). ქვევით იხილეთ მიმდინარე ორმხრივი ENPI ქმედებების ძირითადი პუნქტები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია რეგიონული განვითარების პროგრამასთან:

რეგიონული განვითარება. რეგიონული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ორი ჩარჩო პროგრამა განხორციელდა. რეგიონული განვითარების სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა 2012-2014 და 2015-2017 წწ. რომლის საერთო მოცულობა 49 მლნ ევროს შეადგენდა. ორივე პროგრამა ძირითადად კონცენტრირებული იყო შემდეგი მიმართულებების განვითარებაზე:

- რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;
- რეგიონული გათანაბრება და განვითარება (კოჰეზია);
- ფინანსური კონტროლის მექანიზმები;
- ადამიანური რესურსების და მართვის სიტემების განვითარება;
- რეგიონული ინფრასტრუქტურის და ინოვაციური შესაძლებლობების განვითარება;
- სტატისტიკა.

ორივე პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოს რეგიონების განვითარება და უთანაბრობის აღმოფხვრა, საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავების და განხორციელების გზით.

რეგიონული განვითარების სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის 2015-2017 წლების პროგრამა თავის მხრივ მოიცავს შემდეგ პროექტებს:

რეგიონული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა (ფაზა II)

პროექტის ხანგრძლივობა ორი წელია. ის მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას, რათა მან შექმნას ქვეყნისა და მისი ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო, რეგიონული უთანასწორობის დასაძლევად. პროექტი მოიცავს სამ კომპონენტს:

- პოლიტიკის ფორმულირება და განხორციელება;
- პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება;
- რეგიონული განვითარების სააგენტოების მხარდაჭერა.

საქართველოში რეგიონული განვითარების ხელშეწყობა – გამოყენებითი კვლევების მექანიზმი (ფაზა II). გამოყენებითი კვლევების ინსტრუმენტი (ფაზა II) უზრუნველყოფს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ეფექტიან ფორმულირებასა და განხორციელებას, რაც შესაბამისი იქნება ევროპის საუკეთესო პრაქტიკასთან. პრიორიტეტები მოიცავს საქართველოს ინსტიტუტების ანალიტიკური და კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერებას რეგიონული/ტერიტორიული განვითარების, ინტეგრაციისა და მასთან დაკავშირებულ კანონმდებლობის სფეროებში.; აგრეთვე, რეგიონული განვითარებისა და მასთან დაკავშირებულ პროცესებში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას და კოორდინაციას.

საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტი. Twinning პროექტის ძირითადი მიზანია ეროვნულ და რეგიონულ/მუნიციპალურ დონეებზე სივრციოი მოწყობის და საინვესტიციო პორტფელების შემუშავების საკითხებზე ევროპული გამოცდილების გაზიარება და მათი გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტებისა და რეკომენდაციების მომზადება.

მცირე და საშუალო საწარმოები. სექტორული ბიუჯეტის დახმარების პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს DCFT -სთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ და მარეგულირებელ რეფორმებს საქართველოში. ამასთან ერთად, პროექტის დახმარება კონცენტრირდება საქართველოში არსებული მცირე და საშუალო საწარმოების შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რათა გაიზარდოს მათი კონკურენტუნარიანობა და ასევე, მოხდეს მათი ადაპტირება ახალ საკანონმდებლო და მარეგულირებელ სივრცესთან. პროექტს გააჩნია 4 კომპონენტი (საწარმოების განვითარების გაუმჯობესებული ჩარჩო და მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობა პოლიტიკურ დიალოგში; მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობების ზრდა; საწარმოთა განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ, სექტორულ და ადგილობრივ დონეზე კლასტერების შექმნით და ბიზნეს ქსელების მხარდაჭერით; ბიზნეს კლასტერებისა და ქსელების ინტეგრირება ევროკავშირის შესაბამის არსებულ ქსელებში, რომლებიც ხელს უწყობენ საწარმოების განვითარებას, ინვესტიციასა და ვაჭრობას).

სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება. საქართველოში სოფლის განვითარების ხელშეწყობა როგორც ENPI-ის, ასევე, ENI-ს ორმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგში დგას. "ENPARD" პირველი და მეორე ფაზის პროექტი მიმართული იყო სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისკენ, ხოლო მესამე მხოლოდ სოფლის განვითარებისკენ. პროგრამები მოიცავს ინტეგრირებულ მხარდაჭერას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის, სურსათის უვნებლობის, სანიტარიული მდგომარეობისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. აღნიშნული ემსახურება საერთო მიზანს – საქართველოს სოფლის ტიპის დასახლებებში საცხოვრებელი და დასაქმების პირობების გაუმჯობესებას.

EU რეგიონული პროგრამები. საქართველო, ასევე, მონაწილეობს რეგიონულ პროგრამებში, რომელიც დაფინანსებულია ENPI/ENI მიერ და ხორციელდება შემდეგ სფეროებში:

- საზღვრისპირა თანამშრომლობა;
- მუნიციპალური განვითარება;
- გარემო;
- ენერგია;
- ტრანსპორტი;
- ციფრული ეკონომიკა და საზოგადოება;
- ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება;
- საზღვრის მართვა;
- ინიციატივები ყველა მეზობელი ქვეყნისთვის: Erasmus +, TAIEX, SIGMA;
- სამეზობლოს საინვესტიციო მექანიზმი საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავს წყალმომარაგების, ენერგეტიკის, გარემოსა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერას;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ფლაგმანი ინიციატივები.[107:გვ.136-138]

P.S. უფრო ვრცლად ევროკავშირის რეგიონულ პოლიტიკაზე იხ. ამ წიგნის ავტორის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო „ევროკავშირის ქვეყნების რეგიონული პოლიტიკა" 2019.

თავი 8. რეგიონული მონიტორინგი – ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის შემუშავების ინფორმაციულ-ანალიტიკური სისტემა

8.1რეგიონული სიტუაციისა და პრობლემების მონიტორინგი

რეგიონული მონიტორინგი წარმოადგენს რეგიონული სიტუაციის გამოკვლევის როგორც რეგიონული, ისე ეროვნული პოლიტიკის ბაზის შემუშავების ინფორმაციულ-ანალიტიკურ სისტემას.

რეგიონული მონიტორინგის ქვეშ იგულისხმება სტატისტიკური ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზის, დამატებითი ინფორმაციულ-ანალიტიკური გამოკვლევების (მოსახლეობის გამოკითხვა და სხვ.) ჩატარებისა და რეგიონული მდგომარეობის, განვითარების ტენდენციებისა და პრობლემების შეფასების სპეციალურად ორგანიზებული და მუდმივად მოქმედი სისტემა. მისი მთავარი ამოცანაა ტერიტორიული განვითარების რეგულირების სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავებისა და მისი პრიორიტეტების განსაზღვრისათვის საიმედო და ობიექტური საფუძვლის შექმნა, ამა თუ იმ რეგიონის სახელმწიფო მხარდაჭერის სელექციური (შერჩევითი) ზომების მიღებისა და რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

მრავალრიცხოვანი განსხვავებული რეგიონული სიტუაციისა და პრობლემების არსებობის პირობებში, მათი ტიპების, როგორც მონიტორინგის საგნის, რაოდენობა შედარებით მცირეა და ეს გარემოება არსებითად ამაღლებს მისი გატარების რეალურობის ხარისხს. მნიშვნელოვანია რეგიონული სიტუაციების ნეგატიური განვითარებისა და რეგიონული პრობლემების გამწვავების თაობაზე დროული გაფრთხილება.[108:გვ.67-78]

რეგიონული მონიტორინგის აუცილებლობა უკავშირდება თანამედროვე პერიოდის თავისებურებებს, რომლებიც სავალდებულო სტატისტიკური აღწერის ობიექტების, მასშტაბებისა და სისრულის მკვეთრ შემცირება-შეზღუდვაში გამოიხატება. ოფიციალური სტატისტიკის მხედველობის არედან ამოვარდა სოციალურ-ეკონომიკური სინამდვილის (ჩრდილოვანი ეკონომიკა, მოსახლეობის თვითდასაქმება, მოსახლეობის რეალური შემოსავლები და ა.შ.) მთელი პლასტები. პრაქტიკულად, იშლება მუნიციპალური სტატისტიკის ისედაც სუსტი სტრუქტურა, რომელიც რეგიონული მონიტორინგის საფუძველია. რეგიონული მონიტორინგის ამოცანაა, ქვეყნის რეგიონებში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შესახებ ზუსტი, საიმედო და თანადროული ინფორმაციის შეკრების სისტემების ფორმირება.

რეგიონული მონიტორინგის საგანს წარმოადგენს რეგიონული სიტუაციები და რეგიონული პრობლემები, რომლებიც აღწერილია რაოდენობრივი და თვისებრივი (ხარისხობრივი), სტატიკური და დინამიკური პარამეტრებით.

რეგიონული სიტუაცია ხასიათდება თითოეული მითითებული ტერიტორიის პოტენციალის მდგომარეობისა თუ ფუნქციონირების დინამიკის განმსაზღვრელი რაოდენობრივი (იშვიათად – თვისებრივი (ხარისხობრივი)) მაჩვენებლების ერთობლიობით, აგრეთვე, ამ მაჩვენებლების სხვადასხვა კომბინაციებით (პირველ რიგში, ხვედრითი მაჩვენებლების).

რეგიონული სიტუაციის ქვეშ, ხშირად რეგიონებისა თუ მუნიციპალურ წარმონაქმნთა

ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში, იგულისხმება რეგიონული გარემოს ზოგადი მდგომარეობა, ანუ ტერიტორიების ბუნებრივ-კლიმატური, სივრცობრივი, სოციალურ-დემოგრაფიული, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ბუნებრივი რესურსების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-ისტორიული, ეროვნულ-ეთნიკური პოტენციალის მდგომარეობა.

მრავალი რეგიონული სიტუაციის უმნიშვნელოვანეს შემადგენელს წარმოადგენს შიდა რეგიონული პროპორციულობა ეკონომიკური სისტემის განვითარებაში. მაგალითად, სოციალური და ეკონომიკური, ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიურ პოტენციალთა შეთანაწყობა, რომელთა ბალანსიც ასახავს ყოველი ტერიტორიის მდგომარეობის, შიდა თვითუზრუნველყოფის ხარისხს. ამგვარად, სავალდებულოა მონაცემები ტერიტორიული განვითარების მდგომარეობისა და განვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი პირობების შესახებ.

რეგიონული პრობლემის ქვეშ იგულისხმება დისბალანსის სისტემური გამოვლენა ტერიტორიების ერთ ან რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ პოტენციალთა ფუნქციონირებაში (მდგომარეობა, განვითარება). რეგიონულ პრობლემათა რიცხვს ასევე, შეიძლება მიეკუთვნოს განსაკუთრებულად საყურადღებო „ზრდის წერტილების" ჯერ კიდევ იშვიათი გამოვლინებები. რეგიონული სიტუაციები უფრო ინერციულნი არიან, ვიდრე მათ ფონზე აღმოცენებული რეგიონული პრობლემები. უკანასკნელნი წარმოადგენენ რეგიონულ სიტუაციათა განვითარების მსვლელობაში წარმოქმნილი კონკრეტული რეგიონული წინაალმდეგობების კონსოლიდაციას. რეგიონული პრობლემა უნდა გაცნობიერდეს, როგორც თვალმისაწვდომ მომავალში გადაწყვეტას (მოწესრიგებას, შერბილებას და ა.შ.) დაქვემდებარებადი.

მონიტორინგის თემატიკის შეზღუდულ ჩამონათვალში (რესურსების მუდმივი და მკაცრი ლიმიტის გამო) ამა თუ იმ რეგიონული პრობლემის ჩართვის საფუძველი შეიძლება აღმოჩნდეს:

- ცენტრალური ხელისუფლების მასშტაბით შიდა და გარე პოლიტიკური უსაფრთხოების პოზიციიდან, სახელმწიფოს კონსტიტუციურ საფუძვლებზე ნეგატიური ზემოქმედება, კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების მასობრივი დარღვევა, პროგნოზირებადი გარდაუვალი და სოციალურად არა უსაფრთხო სახელმწიფოებრივი ჩარევა სიტუაციის მსვლელობაში ან პრობლემის განვითარებაში.
- შეუქცევადი ხასიათი და ადგილობრივ ან რეგიონულ დონეზე საკუთარი რესურსებით თვითგადაწყვეტის შეუძლებლობა.

ამ დონის პრობლემები შეიძლება ვლინდებოდს მაგალითად, რეგიონში სისტემური დეპრესიის ზონების ფორმირების სახით ან უკავშირდებოდეს ძნელად მისავალი ტერიტორიების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსებით სეზონური უზრუნველყოფის აუცილებლობას და ა.შ. შეიძლება გამოიყოს შემდეგი რეგიონული პრობლემები: სოციალურ-დემოგრაფიული და ეთნონაციონალური (აქტიური დეპოპულაცია, სოციალური სიჭარბე, ეროვნულ-ეთნიკური შემადგენლობის არაადაპტაციური ცვლილება, მათ შორის არარეგულირებადი მიგრაციების გამო და ა.შ.), რესურსების (ბუნებრივი წყაროების, მაგალითად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, საძოვრების შემცირება და ა.შ) ამოწურვასთან დაკავშირებული, გეოპოლიტიკური ხასიათის მატარებელი (ანკლავების, კონ-

ფლიქტების საზღვრისპირა ზონების წარმოქმნა და ა.შ) ან ტერიტორიების სამეურნეო პროფილის სწრაფი დაკარგვით (რეგიონული რეპროფილირების პრობლემები) გამოწვეული პრობლემები.

პერიოდულად წარმოიქმნება სიტუაციები და პრობლემები, რომლებიც საგანგებო შემთხვევათა ტიპს მიეკუთვნება და სპეციფიკურ გადაწყვეტასა და სპეციალურად რეზერვირებულ რესურსებს მოითხოვს, შესაბამისად, საჭიროებს ინფორმაციის განსაკუთრებულ ნაკადს აღწერისა და დიაგნოსტიკისთვის.

სპეციალურად ორგანიზებულ მონიტორინგულ გამოკვლევათა (უპირატესად სოციოლოგიური ორიენტაციის) მთელი მნიშვნელობის მიუხედავად, რეგიონული სიტუაციებისა და რეგიონული პრობლემების მონიტორინგის ინფორმაციული ბაზის საფუძველი შეიძლება და სასურველია იყოს სტატისტიკა. სწორედ სტატისტიკურ ინფორმაციას ეფუძნება რეგიონული მონიტორინგის ჩვენთვის ცნობილი სისტემების უმრავლესობა.

მოვლენების რაოდენობრივი და თვისებრივი (ხარისხობრივი) შეფასებების პრობლემები. რეგიონული სიტუაციებისა და რეგიონული პრობლემების შეფასებები შეიძლება იყოს რაოდენობრივი და თვისებრივი (ხარისხობრივი). რაოდენობრივი შეფასებები გულისხმობს ისეთი პარამეტრების (მახასიათებლების) არსებობას, რომლებიც შეიძლება კორექტულად გამოისახოს მათი რიცხვითი თუ ინტეგრალურ მნიშვნელობათა ერთობლიობით. თვისებრივი (ხარისხობრივი) შეფასებების („ნორმა", „უკეთესად", „უარესად" და ა.შ.) არსებობა შესაძლებელია, მხოლოდ რეგიონულ „კეთილდღეობაზე" ან რეგიონულ „ღირებულებათა" მყარი წარმოდგენების პირობებში, რომლებთან შედარებაც იძლევა აქსიოლოგიურ კრიტერიუმთან მიახლოების ან გადახრის ხარისხის განსაზღვრის საშუალებას. თვისებრივი (ხარისხობრივი) და რაოდენობრივი შეფასებები არ გამოდის, როგორც ანტიპოდები. ისინი ურთიერთშემავსებლები არიან; ამასთან, მხოლოდ პირველის არსებობა (მათი გარდაუვალი სუბიექტივიზმის გამო) შესაძლებელს ხდის თითოეული რეგიონული სიტუაციისა და რეგიონული პრობლემის, როგორც მთელის ცალკეული, კერძო რაოდენობრივი მახასიათებლების სრული სპექტრის გააზრებას.

შესაძლებელია რეგიონული შეფასების შემდეგი კრიტერიუმების ფორმულირება:

ა) პირველადი ინფორმაციის ობიექტურობა და საკმარისობა;

ბ) შეფასებების შედარებითი და მულტიკრიტერიული ხასიათი;

გ) აუცილებელი და საკმარისი კრიტერიუმების მინიმუმის შერჩევა;

დ) ინფორმაციის დამატებითი (სტატისტიკურთან ერთად) წყაროების მოძიება და შერჩევა.

პირველადი ინფორმაციის ობიექტურობა და საკმარისობა – უფრო თვალსაჩინო და ნაკლებად რეალიზებადი მეთოდური მოთხოვნა.

შეფასებების შედარებითი ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ რეგიონული სიტუაციებისა და რეგიონული პრობლემების ნებისმიერი შეფასება შეიძლება იყოს მოცემული მხოლოდ იმ მდგომარეობასთან შედარების შემთხვევაში, რომელიც მიჩნეულია ნორმად, აგრეთვე, ადრინდელ მდგომარეობასთან, მეზობელ ან პირობითად ანალოგიურ ტერიტორიასთან და ა.შ. მიმართებაში. შეფასება ნიშნავს დასაბუთებას, რომ გასაანალიზებელი

სიტუაცია ან პრობლემა გამოირჩევა (ან არ გამოირჩევა) სხვებისგან; ასევე, იგი მოიცავს იმის განსაზღვრას, თუ რამდენად და რა პარამეტრებით არსებობს ეს განსხვავებები.

შეფასების მულტიკრიტერიული ხასიათი განისაზღვრება რეგიონული სიტუაციებისა და პრობლემების ერთი რომელიმე კერძო ან ინტეგრალური მაჩვენებლის მიხედვით, სწორი აღწერის ან მით უფრო, კორექტული შედარების ობიექტური შეუძლებლობით. ამგვარად, შრომის რეგიონულ ბაზრებთან (ლოკალური მასობრივი უმუშევრობა) დაკავშირებული პრობლემების შეფასებისას, შეუძლებელია სიტუაციის კორექტული შეფასება მხოლოდ დასაქმების მაჩვენებლებზე ორიენტირებით. აქ აუცილებლად დგება საკითხი არანაკლებ რამდენიმე ათეული სხვა მაჩვენებლის (ეკონომიკის, ფინანსების, მცირე წარმოების, სოციალური პოლიტიკის, დემოგრაფიისა და ა.შ. სფეროები), მათ შორის, რეგიონული სიტუაციისთვის დამახასიათებელი მაჩვენებლების შემოტანისა და კერძო პრობლემის მოცემული რეგიონის ფარგლებს გარეთ განხილვის საჭიროების შესახებ.

აუცილებელი და საკმარისი კრიტერიუმების შერჩევა ხორციელდება ერთადერთი ნიშნით: ეს ნიშანია – სიტუაციის ან პრობლემის შინაარსთან შესაბამისობა (ადეკვატურობა). მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად, რეგიონული პრობლემებისა და სიტუაციების ყველა პარამეტრი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემავსებელია, კრიტერიუმთა რიცხვში პარამეტრების ჭარბი რაოდენობით ჩართვა ხშირად უფრო აძნელებს და უმრავლეს შემთხვევაში, შეუძლებელსაც კი ხდის ამგვარი შერჩევის პროცედურას. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, მოხდეს მოცემული სიტუაციისა და პრობლემის გენეზისისა და გამოვლენის საკვანძო ცნებების ფორმულირება და უკვე შემდეგ ადეკვატური კრიტერიუმების აუცილებელი და საკმარისი მინიმუმის შერჩევა.

თანმხლები (ფონური) ინფორმაციის მოზიდვა. რეგიონულ პრობლემატიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიტუაციის ის მხარეები და პრობლემები, რომელთა გამოსახვაც (არტიკულირება) სტატისტიკის ენაზე შეუძლებელია. ესენია განწყობები, მოტივაციები, ცხოვრების წესი, ეკონომიკური და სოციალური ქცევა, ნაციონალურ-ეთნიკური თვითშეგრძნება და მოსახლეობის ინდივიდუალური თუ კოლექტიური ყოფის სხვა ასპექტები. ამიტომ, უკიდურესად მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფორმაციის არსებობა ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფების, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის, სხვადასხვა ფორმის სამეურნეო საქმიანობის მონაწილეთა, ცალკეული სოციალური ჯგუფების და ა.შ. შესახებ. დღეისათვის ასეთი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურად ორგანიზებული სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგად.

რათა უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ რეგიონულ მონიტორინგზე, საინტერესო იქნება გავეცნოთ "2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის" განხორციელებისთვის მონიტორინგის გეგმას.

წინამდებარე გეგმა „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის" (რგპ) ეფექტიანი განხორციელებისა და მართვის მონიტორინგის დამატებითი [109] მექანიზმია. საკუთრივ პროგრამა განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის მთავარ ამოცანებსა და პრიორიტეტებს, მათზე პასუხისმგებელი სა-

მინისტროებისა და უწყებების მხრიდან შესაბამისად გასატარებელ ღონისძიებებს. ამ საზის მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა კი უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიანი განხორციელების სისტემურ მხარდაჭერას, რაც ამავდროულად, ევროკომისიასა და საქართველოს მთავრობას შორის 2014 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული ფინანსური შეთანხმების[110] ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს.

1. შესავალი. „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის" განხორციელება კომპლექსური საკითხია და კოორდინაციის მძლავრ და ეფექტიან სისტემას მოითხოვს. ამისთვის კი, საჭიროა „იმ სამინისტროებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების თანამშრომლობა და ჩართულობა, რომელთა საქმიანობამ შეიძლება გავლენა იქონიოს ქვეყნის რეგიონულ განვითარებაზე."[111] ეფექტიანი მართვისა და კოორდინაციის სისტემა მოიცავს პროგრამირებას, განხორციელებას, მონიტორინგს, შეფასებას, ფინანსურ მართვასა და კონტროლს. ამ საზის კომპლექსური სისტემის შექმნა და მისი ფუნქციონირება დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, კერძოდ, მმართველობის გამართული სისტემისა და რგპ-ს განხორციელებაში მონაწილე ყველა სახელისუფლებო ორგანოთა წარმომადგენლების უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

2. მონიტორინგის როლი. რეგიონული განვითარების პროგრამის მართვის ციკლის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად მისი მონიტორინგის სისტემა განიხილება: იგი მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა, რომელზე დაყრდნობითაც მომზადდება ანგარიშები რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებისა და ღონისძიებების ხარისხის ანალიზის შესახებ. მართვის სხვადასხვა დონეზე (პროექტი, ღონისძიება, პროგრამა) მომზადებული ანგარიშები, საჭიროების შემთხვევაში, საშუალებას უნდა იძლეოდეს, მიღებულ იქნას გადაწყვეტილებები რეგიონული განვითარების პროგრამით გათვალისწინებული საბოლოო შედეგების მიღწევისთვის პრევენციული ან მაკორექტირებელი ქმედების განსახორციელებლად.

რეგიონული განვითარების პროგრამა საქართველოს რეგიონული პოლიტიკის საშუალოვადიანი სამოქმედო ინსტრუმენტია. იმავდროულად, იგი სხვადასხვა პროგრამების ევროკავშირის სტანდარტებით მართვისა და განხორციელებისთვის ღირებულ საპილოტე და სადემონსტაციო როლს უნდა თამაშობდეს ყველა სახელისუფლებო რგოლისთვის. ამ მიზნით, ეს დოკუმენტი უნდა უზრუნველყოფდეს:

- საჯარო დანახარჯების მონიტორინგის ერთიანი სისტემის მომზადებისთვის საჭირო ორიენტირსა და ასევე, ამ დანახარჯებით მისაღებ შედეგებს, რომელიც ეროვნულ დონეზე დადგენილ სტრატეგიულ მიზნებსა და ინდიკატორებს უკავშირდება.
- რეგიონული განვითარების სტრატეგიების სისტემური განხორციელების ფარგლებში გაწეული დანახარჯების მონიტორინგისა და მათი შედეგების ზეგავლენას.

3. რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის სისტემასთან დაკავშირებული ვალდებულებები. 2014-2016 წლების პერიოდში საქართველოსთვის ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა რეგიონული განვითარების პროგრამის შემუშავება და მისი განხორციელებაა. რეგიონული განვითარების პროგრამის

წარმატებით მომზადებისა და განხორციელებისთვის საჭიროა ისეთი მონიტორინგის სისტემის შეთავაზება და დანერგვა, რომელიც პროგრამის განხორციელებისა და მოსალოდნელი შედეგების მიღწევის პროცესს გაუწევს ზედამხედველობას. ეს საჭიროება დასტურდება ევროკავშირთან შესაბამის ფინანსურ შეთანხმებაში გაწერილი რიგი პირობებით, რომლის ნაწილი პირდაპირ უკავშირდება რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის სისტემის შექმნას. გარდა ამისა, ცალკე პირობებია დადგენილი რეგიონული განვითარების პროგრამის შუალედური შეფასების მომზადებისა და განხილვისთვის, ისევე როგორც მონიტორინგისა და შეფასების საინფორმაციო სისტემისთვის საჭირო ძირითადი მონაცემების განსასაზღვრად.

ევროკავშირთან ფინანსური შეთანხმება – პროგრამის მონიტორინგთან პირდაპირ დაკავშირებულ შემდეგ მოთხოვნებს აყენებს:

2014 წლის ბოლომდე:

რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელებისთვის ეფექტური მონიტორინგის მექანიზმის შეჯუშავება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ ხდება, რომელიც მხარდაჭერილი იქნება რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ.

რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია განსაზღვრავს და ამტკიცებს მონიტორინგისა და შეფასების საინფორმაციო სისტემისთვის დადგენილ ძირითად მონაცემებს (რომლებიც რეგიონებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისთვის აუცილებელი წყაროების შესახებ ინფორმაციას მოიცავს).

2015-2016 წლებში:

რეგიონული განვითარების პროგრამის შესახებ მონიტორინგის მონაცემების შეგროვება შემუშავებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს.

რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის 6 თვის მონიტორინგის ანგარიშში მოცემული იქნება:

(1) რეგიონული განვითარების პროგრამის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღწეული კონკრეტული შედეგების პრეზენტაცია;

(2) რეგიონული განვითარების პოლიტიკასთან დაკავშირებული და მასზე პასუხისმგებელი შესაბამისი სამინისტროების მიერ ამ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ყოველწლიური საბიუჯეტო ასიგნებანი;

(3) კონკრეტული რეკომენდაციები რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში ეფექტიანობის ამაღლებისთვის. ამ რეკომენდაციების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების ჩამონათვალი და განხორციელების კალენდარი.

რეგიონული განვითარების პროგრამის ყველა დონეზე სრული ანგარიშების მომზადების ვალდებულება ეკისრება ყველა მონაწილე სამინისტროს, შესაბამისად, განმახორციელებელი ორგანოები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი რეგიონული განვითარების პროგრამის შესახებ ინფორმაციის მოგროვებაში, ანალიზსა და კომენტირებაში.

4. მონიტორინგის საგანი. რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის საგანს წარმოადგენს:

ა) რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების პროგრესი, მყისიერი შედეგების ეფექტიანობა და ფინანსური ინდიკატორების შეფასება, როგორც ეს მოცემულია ღონისძიებების ცხრილში;

ბ) ღონისძიებების დონეზე დასახული მოსალოდნელი საბოლოო შედეგების მიღწევის კოეფიციენტი (საბოლოო შედეგების მაჩვენებლების საფუძველზე)

გ) რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებით განსაზღვრული რეგიონული გათანაბრების (კოჰეზიის) პროცესის შეფასება შემდეგი ორი კონკრეტული მიზნის მიღწევის საფუძველზე:

1. ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა და დასაქმების დაბალი დონის მქონე რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

2. ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება, განსაკუთრებით, სასოფლო და განუვითარებელ ტერიტორიებზე.

მონიტორინგის პარალელურად, სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები რეგიონული განვითარების პროგრამასთან მიმართებით რეგიონულ დონეზე განიხილავენ შესაბამისი რეგიონების განვითარების სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს.

5. რეგიონული განვითარების პროგრამის სისტემა. რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში ანგარიშგების სისტემა მოიცავს:

(ა) რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ყოველწლიურ ანგარიშებს;

(ბ) რეგიონული განვითარების პროგრამის ექვსი თვის ანგარიშს;

(გ) „საინფორმაციო ფურცელს" ექვსი თვის პერიოდში ღონისძიებების (მისი შემადგენელი კომპონენტების) განხორციელების შესახებ;

(დ) საინფორმაციო ფურცლებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის სახსრების ათვისების შესახებ ექვსი თვის პერიოდით;

(ა) რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ყოველწლიური ანგარიშები.

ყოველ წელს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, "2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის" მონიტორინგისთვის შექმნილი სპეციალური უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის [112] მხარდაჭერით, მოამზადებს პროგრამის იმპლემენტაციის ყოველწლიური ანგარიშის პროექტს. ამ ანგარიშისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება უნდა უზრუნველყონ:

- განსაზღვრულმა სამინისტროებმა;
- სხვა განმახორციელებელმა უწყებებმა და პირდაპირმა ბენეფიციარებმა;
- საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურმა.

ამავდროულად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს განმახორციელებელი სამინისტროების მიერ, ანგარიშის შედგენის მიზნებისათვის, სახელმწიფო ბიუ-

ჯეტის ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებული ინფორმაციის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ გეგმებთან და მისი შესრულების მონაცემებთან მიმართებაში შესაბამისობის გადამოწმებას.

საქართველოში რეგიონული გათანაბრების თვალსაზრისით მიღწეული პროგრესის შეფასებისთვის, შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს შუალედური შეფასებები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები და კვლევის შედეგები.

ყოველ საანგარიშო წელს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ განსახილველად და დასამტკიცებლად მომზადდება პროგრამის განხორციელების ყოველწლიური ანგარიში მომდევნო წლის 31 მარტამდე. რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ყოველწლიური მოხსენება განთავსდება რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდზე(www.mrdi.gov.ge), მას შემდეგ, რაც იგი დამტკიცდება რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ, რომელიც, ამავდროულად, ასრულებს მონიტორინგის ფუნქციას).

ყოველწლიური ანგარიში უნდა შეიცავდეს:

• წინა კალენდარულ წელიწადში (პროგრამის დაწყებიდან) პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ მთავარ ინფორმაციას, მისი მიზნების მიღწევის დონეს და კონკრეტული ღონისძიებების გატარების (ინფრასტრუქტურულ და ფინანსურ) პროგრესს.

• რეგიონული განვითარების პროგრამით განსაზღვრული რეგიონთა შორის გათანაბრების (კოჰეზიის) კუთხით მიღწეული პროგრესის ანალიზს, რისი შეფასებაც პროგრამის მიზნებისა და პრიორიტეტების შესაბამისობით ხდება. ამასთანავე, იგი მოიცავს პროგრამით გათვალისწინებულ ხუთ პრიორიტეტულ სფეროში მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურის/საშუალებების/დამხმარე სერვისების ხელმისაწვდომობის ანალიზს.

• იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც ღონისძიების მიზნებისა და ამოცანების განხორციელების პროგრესზე ახდენს გავლენას (მათ შორის მაკრო-ეკონომიკური მდგომარეობა, ფინანსური საკითხები, ადმინისტრაციული შესაძლებლობები, საკანონმდებლო საფუძველი და ა.შ).

• რეგიონული განვითარების პროგრამის რელევანტურობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს; მომავალში პროგრამის შესაძლო გადახედვას;

4. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგისთვის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის 20.10.2014 გადაწყვეტილებით. ეს ჯგუფი რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიაში წარმოდგენილი უწყებების წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული.

რეგიონულ პოლიტიკას, იმ პრიორიტეტებსა და ქმედებებს, რომლებიც პროგრამის განხორციელებისა და მართვის მხარდასაჭერად შესაბამისმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ და მასთან დაკავშირებულ კალენდარს.

2018 წელს წარსადგენი რეგიონული განვითარების პროგრამის წლიურ ანგარიშში უნდა აისახოს და აისახა კიდეც პროგრამის სამწლიანი განხორციელების ზოგადი შედეგების შეფასება. უნდა შეჯამდეს ყველა შეფასების, შესაბამისობის ანალიზისა და კვლე-

ვების შედეგები და მათზე დაყრდნობით გაიცეს რეკომენდაციები რეგიონული პოლიტიკის შესახებ. გარდა ამისა, ანგარიშში მოცემული უნდა იყოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამომავლო პროგრამების შეთავაზება. რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიისთვის ამ ანგარიშის წარდგენის ბოლო ვადად დადგენილ იქნა 2018 წლის 31 მარტი.

(ბ) რეგიონული განვითარების პროგრამის ექვსი თვის შესრულების ანგარიში

რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ყოველწლიური ანგარიშის გარდა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის" მონიტორინგისთვის შექმნილი კონკრეტული უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერით, მოამზადებს რეგიონული განვითარების პროგრამის 6 თვის შესრულების ანგარიშს. ანგარიში უნდა ეფუძნებოდეს ღონისძიებების (და მისი კომპონენტების) განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამინისტროების, შესაბამისი განმახორციელებელი უწყებებისა და პირდაპირი ბენეფიციარების, ასევე საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ ანგარიში განსახილველად და დასამტკიცებლად უნდა მოამზადოს არაუგვიანეს ყოველი წლის 30 სექტემბრისა.

რეგიონული განვითარების პროგრამის შესრულების ექვსი თვის ანგარიში უნდა შეიცავდეს:

- პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ მთავარ ინფორმაციას, მისი მიზნების მიღწევის მაჩვენებელს და კონკრეტული ღონისძიებების გატარების (ინფრასტრუქტურულ და ფინანსურ) პროგრესს.
- იმ ფაქტორების ანალიზს, რომელიც ღონისძიების მიზნებისა და ამოცანების განხორციელების პროგრესზე ახდენს გავლენას (მათ შორის მაკრო-ეკონომიკური მდგომარეობა, ფინანსური საკითხები, ადმინისტრაციული შესაძლებლობა, საკანონმდებლო ბაზა და ა.შ).
- რეკომენდაციებს, დაკავშირებულს რეგიონული განვითარების პროგრამის შინაარსსა და ქმედებებთან, რომლებიც შესაბამისმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ, დადგენილი დროის განრიგის მიხედვით პროგრამის განხორციელების და მართვის მხარდასაჭერად.

(გ) ღონისძიებების (მისი კომპონენტების) განხორციელების შესახებ ექვსთვიანი საინფორმაციო ფურცელი

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი თითოეული განმახორციელებელი საagენტო ან ორგანო (ზოგ შემთხვევაში უშუალოდ შესაბამისი სამინისტრო) ვალდებულია ყოველ ექვს თვეში მოამზადოს იმ ღონისძიებების (მისი კომპონენტების) განხორციელების შესახებ ექვსთვიანი საინფორმაციო ფურცელი, რომელზეც ისინი არიან პასუხისმგებელნი. ინფორმაცია უნდა ემყარებოდეს შესაბამისი ღონისძიებების (მისი კომპონენტები) ფარგლებში პროექტების განხორციელებისას შეგროვებულ მონაცემებს. საინფორმაციო ფურცლის წარდგენა უნდა მოხდეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

სამინისტროსთვის საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, მას შემდეგ, რაც მას ღონისძიებაზე პასუხისმგებელი მინისტრი დაამტკიცებს. ექვსი თვის საინფორმაციო ფურცელი უნდა შეიცავდეს კონკრეტული ღონისძიების (მისი კომპონენტების) განხორციელებასთან დაკავშირებულ მთავარ ინფორმაციას, ამ კონკრეტული ღონისძიებისთვის დასახული შედეგებისა და ფინანსური მაჩვენებლების ანალიზს, ასევე იმ ფაქტორების ანალიზს, რომელიც ღონისძიების (ქვე-ღონისძიების) განხორციელების პროგრესზე ახდენს გავლენას (მათ შორისაა მაკრო-ეკონომიკური მდგომარეობა, ფინანსური საკითხები, ადმინისტრაციული შესაძლებლობა, საკანონმდებლო საფუძველი, კონტრაქტის დადების პროცესი და ა.შ). ანგარიში ასევე შეიძლება შეიცავდეს ღონისძიების (მისი კომპონენტების) გატარებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

(დ) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რგპფ) საქმიანობის შესახებ ექვსთვიანი საინფორმაციო ფურცელი

იმისათვის, რომ რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში რგპფ-ს ჩართულობის ეფექტები შეფასდეს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (რომელიც რგპფ-ს იმპლემენტაციაზეა პასუხისმგებელი) მისი განხორციელების პროგრესის შესაფასებლად ექვსთვიანი საინფორმაციო ფურცელი უნდა მოამზადოს.

ინფორმაცია უნდა ეყრდნობოდეს რგპფ-დან დაფინანსებული პროექტების განხორციელებისას მოძიებულ მონაცემებს, ასევე მუნიციპალიტეტების, გამგებლებისა და სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. მისი მომზადება უნდა მოხდეს საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში. რგპფ-ს საქმიანობის შესახებ ექვსთვიანი საინფორმაციო ფურცელი უნდა შეიცავდეს ფონდის იმპლემენტაციის შესახებ ძირითად ინფორმაციას მისთვის დასახული პრიორიტეტების, მყისიერი შედეგებისა და ფინანსური ინდიკატორების ჭრილში. ასევე იმ ფაქტორების ანალიზს, რომელიც მის განხორციელებაზე ახდენს გავლენას (მათ შორისაა მაკრო-ეკონომიკური მდგომარეობა, ფინანსური საკითხები, ადმინისტრაციული შესაძლებლობა, საკანონმდებლო საფუძველი, კონტრაქტის დადების პროცესი და ა.შ). აქ ასევე შეიძლება მოცემული იყოს ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები და ქმედებები, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდის იმპლემენტაციის მხარდასაჭერად უნდა გაატარონ შესაბამისმა ორგანოებმა (მათ შორის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, მუნიციპალიტეტები, სამხარეო საკონსულტაციო საბჭო, და სხვ.) და ბენეფიციარებმა. ფინანსური ინფორმაცია უნდა დაიყოს რეგიონების მიხედვით.

გარდა ამისა, წლის ბოლოს მომზადებული საინფორმაციო ფურცელი შეიძლება შეიცავდეს შესაბამისი რეგიონული განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესახებ ინფორმაციასა და რეგიონული განვითარების პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში რეგიონული განვითარების ფონდის მიერ შეტანილ წვლილს, ისევე როგორც რგპ-ს რეგიონული კომპონენტების შესახებ რეკომენდაციებს.

6. რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების პროცესის მონიტორინგი ღონისძიებებისდონეზე-ინდიკატორების როლი და ტიპები. პროგრესი რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელებაში იზომება ცალკეული ღონისძიებების დონეზე შემდეგნაირად:

- ინფრასტრუქტურის განვითარების მაჩვენებლები და ამისთვის დასახული მიზნები;[113]
- საბოლოო შედეგის მაჩვენებლები და ამისთვის დასახული მიზნები;
- ფინანსური ინდიკატორები და მიზნები, რაც გულისხმობს დაგეგმილ და რეალურ ხარჯებს ყოველწლიურ და სამწლიან ჭრილში.

6.1. მყისიერი (შუალედური) შედეგის ინდიკატორი

მყისიერი შედეგების შეფასების ინდიკატორი პირდაპირ დაკავშირებულია ინვესტირების (აქტივობის) სახეობასთან, რომელიც მოცემული ღონისძიების ფარგლებში ინდივიდუალური პროექტების დონეზე უნდა დაფინანსდეს. დასახული მიზნების მიღწევის პროგრესის გაზომვა უნდა მოხდეს ყოველ ექვს თვეში, საინფორმაციო ფურცლებით მიწოდებული მონაცემების საფუძველზე, რომლის მომზადებაზეც პასუხისმგებელია ღონისძიების განმახორციელებელი უწყებები ან ორგანოები, და იმ დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიერაა მოწოდებული. რეგიონული განვითარების პროგრამის პროგრესი ფასდება შესაბამისი ღონისძიებ(ებ)ის ცხრილში მოცემული სამიზნეების გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელების მთლიანი პერიოდისთვის (2015-2017წწ.).

ღონისძიების დონეზე ინფრასტრუქტურის განვითარების მაჩვენებლის ძირითადი ინდიკატორებია:

- მიწოდებული მომსახურებისა თუ საქონლის ოდენობა (დამოკიდებული ღონისძიების სახეობაზე);
- რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების პერიოდში დასახული მიზნების მიღწევის პროცენტული მაჩვენებელი.

იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ღონისძიებების ცხრილში წინასწარი სამიზნე ღირებულებების განსაზღვრა, პროგრესის შეფასება უნდა მოხდეს მიწოდებული მომსახურებისა თუ საქონლის რაოდენობით.

6.2. საბოლოო შედეგის ინდიკატორები

საბოლოო შედეგის ინდიკატორები უნდა ასახავდეს პროექტების ან მათი ჯგუფის (ამ შემთხვევაში ღონისძიების) განხორციელების შედეგად მიღებულ ცვლილებებს. ის პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს მოცემული ღონისძიების იმპლემენტაციის მოსალოდნელ შედეგებს.

რეგიონული განვითარების პროგრამის მოსალოდნელი შედეგების მიღწევის შეფასება ცალკეული ღონისძიების დონეზე უნდა მოხდეს წელიწადში ერთხელ, რგპ-ის წლიურ ანგარიშში, რომელიც დაფუძნებული იქნება განმახორციელებელი უწყებების, პასუხისმგებელი სამინისტროებისა და სხვა შესაბამისი ორგანოების მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და ასევე, როდესაც ეს შესაძლებელი იქნება, შეფასებების შედეგებზე.

ვინაიდან საბოლოო შედეგის მაჩვენებლების რაოდენობრივი მონაცემის დადგენა დღეისთვის შეუძლებელია, რგპ-ს იმპლემენტაციის ყოველწლიურ ანგარიშში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ანალიზი თავისი ბუნებით შეფასებითი იქნება. თ[illegible] ბების შემოწმებაში, სადაც [illegible] მხოლოდ[illegible] ლი შედეგების მიღწევის ყველაზე მარტივი ინდიკატორი სამწლიან პერიოდში მიღწეული სამიზნე ღირებულების პროცენტული მაჩვენებელია.

6.3. ფინანსური ინდიკატორები

ფინანსურმა ინდიკატორებმა უნდა გვიჩვენოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების პროგრესი ფინანსურ ჭრილში. პროგრამის განხორციელების პერიოდში ყოველ წელს (2015წ., 2016წ., 2017წ.) დაგეგმილი ფინანსური ხარჯისა და მოცემული ღონისძიების ფარგლებში კონკრეტული ინვესტიციების (აქტივობის) შესაბამისი ბიუჯეტის კოდის დაზუსტება მოხდება ყოველწლიურად შესაბამისი წლის საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

რეგიონული განვითარების პროგრამის ფინანსური გეგმა, რომელიც მზადდება მრავალწლიანი ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტის (BDD) და ცალკეული ინსტიტუტების ბიუჯეტის საფუძველზე, (რომლებიც ღონისძიების ცხრილების განხორციელებაზე არიან პასუხისმგებლები). ეს გეგმა რეგიონული განვითარების პროგრამის ფინანსური მონიტორინგის საფუძველია. თითოეული წლის მიზნების გადახედვა ყოველწლიურად უნდა მოხდეს და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მიღებული წლიური ბიუჯეტის შესაბამისად განახლდეს.

რეგიონული განვითარების პროგრამის იმპლემენტაციის ფინანსურ ჭრილში პროგრესის შეფასება მოხდება განმახორციელებელი უწყებებისა და ორგანოების მიერ წარმოდგენილი ექსთვიანი საინფორმაციო ფურცლების მიხედვით, ასევე, იმ დამატებითი ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელსაც შესაბამისი სამინისტროები და უწყებები მიაწვდიან.

რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში ღონისძიების დონეზე ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებია:

- მთლიანი გამოყოფილი თანხა ერთი წლისა და პროგრამის განხორციელების მთლიანი პერიოდისთვის;
- მთლიანი დანახარჯი ერთი წლისა და პროგრამის განხორციელების სრული პერიოდისთვის;
- მთლიანი დანახარჯის პროცენტული შეფასება ერთი წლისა და პროგრამის განხორციელების სრული პერიოდისთვის; ფინანსური ხელშეკრულება შემდეგ ფინანსურ სამიზნეებს ადგენს:
- 2015 წლისთვის (მე-2 ტრანშის დროს) რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში წლიური რეალური დანახარჯი ამ წლისთვის გათვლილი მთლიანი საჯარო/საბიუჯეტო დანახარჯის 70%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.
- 2016 წლისთვის (მე-3 ტრანშის დროს) რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში წლიური რეალური დანახარჯი ამ წლისთვის

გათვლილი მთლიანი საჯარო/საბიუჯეტო დანახარჯის 80%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

7. რეგიონული განვითარების პროგრამის შედეგების შეფასება რეგიონული განვითარების საერთო მიზნების ჭრილში. რეგიონული პოლიტიკის მიზნებზე რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ზემოქმედების ეფექტიანი გაზომვა მხოლოდ ხანგრძლივ პერსპექტივაშია შესაძლებელი. 2018 წელს მომზადებული ანგარიში შეიცავს პროგრამის ფარგლებში სამი წლის პერიოდში მიღწეული საერთო შედეგების ხარისხობრივ შეფასებას. ეს შეფასება უნდა განხორციელდეს 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნების ჭრილში:

ა) ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა და დასაქმების დაბალი დონის მქონე რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. ბ) ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, განსაკუთრებით სასოფლო და ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში.

გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონული განვითარების პროგრამა, არც მიზნის მიღწევის კონკრეტულ ინდიკატორებს და არც სამიზნე ღირებულებებს არ განსაზღვრავს, რეგიონული გათანაბრების მიზნების მიღწევაში პროგრამის მიერ შეტანილი საერთო წვლილის განსაზღვრა, უნდა მოხდეს, პირველ რიგში, შეფასებების და ასევე დამატებითი კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე, ასევე, იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც მოპოვებაც შესაძლებელია სხვადასხვა წყაროს მეშვეობით (სამინისტროებისა და უწყებების, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის, ა.შ). რეგიონული ანალიზისა და რგპ-ს ზემოქმედების შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა მოთხოვნები გაწერილია ცალკე დოკუმენტში „ძირითადი მონაცემები რეგიონული ანალიზისა და რგპ-ს შეფასებისთვის".

სტრატეგიულ ჭრილში, რგპ-ს განხორციელების ზემოქმედება რეგიონული განვითარების მიზნებზე უნდა შეფასდეს მხოლოდ პროგრამის დასრულების შემდეგ.

რგპ-ს განხორციელების ბოლოს უნდა მომზადდეს და გამოქვეყნდეს რეგიონული სტატისტიკის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს, როგორც რეგიონული უთანასწორობის შესახებ უახლეს ინფორმაციას, ასევე განახორციელებელი პროგრამის შუალედურ შეფასებას. მიმოხილვაში უნდა იყოს მოცემული რეკომენდაციები საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების საჭირო ნებისმიერი სახის ცვლილებების შესახებ.

8. მონიტორინგის ინსტიტუციონალური სისტემა.

8.1. რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია [114]

2015-2017 წლების რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის კომიტეტის როლს ასრულებს. კომისია პროგრამის მიმდინარეობის განსახილველად, სულ მცირე, წელიწადში ორჯერ უნდა შეიკრიბოს და პროგრამის ფარგლებში ღონისძიებების (მისი კომპონენტების) განხორციელების და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ათვისების პროცესში ჩართულ მხარეებთან (სამინისტროებთან, სხვა განმახორციელებელ ორგანოებთან, და პარტნიორებთან) მუდმივი კონსულტაციები აწარმოოს. (P.S. საქართველოს მთავრობის დადგე-

ნილებით №44; 2018 წლის 29 იანვარს შეიქმნა საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია და დამტკიცდა დებულება და ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის №297 დადგენილება).

პროგრამის იმპლემენტაციის მიმოხილვა უნდა განხორციელდეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 6 თვის და წლიური ანგარიშების საფუძველზე. კომისიამ რეგიონული გათანაბრების (კოჰეზია) პროცესში მიღწეული პროგრესი უნდა განიხილოს, როგორც რგპ-ის წლიური ანგარიშის ნაწილი. მიღებული ანგარიშების გათვალისწინებით, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ პროგრამის განხორციელების ეფექტიანობისა და ეფექტურობის გაზრდისთვის, ასევე ცალკეულ ღონისძიებებსა და განახლებულ მიზნებთან, პრიორიტეტებსა და ზოგადად საქართველოში რეგიონული პოლიტიკის გატარების მეთოდებთან დაკავშირებით შეიძლება მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სხვა პასუხისმგებელ სამინისტროებსა და განმახორციელებელ უწყებებს.

რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების მონიტორინგის მოხსენებების მომზადების პროცესის მხარდასაჭერად და გადაწყვეტილებების მიღების გასამარტივებლად, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ 2014 წლის ოქტომბერში შექმნა 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი. ეს ჯგუფი იმ სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებისგან შედგება, რომლებიც წარმოდგენილია რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიაში.

8.2. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო პასუხისმგებელია რგპ-ს განხორციელების წლიური და ნახევარწლიური კონსოლიდირებული ანგარიშების პროექტების მომზადებაზე, იმ საბაზო დებულებების შესაბამისად, რაც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის №1215 დადგენილებითაა გათვალისწინებული. აღნიშნულის განხორციელება რგპ-ს მონიტორინგისთვის რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის დახმარებით ხდება.

მას შემდეგ, რაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამის ნახევარწლიურ და წლიურ ანგარიშებს მოამზადებს, ისინი შემდგომი განხილვის, მოწონებისა და სათანადო რეკომენდაციების (ასეთი არსებობის შემთხვევაში) მიღების მიზნით წარედგინება რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას.

აღნიშნული ანგარიშების პროექტების მომზადებას და აგრეთვე, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ მონიტორინგის პროცესის განხორციელების მხარდაჭერას უზრუნველყოფს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სპეციალური სტრუქტურული ერთეული. ეს ერთეული პასუხისმგებელი იქნება სხვა სამინისტროებსა და უწყებებთან (მათ შორის, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურთან) მიზნობრივ თანამშრომლობაზე, რათა მოხდეს ევროკავშირის რეგიონული გან-

ვითარების დაგეგმვის პროცესის შემდგომი ადაპტაცია და ევროკავშირის პრაქტიკის გამოყენებით, შესაბამისი მონიტორინგისა და შეფასების სტანდარტების განვითარება.

ეტაპობრივად, ეს ერთეული და მისი ფუნქციები – ევროკავშირის პრაქტიკის გათვალისწინებით უფრო ფართო ადმინისტრაციული შესაძლებლობებისა და მონიტორინგი-შეფასების სტანდარტების განვითარებით – შეიძლება გაიზარდოს და უფრო რთული ამოცანების შესრულება შეძლოს, – არა მხოლოდ რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის მხარდაჭერის თვალსაზრისით (როგორც ეს ამ გეგმაშია მოცემული), არამედ განვითარების სხვა, მათ შორის, შესაძლოა ევროკავშირის მიერ თანადაფინანსებული მიზნობრივი პროგრამების უშუალო მონიტორინგის კუთხით.

8.3. პასუხისმგებელი სამინისტროები

ყველა სამინისტრო, რომელიც რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში ღონისძიებების (მისი კომპონენტების) განხორციელებაზეა პასუხისმგებელი, ვალდებულია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარუდგინოს იმ ღონისძიებების (მისი კომპონენტების) განხორციელების პროგრესის ამსახველი საინფორმაციო ფურცლები, რომელზეც ისინი არიან პასუხისმგებელნი. მათ ასევე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მუშაობასა და ნახევარწლიური და წლიური ანგარიშების საფუძველზე რგპ-ის და შესაბამისი ღონისძიებების შედეგების ანალიზის პროცესში.

8.4. განმახორციელებელი უწყებები და ორგანოები

ყველა განმახორციელებელი უწყება და ორგანო, რომელიც რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში ღონისძიებების (მისი კომპონენტების) განხორციელებაზეა პასუხისმგებელი, ვალდებულია მოამზადოს საინფორმაციო ფურცლები ყოველი ექვსი თვის ვადაში. ამასთანავე, მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ შესაბამისი ღონისძიებების მონიტორინგის განხორციელებასა და მისი ეფექტიანი იმპლემენტაციისთვის რეკომენდაციების მომზადებაში.

9. მონიტორინგის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების განვითარება. რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ყველა განმახორციელებელი ორგანოს მასშტაბით არსებული ადამიანური რესურსების მნიშვნელოვან განვითარებას ითხოვს, რათა მონაცემთა შეგროვება და მისი გაანალიზება მოხდეს პროგრამის მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ტრენინგებისთვის მიზნობრივი ჯგუფები უშუალოდ იმ სახელმწიფო მოხელეებისგან შეიქმნება, რომლებიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხრიდან ჩართულია წლიური და ნახევარწლიური ანგარიშების მომზადების პროცესში; ამას ემატება ის მოხელეები, რომლებიც შესაბამისი სამინისტროების მხრიდან პროგრამის განხორციელების შესახებ ექვსი თვის საინფორმაციო ფურცლის მომზადების პროცესში მონაწილეობენ. გადასამზადებელი ადამიანების შერჩევა რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის სამუშაო ჯგუფისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ უნდა მოხდეს.

იმ ადამიანთა იდენტიფიცირება, რომლებიც პირდაპირ იღებს მონაწილეობას მონიტო-

რინგის პროცესებში, დახმარებას გაუწევს ევროკავშირის სამომავლო ტექნიკურ პროექტს. ივი მორგებული უნდა იყოს რეალურ საჭიროებებზე, რაც გაზრდის მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობებს საქართველოს ხელისუფლების ორგანოებში და დანერგავს ევროპულ პრაქტიკას საჯარო პოლიტიკის ყველა სფეროში. თუმცა, ის, რაც უკავშირდება საქართველოს ადმინისტრაციული პრაქტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციას, წარმოადგენს უფრო გრძელვადიან ამოცანას.[115:გვ.2-12]

8.2 რეგიონული მონიტორინგის სახეები

მონიტორინგი სხვადასხვა სახისაა, უნდა განვასხვავოთ ტოტალური (საყოველთაო) და პრობლემაზე ორიენტირებული რეგიონული მონიტორინგი. ტოტალური მონიტორინგის ამოცანაა რეგიონული სიტუაციის მუდმივი ანალიზი და დიაგნოსტიკა, მთელი ქვეყნისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი ერთეულების, აგრეთვე რომელიმე ნებისმიერი ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიის (არეალი, ზონა, და ა.შ) მასშტაბით; ამასთან, ტოტალური მონიტორინგის საგნად იქცევა რეგიონული სიტუაციაც, მისი შემადგენელი ელემენტების მრავალფეროვნებით.

პრობლემაზე ორიენტირებული მონიტორინგის მიზანია, ამა თუ იმ რეგიონული პრობლემის განვითარების (გადაწყვეტის) ტენდენციების გამოკვლევა, რომლებიც შერჩეულია გარკვეული კრიტერიუმებით და აღიარებულია მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ამოცანად, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ყურადღებას მოითხოვს. ტოტალურისაგან განსხვავებით, პრობლემაზე ორიენტირებული მონიტორინგის საგანია არა მუდმივი და საყოველთაო დაკვირვების დიაგნოსტირებადი რეგიონული სიტუაცია, არამედ გარკვეულ ტერიტორიაზე ამა თუ იმ სიტუაციის წიაღში სპონტანურად წარმოქმნილი კონკრეტული რეგიონული მოვლენები.

თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ტოტალური მონიტორინგი შეიძლება და უნდა მოიცავდეს კიდეც პრობლემაზე ორიენტირებულ მონიტორინგს, როგორც დამოუკიდებელ ფრაგმენტს, ან იყენებდეს შესაბამის ინფორმაციას არა გამოცალკევებულად, ლატენტური სახით.

რეგიონული სიტუაციისა და პრობლემების მონიტორინგის გატარება მიმართულია რეგიონების სხვადასხვა სახის: სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური უსაფრთხოების შეფასებაზე.

რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოება – კეთილდღეობის სიტუაცია ადამიანის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს არსებობისა და საქმიანობის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ხასიათდება რეგიონში ფლორისა და ფაუნის ცხოველმოქმედების კრიტერიული (რეპერული) მაჩვენებლების ერთობლიობით.

რეგიონში ეკონომიკური განვითარების კრიტერიული მაჩვენებლები წარმოადგენს რეგიონის ბუნებრივი კომპლექსის მდგომარეობისა და დინამიკის მახასიათებელ ინდიკატორთა სისტემას. კრიტერიული მაჩვენებლების რიცხვს მიეკუთვნება რეგიონის ეკოლოგიის უმთავრესი მხარეების მახასიათებელი პარამეტრების სისტემატიზებული ნაკრები: სახმე-

ლეთო, წყლისა და საჰაერო აუზების დაბინძურების დონე, პირველადი ბუნებრივი რესურსების აღდგენისკენ მიმართულ ღონისძიებათა გატარება.

რეგიონის პოლიტიკური უსაფრთხოება – საკვლევი ობიექტის კეთილდღეობის სიტუაცია პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის თვალსაზრისით.

პოლიტიკური უსაფრთხოების კრიტერიულ ინდიკატორებად შეიძლება განვიხილოთ მოსახლეობის ნდობის მაჩვენებლები ხელისუფლების ორგანოების მიმართ (ცენტრალური, რეგიონული, მუნიციპალური), სიტუაციის კრიმინოგენურობის მაჩვენებლები, სამეწარმეო კანონმდებლობის ნორმებითა და წესებით მოსახლეობის ცხოვრებისა და საქმიანობის უზრუნველყოფის დონე.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება – საკვლევი ობიექტის კეთილდღეობის სიტუაციაა, რომელიც ხასიათდება რეგიონული სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირებისა და განვითარების კრიტერიული მაჩვენებლების ერთობლიობით. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები – ესაა ინდიკატორთა სისტემა, რომელიც გულისხმობს რეგიონის სამეურნეო კომპლექსის მდგომარეობისა და განვითარების მახასიათებლების, ადამიანებისა და სამეწარმეო საქმიანობის ცხოველმოქმედებისთვის ხელსაყრელი პირობების ერთობლიობას. კრიტერიული მაჩვენებლების (კრიტერიუმების) რიცხვს მიეკუთვნება: პარამეტრების სისტემატიზებული ნაკრები, რეგიონის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ფუნქციონირებისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი მხარეების მახასიათებელთა ერთობლიობა. კერძოდ, აქ უნდა მივაკუთვნოთ: შიდა რეგიონული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე და მისი დინამიკა, შეზღუდული საწარმოო რესურსების (მოსახლეობისა და მწარმოებლების შრომითი, ბუნებრივი, კაპიტალური, საინვესტიციო, ცოდნისა და გამოცდილების, ინფლაციისა და მისი დინამიკის, რეგიონის საგადასახადო ბალანსის, ბიზნესის სფეროში კრიმინალური სიტუაცია) გამოყენების დონე და ეფექტიანობა.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი მიზანშეწონილია, აიგოს მულტიფაქტორული ეკონომიკური მოდელების საფუძველზე. კვლევის საფუძველში შეიძლება ჩაიდოს მოდელების სისტემა, რომლის ბირთვსაც წარმოადგენს საქართველოს პირობებთან ადაპტირებული, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვლევითი ინსტიტუტის მეთოდოლოგია UNITAR.

მოდელი კონსტრუირდება რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის დონისა და სხვადასხვა მხარეებისთვის დამახასიათებელი მაჩვენებლების ერთობლიობის ბაზაზე, ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარების საფუძველზე. ყოველი მაჩვენებლისთვის ხდება რეიტინგების გამოთვლა, რომელიც მიუთითებს მოცემული მაჩვენებლით დაკავებულ ადგილს რეგიონში და საშუალო სიდიდიდან გადახრის ხვედრით წილს. დაბალი დონის მაჩვენებლები ერთიანდებიან ჯგუფში, რომელიც ახასიათებს სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გარკვეულ სფეროებს, ისეთებს როგორებიცაა: განვითარების მატერიალური ბაზა, ადამიანური პოტენციალი, მატერიალური მოხმარების დონე და ა.შ. ყოველი ჯგუფის ცალკეული მაჩვენებლის მსგავსად, ითვლება რეიტინგები და ხვედრითი წილები. მოცემული მაჩვენებლები წარმოადგენს საფუძველს რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და მასში მიმდინარე პროცესების ანალიზისთვის.[116:გვ.67-78]

თავი 9. რეგიონის განვითარების საინვესტიციო გარემო და ინოვაციური პოლიტიკა

9.1 რეგიონის საინვესტიციო და საინოვაციო პოლიტიკა

რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს რეგიონში ხელშემწყობი გარემოს შექმნისკენ. გარდა ამისა, საინვესტიციო პოლიტიკა რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ემსახურება.

საინვესტიციო საქმიანობა რეგიონის დონეზე შეიძლება იყოს წარმოდგენილი, როგორც სახელისუფლებო ორგანოების, სამეურნეო სუბიექტების, ფიზიკური პირების, საორგანიზაციო, ეკონომიკური და სამართალშემოქმედი მოქმედებების ერთიანობა, რომლებიც მიმართულნი არიან აუცილებელი საინვესტიციო რესურსების ფორმირებისა და საინვესტიციო პროექტებში მათი ეფექტური გამოყენებისკენ, რაც ემსახურება ხანგრძლივსა და გარანტირებულ შემოსავალს რეგიონში მიღებულ მოთხოვნათა დონეზე. საინვესტიციო საქმიანობა რეგიონში უნდა უზრუნველყოფდეს წარმოების პროცესის მთლიანობასა და უწყვეტობას.


რეგიონში ინვესტირების საბოლოო და შემაჯამებელ ობიექტს წარმოადგენს მისი სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსი. მხოლოდ მისი ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება შეფასდეს რეგიონული სახსრების დაბანდება ცალკეულ პროექტებში, წარმოებებსა და დარგებში და განისაზღვროს საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები.

რეგიონული კომპლექსი წარმოადგენს წარმოების განმასაზოგადებელ კონკრეტულ ფორმას, ქვეყნის კვლავწარმოებად ქვესისტემას, რომლის ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით ეკონომიკური განცალკევებულობით ხასიათდება. თავისთავად, ის წარმოადგენს საწარმოო ურთიერთობათა სისტემის მატერიალურ საფუძველს და მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა რეგიონულ საწარმოო ძალთა სპეციფიკურ თავისებურებებს, რაც, ამავდროულად ქმნის შესაძლებლობებს ამ თავისებურებათა უფრო სრული რეალიზაციისთვის. რეგიონში სამეწარმეო ობიექტთა შორის ეკონომიკური კავშირების დამყარება და ცალკეული დარგობრივი პროცესების შერწყმა ერთიან კვლავწარმოებად პროცესში, განსაზოგადოების პროცესის ძირითად შინაარსს წარმოადგენს.

რეგიონში საინვესტიციო საქმიანობის ინტენსივობა განპირობებულია მრავალი – ობიექტური და სუბიექტური, ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორით.

რეგიონული საინვესტიციო საქმიანობის სამეურნეო მექანიზმი შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც საინვესტიციო საქმიანობის ორგანიზაციის, ეკონომიკური ფორმების, მეთოდებისა და ხერხების სისტემა, სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირებული საინვესტიციო პროცესის მონაწილეების ურთიერთობებისა და ურთიერთკავშირების ერთიანობა, რომლებიც მის მაღალ ეფექტიანობას, უწყვეტობასა და საგარეო პირობებისგან შედარებით დამოუკიდებლობას უზრუნველყოფენ. მის შემადგენლობაში გამოყოფილია ელემენტთა 3 ბლოკი.

სქემა. რეგიონული საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების მექანიზმი



1. საინვესტიციო პროცესის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე ზემოქმედების ფორმები, მეთოდები და ინსტრუმენტები;

2. სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გავლენის ინვესტირების პროცესის უზრუნველმყოფელი მეთოდები და ხერხები;

3. რეგიონის მმართველი ორგანოებისა და საინვესტიციო ინფრასტრუქტურის ობიექტების მუშაობის ორგანიზაციის ფორმები, ინვესტირების პროცესების შეთანხმებული განხორციელების საკითხებზე მათი ურთიერთობების რეგლამენტები.

ეს ბლოკები, რომლებიც ასახავენ საინვესტიციო საქმიანობის მექანიზმის 3 მხარეს (მის ზემოქმედებას საწარმოო ძალებზე, საწარმოო ურთიერთობებსა და ზედნაშენზე) ამავდროულად, განსაზღვრავენ მის უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს, ამოცანებსა და ზემოქმედების ინსტრუმენტებს.

რეგიონის საკუთარი სახსრების ინვესტირების პრიორიტეტების განსაზღვრისათვის, აუცილებელია ვარიანტების ლოკალური, რეგიონული ეფექტიანობის გათვლა, რომელიც გაგებული უნდა იყოს, როგორც დანახარჯებისა და შედეგების შეფარდება.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტები საკმაოდ მრავალფეროვანია. ეს შეიძლება იყოს რეგიონის ადმინისტრაციები, მსხვილი წარმოებები, საკრედიტო და ფინანსური დაწესებულებები და სხვა. კომერციული სუბიექტების აქტივობის ამაღლებისათვის აუცილებელია გარანტიების, დაზღვევის, ორგანიზაციული უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც შეიძლება შემდეგი ღონისძიებების შედეგად იყოს რეალიზებული:

- რეგიონისთვის პრიორიტეტული ინვესტირების მიმართულებების განსაზღვრა;

- რეგიონის ადმინისტრაციისა და საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ ამოსარჩევი პროექტების ხარისხობრივი კრიტერიუმების ერთობლივი განსაზღვრა;
- საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის საკვანძო ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრა;
- დისკონტირების რეკომენდებული მაჩვენებლის განსაზღვრა;
- ადმინისტრაციის საგარანტო ვალდებულებათა განსაზღვრა;
- საბანკო რისკების რედუცირების (შემცირების) უზრუნველყოფა.

ამის საფუძველზე, შესაძლებელია რეგიონისა და კომერციული ორგანიზაციების ეკონომიკური პარტნიორობის განვითარება, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციის კუთვნილ აქციათა ნაწილის გადაცემას, საწარმოო და საცხოვრებელი ფართობების, მიწის ნაკვეთების გამოყოფას საინფორმაციო გამჭვირვალობის უზრუნველყოფად და ა.შ.

რეგიონული საინვესტიციო ინფრასტრუქტურა წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობის წარმატებისა და მისი ფუნქციონირების მექანიზმის ეფექტიანობის წინაპირობას. მხოლოდ სისტემურ მიდგომას, რომელიც ეფუძნება საწარმოო ძალების, საწარმოო ურთიერთობებისა და ზედნაშენის ურთიერთკავშირების გამოვლენას, შეუძლია, სწორად განსაზღვროს ამოცანათა ის წრე, რომელიც წინ ესახება საინვესტიციო ინფრასტრუქტურას, მის თითოეულ ელემენტს და საბოლოო ჯამში, თვით ამ ელემენტების შემადგენლობასაც.

რეგიონული საინვესტიციო ინფრასტრუქტურის ლოგიკური სქემა შეიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. რეგიონში საინვესტიციო საქმიანობის სამეურნეო მექანიზმის განსაზღვრა;

2. იმ მიზანთა და ამოცანათა ერთიანობის განსაზღვრა, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისათვის;

3. ამ ამოცანათა განაწილება რეგიონში არსებულ და ახლადშექმნილ მმართველ ორგანოთა შორის, მათი ფუნქციების მეთოდებისა და სამუშაო ინსტრუმენტების განსაზღვრა;

4. ორგანოთა შორის ურთიერთობათა რეგლამენტირება, მათთვის გავლენათა სფეროების განსაზღვრა, მათი დაჯგუფებისა და ფუნქციების რანგირების საფუძველზე;

ხელშემწყობი საინვესტიციო კლიმატის ფორმირება და საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება უნდა წარმოადგენდეს რეგიონული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიულ ამოცანებს.

რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასებისთვის გამოიყენება ფაქტორთა შემდეგი ჯგუფები:

- გეოგრაფიული: ტერიტორიის ზომა, ბუნებრივი პირობები, ინდუსტრიული ცენტრებისგან დაშორება, სხვა რეგიონებთან სატრანსპორტო კავშირის არსებობა და ა.შ.;
- ბუნებრივი რესურსების: წყლის, მინერალური ნედლეულის, მიწის არსებობა;
- სოციალურ-დემოგრაფიული: მოსახლეობის რაოდენობა-სიმჭიდროვე, დასაქმება, ინტელექტუალური რესურსები, მუშახელის მიგრაცია, ცხოვრების დონე და ა.შ.;

- ეკონომიკური: ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების დონე, ფისკალური პოლიტიკა, რეგიონული ბაზრის მდგომარეობა და ა.შ.;
- ეკოლოგიური: გარემოს დაბინძურების პარამეტრები, ბუნების დაცვის ღონისძიებებზე დანახარჯები;
- პოლიტიკური: პოლიტიკური სიტუაცია რეგიონში, სოციალური დაძაბულობა და ა.შ.;
- საკანონმდებლო: კანონების მიღება, რეგიონში მოქმედი ინვესტიციები;

რეგიონებში საინვესტიციო საქმიანობის უზრუნველყოფის პრობლემათა გადაწყვეტა ძირითადად უნდა უკავშირდებოდეს რეგულირებადი ფინანსური სფეროს მაკროეკონომიკური პარამეტრებიდან კომპლექსურ მრავალმიზნობრივ მიდგომაზე გადასვლას, რომელიც ითვალისწინებს კვლავწარმოების პროცესებზე ზემოქმედებასა და ინვესტირებას მაკრო და მიკროეკონომიკურ დონეებზე. რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკის კონკრეტულ მიმართულებებად უნდა განიხილებოდეს:

- ეკონომიკის რეალური სექტორის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა;
- სამრეწველო წარმოების ინტერესებში შიდა საინვესტიციო პოტენციალის სრული გამოყენება;
- ადრე გამომუშავებული, მაგრამ დღეს სუსტად მოქმედი საინვესტიციო სტიმულირებისა და საწარმოო საქმიანობის ბერკეტებისა და მექანიზმების ეფექტიანობის ამაღლება;
- ინვესტორების ინტერესების სამედო დაცვისა და გარანტიებისათვის მიმართული ქმედითი მექანიზმების ფორმირება;
- რეგიონში სამრეწველო და საინვესტიციო სფეროში უკვე გამოკვეთილი დადებითი ძვრებისა და რეგიონის მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტრაექტორიის მხარდასაჭერად რეალური წინაპირობების შექმნა.

9.2 რეგიონის განვითარების ინოვაციური პოტენციალი და პოლიტიკა

ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ორგანიზაციულმა მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს ყველა პირდაპირი, თუ ირიბად დაინტერესებული სტრუქტურის მიზნების გათვალისწინება და ამავდროულად, ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციების სტიმულირებისათვის შეთანხმებული ღონისძიებების გატარებას. რეგიონების ერთ-ერთ მთავარ მიზნად სახელდება კონკურენტუნარიანობის ზრდა და ამ გზით მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონის ხელშეწყობა; ეფექტიანი ტექნოლოგიების, ინოვაციური მექანიზმების გამოყენების ხარჯზე, კადრების კვალიფიკაციის მუდმივი ზრდა, შიდა და საგარეო ბაზარზე მოწინავე პოზიციების დაკავების უზრუნველყოფა.

შედარებით ქმედითი მიმართულებების განსაზღვრისთვის განიხილება სახელმწიფო რეგიონული სტრუქტურების ფუნქციონირება, რომლებიც ახორციელებენ საბიუჯეტო პოლიტიკას: განკარგავენ რა რესურსებს, რეგიონები უფლებამოსილნი არიან, განახორციე-

ლონ ინვესტიციების რეგულირება და იზრუნონ შიდა საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე. ასევე. ფლობენ ინოვაციური საქმიანობის მრავალარხიანი მექანიზმის ფორმირების საშუალებას. ინოვაციური განვითარების ხანგრძლივი სტრატეგია უნდა წარმოადგენდეს კონკურენტუნარიან უპირატესობას სხვადასხვა რთულ რეგიონში. უპირველეს ყოვლისა, ასეთებად წარმოგვიდგება ინოვაციური საწარმოები.

ეკონომიკისა და ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირება წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პირობას ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანისთვის. აუცილებელია, ჩამოყალიბდეს რეგიონის ინოვაციური პოტენციალის შენარჩუნების სტრატეგია შემდეგი მიმართულებებით:

- საბანკო კრედიტის მოზიდვის მექანიზმების სრულყოფა, რაც ემსახურება საინოვაციო საქმიანობის გაფართოებას და შექმნის პირობებს კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის;
- განვითარებული ფინანსური კაპიტალის მქონე ფონდების ასოციაციის შექმნა, რაც მიზნად ისახავს პერსპექტიული პროექტების განხორციელების ხელშეწყობას;
- საინოვაციო საქმიანობისა და პროცესების ფინანსირებისათვის საამორტიზაციო ფონდის სახსრების მიზნობრივი გამოყენების სისტემის შექმნა;
- საგადასახადო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების მომზადება, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს საინოვაციო აქტივობას;
- ლიზინგის, როგორც ეფექტური საბაზრო მექანიზმის გამოყენება.

საინოვაციო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია რეგიონული საინოვაციო პროგრამა. ის წარმოადგენს რესურსებით, ვადებითა და შემსრულებლებით ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებას, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტას. პროგრამის შემუშავებისას აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების პროგნოზებისა და სტრუქტურული პოლიტიკის მიზნების გათვალისწინება, რამაც შემდგომში უნდა გამოიწვიოს მსხვილი სტრუქტურული ცვლილებები და უნდა უზრუნველყოს ახალი ტექნოლოგიური წყობის პრინციპული სიახლე.

პროექტების შერჩევის ძირითად კრიტერიუმებად აღიარებულია შემდეგი პირობები:

- პროექტების შესაბამისობა მეცნიერებისა და ტექნიკის პრიორიტეტულ განვითარების მიმართულებებთან;
- გადასაწყვეტი პრობლემის არსებითი მნიშვნელობა;
- არსებული საბაზრო მექანიზმის საფუძველზე, პრობლემის მისაღებ ვადებში გადაწყვეტის შეუძლებლობა და სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობა;
- სამეცნიერო-ტექნიკური შედეგების პრინციპული სიახლე და ტექნოლოგიური პროგრესი, რამაც არსებითი გავლენა უნდა იქონიოს წარმოების ეფექტურობის ამაღლებაზე;
- შედეგთა გამოყენების სფეროს მასშტაბურობა;
- ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგებისა და წარმოებების დარგთაშორისი კავშირების კოორდინაციის აუცილებლობა;

- კაპიტალის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სხვა აუცილებელი რესურსების გამოყენების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, პრობლემის გადაჭრის რეალურობა;

რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის მხარდაჭერის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება:

- საბაზისო და მოწინავე ინოვაციების მხარდაჭერა, რაც შეადგენს თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის საფუძველს;
- საინოვაციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების, კონკურენტული საბაზრო ინოვაციური მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ურთიერთკავშირი;
- რეგიონების საინოვაციო საქმიანობის, ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერის, საერთაშორისო საინვესტიციო თანამშრომლობის ხელშეწყობა. ნაციონალური საინოვაციო საქმიანობის ინტერესების დაცვა.

სამეცნიერო ტექნიკური პოლიტიკა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სამეცნიერო ტექნიკური პროგრამების ფინანსური მხარდაჭერით და სხვადასხვა მეურნე სუბიექტებისთვის შეღავათების მინიჭებით. სახელმწიფო ვალდებულია, განახორციელოს სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების ეკონომიკური რეალიზაციის ფუნქციები და ამავდროულად, იგი უნდა წარმოადგენდეს ინტელექტუალური კაპიტალის ძირითად ინვესტორს.

სოციალურად ორიენტირებული საინოვაციო პოლიტიკის რეალიზაციისთვის უნდა გამოვყოთ ფინანსური და ეკონომიკური სტაბილიზაციის მთავარი პრიორიტეტები, ასევე, ინოვაციურ სტრატეგიაზე დაფუძნებული რეგიონის ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, უზრუნველვყოთ საფინანსო-საკრედიტო სისტემის სტაბილურობა, დაჩქარდეს მისი რეორგანიზაცია.

საბიუჯეტო პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს საქმიანი აქტიურობის ზრდას, სტრუქტურული ცვლილებების გატარებას, სოციალური დაცვის განვითარებას. საჭიროა საშუალოვადიანი საბიუჯეტო დაგეგმვის ხარისხის ამაღლება და უახლოეს წლებზე გათვლილი საბიუჯეტო დანახარჯების სტრუქტურის შემუშავება. ყოველწლიური რეგიონული ბიუჯეტების ფორმირების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს პერსპექტიული ფინანსური გეგმა, რომელიც ასახავს მითითებული ღონისძიებების ფინანსურ შედეგებს.

საბაზრო ტიპის ეკონომიკაში ფინანსირების სისტემა ატარებს 2 მნიშვნელოვან ფუნქციას – გამანაწილებელსა და მაკონტროლებელს. განამაწილებელი პროცესი, რომელიც ხორციელდება ფინანსების საშუალებით, არის რთული, მრავალწახნაგოვანი და უშუალოდაა დაკავშირებული მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობასთან, საგადასახადო სისტემასთან, ბანკებსა და ფასიან ქაღალდებზე კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ საბუთებთან, რომელიც მტკიცდება ფედერალურ, ტერიტორიალურ და ადგილობრივ დონეებზე.

ფინანსების საკონტროლო ფუნქცია ემსახურება ფულადი სახსრების გადანაწილებაში არსებული პროპორციების ასახვას. მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ეფექტურად იყენებენ ამ ფუნქციას კონკრეტული მეურნე სუბიექტები. პრაქტიკის ანალიზი გვაჩვენებს, რომ

ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საფინანსო რესურსების დროულ და ზუსტ განაწილებაზე.

ფინანსური კავშირების განვითარებულ სტრუქტურაში, საინოვაციო წარმოების ფინანსებს განმაპირობებელი პოზიცია უკავიათ, ვინაიდან ისინი ემსახურებიან წარმოების მთავარ რგოლს, სადაც მეტწილად იქმნება მატერიალური და არამატერიალური, დოვლათის ძირითადი მასა. რეგულირებადი საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ინოვაციური საქმიანობის ფინანსირების სისტემა ხასიათდება სპეციფიკით და სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. ეს სისტემა უნდა ემსახურებოდეს შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას:

- ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ყველა რგოლში ტექნიკური სიახლეების სწრაფი და ეფექტური დანერგვის აუცილებელი წინაპირობების შექმნა, მისი სტრუქტურულ-ტექნოლოგიური გადაიარაღების უზრუნველყოფა;
- პრიორიტეტულ მიმართულებაში სტრატეგიული სამეცნიერო პოტენციალის შექმნა და განვითარება;
- მეცნიერებისა და ტექნიკის საკადრო პოტენციალის შენარჩუნებისათვის აუცილებელი მატერიალური სტიმულირების შექმნა;

ამ სისტემის ელემენტებად, რომლებიც ურთიერთქმედებენ ინოვაციურ წარმოებებთან და გაერთიანებებთან წარმოადგენენ:

- ფულადი სახსრების შემოდინების წყაროების ერთიანობა:
- ფულადი შემოდინების აკუმულაციისა და საინვესტიციო პროექტებსა და მიზნობრივ პროგრამებში მათი აკუმულაციის მექანიზმი;
- ინვესტიციების კონტროლის მექანიზმი, რომელიც შეიცავს საკუთარი და ნასესხები კაპიტალის დაბრუნებისა და ეფექტურობის შეფასების სისტემას.

ფინანსური კონტროლის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს:

- ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნისა და მათი მიღების რეალურ შესაძლებლობათა დაბალანსებას;
- სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების წინაშე საწარმოს ფინანსური ვალდებულების დროულად და სრულად შესრულებას.

ინოვაციური საწარმოების ფინანსური სტაბილურობის მთავარ პირობას წარმოადგენს სამამულო სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებზე საშინაო მოთხოვნის გაფართოება. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს სახელმწიფო შეკვეთებთან ან სხვა საბიუჯეტო სახის დაფინანსებებთან, კომერციული ბანკების მიერ გამოყოფილ გრძელვადიან კრედიტებთან. ყოველივე ეს უნდა ხორციელდებოდეს სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი კონტროლის პირობებში.

საინოვაციო საქმიანობის მხარდაჭერის არასაბიუჯეტო ფორმებს მიეკუთვნება:

- ინოვატორების, განსაკუთრებით, მცირე მეწარმეების სამართლებრივი დაცვა და მხარდაჭერა;
- საგადასახადო, საკრედიტო, საბაჟო, საამორტიზაციო, არენდის (მათ შორის სალიზინგო) შეღავათების შექმნა სახელმწიფოს მხრიდან;

- კომპლექსურ სახელმწიფო საინოვაციო-საინვესტიციო პროგრამებში არასაბიუჯეტო საინოვაციო პროექტების ჩართვა დამატებითი საბიუჯეტო ფინანსირების გარეშე;
- საინოვაციო მენეჯმენტის სახელმწიფო სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფა სახელმწიფო სტანდარტებით, მეთოდიკით, ინსტრუქციით, დებულებითა და სხვა დოკუმენტებით, საინოვაციო გადაწყვეტილების ანალიზის სხვადასხვა ასპექტების პროგნოზირების, ოპტიმიზაციისა და ეკონომიკური დასაბუთებისთვის;
- სახელმწიფოს მხრიდან საინოვაციო საქმიანობის ინფორმაციით უზრუნველყოფა;
- ინოვატორების საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს პროტექციონისტური პოლიტიკის გატარებით;
- სახელმწიფოს ქმედითი დახმარება ინოვატორების მიერ ჩასატარებელი სერტიფიკაციის, მარკეტინგული კვლევების, რეკლამირებისა და ახალი პროდუქციის გასაღების ორგანიზებაში;
- სახელმწიფოს მხარდაჭერა რთული თანამედროვე ტექნიკის რემონტის განხორციელებაში;
- სახელმწიფოს არასაბიუჯეტო ფონდების, კავშირების და ასოციაციების შექმნა, რომლებიც მოემსახურებიან საინოვაციო საქმიანობის მხარდაჭერის სხვადასხვა ასპექტებს;
- არასაბიუჯეტო ფონდების გამოყენებაზე სახელმწიფო აღრიცხვა და კონტროლი;

მსოფლიო პრაქტიკაში საინოვაციო საქმიანობის სტიმულირებისათვის გამოიყენება საგადასახადო შეღავათების შემდეგი სახეობები:

- კვლევითი და საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი, რომელიც გულისხმობს საინოვაციო მიზნებისთვის მოგებიდან გადასახადების გადავადებას;
- "საგადასახადო არდადეგები" რამდენიმე მანძილზე, რომელიც გავრცელდება საინოვაციო პროექტების რეალიზაციიდან მიღებულ მოგებაზე;
- იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ საინოვაციო ორგანიზაციების აქციებზე მიღებული დივიდენდების შეღავათიანი დაბეგვრა;
- შეღავათების მინიჭებისას განსახორციელებელი პროექტების პრიორიტეტულობის გათვალისწინება;
- ინტელექტუალურ საკუთრებაში შემავალი პატენტების, ლიცენზიების, ნოუ-ჰაუსა და სხვა არამატერიალური აქტივების გამოყენების შედეგად მიღებული მოგების შეღავათიანი დაბეგვრა;
- უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებისა და სხვა ინოვაციური ორგანიზაციებისთვის გადასაცემ ხელსაწყოთა და აღჭურვილობათა ღირებულების დასაბეგრი მოგების შემცირება;
- ინოვაციების დაფინანსებასთან დაკავშირებული საქველმოქმედო ფონდების შენატანების გამოქვითვა დასაბეგრი მოგებიდან.

დღეისათვის განვითარებულ ქვეყნებში შეიძლება გამოიყოს სამეცნიერო-ინოვაციური განვითარების 3 ძირითადი მოდელი:

1. ქვეყნები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მეცნიერებაში ლიდერობასა და

მსხვილმასშტაბიანი მიზნობრივი პროექტების რეალიზაციაზე, როგორც წესი, მოიცავენ სამეცნიერო-სამრეწველო ციკლის ყველა სტადიას და მნიშვნელოვანწილად – სამეცნიერო-ინოვაციურ პოტენციალს თავდაცვის სექტორში (აშშ, ბრიტანეთი, საფრანგეთი);


2. ინოვაციების გავრცელებაზე, ხელსაყრელი საინოვაციო გარემოს შექმნასა და ეკონომიკის სტრუქტურის რაციონალიზაციაზე ორიენტირებული ქვეყნები (გერმანია, შვედეთი, შვეიცარია);

3. ქვეყნები, რომლებიც ახდენენ სიახლეების სტიმულირებას საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარების გზით, მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების შემოღების უზრუნველყოფით, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა სექტორებში მოქმედებათა კოორდინაციით.

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საინოვაციო პროცესების რეგიონული რეგულირების მექანიზმი მეტწილად უნდა ეფუძნებოდეს იმ ეკონომიკურ ფორმებსა და მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც რეგიონული მართვის ორგანოები შესაძლოა, ახდენდნენ ზემოქმედებას სამეურნეო გარემოსა თუ სახელმწიფო მართვის ფედერალური და რეგიონული დონეების კოორდინაციაზე.

ინოვაციების განვითარების პირდაპირი და ირიბი სახელმწიფო მხარდაჭერა რეგიონების მუდმივი, უწყვეტი პროგრესის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. სხვადასხვა ინოვაციური სტრუქტურების პირდაპირი და ირიბი სახელმწიფო ფინანსირების რაციონალური შერწყმა საინოვაციო სფეროში მძლავრ ფუნდამენტურ ფაქტორად წარმოგვიდგება. რეგიონის ეკონომიკისა და მისი ტექნოლოგიური ბაზის მოდერნიზაციის შესაძლებლობის განმსაზღვრელ, მთავარ ფაქტორად გვევლინება ამ პროცესისათვის აუცილებელი, მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები.[117:გვ.110-116]

რეგიონის ინოვაციური პოტენციალის და ინოვაციური აქტიურობის ფაქტორები



რეგიონული რეგულირება წარმოადგენს ღია სისტემას, რომელიც განიცდის, როგორც გარე, ასევე შიდა ზემოქმედებას. გარე ზემოქმედების მთავარ ფუნქციებს შესაძლო-

ა, მივაკუთვნოთ ფედერალური საინოვაციო და სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა და კანონმდებლობა. შიდა ზემოქმედების ფუნქციებად მიიჩნევა ტერიტორიების განვითარების პრიორიტეტები, რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა და კონკრეტული პროექტები.

რეგულირების ეკონომიკური მექანიზმი ცნობილია, როგორც – ძირითადი. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული რეგულირებადი ზემოქმედების სხვადასხვა ფორმებთან – საგადასახადო, საამორტიზაციო, ფასწარმოქმნისა და საფინანსო-საკრედიტო მხარდაჭერით.

საყოველთაოდ ცნობილია საგადასახადო, საამორტიზაციო და ფასწარმოქმნის მხარდაჭერა: გათავისუფლება გადასახადებისგან, დასაბეგრი ბაზის ცვლილება, საგადასახადო განაკვეთების შემცირება, გადახდის გადავადება (საგადასახადო კრედიტი), ძირითადი ფონდების ერთჯერადი და დაჩქარებული ამორტიზაცია, კონტრაქტული ფასწარმოქმნის სისტემა, შეღავათიანი ფასწარმოქმნა, საინოვაციო საქმიანობის მომსახურება.

უმეტეს შემთხვევაში, ეს შეღავათები მიენიჭება საინოვაციო სფეროს კონკრეტულ ორგანიზაციებს, ან სფეროში არსებულ კონკრეტული საქმიანობის სახეობებს.

9.3 საინოვაციო და ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციები საქართველოში

საქართველოს რეგიონებში სახეზეა ტექნოლოგიური განახლებისა და ინოვაციების განვითარების მხარდაჭერის სისტემური და ინსტიტუციური ვაკუუმი. მოძველებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზა, სუსტი საწარმოო შესაძლებლობები, შრომის დაბალი ნაყოფიერება, წარმოების განვითარების დაბალი დონე, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს ეკონომიკური პროცესების განვითარებას რეგიონებში.

2017-2018 წლებში 137 ქვეყნიდან, რომელიც შეფასდა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით" (GCI), საქართველომ 112-ე ადგილი დაიკავა ინოვაციისა და განვითარების ფაქტორში, თავის მხრივ 118-ე ადგილი – ინოვაციებში, ხოლო 99-ე ადგილი – საინოვაციო პოტენციალში, ასევე 70-ე ადგილი დაიკავა ტექნოლოგიურ მზაობაში. კვლევებისა და განვითარების (R&D), ინოვაციებისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილი სტატისტიკა საქართველოში არ იწარმოება. ზოგიერთი მონაცემი ხელმისაწვდომია, მაგრამ მათი უდიდესი უმრავლესობა არ არის წარმოდგენილი რეგიონულ დონეზე.

საქართველოში წარმოებული პროდუქციის (ექსპორტის) დიდი ნაწილი არ მუშავდება და უფრო დაბალი ღირებულებით გამოირჩევა, ვიდრე ევროკავშირისა, თუ სხვა მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნების პროდუქცია. ექსპორტის ხარისხის წინასწარმა ანალიზმა [118] ცხადყო, რომ რამდენიმე უდიდესი საექსპორტო სექტორის (მაგ.: ქიმიკატები და სატრანსპორტო აღჭურვილობა) საბაზრო წილი და ხარისხი ევროკავშირის ბაზარზე არსებულ კონკურენტებთან შედარებით გაიზარდა. რამდენიმე კი ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა; მაგალითად, საკვები პროდუქტების სექტორმა, ხარისხის გაუმჯობესების მიუხედავად, საბაზრო წილი დაკარგა. ტექნოლოგიური დახვეწის და „ინოვაციურების" [119]

ხარისხის წინასწარმა შეფასებამ გამოავლინა, რომ ქვეყანა საშუალო მაჩვენებელზე დაბლა ოპერირებს (შეფასებისას ასევე გამოიკვეთა, რომ საქართველოში ამ სფეროებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და საქმიანობის გაუმჯობესებულ მაჩვენებელს შორის გარკვეული კავშირი არსებობს, გარდა ამისა, აქ პროცესის ინოვაციურობა უფრო თვალშისაცემია, ვიდრე პროდუქტის). საქართველოში არც პროდუქციის/პროცესის ტექნოლოგიის თვალსაზრისით და არც ინოვაციური ნაბიჯების კუთხით მნიშვნელოვანი რეგიონული განსხვავებები არ იკვეთება, გარდა იმ სხვაობებისა, რაც ეკონომიკური საქმიანობის უფრო ზოგად დონეებს ასახავს.

ტექნოლოგიურ/ინოვაციურ სექტორს, ევროკავშირის ეკონომიკური საქმიანობის სახეების სტატისტიკური კლასიფიკატორის მეორე რედაქციის მიხედვით (NACE Rev. 2), შემდეგი სპეციფიკურ ჯგუფებს მიეკუთვნება: კომპიუტერული, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქტების წარმოება; ელექტრომოწყობილობების წარმოება; საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების საბითუმო ვაჭრობა; პროგრამული უზრუნველყოფა; ტელეკომუნიკაცია, კომპიუტერული პროგრამირება, საკონსულტაციო და მასთან დაკავშირებული საქმიანობა; საინფორმაციო სამსახურის საქმიანობა; სამეცნიერო კვლევა და განვითარება; სხვა პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა; კომპიუტერის და ასევე, პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის შეკეთება. ჩამოთვლილ ქვე-სექტორებში აქტიური ბიზნესის საერთო რაოდენობა ათასს აჭარბებს. 2013 წლიდან 2015 წლამდე (ბოლო მონაცემებით) მოცემული ქვე-სექტორების მთლიანი ბრუნვა 24%-ით გაიზარდა და შეადგინა 2,068 მლრდ ლარი, რაც მთლიანი ბიზნეს ბრუნვის 3.6%-ია. ყველაზე დიდი ზრდა იყო პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობაში (258%), რასაც მოჰყვება კომპიუტერული პროგრამირება, საკონსულტაციო და მასთან დაკავშირებული საქმიანობა (144%), შემდეგ კომპიუტერული, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქტების წარმოება (135%). ელექტრომოწყობილობების წარმოება, ამავე პერიოდში, 24%-ით შემცირდა.

საერთო ჯამში, კვლევებსა და განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობა, რაც კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს, საქართველოში ჯერ კიდევ სუსტი და ფრაგმენტულია.

საქსტატის მიერ ჩატარებული სპეციალური ინოვაციების კვლევის თანახმად, 2013-2015 წლებში საინოვაციო საქმიანობაში ჩართული ქართული საწარმოების 48.8%-მა წარმოადგინა ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქცია, ხოლო კომპანიების 51.2% ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული სერვისები.

ინტერნეტის მოხმარების კუთხით შინამეურნეობების ინტეგრირებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ 2017 წლის ივნისის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის ინტერნეტწვდომა 71.5%-ს აღწევდა. იგივე, 2016 წლის ივნისისთვის, ინტერნეტწვდომა 70.7% იყო. 6 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, რომელიც ინტერნეტით სარგებლობს 59.3%-ია. აღნიშნული უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში (34.3%), მაგრამ ოდნავ დაბალია დსთ-ს ქვეყნებზე (65.1%) და ევროპაზე (77.9%). თბილისი, ინტერნეტის მოხმარების კუთხით, აღემატება ყველა სხვა რეგიონს, მოიხმარს რა

ინტერნეტს მისი მოსახლეობის 76.7%, შემდეგ მოდის აჭარა და სამცხე-ჯავახეთი, შესაბამისად – 57% და 58%. ყველა დანარჩენი რეგიონის მოსახლეობის მიერ ინტერნეტის ქსელის გამოყენება 40% და 50% შორის მერყეობს.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო წარმოადგენს ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერ ძირითად უწყებას. სააგენტოს მთავარი მიზნებია: ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის და მისი განვითარების პროცესის კოორდინაცია; ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითარების (R&D) სტიმულირება, მათი კომერციალიზაციის და გამოყენების ხელშეწყობა; ინოვაციური დამწყები კომპანიების (start-up) ფორმირების და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა; სამეცნიერო და ბიზნეს წრეებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა;

მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარების და მისი გამოყენების ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყობა და ა.შ. სააგენტოს ფუნქციებს შორისაა: ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა; თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ხელშეწყობა; ინოვაციებისა და R&D-ისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება; ცოდნაზე დაფუძნებული ინიციატივების, ინოვაციური პროექტებისა და პროდუქტების მხარდაჭერა; საწარმოებისთვის კვლევისა და განვითარების მასტიმულირებელი პროგრამების განხორციელება; ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაფარვა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით; საყოველთაო კომპიუტერიზაციის პროცესის წარმართვა და ა.შ.

მეწარმეობის განვითარებისა და ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოების ინსტიტუციური გაძლიერება მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მიზანმიმართული მომსახურების გასაწევად. გამომდინარე იქედან, რომ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი მიმართულება კომპანიებისთვის DCFT -ის მოთხოვნებთან ადაპტაციის ხელშეწყობაა, მნიშვნელოვანია ამ სტრუქტურის შესაძლებლობების გაძლიერება DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე.[120:გვ.14]

ცნობილია, რომ ცალკეულ ქვეყნებში არსებული ინოვაციების დონე ბოლო წლების განმავლობაში გლობალური ინოვაციის ინდექსით GII იზომება. ის შეიდი კომპონენტისაგან შედგება.[121] ესენია: პოლიტიკური გარემო, მარეგულირებელი გარემო, ბიზნესგარემო, ადამიან-კაპიტალი, სამეცნიერო კვლევები, ინფრასტრუქტურის არსებობა, ცოდნა და ტექნოლოგიები და ა.შ.

ინოვაციების გლობალური ინდექსი 2012 წლიდან ყოველწლიურად ქვეყნდება. მისი მიზანია, ინოვაციების მიმართულებით მსოფლიო ტენდენციების ჩვენება. იგი ასევე ცდილობს წარმოაჩინოს ის მექანიზმები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია გრძელვადიანი ზრდის, პროდუქტიულობისა და სამუშაო ადგილების ზრდის მიღწევა. ინოვაციების გლობალური ინდექსი ეხმარება და რჩევებს აძლევს ქვეყნებს, თუ რა არის საჭირო ინოვაციების გასავითარებლად აუცილებელი პირობების/გარემოს შესაქმნელად.

გლობალური ინოვაციის ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნები განსხვავებული რეიტინგით ხასიათდება. ინდექსის სიის სათავეში შვეიცარია დგას. შემდეგ მოდის შვედეთი, არაბთა გაერთიანებული სამეფო, აშშ, ფინეთი და ა.შ. რაც შეეხება საქართველოს, 2016 წელს, ქვეყანა გლობალური ინოვაციის ინდექსის რეიტინგში 64-ე ადგილს იკავებდა 128 ქვეყანას შორის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელთან შედარებით საქართველოს რეიტინგი 9 პოზიციით გაუმჯობესდა (2015 წელს 73-ე ადგილიდან).[122]

პირველად ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგის ისტორიაში საქართველო ტოპ 50 ქვეყანას შორის მოხვდა. 2019 წლის მონაცემებით ჩვენი ქვეყანა 48-ე ადგილს იკავებს, წინა წელთან შედარებით მაჩვენებელი 11 საფეხურით გაუმჯობესდა. საქართველოს ასეთი მნიშვნელოვანი წარმატების მთავარი ინდიკატორებია მაღალტექნოლოგიური იმპორტი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების (ICT) ექსპორტი და სამრეწველო ნიმუშების დიზაინი.. [123]

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. პარლამენტმა 2016 წლის 22 ივნისს მიიღო კანონი ინოვაციების შესახებ. [124:გვ.201-204]

აქედან გამომდინარე, საქართველომ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სუვერენული რეიტინგები. მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების" 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი დაიკავა. რეიტინგში 2012 წელთან შედარებით ქვეყნის პოზიცია 3 ადგილით გაუმჯობესდა, ხოლო სარეიტინგო ქულა – 3.79 პუნქტით. ქვეყნის მდგომარეობა გაუმჯობესდა რეიტინგის შემდეგ ინდიკატორებში:

- ბიზნესის დაწყება 5 პოზიციით გაუმჯობესდა და მე-7 ადგილიდან მე-2 ადგილზე გადმოინაცვლა;
- მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა 15 პოზიციით გაუმჯობესდა და მე-17 ადგილიდან მე-2 ადგილზე გადმოინაცვლა;
- კონტრაქტების აღსრულება 31 პოზიციით გაუმჯობესდა და 39-ე ადგილიდან მე 8 ადგილზე გადმოინაცვლა;
- გადასახადების გადახდა 29 პოზიციით გაუმჯობესდა და 45-ე ადგილიდან მე-16 ადგილზე გადმოინაცვლა;
- ელექტროენერგიის ქსელთან მიერთება გაუმჯობესდა 49 პოზიციით და 88-ე ადგილიდან 39-ე ადგილზე გადმოინაცვლა;
- ვაჭრობა საზღვრებს მიღმა 5 პოზიციით გაუმჯობესდა და 47-ე ადგილიდან 43-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

„ბიზნესის კეთების" რეიტინგში 2019 წელს, საქართველო ოთხი კომპონენტით - ბიზნესის დაწყება (მე-2 ადგილი), მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა (მე2 ადგილი), ქონების რეგისტრაცია (მე-4 ადგილი) და კონტრაქტების აღსრულება (მე8 ადგილი) მსოფლიო მასშტაბით 190 ქვეყანას შორის პირველ ათეულში შედის.[124*]


საინტერესოა ის ფაქტი, რომ ექსპერტების გათვლით, 2020 წლისათვის ინოვაციების დანერგვის შედეგად ქვეყანაში გამოშვებული პროდუქციის საშუალოწლიური ზრდა 10%-ს ფარგლებში იქნება. ამ პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობა 15%-ით გაიზრდება,ხოლო მწარმოებლურობა – 7%-ით. [125]

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გამჭვირვალობის „კორუფციის აღქმის ინდექსის" 2019 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველომ რეიტინგში თავის საუკეთესო შედეგს მიაღწია და 180 ქვეყანას შორის 41-ე ადგილი დაიკავა. ქვეყნის სარეიტინგო ქულა და 100-ქულიან შკალაზე 58 შეადგინა.

Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი" 2019 წლის კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 75.9 ქულით მე-16 პოზიციაზე „უმეტესად თავისუფალი" სტატუსით.

ევროპის პალატის „ევროპის საუკეთესო ქვეყნები ბიზნესისთვის" 2019 წლის რეიტინგის მიხედვით, საქართველო ევროპის 46 ქვეყანას შორის 71.0 ქულით მე-16 ადგილზეა.[126]

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის რეალიზებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კადრების მომზადება და გადამზადება ინოვაციური საქმიანობის ყველა ასპექტის მიხედვით. ამასთან ერთად საჭირო იქნება სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში ინოვაციური საქმიანობისათვის სპეციალიტების მომზადების სისტემის ფორმირების შემუშავება ინოვაციური პოლიტიკის მიზნების საფუძველზე. [127:გვ.201]



წყარო: https://publicadministration.un.org;
https://www.globalinnovationindex.org/home

საინოვაციო პოლიტიკის საფუძველზე განვითარების (და, შესაბამისად, მართვის) დადებით შედეგებს ამტკიცებს მსოფლიო პრაქტიკა. ასეთი განვითარება ქვეყანაში ეკონომიკური, სოციალური, ჰუმანიტარული და კულტურული პრობლემების ფართო კომპლექსს წყვეტს. [128:გვ.48]

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების

ტრანსფერის და დანერგვის ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და მწვანე ეკონომიკის განვითარების წახალისება.

კერძო სექტორის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყობს კვლევასა და განვითარებას, რაც, თავის მხრივ მოიცავს, როგორც გამოყენებითი კვლევების განხორციელების ხელშეწყობას მათი სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობის ზრდით, ასევე, სხვა ინსტრუმენტების შემუშავების მეშვეობით. მთავრობა ასევე ხელს შეუწყობს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, ინოვაციის მამოძრავებლები არიან.

კვლევების და განვითარების კომერციალიზაციის მიზნით, ხელი უნდა შეეწყოს კერძო სექტორს და განათლების სისტემას შორის კავშირების გაღრმავებას გამოყენებითი კვლევისა და განვითარების, როგორც ხარისხის, ასევე პრაქტიკაში დანერგვის (კომერციალიზაციის) ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ინოვაციის მხარდაჭერისთვის, საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ინკუბატორები) განვითარება და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადება. კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელია დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი ლაბორატორიებისთვის.[129:გვ.27-28]

9.4 ინოვაციური პროცესებისადმი რეგიონული მხარდაჭერის საკითხები და საზღვარგარეთული გამოცდილება

უცხოეთის ქვეყნებს საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვთ ინოვაციური პროცესებისათვის რეგიონული მხარდაჭერის საკითხებში. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სარისკო მეწარმეობის პრობლემა. აშშ-ში ინოვაციური პროცესების რეგიონული პოლიტიკა ეფუძნება წვრილი ნოვატორული კომპანიების ყოველმხრივ მხარდაჭერას და დახმარებას.

რეგიონების მართვის სახელმწიფო ორგანოების მაკოორდინირებელი მოღვაწეობა ხელს უწყობს ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას.

აშშ-ში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს რეგიონულ ვენჩურულ ფონდებში ფინანსური რესურსების კონცენტრაციას. სარისკო კაპიტალის მიზნობრივ ფონდებს ქმნიან ცალკეული შტატებისა და ქალაქების დონეზე, რომლებშიც ეს უკანასკნელნი თავიანთი ბიუჯეტიდანაც გარკვეულ სახსრებს გამოყოფენ. ასეთი გზით ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს და ისწრაფვის მიიზიდოს მცირე მეცნიერებატევადი ფონდები. ეს უფრო ხშირად ხდება იმ დარგებში, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს შტატის ეკონომიკის განვითარებისათვის. რეგიონული ვენჩურული ფონდების ფორმირება ძირითადად ხდება შტატების, კერძო კორპორაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ნებაყოფლობითი შემოწირულობებისა და სხვა სახსრებით.


აშშ-ის ჯორჯიის შტატში საკუთარი ბიუჯეტის სახსრებით ორგანიზებულია ინოვაციური საქმიანობის ცენტრი, რომელიც გამომგონებლებს სამი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს სახსრებითა და საჭირო ფართით.

ჩრდილო კაროლინის შტატის სავიზიტო ბარათი დღეს „კვლევის სამკუთხედია". მეტროპოლიური რეგიონი, რომელიც სამ ქალაქს – როლის, დარემსა და ჩაპელ ჰილს შორის ერთიანდება, დღეს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კერაა, რომელიც ყოველწლიურად ათასობით ადამიანს იზიდავს. ადგილობრივ ეკონომიკას ქმნის მცირე ბიზნესების ერთიანობა, რომელიც კვლევით ცენტრებთან, უნივერსიტეტებთან თანამშრომლობს, შედეგად კი შტატს მიმზიდველს ხდის როგორც ინვესტორების, ასევე იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც იციან, რომ კოლეჯის დამთავრების შემდეგ ადგილობრივ ბაზარზე დასაქმდებიან.

„კვლევის სამკუთხედის პარკს" რომელიც 1959 წელს დაარსდა, კერძო და არასამთავრობო სექტორი მართავს. პარკში, რომელიც 3000 ჰექტრამდე ტერიტორიაზეა განთავსებული, დღეს 300-მდე კომპანია მოქმედებს და 50 000-მდე ადამიანს ასაქმებს. ის განსაკუთრებით მიმზიდველია მცირე ბიზნესისთვის, რადგან სტარტაპებს სერვისს ხელმისაწვდომ ფასად ან სულაც უფასოდ სთავაზობს. პარკშივე მდებარეობს საცხოვრებელი რეზიდენციები, კვებისა და გასართობი ობიექტები.[130]

ევროკავშირის განვითარების სტრატეგია, დაწყებული 1996 წლიდან, როდესაც მიღებული იყო ინოვაციის პირველი სამოქმედო გეგმა – ინოვაციური განვითარებაა. ევროპული საინოვაციო პოლიტიკა სამდონიანია: საერთოევროპული, ეროვნული და რეგიონული.[131]

ევროპული სამდონიანი საინოვაციო პოლიტიკა



ევროპის ბევრ ქვეყანაში დიდია ხელისუფლების რეგიონული ორგანოების როლი ახალი ტექნოპარკების სტრუქტურების შექმნასა და მხარდაჭერაში. (ტექნოპოლისები, ინოვაციური ცენტრები, ინკუბატორები და ა.შ.) ეს სტრუქტურები სხვადასხვა წესით

ფინანსდებიან. ერთნი მთლიანად სახელმწიფო სახსრების ხარჯზე ფუნქციონირებენ, სხვებს კი დაფინანსების შერეული წყაროები აქვს. მაგ: დიდ ბრიტანეთში, ისევე როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, სამეცნიერო პარკების განვითარებაში ძირითად ინვესტორს სახელმწიფო სექტორი წარმოადგენს.

ფინეთში სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკის საბჭო პასუხისმგებელია როგორც სამეცნიერო პოლიტიკის განვითარებასა და კოორდინაციაზე, ასევე მთლიანად ეროვნული საინოვაციო სისტემის განვითარებაზე. საბჭოში შედის შვიდი მინისტრი და პრემიერ-მინისტრი, რომელიც საბჭოს თავმჯდომარეა, და კიდევ ათი წევრი, რომელიც კარგადაა გარკვეული მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში: ფინეთის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი, ფინეთის საინოვაციო სააგენტოს TEKES წარმომადგენელი, ზოგიერთი უნივერსიტეტისა და საწარმოს წარმომადგენელი, დამსაქმებელთა და მშრომელთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს მოვალეობაა: ეროვნულ მიზნებთან თავსებადი სამეცნიერო პოლიტიკის განსაზღვრა, მთლიანობაში მეცნიერებისა და განათლების სისტემების განვითარება, ტექნოლოგიების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა, კვლევისა და ინოვაციის სისტემების ორგანიზაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავება, კვლევისა და ინოვაციისთვის განკუთვნილი საჯარო სახსრების განაწილება სამინისტროებსა და სააგენტოებს შორის.[132]

ირლანდიაში სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკის საბჭოს, პრემიერ-მინისტრი თავმჯდომარეობს. სამი მინისტრი საბჭოს მუდმივი წევრია: განათლებისა და მეცნიერების, მრეწველობისა და ვაჭრობის, ფინანსთა. მსხვილი კვლევითი ამოცანების მქონე კიდევ ორი მინისტრი პრემიერ-მინისტრს თავისი შეხედულებისამებრ შეყავს საბჭოში (ამჟამად ესენია მეთევზეობის და სოფლის მეურნეობის მინისტრები). 14 დანარჩენ წევრს ასახელებენ: მინისტრები (6 წევრს), დამსაქმებელთა ასოციაცია და მშრომელთა კავშირი (4 წევრს) და უნივერსიტეტების საკოორდინაციო საბჭო (4 წევრს).[133]

სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკის საბჭოს ამოცანა ასეა ჩამოყალიბებული: გააძლიეროს ქვეყანაში სამეცნიერო კვლევა, სამეცნიერო მომზადება და ტექნოლოგიის განვითარება ირლანდიის კულტურული წინსვლისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით.

2000 წლის მარტში, ლისაბონში, ევროპის საბჭოს სხდომამ (ლისაბონის სამიტი) მიიღო რამდენიმე ფუძემდებელი დოკუმენტი,[134] რომლითაც გაცხადდა, რომ საინოვაციო პოლიტიკა ხდება ევროპის განვითარების ძირითადი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტი.

2010 წელს მიღებულია განვითარების ახალი გეგმა ევროპა-2020 [135] ამ პროგრამო დოკუმენტების პაკეტში შემავალი ყოველი დოკუმენტი აღწერს ცალკეულ სფეროებში ინოვაციურ განვითარებას. ერთ-ერთ საფლაგმანო ინიციატივას ასე ეწოდება – საინოვაციო კავშირი. ევროპა-2020 ლისაბონის სტრატეგიის ლოგიკური გაგრძელებაა.

ტექნოპარკების განვითარების ევროპული პრაქტიკა ადასტურებს ამ საქმეში სახელმწიფო დაფინანსების უდიდეს როლს. მაგრამ თუ ევროპის ქვეყნებში ინოვაციური პროცესების განვითარებისათვის ხელშეწყობის საქმეში დოტაციური ხასიათი სჭარბობს, ამე-

რიკული ვამოცდილების მიხედვით, უპირატესობა კომერციულ ხასიათს ენიჭება. რეგიონული პროცესების მხარდაჭერაში განსაკუთრებული როლი უკავია საგადასახადო სტიმულირებას. ინოვაციური პროცესების რეგიონული სტიმულირების მიზანი საგადასახადო სფეროს მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარი და განსხვავებული იყოს.

კერძოდ, ვთქვათ, ინვესტიციების სტიმულირება მაღალი დონის ტექნოლოგიების დარგში (იაპონია); ქვეყნის დეპრესიულ რაიონებში მეწარმეთა მოზიდვა; დაბანდებანი მცირე ინოვაციურ ბიზნესში (აშშ); რეინვესტირებული მოგების სტიმულირება (იტალია) და სხვა.

ყველა ისინი დამოკიდებულია რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დონეზე, მათი წარმოებითი ურთიერთობების თავისებურებებზე, განვითარების და საზოგადოებრივი პრიორიტეტების რეგიონულ პოლიტიკაზე.

ამრიგად, როგორც უცხოური გამოცდილებით დასტურდება, სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათი ხელს უწყობს ვენჩურული კაპიტალის საკმაოდ მსხვილი ფონდების წარმოქმნასა და მეწარმეების ინოვაციური აქტიურობის მკვეთრად ამაღლებას.

რეგიონულ დონეზე საგადასახადო რეგულირების კარგად დახვეწილი სისტემა აქვს იტალიას, იქ ძირითად სტიმულირებას ექვემდებარება ისეთი მეწარმეობა, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას. ამ მიზნით ახლად წარმოქმნილი პატარა საწარმოები ათი წლით თავისუფლდებიან ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადისაგან. მოქმედ საწარმოებში ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება რეინვესტირებული მოგება, ხოლო ინვესტორები მცირე საწარმოთა მოდერნიზაციაში მონაწილეობისათვის გარკვეული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ.

საინვესტიციო პოლიტიკის ჩამოყალიბებას წინ უნდა უძღოდეს რეგიონის ეკონომიკური რესურსების საფუძვლიანი შესწავლა, რომლის საფუძველზე უნდა დამუშავდეს რეგიონის განვითარების პროგნოზი და კონკრეტულად გამოკვეთოს განვითარების პრიორიტეტები.

9.5 უნივერსიტეტების როლი რეგიონის ინოვაციურ განვითარებაში

ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ძირითად საყრდენს წარმოადგენს კავშირი კვლევას, განათლებასა და ინოვაციას შორის, რასაც ცოდნის სამკუთხედი ეწოდა.

რეგიონულ განვითარებაში მონაწილეობის სპეციფიკის მხრივ უნივერიტეტების ოთხ მთავარ მოდელს გამოყოფენ. ეს მოდელებია: (1) მეწარმეობის მოდელი, (2) რეგიონული ინოვაციური სისტემების მოდელი, (3) ე.წ. „მეორე მოდალობის" უნივერსიტეტის მოდელი და (4) ჩართული უნივერსიტეტის მოდელი.[136:გვ.1722-1740]

მეწარმეობის მოდელი. ამ მოდელის კონცეფციის თანახმად, [137];[138:გვ.198-233] უნივერსიტეტები თავიანთ ტრადიციულ საქმიანობას უთავსებენ დამატებით მისიას, რომელიც ექსკლუზიურად ეკონომიკურ განვითარებაზე არის ორიენტირებული. კერძოდ, იგულისხმება, რომ უნივერსიტეტებს წვლილი შეაქვთ რეგიონის განვითარებაში ცოდნის კომერ-

ციალიზაციის გზით (სპინ-ოფები, პატენტები, ლიცენზიები) [139:გვ.1045-1057]. ამ ტიპის აქტივობების განხორციელების პარალელურად თავად დაწესებულების შიგნით, ისევე როგორც უმაღლესი განათლების სისტემის მართვის სხვა დონეებზე არსებობს მკაფიო წახალისების სისტემები სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაციისთვის, აკადემიაში ვითარდება ბიზნეს კულტურა, იქმნება და ფართოვდება ტექნოლოგიის ტრანსფერის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები.[140:გვ.83-109]

რეგიონული ინოვაციური სისტემების მოდელი. ამ მოდელში უსდ წარმოადგენს აქტიურ მონაწილეს ინოვაციის ინტერაქტიულ პროცესებში.[141:გვ.365-382] იგი მნიშვნელოვანი მოთამაშეა რეგიონის ცოდნის ინფრასტრუქტურაში. კონცეფციის თანახმად, უსდ ურთიერთობს სხვა აქტორებთან და ხელს უწყობს რეგიონის სისტემურ ინოვაციურ განვითარებას. ამ მოდელში უსდ არის არა მხოლოდ ცოდნის მწარმოებელი, არამედ ამავე დროს დამაკავშირებელი ერთეულ ინოვაციასა და წარმოებას შორის რეგიონულ დონეზე. წინა მოდელისგან განსხვავებით, ეს მოდელი, კომერციალიზაციის გარდა, გულისხმობს ცოდნის ტრანსფერის მექანიზმების უფრო ფართო სპექტრს (მაგალითად, კურსდამთავრებულების მიწოდება შრომის ბაზარზე, არაფორმალური კონტრაქტები ფირმებთან).

„მეორე მოდალობის" უნივერსიტეტის მოდელი. პირველი და მეორე მოდელი, ძირითადად, უკავშირდება რეგიონის ეკონომიკური განვითარების ფუნქციას, დანარჩენი ორი მოდელი კი უნივერსიტეტების საქმიანობას უფრო ფართოდ მოიაზრებს და რეგიონის სოციალური და კულტურული განვითარების ფუნქციას უკავშირებს. ერთ-ერთ ასეთ მოდელს ე.წ. მეორე მოდალობის უნივერსიტეტის მოდელი წარმოადგენს. ამ მოდელს საფუძვლად უდევს დაშვება, რომ რეგიონულ განვითარებაში უნივერსიტეტების როლის ცვლილება, პირველ რიგში, დაკავშირებულია მეცნიერების სისტემის ცვლილებასთან, რაც ქმნის კონტექსტუალურ ფონს რეგიონის განვითარებისთვის. ამ მიმართულებით ბევრი თეორია არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია „ცოდნის შექმნის ახალი მოდელი" (New production of knowledge (NPK)) თეორია.[142] ეს თეორია უნივერსიტეტების როლს განიხილავს ცოდნის შექმნის ახალ მექანიზმთან (მოდალობასთან) მიმართებაში (რომელსაც „მეორე მოდალობას" უწოდებენ). პირველი მოდალობისგან განსხვავებით, სადაც ცოდნის შექმნას უფრო სწორხაზოვანი ხასიათი აქვს ერთი დისციპლინის ფარგლებში, ახალი მოდალობა გულისხმობს ცოდნის შექმნის ინტერდისციპლინურ ხასიათს და პირდაპირ კავშირს საზოგადოების პრობლემატიკასა და გამოწვევებთან. „მეორე მოდალობის" ცოდნის წარმოებაში ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტებია გამოყენებადობა, ინტერდისციპლინურობა, ჰეტეროგენულობა, რეფლექსიურობა და მეცნიერების მართვის (ხარისხის შეფასების) ახალი მიდგომა.

ჩართული უნივერსიტეტის მოდელი. „ჩართული უნივერსიტეტის" მოდელი გულისხმობს, რომ უნივერსიტეტის ძირითად მისიას წარმოადგენს რეგიონული განვითარება და არა ცოდნის წარმოება, ამ მოდელით უნივერსიტეტი თავის ძირითად საქმიანობას მიმართავს ინდუსტრიასა და საზოგადოებაზე და აქტიურად მონაწილეობს რეგიონის იდენტობის ფორმირებაში. [143:გვ.101-113];[144:გვ.139-157] წინა მოდელისგან განსხვავებით ამ მოდელ-

ში უნივერსიტეტის ჩართულობა მრავალი ფორმით შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, სასწავლო პროცესის მორგება რეგიონის საჭიროებებზე (რეგიონზე ორიენტირებული პროგრამები, ადგილობრივი სტუდენტების რეკრუტირება და კურსდამთავრებულთა შენარჩუნება, რეგიონული ქსელების კოორდინაცია და პოლიტიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა, ადგილობრივი ფირმების დახმარება და კონსულტაცია.

საერთაშორისო ორგანიზაციების აზრით, რეგიონული განვითარების კუთხით უფრო ეფექტური თანამშრომლობისთვის უსდ-ების მხრიდან მნიშვნელოვნია უფრო მკაფიო პოზიციონირება ნიშის თვალსაზრისით, ინფორმაციის პროაქტიული გავრცელება და თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანი შიდა ორგანიზაციული პროცესების სრულყოფა. კერძოდ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) წარმომადგენელი ინტერვიუში აღნიშნავს: უნივერსიტეტებმა კარგად უნდა განსაზღვრონ და ჩამოაყალიბონ საკუთარი პროფილი. ასევე, უნდა არსებობდეს უსდ-ში სპეციალური სამსახური, რომელიც პროექტების მოძიებასა და გარე აქტორებთან თანამშრომლობაზე იმუშავებს. უფრო გახსნილი და მოქნილი უნდა იყოს უნივერსიტეტი იმ რეგულაციებთან მიმართებაში, რაც სხვადასხვა დონორ ორგანიზაციას აქვს. სამწუხაროდ, მე ვერ ჩავდებ თანხებს უნივერსიტეტში, რადგან შემდგომ სჭიროა ჩვენთვის მისაღები ანგარიშგების წარმოება, რასაც უნივერსიტეტი დიდი ალბათობით ვერ შეძლებს. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ბარიერად უნივერსიტეტების მხრიდან ინიციატივების ნაკლებობა მიიჩნევა: პრობლემა მარტო ფინანსური არ არის, ინიციატივა მათგან არ მოდის, მე თავად უნდა მივიდე მზა იდეით და ისიც სათუოა გამომყვება თუ არა ამ იდეის ბოლომდე განხორციელებაში.

უნივერსიტეტები საკუთარ როლს რეგიონულ განვითარებაში უფრო ფართოდ მოიაზრებენ, კერძოდ, მათი ხედვით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსპექტიულად მნიშვნელოვანი მიმართულებაა ე.წ. „ჩართული უნივერსიტეტის", "მეორე მოდალობის უნივერსიტეტისა" და „რეგიონული ინოვაციების სისტემის" მოდელის განვითარება.[145:გვ.30]

ქვეყნის ინოვაციური სისტემის მთავარ ელემენტებად ნიუკასტლის უნივერსიტეტის პროფესორი ჰენრი ინკოვიცე და ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორი ლოიეტი ლეიდესდორფო მიიჩნევენ სახელმწიფოს, უმაღლეს სასწავლებელს და ბიზნესს. მათ მიერ შემუშავებული იქნა ე.წ. "სამმაგი სპირალის მოდელი" (Triple Helix Model3).

ინოვაციური საქმიანობის ე.წ. "სამმაგი სპირალის მოდელი"-ს სუბიექტები არიან:


1. უმაღლესი სასწავლებელი – აფინანსებს კვლევებს და შედეგად გამოდის ბიზნესის როლში;

2. ბიზნესი – ახალისებს თანამშრომლებში კვალიფიკაციის ამაღლების და უნარების გაზიარების სურვილს, ამით კი ახორციელებს საგანმანათლებლო ფუნქციას;

3. სახელმწიფო – აფინანსებს ინოვაციურ პროექტებს და გამოდის ინვესტორის როლში.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეგიონული ინოვაციური სისტემების განვითარებას სწორედ ამ თეორიის პოზიციიდან. [146:გვ.187-188]

სამმაგი სპირალის მოდელი



ევროპაში უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა განიცადეს ევოლუცია ინოვაციური ცოდნის შემქმნელი დაწესებულებიდან, რეგიონში საწარმოებთან აქტიური ურთიერთობის მქონე უნივერსიტეტამდე, რომელსაც შესაბამისი კავშირები და კვლევითი კონტრაქტები აქვთ გაფორმებული, და რომლის საქმიანობაც ფინანსდება კერძო და საჯარო სექტორის მიერ.[147] კროასანის და სმით-დოერის მიხედვით. [148] უნივერსიტეტი-ბიზნესის თანამშრომლობა ძირითადად სამ ასპექტს მოიცავს:

1. ურთიერთობა მეცნიერებასა და ეკონომიკას შორის – მეცნიერების პროდუქტი აქტიურად გამოიყენება ეკონომიკური ზრდისთვის.

2. ინტერორგანიზაციული ურთიერთობები უნივერსიტეტებსა და საწარმოებს შორის – ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ სხვადასხვა მიმართულებით.

3. ინტერ-პერსონალური ურთიერთობები პროფესორებს (სამეცნიერო პირებს) და კომპანიის თანამშრომლებს შორის – პირადი კონტაქტები.

ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ძირითად საყრდენს წარმოადგენს კავშირი კვლევას, განათლებასა და ინოვაციას შორის, რასაც ცოდნის სამკუთხედი ეწოდა. ამ სამკუთხედში ცოდნა განიმარტება, როგორც კრეატიული და სისტემატური მუშობა, რომელიც განმიზნულია ცოდნის გასაღრმავებლად. მათ შორის იგულისხმება ცოდნა ადამიანის, კულტურის საზოგადოების შესახებ, და ხდება ამ ცოდნის გამოყენება ახალი განაცხადების შესამუშავებლად. ამავე სამკუთხედის მიხედვით, განათლება – წარმოადგენს სწავლის ან ცოდნის, უნარების, ღირებულებების, რწმენის და ჩვევების მიღების შემსუბუქების პროცესს. ხოლო ინოვაცია არის ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სახის. ეს სა-

მი კონცეფცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ევროკავშირში ცოდნის სამკუთხედით.[149]

უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა ნიშნავს თანამშრომლობას სტუდენტებს, სამეცნიერო წრეებს, დასაქმებულებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, მეწარმეებს, სხვადასხვა ორგანიზაციას, მთავრობის წარმომადგენლებს და რეგიონის პოლიტიკის გადამწყვეტ პირებს/დაწესებულებებს შორის. უნივერსიტეტი-სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობა ვითარდება მრავალი ფორმით, სადაც რესურსების, პერსონალის, და/ან ინფორმაციის გადაცემა ხორციელდება შემდეგი გზებით:

• კვლევა – კვლევითი კონტრაქტები, ერთობლივი საწარმო, ლიცენზიები, ერთობლივი სამეცნიერო სტატიები;

• სწავლა – ტრენინგი-ტრენინგების ორგანიზება/უზრუნველყოფა კომპანიებში, პრაქტიკა სტუდენტებისა და დოქტორანტებისთვის, კურსდამთავრებულთა დასაქმება, კონფერენციები, ვორქშოფები და სემინარები;

• კონსულტირება-საკონსულტაციო სამსახურები ბიზნეს-პარტნიორების ან სახელმწიფოსთვის; [150:გვ.30]

ბელდერბოსის მიხედვით, კომპანია თანამშრომლობს ჰორიზონტალურად კონკურენტებთან, ვერტიკალურად მომწოდებლებთან და ინსტიტუციონალურად უნივერსიტეტებთან და კვლევით ინსტიტუტებთან. [151]

დღეს უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ ცოდნის კერა, რომელიც ფოკუსირებულია მხოლოდ ფუნდამენტურ კვლევაზე. საუნივერსიტეტო საქმიანობა მუდამ ორიენტირებული იყო და არის ცოდნის შექმნაზე, რასაც დღეს ასევე დაემატა უნივერსიტეტის საქმიანობის გააქტიურება საზოგადოების განვითარებაში თავისი როლის შესასრულებლად.

თავი 10. პროგნოზირებისა და დაგეგმვის როლი რეგიონული ეკონომიკის მართვის სისტემაში

10.1 რეგიონული განვითარების პროგნოზირება

პროგნოზი განისაზღვრება, როგორც მეცნიერულად დასაბუთებული ალბათური მსჯელობა პერსპექტივების, მომავალში ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის შესაძლო მდგომარეობისა და მათი განხორციელების თუ ცვლილების ალტერნატიული გზებისა და ვადების თაობაზე.

პროგნოზირება არ დაიყვანება მომავლის (თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს აუცილებელია) დეტალების წინასწარხედვის მცდელობებზე. იგი ამოდის მომავლის მოვლენებისა და პროცესების დიალექტიკიდან და მომავლის მოვლენებისადმი საჭიროებს ალბათურ მიდგომას შესაძლო ვარიანტების ფართო ნაკრების გათვალისწინებით. პროგნოზირება შეიძლება ეფექტიანად გამოიყენებოდეს შედარებით უფრო ალბათური ან სასურველი ოპტიმალური ვარიანტის შერჩევაში გეგმის, პროგრამის, პროექტისა თუ საერთოდ, ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილების დასაბუთების დროს.

ქართული ეკონომიკური პოლიტიკის და განსაკუთრებით კი საბიუჯეტო სფეროს მოწყობის ერთ-ერთ სუსტ წერტილად სწორედ მაკროეკონომიკური პროგნოზირება რჩება. ბიუჯეტის შედგენის დროს სრულად გამოყენებული არ არის მაკროეკონომიკური პროგნოზირების თანამედროვე მიდგომები, რაც შემდგომში ბიუჯეტის აუცილებელ ცვლილებებს იწვევს და ბიზნეს-გარემოს აუარესებს (საქმიანი წრეებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტი გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს, შესაბამისად, არასწორად დაგეგმილი ბიუჯეტი არასწორ სიგნალებს იძლევა და ბიზნესის განვითარების წინასწარ გაკეთებული პროგნოზები სათუო ხდება) და თავად ბიუჯეტის შესრულებაში ქმნის სერიოზულ პრობლემებს.

მკაცრი მეცნიერული თვალსაზრისით, პროგნოზი უნდა წინ უძღოდეს გეგმის რეალიზაციის ეტაპს, გეგმის მსვლელობის, შესრულების (ან ვერ შესრულების) შედეგების, მისი ღონისძიებების შეფასებისა და ყოველივე იმის მომცველი, რაც არ ექვემდებარება დაგეგმვას.

პროგნოზი და გეგმა განსხვავდება ერთმანეთისგან მომავალზე ინფორმაციის ოპერირების საშუალებებით. შესაძლო ან სასურველის ალბათური აღწერა — ეს პროგნოზია, უფრო ზუსტად კი გეგმის რეალიზაციის ეფექტი, ხოლო დირექტიული გადაწყვეტილება ღონისძიებებთან დაკავშირებით შესაძლებლის, სასურველის მიღწევის თვალსაზრისით კი — გეგმა.

პროგნოზების ტიპოლოგია შეიძლება აიგოს სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით, პროგნოზირების მიზნების, ამოცანების, საგნის, ობიექტების, საკვლევი პრობლემების, წინმსწრები პერიოდის, მეთოდებისა და ორგანიზაციის შესაბამისად. განასხვავებენ პროგნოზის შემდეგ ტიპებს:

საძიებო პროგნოზი — თავისთავად წარმოადგენს მომავალში მოვლენის ან პროცესის შესაძლო მდგომარეობების განსაზღვრას. მხედველობაში მიიღება წარსულში ან აწმყოში

შესასწავლი მოვლენის განვითარების ტენდენციების პირობითი გაგრძელება მომავალში. ამ შემთხვევაში ხდება შესაძლო გადაწყვეტილებისგან განყენება (აბსტრაგირება), რომლის საფუძველზეც შეიძლება ტენდენციების რადიკალური შეცვლა, რიგ შემთხვევებში პროგნოზის თვითგანადგურების გამოწვევა. პროგნოზის ეს ტიპი პასუხობს კითხვას: საუარაუდოდ რა არის ყველაზე უფრო მოსალოდნელი არსებული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში?

ნორმატიული პროგნოზი –ეს არის მიზნად დასახული მოვლენის შესაძლო მდგომარეობათა მიღწევის გზებისა და ვადების განსაზღვრა. მხედველობაში მიიღება სასურველ მდგომარეობათა მიღწევის პროგნოზირება წინასწარ მოცემული ნორმების, იდეალების, სტიმულების, მიზნების საფუძველზე. ასეთი პროგნოზი პასუხობს კითხვას: რა გზებით მიიღწევა სასურველი შედეგი?

მიზნობრივი პროგნოზი – გარკვეულ სკალაზე (ველი) პროგნოზირებადი შესაძლებლობების აგებაა შეფასებითი ფუნქციების გამოყენებით: არასასურველი – ნაკლებად სასურველი – უფრო მეტად სასურველი – ყველაზე სასურველი – ოპტიმალური. სხვაგვარად, აქ საუბარია დანაწილებასა და უპირატესობაზე (პრეფერენციები). ეს პროგნოზი პასუხობს კითხვას: რა არის საკუთრივ, სასურველი და რატომ?

გეგმიური პროგნოზი – გეგმების შესრულების (ან შეუსრულებლობის) მსვლელობა თავისთავად წარმოადგენს საძიებო და ნორმატიული პროგნოზული ინფორმაციის შემუშავებას შედარებით მიზანშეწონილი გეგმიური ნორმატივების, დავალებების, დირექტივების შერჩევას. გეგმიურ პროგნოზში მნიშვნელოვანია მიღებული გეგმიური გადაწყვეტილებების პირდაპირი ან შერეული შედეგების გამოვლენა. ასეთი მიდგომა პასუხობს კითხვას: როგორ და რა მიმართულებით უნდა მოხდეს დაგეგმვის ორიენტირება დასახული მიზნების ეფექტიანი მიღწევისთვის?

პროგრამული პროგნოზი – ეს არის პროგნოზირებადი მოვლენის, პროცესის სავარაუდო მდგომარეობის მიღწევა შესაძლო გზებით, ზომებით და პირობებით. პასუხობს კითხვას: რა არის კონკრეტულად აუცილებელი სასურველის მისაღწევად? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია როგორც დამატებითი და საძიებო, ისე ნორმატიული პროგნოზების შემუშავება.

პროგნოზი გეგმისგან განსხვავებით დგება რამდენიმე ვარიანტად და ნაკლებად მიბმულია მართვის კონკრეტულ სიტუაციასთან. ის არ წარმოადგენს უშუალო მმართველობობით დოკუმენტს, რომლის მიხედვით მოქმედება სავალდებულოა. პროგნოზირების ფუნქციები მდგომარეობს აუცილებელი სამეცნიერო-ინფორმაციული ფონის შექმნაში მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად და დოკუმენტის მისაღებად (გეგმები, რეკომენდაციები, პროგრამები და სხვ.) ამიტომ პროგნოზირება წარმოადგენს დაგეგმვის, ან პროგრამირების ერთ-ერთ აუცილებელ ეტაპს. ეკონომიკური დაგეგმვა ისახავს ამოცანად ეკონომიკური ვარდნის ალმოფხვრის შესაძლებლობის გამოვლენას, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას, ეფექტიანობის, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას მთლიანობაში.

პროგნოზირებაში გამოყენებულ განმსაზღვრელ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

– მთლიანი შიდა პროდუქტი მთლიანობასა და წარმოებაში ერთ დასაქმებულ კაცზე და აგრეთვე. ერთ სულ მოსახლეზე;

– ინვესტიციების მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტზე;

– საბიუჯეტო, ბიუჯეტგარეშე, უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობა წარმოებასა და სოციალურ სფეროში;

– ექსპორტი და იმპორტი;

– ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა (სხვადასხვა დარგების წვლილთა თანაფარდობა მშპ-ში);

– მოცემულ ტერიტორიაზე გამოშვებული ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზრებზე;

– პროდუქციათა და ძირითად საშუალებათა განახლება;

– საწარმოების ჩადება საკუთრების სხვადასხვა ფორმაში, მცირე და მსხვილი ბიზნესის მოგება, ინვესტიციები.

პროგნოზირება და დაგეგმვა ზემოთ ჩამოთვლილ მაჩვენებელთა წრის ეკონომიკის (რეგიონში) ეფექტიანი, მიზანმიმართული სახელმწიფო მართვის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს, რაც შედარებით სუსტი მხარეების გამოვლენისა და ეკონომიკური წინსვლის ორიენტირების დადგენის საშუალებას იძლევა პერსპექტივაში. სახელმწიფო დონეზე პროგნოზირება იმდენად მჭიდროდ ურთიერთქმედებს და ერწყმის დაგეგმვას, რომ თანამედროვე ეკონომიკაში მართებულია საუბარი არა გეგმებსა და პროგნოზებზე ცალ-ცალკე, არამედ გეგმა-პროგნოზებზე. სწორედ ასეთი მიდგომა პასუხობს სავსებით ქვეყნის განვითარების დღევანდელი ეტაპის მოთხოვნებს.[156:გვ.288]

10.2 რეგიონული დაგეგმვა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემაში

პროგნოზირება და დაგეგმვა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს: მათი დახმარებით შესაძლებელი ხდება რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მრავალი ამოცანის გადაწყვეტა. დაგეგმვა საკმაოდ ეფექტიანი, მაგრამ იმავდროულად საკმაოდ რთული, გარკვეული პირობების მომთხოვნი ინსტრუმენტია.

საქართველოში სწორი რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი ქმედითი ინსტრუმენტების უნარიან გამოყენებას, როგორებიცაა პროგნოზირება და დაგეგმვა. პროგნოზირება და დაგეგმვა ის საშუალებაა, რომელთაც ძალუძთ ხელი შეუწყოს რეგიონებში განვითარების კუთხით მიმართულებების ჩამოყალიბებას და განსაზღვროს მიზნის მიღწევის მთელი სისტემა. რეგიონულმა დაგეგმვამ ჩვენში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაგროვილი გამოცდილების ის

ელემენტები უნდა გამოიყენოს, რომლებიც მოერგება საქართველოს სინამდვილესა და ტრადიციებს. [152:გვ.62]

ფართო აზრით, სიტყვა „დაგეგმვა" აღნიშნავს მომავლის წინასწარგანსაზღვრას, ეკონომიკის სასურველი და გამიზნული (განზრახული) მდგომარეობის მოდელის აგებას იმავდროულად ამ მდგომარეობის მიღწევის გზების, საშუალებების, სახსრებისა და ვადების დაგეგმილ მოქმედებათა საბოლოო პარამეტრების დადგენის პირობებში.

დაგეგმვა ხორციელდება საერთო-სახელმწიფოებრივ (სახალხო მეურნეობის დაგეგმვა), დარგობრივ (დარგობრივი დაგეგმვა), რეგიონების (რეგიონული დაგეგმვა), ეკონომიკის ცალკეული სფეროების (მაგალითად, სოციალური ან საბიუჯეტო დაგეგმვა), აგრეთვე ცალკეული საწარმოების, კომპანიებისა და ფირმების დონეზე.

რეგიონული დაგეგმვა თავისთავად წარმოადგენს გარკვეულ პერსპექტივაში რეგიონის სახელმწიფო ადმინისტრაციის (ერთობლივად სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, სამეურნეო სუბიექტებთან) ეკონომიკური საქმიანობის რეალურად შესაძლებელი და მკაცრად აუცილებელი მიზნებისა და ამოცანების რთული ინტეგრაციული პროცესის დადგენას, მისი დაბალანსებული და ეფექტიანი განვითარების პირობების განსაზღვრას, აგრეთვე დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად შესაბამისი ზომების შემუშავებას. გეგმური მიდგომის დროს თავად საზოგადოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სპეციფიკური მოთხოვნილებების წრის მიხედვით წინასწარ განსაზღვრავს საჭიროებათა რაობასა და რაოდენობას და შემდგომ იღებს ზომებს ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, ანუ ახდენს წარმოებისა და მოხმარების პროცესის ორგანიზებას. საზოგადოებას თითქოსდა ეძლევა გარკვეული გარანტიები პროდუქტის წარმოებისა, ხოლო საწარმოებს კი – პროდუქტის, სათანადო ხარისხისა და რაოდენობის შემთხვევაში მისი რეალიზებისა.[153:გვ.62-70]

საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონული დაგეგმვის აუცილებლობა შეიძლება წარმოიქმნას შემდეგ სიტუაციებში:

– ბაზრის მიერ ამა თუ იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში ამოვარდნების არსებობის, მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პროპორციების შენარჩუნების შეუძლებლობის, მოთხოვნა-მიწოდების სისტემაში მკვეთრი დისბალანსის წარმოქმნისა და საბაზრო თვითრეგულირების დასუსტების დროს;

– ეკონომიკის ორგანიზაციის, მის შემადგენელ ელემენტებს შორის კავშირების გართულების, ეკონომიკის საერთო-ეროვნული და ეროვნებათშორისი (ინტერნაციონალური) ხასიათის შეძენისა და საერთო ეროვნული თუ მსოფლიო ბაზრების ფორმირების დროს;

– მსხვილი საერთო ეროვნული და რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წარმოქმნისას და საზოგადოების მიერ თავის წინაშე ამ პრობლემის დასმასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ეროვნული მიზნების დასახვის დროს;

– ტრადიციული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ხელის შემშლელი, მისი ეფექტიანობის შემასუსტებელი განსაკუთრებული შიდა და გარე პირობების არსებობის დროს, რომელებიც მოითხოვენ საერთო-სახელმწიფოებრივი ხასიათის არსებით ზომებს, ეროვნული უსაფრთხოებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას.

დაგეგმვის აუცილებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის შესაძლებლობებს. დაგეგმვა შესაძლებელი ხდება მხოლოდ გარკვეულ პირობებში:

– გეგმების რეალიზაციის სათანადო ზომების მიღების უნარის მქონე სახელმწიფოებრივი მართვის სისტემის არსებობის დროს;

– საზოგადოებრივი მოთხოვნილებების, პროდუქტის წარმოების, დანაწილებისა და მოხმარების ვარიანტების ზუსტად განსაზღვრის უზრუნველმყოფი თანამედროვე სამეცნიერო-ინფორმაციული ბაზის შექმნისა და ფუნქციონირების დროს;

– სახელმწიფოსა და საბაზრო სექტორის ურთიერთქმედების, მათი ინტერესების შეთანხმებული მოქმედების ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების არსებობის დროს;

– საზოგადოებრივი ზოგად-ეკონომიკური და აღმასრულებელი კულტურის, თანხმობისა და დისციპლინის გარკვეული დონის მიღწევის დროს.

გეგმა, ეროვნული თუ რეგიონული, უნდა გავიგოთ როგორც საზოგადოებრივად აღიარებული შესასრულებლად სავალდებულო, ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების პერსპექტიული ტენდენციების, მიზნებისა და ამოცანების განმსაზღვრელი და სახელმწიფოს, რეგიონების, სხვადასხვა სუბიექტის მხრიდან ზომებისა და ქმედებათა შეთანხმებული სისტემის ამსახველი მმართველობითი დოკუმენტი, რომელიც ხასიათდება მიზანმიმართულობით, კომპლექსურობით, მისამართულობით, ეკონომიკის არსებული სახელმწიფოებრივი და რეგიონული მართვისა და ორგანიზაციის პრინციპების ერთიანობით ან შეხამებით. ეს ნიშნავს, რომ გეგმა შეიცავს დავალებებისა და ღონისძიებების მიზნობრივ და ორიენტირებულ მაჩვენებლებს მართვის სხვადასხვა სტრუქტურებსა და დონეებზე, აგრეთვე სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტებისკენ მიმართული სტიმულებისა და ინდიკატორების ურთიერთდაკავშირებულ სისტემას. დავალებების, მაჩვენებლებისა და გეგმის სხვა ელემენტებს შეიძლება სავალდებულობის სხვადასხვა ხარისხი გააჩნდეთ, რომელიც განისაზღვრება გეგმის ამა თუ იმ დავალების ხასიათითა და შესაბამისი დავალებებისა და მაჩვენებლების მიმართვის ადრესატით. გეგმა, როგორც წესი, შეიცავს აგრეთვე, სხვადასხვა სტრატეგიულ, ანალიტიკურ და პროგნოზულ ინფორმაციას.

საქართველოში ადგილობრივ თვითმმართველობებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენისა და განხორციელების სამართლებრივი საფუძველია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, რომლის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება: თვითმმართველ ერთეულში ინვესტიციების ხელშეწყობა; დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის კეთილმოწყობის, გამწვანებისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების შემუშავება და დამტკიცება.

ეს პროგრამები, მათი შინაარსიდან გამომდინარე, საკმაოდ ლოგიკური და ეფექტიანია შემუშავდეს, დამტკიცდეს და განხორციელდეს არა ცალ-ცალკე, არამედ, ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის სახით, რადგანაც ყველა ეს პროგრამა თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ისახავს მიზნად.

პროგნოზი გეგმისაგან განსხვავებით, არ არის მკაფიო მიზნობრივი მიმართულების მატარებელი, არ გააჩნია სამისამართო ხასიათი, შეიძლება იყოს ინვარიანტული (რამდენიმე ვარიანტის წარმოდგენით) და მართვის კონკრეტულ სისტემასთან ნაკლებად მკვეთრად მიბმული. პროგნოზირების ფუნქციებია – აუცილებელი სამეცნიერო-ინფორმაციული ფონის შექმნა სხვადასხვა მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად და სათანადო ბაზის ორგანიზება უკვე უშუალოდ მმართველობითი დოკუმენტების (გეგმები, პროგრამები და სხვ.) შემუშავებისთვის. ამიტომ პროგნოზირება საკუთრივ, ერთ-ერთ აუცილებელ სტადიას, დაგეგმვისა თუ პროგრამირების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს.

პროგნოზირება, და ეს ყველაზე მთავარია, არ იფარგლება მხოლოდ მომავლის განჭვრეტით, იგი ხელს უწყობს მასზე ზემოქმედებას საჭირო მიმართულებით. ჩვენ ვცდილობთ არა მარტო გავიგოთ, თუ როგორი იქნება ტრანსპორტი ხუთი წლის შემდეგ, არამედ მთავარია გავარკვიოთ, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ იგი უფრო უკეთესი, ეფექტური გახდეს, ისეთი, როგორიც სჭირდება ადამიანებს.

სწორედ პროგნოზირება გვეხმარება გეგმების (პროგრამების) სწორ შემუშავებაში, ბიუჯეტის შედგენაში, ბიზნესის პერსპექტივის განსაზღვრაში.

მომავლის შესაცნობად მეცნიერებმა შეიმუშავეს სპეციალური მეთოდები და გააერთიანეს საერთო სახელწოდებაში „პროგნოსტიკა". პროგნოსტიკა არის მეცნიერება პროგნოზირების კანონებისა და წესების შესახებ. იგი გვეხმარება იმის დანახვაში, თუ როგორი იქნება სამყაროს ხვალინდელი დღე.[154:გვ.313]

პროგრამა, როგორც წესი, შემუშავებული და რეალიზებულია რომელიმე ერთი ან რამდენიმე განსაკუთრებით მწვავე პრობლემის გადასაწყვეტად და არ მოიცავს სრულად მართვის ობიექტის მთელს სისტემას, ყველა თავისი შიდა და გარე ურთიერთკავშირებით. ამ აზრით, იგი ატარებს ნაკლებად კომპლექსურ და სისტემურ ხასიათს, ვიდრე გეგმა, რომლის შევსებასა და კონკრეტიზებასაც ახდენს. დაგეგმვა წარმოადგენს ეკონომიკური მართვის მუდმივ ატრიბუტს, პროგრამა ჩნდება მასზე განსაკუთრებული მოთხოვნის არსებობის დროს, ისეთი პრობლემის წარმოქმნისას, რომლის ეფექტიანი გადაწყვეტაც ჩვეული მმართველობითი პრაქტიკის ფარგლებში ვერ ხერხდება. ამ თვალსაზრისით, პროგრამები მმართველობითი პრაქტიკის გამონაკლისად უფრო გვევლინება, ვიდრე ნორმად. პროგრამები რაც უფრო ნაკლებია, მით უკეთ მუშაობს მართვის ჩვეული სისტემა, მით უფრო მეტი ყურადღება ექცევა ყოველ კონკრეტულ პროგრამას, მით უკეთ არის შენარჩუნებული პროგრამების (მათ შორის, ფინანსების კუთხითაც) პრიორიტეტის მოთხოვნა ჩვეულებრივ მმართველობით ღონისძიებებთან შედარებით.

დაგეგმვის (ეროვნული და რეგიონული) ფუნქციები და ამოცანები თანამედროვე პირობებში შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

1. გეგმა შესაძლებელს ხდის ეკონომიკის მართვის მიზანმიმართულ სისტემურ, განხორციელებას, პერსპექტივის გავალისწინებით მიმდინარე რეგულირების (წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აღმოჩნდება ქაოტური და ნაკლებეფექტიანი) სხვადასხვა კერძო მეთოდებისა და ინსტრუმენტების რაციონალურ გამოყენებას.

2. დაგეგმვის წყალობით შესაძლებელია მართვის ორგანოების საქმიანობის („მმარ-

თველობითი ეფექტი") გაუმჯობესება – წინასწარ მოხდეს მართვის ყველა სტრუქტურისა და დონის, აგრეთვე სამეურნეო სუბიექტების მომავალი მოქმედებების კოორდინირება და ერთმანეთთან შეკავშირება. გეგმის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში მაღლდება მმართველობითი სტრუქტურების ურთიერთქმედების დონე, გამოირიცხება დუბლირების შესაძლებლობა, მიიღწევა რესურსების უფრო ეკონომიკური გადანაწილება.

3. მიმდინარე და საშუალოვადიანი დაგეგმვა წარმოადგენს ნორმალური საბიუჯეტო პროცესის ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ ბაზას, იძლევა ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში ბიუჯეტის როლის უფრო ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას, საბიუჯეტო შემოსავლების კონკრეტული წყაროებისა და საბიუჯეტო გასავლების (ხარჯები) მიმართულებების დადგენას საბიუჯეტო კლასიფიკაციის ყველა მუხლის მიხედვით.

4. დაგეგმვა წარმოადგენს აქციების სახელმწიფო პაკეტების ეფექტური მართვის უმნიშვნელოვანეს მეთოდს.

დაგეგმვის გზით შესაძლებელია ეკონომიკის, სახელმწიფოსა და რეგიონის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მრავალი მნიშვნელოვანი ამოცანის ეფექტიანი რეალიზება. მათ რიცხვში:

– უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური პროპორციების (იმ შემთხვევებში, როცა ამის გაკეთება ბაზარს არ შეუძლია) მხარდაჭერა, მათ შორის მოთხოვნა-მიწოდების, ფულად მასასა და სამეურნეო საქმიანობის მოცულობას შორის, სახალხო მეურნეობაში ეფექტიანი მოთხოვნის შენარჩუნება;

– არსებული სამუშაო ადგილებისა და შეთავაზებული სამუშაო ძალის რაოდენობისა და ხარისხის აუცილებელი თანაფარდობის შენარჩუნება, მათ შორის მოსახლეობის, ქალაქებისა და რაიონების ცალკეული კონტინგენტების მიხედვით;

– სხვადასხვა სტრატეგიული საქონლის წარმოების აუცილებელი დონეების მხარდაჭერა, ეკონომიკური უსაფრთხოების შენარჩუნება;

– საერთო-ეკონომიკური და საბაზრო ინფრასტრუქტურების განვითარება და საერთო სამეურნეო პირობების შექმნა ეკონომიკის ყველა სექტორისთვის, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, ინფორმაციული და საფინანსო-საშუამავლო სისტემებით სარგებლობის ნორმალური შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

– საზოგადოებრივად უმნიშვნელოვანესი სფეროების, დარგებისა და საწარმოებისთვის ობიექტურად არსებული ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედებისა და სამეურნეო საქმიანობის ხარჯების კომპენსაცია;

– საწარმოების თანდათანობითი ჩართვა ახალ სამეურნეო სისტემაში, ბაზართან შეხვედრის გამო მათი მასობრივი გაკოტრების დაუშვებლობა, სახალხო მეურნეობის ძირითადი რგოლის რესტრუქტურიზაციის ხელშეწყობა;

– საქონელმწარმოებელთა ორიენტირება სტრატეგიულ კონიუნქტურაში, სამეურნეო საქმიანობის აუცილებელი ინფორმაციული უზრუნველყოფის შექმნა ეკონომიკის ყველა სექტორისთვის;


– აუცილებელი საინვესტიციო და ინოვაციური აქტივობის მხარდაჭერა, მსხვილი საინვესტიციო და სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების რეალიზაციის ხელშეწყობა;

– სახალხო მეურნეობაში არსებული ან მოსალოდნელი მწვავე პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტა, მათ შორის მიზნობრივი პროგრამების ურთიერთდაკავშირებული სისტემის რეალიზაციის საფუძველზე;

– მოსახლეობის ცხოველმოქმედების მინიმალური გარანტიებისა და მისი ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა, ცხოვრების დონეში არსებული არაფრით გამართლებული მკვეთრი რეგიონთაშორისი და სოციალური განსხვავებების ლიკვიდაცია;

– სახელმწიფოს მიერ საზოგადოებისთვის წარმოდგენილი ე.წ. „სოციალურ კეთილდღეობათა" ან „საზოგადოებრივი საქონლის" აუცილებელი მოცულობისა და სტრუქტურის განსაზღვრა და მხარდაჭერა, ეკონომიკის ყველა სექტორის ეფექტიანი მონაწილეობის ხელშეწყობა სოციალური პოლიტიკის რეალიზაციაში, მოსახლეობის სოციალური აქტივაციის, თვითდასაქმებისა და თვითორგანიზაციისთვის სათანადო პირობების შექმნა.

პროგნოზირების და დაგეგმვის მეთოდები



სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული კონცეფცია მოიცავს 10-20 წლიან პერსპექტიულ პერიოდს. იგი გულისხმობს შემდგომი განვითარების იდეოლოგიას, მოძრაობის მიმართულებას, ინსტიტუციონალური ცვლილებების სტრატეგიას, სოციალური ძერების, საზოგადოებრივი რესურსების გამოყენებას. კონცეფციის შემუშავება ხდება ერთი ვარიანტის სახით და ყველა შემდგომ მიგნებას სამეცნიერო და პოლიტიკურ ფუნდამენტურად ემსახურება.

სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციების პროგნოზები თავისთავად წარმოადგენენ პროგნოზირების სისტემას სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციების ყველა ცალკეული შე-

მადგენლის მიხედვით. დროითი დიაპაზონი სრულიად განსხვავებულია. დგება რამდენიმე ვარიანტად. განსაკუთრებით გამოირჩევა სარესურსო პროგნოზები. საბოლოო შედეგი – ეს არის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზი და საზოგადოების განვითარების პროგნოზული სცენარები, რაც მომავალი სამუშაო დოკუმენტების შემუშავების სამეცნიერო-ინფორმაციულ საფუძველს წარმოადგენს.

სტრატეგიული გეგმა განვითარების სტრატეგიულ კონცეფციას განიხილავს უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში. იგი დგება ერთი ვარიანტის სახით კომპლექსური პროგნოზების საფუძველზე და შეიცავს რეგიონის სტრატეგიული განვითარების ცალკეული მიმართულებების მიხედვით მიზნებისა და ამოცანების დაწვრილებით სისტემას, საფუძველმდებარე საკვანძო მახასიათებელ-ინდიკატორებს, უმთავრესი სტრატეგიული პროექტებისა და დასახულ ღონისძიებათა ნუსხას.

მოქმედებათა საშუალოვადიანი პროგრამა ეკონომიკის სტაბილიზაციისა და შემდგომი განვითარებისათვის შემუშავდება 3-5 წლის ვადით კონცეფციის, სტრატეგიული გეგმის, პროგნოზების, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საშუალოვადიანი ამოცანების საფუძველზე. მას გააჩნია სამისამართო ხასიათი და დავალებების, მაჩვენებლების, ღონისძიებებისა და პროექტების, აგრეთვე მკაფიო წლიური, საუწყებო და რაიონული ჭრილი. მოქმედების პროგრამა ფაქტობრივად ასრულებს საშუალოვადიანი რეგიონული გეგმის ფუნქციებისა და პირდაპირი მოქმედების მმართველ დოკუმენტად გვევლინება.

მიზნობრივი პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების შემუშავება უნდა ხდებოდეს სტრატეგიული გეგმის შესაბამისად და ორიენტირებულნი უნდა იყვნენ სხვადასხვა რეგიონული პრობლემების გადაწყვეტასა და ინვესტიციების მოზიდვაზე მომავალი განვითარების მიზნით.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წლიური პროგნოზები, ფაქტობრივად, წლიური გეგმის ფუნქციებს ასრულებს და პროგრამების წლიური „ჭრის" დეტალიზებას ახდენენ. ისინი საბიუჯეტო პროცესის სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს, როგორც ბიუჯეტის შედგენის, ისე მისი შესრულების შეფასების დროს.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი გეგმა რეგიონული მართვის წამყვან ეკონომიკურ დოკუმენტად გვევლინება. იგი დგება 3-4 წლიანი პერიოდის ვადით. მას კომპლექსური ხასიათი გააჩნია. გეგმა დადის ქვემდგომ მმართველობით სტრუქტურებსა და სამეურნეო სუბიექტებამდე. გეგმის შედგენა ხდება სფეროს პრობლემური და ფუნქციონალური პრინციპით, უფრო ნაკლებად – დარგობრივი (ეს შეეხება ადგილობრივ მეურნეობასა და ინფრასტრუქტურას) პრინციპით. გეგმა შეიცავს:

– ინდიკატიურ მახასიათებლებს, ორიენტირებს, დირექტიულ დავალებათა შეზღუდულ წრეს;

– რეგიონული შეკვეთების სისტემას;

– რეგიონული ღონისძიებების, პროექტებისა და პროგრამების გეგმურ პერიოდში სარეალიზაციო ნუსხას;

– საკონტროლო ბალანს-ორიენტირების სისტემასა და წარმოებისა და გადანაწილების მკვეთრი ბალანსების შეზღუდულ წრეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რესურსები-

სა და პროდუქტების (ამ სახის საქონლის მიწოდების ბაზით მკვეთრი შეკვეცის მუქარის შემთხვევაში) მიხედვით;

– სამეურნეო სუბიექტებისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიულ პროგნოზულ ინფორმაციას;

– წინამდებარე პერიოდისთვის მისაღები სტაბილური ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური, ეკოლოგიური თუ რეგიონული ორგანოების მარეგულირებელი გავლენის სხვა ინსტრუმენტების სისტემა სამეურნეო სუბიექტებზე.

რეგიონის საშუალოვადიან გეგმას ტერიტორიული, უწყებრივი და რაიონული ჭრილი გააჩნია.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი გეგმის შესაძლო სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

1. გეგმის კრებსითი განყოფილება. შეიცავს სოციალურ-ეკონომიკური, განვითარების მიზნების სისტემას, მიზნობრივი მაჩვენებლების, უმთავრესი სოციალურ-ეკონომიკური ნორმატივების ჩათვლით. განყოფილებაში შედის რეგიონული მიკროეკონომიკური მაჩვენებლები და განვითარების პროპორციები. მითითებულია, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სახის შემზღუდველები (ლიმიტები), მიღებული პერსპექტიული პერიოდის ვადით, რომლის გვერდის ავლაც (უმუშევრობის დონის, ცხოვრების დონის, რეგიონული უსაფრთხოების და სხვ.) არ შეიძლება. ხდება საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პოზიციების ფორმულირება.

2. რეგიონის ადგილი ქვეყნის მეურნეობაში. ხასიათდება რეგიონის ძირითადი ფუნქციების რეალიზაცია შრომის შიდა და საერთაშორისო დანაწილების სისტემაში. მოყვანილია ორიენტირები დარგთაშორისი და საერთაშორისო გაცვლისთვის. ფასდება რეგიონის ეკონომიკის „ღიაობის" ცვლილებების დონე. ფორმულირდება საგარეო ეკონომიკური და რეგიონთაშორისი პოლიტიკის ძირითადი მდგომარეობა.

3. მოსახლეობის რიცხოვნება და სტრუქტურა. ფასდება პერსპექტიული ცვლილებები მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი და სოციალურ-პროფესიულ სტრუქტურაში, მოსახლეობის სხვადასხვა კონტინგენტების რიცხოვნება, ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლები. ფორმულირდება რეგიონული დემოგრაფიული პოლიტიკის ზომები.

4. უმნიშვნელოვანესი რეგიონული მოთხოვნილებები. ფასდება მოთხოვნილებების პერსპექტიული დონეები ძირითად სტრატეგიულ პროდუქტებზე (ენერგია, საწვავი, სურსათ-სანოვაგე, კონსტრუქციული მასალები, ტექნიკა, მოწყობილობები და სხვ.).

5. უმნიშვნელოვანესი რეგიონული რესურსები. განისაზღვრება რეგიონის პერსპექტიული სარესურსო შესაძლებლობები, მათ შორის სამრეწველო, სამეცნიერო-ინფორმაციული, შრომითი, მიწების, წყლის რესურსების, სამშენებლო, სატრანსპორტო კავშირების, საგარეო ვაჭრობის გამოყენების შესაძლებლობები, ფორმულირდება სარესურსო პოლიტიკის მიმართულებები.

6. რეგიონული ეკონომიკური რეფორმა. ფორმულირდება ამოცანების კომპლექსი მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის ყველა პრობლემის მიხედვით., საწარმოთა რესტრუქ-

ტურიზაციის საკითხების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საცხოვრებელ-კომუნალურ, საბაზრო ინფრასტრუქტურისა და სხვა სფეროში რეფორმების ჩათვლით.

7. სოციალური განყოფილება (ბლოკი). მოიცავს მოსახლეობის ცხოვრების დონესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების კომპლექსს, მათ შორის: მოსახლეობის შემოსავლებისა და გასავლების, საცხოვრებელი პირობების, კვების ხარისხისა და დონის,, ჯანდაცვის სფეროს, განათლებისა და კულტურის, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარებისა და სხვ. სფეროების ცვლილებებს.

8. რეგიონის ეკონომიკური ბაზა ფორმულირდება ქალაქის ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები და მიმართულებები რეგიონისთვის შემოსავლის მომტანი, ბიუჯეტის შემავსებელ ძირითად დარგებთან, სფეროებსა და ობიექტებთან და მოსახლეობის უზრუნველყოფასთან მიმართებაში. მათ რიცხვში: სამრეწველო, სატრანსპორტო-საგარეო სავაჭრო კომპლექსი, სამეცნიერო კომპლექსი, უმაღლესი და სპეციალური განათლების სფერო, ტურისტული კომპლექსი და სხვ. ფასდება მაჩვენებელ-ორიენტირები ეკონომიკური ბაზის შესაბამისი ელემენტების განვითარება.

9. აგრო-სამრეწველო კომპლექსი. განიხილება სურსათის წარმოებასთან, ტრანსპორტირებასთან, გადამუშავებასთან, შენახვასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსი, ნედლეულის მიწოდების, რეგიონებთან გაცვლა-გამოცვლის, იმპორტის და სხვ. საკითხები. გათვალისწინებულია მეურნეობის ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, ,,საოჯახო ეკონომიკის'', მებაღეობის რესურსების, პირადი სუბსიდირების მეურნეობების ჩათვლით, ფორმულირდება რეგიონული პოლიტიკის მიმართულებები სასურსათო უსაფრთხოების, აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების, სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესებისა და სამომხმარებლო ბაზრის ფუნქციონირების კუთხით.

10. საერთო-რეგიონული ინფრასტრუქტურა და ცხოვრების დონის უზრუნველყოფის სისტემა. ჩართულია ენერგეტიკის, სატრანსპორტო მეურნეობის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის, საინჟინრო და ცხოვრების უზრუნველყოფის სხვა სისტემების საკითხები. ითვალისწინებენ საწარმოთა ინფრასტრუქტურის ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. ფორმულირდება პოლიტიკის მიმართულება ინფრასტრუქტურისა და რეგიონის ფუნქციონირების უზრუნველყოფის სფეროში.

11.რეგიონული მეურნეობა. მოცემულ განყოფილებაში ფორმულირდება დარგებისა და მეურნეობების განვითარების მიმართულებები, რომლებიც რეგიონის ადმინისტრაციის უწყებაში მართვის მიღებულ სისტემასთან შესაბამისობაში იმყოფებიან.

12. რეგიონული შეკვეთა. გეგმაში ჩართულია რეგიონული შეკვეთის კრებსითი მონაცემები და კონკრეტული ნუსხები.

13.მოსახლეობის დასაქმება. განყოფილება მოიცავს ზომების კომპლექსს რაციონალურ დასაქმებასთან, სამუშაო ადგილების შექმნასთან, პროფესიულ გადამზადებასთან დაკავშირებით. ცალკე გამოიყოფა საკითხი ახალგაზრდობის დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებით. ფორმულირდება რეგიონული პოლიტიკა დასაქმების სფეროში.

14. ეკოლოგია. ფორმულირდება პოლიტიკისა და ზომების ერთობლიობა ჯანდაცვისა და ეკოლოგიური სიტუაციის ნორმალურ დონეზე შენარჩუნების თვალსაზრისით.

15.რეგიონთაშორისი კავშირები. ფორმულირდება რუსეთის რეგიონებთან ურთიერთქმედების აქტივაციასთან დაკავშირებული, რეგიონული ბაზრების მაფორმირებელი და რეგიონთაშორისი ასოციაციის ფარგლებში თანამშრომლობის პოლიტიკა, მიმართულება და ზომები.

16. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. ფორმულირდება საგადასახადო, საფასო და ამორტიზაციული პოლიტიკის, მიწათსარგებლობის, არენდის სფეროში პოლიტიკის მიმართულებები. განიხილება გარანტიების, მხარდაჭერის სტიმულირების, რეჟიმის, ინვესტიციების საკითხები. განისაზღვრება სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი საკონტროლო მაჩვენებლები, ნორმატივები, სტიმულები.

17. ინვესტიციები. ფორმულირდება საინვესტიციო პოლიტიკის მიმართულებები, საინვესტიციო პროცესის დამახასიათებელი ძირითადი მაჩვენებლები. მოყვანილია მშენებლობის გამსხვილების სამისამართო პროგრამა.

18. უმნიშვნელოვანესი პროგრამები და პროექტები. მოყვანილია პროგრამებისა და პროექტების კრებსითი ურთიერთდაკავშირებული ნუსხა, რეალიზაციისთვის მონიშნულ პერსპექტიულ პერიოდში.

19. რეგიონის მართვის სისტემის სრულყოფა. ფორმულირდება ზომები, დაკავშირებული ფედერალური, რეგიონული და მუნიციპალური მართვის ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებით.

20. რეგიონული ბალანსები. უმნიშვნელოვანეს ბალანსთა ურთიერთდაკავშირებული სისტემა.

21. რეგიონის ფინანსები. განიხილება საშუალოვადიანი გეგმის შესრულების ფინანსური საფუძველი. განისაზღვრება კრებსითი საფინანსო ბალანსისა და რეგიონის პერსპექტიული ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები. ფორმულირდება რეგიონული საფინანსო პოლიტიკა, პოლიტიკური სესხების, ფინანსურ ბაზარზე არსებული პოლიტიკის, საბანკო და სხვ. პოლიტიკის ჩათვლით.[155]

10.3 პროგრამების მნიშვნელობა რეგიონის ეკონომიკის მართვაში

მიზნობრივი პროგრამა რეგიონული ეკონომიკის მართვის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა, მეთოდია. ამასთან მიზნობრივი პროგრამა, განსაკუთრებული მმართველობითი დოკუმენტია, პრიორიტეტული ფინანსური, მკაცრი მიზანმიმართულობისა და კონკრეტული დავალებებისა და ღონისძიებების შემცველი. მასში აუცილებელია ჩაიდოს დაფინანსების, რეალიზაციისა და კონტროლის მექანიზმი.

პროგრამის შემუშავება უნდა განხორციელდეს მხოლოდ აუცილებელ შემთხვევებში (ანუ იგი უფრო გამონაკლისია მართვის პრაქტიკაში, ვიდრე ნორმა), მასში უნდა ჩართული იყოს მხოლოდ ყველაზე აუცილებელი, კონტროლირებადი და რესურსებით უზრუნველყოფილი ღონისძიებები. აქ იგულისხმება რეგიონული ორგანოების მოქმედებები კო-

ორდინირებული, მიმართული განსაკუთრებით მწვავე პრობლემისა თუ საგანგებო მნიშვნელობის დავალების გადაწყვეტაზე.[157]

პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის არსი მდგომარეობს: – რეგიონის ეკონომიკის, სამეურნეო სფეროს განვითარების პრობლემების ერთობლიობასა და მიზნების სისტემის გამოკვლევაში;

- ამ მიზნების, ანუ საკუთრივ, მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების მისაღწევად აუცილებელი ღონისძიებების მთელი კომპლექსის შემუშავებასა და რეალიზაციაში;

– ტერიტორიული და ცენტრალური ორგანოების, საწარმოების რესურსებისა და შესაძლებლობების გაერთიანებასა და კოორდინაციაში საერთო რეგიონული ამოცანების გადაწყვეტად.

ტერიტორიულ დონეზე პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის მნიშვნელობა იზრდება, რაც განპირობებულია მმართველობითი ზემოქმედების სტრუქტურის სირთულით რეგიონში, მსხვილი ამოცანების გადაწყვეტის ცალკეული სამეურნეო რგოლების შეზღუდული შესაძლებლობებით, მართვის მრავალი სუბიექტის ინტერესების ურთიერთშეთანხმების აუცილებლობით.

რაში მდგომარეობს მიზნობრივი პროგრამების არსი, როგორია ძირითადი მოთხოვნები, პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის მართვის პრინციპები რეგიონში?

აქ შეიძლება გამოიყოს პრობლემების რამდენიმე ჯგუფი:

– ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემები;

– რეგიონის განვითარების ამა თუ იმ ნეგატიური ტენდენციის გაძლიერებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი შესაძლო პრობლემები;

– რეგიონის წინაშე მდგარი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მსხვილი ამოცანების რეალიზაციის აუცილებლობასთან დაკავშირებული პრობლემები;

– რეგიონის განვითარების შედარებით დიდი ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი პრობლემები, რომლებიც მოითხოვს აღმოფხვრას, ნეიტრალიზაციას.

გამოვლენის მასშტაბებისა და გავრცელების მიხედვით, რეგიონის განვითარების პრობლემები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ სახედ:

– რეგიონის განვითარების უმნიშვნელოვანესი რეგიონული და ზონალური პრობლემები (მაგალითად, სასურსათო ბაზის ორგანიზაციის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის, სამომხმარებლო საქონლის წარმოების განვითარების და სხვ. პრობლემები);

– მსხვილი კომპლექსური პრობლემები რეგიონის სპეციფიკიდან, მისი ბუნებრივ-ეკონომიკური და სხვა თავისებურებებიდან, განვითარების მიზნობრივი განსაზღვრულობებიდან (როგორც წესი, ისინი მოიცავენ პრაქტიკულად რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის მთელ დარგებსა და სფეროებს) გამომდინარე;

ლოკალური ხასიათის პრობლემები, გამოვლენილი რეგიონის მეურნეობის ცალკეულ დარგებში, საწარმოებში, სფეროებში, მათი ბუნებრივ-ეკონომიკური და სხვა თავისებურებებიდან გამომდინარე;

ბუნებრივია, რომ რეგიონში არსებული ყველა პრობლემა მიზნობრივი პროგრამების

საფუძველ'ზე არ უნდა წყდებოდეს. პრობლემების ჩამონათვალი, რომლებიც მოითხოვენ პროგრამულ გადაწყვეტას, დგინდება რეგიონული გეგმამდელი გამოკვლევების პროცესში და პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შემუშავების დროს ზუსტდება;

პრობლემების გამოვლენის დროს დეტალურად ანალიზდება მიღწეული დონე და რეგიონის განვითარების ტენდენციები ამოსავალ პერიოდში, ხორციელდება მეურნეობის დაბალანსებულობის დარღვევების გამომწვევი მიზეზების კვლევა. აუცილებელია საწარმოებისა და ორგანიზაციების, მოსახლეობის, მუნიციპალური ორგანოების, მეცნიერებისა და სპეციალისტების, საზოგადოების სტრუქტურების მხრიდან მოწოდებული არსებული მონაცემების გაანალიზება და განზოგადება პრობლემური სიტუაციების შესახებ. ამა თუ იმ ხარისხით უნდა იქნეს გათვალიწინებული რეგიონთან ცენტრის შეხების პრობლემები. ინფორმაციის შეკრებისთვის უნიფიცირებული ფორმები გამოიყენება, რომლებიც მათი თანმიმდევრული განზოგადების შესაძლებლობას იძლევა.

შემდგომ ეტაპზე პრობლემების კვლევა და მათი რანჟირება ხორციელდება. ზუსტდება თითოეული პრობლემა, მისი სახე, დონე. ვლინდება პრობლემის პროგრამული გადაწყვეტის აუცილებლობის განმსაზღვრელი მახასიათებლები:

– გამოვლენის სიმწვავე შეიძლება ხასიათდებოდეს არსებული პრობლემით მიღებული პირდაპირი და ირიბი ზიანის სიდიდით, საკვლევი მაჩვენებლის ნორმატიული მნიშვნელობისგან თუ მიზნობრივი განსაზღვრულობისგან გადახრის ზომით;

– ვადა, რომელშიც უნდა მოხდეს პრობლემის სრული გადაწყვეტა;

– ორგანიზაციულ-მმართველებითი სირთულე შეიძლება ხასიათდებოდეს კერძოდ, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, ტერიტორიული რგოლების რაოდენობით, რომელთა მონაწილეობა პრობლემის გადაწყვეტაში გათვალისწინებულია;

– პრინციპულად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნასთან დაკავშირებული ხარჯებით, პრობლემის სრული გადაწყვეტის უზრუნველმყოფი განსხვავებული ორიგინალური პირობებით.

ზემოთ მოყვანილი და აგრეთვე სხვა მახასიათებლებით (რესურსტევადობა და სხვ.) წარმოებს პრობლემების რანჟირება (მათი განლაგება ამა თუ იმ მაჩვენებლის კლების ან ზრდის მიხედვით).

მითითებული მახასიათებლების რანჟირების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება პრობლემის არჩევა, რომელიც პროგრამულ გადაწყვეტას მოითხოვს. პრობლემების შერჩევა უნდა განხორციელდეს იმ თანმიმდევრობით, როგორც მოცემულია პრობლემის პროგრამული გადაწყვეტის აუცილებლობის განმსაზღვრელი მახასიათებლებში, ანუ დასაწყისში ყველაზე მწვავე პრობლემები შეირჩევა, შემდეგ ამოქმედდება მათი შესრულების დროითი (ვადები) კრიტერიუმი ა.შ. საბოლოო ჯამში, ექსპერტული მეთოდების გამოყენებით, განისაზღვრება მთავარი კრიტერიუმი – პრობლემის შესრულების შესაძლებლობა თუ შეუძლებლობა ტრადიციული გზით განკუთვნილ ვადებში, ქვეყანასა და რეგიონში მართვისა და დაგეგმვის სისტემის პირობებში. მართვის სპეციალური (პროგრამული) რეჟიმის შექმნის გარეშე ხორციელდება მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების

ნუსხის ფორმირება რეგიონში, შევსებული ცენტრალური ხელისუფლების პროგრამების დავალებების მონაცემებით, რომელთა რეალიზაციაში რეგიონი მონაწილეობს.

რეგიონული მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის აუცილებლობის შესახებ დასკვნა შეიძლება გაკეთდეს მაშინ, როცა რეგიონში რთული პრობლემური სიტუაცია არსებობს ან პერსპექტივაში შეიძლება წარმოიქმნას, რომლის გადაჭრაც მართვის არსებულ სისტემაში, დროში მეტისმეტად გაჭიმული შესაძლოა აღმოჩნდეს, რომელიც ახ- ალ ტექნიკურ, ორგანიზაციულ და სხვა გადაწყვეტილებებს მოითხოვს.

სწორედ მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა გეგმასთან შედარებით მოითხოვს, უფრო ღრმა დასაბუთებებს, უფრო ხანგრძლივ შეთანხმებებსა და უფრო რთულ გათვლებს, მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების, როგორც კონკრეტული პრაქტიკული სარგებლობის დოკუმენტების მიმართ მოთხოვნების ფორმულირებას იმგვარად, რომ თითოეული პროგრამა წარმოადგენდეს დასაბუთებულ, ზუსტ მონაცემებზე დამყარებულ ღონისძიებათა გეგმას, მიმართულს საბოლოო შედეგზე, ამა თუ იმ პრობლემის რთულ გადაწყვეტაზე. იმისათვის, რომ პროგრამაში გადასაწყვეტი ამოცანების ეტაპები და თანმიმდევრობა განისაზღვროს და, რა თქმა უნდა, საჭიროა პროგრამის მართვის სისტემის, მისი რეალიზაციის მექანიზმის არსებობა.[158:გვ.526]

10.4 რეგიონული განვითარების ანალიზის სტატისტიკური ბაზა

სტატისტიკა ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება რეგიონული სიტუაციებისა და პრობლემების "რედგენული სურათის" მიღების საფუძვლად. ობიექტური და სისტემური რეგიონული სტატისტიკური ინფორმაციის ამოსავალ დიდ მასივში აუცილებელია შეტანილ იქნეს სამართლებრივი, სოციალური, ეთნოეროვნული, გეოპოლიტიკური და სხვა ხასიათის დამაზუსტებელი და შემავსებელი მონაცემებიც. აუცილებელია რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკურ-სოციალურ ცხოვრებაში სტატისტიკური დაკვირვებიდან დაფარული მოვლენების აღრიცხვაც.

სიტყვა "სტატისტიკა" ლათინური „შტატუს"-დან მომდინარეობს, რაც "საქმის ვითარებას" ნიშნავს. მეცნიერებაში ტერმინი გერმანელმა სწავლულმა გოტფრიდ ახენვალდმა 1747 წელს შემოიტანა. მან ამით გერმანიის უნივერსიტეტებში გავრცელებულ კურსს-"სახელმწიფოთმცოდნეობას" სახელი შეუცვალა და "სტატისტიკა" დაარქვა, რითაც საფუძველი ჩაუყარა სტატისტიკას, როგორც მეცნიერებას. აღნიშნულის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ სტატისტიკური აღწერა კაცობრიობის ისტორიაში ბევრად უფრო ადრე იყო ცნობილი, მაგალითად, ძველ აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რომის იმპერიაში.

სტატისტიკა მონაცემთა დამუშავებასა და კვლევის სპეციალურ მეთოდოლოგიას შეიმუშავებს. მის არსენალშია მასობრივი სტატისტიკური დაკვირვებები, დაჯგუფების საშუალო სიდიდის, ბალანსურ მონაცემთა გრაფიკული გამოსახულებისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. თვით სტატისტიკური პრაქტიკა სახელმწიფოს დაარსების დროიდან იღებს სათავეს. თავდაპირველად აღწერა მოიაზრებოდა, 1792 წლის დროინდე-

ლი განმარტების მიხედვით, სტატისტიკა "სახელმწიფოს ახლანდელი მდგომარეობის აღწერას" ნიშნავდა. სახელმწიფოს სტატისტიკური სამსახურის საქმიანობა გარკვეულ წილად შესაბამისობაშია ამ განსაზღვრებასთან.

უცხო სიტყვათა ლექსიკონში სტატისტიკა განმარტებულია, როგორც:

1. მეცნიერება, რომელიც სწავლობს რაოდენობრივ ცვლილებებს ადამიანთა საზოგადოებაში;

2. მასობრივ მოვლენათა აღრიცხვა ამ მეცნიერების მეთოდების გამოყენებით;

3. კვლევის გარკვეული მეთოდი, რომელსაც იყენებენ ზუსტ მეცნიერებაში.

ისტორიული წყაროების მიხედვით, სტატისტიკური ცნობების მოპოვება საქართველოში XIII საუკუნიდან იწყება. 1254-1258 წლებში მონღოლმა ნოინმა არღუნმა აღწერა საქართველოს მოსახლეობა და მათი ქონება. 1689 წლიდან, ერეკლე I-ის მეფობის ხანაში, საქართველოს სადროშოების სარდლები შვიდ წელიწადში ერთხელ ატარებდნენ თავიანთ სადროშოებში მოსახლეობის აღწერას. ჩვენს დრომდეა მოღწეული XVII-XVIII სს. დავთრები, რომლებშიც შეტანილი იყო აღწერის შედეგად მოპოვებული ცნობები.

1918 წ. 15 ნოემბერს მიწათმოქმედების სამინისტროსთან შეიქმნა სტატისტიკის დროებითი ბიურო, რომლის ფუნქციებში შედიოდა სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების შემუშავება, მიწის ფონდის აღრიცხვა და მისი განაწილების ნორმების განსაზღვრა. 1919 წ. 25 ივლისს, დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, შეიქმნა რესპუბლიკის ცენტრალური სასტატისტიკო კომიტეტი იმავე სამინისტროს შემადგენლობაში. კომიტეტს დაევალა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტატისტიკური სამუშაოების წარმართვა.

საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ, 1921 წლის 3 აპრილს თბილისში გამოქვეყნდა რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი "საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკის სამმართველოს დაარსების შესახებ", ხოლო 1921 წლის 4 ივლისს – პირველი დებულება საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების შესახებ.

ჩვენი ქვეყნის გასაბჭოების პერიოდიდან გასული საუკუნის 90–იან წლებამდე საქართველოში განხორციელებული სტატისტიკური საქმიანობა საბჭოთა კავშირის მასშტაბური სტატისტიკის ნაწილი გახდა და ეყრდნობოდა საბჭოთა სტანდარტებსა და მეთოდოლოგიებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კერძოდ კი 1990-იან წლებში საჭირო გახდა დაკვირვების მთელი ინსტრუმენტარიუმის ძირეული ცვლილება, ინფორმაციის მოპოვების განსხვავებული, ალტერნატიული წყაროების ფორმირება. მნიშვნელოვანი გახდა საბაზრო ეკონომიკის მახასიათებელი ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა. განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში მიმდინარე ინსტიტუციონალური ცვლილებების და რეფორმების დახასიათება.

1991 წლის 27 თებერვლის საქართველოს უზენაესი საბჭოს „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონის შესაბამისად 1991–1995 წლებში ქვეყანაში სტატისტიკურ საქმიანობას აწარმოებდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ–ეკონომიკური ინფორმაციის

კომიტეტი. ხოლო სტატისტიკურ სამუშაოთა სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი სტატისტიკის შესახებ.

სახელმწიფო სტატისტიკის პრიორიტეტული მნიშვნელობის გათვალისწინებით, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და განვითარების მიზნით, მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 3 აპრილის 181 დადგენილების შესაბამისად, შეიქმნა სტატისტიკის განვითარების სახელმწიფო ფონდი, რომლის პრეზიდენტის ფუნქციებსაც ასრულებდა სოციალურ–ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

1995 წლის 8 დეკემბრის „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 1995–1997წლებში სტატისტიკურ საქმიანობას ახორციელებდა საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტი.

1996 წლის აპრილიდან 1997 წლის ოქტომბრამდე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, სახელმწიფო სტატისტიკის სრულყოფის მიზნით სტატისტიკის სახელმწიფო დროებითი კომისია შეიქმნა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის, ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო კანცელარიის პასუხისმგებელი პირები.

1997-2004 წლებში სტატისტიკურ საქმიანობას ახორციელებდა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შეუერთდა. შესაბამისად, სტატისტიკურ საქმიანობას აღნიშნული თარიღიდან 2009 წლის 11 დეკემბრამდე ახორციელებდა, როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება– სტატისტიკის დეპარტამენტი.

1998 წლიდან 2009 წლის დეკემბრამდე მოქმედებდა 1997 წელს მიღებული კანონი "სტატისტიკის შესახებ".

დღეს საქართველოში სტატისტიკურ საქმიანობას დამოუკიდებელი სტრუქტურა – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) საერთაშორისო მეთოდოლოგიისა და სტანდარტების გათვალისწინებით ახორციელებს. მისი ფუნქციონირების სამართლებრივ ბაზას 2009 წლის 11 დეკემბრიდან წარმოადგენს საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ".[159]

რეგიონში სტატისტიკის ამოცანები. რეგიონის კომპლექსური დიაგნოსტიკისათვის საჭირო მონაცემთა მნიშვნელოვან ბლოკს აყალიბებს "საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული" და ოპერატიული ინფორმაციული პუბლიკაციები, რომელსაც ამზადებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ყოველწლიურ გამოცემებში ასახულია ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები. სტატისტიკური წელიწდეული მზადდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული სტატისტიკური გამოკვლევებისა და აღწერების საფუძველზე მიღებული მონაცემების, აგრეთვე

ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოების, კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ეროვნული ბანკის და სხვათა მიერ წარმოებული ოფიციალური სტატისტიკის საფუძველზე.

პუბლიკაციაში მოცემულია ინფორმაცია ქვეყნის მოსახლეობისა და მისი ცხოვრების დონის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, ეროვნული ანგარიშების, ფინანსების, ფასების საინვესტიციო საქმიანობის შესახებ, აღწერილია ეკონომიკის ძირითადი სფეროების-მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგების მდგომარეობა.

პუბლიკაციაში ასახული მონაცემების გაანგარიშებისას, გამოყენებულია გაეროს და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების, ევროკავშირის სტატისტიკური სამსახურის-ევროსტატის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ასევე სხვა სერთაშორისო ეკონომიკური და სტატისტიკური ინსტიტუტების მიერ რეკომენდირებული მეთოდოლოგია, კლასიფიკატორები, ნომენკლატურა და კონცეფციები.

ეს იძლევა საქართველოს მაჩვენებლების საერთაშორისო შედარებითობის საშუალებას.

ცალკეული საკითხებისათვის საბაზო ინფორმაციას წარმოადგენს მონაცემები სხვა უწყებებიდან. მაგალითად, საბაჟო სამსახურიდან, ანტიმონოპოლიური სამსახურიდან და სხვა. ეს დამოკიდებულია სხვადასხვა სახის სტატისტიკურ გამოკვლევებზე, მაგალითად, რეგიონის მოსახლეობის რაოდენობის მონაცემები, რომელიც საჭიროა სულადობრივი მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის, მოსახლეობის აღწერამდე, შესაძლებელია აღებულ იქნას შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ასევე კომერციული ბანკები საკმაოდ თანმიმდევრულად წარმოადგენენ ანგარიშებს თავიანთ საქმიანობაზე ცენტრალურ ბანკში.

მართალია, ტერიტორიული და რაიონული განყოფილებები აგროვებენ სტატისტიკური ინფორმაციის მნიშვნელოვან რაოდენობას ცალკეულ სუბიექტთა ეკონომიკური საქმიანობის შესახებ, მაგრამ მხოლოდ ამ ინფორმაციის ნაწილი იბეჭდება ცალკეულ გამოცემებში.

რეგიონების სტატისტიკური ინფორმაციის კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენენ რეგიონული ადმინისტრაციების ინტერნეტ საიტები, რომელზეც ხშირად მოცემულია შედარებით თანმიმდევრული და ზუსტი მონაცემები, არამარტო მთლიანად ქვეყნის არამედ ქალაქებისა და რეგიონების მეურნეობასა და საქმიანობაზე.

სტატისტიკური ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბლოკს წარმოადგენს სამეცნიერო დაწესებულებათა დარგობრივ ასოციაციათა, სავაჭრო სამრეწველო პალატის, საზღვარგარეთის პოლიტიკურ და კომერციულ წარმომადგენელთა და სხვათა გამოკვლევები. უმნიშვნელოვანეს ინტერესს იწვევს მარკეტინგულ-კვლევითი მიმოხილვები და სტატისტიკურ მონაცემთა დეტალიზაცია. ამავდროულად არ შეიძლება არ აღინიშნოს რეიტინგულ გამოკვლევათა მნიშვნელობა, რომელმაც ფართო აღიარება და გამოყენება მოიპოვა რეგიონულ დიაგნოსტიკაში.

რეგიონის მეურნეობის შესწავლისათვის არსებობს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების შეკრების საერთო მეთოდოლოგია. მიზანშეწონილია კვლევის საფუძვლად აღებულ იქნას სტატისტიკური კრებულები.

ამრიგად, რეგიონული განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზისა და მისი სამომავლო განვითარების პროგნოზირებისათვის საჭიროა შეიქმნას სტატისტიკის თანამედროვე სისტემა, რომელიც ახალი მაჩვენებლების დანერგვით, სტატისტიკური გამოკვლევების შინაარსისა და მათი ჩატარების ფორმების გათანამედროვეობით ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონების განვითარებას.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რეფორმირებამ უნდა უზრუნველყოს სტატისტიკური ორგანოს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი. დამოუკიდებლობის ფართოდ დეკლარირება აუცილებელია სტატისტიკური სამსახურისათვის ნდობის მანდატის მოსაპოვებლად და ძირითადი ფუნქციის განსახორციელებლად შეუფეხებლად მიაწოდოს საზოგადოებას, მაღალი ხარისხის ინფორმაცია საზოგადოებას, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ანალიტიკოსებს და პოლიტიკოსებს, როგორც სამთავრობო წრეებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ შემუშავებულ ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებში ასახულია, რომ "ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის შესანარჩუნებლად სტატისტიკურმა სააგენტოებმა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ პროფესიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, რაც დაემყარება სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და წარდგენის მეცნიერულ პრინციპებს, პროფესიულ ეთიკას". ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების გათვალისწინება უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელო პრინციპი იყო კანონის შემუშავების და შესაბამისად, საქსტატის ჩამოყალიბების პროცესში.

საქსტატის ძირითადი ფუნქციებია:

- სტატისტიკის სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება და ტერიტორიულ და სტატისტიკის მწარმოებელ სხვა ორგანოებთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა;
- სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის შემუშავება;
- სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სტატისტიკური საქმიანობის წარმოება, რომელიც მოიცავს:
- სტატისტიკური კვლევების ჩატარებას;
- ადმინისტრაციულ მონაცემთა დამუშავებას ექსკლუზიურად, სტატისტიკური მიზნით;
- დაკვირვების ერთეულის შესახებ მონაცემთა დამუშავებას;
- სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული გრაფიკის შემუშავებას და მისი საჯაროობის უზრუნველყოფას;
- გამოქვეყნებული გრაფიკის მიხედვით, სტატისტიკური მონაცემების გავრცელებას და ყველა მომხმარებლისათვის მათი თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

- საერთაშორისო ანალოგების შესაბამისი სტატისტიკური მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შემუშავებას და მათი დანერგვის ხელშეწყობას;
- მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარება;
- ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშის მომზადება;
- სტატისტიკის ტერიტორიული ორგანოების შექმნა და მათი სამოქმედო არეალების განსაზღვრა.[160]

მდგრადი რეგიონული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის, რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის, რეგიონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების განვითარების სტრატეგიებისა და მათი განხორციელების სამოქმედო პროგრამებისა და გეგმების მომზადებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი და რეგიონული სტატისტიკური მონაცემების არსებობა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ობიექტური ადგილობრივი და რეგიონული სტატისტიკის წარმოებას და განვითარებას.[161:გვ.13-14]

10.5 რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკა

სამეცნიერო ლიტერატურაში რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკა განიხილება, როგორც სპეციალურ-ინფორმაციულ-ანალიტიკური ტექნოლოგიების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა:

1. აღვწეროთ შესასწავლი რეგიონული სიტუაციები და პრობლემები მათთვის დამახასიათებელი ნიშნების, მაჩვენებლების სისტემით;

2. მოვახდინოთ ამ სიტუაციებისა და პრობლემების იდენტიფიკაცია ანუ მივაკუთვნოთ ისინი ცნობილ ტიპოლოგიურ ჯგუფებს;

3. ამ სიტუაციებს და პრობლემებს მივცეთ რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დავუსვათ საბოლოო დიაგნოზი;

4. მოვახდინოთ და განვახორციელოთ დიაგნოსტირებული მოვლენებისა და მდგომარეობის შინაგანი და გარეგანი მიზეზების დადგენა, შეფასება და სანაცია. [162:გვ.396]

რეგიონული დიაგნოსტიკის საგნად უფრო ხშირად მიიჩნევენ "რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას", რომელიც საჭიროა კომპლექსურად იქნას შეფასებული და განისაზღვროს მისი დონე, მაგრამ განვითარების დონის შეფასება მისდამი დიდი ინტერესის მიუხედავად, რეგიონული დიაგნოსტიკის მხოლოდ ერთ-ერთი კერძო შედეგია, რომლებიც სხვა მაჩვენებლებისაგან განცალკევებით არ იძლევა პასუხს მთავარ კითხვაზე: რა ხდება და რატომ ხდება მოცემულ კონკრეტულ ტერიტორიაზე და რას განსაზღვრავს თვით ეს "დონე".

რეგიონული დიაგნოსტიკის საგნად მიჩნეულია რეგიონული სიტუაციები და რეგიონული პრობლემები. რეგიონულ სიტუაციად უნდა მივიჩნიოთ რომელიმე ტერი-ტორიული სისტემის (ქვეყნის სუბიექტის მუნიციპალური წარმონაქმნების, დასახ-ლებული პუნქტე-

ბისა და ა.შ.) უმნიშვნელოვანეს განსაზღვრებათა ჩამოყალიბებული შეთანაწყობა, ამ შეთანაწყობის განსაზღვრული პირობები და გარემოებანი.

ამრიგად, ნებისმიერი რეგიონული სიტუაციის ობიექტური დახასიათებისათვის საჭიროა მრავალგეგმიანი დიდი მოცულობის სხვადასხვა ინფორმაციის მოზიდვა და მისი ანალიზისათვის ინდივიდუალიზებული მეთოდების გამოყენება.

ნებისმიერი ტერიტორიული სისტემის დიაგნოსტიკა თავის თავში უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის დიაგნოსტიკებს:

1. მთლიანად მდგომარეობის დიაგნოსტიკა;

2. ტერიტორიული განვითარების რეგულირების ამოცანების გადასაწყვეტად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების დიაგნოსტიკა;

3. განვითარების პროცესების დიაგნოსტიკა, ანუ იმის ანალიზი თუ რა მიმართულებით და ტერიტორიული სისტემის პარამეტრების როგორი ცვლილებებით ტრანსფორმირდება საერთო რეგიონული სიტუაცია და ცალკეული რეგიონული პრობლემები;

პრაქტიკაში ხშირად შეინიშნება რეგიონული დიაგნოსტიკის დაყვანა უბრალო ანალიტიკურ მოქმედებამდე, ანუ ტერიტორიული სისტემის ფუნქციონირების ზოგიერთი პრობლემის დიაგნოსტიკამდე. (მაგ. რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის "რეიტინგის" აგება და სხვა.)

ეს გარემოება შეიძლება ავხსნათ, უპირველეს ყოვლისა, დიაგნოსტიკური საქმიანობის მრავალასპექტიანობითა და შინაგანი წინააღმდეგობრივი ხასიათით. მთავარია მხედველობაში ვიქონიოთ ნებისმიერი რეგიონული სიტუაციისა და პრობლემების მახასიათებელი პარამეტრების რაოდენობა, აგრეთვე სხვადასხვა განსხვავებული ფაქტორების ხარისხობრივი შეფასების ჩამონათვალი, რომლებიც განსაზღვრავენ ამ სიტუაციებისა და პრობლემების მდგომარეობასა და განვითარებას. დიაგნოსტიკის საგნის მიზნობრივი თვითშეზღუდულობა იკვეთება და ვლინდება რეგიონის იმ სიტუაციებისა და პრობლემების ასპექტში, რომლებიც ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია. რეგიონული დიაგნოსტიკის ეს არაერთმნიშვნელობა განაპირობებს მისი სახეების სიმრავლეს, რაც განპირობებულია რეგიონული სიტუაციებისა და პრობლემების სპეციფიკურობით.

რეგიონული დიაგნოსტიკის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ანალიტიკური პროცესის სამ სტადიად ჩატარებას:

1. ობიექტური ანალიტიკური სცენარის შექმნა, როგორც ერთიანი დინამიური სისტემისა და ქვესისტემისა, მასთან არსებული შიდა სტრუქტურათა და საგარეო ურთიერთკავშირებით;

2. ანალიტიკური კვლევების საფუძველზე დიდი მოცულობის ინდივიდუალური და კოლექტიური ხასიათის სხვადასხვა ექსპერტული შეფასებების მიღება;

3. მესამე სტადია წარმოადგენს დამაგვირგვინებელ ეტაპს. კერძოდ, ამ შეფასებების კონკრეტულად განზოგადების საფუძველზე ხდება ანალიტიკური დოკუმენტის შექმნა, რომელიც წარედგინება მთავრობას, გადაწყვეტილებების მისაღებად.

"სიტუაციის დიაგნოსტიკა" მოწოდებულია შეძლებისდაგვარად წარმოადგინოს შეჯამებული შეფასება და გამთლიანებული იდენტიფიკაცია მთელი ტერიტორიული სისტემისა, მასში შემავალი დაბალი დონის ერთეულებთან ერთად.

აქედან გამომდინარეობს:

1. სხვადასხვა სახის ინფორმაციის ლოგიკური შეფასების ტექნოლოგიის გამოყენება;

2. შედარებითი შეფასებისა და შესასწავლი რეგიონული სიტუაციის რაიმე განსაზღვრული ტიპისათვის მისი მიკუთვნების მიზნით "ნორმის" ან "ათვლის წერტილის" მოძებნა, უფრო ხშირად დიაგნოსტირებადი ტერიტორიული სისტემის გარეთ.

რთული ტერიტორიული სისტემის დიაგნოსტირებისას ყოველთვის არ ხერხდება სიტუაციის მთლიანი, ერთადერთი ნაერთი, განზოგადებული შეფასება და იგი იცვლება ხოლმე ერთნაირი სახის სხვადასხვა ტიპის დასახლებების, ადგილებისა და სხვა შიდარეგიონული დაჯგუფებათა დიაგნოსტიკით.

"რეგიონული პრობლემების დიაგნოსტიკა" შინაგანად დაკავშირებული უნდა იყოს მთლიანობაში რეგიონული სიტუაციის დიაგნოსტიკასთან და გამომდინარეობდეს მისი საბოლოო შედეგებისგან.

საგულისხმოა, რომ შედარებით კერძო რეგიონული პრობლემების სრულყოფილი დიაგნოსტირებისათვის აუცილებელია არა მარტო სპეციფიკური ინფორმაციის თავმოყრა, არამედ საჭიროა რიგი გამჭოლი პრობლემების არსში და პარამეტრებში "ჩაღრმავება", შიდარეგიონული დაპირისპირების ჩატარება სპეციალურად შემუშავებული მაჩვენებლების წრის მიხედვითაც, შედარებისათვის ანალოგის მოძებნა სხვა რეგიონებსა და მთლიანად ქვეყანაშიც. ამგვარად რეგიონის თითოეულ პრობლემაზე ასეთი დიაგნოსტიკით მიღებულ შედეგებს შეუძლია სერიოზული კორექტივები შეიტანოს, როგორც მთლიანად რეგიონული სიტუაციის დიაგნოსტიკის შედეგებში, ასევე პირვანდელ წარმოდგენებში არსებულ ამა თუ იმ პრობლემის მნიშვნელობაში.

რეგიონული დიაგნოსტიკა დამოუკიდებლად იმისა წარმოადგენს თუ არა მის საგანს მთლიანად სიტუაცია ან ცალკეული პრობლემები სახეს იცვლის სხვადასხვა მოთხოვნის ოპერატიულობის პირობებში.

აქედან გამომდინარე, მკვეთრად განსხვავდება დიაგნოსტიკის სახეები რომლებიც მიმდინარეობს:

1. უწყვეტად ანუ რეგიონული სიტუაციებისა და პრობლემების პარამეტრების ცვლილებებისადმი მუდმივი მორიტორინგის რეჟიმში;

2. პერიოდულად, მაგალითად, "რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური შეფასების" რეიტინგის ყოველწლიურად შედგენის რეჟიმში;

3. ერთდროულად, მაგალითად, საარჩევნო პერიოდში საქართველოს რომელიმე სუბიექტის ერთჯერადად დიაგნოსტიკური გამოკვლევების ჩატარებისას.

რეგიონული დიაგნოსტიკის თითოეული ეს სახე ორიენტირებულია:

ა. ანალიზის განსაკუთრებულ საინფორმაციო მეთოდსა და ბაზაზე;

ბ. რეგიონული სიტუაციის ცვლილებების ტენდენციის აღრიცხვის კონკრეტულ ხარისხზე;

გ. შედეგების წარდგინების სპეციალურ ფორმაზე.

რეგიონულ დიაგნოსტიკაში სხვადასხვაობა შეაქვს საწყის მიზანდასახულობასა და დიაგნოზის შედეგების დანიშნულებას.

რეგიონული დიაგნოსტიკის საგნობრივი შინაარსი, სტრუქტურა და მეთოდებიც კი ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში უშუალოდ არის დამოკიდებული მის ჩატარების დანიშნულებასა და მიზანზე. მაგალითად თუ რეგიონის პროგრამისა და პროგნოზის შემუშავება ტარდება უნიფიცირებული პროგრამით, ხოლო საბოლოო შე-დეგები ჩამოყალიბებული უნდა იქნეს დადგენილ ფორმაში და წარდგენილ უნდა იქნეს დირექციულ ინსტანციებში, მაშინ რეგიონული დიაგნოსტიკის შინაარსი, მოცულობა და შედეგები მთლიანად განისაზღვრება შემკვეთის მოთხოვნისა და განზრახულობის შესაბამისი სამუშაოს შემსრულებელთა შეთანხმებით.

რეგიონული დიაგნოსტიკის ჩატარების მიზან-მოტივაცია შესაძლებელია სრულიად განსხვავებული იყოს. აღნიშნული მიმართულებით ჩატარებულმა მუშაობის შედეგებმა შესაძლოა მოახდინოს ურთიერთშეთავსება, მაგრამ სამუშაოთა ჩატარების ორგანიზაციის მიზნობრივი სპეციფიკა მაინც რჩება უცვლელი. ამდენად, გამორიცხული არ არის კონკრეტული დიაგნოსტიკური მოქმედებების კოორდინაცია, რაც შესაძლებელია სასარგებლოც იყოს.

სამეცნიერო დაწესებულებების მიერ კვლევითი მიზნით განხორციელებული რეგიონული დიაგნოსტიკა პრაქტიკულ სასარგებლო შედეგებს იძლევა, მაგრამ ისინი დამხმარე ხასიათის მატარებელია.

კვლევით მიზნებზე ორიენტირებული რეგიონული დიაგნოსტიკის სპეციფიკა არსებითად ხარისხობრივად ტრანსფორმირდება, როგორც კი შემკვეთები (დამკვეთები) ხდებიან მართვისა და ხელისუფლების ორგანოები, ან მსხვილი ბიზნესი, რომელიც გამიზნულია კორპორატიული მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებაზე.

მართვისა და ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების მიერ ისახება დიაგნოსტიკის "მარეგულირებელი მიზნები", რომელიც მათსავე მოღვაწეობის სფეროში რეალიზდება და მოიხსენიება "რეგიონული პოლიტიკის" ან კიდევ "ტერიტორიული განვითარების რეგულირების" სახელით.

სახელისუფლო ადმინისტრაციული ორგანოების დონეზე განხორციელებული რეგიონული დიაგნოსტიკა დამოუკიდებლად ამავე ორგანოების ქვედანაყოფების მიერ ხორციელდება. აღნიშნული სამუშაოს ჩატარების ამოსავალ ბაზად უპირატესად ოფიციალური სტატისტიკა ითვლება.

დოკუმენტების სპეციფიკა საზღვრავს დიაგნოსტიკის ჩატარებისადმი განსაკუთრებულ მოთხოვნებს, კერძოდ:

1. საწყისი მონაცემების ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობა;

2. შეფასებისა და საერთო დიაგნოზის ცალსახაობა;

3. მასალის გადმოცემა შემჭიდროებულ ვადებში;

4. პოლიტკორექტურობა და დიაგნოზიდან ისეთი პოზიციების გამორიცხვა, რო-მელმაც შესაძლებელია გაართულოს ურთიერთობა "ცენტრთან".

რეგიონული დიაგნოსტიკის "ბიზნეს მიზნები" ხშირად უფრო ფართო და კონკრეტულია, მსხვილ კორპორაციებს ხშირად უფრო ესაჭიროებათ პრაქტიკულად იცოდნენ ყველაფერი რეგიონული სიტუაციებისა და პრობლემების შესახებ. ამასთან ეს ცოდნა უნდა იყოს ობიექტური, თავისუფალი პოლიტიკური კონიუნქტურის გაელენი-საგან და პრაგმატული, მაქსიმალურად ხელშემწყობი ამოცანების გადაწყვეტისათვის.

თანამედროვე ეპოქაში მსხვილი კორპორაციული სტრუქტურების მოღვაწეობის გაფართოებისა და დივერსიფიკაციის არც ერთი სერიოზული პროექტი არ ხორციელდება "რეგიონული მარკეტინგის" გარეშე, ხოლო თვით შესაბამისი მარკეტინგული ტექნოლოგიები აუცილებლივ მოიცავენ რეგიონული დიაგნოსტიკის ამა თუ იმ კომპონენტებს. ეს სამუშაოები ხორციელდება ბიზნესის საკუთარი ძალებითა და კვლევითი კოლექტივების მოწვევის გზით.

საკმაო მოცულობის საინფორმაციო, ფინანსური, ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსები მსხვილ ბიზნესს საშუალებას აძლევს, რეგიონული დიაგნოსტიკა ოპერატიულად და კვალიფიციურად ჩაატაროს.

რეგიონული დიაგნოსტიკის ზემოთ განხილული სახეები, რომელიც სხვადასხვა სახით ტარდება ნათელს ფენენ ამ უნიკალური ინფორმაციული -ანალიტიკური მოღვაწეობის არსებით თავისებურებას, რომ ყველა მისი ელემენტი ძალიან დამოკიდებულებაშია მის პირველად მიზანმიმართულებასთან.

რეგიონული დიაგნოსტიკის მიზნის სწორი განსაზღვრა აუცილებელი პირობაა რესურსების გონიერი კონცენტრაციისა და მიზნის რეალიზაციის ყველაზე უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიის შერჩევისათვის.

რეგიონული დიაგნოსტიკის მეთოდები. რეგიონული დიაგნოსტიკის საგნის სპეციფიკა და იმის აუცილებლობა, რომ საინფორმაციო ანალიზური და შეფასების სამუშაოთა მიმდინარეობებისას საჭიროა გათვალისწინებულ და მოყვანილ იქნას ერთიან მნიშვნელობამდე განსხვავებული პარამეტრები, სიტუაციები და პრობლემები, წინასწარვე განსაზღვრავენ დიაგნოსტიკის თითოეულ ეტაპზე კვლევითი ხერხებისა და ტექნოლოგიების სპეციფიკური ნაკრების გამოყენებას, რომლებიც უალტერნატივოდ არის გაერთიანებული სისტემური მეთოდოლოგიის პრინციპებით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეგიონული სიტუაციებისა და პრობლემების ანალიზისა და შეფასების გამოყენებულ მეთოდიკას საფუძვლად დაედოს ის საბაზო მეთოდოლოგიური საწყისები, რომლის თანახმადაც ყველა ეს სიტუაციები და პრობლემები ფორმირდება მხოლოდ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების გავლენით, ამასთან მისი ზემოქმედება რომელიმე მის ელემენტზე გავლენას ახდენს და აისახება მთლიანად მთელ ტერიტორიულ სისტემაზე.

კერძოდ, გასაგები უნდა იყოს, რომ რეგიონის ერთი რომელიმე მუნიციპალური წარმონაქმნის მიმართ გაწეულ პრეფერენციებს, არ შეიძლება არ ახლდეს მეორე მუნიციპალური წარმონაქმნის ინტერესების შესაბამისი ცვლილება, რაც იწვევს მთელ რეგიონულ სისტემაში ურთიერთობათა მთლიანობის კორექტირებას.

ყველაზე უფრო საპასუხისმგებლოა რეგიონული დიაგნოსტიკის პირველი ეტაპი, კერძოდ კონკრეტული გამოყენებითი ამოცანების მკვეთრი და არა ორაზროვანი ფორმირება.

მეთოდოლოგიურ-მეთოდური თვალსაზრისით შედარებით ადვილია მუშაობის შემდგომი ეტაპი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ "საორგანიზაციო", რომლის არსიც მდგომარეობს კონკრეტული რეგიონული სიტუაციებისა და პრობლემების დიაგნოსტირების გამოკვეთილი ორგანიზაციული სქემის შედგენაში. აქ ჩვეულებრივ იყენებენ ქსელური დაგეგმვისა და პროექტირების ცნობილ მეთოდებს, რომლებიც საბოლოო შედეგების მიღების თვალსაზრისით გვეხმარება აუცილებელი სამუშაოს ჩატარების გამოკვეთილი გეგმა-გრაფიკის მიღებაში. აღნიშნული შეთანხმებულია ვადებში, თანმიმდევრობაში, სამუშაოს მოცულობასა და რეგიონული დიაგნოსტიკის თითოეული ეტაპის შესრულების შედეგებში.

უფრო რთული ამოცანები წარმოიქმნება ამოსავალი ინფორმაციის შეგროვების ორგანიზაციის ეტაპზე. აქ ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს აუცილებელი ინფორმაციული მაჩვენებლების სტრუქტურას კერძოდ:

1. სხვადასხვა დონის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ოფიციალურ სტატისტიკას;
2. დარგობრივ და უწყებრივ ინფორმაციას;
3. რეგიონული და მუნიციპალური ადმინისტრაციების საინფორმაციო და ანალიტიკურ მასალებს;
4. სოციალური გამოკვლევების შედეგებს და სხვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვადასხვა ბაზის ერთიანი ფორმატის მონაცემების პოზიციით სწორი შეფასება.

რეგიონული სიტუაციებისა და პრობლემების აღწერის სტადიაზე უნდა გადაწყდეს და განისაზღვროს დომინირებადი მახასიათებლების მეთოდურ-მეთოდოლოგიური ამოცანების განსაკუთრებული კლასი. გამოყენებულ იქნას ეკონომიკის, გეოგრაფიის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ეკოლოგიის, სამართლისა და პოლიტოლოგიის კვლევების სისტემა. ზუსტად გამოკვეთილად დახასიათდეს სადიაგნოსტიკო სიტუაციის ფორმირებისა და განვითარების ტენდენციების მიზეზები. კვლევისას ბევრი რამ განისაზღვრება შემსრულებელთა ინდივიდუალური უპირატესობების მინიჭებით, მაგრამ ამავდროულად სასარგებლოა მოვლენათა და სიტუაციების აღწერის აპრობირებული მეთოდებიც, რომლებიც ეყრდნობა წინასწარ შემუშავებულ და განსაზღვრულ სტანდარტიზებულ მაკეტებს. მათი გამოყენება აადვილებს მრავალკომპონენტიანი რეგიონული სიტუაციებისა და მრავალფაქტორული პრობლემების დახასიათებათა კონსოლიდაციას.

მნიშვნელოვანი ამოცანაა რეგიონული სიტუაციებისა და პრობლემების შედარებითი და შიდა ობიექტური შეფასება. აგრეთვე, მათ ფორმირებაზე სხვადასხვა განსხვავებული ხასიათის მიზეზების, გარემოებებისა და პირობების ზემოქმედების შეფასება. აქ გამოიყენება, როგორც თეორიული შეფასების მეთოდები, ასევე მოდელი-რების რთული სისტემები, ნორმატიულ ხარისხობრივი მახასიათებლები.

რეგიონული ეკონომიკის მეთოდოლოგიური ასპექტების კვლევისას და განხილვისას აუცილებელია გამოვყოთ ის ტერმინები და ცნებები აგრეთვე სამეცნიერო მეთოდები, რომლებსაც ფართოდ იყენებენ რეგიონულ ეკონომიკურ დიაგნოსტიკაში კერძოდ:

1.ტაქსონირების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიის დაყოფას დაპირისპირებულ და იერარქიულ თანადაქვემდებარებულ ტაქსონებად. ტაქსონი ეს არის თანაბარმნიშვნელოვანი ან იერარქიული თანადაქვემდებარებული ტერიტორიული "უჯრედი", მაგალითად, ადმინისტრაციული რაიონი, მუნიციპალური წარმონაქმნი, ფაქტობრივად დარაიონების პროცესი ნებისმიერ დონეზე მიმდინარეობს ტაქსონირების პრინციპით;

2. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევების მეთოდი, რომელიც თავის მხრივ, იყოფა სამ ძირითად მიმართულებად:

ა. რეგიონული მეთოდი (ტერიტორიის განვითარების გზებისა და საშუალებების ძიება, რეგიონულ დონეზე წარმოების განლაგების აქტუალური ამოცანების კვლევა);

ბ. დარგობრივი მეთოდი (გეოგრაფიულ ასპექტებებში დარგების ფორმირებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევა);

გ. ადგილობრივი მეთოდი (ცალკეულ ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებში წარმოების ფორმირებისა და განვითარების პრობლემების კვლევა).

3. სისტემური ანალიზის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია კვლევის პროცესის ეტაპობრივ წარმართვაზე (მაგ. მიზნების ფორმირება, ამოცანების განსაზღვრა, დარგების ოპტიმალური განთავსების ვარიანტების კომპლექსური შესწავლა);

4. სისტემატიზაციის მეთოდი, რომელიც დაკავშირებულია შესასწავლი მოვლენის მახასიათებელი ფაქტორების გარკვეული თავისებურებების მიხედვით დაყოფასთან, საუბარია ისეთ დაყოფაზე როგორიცაა: კლასიფიკაცია, ტიპოლოგია, კონცენტრაცია და სხვა.

5. საბალანსო მეთოდი, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს დარგობრივი და რეგიონული ბალანსების შედგენაში. დარგობრივი და რეგიონული ბალანსების შედგენა, თავის მხრივ ხელს უწყობს მართებული მეცნიერულად დასაბუთებული არჩევანის გაკეთებას. დარგობრივ და რეგიონულ ჭრილში საბაზრო სპეციალიზაციის გამოკვეთის, სოციალური ინფრასტრუქტურის ძირითადი მახასიათებლების გამოვლე-ნის მიმართულებით;

5. ეკონომიკური მათემატიკური მოდელირების მეთოდი, რომელიც თანამედროვე ელექტრო-გამოთვლითი სისტემების მიღწევების პირობებში, მინიმალური შრომითი დანახარჯებით, დიდი მოცულობის სტატისტიკური მასალების დამუშავების კვალობაზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, სტრუქტურული კომპლექსური ფუნქცი-ონირების შესახებ სათანადო სივრცობრივი მასალებით, უზრუნველყოფას უწყობს ხელს;

6. კარტოგრაფიული მეთოდი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია განლაგების თავისებურებათა ვიზუალური აღქმა;

7. გეოინფორმაციული მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს გეოინფორმაციული სისტემების (ბანკების) ფორმირებას;

ეკონომიკის სივრცობრივი ორგანიზაციისა და განლაგების სივრცობრივი პრობლემების კვლევის მეთოდოლოგიურ საკითხებში მეცნიერ-რეგიონალისტი, აკადემიკოსი ნ. ნეკრასოვი [163:გვ.344] გამოყოფს შემდეგ მიმართულებებს:

ა. საწარმოო ძალების განლაგების ვარიანტული მეთოდი;

ბ. რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების მაჩვენებლები;

გ. ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასება;

დ. სამრეწველო საწარმოთა განლაგების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდი;

ე. რეგიონებში სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგნოზირებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შედარების მეთოდი.

ა) ვარიანტული მეთოდოლოგიის გამოყენება მეტად მრავალასპექტიანია და მისი ძირითადი მიზანია წარმოების განლაგების მაქსიმალურად ოპტიმალური ადგილის მოძებნა, რომელიც შეესაბამება, როგორც ეროვნული მეურნეობის სტრატეგიულ ინ-ტერესებს, ასევე კონკრეტული რეგიონის ინტერესებსაც.

საწარმოო ძალების განლაგების ვარიანტული მეთოდი ითვალისწინებს ისეთი საკითხების გაანალიზებას, როგორიცაა:

- ქვეყნის ეროვნული მეურნეობის განვითარების სხვადასხვა ვარიანტი;
- რეგიონული ეკონომიკური პროპორციების სხვადასხვა ვარიანტი;
- ეროვნული მეურნეობის წამყვანი დარგების განლაგების ვარიანტები;
- ცალკეული რეგიონების სამეურნეო სტრუქტურის განვითარების ვარიანტები.

ვარიანტული მეთოდოლოგიის გამოყენებით საქართველოს ბუნებრივი პირობებისა და რეგიონული ლანდშაფტის პირობებში შეიძლება საწარმოს განლაგების თაობაზე მისაღები გადაწყვეტილების რამდენიმე ვარიანტი არსებობდეს. ამოცანა უნდა დაისვას ისე, რომ არჩეული იქნეს განლაგების ის ვარიანტი, რომელიც მაქსიმალურად ეფექტიანი იქნება, როგორც მთლიანობაში ასევე რეგიონის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების კომპლექსურად გადაჭრის თვალსაზრისით. ამ მეთოდის გამოყენებისას ფართოდ იყენებენ ეკონომეტრიულ მოდელირებას, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა "პროექტის" რაოდენობრივ მახასიათებლებზე.

ბ) რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლების გამოთანაბრების მეთოდის უპირველესი დანიშნულებაა გადაწყვეტილების მიღების პროცესში რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის არსებული დიფერენციაციის შერბილება ანუ ჩამორჩენილი რეგიონების პრიორიტეტულობით განვითარება.

ამ მეთოდში აისახება ქვეყნისა და რეგიონების ინტერესების ერთიანობაზე საწარმოო ძალების განვითარების დონეების მიხედვით რეგიონების რანჟირება და ცალკეული რეგიონების ჩამორჩენის მიზეზების ანალიზი.

რეგიონების საწარმოო ძალების განვითარების დონის საერთო ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის სისტემა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ეროვნული სიმდიდრის რეგიონების მიხედვით განაწილება და მთლიანი შიდა პროდუქტის, ეროვნული შემოსავლების რეგიონული თავისებურებანი;
- მატერიალური წარმოების ძირითადი დარგების განვითარების მაჩვენებლები: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი.
- რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურული მაჩვენებლები;
- რეგიონების მიხედვით შრომითი რესურსების გამოყენებისა და შრომის მწარმოებლურობის მაჩვნებლები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის რეგიონებს შორის საწარმოო კავშირების ეკონომიკური მაჩვენებლების დადგენას.

რეგიონული ეკონომიკური განვითარების დონის დასადგენად გამოიყენება სამეურნეო საქმიანობის "სიმჭიდროვის" მაჩვენებელი, რომელიც ასახავს მოცემული ტერიტორიის 1 ათას კმ^2-ზე წარმოებული ეროვნული პროდუქციის სიდიდეს. რეგიონ-ის დონეზე განზოგადებული ეს მაჩვენებელი გვაძლევს, რეგიონის ათვისების შესახებ ობიექტურ სურათს, რაც ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა.

გ) ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასება აუცილებელია წარმოების განლაგების პერსპექტიული ვარიანტების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის, აგრეთვე ეკონომიკური გაანგარიშების ჩატარებისათვის დარგებისა და რეგიონების მიხედვით.

ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასებისათვის წარმატებით გამოიყენება ზღვრული დანახარჯების მეთოდი. იგი გულისხმობს საკლეკ რეგიონში, დროის გარკვეულ მონაკვეთში, წარმოებული პროდუქციის ერთი ერთეულით მომატებაზე გასაწევი დანახარჯების ზღვრულ დასაშვებ სიდიდეს.

ზღვრული დანახარჯები გაიანგარიშება ბუნებრივი რესურსების წყაროების მიხედვით, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ძირითადი კრიტერიუმია მისი ეფექტიანობის დადგენა, როგორც ეროვნული მეურნეობის, ასევე რეგიონულ-ეკონომიკურ დონეზე. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, თუ რამდენად შეესაბამება ქვეყნის ან რეგიონის ინტერესებს ამა თუ იმ ბუნებრივი რესურსის გამოყენებაზე გასაწევი ზღვრული დანახარჯების ოდენობა და რამდენად წაადგება იგი, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესს.

დ) საწარმოთა განლაგების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდის პრინციპული მიმართულებების არსი მდგომარეობს შემდეგში:

- სამრეწველო საწარმოთა განლაგების ძირითად კრიტერიუმებად აღებულია პროდუქციის წარმოებისა და მომხმარებლისათვის მიწოდების პროცესში მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური, ასე ვთქვათ, ეფექტიანი გამოყენების აუცილებლობა;

- ახალი სამრეწველო საწარმოების განლაგების ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები უკავშირდება ეროვნული მეურნეობის დონეზე ურთიერთმოქმედი ფაქტორების გაანალიზების საფუძველზე, შრომით რესურსებზე დანახარჯებისა და მაქსიმალური ეკონომიურობის მიღწევის პრობლემების გადაწყვეტას დარგების მიხედვით;

- ახალ სამრეწველო ობიექტში წარმოებული პროდუქციის რეგიონული მოხმარების მასშტაბების შესაფასებლად და ნედლეულით უზრუნველყოფის ფაქტორის გასაანალიზებლად გამოიყენება ზონებად დაყოფის მეთოდი.

მოხმარების რაციონალური ზონის დასადგენად ერთმანეთს უდარებენ ერთ ერთეულზე მოცემული პროდუქციის თვითღირებულებას და შესადარ ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობას, ასევე ერთმანეთს უდარებენ მოხმარების ადგილზე პროდუქციის მოწოდებისათვის ტრანსპორტირებაზე გასაწევი ხარჯების ოდენობას.

-მსხვილი სამრეწველო ობიექტების განლაგების პროცესში განიხილება და ანალიზდება ამა თუ იმ ტერიტორიაზე მისი განთავსების ადგილის შემდგომი განვი-თარების პერსპექტივები. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების ძირითადი ორიენტირია პროექტის, როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი და მთლიანობაში სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით შერჩევა.

ასევე. საწარმოს განლაგების ადგილმდებარეობის განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ინვესტიციების დაბანდების ეფექტიანობის დადგენა.

ე) რეგიონებში სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგნოზირებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შედარების მეთოდი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს წარმოების განლაგების ადგილის შერჩევაში.

რეგიონულ დონეზე მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზს მრავალი თავისებურება გააჩნია, რაც შემდეგში გამოიხატება:

-გათვალისწინებულ უნდა იქნას რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების დონეებს შორის არსებული მკვეთრი განსხვავებები, რომელიც უკავშირდება, როგორც ბუ-ნებრივ-რესურსულ, ასევე სოციალურ ეკონომიკურ ფაქტორებს, რისთვისაც საჭიროა მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების შემუშავება რეგიონების მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, სადაც გათვალისწინებული იქნება, როგორც რეგიონული თავისებურებები და ისტორიული ტენდენციები, ასევე სხვადასხვა ეროვნების ცხოვრების წესი, თუკი რეგიონი ასეთი ეთნიკური სიჭრელით ხასიათდება;

-აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მოსახლეობის ცხოვრების კონკრეტული პირობები, რაც ძირითადად განსაზღვრავს მატერიალური წარმოების პროდუქციისა და მომსახურების ხასიათს;

მაგალითად, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას პროდუქციისა და მომსახურების თვალსაზრისით გააჩნიათ მათთვის სპეციფიკურად დამახასიათებელი თავისებურებები. მცირე დასახლების პუნქტები, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდი მანძილითაა დაშორებული განსხვავებულ მიდგომას საჭიროებენ ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით.

-არსებობს ტერიტორიული განსხვავებები პროდუქციის საბითუმო ფასსა და მომსახურების ტარიფებში. ამდენად, საჭიროა განისაზღვროს ჯგუფებად ძირითადი მოხმარების პროდუქტების მიხედვით, ფასების ტერიტორიული ინდექსები.

ამგვარად, რეგიონული დიაგნოსტიკის მეთოდის საერთო ზოგადი სახე არის სისტემური მიდგომის, როგორც საეთო ამოსავალი მეთოდოლოგიური მიზანდასახულობის, სხვადასხვა მეთოდურ ხერხებთან შეერთება, რომლებიც აპრობირებულნი არიან გამოყენებითი ინფორმაციის, ეკონომიკის, სოციოლოგიისა და სხვადასხვა დისციპლინების სფეროში. ეს ხერხები განსაზღვრული ტექნოლოგიების სახით რეალიზდებიან რეგიონული დიაგნოსტიკის ამოცანების გადასაწყვეტად მათი მიზნობრივი ამოცანებისაგან დამოკიდებულებით.[164:გვ.344]

რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკა. რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკის მიზნებს დიდი მნიშვნელობა აქვს. რეგიონული ეკონომიკის სისტემური

დიაგნოსტიკის მიზანი დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, მასზე, თუ ვინ წარმოადგენს მის მომხმარებელს, განსაკუთრებით გამოყენების მიზნებისათვის.

რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკის მომხმარებელთა ძირითადი ჯგუფი ესაა ხელისუფლების ყველა დონის ორგანოები. კერძოდ:

1. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების მიხედვით, რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკის მომხმარებლად გვევლინებიან ხელისუფლების ფედერალური ორგანოები. (ყველაზე ხშირად ფედერაციის სუბიექტები, შედარებით ნაკლებად ფედერალური ოლქები და მუნიციპალური წარმონაქმნები). მათთვის ეს საჭიროა უპირველესად რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაციისათვის.

გარდა ამისა ხელისუფლების ფედერალური ორგანოებისათვის რეგიონის ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკა აუცილებელია მიზნებისა და ამოცანების დაზუსტებისათვის, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკისა და ნებისმიერი სხვა სახის ჩასატარებელ ღონისძიებათა და მიმართულებათა ინტერესებისათვის. საქართველოს რე-გიონებს შორის იმდენად დიდია განსხვავება განვითარების დონით, რომ ეს განსხვავება არ შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას;

2. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების მიხედვით, რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკის მომხმარებლად გვევლინებიან ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლების ორგანოები. რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკა ფედერაციის სუბიექტებისათვის წარმოადგენს საფუძველს რეგიონული სტრატეგიისათვის და ფედერაციის სუბიექტებისათვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებისათვის.

მუნიციპალურ წარმონაქმნთა ხელისუფლების რეგიონული ორგანოებისათვის სისტემური დიაგნოსტიკა ასრულებს იმავე როლს, რასაც ფედერალური ხელისუფლებისათვის, კერძოდ, შესაძლებლობას აძლევს დააზუსტოს რეგიონულ დონეზე გასატარებელი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა.

შეიმუშაონ და განახორციელონ რეგიონული პოლიტიკა ფედერაციის სუბიექტთა "შიგნით", კერძოდ, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები, რომლებიც მიზანმიმართულია ცალკეულ მუნიციპალიტეტთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის;

3. მუნიციპალურ წარმონაქმნთა ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკის მომხმარებლები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. მათთვის ისევე, როგორც რეგიონების ხელისუფლების ორგანოებისათვის, მუნიციპალური ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკა წარმოადგენს მათ სოციალურ-ეკონომიკურ, განვითარების სტრატეგიისა და პროგრამების საფუძველს.

ხელისუფლების ყველა დონის ორგანოთა პარალელურად რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკის მომხმარებლები შეიძლება იყვნენ პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომელთაც შეუძლიათ ააგონ რეგიონებში თავიანთი მოღვაწეობა მათი ეკონომიკური სიტუაციის მიხედვით;

4. რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკის მომხმარებელთა სხვა ჯგუფი ესაა ბიზნეს წარმომადგენლები. მეწარმეთათვის რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკა საჭიროა გადაწყვეტილების მიღებისათვის:

-ამა თუ იმ რეგიონში საწარმოთა განლაგების მიზანშეწონილობა, რისთვისაც გამოიყენება რეგიონების ინვესტიციურობის მიმზიდველობის შეფასება;

-ამა თუ იმ რეგიონში თავიანთი მოღვაწეობის გადიდება ან შემცირება, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე;

-რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში ბიზნესის როლის შესახებ, განსაკუთრებით თუ საუბარი მიდის მსხვილ ბიზნესზე, რომელმაც შეიძლება რეალური ზემოქმედება მოახდინოს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

მომხმარებელთა ყველა დასახელებულ ჯგუფებს თავისი მიზნების მისაღწევად სჭირდებათ რეგიონული სიტუაციების კომპლექსური შეფასება, ამასთან, ნებისმიერი კომპლექსური შეფასებები ეფუძნება კერძო ინდიკატორების გამოყენებას. ამდენად, გაანალიზების გათვლები და პრობლემები იმსახურებს არანაკლებ ყურადღებას, ვიდრე თვით კომპლექსური შეფასების პრობლემები.

რეგიონული ეკონომიკის სისტემური დიაგნოსტიკის ჩატარება შეუძლიათ, როგორც თვით შედეგების მომხმარებლებს, ასევე მათი მოთხოვნით სამეცნიერო ორგანიზაციებს და დაწესებულებებს.

თავი 11. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ტენდენციები

11.1 მთიანი რეგიონებისადმი განსაკუთრებული მიდგომის აუცილებლობა

საქართველო მდებარეობს ამიერკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში. საქართველოს საზღვრის საერთო სიგრძე 2 148 კმ-ია, აქედან 1 839 კმ – სახმელეთო. საქართველოს დასავლეთით, მდინარე ფსოუს შესართავსა და სოფელ სარფს შორის ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილოეთით – რუსეთის ფედერაცია, აღმოსავლეთით – აზერბაიჯანი, სამხრეთით – სომხეთი, სამხრეთ-დასავლეთით – თურქეთი. უკიდურესი დასავლეთი და აღმოსავლეთ საზღვრები გადის აღმოსავლეთ გრძედის $40^0\ 05'$ და $46^0\ 44'$-ზე, ხოლო ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვრები – ჩრდილო განედის $41^0\ 07'$ და $43^0\ 35'$-ზე.

საქართველოს ტერიტორია ვერტიკალურად ვრცელდება შავი ზღვის დონიდან 5 203 მ-მდე (მწვერვალი შხარა). საქართველო გამოირჩევა რელიეფის სირთულით – მისი ტერიტორიის თითქმის 2/3 მთაგორიანია. ჩრდილოეთი საზღვრის გასწვრივ ქვეყნის ფართობის 1/3-ზე მეტი უჭირავს კავკასიონის მთიან სისტემას. საქართველოს რელიეფი წარმოდგენილია მაღალი, საშუალო და დაბალი მთების, ზეგნებისა და ვაკეების ერთობლიობით. მკვეთრად არის გამოხატული ოროგრაფიული ერთეულები: კავკასიონი, მთიანეთშორისი ბარი, რომელიც ლიხის ქედით იყოფა კოლხეთის და ივერიის ბარად, მესხეთისა და თრიალეთის ქედები (მცირე კავკასიონის მთიანეთის ნაწილი) და სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთი. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ზოგიერთი მწვერვალი საქართველოს ფარგლებში 5 000 მ-ზე მეტი სიმაღლისაა.[165:გვ.6]

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. მთელი ზედაპირის 53,6% მთებზე, 33,49% – მთისწინებზე, ხოლო 13% დაბლობზე მოდის. მრავალფეროვანი ფიზიკურ – გეოგრაფიული თვისებურებანი ვლინდება, როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური მიმართულებით, რაც განაპირობებს ტერიტორიის ცალკეული ნაწილის თავისებურ ხასიათს და ქმნის ურთიერთისაგან განსხვავებულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ მხარეებს, რომლებიც, თვის მხრივ, მიკრორაიონებისაგან შედგება. [166]

თუ ვიხელმძღვანელებთ მთიანი რეგიონების შესახებ ევროპის რიგ ქვეყნებში დღეისათვის მიღებული განმარტებებით, რომლის თანახმადაც, მთიანი რეგიონები არის გეოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ერთეული, რომლის რელიეფი, კლიმატი, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, სოციალურ–ეკონომიკური პოლიტიკა საჭიროებს განვითარების მოწყობისა და დაცვის საგანგებო წესების შემუშავებასა და ამოქმედებას, ტერიტორია, რომელიც ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ, კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდა.

1926 წლის აღწერის თანახმად, საქართველოს მაღალმთიანი რეგიონები ჯერ კიდევ მჭიდროდ დასახლებული იყო. ისინი, ისევე როგორც დღეს, ქვეყნის საზღვარისპირა რეგიონებს წარმოადგენდნენ და ადგილობრივი მოსახლეობა სახელმწიფოს საზღვრების დაცვის ერთ–ერთ მნიშვნელოვან მისიასაც ღირსეულად ასრულებდა.

მკაცრი კლიმატური პირობებით განპირობებული ნაწილობრივ ჩაკეტილი შინამეურნეობის პირობებში განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა. განსაკუთრებით მესაქონლეობა და ადგილობრივი მრეწველობა.

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, გარკვეული სამეურნეო კარჩაკეტილობა განსაზღვრავდა ადგილობრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენების, ამასთან ერთად მათი დაცვისა და გამრავლების საკითხებს. თითოეული რეგიონისათვის გარკვეული იყო იმ აუცილებელი მოთხოვნის ელემენტები, რომელთა შემოტანაც იყო საჭირო რეგიონებიდან. საკმაოდ განვითარებული სავაჭრო–გაცვლითი ურთიერთობების სხვადასხვა ფორმებს თვით ტრადიციული უგზოობაც ვერ უშლიდა ხელს.

გამომდინარე აღნიშნულიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითოეული მაღალმთიანი რეგიონი, ისტორიული განვითარების ყოველ ეტაპზე, წარმოადგენდა სამეურნეო–ეკონომიკური თვალთახედვითაც გარკვეულ ავტონომიურ ერთეულს, განსაზღვრული საგარეო კავშირებითა და აუცილებლობით.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები ყველაზე მწვავედ მთიან რეგიონებზე აისახა. ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ ცვლილებებმა კიდევ უფრო მკვეთრი გახადა ის დისპროპორცია, რაც იყო ე.წ. მთასა და ბარს შორის და რაც მიმდინარე პერიოდმა კიდევ უფრო გააძლიერა. ძირითადი პრობლემები, რომლებიც საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების წინაშე დგას, ბევრად არ განსხვავდება მთიან რეგიონებთან მიმართებაში საერთაშორისო ფორუმებზე (რიო–1992, ტულუზა–1996, იოჰანსბურგი 2002) ჩამოყალიბებული ზოგადი პრობლემებისაგან. ისინი შემდეგი სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

მთიანი რეგიონების საერთო პრობლემა ესაა მუდმივად მზარდი მიგრაცია. მიზეზის ანალიზიც საკმაოდ იდენტურ სურათს გვაძლევს.

1. ტრადიციული შრომის სიმძიმე და დაბალი შემოსავლიანობა;

2. უმუშევრობის მაღალი დონე;

3. ბარის რეგიონებში შრომის ანაზღაურების უკეთესი პირობები.

4. საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების პირობები.

საქართველოს მთიანი რეგიონების განსაკუთრებულ სტატუსს განაპირობებს რიგი სტრატეგიული პოზიციები.

1. გეო–პოლიტიკური: მთიანი რეგიონების აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენს სახელმწიფო საზღვრისპირა ზოლს. ამდენად გასაგებია მათი გაზრდილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა.

2. სოციალური: რეგიონის მოსახლეობა წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც მიუხედავად არსებითი ერთიანობისა, გარკვეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

3. ეკონომიკური: ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარი რეგიონები განიხილებოდა მხოლოდ სანედლეულო ბაზად ან რთული ბუნებრივი გეოგრაფიული კლიმატური პი-

რობების გაძო – ნაკლებ პერსპექტიულ ზონებად და პრაქტიკულად არავითარი ყურადღება არ ექცეოდა შესაბამისი ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

საქართველოს მთიანი რეგიონებისადმი განსაკუთრებული მიდგომა აღნიშნულთან ერთად განპირობებულია:

- ობიექტურად მზარდი სტრატეგიული, ეკონომიკური, სოციალური მნიშვნელობით.
- საქართველოს უშუალო მეზობელ სახელმწიფოებთან და ხალხთან მათი, როგორც სასაზღვრო რეგიონის, ეკონომიკური და სოციალურ–კულტურული ინტეგრაციის პერსპექტივებით.
- უნიკალური ისტორიული, კულტურული ტრადიციებისა და განსაკუთრებული ეკოლოგიური მდგომარეობით.
- მწყობრიდან თითქმის მთლიანად გამოყვანილი სამეურნეო ეკონომიკური პოტენციალითა და განადგურებული ინფრასტრუქტურით. კატასტროფის ზღვარზე მისული მიგრაციით.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ აღნიშნული ობიექტურად წარმოშობილ პრობლემათა კომპლექსი პრაქტიკულად ერთიანად აქტუალურია, როგორც მთელი ქვეყნისათვის, ასევე თითოეული რეგიონისათვის, თუმცა მათ შორისაც არსებობს გარკვეული განსხვავებები, რაც ბუნებრივ პირობებთან და ეთნო–კულტურულ სხვაობებთან ერთად განპირობებულია წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით.

მაღალმთიანი რეგიონების პრობლემა საქართველოში დღეს არ დასმულა. პროფესორი ნ. ჯითანავა ჯერ კიდევ 1997 წელს წერდა ამის შესახებ:

"საქართველოში მთის პრობლემამ მწვავე ხასიათი მიიღო. მისი გადაწყვეტა კომპლექსურ, სისტემურ მიდგომას მოითხოვს. უცილებელია შემუშავდეს მთის რეგიონების ათვისების მიზნობრივი პროგრამები... აუცილებელია მთის სოფლების განსახლების ტრადიციული მიდგომების გამოყენება, მეურნეობის განვითარების მიმართულებათა სწორად შერჩევა".[167:გვ.560]

მაღალმთიანი რეგიონების, მათი როლისა და ამოცანების მათთან მიმართებაში გატარებული ეკონომიკური სოციალური პოლიტიკის, მათი წარსულის, აწყმოსა და მომავლის საკითხები, ძალზე აქტუალური და ამასთან ერთად პრობლემატურია. მათი თანამედროვე თვალთახედვით რეგულირების ამოცანა მოითხოვს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური და მრავალი სხვადასხვა მიმართულების საკითხების გადაწყვეტასაც.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ერთგვარი უნიტარიზმის მიუხედავად საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბების პარალელურად ფორმირდებოდნენ და საკუთარ ადგილს იმკვიდრებდნენ ისტორიულ–ეთნოგრაფიული მხარეები, რომლებიც სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გარკვეული უფლებებით წარმოადგენდნენ ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ ერთეულებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების ერთ–ერთი ძირითადი ამოცანაა:

1. ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცება.

2. რეალური თვითმმართველობის დამკვიდრებისა და დეცენტრალიზაციის ერთიან პროგრამაში საქართველოს რეგიონების მართებული ეკონომიკური ინტეგრაცია.

3. მათ შორის, პირდაპირი კავშირ–ურთიერთობათა გაღრმავება და ბუნებრივ–გეოგრაფიული სპეციფიკის, ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით ერთიანი სახელმწიფო–სამეურნეო კომპლექსის ჩამოყალიბება, რომელშიც ორგანულად იქნება ჩართული, როგორც საერთო სახელმწიფო ამოცანები, ასევე კონკრეტული რეგიონის პოზიციები და ინტერესები, ავტონომიურობის ხარისხი, ძირითადი პარამეტრები და მათი დაცვის მექანიზმი.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მთიანი რეგიონების პერსპექტივების განსაზღვრას საფუძვლად უნდა დაედოს მდგრადი განვითარების კონცეფციის ძირითდი მოთხოვნები, როგორც ცივილიზებული სამყაროს მონაპოვარი და ჩვენს პლანეტაზე არსებული ეკოსისტემის დაცვის ძირითადი მექანიზმი.

საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები შემდეგ რეკომენდაციებს უწევენ ნაციონალურ მთავრობებს მთიანეთის მდგრადი განვითარების საკითხებში:

1. მთიანეთის აღიარება ნაციონალური განვითარების მნიშვნელოვან და სპეციფიკურ კომპონენტებად;

2. მთიანეთის მდგრადი განვითარების გათვალისწინება პოლიტიკურ „დღის წესრიგში“;

3. კომპენსაციის სისტემის დანერგვა მთიანეთის მხრიდან ბარის ზონისათვის მიწოდებული რესურსებისა და მომსახურებისათვის;

4. მთიანეთის ეკონომიკური ცხოვრების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა;

5. სოციალური და საინჟინრო–ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარება.

6. სექტორული პოლიტიკის ადაპტირება მთიანეთის სპეციფიკურ ინტერესებთან.

7. ადგილობრივი პოტენციალის გამოყენება ინოვაციების შემოსატანად.

8. ცვლილებები ადგილობრივ კულტურაში თავისებურებების დაკარგვის გარეშე.

9. მთიანეთის ეკოსისტემის კონსერვაცია და ადრეული გაფრთხილების ფუნქციის შენარჩუნება.

10. მთიანეთის მდგრადი განვითარების ინსტიტუციონალიზაცია.

11. განსახლების სისტემებისა და რაიონული დაგეგმარების პროექტების წინმსწრები შემუშავება.

ამასთან ყველა ქვეყანამ უნდა შეიმუშავოს თავისი საკუთარი პოლიტიკა მთიანეთთან დაკავშირებით. ვინაიდან არ არსებობს მთიანეთის მდგრადი განვითარების უნივერსალური ერთიანი ფორმულა.

11.2 მაღალმთიანი რეგიონების თანამედროვე სიტუაციის ანალიზი

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, (2018 წლის მონაცემებით) მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული ჰქონდა 43 მუნიციპალიტეტში მდებარე 1 730 დასახლე-

ბას. მაღალმთიან დასახლებათაგან ყველაზე მეტი – 697 – ზღვის დონიდან 1 000 მეტრიდან 1 500 მეტრამდე მდებარეობს (40%), ზღვის დონიდან 1 000 მეტრამდეა 522 დასახლება (30%), ხოლო ზღვის დონიდან 1 500 მეტრს ზემოთ – 511 (30 %). [168: გვ. 8].

კანონით განსაზღვრულ მაღალმთიან ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეთაგან ყველაზე მეტი დიდ კავკასიონზეა: აღმოსავლეთ (მუნიციპალიტეტები: ყაზბეგი, დუშეთი, თიანეთი, მცხეთა, ახმეტა) და დასავლეთ კავკასიონზე (მუნიციპალიტეტები: მესტია, ლენტეხი, ცაგერი, ამბროლაური, ონი, წყალტუბო, ყაზბეგი, დუშეთი, თიანეთი, მცხეთა, ახმეტა). ფრო ნაკლებია მცირე კავკასიონზე (მუნიციპალიტეტები: ქედა, ხულო, შუახევი, ჩოხატაური, წალკა, დმანისი, ბოლნისი, თეთრიწყარო, ბორჯომი, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ნინოწმინდა, ახალქალაქი). დასავლეთ საქართველოში ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები ძირითადად ემთხვევა მუნიციპალიტეტების საზღვრებს. გამონაკლისია ლეჩხუმი, რომლის რამდენიმე დასახლება წყალტუბოს მუნიციპალიტეტს ეკუთვნის. აჭარის მაღალმთიანეთში სამი მუნიციპალიტეტია (ქედა, შუახევი, ხულო).

მაღალმთიან დასახლებათა შორის უმეტესობა სოფლის კატეგორიისაა (98.5%, 1 705 სოფელი), მცირე რაოდენობით კი – დაბის (1%, 17 დაბა) და ქალაქის (0.5%, 8 ქალაქი) ტიპის. [169]

ამჟამად, საქართველოს 1,730 დასახლებას მინიჭებული აქვს მაღალმთიანის სტატუსი. (წიგნზე მუშაობის პერიოდში განიხილებოდა კიდევ რამდენიმე დასახლებული პუნქტისათვის სტატუსის მინიჭების საკითხი). ეს საქართველოს ყველა დასახლების თითქმის ნახევარია, თუმცა აქ მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 9% ცხოვრობს. ამ ეტაპზე, მთაში მუდმივად მცხოვრების სტატუსით 245 287 პირი სარგებლობს.

დღემდე, სხვადასხვა სოციალური პროგრამების ფარგლებში, გამოიყო დაახლოებით 183 მლნ ლარი, კერძოდ: პირველი, მეორე, მესამე და ყოველი მომდევნო შვილის დაბადებისას ფულადი დახმარების სახით 15 ათასამდე ბენეფიციარზე გაიცა 23 მლნ ლარზე მეტი, საპენსიო დანამატის სახით 81 ათას ბენეფიციარზე გაიცა 82.5 მლნ ლარი, სოციალური პაკეტზე დანამატის სახით 17 ათასამდე ბენეფიციარზე გაიცა 10 მლნ ლარზე მეტი, სამედიცინო პერსონალისათვის დანამატის სახით 1,700-ზე მეტ ბენეფიციარზე გაიცა 12.3 მლნ ლარი, ელექტროენერგია დაახლოებით 20 მლნ ლარით აუნაზღაურდა 90 ათასამდე ბენეფიციარს, მასწავლებლებზე და მწვრთნელებზე დანამატის სახით გაიცა 34 მლნ ლარზე მეტი.

ამის გარდა, გათვალისწინებულია ზამთრის პერიოდში დახმარება გათბობის უზრუნველსაყოფად.

ეკონომიკური საქმიანობის წახალისების მიზნით, ე.წ. „მთის კანონით" გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათებით უკვე ისარგებლა 300-ზე მეტმა საწარმომ და 20,000-ზე მეტმა პირმა.

2019 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი შეადგენდა 20 მლნ ლარს. 2016-2019 წლებში ფონდისთვის 86 მლნ-ი ლარი იქნა გამოყოფილი, საიდანაც მნიშვნელოვანი წილი სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურულ, სოფლის მეურნეობის და სოციალურ პროექტებზე დაიხარჯა.

მაღალმთიან რეგიონებში მეწარმეობის განვითარების ხელშესაწყობად სახელმწიფომ 2016 წელს 7 825 506 ლარის ოდენობის გრანტები გასცა და 1 102 პროექტი დააფინანსა, ხოლო 2017 წელს 7 345 700 ლარით – 1 003 პროექტი. აღნიშნული დახმარება შესაძლებელი გახდა „აწარმოე საქართველოში" პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში. [170:გვ.12]

ყოველწლიურად მთიან დასახლებებში რეაბილიტაცია უტარდება ათობით კილომეტრ გზას. მთის მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის მიზნით, იგეგმება მსხვილი და სტრატეგიული დანიშნულების გზების მშენებლობა. ასეთი პროექტებია: პირიქითა ხევსურეთთან დამაკავშირებელი როშკა-არხოტის 28 კმ-იანი გზის მშენებლობა; ზემო იმერეთი – რაჭის დამაკავშირებელი 51.8 კმ-იანი საავტომობილო გზის მშენებლობა; სნო – ჯუთა – როშკა – შატილი და კიდევ რამდენიმე ხეობის და ასევე, ბაღდათი-აბასთუმნისა და ლენტეხი-მესტიის დამაკავშირებელი გზების მშენებლობა.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის 2019 წელს 20 000 000 გამოყოფილი თანხა (ლარი) სხვადასხვა პროექტზე დაიხარჯა. აქედან 2 000 000 ლარი გამოეყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალიტეტებთან ერთად, ელექტროენერგიის გარეშე არსებული დასახლებებისთვის მზის პანელების შესაძენად, ხოლო – 150 000 ლარი საქართველოს განათლების სამინისტროს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის გადასაცემად, მთის ფაკულტეტის შექმნისა და შესაბამისი სასწავლო პროგრამის მომზადების მიზნით. გარდა ამისა, 550 000 ლარი განათლების სამინისტროს სკოლა-პანსიონატების რეაბილიტაციისთვის იქნა გათვალისწინებული.

ასევე საინტერესოა, რომ 1 000 000 ლარი მიმართული იქნება სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამის – „ახალგაზრდა მეწარმის" განხორციელებისათვის;

ფონდიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს კი, გამოეყო 785 000 ლარი, საიდანაც, 585 000 ლარი მიმართული იქნება „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების პროგრამის განხორციელებისათვის, ხოლო 200 000 ლარი – მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრირებული რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დასაფინანსებლად.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთვის გამოიყო – 7 045 000 ლარი, საიდანაც:

ა) 2 040 000 ლარი მიმართული იქნება „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების პროგრამის განხორციელებისათვის;

ბ) 2 000 000 ლარი – მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის პროგრამის განხორციელებისათვის;

გ) 360 000 ლარი – რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის;

დ) 1 220 000 ლარი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;

ე) 300 000 ლარი – პროგრამა „დანერგე მომავალი" განსახორციელებლად;

ვ) 185 000 ლარი კი „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამის" განსახორციელებლად. [171]

დონორი ორგანიზაციების დახმარებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშავა „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023 წლების", რომლის მიზანია მაღალმთიანი დასახლებების მდგრადი განვითარება, იქ მცხოვრებთა სოციალური მხარდაჭერა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

სტრატეგიით განსაზღვრულია საშუალო, მცირე, მიკრო ბიზნესის ხელშეწყობა და მეწარმეთა საჭიროებებზე ორიენტირებული საინვესტიციო პროგრამების შემუშავება, ფერმერული მეურნეების და კოოპერატივების, ასევე – ბაზარზე მოთხოვნადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მხარდაჭერა, აგროდაზღვევის სისტემის განვითარება, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობის წახალისება, სამეწარმეო უნარების ასამაღლებლად შესაძლებლობების შექმნა და განვითარების სპეციალური პროგრამების შემუშავება.

სახელმწიფოს სტრატეგიის ნაწილი იყო 2013 წელს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის" დაარსება, რომლის ფუნქციად განისაზღვრა საქართველოს ყველა სამთო-სათხილამურო კურორტის (გუდაური, ბაკურიანი (დიდველი, კოხტა-მიტარბი) გოდერძი, მესტია (თეთნულდი და ჰაწვალი) მართვა, მათი განვითარების მიზნით.

ბოლო წლებში საქართველოს მთის კურორტებზე ტურისტების რაოდენობა 578 % არის გაზრდილი 2011-2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით. [172]

2019 წლის მონაცემებით ვიზიტების 54.6% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, მას მოსდევს აჭარა 30.2%, ქვემო ქართლი 17% და მცხეთა-მთიანეთი 16.9%. დანარჩენ რეგიონებს შედარებით მცირე რაოდენობის ვიზიტორები სტუმრობენ: სამცხე ჯავახეთი 6.6%, კახეთი 6.5%, იმერეთი 4.9%, შიდა ქართლი 3.1%, სამეგრელო ზემო სვანეთი 2.8%, გურია 1.3%, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი 0.2%.

მიუხედავად ზამთრის კურორტების პოპულარობისა, შესაბამის რეგიონებში შიდა ვიზიტორების და ვიზიტების რაოდენობა მაინც ნაკლებია, სხვა რეგიონებთან შედარებით. [172*].

11.3 მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობა

2014 წლის აღწერის მონაცემებით, მაღალმთიანი დასახლებების სტატუსის მქონე დასახლებებში, დაახლოებით, 331.4 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით 28%-ით ნაკლებია. ამასთან, მაღალმთიან დასახლებათა

მაცხოვრებლების წილი ქვეყნის მოსახლეობაში 2002 და 2014 წლებს შორის თითქმის არ შემცირებულა და მთელი მოსახლეობის დაახლოებით 9%-ს შეადგენს.

საქართველოს კანონში „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" ვკითხულობთ:

მუხლი 2. მაღალმთიანი დასახლების სტატუსთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება

1. ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით, მაღალმთიან დასახლებად ითვლება დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, სხვადასხვა კრიტერიუმის (მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებული მიგრაციული პროცესები) გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. გამონაკლის შემთხვევაში, ამ პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი შეიძლება ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე ქვევით მდებარე დასახლებასაც მიენიჭოს.

1[1]. მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭება დასახლებას, რომელიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიასთან გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

1[2]. თუ მუნიციპალიტეტის დასახლებათა 80 პროცენტს ან 80 პროცენტზე მეტს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი აქვს მინიჭებული, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭება აგრეთვე ამ მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

1[3]. ამ მუხლის 1[2] პუნქტით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს იმავე პუნქტით დადგენილი წესით მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ იგი 1000 მეტრ ჰიფსომეტრიულ სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს.

2. ზღვის დონიდან შესაბამის სიმაღლეზე მდებარეობის მიუხედავად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭებათ საქართველოს შემდეგ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში მდებარე დასახლებებს: ხევი, მთიულეთი, პანკისის ხეობა, მაღალმთიანი აჭარა, გუდამაყრის ხეობა, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა.

3. დასახლებას მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭება მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანის ფორმით. მაღალმთიან დასახლებათა ნუსხას საბჭოს წარდგინებით, დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

4. დასახლების მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანის/მაღალმთიან დასახლებათა ნუსხიდან ამოღების მიზანშეწონილობის საკითხის განსახილველად საბჭოს სათანადო შუამდგომლობით მიმართავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქ-

ტურის სამინისტრო, შესაბამისი მუნიციპალიტეტი, შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.


5. ეს კანონი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე მაღალმთიან დასახლებებზე გავრცელდება შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

6. თუ დასახლების ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარისათვის მიკუთვნების საკითხის დადგენა შეუძლებელია, დასახლების ისტორიულ-გეოგრაფიული მხარისათვის მიკუთვნების საკითხს სპეციალური წარდგინებით წყვეტს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს 2018 წლის 20 სექტემბრის კანონი №3455.

საქართველოს 2020 წლის 9 ივნისის კანონი №6032. [173]

მაღალმთიანი დასახლებები სიმაღლეების მიხედვით, მეტრი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

აღნიშნული კრიტერიუმები ემსახურება ისეთი მაღალმთიანი დასახლებების იდენტიფიცირებას, რომლებშიც მდგომარეობა კრიტიკულია და აუცილებელია სახელმწიფოს მიზანმიმართული ჩარევა.

2002 და 2014 წლის აღწერების წინასწარი მონაცემების შედარება აჩვენებს, რომ სოფლის მოსახლეობის შემცირების პროცესი მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს და განსაკუთრებით მკვეთრია მთიან რეგიონებში. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" კანონის მიზანია საქართველოს მთიანეთის მოსახლეობისგან დაცლის პროცესის შე-

ჩერება. ამიტომ პირველი ასეთი კრიტერიუმია დემოგრაფიული, რომლითაც ხდება იმ დასახლებების განსაზღვრა, სადაც განსაკუთრებით მძიმეა დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებულია მიგრაციული პროცესები. ამ მიზნით ზღვის დონიდან 800-1500 მეტრ სიმაღლეზე მდებარე დასახლებებში, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 10 და ნაკლებია, მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სხვა კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე, ხოლო დანარჩენ დასახლებებში დემოგრაფიული მდგომარეობის კრიტიკულობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა აღწერებს შორის პერიოდში დასახლების მცხოვრებთა რაოდენობის კლების მაჩვენებელი: დასახლების მცხოვრებთა რაოდენობის 25%-ზე მეტად შემცირება მიჩნეულ იქნა მდგომარეობის კრიტიკულობის მაჩვენებლად (სოფლის მოსახლეობის შემცირების საშუალო მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით 24%-ზე ოდნავ მეტია).

მხოლოდ დემოგრაფიული კრიტერიუმის გამოყენებისას დასახლებათა ჩამონათვალში შესაძლებელია მოხვდეს, როგორც მთის, ისევე ბარის სოფლები. ბარისაგან განსხვავებით, მთის ფერდობების დახრილობა და მკაცრი კლიმატური პირობები, ანუ ბუნებრივი გარემო, იწვევს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გართულებასა და დაბალპროდუქტიულობას. დასახლების მაღალმთიანობის ეს უარყოფითი შედეგები ვლინდება სასოფლო-სამეურნეო მიწების სტანდარტული ტექნიკის გამოყენებით დამუშავების შეუძლებლობაში. ამდენად, მეორე არის სასოფლო-სამეურნეო კრიტერიუმი, რომლითაც ხდება იმ დასახლებების,ი სადაც მაღალმთიანი რელიეფი ართულებს ადამიანის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ამ კრიტერიუმის მეშვეობით ხდება იმ დასახლებების შერჩევა, სადაც დასახლებაში რეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ან სახნავ-სათესი ფართობების ნახევარზე მეტის დამუშავება შეუძლებელია სტანდარტული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, რომელიც გამოიყენება ბარის პირობებში.

ამჟამად მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში არის განთავსებული სოფლებში მცხოვრებთათვის ხელმისაწვდომი ძირითადი საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტები: სტაციონარული და სპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულებები (საავადმყოფოები, პოლიკლინიკები), სკოლისგარეშე განათლების (სახელოვნებო და სპორტული სკოლები) და კულტურის დაწესებულებები (მუზეუმები და დიდი ბიბლიოთეკები), საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური აქტივობის ობიექტები (სპეციალიზირებული მაღაზიები, ბაზრობები, ბანკების ფილიალები, აფთიაქები, ვეტსამკურნალოები და მისთ.), ადმინისტრაციული სერვისები და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობა (საკრებულო, გამგეობა, სამინისტროების წარმომადგენლობები) და სხვა. მაღალმთიანი რეგიონების სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთათვის ამ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა მით ნაკლებია, რაც უფრო დაშორებულია დასახლება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს. ამიტომ მესამე კრიტერიუმად აღებულია პერიფერიულობის კრიტერიუმი, რომლითაც ხდება იმ დასახლებების განსაზღვრა, რომელთა მოსახლეობისათვის ძირითად საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურაზე და მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის მდგომარეობა გაუარესებულია.

ადმინისტრაციულ ცენტრამდე მისასვლელი დრო დამოკიდებულია მისასვლელი გზების კატეგორიაზე, მათ ხარისხზე და მაღალმთიანობით გამოწვეულ სირთულეზე. ამ კრიტერიუმის მეშვეობით ხდება იმ დასახლებების შერჩევა, რომლებიც დაშორებულია (ზამთრის პირობებში კი ზოგჯერ მოწყვეტილია) ადმინისტრაციული ცენტრიდან. მუნიციპალური ცენტრიდან დასახლების დაშორების შესაფასებლად ხდება მათ შორის არსებული გზის, მისი შემადგენელი მონაკვეთების ხარისხისა და მაღალმთიანობით გამოწვეული სირთულის გათვალისწინება. ამისათვის ამ გზის შემადგენელი საერთაშორისო (S1), შიდასახელმწიფოებრივი (S2), ადგილობრივი ასფალტის/ბეტონის საფარიანი (S3) და გრუნტის გზების (S4) მონაკვეთების მანძილები ჯამდება, მათი ხარისხობრივი კოეფიციენტების გათვალისწინებით: S=0,01S1+0,02S2+0,03S3+0,04S4. მოქალაქეებისათვის ადმინისტრაციულ ცენტრამდე გასავლელი გზის მაღალმთიანობით გამოწვეული სირთულის შესაფასებლად გამოიყენება დასახლების ზღვის დონიდან სიმაღლით (h) გამოწვეული სირთულის კოეფიციენტი K=hX(10-h)/(10+h), სადაც h არის კილომეტრებით გამოხატული აბსოლუტური სიმაღლე. კონკრეტული დასახლების S+K ჯამი თუ მუნიციპალიტეტის საშუალო მაჩვენებელზე მეტია, დასახლება მუნიციპალიტეტის პერიფერიაზე მდებარეობს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა გართულებულია.

მთის ეროვნულმა საბჭომ მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება მიზანშეწონილად მიიჩნია შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ დასახლება ზღვის დონიდან 1000 მეტრზე ზემოთ მდებარეობს და აკმაყოფილებს დასახელებული სამიდან ერთ კრიტერიუმს; ბ) თუ დასახლება ზღვის დონიდან 800-დან 1000 მეტრამდე სიმაღლეზეა და აკმაყოფილებს დასახელებული სამიდან ორ კრიტერიუმს.

საქართველოს მაღალმთიან დასახლებათა მოსახლეობის დაახლოებით 32,3% (107 065) ცხოვრობს ზღვის დონიდან 1500 მ-ზე ზემოთ; 52,1% (172 540) – მცირე კავკასიონის არეალში, 33,7% (111 827) – დიდი კავკასიონის არეალში, ხოლო მთათაშორის ბარში – 14,2% (47 049). 10 მაღალმთიან ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში ცხოვრობს მაღალმთიანი დასახლებების მცხოვრებთა 35,5% (117 795), აქედან ყველაზე მეტი – 47,8% (56 219) მაცხოვრებელი მაღალმთიან აჭარაშია.

მაღალმთიანი დასახლებების მცირე ნაწილი ურბანული ტიპისაა (26 ქალაქი და დაბა). აქ მაცხოვრებელთა წილი მაღალმთიანი დასახლებების მთლიან მოსახლეობაში 15,3%-ს შეადგენს (50 537 მცხოვრები). 1 000 და მეტი მოსახლით მაღალმთიანი დასახლებების 53% 51-დან 27 დასახლება) აჭარასა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებშია. ასეთი დასახლებების თანაბარი რაოდენობაა დიდი კავკასიონის დასავლეთ (4) და აღმოსავლეთ (5) ნაწილებში. ამასთან, დიდ კავკასიონზე ყველაზე მრავალრიცხოვან მაღალმთიან დასახლებაში მოსახლეობა 2,7 ათასს არ აღემატება.

მოსახლეობისგან დაცლის (დეპოპულაციის) პრობლემა ყველაზე მწვავედ დიდი კავკასიონის მაღალმთიან დასახლებებში დგას. ბოლო აღწერებს შორის პერიოდში, მოსახლეობის რიცხოვნობის ყველაზე მასშტაბური შემცირება, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, აღინიშნა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (37,4პროცენტი), [174:გვ.14];[175:გვ.3]

დასახლებები, სადაც 10 და ნაკლები მაცხოვრებელია, ყველაზე ცოტაა მცირე კავკასიონზე (25). დიდი კავკასიონის დასავლეთ ნაწილში ასეთი 56 დასახლებაა, აღმოსავლეთ ნაწილში კი ყველაზე მეტია – 227. სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე ახალქალაქის, დმანისის, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში.

მაღალმთიან დასახლებათა უმეტესობაში შესამჩნევია მოსახლეობის დაბერება და მოსახლეობის დემოგრაფიული ტვირთის [176] ზრდა. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში საშუალო ასაკი 38,1 წელს შეადგენს, მაღალმთიანი დასახლებების 48,7 %-ში საშუალო ასაკი ამ მაჩვენებელს აღემატება. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (48,2 წელი). [177:გვ.7] მოსახლეობის დაბერება ყველაზე მეტად გამოხატულია ამ რეგიონში: დაახლოებით, 53% გადაცილებულია 50 წლის ასაკს; ამავე რეგიონში ძირითადი რეპროდუქციული ასაკის (25-44 წლამდე ასაკის) მოსახლეობის წილი 0%-ზე ნაკლებია.[178:გვ.10-11]

მოსახლეობის სტრუქტურული დაბერების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ახალგაზრდა და შრომისუნარიანი მაცხოვრებლების მიგრაციაა. მაღალმთიანი დასახლებებიდან მიგრაციის მიზეზებად სტიქიური უბედურების სიხშირის ზრდა, დასაქმებასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა სახელდება.[179]

საქართველოში 3 ათასზე მეტი სოფელია, მათგან გაუკაცრიელებულია 223 სოფელი, ანუ იმ სოფლებში აღარავინ ცხოვრობს. ერთკაციანი და ორკაციანი სოფელი საქართველოში ძალიან ბევრია. კერძოდ, ერთკაციანი -39 სოფელი, ორკაციანი – 46 სოფელი, სამკაციანი – 27, ოთხკაციანი – 23, ხუთკაციანი – 21 სოფელი. მთლიანობაში, ერთიდან ათ კაცამდე რომ ცხოვრობს, ასეთი 255 სოფელია და ეს ძალიან ბევრია. ძირითადად, ეს სოფლები მცხეთა-მთიანეთშია. მცხეთა მთიანეთის 111 სოფლიდან თითოეულში ერთიდან ათ კაცამდე ცხოვრობს. თუშ-ფშავ-ხევსურეთი ფაქტობრივად დაცლილია. ინფრასტრუქტურა არ არის ამ სოფლებში, რადგან ძალიან ძნელია, ერთ-ორ ან ათკაციან სოფლებში გზები, გაზი გაიყვანო. ეს დიდ ხარჯებს უკავშირდება.[180]

11.4. მაღალმთიანი დასახლებების ეკონომიკური პროფილი


„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო 12,956.5 მლნ ლარით, ხოლო გადასახდელების წლიური გეგმა – 13,313.1 მლნ ლარის ოდენობით. 2019 წლის შემოსულობების შესრულებამ 13,252.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 102.3%-ს და საწყისი წლიური გეგმის (12,863.8 მლნ ლარი) 103%-ს უტოლდება, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 558.8 მლნ ლარით (4.4%-ით) აღემატება. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას 2019 წელს, აღნიშნულმა 13,469.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 101.2%-ს და საწყისი წლიური გეგმის (13,090.0 მლნ ლარი)

102.9%-ს უტოლდება. ხოლო გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 7%-ით (879.5 მლნ ლარით) მეტია.

2019 წელს მშპ-ს რეალურმა ზრდამ 5.1% შეადგინა. მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 50,002.2 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 12.1%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე 13,428.9 ლარს (4,763.5 აშშ დოლარი) შეადგენს.

2019 წლის მონაცემებით ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: ინფორმაცია და კომუნიკაცია (15.2%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (14.4%), ხელოვნება, გართობა, დასვენება (14.3%), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (9.6%), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების გაწევის საქმიანობები (9.4%), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (8.9%), საბითუმო და საცალო ვაჭრობა (8.8%). [180*:გვ.3-7]

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2019 წელი, %




2018 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ მიმდინარე ფასებში 41,077.5 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 8.5 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 2018 წელს წინა წელთან შედარებით 4.7 პროცენტით, ხოლო დეფლატორის პროცენტული ცვლილება 3.6 პროცენტით განისაზღვრა. ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი(მშპ) იზრდება და 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში 4,345.5 აშშ. დოლარს შეადგენდა. ეკონომიკის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობის

სექტორში მშპ მცირდება და 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, 8.2 პროცენტი შეადგინა.

2017 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით გვიჩვენებს, მაჩვენებელი (მიმდინარე ფასებში) ყველაზე დაბალია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (165.1 მლნ. ლარი), მცხეთა-მთიანეთსა (575.8 მლნ. ლარი) და გურიის (652.6 მლნ. ლარი) რეგიონებშია. თბილისის გარდა, მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება იმერეთში (3,247.9 მლნ. ლარი), აჭარის ა/რ-ში (2,880.7 მლნ. ლარი) და ქვემო ქართლის (2,644.3 მლნ. ლარი) რეგიონებში. სოფლის მეურნეობის დარგში რეგიონებში შექმნილი მშპ-ს სტრუქტურის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კახეთის (580 მლნ. ლარი), ქვემო ქართლის (472 მლნ. ლარი) და იმერეთის (418 მლნ. ლარი) რეგიონებში, ხოლო ყველაზე დაბალი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთსა (30.3 მლნ. ლარი) და მცხეთა-მთიანეთის (66.4 მლნ. ლარი) რეგიონებში ფიქსირდება. ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება სოფლის მეურნეობის, ნადირობისა და სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და თევზჭერის სფეროში იზრდება. 2012-2017 წლებში ბიზნეს სექტორში შრომის პროდუქტიულობა – სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში 12 პროცენტით, დასაქმებულთა რაოდენობა 55 პროცენტით, ხოლო შექმნილი დამატებითი ღირებულება 73 პროცენტით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, შრომის პროდუქტიულობა ანუ ერთ დასაქმებულზე წარმოებული მთლიანი დამატებითი ღირებულება სოფლის მეურნეობის დარგში ყველაზე მცირეა და 2018 წლის მონაცემების თანახმად 4.04 ათასი ლარი შეადგინა. ბიზნეს სექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობა სოფლის მეურნეობის სექტორში დაბალია (1%). დარგის ბიზნეს სექტორის აქტივობაში უმრავლეოსობას მცირე მეწარმეები წარმოადგენენ.[181:გვ.11]

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დაახლოებით 50%-ზე მეტი თბილისზე მოდის. ამავე დროს, საქართველოს მშპ-ში ვაჭრობისა და მრეწველობის დარგების წილი 33%-ია. ეს დარგები, ძირითადად, დიდი ურბანული დასახლებებისთვის არის დამახასიათებელი, ამ ორი დარგის გარდა, საქართველოს რეგიონების წილი საქართველოს მშპ-ში 40%-ზე ნაკლებია. მაღალმთიანი დასახლებების ეკონომიკა დივერსიფიცირებული არ არის.

2018 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელმა 44 599.3 მლნ. ლარი შეადგინა. რეგიონულ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა: ქ. თბილისი (51.7 პროცენტი), იმერეთი (9.3 პროცენტი), აჭარის ა.რ. (9.0 პროცენტი), ქვემო ქართლი (7.8 პროცენტი) და სამეგრელო-ზემო სვანეთი (5.3 პროცენტი).



ქ. თბილისში შექმნილი მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (20.7 პროცენტი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (12.0 პროცენტი) და მშენებლობა (10.9 პროცენტი). იმერეთის რეგიონისათვის წამყვან ეკონომიკურ სექტორებს წარმოადგენს დამამუშავებელი მრეწველობა (13.4 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (11.5 პროცენტი) და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (11.2 პროცენტი). აჭარის ა.რ.-ში – ქვეყნის დამატებული ღირებულების მოცულობის მიხედვით მესამე რეგიონში – დიდი წილი უკავია მშენებლობას (16.6 პროცენტი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს (15.5 პროცენტი), ასევე საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტს (10.6 პროცენტი). ქვემო ქართლის მშპ-ში მნიშვნელოვანი წილით არის წარმოდგენილი დამამუშავებელი მრეწველობა (23.3 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (17.2 პროცენტი) და სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (10.6 პროცენტი). [182]

რეგიონები	2017	2018
თბილისი	18 151.8	20 063.7
აჭარის ა.რ.	3 059.6	3 491.5
გურია	632.7	651.3
იმერეთი	3 212.9	3 587.2
კახეთი	1 902.2	2 017.6
მცხეთა-მთიანეთი	819.2	932.3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	174.6	214.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2 123.0	2 067.6
სამცხე-ჯავახეთი	1 114.3	1 200.2
ქვემო ქართლი	2 991.5	3 039.6
შიდა ქართლი	1 165.9	1 513.6
მშპ საბაზისო ფასებში	35 347.6	38 778.5
გადასახადები პროდუქციაზე	5 604.0	6 031.2
სუბსიდიები პროდუქციაზე	190.0	210.3
მშპ საბაზრო ფასებში	40 761.7	44 599.3

მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობის ყველაზე მწვავე პრობლემა დაბალი შემოსავლები და უმუშევრობაა. [183] მოსახლეობის მხოლოდ 22% არის დასაქმებული ანაზღაურებად სამუშაოზე. შინამეურნეობების 51%-ისთვის შემოსავლების ძირითადი წყარო პენსია და სახელმწიფო დახმარებაა. ოჯახების 35%-ისთვის ყოველთვიური შემოსავალი 250 ლარს არ აღემატება. მაღალმთიანი დასახლებების უმრავლესობაში მოსახლეობის საქმიანობის და, შესაბამისად, შემოსავლების ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობაა. ქვეყნის მასშტაბით, საოჯახო მეურნეობის ხარჯებში სურსათის წილი 41,4%-ია. [184:გვ.3]

მაღალმთიან დასახლებებში კი საოჯახო მეურნეობათა 63%-ი საკვებ პროდუქტებზე ხარჯავს მთელი ხარჯების 50%-ზე მეტს; აქედან 22%-ისთვის სამომხმარებლო ხარჯების 75%-ზე მეტი სურსათზე მოდის, ხოლო საოჯახო მეურნეობათა 8%-ს საერთოდ არ ჰყოფნის შემოსავალი სურსათზე ხარჯებისთვის.[185] საოჯახო მეურნეობათა შემოსავალს ამცირებს მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვისას პროდუქტის გაფუჭებით მიღებული დანაკარგი. შემოსავლების დაბალ დონეს [186] განაპირობებს პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული ბარიერებიც, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზრების სიშორე, გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობა და ტრანსპორტირების სიძვირე.

ბიზნეს-სექტორის მაჩვენებლები მაღალმთიან დასახლებებში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ანალოგიურ მაჩვენებლებს საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებზე, ხოლო მთლიანი ქვეყნის შესაბამის მაჩვენებლებში უმნიშვნელო წილი უკავია.[187] მაღალმთიან დასახლებებში არსებულ საწარმოთა ბრუნვა და გამოშვება ქვეყნის მასშტაბით ანალოგიური მონა-

ცემების 5-ე მ.ა-ს არ აღემატება[188] განსაკუთრებით ტერიტორიული თვითმმართველობის მიბმული მაღალმთიანი დასახლებისა.

მაღალმთიან ტერიტორიებზე სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა, ასევე, დაკავშირებით დასაქმებულთა რაოდენობის მცირეა, ასოციაციურ მხარდაჭერილებში ქვეყნის მასშტაბით უმნიშვნელო ადგილი უკავია და 5%-ს არ აღემატება.

„აწარმოე საქართველოში" პროგრამის მიერ და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროექტები მოიცავს, როგორც სოფლის მეურნეობის და წარმოების, ასევე მომსახურების სექტორსაც. მხარდაჭერილია პროექტები მეფუტკრეობის, მეღვინეობის, მეცხოველეობის, მემცენარეობის, სასათბურე მეურნეობის, სამშენებლო მასალების წარმოების, სასტუმრო ბიზნესის, ავტომობილების მომსახურების, საკვებისტრო მომსახურების, ვაჭრობის და სხვა მიმართულებებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამა მოიცავს სხვადასხვა მიმართულების ტექნიკურ დახმარებასაც ბენეფიციართათვის, როგორც ბიზნესის დაწყებამდე, ასევე დაწყების შემდგომაც; მათ შორის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების მართვის და ა.შ. მიმართულებებით. პროგრამა „აწარმოე საქართველოში" მოიცავს ტურიზმის კომპონენტს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დაფინანსების მიღება მაღალმთიან დასახლებებში ახალი სასტუმროების მშენებლობისა ან/და არსებულის გაფართოებისათვის.

მეწარმეები მაღალმთიან დასახლებებში სირთულეებს აწყდებიან დაფინანსების მიღებაში პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ინდუსტრიული კომპონენტით. სირთულეს განაპირობებს უძრავი ქონებით უზრუნველყოფის საკითხი, უძრავ ქონებაზე სავალდებულო ინვესტიციის მოცულობა (უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ ოთხმაგი ოდენობა), ასევე, კრედიტის უზრუნველსაყოფი გარანტიის მოპოვების სირთულე.

2016 წელს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი მიენიჭა 146 საწარმოს, 2017 წელს – 152-ს და 2018 წლის პირველ ნახევარში – 36 საწარმოს. მათი საქმიანობის სფეროებია: ღვინის წარმოება, რძის და საკონდიტრო პროდუქტების წარმოება, ავეჯის წარმოება, ხალხური რეწვა, სამშენებლო მასალების წარმოება, მერქნის გადამუშავება, მეფუტკრეობა, მემცენარეობა, მეცხოველეობა, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოება და სხვა. ამ საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა მიკრო, მცირე ან საშუალო საწარმოა. მათგან ნახევარს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭებამდე უკვე ჰქონდა მიკრო ან მცირე საწარმოს სტატუსი.

მაღალმთიანი დასახლების საწარმოს/მეწარმე ფიზიკური პირის სტატუსს იღებს მაღალმთიან დასახლებაში ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი მეწარმე სუბიექტი. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს შემდეგ შეღავათებს: მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით მიღებული მოგების განაწილების და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯების/განხორციელებული განაცემების გათავისუფლება; ქონების გადასახადისაგან მაღალმთიანი დასახლების საწარმოს საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე ქონების გათავისუფლება.

ბიზნეს-სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, მაღალმთიანი დასახლებებით მდიდარ მუნიციპალიტეტებს შორის, გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: შუა-

ხევი, ყაზბეგი, ახალქალაქი, თეთრიწყარო და წალკა – მუნიციპალიტეტები შედარებით განვითარებული ეკონომიკით; ყაზბეგი, დუშეთი და მესტია – მუნიციპალიტეტები სასტუმროებისა და რესტორნების შედარებით დიდი რაოდენობით.

11.5 მაღალმთიანი დასახლებების სოფლის მეურნეობა

ქვეყნის მიწის რესურსების ტერიტორიული განაწილება, სხვა ბუნებრივი კომპონენტების მსგავსად, ვერტიკალური ზონალობის კანონს ექვემდებარება. საქართველოს მთიან და მთისწინა არეალებზე მოდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაახლოებით 61%.

ზღვის დონიდან 1000 მ-მდე მიწები მებაღეობა-მებოსტნეობის, მევენახეობისა და ინტენსიური მემინდვრეობისთვის გამოიყენება, ხოლო დასავლეთ საქართველო სუბტროპიკული კულტურების გავრცელების არეალია. ზღვის დონიდან 1000 მ-დან და ზევით ძირითადად სათიბ-საძოვრებია განვითარებული.

მნიშვნელოვანი განსხვავებაა დიდი კავკასიონის და მცირე კავკასიონის მაღალმთიან დასახლებებს შორის მიწისა და ადამიანური რესურსების თანაფარდობის თვალსაზრისით. ამ თანაფარდობის მიხედვით, სამი ტიპის არეალი გამოიყოფა: არეალი 1 – ახმეტა, [189] დუშეთი, ყაზბეგი, ონი, მესტია: დამახასიათებელია მაღალმთიანი დასახლებები მცირე მოსახლეობით; არეალი 2 – ქედა, შუახევი, ხულო: ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმცირით, რაც გამოწვეულია მოსახლეობის სიჭარბით; და არეალი 3 – ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, დმანისი – ხასიათდება მოსახლეობისა და მიწის რესურსების შესაბამისობით.

აღმოსავლეთი, დასავლეთი და მცირე კავკასიონის მუნიციპალიტეტები სპეციალიზებულია სამთო-მეცხოველეობაზე – ყველგან გავრცელებულია მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, თუმცა, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვიდან მეცხვარეობა უფრო მეტად აღმოსავლეთი კავკასიონის მხარესა და სამცხე-ჯავახეთში არის გავრცელებული, ხოლო მეთხეველობა კი – დასავლეთში. მაღალმთიან დასახლებებში ერთ საოჯახო მეურნეობაზე საშუალოდ 2 სული პირუტყვი მოდის. საერთო სარგებლობის საძოვრების რაციონალურ გამოყენებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი არ არსებობს, რაც უარყოფით შედეგებს იწვევს, როგორიცაა დაბალი წველადობა და მცირე წონნამატი. საერთო სარგებლობის საძოვრები ინვაზიურ დაავადებათა კონტროლის პრობლემასაც ამწვავებს.[190:გვ.13-17]

მნიშვნელოვანია მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალური გამოყენების სახელმწიფო პროგრამა. ამ პროგრამაში 2018 წელს 10 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ჩაერთო, რომელშიც გაერთიანებულია 300-ზე მეტი მეპაიე, მობილიზებული საქონლის რაოდენობა კი 2200 ფურს შეადგენს. მათ 25 წლიანი იჯარის უფლებით გადაეცემათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრები და თანადაფინანსებითსაქონლის საკვების წარმოებისათვის საჭი-

რო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა – ტრაქტორი, გუთანი, როტაციული და სეგმენტური სათიბელები, უნივერსალური ფოცხი, მოთიბული მასის ამკრეფ-დამწნეხი და მისაბმელი ტვირთის ტრანსპორტირებისათვის.

სახელმწიფო პროგრამა ასევე ითვალისწინებს ახალქალაქის, წალკის, დმანისის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში რძის გადამამუშავებელი საწარმოების აშენებას და აღჭურვას.

ახალქალაქის, წალკის, დმანისის მუნიციპალიტეტებში რძის გადამამუშავებელი საწარმოს სიმძლავრე შეადგენს დღიურად 10 ტონის გადამუშავებას, ხოლო დუშეთის მუნიციპალიტეტის უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში დღიურად 1,5 ტონას.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აშენებული ოთხივე საწარმო პირდაპირი მიყიდვის წესით, შეღავათიან ფასად გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ პროგრამით დადგენილ მოთხოვნებს.

სულ კი საქართველოს მასშტაბით (31.12.2018) რეგისტრირებულია 1106 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი.

სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივები რეგიონების მიხედვით:

კახეთი-120; ქვემოქართლი-126; მცხეთა-მთიანეთი-55; შიდაქართლი-86; სამეგრელო – ზემო სვანეთი-100; გურია-44; აჭარა-84; სამცხე-ჯავახეთი-221; იმერეთი-122; რაჭა-ლეჩხუმი-97; თბილისი-51. [191]

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სწრაფი განვითარებისათვის შემუშავდა და ხორციელდება არაერთი სახელმწიფო პროგრამა მეფუტკრეობის, მესაქონლეობის, მევენახეობის მიმართულებით, თუმცა რეალური სიტუაციის შესაცვლელად გაცილებით მეტია საჭირო.

11.6 მაღალმთიანი დასახლებების ტურისტული შესაძლებლობები

დიდი და მცირე კავკასიონის მაღალმთიან დასახლებათა უმრავლესობა განსაკუთრებით მიმზიდველია გარე და შიდა ტურიზმისთვის. მაღალმთიანი დასახლებები გამოირჩევა როგორც ზამთრის, ასევე ზაფხულის კურორტებით, კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული, არქეოლოგიური და ბუნებრივი ძეგლებით. 20-ზე მეტ მაღალმთიან დასახლებას საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს კურორტის სტატუსი. ისინი კლიმატური და/ან ბალნეოლოგიური ტიპისა, ხოლო მათი ძირითადი პროფილებია: ფტიზიატრიული, ართოროლოგიური, ნევროლოგიური, დერმატოლოგიური, გინეკოლოგიური, პროფილაქტიკური, ალერგოლოგიური, გასტროენტეროლოგიური და პულმონოლოგიური.

ტურისტული პოტენციალის დასახლებებში სახელმწიფოც და კერძო სექტორიც არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას და საინვესტიციო პროექტს ახორციელებს, მათ შორის, გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია, ისტორიული ძეგლების რეაბილიტაცია. შედეგად, უმჯობესდება დასახლებების იერსახეც. ბაკურიანში, გუდაურში, გოდერძის უღელტეხილსა

და მესტიაში დამონტაჟდა თანამედროვე მოთხოვნებს მორგებული საბაგირო გზები, გაკეთდა სათხილამურო ტრასები და ა.შ. მესტიასა და ამბროლაურში ფუნქციონირებს აეროპორტი.

საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ოთხსეზონიანი კურორტების განვითარების მიმართულებით, რათა ტურისტული პოტენციალი კიდევ უფრო გაიზარდოს და შესაძლებელი გახდეს გაცილებით მეტი შიდა, თუ საქართველოს ფარგლებს გარედან შემოსული ტურისტის მოზიდვა.


ბაკურიანში, გუდაურსა და თეთნულდში სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ინვესტიციები გაიღო ხელოვნური გათოვლიანებისთვის, მოეწყო ტობოგანები, ველოტრასები და ველოპარკები, რამაც საგრძნობლად გაზარდა ამ ადგილების კონკურენტუნარიანობა სამთო-სათხილამურო მიზნებისთვის. მიმდინარეობს ახალი სათხილამურო ტრასების განვითარება.

თეთნულდის სათხილამურო ტრასა ამიერკავკასიაში ყველაზე გრძელი – 9,5 კმ-ის იქნება.

ზამთრის სპორტის სახეობების დივერსიფიცირების მიზნით, აშენდება ბიატლონის ტრასა და ყინულის მოედანი.

ვიზიტები რეგიონების მიხედვით 2019წ

ვიზიტები რეგიონების მიხედვით



11.7 "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო შეღავათები

მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ამაღლების, დასაქმების ხელშეწყობის, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად შეღავათები განისაზღვრა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 16 ივლისს მიიღო. ამ კანონის მიხედვით, შეღავათები დადგენილია მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირებისა და მაღალმთიანი დასახლების საწარმოებისათვის. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის მიერ მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული ჰქონდა 1678 სოფელს, დაბასა და ქალაქს. ასეთი სტატუსის მქონე დასახლებაში მხოლოდ ცხოვრება, მუშაობა ან ქონების ფლობა არ ნიშნავს იმას, რომ მოქალაქე შეძლებს ავტომატურად ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით. [192:გვ.3]

საქართველოს სახელმწიფოსა და მთავრობის მიერ მაღალმთიანი რეგიონების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა არის ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილი, რომლის მიზანია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების უზრუნველყოფა, მაღალმთიან დასახლებებში მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

კანონით განისაზღვრა საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სოციალური, ეკონომიკური და სამეწარმეო შეღავათები, რომლებიც ხელს შეუწყობს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთა კეთილდღეობას, ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, ადგილობრივი რესურსების გამოყენებით მეწარმეობის გამოცოცხლებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მთაში ტრადიციული ეროვნული დარგების აღორძინებას, საქართველოს მთიანეთის ისტორიული მემკვიდრეობის შენახვასა და მომავალი თაობისათვის გადაცემას, ადგილებზე თანამედროვე ბიზნეს გარემოს ფორმირებას, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, დასახლებების კეთილმოწყობას.

კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობასთან შეიქმნა მთის განვითარების ეროვნული საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საბჭო შედგება საქართველოს მთავრობის წევრების, პარლამენტის წევრების, რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისა და ექსპერტებისაგან. ასევე, კანონის შესაბამისად შეიქმნა მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი განისაზღვრა 20 მილიონი ლარის ოდენობით. [193]

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი. ფიზიკურ პირს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი ენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) არის საქართველოს მოქალაქე;

ბ) რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში;

გ) ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში. თუ მაღალმთიანი დასახლება ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს, ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაღალმთიან დასახლებაში ფაქტობრივად ცხოვრების ვადაა კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 6 თვე ან 6 თვეზე მეტი.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი უწყდება, თუ:

ა) გარდაიცვალა;

ბ) შეიცვალა რეგისტრაციის მისამართი (გარდა აღნიშნული პირის სხვა მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრაციის შემთხვევისა);

გ) დატოვა მაღალმთიანი დასახლება (გარდა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებისა);

დ) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულია სოციალური და საგადასახადო შეღავათები.

სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში. სახელმწიფო უზრუნველყოფს მაღალმთიან დასახლებაში შემდეგი სოციალური შეღავათების დაწესებას:

ა) საპენსიო ასაკს მიღწეული მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისათვის, რომელიც ყოველთვიურად იღებს სახელმწიფო პენსიას, სოციალური დახმარების სახით, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ოდენობის გათვალისწინებით, ყოველთვიური დანამატის – სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20 პროცენტის – მიცემას. აღნიშნული დანამატის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სოციალური პაკეტის მიმღებ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირებს მიეცემათ ყოველთვიური დანამატი მათთვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტის 20 პროცენტის ოდენობით;

ბ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის, რომლის შრომა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით ყოველთვიური დანამატის მიცემას:

ბ.ა) ექიმისათვის – სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით;

ბ.ბ) ექთნისათვის – სახელმწიფო პენსიის ოდენობით;

გ) ზამთრის პერიოდში (შესაბამისი წლის 15 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 15 აპრილის ჩათვლით) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

დ) აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურებას, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა;

ე) დაბადებული პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 100 ლარის – მიცემას, ხოლო მესამე ბავშვისა და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის – 2 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 200 ლარის – მიცემას;

ვ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად დანამატის – საჯარო სკოლის მასწავლებლის საბაზო თანამდებობრივი სარგოს არანაკლებ 35 პროცენტის – მიცემას; მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად დანამატის – შრომის ანაზღაურების არანაკლებ 35 პროცენტის – მიცემას. მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის და სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს და ამტკიცებს შესაბამის სახელმწიფო პროგრამას;

ზ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის, მრავალსექტორიანი საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისათვის ვაუჩერის გაზრდილი ოდენობით მიცემას. აღნიშნული ვაუჩერის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

თ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ან/და მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი პროგრამის მონაწილე მასწავლებლისათვის, რომელიც პროგრამის ფარგლებში მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაშია დასაქმებული, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ან პროგრამის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის მიერ დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დანამატის – შრომის ანაზღაურების არანაკლებ 50 პროცენტის – მიცემას. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანამატი არ მიეცემა პირს, რომელიც ამ პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სოციალური შეღავათით სარგებლობს.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3035. [193[1]]

შეღავათები მაღალმთიანი სტატუს მქონე საწარმოებისათვის. მეწარმე სუბიექტი, რომელსაც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მინიჭებული აქვს მაღალმთიანი და-

სახლების საწარმოს სტატუსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადითა და წესით თავისუფლდება გადასახადებისაგან. იგი ვალდებულია, საქმიანობას ახორციელებდეს მხოლოდ შესაბამისი მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე.

-საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობით მიღებული შემოსავალი – შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით.

(საქ. საგადასახადო კოდექსი მუხლი 82. ნაწილი 1. ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან. 16. 07.2015 4037 ცვლილება)

ასევე, მაღალმთიანი დასახლების საწარმოს მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით მიღებული მოგება თავისუფლდება მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში, სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით.

(საქ. საგადასახადო კოდექსი მუხლი 99. ნაწილი 1. ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან. 16. 07.2015 4037 ცვლილება).

-ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება მაღალმთიანი დასახლების საწარმოს საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე ქონება – შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში, სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით.

(საქ. საგადასახადო კოდექსი მუხლი 206. ნაწილი 1. ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან. 16. 07.2015 4037 ცვლილება). (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით)

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირის საგადასახადო შეღავათები. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი სარგებლობს საშემოსავლო გადასახადთან და ქონების გადასახადთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით.

ა) საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 6000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა

ბ) ასევე, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე.

გ) საშემოსავლო გადასახადი 50 პროცენტით უმცირდება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ერთ ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი), აღნიშნულ მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაცი-

დან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე;

(საქ. საგადასახადო კოდექსი მუხლი 82. ნაწილი 2.)

დ) მიწის გადასახადისაგან თავისუფლდება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი; (საქ. საგადასახადო კოდექსი) [193[2] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო]

2020 წლის 16 ივლისის მდგომარეობით საქართველოში მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს ქვეყნის 1,796 დასახლებას და მთაში მუდმივად მცხოვრების სტატუსით სარგებლობს 270,000-მდე მოქალაქე. [193[3]]

2016 წლიდან დღემდე, კანონით დაწესებული სხვადასხვა სოციალური შეღავათის ფარგლებში, ახალშობილისთვის დახმარების სახით გაიცა თითქმის 27 მილიონი ლარი; 97 მილიონი ლარამდე ოდენობის დანამატი სახელმწიფო პენსიაზე მიიღეს პენსიონერებმა; გაიცა სოციალური პაკეტის დანამატი 12.1 მილიონი ლარის ოდენობით; 14 მილიონზე ლარზე მეტი გაიცა სამედიცინო პერსონალზე; 90 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა 24.1 მილიონი ლარის შეღავათით ელექტროენერგიაზე; 48.3 მილიონი ლარი გაიცა მასწავლებლებისთვის და 687 000 ლარი მწვრთნელებისათვის. საგადასახადო შეღავათით სარგებლობს უკვე 401 საწარმო.

კანონის ამოქმედებიდან მაღალმთიანი დასახლებების ფონდიდან სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან კანონით დადგენილი შეღავათებს 309,964,789 ლარი მოხმარდა. [193[4]]

თავი 12. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობის გამომწვევი მიზეზები

12.1 რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დიფერენციაცია და ტერიტორიული დისპროპორციები

საქართველოს სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაში არსებული პრობლემების დაძლევა, საწარმოო ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, მზარდი ეროვნული ეკონომიკის შექმნა, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და პოლიტიკურად სტაბილური საზოგადოების ფორმირება შეუძლებელია საქართველოს რეგიონების სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაში არსებული დისპროპორციების დაძლევისა და გამოთანაბრების გარეშე.

თავისთავად ცხადია, რომ რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დიფერენციაცია საფრთხეს უქმნის ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობასა და ქვეყნის ერთიანობას. ამიტომ, აუცილებელია ისეთი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს მკვეთრი ტერიტორიული დისპროპორციების არდაშვებასა და შერბილებას. რისთვისაც საჭიროა ამ მოვლენის შესახებ ზუსტი წარმოდგენის არსებობა.

ამიტომ, არსებითი მნიშვნელობა გააჩნია რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური დიფერენციაციის ობიექტური მიზეზებისა და მათი გამოთანაბრების პრიორიტეტების დადგენას.

საქართველოს რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური დიფერენციაციის მიზეზებია:

1. საბჭოური პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული წარმოების მეტისმეტი კონცენტრაცია მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, განსაკუთრებით კი თბილისში;

2. ე. წ. „მონო ქალაქების“ არსებობა, რომელთა ეკონომიკაც ცალმხრივად დამოკიდებულია ერთ–ორ დარგზე;

3. საყოველთაო ხასიათის ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც გააჩნია რეგიონული თავისებურებანი;

4. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებები;

საქართველოს რეგიონებში არსებული ეკონომიკური პოტენციალის, უპირველეს ყოვლისა კი ბუნებრივი და შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება და მათი საქმიანობის რაციონალური ორგანიზაცია რეგიონული პრობლემების რეგულირებაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური სტიმულირებისა და ბერკეტების, აგრეთვე საკანონმდებლო ბერკეტების გამოყენებით.

საქართველოს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში არსებული დისპროპორციების აღმოფხვრის მიზნით შემუშავებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს საერთო ეროვნული მიდგომები და პრიორიტეტები, აგრეთვე რეგიონების განვითარების სპეციფიკური სოციალურ–ეკონომიკური ინტერესები. დღეს საქართველოში იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ზემოქმედებენ რეგიონული განვითარების პროცესზე უნდა გამოვყოთ შემდეგი ყველაზე მნიშვნელოვანი:

- ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის საერთო ცვლილება, რომელსაც სხვადასხვა რეგიონის როლის, შედარებითი უპირატესობისა და მათი ურთიერთობის დაზუსტებისაკენ მივყავართ.

- კონფლიქტების შედეგად გამოწვეული საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის პრობლემები.

- მიმდინარე ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმები რეგიონული განვითარების პრობლემებს უშუალოდ იშვიათად უკავშირდება. საქართველოს ცალკეული რეგიონები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება ეკონომიკური პოტენციალის თვალსაზრისით. ეს განსხვავება ძირითადად, განპირობებულია რეგიონული თავისებურებებით., ამიტომ, საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაემყარება რეგიონების მიმართ დიფერენცირებულ მიდგომას მათი თავისებურებების, შრომის დანაწილებისა და კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი რესურსების გამოყენებას და მის საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონებს შორის ბუნებრივ-კლიმატური პირობების განსხვავების გარდა, ადგილი აქვს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მხრივ ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის სხვადასხვაობას, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა აუცილებლად უნდა გახდეს პრიორიტეტული, პროტექციონისტული და დიფერენციული, ცალკეული რეგიონების მიხედვით.

საბაზრო პირობებში რეგიონის განვითარება გულისხმობს მოცემული რეგიონის შიგნით საბაზრო ურთიერთობის ფორმირებას, სადაც პარტნიორები რეგიონულ ბაზარზე, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში არკვევენ ურთიერთობებს. ამასთან, პროტექციონისტულმა პოლიტიკამ არ უნდა მიიღოს ბიუროკრატიული ადმინისტრირების სახე, რათა არ განვითარდეს რეგიონის თვითიზოლაციის ტენდენცია. პარალელურად, ფართო გზა უნდა გაეხსნას კონკურენციას და რეგიონული ბაზარი ღია უნდა იყოს ყველა სახის პროდუქციისათვის, კაპიტალისათვის, ინფორმაციისათვის (რა თქმა უნდა, ეროვნული ინტერესების დაცვის პირობებში). ასეთ სიტუაციაში ბაზარი შეძლებს, შეასრულოს რეგიონული ბაზრის თვითრეგულირების როლი.

რეგიონის რეფორმები და წარმოების რესტრუქტურიზაცია მაშინ იქნება ეფექტური, თუ მომწოდებლისა და მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ხელსაყრელი პირობები იქნება შექმნილი.

რეგიონებში, განვითარების მიმდინარე ეტაპზე წარმოების რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის მიზანია, რეგიონების ეკონომიკის ბაზართან მორგება-შეხამება. ამიტომ, წარმოების რესტრუქტურიზაცია საქართველოს თითოეულ რეგიონში უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული კვლევებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად რეგიონების ფინანსური შესაძლებლობები ძალზედ შეზღუდულია რესტრუქტურიზაციისათვის. სწორედ ამიტომ რეგიონების ხელისუფლებამ ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთობლივად უნდა დასახოს და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. ინვესტიციების ფართოდ მიზიდვის გზით, საქართველოს თითოეულ

რეგიონში ახალი სიმძლავრეების შექმნა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემსახურებოდეს შემდეგ ძირითად მიზნებს: რეგიონის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, რეგიონის მოსახლეობის მაქსიმალური დასაქმების მიღწევას (წარმოებული საქონლის რეგიონის გარეთ რეალიზაციით), კაპიტალის მოზიდვის მიზნით რეგიონის რესურსების გამოყენებას.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, მეტად ინტენსიური ხასიათი შეიძინა ქვეყნის განვითარების ახალი რეგიონული პარადიგმების კვლევა-ძიების მიმართულებით წარმართულმა საქმიანობამ.

რეგიონის კომპლექსური განვითარების პრობლემების გადაწყვეტის თაობაზე, **სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის განზოგადების საფუძველზე, შეიძლება გამოიყოს მინიმუმ ხუთი მიდგომა,(კონცეფცია):**

1. რეგიონი განიხილება, როგორც ჩაკეტილი თვითუზრუნველმყოფი მეურნეობა.

2. ტექნოლოგიური მიდგომა, რომლის არსი დარგებსა და საწარმოთა შორის მჭიდრო კვლავწარმოებით კავშირების განვითარებას უკავშირდება.

3. რეგიონის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ყველა ელემენტების ჰარმონიული ურთიერთქმედება, მთლიანობა და დარგების რაციონალური შეთანწყობა.

4. სოციალური პრიორიტეტების ამსახველი კვლავწარმოებითი მიდგომა.

5. ეკონომიკურ-გეოგრაფიული მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია ტერიტორიულ-სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ფორმირებაზე.

აუცილებელად მიგვაჩნია ტერიტორიული პროპორციების უზრუნველყოფა-შენარჩუნება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით რეგიონების დიდი დიფერენციაციის არ დაშვება. საქართველოს ბაზრის ეფექტური ფუნქციონირება წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციისა და მისი მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანეს ასპექტს.

ქვეყნაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნეგატიურ ტენდენციას წარმოადგენს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეების სულ უფრო მზარდი დიფერენციაცია, განსაკუთრებით კი ბევრი რეგიონის სულ უფრო პროგრესირებადი ჩამორჩენა. ეს დაკავშირებული იყო:

1.უპირველეს ყოვლისა, საბაზრო კონკურენციის მექანიზმის ჩართვა-ამოქმედებასთან, რომელმაც ქვეყნის ცალკეული რეგიონები დაანაწილა მათი კონკურენციული უპირატესობებითა და ნაკლოვანებებით, გამოვლინდა ეკონომიკის განსხვავებული სტრუქტურის მქონე რეგიონების არათანაბარი ადაპტაცია ბაზრის მიმართ.

2.არსებითად შესუსტდა სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი, რაც გამოიხატა რეგიონულ განვითარებაზე სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობათა მკვეთრად შემცირებაში.

შედეგად, რაც მნიშვნელოვანი ნეგატიური მოვლენაა, ერთ მოსახლეზე მთლიანი რეგიონული პროდუქტის წარმოებითა და ერთ მოსახლეზე რეალური შემოსავლის სიდიდით რეგიონები ერთმანეთისაგან განსხვავებული გახდნენ. ასეთ მკვეთრ დიფერენციაციას თან

ახლავს შედეგიც, რაც სილატაკისა და დეპრესიის არეალის გაფართოებაში გამოიხატება და რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმების შესუსტებასა და რეგიონთაშორისი წინააღმდეგობების გაზრდაში ვლინდება. ყველაფერი ეს მნიშვნელოვნად აძნელებს საერთო სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პოლიტიკის განხორციელებას.

საქართველოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია აქტიური სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული მკვეთრი დიფერენციაციის შერბილებისაკენ.

ნეგატიურია ტენდენცია საქართველოს ტერიტორიაზე პრობლემური მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების არსებობა, რომლებიც ხასიათდებიან სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების სიმწვავით.

კრიზისულს განეკუთვნებიან ის რეგიონები და ტერიტორიები, რომლებმაც განიცადეს ბუნებრივი, ტექნოლოგიური ან სხვა სახის კატასტროფა და დამანგრეველი სტიქიური ზემოქმედება, შედარებით მასშტაბური ხასიათის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონფლიქტები (აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი), წარმოებისა და ცხოვრების დონის ექსტრემალური დაცემა-დაქვეითება. ყოველივე აღნიშნულის შედეგია დაგროვილი ეკონომიკური პოტენციალის მოშლა და მოსახლეობის დიდი რაოდენობის იძულებითი ემიგრაცია და ადგილმონაცვლეობა.

ჩამორჩენილი რეგიონების ჯგუფს განეკუთვნება ის რეგიონები და ტერიტორიები, რომელთა ეკონომიკური პოტენციალიც ობიექტური და ისტორიული მიზეზების გამო, რამდენჯერმე ნაკლებია ჩვენი ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ მაჩვენებლებთან შედარებით, ხოლო მათი ეკონომიკა ხანგძლივი პერიოდით იმყოფება უძრაობაში და ხასიათდება მრეწველობის მცირედ დივერსიფიკაციური სტრუქტურით, სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურითა და სოციალური სფეროთი.

დეპრესიულს განეკუთვნება ის ტერიტორიები, რომლებიც ხასიათდება ეკონომიკური აქტიურობის მყარი და ღრმა დაქვეითებით, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაქვეითებით (ძველი სამრეწველო ლოკალური ზონები, აგროსამრეწველო და ზოგიერთი სამთომომპოვებელი მრეწველობის რეგიონები.) დეპრესიის ბევრი პრობლემის დაძლევა შეიძლება მოხერხდეს და გადაწყდეს შიდა მოთხოვნის გაფართოების ხარჯზე.

დეპრესიული რეგიონების მდგომარეობის გაუმჯობესება გარკვეულიწილად დამოკიდებული იქნება მსოფლიო ბაზარზე საქართველოს პოზიციის გაძლიერებაზე. დეპრესიული რეგიონების გასვლა ეკონომიკის ზრდის მყარ ტრაექტორიაზე შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს საკუთარი ძალებით დივერსიფიკაციის განხორციელებით, კონვერსიით, წარმოების მოდერნიზაციით, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობითა და წახალისებით, ადგილობრივი საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებით, გასაღების ახალი ბაზრების ძებნით და სხვა. ამასთან, ღრმა დეპრესიული რეგიონები უნდა გახდეს სახელმწიფოებრივი მიზნობრივი მხარდაჭერის ობიექტები.

პრობლემური რეგიონების ჯგუფში შედის აგრეთვე, ქვეყნის ჩრდილოეთი და მთაგორიანი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც ტიპური ნეგატიური ფაქტორები (არახელსაყრელი კლიმატი, ცხოვრების პირობების მაღალი ღირებულება, მაღალი საწარმოო და სატრანსპორტო დანახარჯები და სხვა) არ კომპენსირდება ძლიერი კონკურენციული უპირატესობებით, უმდიდრესი რესურსების გამოყენების სახით (მაგ: ნავთობისა და ბუნებრივი აირის, ფერადი ლითონების, ძვირფასი ლითონების და სხვა). ამიტომ, ასეთი ტერიტორიების ლოკალური მდგომარეობა მოითხოვს სახელმწიფოებრივი დახმარების სპეციალური ღონისძიებების განხორციელებას.

ნეგატიური ტენდენციაა – ეკონომიკური სივრცის დეზინტეგრაცია. 90-იან წლებში ეს იგრძნობოდა და თავს იჩენდა, უპირველეს ყოვლისა, წინათ არსებული ეკონომიკური კავშირების შესუსტებაში. რეგიონთაშორისი საქონელგაცვლის მოცულობები შემცირდა, ისევე როგორც წარმოების მოცულობები.[194]

დეზინტეგრაციული ტენდენციების დაძლევა, პირველ რიგში, დაკავშირებულია ეკონომიკური ზრდის განახლებასთან (განსაკუთრებით მრეწველობაში და საინვესტიციო ფორმით), იმპორტის ჩანაცვლების პროცესთან და სატრანსპორტო ტარიფების რეგულირების პოლიტიკასთან. ახალი რეგიონთაშორისი ინტეგრაცია აიგება საბაზრო ეფექტიანობის კრიტერიუმების შესაბამისად, სოციალური პოლიტიკის ამოცანებიდან გამომდინარე და ქვეყნის გეოსტრატეგიული ინტერესების შესატყვისად.

ნეგატიური ტენდენციების გარდატეხა და ეკონომიკური სივრცის მყარი პროგრესული ევოლუცია შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების კონსტრუქციული ძალების კონსოლიდირებული პოლიტიკის ზემოქმედებით განხორციელდეს. ტერიტორიული განვითარების სტრატეგია უნდა განსაზღვრავდეს რეგიონების ეკონომიკისა და ეროვნული ეკონომიკური სივრცის პრიორიტეტებისა და რესტრუქტურიზაციის ეტაპებს, ხოლო რეგიონული პოლიტიკა – სტრატეგიის სარეალიზაციო კონკრეტულ ზომებს უნდა აკავშირებდეს, ახამებდეს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ყველა დანარჩენ მიმართულებებთან, სახელმწიფოს რესურსულ შესაძლებლობებთან. 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველო შეეჯახა მთელ რიგ მოვლენებს, რომელთა შედეგები მისი ეკონომიკური სივრცისათვის არაერთმნიშვნელოვანია. ესენია:

-ეკონომიკური ზრდის გაგრძელების აუცილებლობა ახალ თვისებრივ საფუძველზე;

- საქართველოს რეგიონების მზარდი დამოკიდებულება მსოფლიოს მეურნეობაზე;

- პოსტინდუსტრიულ საზოგადოებისაზე გადასვლა სხვადასხვა რეგიონების განსაკუთრებული ფუნქციებით;

- ცხოვრების დონის ცვლილება და მასთან დაკავშირებით მოთხოვნები სოციალური სფეროს განვითარებისადმი;

- ეკოლოგიურ მოთხოვნათა გამკაცრება მსოფლიო თანამეგობრობის მყარი განვითარების პარადიგმებზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ახალი რეალიები საქართველოს ეკონომიკური სივრცისათვის ქმნის, როგორც ახალ რთულ პრობლემებს, აგრეთვე ახალ შესაძლებლობებს.

ტერიტორიული განვითარების სტრატეგიის მთავარი მიზნები მდგომარეობს ერთიანი ეკონომიკური სივრცის განმტკიცებაში, ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობასა და უსაფრთხოებაში, მათი ოპტიმალური სპეციალიზაციის საფუძველზე ყველა რეგიონის ჰარმონიულ განვითარებაში, შრომის ადგილობრივი და საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე, რესურსული პოტენციალისა და კონკურენციულ უპირატესობათა გამოყენებაში. სტრატეგია მოიცავს რეალიზაციის სამ ეტაპს:

1. გარდამავალი პერიოდის დასრულებას;

2. მსხვილი პროგრამების განხორციელებას, რომელთაც ძალუძთ გამოიწვიონ ხარისხობრივი ცვლილებები წარმოების განლაგებაში, ბუნებათსარგებლობაში და გარემოს მდგომარეობაში, განსახლების სისტემაში, ტრანსპორტისა და კავშირის საშუალებების განვითარებაში;

3. რეგიონების მყარი განვითარების ტრაექტორიაზე გასვლის დაწყებას.

პირველი ეტაპის ამოცანები ესაა რეგიონებში ეკონომიკური კრიზისის შედეგების დაჩქარებული დაძლევა, ძირითადი ინსტიტუციონალური გარდაქმნების დამთავრება. სპეციალურ ამოცანებს წარმოადგენს რეგიონების განვითარებაში დიფერენციაციის დონის შემცირება (1,5-2,0 ჯერ) ძირითადად, ძალიან ჩამორჩენილი რეგიონების წამოწევის მიღწევით და რეგიონთაშორისი ინტეგრაციის დაჩქარებით ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეგიონთაშორისი ბარიერების დაძლევის გზით, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებით, ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნით. ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობის განმტკიცების აუცილებლობა შენარჩუნდება, როგორც სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ამ სტრატეგიის განხორციელების მთელ პერიოდში.

2007-2013 წლების ევროპის განვითარების გეგმა – "ახალი ხედვა", ითვალისწინებდა ეკონომიკური ინტეგრაციისთვის (ყველაზე ღარიბი წევრი-ქვეყნების განვითარებისთვის) 336 მილიარდი ევროს გამოყოფას, რაც დაახლოებით ევროკავშირის მთლიანი ბიუჯეტის ერთ მესამედს შეადგენდა.[195]

ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება დეპრესიული (ღარიბი) რეგიონების ღრმა სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას, უნდა გახდეს საქართველოსთვის სასარგებლო გამოცდილება.

12.2 რეგიონებში არსებული უთანაბრობის მიზეზები

უმუშევრობის მაღალი დონე საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, შესაბამისად უმუშევრობის დონის შემცირება მომდევნო წლებში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამასთან, კერძო სექტორის შემდგომი განვითარება და ზრდა წარმოადგენს უმუშევრობის შემცირების ყველაზე ეფექტიან მექანიზმს. იმისათვის, რომ უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა განხორციელდეს, მნიშვნელოვანია განხორციელდეს უმუშევრობისა და დასაქმების კომპონენტების ანალიზი, როგორც მიწოდების მიმართულე-

ბით, რაც გულისხმობს შრომის ბაზრის ასიმეტრიულობას, მობილობის დაბალ ხარისხს, დაბალი პროდუქტიულობისა და არაადეკვატური კვალიფიკაციის არსებობას, ასევე მოთხოვნის მიმართულებით, რაც მოიცავს კერძო სექტორის არასაკმარის დივერსიფიცირებულობას, სექტორებს შორის არათანაბარ განვითარებას და ბიზნეს და სამეწარმეო საქმიანობის გეოგრაფიული კონცენტრაციის საკითხებს.[196:გვ.3]


1990 და 2000 წლებს შორის საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობა 37%-ით (2 763 300-დან 1 732 700-მდე) შემცირდა.[197:გვ.73] შედეგად, ბევრმა დიდმა, თუ მცირე ზომის ქალაქმა თავისი მოსახლეობის თითქმის მესამედი დაკარგა.

საქართველოს ცალკეულ რეგიონში არსებული რეალობა არის ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური სიძლიერის მნიშვნელოვანი ინდიკატორი. საქართველოს რეგიონები ახალი გამოწვევების წინაშე დგანან, მათ არ აქვთ განვითარების თანაბარი შესაძლებლობები. მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად საჭიროა ცალკეული რეგიონის განვითარების პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენება და რესურსების გადანაწილება.

საქართველოს მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული რეგიონებში. მათი უმრავლესობა ცხოვრობს მუნიციპალურ ცენტრებში და ისეთ ტერიტორიებზე, სადაც ეკონომიკური აქტიურობის დონე შედარებით მაღალია. რეგიონების განვითარების დონეებს შორის უთანაბრობას ასევე განაპირობებს მათი ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებები, სამრეწველო, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების განსხვავებული დონე. [198]

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი ქვეყნის რეგიონების განვითარება და მათ შორის უთანაბრობის აღმოფხვრაა. საქართველოს მთავრობას აქვს რეგიონული განვითარების სტრატეგიული ხედვა, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის გათანაბრების პოლიტიკის მიდგომებს. ეს გულისხმობს ინტეგრირებულ, დარგთაშორის და ტერიტორიაზე მორგებულ დაგეგმვას და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებას. აქტიურად გაგრძელდება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების ხელშეწყობა, რომელიც შემუშავებულია თითოეული რეგიონისათვის. ასევე ხორციელდება „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონალური განვითარების პროგრამა". ზემოაღნიშნული მიდგომების შესაბამისად, მთავრობამ შეიმუშავა 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა,[199] რომელიც მიმართულია ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული ეკონომიკური ზრდის შემდგომი ხელშეწყობისკენ. რეგიონული განვითარება, თანამიმდევრული დეცენტრალიზაცია და ტერიტორიული ერთეულების აქტიური როლი ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში კვლავ განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთოეროვნული წარმატების მისაღწევად. სწორედ რეგიონებში წარმოებული საქონლისა და მომსახურების, მათი საინვესტიციო მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, თანამედროვე ფიზიკური და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის შექმნას და განვითარებას შეუძლია ეკონომიკური ზრდისა და მოქალაქეთა ცხოვრების დონის თვისებრივი გაუმჯობესება. შესაბამისი რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისას, უზრუნველყოფილი იქნება თვითმმართველობების ჩართულობა და მათი საჭიროებების გათ-

ვალისწინება, ცალკეული რეგიონის განვითარების პრიორიტეტებისა და გამოვლენილი პერ-
სპექტიული მიმართულებების შესაბამისად.[200:გვ.28]




წყარო: საქსტატი

2017 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახ-
ლეობა (სამუშაო ძალა) 1,998,300 ადამიანისგან შედგება. მათგან 1, 763, 300 ადამიანი
დასაქმებული, ხოლო 235,100 უმუშევარია. უმუშევრობის ოფიციალური დონე 11.8%-ია
(საქსტატი, 2017).

2018 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2017 წელთან შედარებით 1.2%-ით
შემცირდა და 12.7% შეადგინა, ხოლო 2019 წელს უმუშევრობის დონე 11,6 %-ი იყო.


უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით, 2019 წელი,%



წყარო: საქსტატი


2019 წლის მონაცემებით კი ქალაქ – სოფლის ჭრილში უმუშევრობის დონე შემდეგია.

უმუშევრობის დონე ქალაქ სოფლის ჭრილში,%



წყარო: საქსტატი

2018 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (worknet.gov.ge) დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რიცხვმა დაახლოებით 230 ათასი შეადგინა, რომელთაგან 197,607 რეგისტრირებული არის აქტიური მაძიებელი. აღსანიშნავია, რომ გასულ წელთან შედარებით აქტიურ მაძიებელთა რიცხვი გაიზარდა 83,638 მომხმარებლით, რაც ზრდის მიხედვით 73,4% შეადგენს. სისტემაში



წყარო: საქსტატი

რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებიდან ყველაზე მეტი – 36,233 რეგისტრირებული თბილისზე მოდის და რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა 18,3% შეადგენს. რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები რეგიონულ ჭრილში მეტ-ნაკლებად თანაბრად არიან წარმოდგენილები. კერძოდ: იმერეთი (13,8%), კახეთი (11%), ქვემოქართლი (9,7%), სამეგრელო-ზემო სვანეთი (9,7%) და აჭარა (9,5%).[201:გვ.48]

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 30 დეკემბერს გამოსცა დადგენილება №665 „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" პროგრამის მიზანია ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებია:

ა) შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის (www.worknet.gov.ge) განვითარება;

ბ) შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა მუნიციპალურ დონეზე;

გ) საშუამავლო მომსახურების გაწევა-განვითარება;

დ) პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურებების მიწოდება მუნიციპალურ დონეზე;

ე) მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა (შრომის ანაზღაურების სუბსიდირების გზით);

ვ) დასაქმების ფორუმების მოწყობა;

ზ) შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენის მიზნით, თვისებრივი კვლევების განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთხელ;


თ) დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, დასაქმების თემებზე საინფორმაციო სემინარების ორგანიზება და საინფორმაციო ბუკლეტების დაბეჭდვა;

ი) დასაქმების ხელშეწყობის საკითხებსა და არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შემაჯამებელი კონფერენციის მოწყობა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 700 000 (შვიდასი ათასი) ლარით. [202] პროგრამა ამოქმედდა 2020 წლის 1 იანვრიდან.

სახელფასო უთანასწორობა ასევე საკმაოდ მაღალია საქართველოში. ქვემოთ მოყვანილ გრაფიკში ნათლად ჩანს, რომ 0-დან 500 ლარამდე თვიური შემოსავლის მქონე ადამიანების შემოსავლის წილი საერთო შემოსავალში 6.7%-ია. ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული ჯგუფი ხელფასის საერთო მიმღებთა 34.7%-ს შეადგენს. ამავე დროს, 16,000 ლარის ზემოთ თვიური შემოსავლის მქონეთა ჯგუფის შემოსავალი საერთო შემოსავლის 20.4%-ია. ეს ჯგუფი შეადგენს შემოსავლის მიმღებთა საერთო რაოდენობის 0.4%-ს.

შემოსავლის განაწილება შემოსავლის სხვადასხვა ჯგუფებს შორის [203]



დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი რეგიონების მიხედვით

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი რეგიონების მიხედვით*

ლარი

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
სულ	712,5	773,1	818,0	900,4	940,0	999,1	1 068,3	1 129,5
ქ. თბილისი	871,5	942,8	997,2	1 077,5	1 135,1	1 209,4	1 286,4	1 350,0
აჭარის ა.რ.	543,9	586,0	641,0	770,5	794,0	808,2	866,6	952,9
გურია	299,7	350,7	391,8	515,4	493,3	547,1	600,5	617,7
იმერეთი	461,3	501,2	522,4	590,2	617,6	667,1	690,8	723,2
კახეთი	370,1	430,8	456,5	493,5	531,2	554,1	627,4	690,2
მცხეთა-მთიანეთი	520,9	658,2	685,2	737,9	765,9	795,0	818,1	901,9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	312,2	366,4	393,6	435,1	453,9	483,8	495,0	556,9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	484,7	542,1	560,1	596,5	629,9	681,8	758,2	793,1
სამცხე-ჯავახეთი	398,9	501,9	507,8	524,3	576,3	611,1	640,5	711,6
ქვემო ქართლი	593,2	637,5	644,9	707,2	711,1	754,2	791,4	851,4
შიდა ქართლი	463,8	485,9	512,1	547,8	585,1	591,7	658,0	707,2

* ზოგიერთი საწარმო და ორგანიზაცია წარმოდგენილია სათაო ოფისის ადგილმდებარეობის მიხედვით

წყარო: საქსტატი

რატომ უნდა გვაღელვებდეს შემოსავლების უთანასწორობა? ნობელის პრემიის ლაურეატის ჯოზეფ შტიგლიცისა და ჰარვარდის ეკონომისტის ჯეისონ ფურმანის მიხედვით,

„უთანასწორობა იწვევს პოლიტიკურ არასტაბილურობას, რასაც თავის მხრივ ეკონომიკის ზრდის დაბალ მაჩვენებლამდე მივყავართ".[204:გვ.221-232]

იტალიელმა ეკონომისტებმა, ალბერტო ალეზინომ და რობერტო პეროტიმ, თავიანთ ნაშრომში „შემოსავლების განაწილება, პოლიტიკური არასტაბილურობა და ინვესტიციები"[205:გვ.1203-1228] დაადგინეს კავშირი უთანასწორობას, პოლიტიკურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. მათი კვლევით მტკიცდება ჰიპოთეზა, რომ უთანასწორობა უაროფითად მოქმედებს ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს მოსახლეობის უღარიბესი ერთი მეათედის 80%-ის მომსახურებას მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამით. [206:გვ.50-51]

მიზნები სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფისთვის

[illegible]	2016	2017	2020
[illegible]	28	60	80
[illegible]	44.4	40	10
[illegible]	9.3	8	5
[illegible]	9.7	8.5	6
[illegible]	0.41	0.38	035

წყარო: საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 2014 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე. გვ.51

როგორც ცხრილიდან, ჩანს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის მაჩვენებელი 2020 წლისთვის 6 პროცენტზეა გათვლილი, მაშინ როდესაც საბაზისო მაჩვენებელი 9,7 პროცენტია.

წლების განმავლობაში გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, სოციალური უთანასწორობის საკითხი კვლავ დიდ პრობლემას წარმოადგენს.

უთანასწორობის შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია შინამეურნეობების კვლევას ეყრდნობა, რაც მნიშვნელოვანი წყაროა, მაგრამ, როგორც უთანასწორობის მკვლევრები აცხადებენ, მას ბევრი ნაკლი აქვს.[207] მაგალითად, მდიდარი შინამეურნეობები ხშირად თავს არიდებენ შინამეურნეობების კვლევებში მონაწილეობას, რაც უთანასწორობის რეალურ სურათს ცვლის (კერძოდ, ამცირებს).

მაშინ, როდესაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აგროვებს მონაცემებს მთლიანი დამატებული ღირებულების შესახებ სექტორების და უფრო დეტალური აქტივობების მიხედვით, ადმინისტრაციულ რეგიონულ დონეზე, ასეთი მონაცემები მოითხოვს სიფრთხილით განხილვას, ვინაიდან ეკონომიკური აქტივობის ზუსტი მდებარეობა ხშირად გაურკვეველია, განსაკუთრებით იქ, სადაც რეგიონები შედარებით პატარა და ეკონომიკური თვალსაზრისით კარგად ინტეგრირებულია.


საქართველოს რეგიონები განსხვავდება ერთმანეთისაგან ძირითადი ეკონომიკური სტრუქტურის მიხედვით. გამოყოფენ 3 ძირითად ეკონომიკურ სექტორს: პირველადი სექ-

ტორი – სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყეობა და მეთევზეობა;

მეორეული სექტორი – მრეწველობა, საყოფაცხოვრებო პროდუქციის წარმოება, გადამუშავება და მშენებლობა;

მესამეული სექტორი – ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, საჯარო მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა, სოციალური უსაფრთხოება და ა. შ. [208]


მდე სექტორებისა და რეგიონების მიხედვით 2006-2012



მეორეული სექტორის შედარებით დიდი წილის მქონე რეგიონებიდან აღსანიშნავია იმერეთი/რაჭა – ლეჩხუმი – ქვემო ქართლი, აჭარა, სამეგრელო და ზემო სვანეთი.

ქვეყნის ყველაზე ურბანიზებულ ადმინისტრაციულ ერთეულს – თბილისს გამორჩეული პირველადი სექტორი არ გააჩნია. მასზე მხოლოდ მეორეული სექტორის აქტივობების მცირედი და მესამეული სექტორის ყველაზე დიდი წილი მოდის. ქვემო ქართლი და შიდა ქართლი მეორეული სექტორის უმსხვილეს წილს მოიცავს, რაც მიუთითებს, რომ თბილისში სამრეწველო აქტივობის სიმწირე კომპენსირებულია მიმდებარე რეგიონების აქტივობით.

მთლიანი დამატებითი ღირებულება რეგიონების მიხედვით 2016წ.



წყარო:საქსტატი

თბილისი, დედაქალაქი, რომელშიც ცხოვრობს ქვეყნის დაახლოებით ერთი მესამედი და რომელზეც მოდის ქვეყნის მშპ-ის ნახევარი.

ქალაქი-რეგიონის მწარმოებლურობის შედეგი ერთ სულ მოსახლეზე თითქმის საშუალო ეროვნულ მაჩვენებელზე ორჯერ მეტია და სამჯერ და უფრო მეტია ყველაზე ჩამორჩენილ რეგიონებთან შედარებით.

გლობალიზაციის პროცესი გვთავაზობს ქვეყნების განვითარებისა და რეგიონში კეთილდღეობის მიღწევის უპრეცედენტო შესაძლებლობებს ამასთანავე, ის ზრდის რისკს, რომ ზოგიერთი ქვეყანა და რეგიონი მაინც ჩამორჩენილი დარჩება. გლობალურ ბაზრებზე მეტმა ინტეგრაციამ, უზარმაზარ საინფორმაციო ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად, შექმნა მნიშვნელოვანი კონკურენტული ზეწოლა ქვეყანაზე ადაპტაციის თვალსაზრისით. როგორ იმოქმედებს სავაჭრო ღია მმართველობა რეგიონულ უთანასწორობაზე, გაზრდის თუ შეამცირებს მას, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია რეგიონებს შორის არსებულ განსხვავებებზე, მატერიალურ უზრუნველყოფაზე, ვაჭრობასთან წვდომასა და ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობებს შორის არსებულ სხვაობებზე.[209]

მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა, დღის წესრიგში დგას მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება. უცხელი ტერიტორიული უთანასწორობები, სიღარიბის მაღალი დონე, სოფლად ნატურალური მეურნეობის წარმოების მაღალი სიხშირე და ქალაქად არსებული უმუშევრობა ხაზს უსვამს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ გამოწვევებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს რეგიონების სამომავლო განვითარებას. [210]

აუცილებელია მნიშვნელოვანი რეფორმები ყველა რეგიონში, თუ ქართული ფირმები აპირებენ მოდერნიზაციას და უფრო დიდ ასპარეზზე კონკურენციას ამისათვის საჭიროა აღმოიფხვრას ნაკლოვანებები რეგიონებში – ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის და განათლების, ფინანსებზე წვდომის და ქონებრივი უფლებების დაცვის მიმართულებით.[211:გვ.90]

თავი 13. რეგიონული და მუნიციპალური ეკონომიკის რეგულირების მექანიზმები

13.1 რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე ხელისუფლების ურთიერთქმედების მექანიზმები

სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფორმირებისას, გასათვალისწინებელია, როგორც რეგიონების დამოუკიდებელი განვითარებისკენ სწრაფვა, ისე სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში მათი კოოპერაციისაკენ ლტოლვა. ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია რეგიონებში არსებული ბუნებრივი, მატერიალური, ფინანსური და სხვა სახის რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება.

ასეთი მიდგომა, როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ისე ლოკალური (რეგიონული, ადგილობრივი) ამოცანების გადაჭრას უზრუნველყოფს.

ძირითადი საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანებია:

- ტერიტორიული მთლიანობის და ქვეყნის სტაბილურობის ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცება;
- მრავალწყობიანი ეკონომიკისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება;
- რეგიონების განვითარების დონეებს შორის განსხვავების შემცირება;
- რეგიონთაშორისი თანამშრომლობის საბაზრო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება.

რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე კი რიგი სოცალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირების პრობლემა დგას, კერძოდ:

- ტერიტორიების საკუთარი ეკონომიკური ბაზის განვითარება;
- კომპლექსურობისა და რაციონალურობის ეკონომიკური სტრუქტურის უზრუნველყოფა;
- რეგიონული და რეგიონთაშორისი ბაზრების ფორმირება;
- მოსახლეობის ცხოვრების უზრუნველყოფის დონის ამაღლება.

რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების ურთიერთქმედების მექანიზმი, რეგულირების ორგანიზაციულ-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ მეთოდებზე იგება. იგი ხელისუფლებისა და მეურნე სუბიექტების დონეებს შორის, როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ ურთიერთობას გულისხმობს. ასე რომ, ურთიერთკავშირების მიზანია:

- რეგიონული მეურნეობის კონკურენტუნარიანი სექტორების განვითარებისათვის აუცილებელი შესაძლებლობების შექმნა;
- შრომის საერთაშორისო და ეროვნული დანაწილების ფარგლებში რეგიონების მყარი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა;
- მოსახლეობისთვის სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ცხოვრების სოციალური სტანდარტების შექმნა;

აღნიშნული მექანიზმის პრიორიტეტები რეგიონების ეკონომიკის თავისებურებებით, ტერიტორიული და დარგობრივი შრომის დანაწილებაში მათი ადგილით, წარმოების სპეციალიზაციითა და მოსახლეობის მოთხოვნილებებით განისაზღვრება.

ტერიტორიული განვითარების რეგულირება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მიხედვით ხდება, რომლის ბერკეტებია როგორც ტრადიციული (ადმინისტრაციული, საბიუჯეტო, საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და სხვ.), ისე სპეციფიკური მეთოდები და ინსტრუმენტები. ზემოქმედების რიგი ღონისძიებები გათვალისწინებულია რეგიონთაშორის და რეგიონულ პროგრამებში, გრძელვადიან გეგმა-პროგნოზებსა და ეკონომიკურ შეთანხმებებში, რომლებიც კონკრეტული ტერიტორიის ინტერესებს ეხება. ამასთან, მეტად ინტესიურად გამოიყენება ზემოქმედების როგორც პირდაპირი, ისე ირიბი მეთოდები.

რეგიონის ტერიტორიული განვითარების რეგულირების პრინციპები, მეთოდები და მექანიზმები რეგიონის საბიუჯეტო მოწყობის სპეციფიკასა და მის ტერიტორიულ რგოლებს შორის სახსრების ნაწილის გადანაწილებასთანაა დაკავშირებული. არსებითია, ეკონომიკური ბაზის როლიც.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია სახელმწიფოს ტერიტორიული სტრუქტურების დონეებსა და ერთეულებს შორის ფინანსური ნაკადების ფორმირება და განაწილება. საბიუჯეტო-საგადასახადო ურთიერთობების ახალი მოდელების ფორმირებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო ფედერალიზმს.

საბიუჯეტო ფედერალიზმი ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების და მათი ურთიერთრეგულირების მექანიზმია. „საბიუჯეტო ფედერალიზმი“ სხვადასხვა ავტორის მიერ არაერთგვაროვნად განიმარტება. ყველაზე ხშირად ამ ტერმინის გამოყენებით ახასიათებენ ფინანსური დეცენტრალიზაციისა და ტერიტორიული წარმონაქმნების თვითმყოფადობის სხვადასხვა ასპექტებს. აკადემიკოსი ა. გრანბერგი მიიჩნევს რა სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების ქმედით ბერკეტად, საბიუჯეტო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას – „საბიუჯეტო ფედერალიზმს“ ახასიათებს, როგორც ცალკეული დონის ბიუჯეტების ავტონომიურობისა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების შეხამებას.

საგულისხმოა აკადემიკოს ვლ. პაპავას თვალსაზრისი, რომელიც აღნიშნავს, რომ “საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი“ მოიცავს ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო მოწყობის ორივე მხარეს: ერთი მხრივ, არეგულირებს საგადასახადო შემოსავლების, ხოლო მეორე მხრივ, კი სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი ხარჯების განაწილებას ქვეყნის ცენტრალურ (“ცენტრსა“) და ტერიტორიულ (“რეგიონებს“) სახელისუფლო სტრუქტურებს შორის“. [212:გვ.385]

პროფესორი ნ. ჭითანავა აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკური რეფორმების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საბიუჯეტო ფედერალიზმის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება. საბიუჯეტო ფედერალიზმი ეკონომიკური ცნებაა, რომელიც ახასიათებს ბიუჯეტის მრავალდონიან სისტემას. ჩვეულებრივ, მსოფლიო პრაქტიკაში განიხილავენ ხელისუფლების სამ დონეს: ცენტრალურს, რეგიონულს და ადგილობ-

რივ ორგანოებს. თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი საფინანსო გეგმა, ბიუჯეტი და კონკრეტულ ქვეყანაში დადგენილი წესისამებრ არეგულირებს მის შემოსავლებსა და გასავლებს. სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ცალ–ცალკე ფუნქციონირება და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ეფუძნება გარკვეულ ნორმებს იწოდება საბიუჯეტო ფედერალიზმად. ამ საყოველთაოდ აღიარებულ ტერმინს ჩვენ მართებულად მივიჩნევთ.

„საბიუჯეტო ფედერალიზმი“ მრავალასპექტიანი რთული მექანიზმია, რომლის ძირითადი მიზანია „ცენტრსა“ და „რეგიონს“ შორის ფუნქციათა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის კვალობაზე, (ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე „მეტი ფუნქციების“ დელეგირების გათვალისწინებით) ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

„საბიუჯეტო ფედერალიზმის“ პირობებში უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამი ძირითადი ფაქტორი:

1. ხელისუფლების ყველა დონეს შორის უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნა საფინანსო რესურსების განკარგვაზე;

2. სხვადასხვა სახელისუფლებო დონეებისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა რეალიზაციისათვის, მათი შესაბამისი საფინანსო რესურსებით უზრუნველყოფა;

3. სხვადასხვა დონის ბიუჯეტების დისბალანსის შერბილება ბიუჯეტთაშორისი ტრანსფერტების გამოყენებით, მკაფიოდ განსაზღვრული ნორმების ფარგლებში.

რეგიონული სამართლიანობის პრინციპის დაცვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბიუჯეტო ფედერალიზმის ტიპის ამორჩევაზე. ამ თვალსაზრისით, მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული საბიუჯეტო ფედერალიზმის ორი ძირითადი ტიპი: კონკურენტული (დეცენტრალიზაციის) და კოოპერაციული.

საბიუჯეტო ფედერალიზმის კონკურენტული ტიპი მეტწილად გავრცელებულია განვითარებული ეკონომიკის ზოგიერთ ქვეყანაში და მმართველობითი დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხით, ასევე, რეგიონული ხელისუფლების ფინანსური დამოუკიდებლობითა და სახელმწიფო როლის სისუსტით გამოირჩევა.

საბიუჯეტო ფედერალიზმის კოოპერაციული ტიპი უფრო მეტად არის გავრცელებული მსოფლიოში და რეგიონთაშორისი დისპროპორციების გამოთანაბრების პროცესში ცენტრალური ხელისუფლების შედარებით აქტიური მონაწილეობით ხასიათდება; აგრეთვე, გამოირჩევა რეგიონში საფინანსო რესურსების წარმართვაზე „ცენტრის“ მაღალი პასუხისმგებლობით და მთლიანობაში, ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით.

საბიუჯეტო ფედერალიზმის, როგორც რეგიონული და რეგიონთაშორისი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტის დახმარებით, მნიშვნელოვანი ამოცანები წყდება, სახელდობრ:

- ცენტრსა და რეგიონებს შორის საბიუჯეტო სახსრების განაწილებისას რაციონალური და დიფერენცირებული მიდგომის უზრუნველყოფა. ამასთან, გასათვალისწინებელია რეგიონული თავისებურებები (რესურსები, ეკონომიკური პოტენციალი,

დემოგრაფიული მახასიათებლები, მოსახლეობის ცხოვრების პირობები, საბაზრო მექანიზმების ეფექტიანი განვითარების შესაძლებლობები და სხვ.);

ფისკალური დეცენტრალიზაციის კომპონენტები და კრიტერიუმები

აუცილებელი პირობები	სასურველი პირობები
არჩეული ადგილობრივი საკრებულო და აღმასრულებელი (მერი)	სესხის აღების უფლება
საბიუჯეტო დამოუკიდებლობა	არამიზნობრივი ტრანსფერები ხელისუფლების უფრო მაღალი დონეებისგან
ადგილობრივი თვითმმართველობის ფართო ხარჯვითი უფლებამოსილებები, ფუნქციები და კომპეტენციები	თავისუფლება ცენტრალური ხელისუფლებისაგან ხარჯვით ნაწილში
ადგილობრივი თვითმმართველობის ფართო უფლებამოსილებების თანაფარდი დისკრეცია საკუთარი შემოსავლების მობილიზებაში	
თვითმმართველობებისათვის საკუთრებაში გადაცემული ქონება.	
„მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვა" (Hard Budget Constraint).	
მოსახლეობის რეალური ჩართულობა და გამჭვირვალობა.	

- რეგიონების ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ზრდისათვის, ინსტიტუციონალური გარდაქმნებისათვის, პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის პირობების შექმნა. სხვადასხვა დონის ბიუჯეტების შემოსავლების ფორმირების რეგულირება, მიზნებისა და ამოცანების ხარჯების შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- რეგიონული პოლიტიკის განხორციელების პრინციპების შესაბამისად ფინანსური სახსრების გადანაწილება.

საბიუჯეტო ფედერალიზმზე დამყარებული საბიუჯეტო ურთიერთობები ტერიტორიული განვითარების სახელმწიფო რეგულირების ფინანსური მექანიზმის არსს ასახავენ. ამასთან, მას რეგიონთაშორისი ურთიერთობების არაპირდაპირ, ირიბად (მათი შემოსავლებისა და ხარჯების რეგულირებით) რეგულირებისთვისაც იყენებენ.

საბიუჯეტო ფედერალიზმის რეალიზაცია არა მარტო საქართველოში, არამედ მრავალ სხვა ქვეყანაშიც უამრავ სიძნელესთანაა დაკავშირებული, სახელდობრ: რთულია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების განსაზღ-

ვრა, საბიუჯეტო სახსრების განაწილებასა და გადანაწილებაში სამართლიანობის დაცვა, რეგიონების ინტერესების ერთმანეთთან და ცენტრთან შეთანხმება. საბიუჯეტო რეგულატორები, ხშირად, ეკონომიკური ზემოქმედების საშუალებიდან ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ბერკეტად იქცევა.

ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების მთავარი ამოცანაა რეგიონების დამოუკიდებლობასა და ცენტრის დახმარებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა. უნდა არსებობდეს სხვადასხვა დონის ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების განაწილების საერთო სქემა და იგი რეგიონული განვითარების ეკონომიკურ ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს.

არსებითია, რომ საქართველოში ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები ხელისუფლების ორგანოების მხრიდან სუბიექტური მიდგომებისაგან განთავისუფლდეს.

საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის გაანალიზებისას, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონების საფინანსო-ეკონომიკური დამოკიდებულების ფაქტორს. ამ მიმართულებით კვლევისას, მეცნიერები ე. შტულბერგი და ვ. ვედენსკი გვთავაზობენ რეგიონების საფინანსო-ეკონომიკური დამოკიდებულების მაჩვენებლის $K_{ს.ე.დ.}$ გაანგარიშებას შემდეგი ფორმულით:

$$K_{ს.ე.დ.} = \frac{D_გ + П}{P_გ + B_{ს.ვ.}}$$

სადაც – $D_გ$ – მოსახლეობის ფულადი შემოსავლების მთლიანი მოცულობაა;

П – საწარმოთა მოგება;

$P_გ$ – რეგიონული ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობა;

$B_{ს.ვ.}$ – რეგიონული ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები.

საქართველოს რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებით, შესაძლებელია, გამოვაელინოთ ტერიტორიების დონეებს შორის არსებული დიფერენციაციების თავისებურებები და ტენდენციები.

საქართველოს რეგიონების პერსპექტიული განვითარებისა და მათი დონეების გამოთანაბრების ამოცანების გადაწყვეტის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს საშრეწველო საწარმოთა ოპტიმალური განლაგების პრობლემამ. მხედველობაში გვაქვს რეგიონების რაციონალური სპეციალიზაციის დასაბუთება, სტრუქტურული გარდაქმნები, რეგიონთაშორისი ურთიერთობების განვითარება, შიდა და მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა და სხვ.

რეგიონების სოციალური მდგომარეობის ანალიზის თვალსაზრისით, მეტად საინტერესო ფაქტორია მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობის კოეფიციენტის გათვლა. ეს გათვლა კი შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმულით:

$$K_{დე} = \frac{\sum H + H_ე}{H_{ე.ა.}}$$

სადაც – $K_{დ.ე.}$ – მოსახლეობის დასახლების ეფექტიანობის კოეფიციენტია;

I – მოსახლეობის ჯგუფების რაოდენობა დასაქმების ჯგუფის მიხედვით;

H – მოსახლეობის რაოდენობა დასაქმების არახელსაყრელი პირობებით;

Hუ – უმუშევარი მოსახლეობის რაოდენობა;

Hე.ა-ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა;

ზემოთ მოყვანილი ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობა განპირობებულია ორი ძირითადი მომენტით: დასაქმების არახელსაყრელი პირობების მინიმიზაციით და უმუშევრობის შემცირებით.

ასევე, მეტად მნიშვნელოვანია დამკვიდრდეს დეპრესიული რეგიონების გამოკვეთისა და მათთვის დამატებითი ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენის მეთოდური მიდგომა. ამ მეთოდური მიდგომით დეპრესიული რეგიონების განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმად გამოიყენება ბიუჯეტის ჯამში (Q) გასავლების გაანგარიშებითი გადაჭარბება შემოსავლებზე, რომელიც განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$Q = \frac{P - D}{P} \times 100\%$$

სადაც: p – რეგიონების ბიუჯეტების სოციალური დანიშნულების ხარჯებია, რომელიც იზრდება საკრედიტო ვალდებულებებით, საბინაო კომუნალური მეურნეობების სუბსიდიებით და სხვ.

D - რეგიონების შემოსავლებია, ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარების გათვალისწინებით, რომელიც იზრდება სუბიექტების ბიუჯეტების 20%-იანი დეფიციტის პირობებში.

Q-ს პროცენტულ მნიშვნელობაში უნდა ჰქონდეს დადებითი 0-ზე მაღალი მაჩვენებელი. გასავლების გაანგარიშებით გადაჭარბება შემოსავლებზე ან სოციალური მუხლების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების უკმარისობის აბსოლუტური ჯამი უტოლდება p-D-ს.

საბიუჯეტო ფედერალიზმი ფინანსური ნაკადების მოძრაობის შემდგომ დეცენტრალიზაციასა და ტერიტორიულ განვითარებაში ცენტრალური და რეგიონული ბიუჯეტების როლის ამაღლებას გულისხმობს.

„ადგილობრივი ბიუჯეტების საფინანსო ბაზის განმტკიცება შეუძლებელია ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სრულყოფის გარეშე, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტსა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის სახსრების ობიექტურ განაწილებასთან“. [213:გვ.194]

საქართველოს პირობებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ხელისუფლების სხვადასხვა დონის ერთობლივი გაძღოლის საკითხები. როგორც წესი, ხელისუფლების ძირითადი დაპირისპირება წარმოიშობა არა ისეთ საკითხებზე, თუ რამდენი ფინანსური რესურსი რა მიზნით იქნება მიმართული, არამედ თუ კონკრეტულად ვინ განახორციელებს მის განკარგვას.

საბიუჯეტო ფედერალიზმის გამოყენებისას, გასათვალისწინებელია ადგილობრივი ბიუჯეტების სპეციფიკა. იგი ორი, საპირისპირო მიმართულების ფაქტორით განისაზღვრება, კერძოდ:

- ერთი მხრივ, ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების მექანიზმები უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის თვითკმარისობის პრინციპის რეალიზაციას;
- მეორე მხრივ, ადგილობრივი ბიუჯეტები ერთიანი საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი ნაწილია. უფრო მეტიც, ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობა სახელმწიფოთა კონსტიტუციებში ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილებათა განსაზღვრის საყოველთაო პრაქტიკით იზღუდება.

ამგვარად, ადგილობრივი ბიუჯეტები განკერძოებულია (ფინანსური ავტონომია აქვთ), მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო უფლებამოსილება მაინც სახელმწიფო კანონმდებლობით განისაზღვრება. ამას ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების სტრუქტურაც ადასტურებს, რომელშიც შედის:

- ადგილობრივი გადასახადები;
- არასაგადასახადო შემოსავლები;
- სუბსიდიები;
- სესხები;
- დოტაციები ცენტრალური ბიუჯეტიდან.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ფორმირება, უმეტესწილად, ადგილობრივი გადასახადებით და მოსაკრებლებით, აგრეთვე არასაგადასახადო შემოსავლებით და ზედა რგოლის ბიუჯეტების ანარიცხებით წარმოებს. „ამ წყაროებს შორის თანაფარდობა დამოკიდებულია მართვის რეგიონული ორგანოებისათვის დაკისრებულ ფუნქციებზე, ადგილობრივი გადასახადების ამოღების პოტენციურ შესაძლებლობებზე, აგრეთვე ცენტრალური ხელისუფლების ფინანსურ სიძლიერეზე“. [214:გვ.54]

13.2 საბიუჯეტო ფედერალიზმი ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების სისტემაში

საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების ამოცანათა შორის სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს საბიუჯეტო ურთიერთობების, კერძოდ კი, საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის საკითხები.

საქართველოში საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის პრობლემების გაანალიზებისას, მიზანშეწონილია, განვაზოგადოთ არსებული ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანი მხარეები.

1. საქართველოს რეგიონებში არსებული სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების გარკვეულწილად მოგვარების საკითხები ტერიტორიული ბიუჯეტების შესაძლებლობების ფარგლებში მეტად არაერთგვაროვანია და მისი განსაზღვრის არსებული მეთოლოგია სრულყოფას მოითხოვს;

2. არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერტების გადანაწილების მეთოდიკა. არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ის რაოდენობ-

რივი და სარისხობრივი კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისადაც განისაზღვრება რეგიონებისათვის ტრანსფერტების დიფერენცირებულად გადაცემის ნორმები;

3. ცენტრი არ ფლობს რეგიონების საგადასახადო პოტენციალის შესახებ რეალურ ინფორმაციას;

4. საქართველოს საფინანსო–საბიუჯეტო სისტემის ვერტიკალური დაუბალანსებლობის პირობებში, რომელიც დაკავშირებულია სოციალური ხარჯების რეგიონულ დონეზე გაწევის მზარდ ტენდენციასთან, ხშირ შემთხვევაში, ადგილი აქვს პოლიტიკური კონიუნქტურის ზეგავლენით, არაობიექტური გადაწყვეტილებების მიღებას.

საქართველოში საბიუჯეტო ფედერალიზმის საკანონმდებლო უზრუნველყოფის შემდეგ, მიზანშეწონილია საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონეს შორის ისეთი მნიშვნელოვანი გადასახადის სახეების გადანაწილება (გარკვეული პროცენტული თანაფარდობით), როგორიც არის მაგალითად: დღგ და აშემოსავლო გადასახდი (როგორც ეს არის მაგ: ავსტრიაში).

„საბიუჯეტო ფედერალიზმის“ სრულყოფა პირდაპირ უკავშირდება საქართველოს რეგიონების სოციალური უთანაბრობის პრობლემის გადაწყვეტასა და სამართლიანობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფას.

ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობისას, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მეცნიერულად დასაბუთებული სატრანსფერო პოლიტიკის წარმართვა. თითქმის ყველა ქვეყანაში არის შეუსაბამობა ადგილობრივი ხელისუფლების ხარჯებსა და შემოსავლებს შორის. ეს განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში იგრძნობა, სადაც სახელმწიფოს უმთავრეს პრიორიტეტებს ადგილობრივი ინფრასტუქტურის განვითარება, ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა და ეკონომიკური სტაბილურობის დაცვა-შენარჩუნება წარმოადგენს. ხშირად, ადგილობრივ ხელისუფლებას არ შესწევს იმის უნარი, რომ საკუთარი შემოსავლებით დააფინანსოს ყველა შესაბამისი ხარჯი და ეს სხვაობა, როგორც წესი, შეიძლება დაიფაროს ორი გზით: 1. საგადასახადო ავტონომიის დელეგირებით, ანუ მიეცეს ადგილობრივ ხელისუფლებას საკუთარი შემოსავლების მიღების საშუალება; და 2. ცენტრალური ხელისუფლებიდან მათთვის ტრანსფერის გადაცემით.

იმისათვის, რომ აღმოიფხვრას რეგიონებს შორის არსებითი განსხვავებები და მოხდეს რეგიონებში მოსახლეობის სოციალური პირობების, სოციალური კეთილდღეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ატარებს ერთიან რეგიონულ პოლიტიკას – ხდება ფინანსური დახმარებების გაცემა ერთი დონის ბიუჯეტიდან სხვა დონის ბიუჯეტებში. ევროპული ქარტია პირდაპირ მოითხოვს სახელმწიფოს მიერ ფინანსური თვალსაზრისით სუსტი თვითმმართველობების დაცვას.

ცნობილია კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება სუბსიდიების გამოსაყოფად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს:

- განაწილების ფორმულაში გამოყენებული კრიტერიუმები არსებითად უნდა იყოს დაკავშირებული დაფინანსების მოთხოვნებთან და/ან საკუთრ დანახარჯებთან, აგრეთვე, მეცნიერულად უნდა იყოს დასაბუთებული;

- გამოყენებულ ცვლადებს სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებში დივერსიფიცირებული მნიშვნელობები უნდა ჰქონდეს;

- ფორმულაში გამოყენებული ცვლადების ერთმანეთთან კორელირება არ შეიძლება, რადგანაც ეს გაართულებს სისტემას და არ წარმოაჩენს არანაირ ახალ ინფორმაციას;

- გასათვალისწინებელი ფაქტორები უნდა იყოს გაზომვადი, ხოლო მათთან დაკავშირებული ინფორმაცია – ზუსტი და უტყუარი;

- განსახილველი ფაქტორები არ უნდა იყოს მოწყვლადდი გრანტებითა და სუბსიდიებით დაინტერესებულ მიმღებთა სტატისტიკურ მანიპულაციებთან მიმართებაში.

- სისტემა ნეიტრალური უნდა იყოს ადგილობრივ საგადასახადო პოლიტიკასთან მიმართებაში (ერთდროული სუბსიდიების სისტემის შემთხვევაში). ხოლო, წილობრივი სუბსიდიების სისტემაში, საგადასახადო შემოსავლების უფრო მაღალი მაჩვენებლებისას სუბსიდიების თანხები იზრდება.

მეცნიერებში არსებობს ტრანსფერების საწინააღმდეგო არგუმენტაციაც. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, გათანაბრება ეწინააღმდეგება კაპიტალის განაწილების ყველაზე ეფექტიან საბაზრო პრინციპებს, არღვევს ფასების ბუნებრივ ცვლილებას და უპირისპირდება ფისკალურ ავტონომიას. გარდა ამისა, გამოთანაბრება ვერ უზრუნველყოფს რეგიონის განვითარების სტიმულირებას და აძლიერებს გარეშე ფაქტორებზე დამოკიდებულებას. ტრანსფერების ყველაზე მთავარი სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი დამოკიდებულნი არიან წლიურ სახელმწიფო ბიუჯეტზე. ამან შეიძლება შეამციროს მათი დონე და რაოდენობა ან შეცვალოს მათი განაწილება სახელმწიფოს ფისკალური ან პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. მიუხედევად ამისა, ტრანსფერის, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტების აუცილებელი შემოსავლებით შევსების მეთოდის უარყოფა, არ შეიძლება. მისმა გამოუყენებლობამ შეიძლება ადილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ქრონიკული დეფიციტი გამოიწვიოს, რაც აიძულებს ადგილობრივ ორგანოებს, მუდმივად მიმართონ ზემდგომ ბიუჯეტებს სესხებისათვის. ეს კი, ცხადია გარკვეულ საბიუჯეტო-საფინანსო გართულებებს გამოიწვევს.

გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულა, რომელიც თვითმმართველი ერთეულებისათვის შესაბამისი ტრანსფერის გამოსათვლელად საქართველოში ამჟამად გამოიყენება, საკმაოდ განსხვავდება მისი წინამორბედებისაგან. პირველად გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულა ქვეყანაში 2007 წელს დაინერგა.

გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ფორმულა ასე გამოიყურებოდა: [215:გვ.16]

$$Ti=(R-Ri) \times Pi \times K \times 70\%$$

რომელშიც:

Ti – არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისთვის გადასაცემი გამოთანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა;

R – ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური საკუთარი პოტენციური შემოსულობები;

Ri – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიხედვით ერთ სულ მო-

სახლეზე წლიური ს.აკუთარი პოტენციური შემოსულობები;

Pi – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობა;

K – შემასწორებელი კოეფიციენტი, = 1X2;

1 – მაღალმთიანობის კოეფიციენტი;

2 – მცირემოსახლეობიანი ტერიტორიული ერთეულის კოეფიციენტი.

ფორმულა იმდენად დაუხვეწავი იყო, რომ მისი გამოყენება პრაქტიკაში საერთოდ არც მომხდარა, დაინერგა პრინციპი, რომელიც თვითმმართველი ერთეულების ხარჯებსა და შემოსავლებს შორის სხვაობას ემყარებოდა. 2007 წლისთვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის გადასაცემი გამოთანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ პირობითი შეფასებით, რის გამოც თვითმმართველი ერთეულები არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მთლიანობაში „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარების მთელმა მოცულობამ 19.147 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც გამოთანაბრებით ტრანსფერზე 13.233 ათასი ლარი მოდის. ამასთან ერთად 69-დან 20 მუნიციპალიტეტს ერთი თეთრიც კი არ მიუღია.

2008 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ახალი ფორმულა და წესი, რომელიც ითვალისწინებს, როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების გამოთანაბრებას. ფორმულა ასე გამოიყურებოდა: [216]

$$Ti=(E-R)*K$$

სადაც:

Ti – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფი გამოთანაბრებითი ტრანსფერია;

E – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დასაგეგმი წლის ბიუჯეტის ხარჯები;

R – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დასაგეგმი წლის ბიუჯეტის შემოსავლები;

K – მხარდაჭერის კოეფიციენტი.

მართალია, გათანაბრებითი ტრანსფერის მეორე ფორმულა პირველთან შედარებით გაცილებით უფრო უკეთესი იყო, მაგრამ იგი მაინც შეიცავდა გარკვეულ ნაკლოვანებებს. ნაკლოვანებები არსებობდა, როგორც ხარჯებისა და შემოსავლების გამოთვლის მხრივ (ხარჯების გამოთვლა ემყარებოდა ფაქტობრივ ხარჯებს და არა რეალურ საჭიროებას, ხოლო შემოსავლებში ითვალისწინებდნენ კაპიტალურ შემოსავლებსაც), ასევე სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმების გაუთვალისწინებლობის მხრივაც.

გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულის გაანგარიშების ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №904 ბრძანებით, შემდეგი სახით ხორციელდებოდა:

• გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშება ხდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიხედვით;

• გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის გამოანგარიშების ფორმულის მიზნებისათვის პირველ ეტაპზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა, რაც არ უნდა იყოს დასაგეგმავი საბიუჯეტო წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მოცულობის 4 პროცენტზე ნაკლები.

• მეორე ეტაპზე გაიანგარიშება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამის მოცულობა თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის.

• შემდგომ ეტაპზე ხდება გაიანგარიშება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლების (გრანტების გარდა) დაანგარიშება.

• იმ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, რომლის ბიუჯეტის შემოსავლებიც (გრანტების გარდა) აღემატება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამს, გათანაბრებითი ტრანსფერი არ გამოეყოფა.

• საბოლოო ეტაპზე გამოიანგარიშება თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა.

უმნიშვნელოვანესი პარამეტრი, რაზეც დაფუძნებულია თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი თანხების რაოდენობა, დამოკიდებული იყო მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მაჩვენებლებზე, ვინაიდან სწორედ მშპ-ს 4 პროცენტი იყო განსაზღვრული, როგორც თვითმმართველი ერთეულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მინიმალური ზღვარი.


ზემოთაღნიშნული ზღვარის გამოყენებით დადგინდა, რომ 2010 წელს თვითმმართველი ერთეულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა არ უნდა ყოფილიყო 761,9 მილიონ ლარზე ნაკლები (მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი 19 046,4 მილიონ ლარს შეადგენდა). ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად, ხსენებული ზღვარი 800 მილიონ ლარზე დაფიქსირდა.

გათანაბრებითი ტრანსფერის მოქმედი ფორმულა შემდეგი სახისაა: [217]

T=E-R

და ემსახურება (უნდა ემსახურებოდეს) იმ დეფიციტის კომპენსირებას, რაც, შესაძლოა, არსებობდეს თვითმმართველი ერთეულების ხარჯებსა და არაფინანსური აქტივების ზრდასა და საკუთარ შემოსავლებს (გარდა გრანტებისა) შორის. ტრანსფერის ოდენობა თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტებისათვის განცალკევებულად გამოითვლებოდა.

გათანაბრებითი ტრანსფერტის ფორმულა



საქართველოსთვის აუცილებელია ტერიტორიული ერთეულების საშემოსავლო უნარებთან თუ ხარჯვით მოთხოვნილებებთან მიახლოებული მარტივად გასაგები გამოთანაბრების ფორმულა, რომელიც ითვალიწინებს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაღებულ ფისკალურ ძალისხმევას. ამგვარი ფორმულის ანალოგები უკვე რეალიზებულია და არსებობს სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში, სადაც ჰორიზონტალური გამოთანაბრების პროცესი ხარჯების მიხედვით ხორციელდება.

სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისთვის ტრანსფერტების გამოყოფის მოცემული სქემა ცენტრალური ბიუჯეტის შემადგენლობაში ფორმირებული სახსრების გადაცემას უშუალოდ რაიონის ბიუჯეტებისა და თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტებისათვის ითვალისწინებს. ტრანსფერტის ზომა განისაზღვრება, როგორც ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის გაანგარიშებული ხარჯების მოცულობასა და მათ ტერიტორიებზე აკუმულირებელი შემოსავლების პროგნოზირებად მოცულობას შორის სხვაობა, რომელიც გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$TRi=\alpha i(Expi-Revi)$$

სადაც, TRi – ცენტრალური ბიუჯეტიდან წარმოდგენილი ტრანსფერტის გამათანაბრებელი სიდიდეა i–ური რეგიონის ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისთვის; αi – გამათანაბრებელი კოეფიციენტი „ალფა" ან საგადასახადო უნარის კოეფიციენტი. გამათანაბრებელი კოეფიცინტი „ალფა" (α) ბაზისურ პერიოდში (3 წელი) საშემოსავლო კალა-

თის ზრდის ტემპს აღნიშნავს; Expi – რეგიონის ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ხარჯვით მოთხოვნილებებს; Revi კი – რეგიონის ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საშემოსავლო შესაძლებლობებს (უნარებს);

როგორც ფორმულიდან ჩანს, ტრანსფერტების (დოტაციების) გაანგარიშება შემოსავლებისა და გასავლების მიხედვით ცალ-ცალკე ხორციელდება. საშემოსავლო შესაძლებლობების (უნარების) გაანგარიშება ალგორითმში წარმოებს საბიუჯეტო კალათის გამოყენებით; საბიუჯეტო კალათა უნდა გავიგოთ, როგორც ადგილობრივ ბიუჯეტში იმ დამაგრებული შემოსავლების ჯამი, რომელთა მოკრებაც არ არის დამოკიდებული ან ნაკლებად დამოკიდებულია ადგილობრივი ხელისუფლების გავლენაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის ის დამაგრებული გადასახადები, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე „მოიპოვება" და მათზე ადგილობრივ ხელისუფლებას რაიმე სერიოზული გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ფორმულის მიხედვით, გამოთვლები ეტაპობრივად კონსტრუირდება: პირველ ეტაპზე, თითოეული საბაზისო ტერიტორიული წარმონაქმნის ფისკალური შესაძლებლობების გაანგარიშება ხორციელდება, რაც საშემოსავლო შესაძლებლობების გამოთვლის განუყოფელ კომპონენტად გვევლინება. მეორე ეტაპზე, ამ კოეფიციენტის გათვალისწინებით საშემოსავლო შესაძლებლობების (უნარების) პროგნოზირებადი სიდიდე ან i–ური საბაზო ტერიტორიული წარმონაქმნისა თუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის საშემოსავლო კალათის პროგნოზირებადი სიდიდე (დამაგრებული და საკუთარი შემოსავლების დაგეგმილი სიდიდე) განისაზღვრება. მესამე ეტაპზე, იანგარიშება რეგიონებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ერთიანი ხარჯვითი შესაძლებლობები (Expi). ტრანსფერტების განაწილების ძირითადი პრინციპი ერთ სულ მოსახლეზე ცენტრის ან რეგიონის საბიუჯეტო უზრუნველყოფის ნორმატივების გამოყენებაში აისახება ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, და სხვ. სფეროების მიხედვით. ამ ნორმატივების დამუშავების შემთხვევაში, ფორმულის ხარჯვითი მოთხოვნილებების კომპონენტი განისაზღვრება ერთ სულ მოსახლეზე საბიუჯეტო უზრუნველყოფის ერთიანი ნორმატივის ნამრავლით რეგიონის ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მცხოვრებთა საერთო რაოდენობაზე. ამგვარად, ხარჯვითი მოთხოვნილებები გამოითვლება შემდეგი სახით:

$$Expi = \sum_{i}^{j} nbs \cdot Pi$$

სადაც: Expi – i–ური ბაზისური ტეროტორიული წარმონაქმნის ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ხარჯვითი შესაძლებლობებია;

Σnbs i .... j – რეგიონის ერთ სულ მოსახლეზე საბიუჯეტო უზრუნველყოფის ჯამური ნორმატივი არაწარმოებითი სფეროს მუხლების მიხედვით: განათლება (e), ჯანდაცვა (h), კულტურა (c), ფიზკულტურა და სპორტი (fs), სოციალური დაცვა (sp); ხოლო Pi – i–ური ბაზისური ტერიტორიული წარმონაქმნის ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობაა.

ჰორიზონტალური გამოთანაბრების შემოთავაზებულ ფორმულას მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია. პირველ რიგში, იგი არ არის უზარმაზარი მოცულობის, არ მოითხ-

ოვს გამოანგარიშების მრავალრიცხოვან ალგორითმს და გასაგებად იკითხება, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისათვის. მეორეც, ფორმულა ორიენტირებულია არა საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების მოკრებაზე (დამატებითი ღირებულების გადასახადი, მოგების გადასახადი), რაც ცენტრის პრეროგატივად ითვლება, არამედ დამაგრებულ და საკუთარ გადასახადებზე, რაზეც ადგილობრივი ხელისუფლება ყველაზე ნაკლებად ახდენს გავლენას. ამაში ვლინდება დოტაციების პირდაპირი კავშირი მოცემულ ტერიტორიებზე მოკრებილ გადასახადებთან, რომლებიც მთლიანად შედიან ადგილობრივ ბიუჯეტებში. მესამეც, ფორმულა საკმაოდ მნიშვნელოვან კომპონენტს შეიცავს – ტერიტორიების მიერ გადასახადების გენერირების უნარს, რაც ტრანსფერტის გამოყოფის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს. მეოთხეც, ფორმულა გამორიცხავს ისეთ ხერხებს, რომლებიც „რობინ ჰუდის" მეთოდს მოგვაგონებენ, კერძოდ, კი დამაგრებული გადასახადების განაწილებას რეგიონთაშორისი რეგულირების ფარგლებში და უარყოფითი ტრანსფერტის ზემდგომი ბიუჯეტების ამოღებას, ანუ ბაზისური ტერიტორიული ერთეულების საშემოსავლო შესაძლებლობებსა და ხარჯვით მოთხოვნილებებს შორის სხვაობის გადაჭარბებას, რაც ხშირად გვხვდება საშემოსავლო-გასავლის გამოთანაბრების ფორმულაში მთელ რიგ ფედერაციულ სახელმწიფოებში.

და ბოლოს, იგი გულისხმობს ხარჯვითი მოთხოვნილებების გამოანგარიშებას საბიუჯეტო უზრუნველყოფის ნორმატივების (სტანდარტების) საფუძველზე.

ჩვენი აზრით, ეფექტიანი რეგიონული პოლიტიკის განხორციელება, დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის საერთო საშუალო დონემდე გათანაბრება, რომელიც დაეფუძნება მინიმალურ სახელმწიფო სოციალურ სტანდარტებს და შესაბამის ფინანსურ ნორმებს, რეგიონული განვითარების დაფინანსების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად უნდა იქნეს მიჩნეული.

მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტი წარმოადგენს ერთიან ან ჯგუფურ ხვედრით მაჩვენებელს, რომელიც აუცილებელია მოსახლეობის ძირითადი სახეების მიხედვით მომსახურების გასაწევად. ფინანსური სტანდარტი არის მინიმალური სოციალური სტანდარტის ფულადი გამოსახულება. მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტი სახელმწიფო მომსახურებაა, რომელიც მიეწოდება მოქალაქეებს ყველა დონის ბიუჯეტებიდან და არასაბიუჯეტო ფონდებიდან უსასყიდლოდ და დაუბრუნებლობის პრინციპით. სახელმწიფო მინიმალური სოციალური სტანდარტები უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

- საქართველოს მოქალაქეების მიერ მათთვის კონსტიტუციით მინიჭებული ძირითადი უფლებების განხორციელებას;
- სახელმწიფოს მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს, ავტონომიური რესპუბლიკების მმართველობის ორგანოებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების მოწესრიგებასა და სრულყოფას.

მინიმალური სოციალური სტანდარტები და შესაბამისი ფინანსური ნორმები უნდა დამტკიცდეს შემდეგ სფეროებში:

- განათლება;

- ჯანმრთელობის დაცვა;
- კულტურა;
- მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა;
- საბინაო-კომუნალური მომსახურება;
- გარემოს დაცვა.

მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტები უნდა შემუშავდეს შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაცვა;
- ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მინიმალური სოციალური სტანდარტების დაცვა.

მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტების რეალიზაცია ადგილობრივ თვითმმართველობებში გარანტირებული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ მათზე საშემოსავლო წყაროების მიმაგრებით. შემოსავლებმა უნდა დაფაროს საჭირო ხარჯები, ხოლო სახელმწიფო რწმუნებულებმა – გუბერნატორებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ სოციალური სტანდარტების რეალიზაცია. მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტები საფუძვლად უნდა დაედოს ზედა დონის ბიუჯეტიდან ქვედა დონის ბიუჯეტისათვის ფინანსური დახმარების მოცულობის განსაზღვრას. სტანდარტების რეალიზაცია უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისათვის ადეკვატური ფინანსური წყაროების მიმაგრებით და ზემდგომი ბიუჯეტებიდან ტრანსფერის სახით ფინანსური დახმარების აღმოჩენით.

სოციალური სტანდარტებისა და ფინანსური ნორმების გამოყენებით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილის ფორმირება საფუძვლად უნდა დაედოს საბიუჯეტო რეგულირების მეთოდოლოგიას.

მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტები უნდა დადგინდეს საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს სამომხმარებლო კალათის ღირებულებით შეფასებას. საარსებო მინიმუმი გამოყენებული უნდა იქნეს ქვეყნის სოციალური პოლიტიკისა და რეგიონული სოციალური პროგრამების შემუშავებისას მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასების, შრომის ანაზღაურებისა და პენსიების მინიმალური ოდენობის დადგენის, აგრეთვე სტიპენდიების, დახმარებების და სხვა სოციალური ხარჯების მოცულობის განსაზღვრის მიზნით.[218]

საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს კანონპროექტი „მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტების შესახებ“

გამოთანაბრების ახალი მიდგომების წარმატებით გამოყენება ფინანსური წლის განმავლობასა და უფრო მომავალ პერსპექტივაშიც შესაძლებელია „თამაშის წესების“ სრული გამჭვირვალობის შენარჩუნების პირობებში. ფორმულის კომპონენტთა მუდმივმა ცვლილებამ, ძველის ახალი მაჩვენებლებით ხშირმა ჩანაცვლებებმა შესაძლოა, სერიოზული დარტყმა მიაყენოს გამოთანაბრებას სამართლიანობის პრინციპების თვალსაზრისით

ფორმულის საფუძველზე იდეის პრაქტიკული დისკრედიტირება გამოიწვიოს. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა გამოთანაბრების ფორმულაში კორექტივების შეტანა მოხდეს ბოლოს განხორციელებული შესწორებებიდან არა უადრეს სამი წლისა. მნიშვნელოვანია ჰორიზონტალური გამოთანაბრების ფორმულის დანერგვის აუცილებლობის გაცნობიერება, რათა იგი მთლიანობაში პასუხობდეს ფუნდამენტურ მოთხოვნებს:

1. ფინანსური გამოთანაბრების ფორმულა აუცილებლად უნდა იქნეს შეთანხმებული ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, რათა არ შეილახოს შედარებით უფრო კეთილმოწყობილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ინტერესები; თუმცა, ამით სუბსიდირების მმართველობის ორგანოებს არ უნდა წაართვას სტიმულები მათი საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

2. გამოთანაბრების ფორმულა აუცილებლად მოითხოვს ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობაში (საბიუჯეტო კოდექსში ან სხვა ანალოგიურ საკანონმდებლო აქტებში) ასახვას.

3. გამოთანაბრების ფორმულაში მკაფიოდ უნდა იკითხებოდეს გამომუშავების სტიმულირებისა და არა საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების იდეა. საგადასახადო ძალისხმევა და სოციალურ-ეკონომიკური დონე ურთიერთდამოკიდებული ცვლადები უნდა იყოს. რაც უფრო დიდ ფინანსურ შედეგებს აღწევს ადგილობრივი ორგანო, მით უფრო მაღალი უნდა იყოს რაიონის ან მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე.

4. გამოთანაბრების ფორმულა არ უნდა შეიცავდეს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც ცენტრისთვის დოტაციებს (ტრანსფერტებს), მმართველობის ქვემდგომ დონეებზე პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ინსტრუმენტებად გადააქცევენ.

ამჟამად საქართველოში გამოიყენება, შემდეგი სამი სახის ტრანსფერი: კაპიტალური ტრანსფერი, სპეციალური ტრანსფერი და მიზნობრივი ტრანსფერი. გამათანაბრებელი (გათანაბრებითი) ტრანსფერი 2019 წლიდან აღარ გამოიყენება. (იხ. საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ დოკუმენტის ნომერი 4018-Iს; მიღების თარიღი 14/12/2018; ძალაში შესვლის თარიღი 01/01/2019).

სპეციალური ტრანსფერი გამოიყოფა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტიდან სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. სპეციალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება. მუნიციპალიტეტმა ტრანსფერი შესაძლებელია გამოყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმარდება ტრანსფერის გამცემი მუნიციპალიტეტის მიზნებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში.

კაპიტალური ტრანსფერი გამოიყოფა მუნიციპალიტეტებისთვის საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს რომ:

- იქმნება სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაშიც სხვებთან ერთად შედიან ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის წარმომადგენელი, რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე და სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლები, რომლებიც აწარმოებენ მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციას;

- მუნიციპალიტეტები კომისიას წარუდგენენ წინადადებას სხვადასხვა კაპიტალური პროექტის შესახებ;


- სამთავრობო დადგენილებით განისაზღვრება პროექტების შერჩევის კრიტერიუმები;

– მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ პროექტების თანადაფინანსებაში 5 %-ით მაინც;

- კომისია გამოყოფს სახსრებს კონკრეტული პროექტებისთვის და დაფინანსების გადარიცხვა წარმოებს მუნიციპალიტეტებისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის და ფაქტობრივი შესრულების მიხედვით.

მიზნობრივი გრანტები ერთი ბიუჯეტიდან მეორეში დელეგირებული ფუნქციის ფინანსური უზრუნველყოფისათვის.[219:გვ.30-31]

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის დინამიკა (2013-2018 წწ)



წყარო: ფინანსთა სამინისტრო

2018 წელს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გათანაბრებითი ტრანსფერის სახით სულ გათვალისწინებული იყო 705 მლნ ლარი, რაც, წინა წლის მონაცემებთან შედარებით 50,3 მლნ ლარით მეტი (8 %-იანი ზრდა), ხოლო 2016 წლის მონაცემებთან შედარებით 105,7 მლნ ლარით მეტია (18%-იანი ზრდა). გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის უდიდესი ნაწილი 61% ნაწილდება 5 თვითმმართველ ქალაქზე – 427,8 მლნ ლარი, ხოლო დარჩენილი 39% დანარჩენ 64 მუნიციპალიტეტზე – 277,2 მლნ ლარი.


ტრანსფერების განაწილებისას საკმაოდ სერიოზული პრობლემები წარმოიქმნებოდა. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში ტრანსფერები სუბიექტური კრიტერიუმების გათვალისწინე-

ბით გამოიყოფა და ნაკლებად ემყარება ობიექტურ გამოთვლებსა და ქვეყანაში არსებულ რეალურ მოთხოვნილებებს თვითმმართველი ერთეულების მიხედვით. სუბიექტურად მიღებული გადაწყვეტილება კი არ არის გამჭვირვალე და შეიძლება იგი სხვადასხვა მანიპულაციას ემსახურებოდეს. ამიტომ, არსებული პრობლემის მოგვარებისას საჭიროა მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობა.

საერთო პრობლემას წარმოადგენდა ისიც, რომ გამოთანაბრებითი ტრანსფერის გამოსაანგარიშებელი ფორმულები ძალზე ხშირად იცვლებოდა (თითქმის ყოველ წელს) და რთულდება ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე. არასაკუთარი შემოსულობების (მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერები და სხვა მოზიდული სახსრები) მიღება და მისი ოდენობა კი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

აღსანიშნავია, რომ 2019-წლამდე სატრანსფერო პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფდა ადგილობრივ ბიუჯეტებში შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას და, სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქით ხდება – იგი ხელს უწყობს სუბიექტურ მიდგომებს. სატრანსფერო პოლიტიკა არ შეესაბამება რეგიონებში რეალურად არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

მუნიციპალურ შემოსულობებში გრანტები % წილი 2013-2018



წყარო: ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით

საქართველოს რეგიონების ეკონომიკური განვითარება და ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა წარმოუდგენელია მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გაძლიერებისა და ტერიტორულ ერთეულებში რეალური თვითმმართველობის განხორციელების გარეშე. სამწუხაროა, რომ ნაკლები ყურადღება ეთმობა აღნიშნულ სფეროში მეცნიერული კვლევისა და ანალიზის შედეგების ცხოვრებაში დანერგვას და პრაქტიკულ გამოყენებას.

დღეისათვის, საქართველოში საბიუჯეტო სფეროში წარმოქმნილი კრიზისი ვლინდება ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დონეებზე დაუბალანსებლობით, რამაც შესაძლოა ცენტრსა და რეგიონებს შორის ფინანსური და პოლიტიკური წინააღმდეგობები გაამწვავოს.

13.3 მუნიციპალური ბიუჯეტი – ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური საფუძველი

საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა თვითმმართველობის ელემენტები, მაგრამ იგი თავისი მისიითა და სტრუქტურით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის დღევანდელი ინსტიტუტისაგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ქართული სისტემა დღესაც მოკლებულია ქართულ ტრადიციულ ელემენტებს და ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილებისაგან და ფაქტობრივად მუდმივი რეფორმირების პროცესშია.

ამჟამად ამ სფეროს მარეგულირებელი კანონდებლობა ქართულ სამართლებრივ ტრადიციებს კი არ ეფუძნება, არამედ იმ ქვეყნების სამართლებრივი ანალოგიების კრებულს წარმოადგენს, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველობის ხანგძლივი გამოცდილება აქვთ. შედეგად, თვითმმართველობის სისტემის ფორმირების პროცესი ქვეყანაში ნელა და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს – ხშირად ხდება ერთხელ აღებული კურსის ცვლა ცენტრალიზაციისა თუ დეცენტრალიზაციის მიმართულებით. ცალკეულ წარმატებებს ხშირად მოსდევს სტაგნაციის ეტაპები და უკან – ძველი, ტოტალიტარული ან ავტორიტარული სისტემისათვის დამახასიათებელი მმართველობის ფორმებისაკენ დაბრუნებაც. აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ართულებს ის პოლიტიკური გარემო, რომელშიც ქართულმა სახელმწიფომ შესაბამისი სტრუქტურები უნდა ჩამოაყალიბოს. საბჭოთა კავშირის დაშლისა და სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში, რომელსაც საბჭოური სისტემიდან მემკვიდრეობით სამი ავტონომიური წარმონაქმნი (აფხაზეთი, აჭარა და სამხრეთ ოსეთი) ერგო, დღის წესრიგში მწვავედ დადგა ქვეყნის პოლიტიკური და ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი. სამწუხაროდ, მრავალი გარე თუ შიდა ფაქტორის ზემოქმედების შედეგად, შეუძლებელი გახდა მშვიდობიანი და ცივილიზებული გზით ურთიერთობების მოგვარება როგორც პოლიტიკურ წარმონაქმნებთან, ისე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ანკლავებთან და ზოგადად რეგიონებთან, რომელთაგანაც თითოეულს, მრავალ საერთოსთან ერთად, საკუთარი პრობლემები და ინტერესები გააჩნიათ.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განვლილ პერიოდში (1991 წლიდან მოყოლებული) ვერ მოხერხდა ქვეყნის ინსტიტუციონალური მოწყობის ერთიანი ძირეული პრინციპების შემუშავება, ამიტომ ქვეყანაში სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარე რეფორმები ურთიერთწინააღმდეგობით ხასიათდება. [220:გვ.3-4]

საქართველოში თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

- მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში;
- თვითმმართველობის ორგანოთა დამოუკიდებლობა კანონის მიერ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში;
- საქართველოს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა;
- თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობა;

- ანგარიშვალდებულება მოქალაქეთა წინაშე;
- სახელმწიფოსა და თვითმმართველი ერთეულის ურთიერთთანამშრომლობა და დახმარება;
- სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნა;
- სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შორის დავის სასამართლოს წესით გადაწყვეტა;
- თვითმმართველი ერთეულის საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

2004 წლის 15 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელდა „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის" რატიფიცირება (ძალაშია 2005 წლის 15 მაისიდან).

რეგიონული განვითარების მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში დღემდე სრულყოფილად შემუშავებული არ არის. აღნიშნულ გარემოებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ის ფაქტი, რომ ქვეყნის კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული რეგიონის, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, სტატუსი.

საქართველოში ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების დონეზე, ამჟამად მოქმედებს სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ინსტიტუტი. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ არსებობს პირდაპირი უფლებამოსილება, რომელიც სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორს ან რომელიმე სხვა თანამდებობის პირს/ორგანოს მიანიჭებდა სისტემური სახის მქონე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებისა და მიმართულებების განმსაზღვრელი კონკრეტული გრძელვადიანი ან საშუალოვადიანი გეგმის დამტკიცების უფლებამოსილებას. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ქვეყნის კანონმდებლობით ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული რეგიონის, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, სტატუსი და შესაბამისად, არ არსებობს რეგიონის ბიუჯეტი.

2010 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების კომისიის მიერ მომზადებული საქართველოს რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკური მოხსენება ამასთან მიმართებით რამდენიმე განმარტებას იძლევა, კერძოდ:

- თვითმმართველობის დონეზე „რეგიონის" ქვეშ იგულისხმება მუნიციპალიტეტები და თვითმმართველი ქალაქები.
- მმართველობის დონეზე „რეგიონად" განიხილება სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორების კომპეტენციების გავრცელების ტერიტორიული არეალი.

„რეგიონის ბიუჯეტი" შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სახელმწიფო რწმუნებულების განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო ფინანსური ნაკადების ერთობლიობა. მისი მთავარი შემადგენელი ნაწილებია: აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები და ამ ერთეულებში რეგიონული განვითარების სახელმწიფო პროგრამებისათვის განსაზღვრული საბიუჯეტო სახსრები:

- „რეგიონის ფინანსები" არის სახელმწიფო რწმუნებულებისათვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული იურიდიული პირებისა და შინამეურნეობების ფინანსები;
- „რეგიონული განვითარება" ნიშნავს ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს

რეგიონში, რომელიც უზრუნველყოფს განვითარების ახალი, გამოუყენებელი პოტენციალის რეალიზებას, ეროვნული ეკონომიკური განვითარების მდგრადობას და დაჩქარებას, რეგიონის კონკურენტუნარიანობის ზრდას, რეგიონებს შორის განვითარების დონეების გამოთანაბრებას.

▪ „რეგიონული განვითარების დაფინანსებაში" იგულისხმება ყველა ის ფინანსური ნაკადი, რაც მიმართულია რეგიონულ განვითარებაზე. რეგიონული განვითარების დაფინანსების წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტი, თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები, საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციების სახსრები, კერძო სექტორის ფინანსები, გრანტები, შემოწირულობები და სხვა ფინანსური წყაროები, რაც კანონით არ არის აკრძალული. [221]

ახალ სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოში იზრდება ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის სახელმწიფო სტრუქტურებთან ინტეგრაციის საფრთხე. ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია ისეთი ფაქტორების გაძლიერება, როგორიცაა:

ა) თვითმმართველი ერთეულების ინიციატივების გამოვლენის, შესწავლისა და რეალიზაციის შესაძლებლობების სისტემის ფორმირება;

ბ) თვითმმართველი ერთეულების საკუთარი შემოსავლების სეგმენტის გაფართოება და განმტკიცება;

გ) თვითმმართველი ერთეულების მიზნობრივი ასოცირებისა და კოოპერირების პრაქტიკის დანერგვა;

დ) ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, თვითმმართველი ერთეულებისთვის წარმატებული დასაქმებისა და ინვესტირების პროგრამების განსახორციელებლად შესაძლებლობების შექმნა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ადგილობრივი ფინანსების უმთავრესი ბლოკია და ქმნის ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარ ფინანსურ საფუძველს. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი არის საშუალება მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნათა მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად. მისი მეშვეობით თვითმმართველობები იძენს რეალურ დამოუკიდებლობას. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" მოითხოვს ბიუჯეტური ფედერალიზმის დამკვიდრებას ქვეყანაში, რაც გულისხმობს ყველა ბიუჯეტის დამოუკიდებლობას. ეს დამოუკიდებლობა, ბუნებრივია, აბსოლუტური არ არის და ითვალისწინებს ერთ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას იმავე დონის ბიუჯეტით. ამ პრინციპის განხორციელებისათვის ქვეყანაში უნდა შეიქმნას დეცენტრალიზაციისა და დეკონცენტრაციის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები.

ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური დეცენტრალიზაციის პრინციპები თანხვდება მისი განხორციელების რეალურ პრაქტიკას. ეს უზრუნველყოფილია ევროპის საბჭოს 1985 წლის 15 ოქტომბრის ქარტიით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ".

იმავე პრინციპებს ემყარება საქართველოში თვითმმართველობის საბიუჯეტო სისტემა, თუმცა აქ დიდი სხვაობაა პრინციპებსა და მათი განხორციელების პრაქტიკას შორის. დეცენტრალიზაციის ძირითადი ნაწილია ფისკალური დეცენტრალიზაცია, რომლის შეფასებისთვისაც OECD-ის შემუშავებული აქვს ბიუჯეტური დამოუკიდებლობის კრიტერიუმ-

თა სისტემების 3 დიდი ჯგუფი: (1) საბიუჯეტო შემოსავლების, (2) საბიუჯეტო ხარჯებისა და (3) ვალების პოლიტიკის მიხედვით;

საქართველოს სინამდვილე შეიძლება ზოგადად ასე შეფასდეს: ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შემთხვევაში საბიუჯეტო ავტონომია და ეკონომიკური დეცენტრალიზაცია დასრულებისაგან ჯერ კიდევ შორსაა. ამ ჯგუფების მიხედვით შეფასება შემდეგნაირია:

1. საბიუჯეტო შემოსავლები ყველა გადასახადი და მოსაკრებელი დგინდება კანონით;

• ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილებათა განზრცილება გადასახადებისა და მოსაკრებელების დადგენის ნაწილში შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებში;

• ცენტრალური ხელისუფლება განსაზღვრავს არა მარტო გადასახადებისა და მოსაკრებლების სახეებს, არამედ საგადასახადო ბაზასაც;

• ტრანსფერები ზედა დონის ბიუჯეტებიდან ქვედა დონის ბიუჯეტებზე ხორციელდება მხოლოდ მიზნობრივად;

• პოლიტიკური მიზანშეწონილობით, ცენტრალურმა ხელისუფლებამ გადასახადისგან გაათავისუფლა 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწები მაშინ, როდესაც ეს გადასახადი ადგილობრივი ბიუჯეტის წყაროა;

• საშემოსავლო გადასახადის ნაწილი, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობებს ეძლეოდათ, სეგრეგირებულია.

2. საბიუჯეტო ხარჯები

• ადგილობრივ ბიუჯეტებში არ არის დადგენილი მინიმალური სოციალური სტანდარტები ცენტრალური ბიუჯეტიდან გათანაბრებითი ტრანსფერისათვის;

• არ არის დადგენილი საკუთრების უფლების აღსრულების სრული ხარჯი;

• არ არის განსაზღვრული სამეწარმეო უფლებამოსილებანი.

3. ვალების პოლიტიკა

• ადგილობრივი ბიუჯეტების დეფიციტის საკითხი დაურეგულირებელია;

• არ არის განსაზღვრული ადგილობრივი ხელისუფლების უფლებები სესხების გაცემისა თუ მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების გამოცემისა და საბანკო სესხების აღების ნაწილში, ასეთი რამ მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვითაა შესაძლებელი. საქართველოში ადგილობრივი ბიუჯეტები შემოსავლების სიმწირით ხასიათდება, რაც პირდაპირ აისახება საჯარო სექტორში მის მიერ გაწეული ხარჯების წილზე. 2017 წელს საქართველოს საჯარო სექტორის მიერ ქვეყანაში დახარჯული ყოველი 100 ლარიდან 84 საქართველოს ცენტრალურმა ბიუჯეტმა განკარგა, 2 ლარი — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ხოლო 7 ლარი — დედაქალაქის ბიუჯეტმა, ყველა დანარჩენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს კი, ჯამურად, მხოლოდ 7 ლარი ერგო.[222] ბუნებრივია, ბიუჯეტებს შორის სახსრების ამგვარი განაწილების გამო, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში მუნიციპალიტეტთა როლი ძალზე შეზღუდული იქნება, რადგან მათი მწირი ფინანსური რესურსი არსებით გავლენას ვერ მოახდენს ეკონომიკურ, განსა-

კურორტებით, ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე. თუ სახსრები სწორად არ გადანაწილდება. ეკონომიკურ ზრდაზე საჯარო სექტორის გავლენის მთავარი აქტორი კვლავაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება იქნება, ხოლო მუნიციპალიტეტები მხოლოდ მეორეხარისხოვან, დამხმარე როლს შეასრულებენ, როგორც ცენტრალური მთავრობის ერთგვარი დანამატები (რაც ბიუჯეტების შემთხვევაში ნათლად ჩანს). სახსრების ამგვარ არასწორ გადანაწილებას საკანონმდებლო თვალსაზრისით ძირითადად განაპირობებდა შემდეგი ფაქტორები:

1. ერთადერთი ადგილობრივი გადასახადი – ქონების გადასახადი, რომლის ხვედრითი წილი მთლიან გადასახადებში უმნიშვნელოა. საშემოსავლო გადასახადი, რომელიც თავის დროზე მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტებში რჩებოდა, გარდა უმნიშვნელო წილისა, კვლავაც ცენტრალურ ბიუჯეტში მიიმართება.

2. ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ კვლავაც რჩება გამოთანაბრებითი ტრანსფერი, რომელიც სახელწოდების მიუხედავად, სინამდვილეში გამოთანაბრების პოლიტიკას არ ემსახურება. ეს დასტურდება თუნდაც იმით, რომ როგორც აბსოლუტური მოცულობით, ასევე მოსახლეობის ერთ სულზე გადაანგარიშებით, თბილისი, რომელიც განვითარებით გაცილებით უსწრებს სხვა მუნიციპალიტეტებს, ყველზე მეტს იღებს ამ ტრანსფერიდან.

3. ადგილობრივ თვითმმართველობებს შემოსავლის წყაროდ განესაზღვრა საშემოსავლო გადასახადი, კერძოდ, მისი შემდეგი სახეები: ა) საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან; ბ) არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან);

გ) საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან, ასევე: დ) ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან; ე) ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან და ვ) ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან [223] (ანუ შერჩეულია ყველაზე მცირეშემოსავლიანი სახეები). ამასთან, ეს დისკრიმინაციული და არასწორი მიდგომაა, ყველა ტიპის საშემოსავლო გადასახადში უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის წილი.

ცენტრალური ხელისუფლება გამოვიდა ინიციატივით არსებული გათანაბრებითი სისტემის შეცვლის შესახებ, რომელიც საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტთან ერთად, წარმოდგენილი იყო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტშიც. 2019 წლამდე მოქმედი გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულის შესაბამისად გასანაწილებელი თანხა (რომელიც არ უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მოცულობის 4%-ზე ნაკლები (მუხლი 73, პუნქტი 2),[224] იყოფა მუნიციპალიტეტებზე. გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების კრიტერიუმებია: მოსახლეობის რაოდენობა; 6 წლამდე ბავშვების რაოდენობა; 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობა; „იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი (სარეიტინგო ქულა) ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე"; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფართობი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე. გათანაბრებით ტრან-

სფერში თბილისის მონაცემები არ იანგარიშება, რაც, ბუნებრივია, მაჩვენებელთა დიდ ცდომილებას იწვევს: თუ გაანგარიშებაში ჩაითვლება დედაქალაქის მონაცემებიც, ყველა საშუალო მაჩვენებელი გაიზრდება. შესაბამისად, მოიმატებს ტრანსფერების ზომაც, რომელიც სხვა მუნიციპალიტეტებს უნდა გადაეცეთ. ეს რეალობაა და რეალური პოლიტიკაც სწორედ მას უნდა დაეფუძნოს. ამასთანავე, „გათანაბრებითი ტრანსფერი" არასწორი დასახელებაა – მისი შინაარსი არ შეესაბამება არც სახელწოდებას („გათანაბრებითი") და არც მისთვის კანონით განსაზღვრულ მიზანს. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლი გათანაბრებითი ტრანსფერის მიზანს, ფაქტობრივად, ორი მიმართულებით განსაზღვრავს: „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სოციალურ – ეკონომიკური განვითარების გათანაბრებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერით უზრუნველყოფს სახელმწიფო" (პუნქტი 1); და „გათანაბრებითი ტრანსფერის მიზანია, სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების გათანაბრება" [225] (პუნქტი 3) პირველი მიზანი გამოხატავს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნას: „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად, კანონი ადგენს შეღავათებს" (მუხლი 31).[226] სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, განათლების, მეცნიერებისა და ადამიანისეული კაპიტალის განვითარებას და ა.შ. ამიტომ ეს ფორმულა შესაცვლელია, მით უმეტეს, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციით საუბარია საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაზეც (მუხლი 5, პუნქტი 4).[227] აშკარაა, რომ თავის გაანგარიშების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, გათანაბრებითი ტრანსფერი ვერ შეასრულებს საკონსტიტუციო მიზანს, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრება. მეორე მიზანი – ფინანსური რესურსების გათანაბრება – გულისხმობს მომსახურების ერთიანი სტანდარტის ხელმისაწვდომობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამისთვის აუცილებელია, არსებობდეს ის საერთო მნიშვნელი, რომლის მიხედვითაც მოხდება გათანაბრება. ასეთი მნიშვნელის ფუნქცია უნდა შეასრულოს ეროვნულმა სტანდარტებმა, რომლებიც დადგენილია, როგორც მომსახურების სავალდებულო მინიმუმი და აუცილებლად შესასრულებელი, დაწყებული საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული მომსახურების მინიმუმითა და დამთავრებული სოციალური თუ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმატივებით. ასეთ შემთხვევაში გასაგები ხდება იდეა ამ სტანდარტის შესასრულებელი ხარჯის გათანაბრების შესახებ ყველა მუნიციპალიტეტში, ვინაიდან, თუ თვითმმართველობას არ ექნება საკმარისი საკუთარი შემოსავლები ამ სტანდარტების უზრუნველსაყოფად, ის შეივსება ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებული ფულადი დახმარებით (ტრანსფერით). ასეთი ტრანსფერი მინიმალური ხარჯების დაფინანსებაში არსებული დეფიციტის შევსების წყაროა. დღეს არსებული გათანაბრებითი ტრანსფერი არ ემსახურება არც ერთ და არც მეორე მიზანს. იგი არ ასრულებს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ვალდებულებას სოციალურ-ეკონომიკური განვი-

თარების გათანაბრების შესახებ, არც სუბსიდიარობის პრინციპს ახორციელებს, ის უბრალოდ წინასწარ განსაზღვრული თანხის გადანაწილების ფუნქციას ასრულებს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, არსებული სახით გათანაბრებითი ტრანსფერი შესაცვლელია, რაზედაც მკაფიოდ მიუთითებს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის რეკომენდაციები. [228:გვ.39-46]

ფორმალურად დაცულია „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიით" განმტკიცებული ადგილობრივი თვითმმართველობის ფისკალური ავტონომიის პრინციპი.

თუმცა, თვითმმართველი ერთეულების ფაქტობრივი საფინანსო-ეკონომიკური ავტონომიურობის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია; თვითმმართველობის უფლებას – შემოიღოს ადგილობრივი გადასახადები, თან ახლავს სერიოზული შეზღუდვები ცენტრის მხრიდან. ეს გარემოება, ბუნებრივია, ამცირებს ადგილობრივ ფისკალურ და ფინანსურ დამოუკიდებლობას, რაც დღის წესრიგში აყენებს ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო საფუძვლების დახვეწისკენ მიმართული თანმიმდევრული ღონისძიებების გატარების აუცილებლობას. ამ თვალსაზრისით, ყურადღება უნდა გავამახვილოთ არსებული პრაქტიკის შემდეგ ნაკლოვანებებზე:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობა, პრაქტიკულად, სრულადაა ფინანსურად დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე;

ბ) ძალზე მცირეა თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო შემოსავლების ოდენობა;

გ) ძალზე მცირეა საკუთარი შემოსავლების ხვედრითი წილი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო შემოსავლებში;

დ) შეზღუდულია თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციები ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების და მათი განაკვეთების განსაზღვრის სფეროში;

ე) არაადეკვატური პროპორციით არის განაწილებული საბიუჯეტო შემოსავლები საჯარო ხელისუფლების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებს შორის;

ვ) ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის პროცესი დღეისათვის არ წარიმართება დახვეწილ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებზე დაყრდნობით. ადგილობრივი ბიუჯეტები არ არის პროგრამული და შედეგებზე ორიენტირებული;

ზ) თვითმმართველ ერთეულებს საკუთრებაში ჯერ კიდევ არ გადასცემია ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ქონების უდიდესი ნაწილი, მათ შორის ბუნებრივი რესურსები (ადგილობრივი მნიშვნელობის მიწის რესურსები, წყლის ობიექტები, ტყე და ა.შ.), რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივი საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის სისტემურ და ეფექტიან დაგეგმვას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2002-2003 წლებში თვითმმართველობები მთლიანად ან ნაწილობრივ იღებდნენ 12 სახის ადგილობრივ და ზიარ გადასახადს. 2004-2005 წლებში, გადასახადების სახეების შემცირებისა და ზიარი გადასახადების გაუქმების შემდეგ, მათ 4 სახის გადასახადი დარჩათ, მოგვიანებით დარჩენილი გადასახადებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი – მოგების გადასახადიც – ცენტრალურმა ბიუჯეტმა წაიღო.

2006 წელს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტში სრულად ირიცხებოდა:

- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი;
- მოსაკრებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვისათვის;
- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისთვის;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის;
- ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაწესებული სატენდერო მოსაკრებელი.
- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ გადახდევინებული სახელმწიფო ბაჟი;
- შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველობის მფლობელობაში არსებული ქონებისა და მიწის იჯარიდან;
- შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველობის მფლობელობაში არსებული ქონების გაყიდვიდან;
- ამ თვითმმართველი ერთეულის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები.

2007-2008 წლამდე მუნიციპალიტეტები ფლობდნენ შემოსავლის ისეთ მნიშვნელოვან წყაროს საკუთარი შემოსავლების სახით, როგორიც არის მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები. ასევე, ქონების გადასახადი ადგილობრივი გადასახადის სახით. 2007-08 წლიდან მოხდა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების სრულად სახელმწიფო ბიუჯეტში გადატანა (გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა, სადაც საშემოსავლო გადასახადი სრულად რჩება ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში). აღნიშნულის საკომპენსაციოდ აქტიურად გამოიყენებოდა გათანაბრებითი ტრანსფერი (გრანტი), რომელიც წარმოადგენდა მუნიციპალიტეტების ძირითადი შემოსავლების წყაროს მას შემდეგ, რაც საშემოსავლო და მოგების გადასახადის ცენტრალურ ბიუჯეტში გადატანა მოხდა.

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს უფლება აქვთ, თავად დააწესონ ქონებაზე ადგილობრივი გადასახადის განაკვეთი და ადგილობრივი გადასახდელები, თუმცა, ამგვარად მიღებული შემოსავლები ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის ძალიან მცირე მოცულობის აღმოჩნდება.

2013 წლიდან დაიწყო თვითმმართველობის რეფორმის მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელმაც შექმნა სამართლებრივი ბაზა რეალური ფისკალური დეცენტრალიზაციის განსახორციელებლად. ფინანსური დეცენტრალიზაციის ამოცანა უნდა იყოს ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსების წილის ზრდა მთელი სახელმწიფოს საჯარო ფინანსებში, მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ზრდის ხარჯზე. ეს უკანასკნელი ლოგიკურ თანხვედრაში უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ საქმიანობასთან, ანუ მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ გაიზარდოს მისი შემოსავლები, რათა არსებობდეს მოტივაცია უკეთესი და მეტი პროექტების განხორციელებისა. ასევე, მუნი-

ციპალიტეტს ჰქონდეს რესურსი თავისი უფლებამოსილებების სწორად და ეფექტურად განხორციელებისა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ჩანაწერი გაჩნდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში", რომლის მიხედვითაც, მთავრობას უნდა წარედგინა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი პარლამენტში, რომლის საფუძველზეც განისაზღვრებოდა საშემოსავლო გადასახადის ნაწილობრივი მიმართვა მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ამავდროულად, კანონი ავალდებულებდა მთავრობას, რომ განესაზღვრა გათანაბრებითი ტრანსფერის ფონდის მოცულობის მიმართება მშპ-ს ნომინალურ მოცულობასთან.

საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის 2936 ორგანული კანონით – „საქართველოს ორგანულ კანონში – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" ცვლილების შეტანის შესახებ" ახლებურად ჩამოყალიბდა ამ კოდექსის 154-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის მიხედვითაც საფუძველი ჩაეყარა საშემოსავლო გადასახადის ნაწილის განაწილების პროპორციასა და მექანიზმს. ეს სიახლე კონკრეტული ნორმატიული აქტის სახით აისახა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს 2014 წლის 12 დეკემბრის 2935 კანონის 48-ე ნაწილში. ცვლილება შეეხო ისეთი შემოსავლებიდან საშემოსავლო გადასახადის 100%-ით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (მუნიციპალიტეტების) ბიუჯეტების შემოსავლებში ჩარიცხვას როგორებიცაა:[229]

- ✓ საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან;
- ✓ არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან;
- ✓ საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან;
- ✓ საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისთვის ქონების ჩუქებიდან;
- ✓ საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან;
- ✓ საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან.

მიღებული კანონით, 2016 წლის პირველი იანვრიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სრულად ირიცხებოდა საშემოსავლო გადასახადის ზემოაღნიშნული კატეგორიები. (ეს თანხები, წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის იმ ნაწილს, რომლის გადახდა ხორციელდება გადამხდელების დეკლარირების საფუძველზე).

სახელმწიფო, მუნიციპალიტეტების ჯამური და ნაერთი ბიუჯეტები 2015-2017 წწ.

წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი	მუნიციპალური ბიუჯეტების ჯამური მოცულობა (ათასი ლარი)	ნაერთი ბიუჯეტი	მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამური მოცულობა ნაერთ ბიუჯეტთან (%)
2015	10 325 300 243	2 229 328	12 767 398 717	17.46
2016	10 996 082 557	2 208 043	13,420,925,491	16.45
2017	12 322 357 087	2 334 490	14,922,025,919	15.64

2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში სრულად ირიცხებოდა მეწარმე ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, მაგრამ შემდეგი ნაბიჯები არ იქნა განხორციელებული და ფინანსური დეცენტრალიზაციის პროცესი შეჩერდა, რასაც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიც ადასტურებს. 2016 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავალების ზრდა, ფაქტობრივად, მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდაში აისახა (ზრდა 671 მლნ ლარი), მუნიციპალური ბიუჯეტების ჯამური შემოსავლები კი 18 მლნ ლარით შემცირდა. 2017 წელს კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა ეს ტენდენცია: სახელმწიფო ბიუჯეტი გაიზარდა 1 326 მლნ ლარით, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამური მოცულობა კი – მხოლოდ 126 მლნ ლარით.


ადგილობრივი გადასახადია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

საგადასახადო კოდექსით დაწესებულია მხოლოდ ერთი სახის ადგილობრივი გადასახადი – ქონების გადასახადი.

ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც პირები (ფიზიკური და იურიდიული)იხდიან და იგი წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს. [230]

როგორც აღინიშნა ქონების გადასახადი ერთადერთი ადგილობრივი გადასახადი და ამასთან ერთად, ერთადერთი საგადასახადო შემოსავალი იყო თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში. ქონების გადასახადს, როგორც საკუთარ საგადასახადო შემოსავალს, ძალზედ მცირე წილი აქვს თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტში, რაც გამორიცხავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ საკუთარი კომპეტენციების სრულფასოვან განხორციელებას და ხარისხიანი საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველყოფას.

ადგილობრივი ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა 2013-2019წწ




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2014-2018 წლებისთვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა და დინამიკა წარმოდგენილია დიაგრამაზე, რომლის მიხედვითაც ხარჯების წილი ადგ. თვითმმართველი ერთეულების ჯამურ გადასახდელებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება და საშუალოდ 65%-ს უტოლდება.

არაფინანსური აქტივების ზრდის (ე.წ კაპიტალური ხარჯები) წილი ადგ. თვითმმართველი ერთეულების ჯამურ გადასახდელებში საშუალოდ 28%-ს შეადგენს.[231:გვ.6]


გადასახდელების დინამიკა აგრეგატულ დონეზე
(2014 – 2018 წწ; მლნ. ლარი)



ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარი შემოსავლები (ადგილობრივი გადასახადები, მოსაკრებლები, არასაგადასახადო შემოსავლები) შეადგენენ მთლიანი შემოსავლების მხოლოდ მოკრძალებულ და უმნიშვნელო ნაწილს, მაშინ როდესაც ტიპურ დეცენ-

ტრალიზებულ სისტემაში სწორედ ამგვარი საკუთარი შემოსავლები უნდა ქმნიდნენ თვითმმართველობების შემოსავლების არსებით ნაწილს.

სახელმწიფო და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლების ფარდობითი მაჩვენებლები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ადგილობრივი თვითმმართველობები დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად არ ფლობენ მათთვის თანაფარდ, ადეკვატურ და თვითკმარ საშემოსავლო წყაროებს, არადა ამაზე პირდაპირ მიუთითებს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის 9.1 და 9.2 მუხლები.

ბოლო წლების მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ უნიტარული სახელმწიფოებრივი მოწყობისა და საბიუჯეტო ფედერალიზმის ვერტიკალურ მოდელზე ორიენტირებულ ქვეყნებშიც, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური ავტონომიის გაფართოება გაცილებით ეფექტურია. ეფექტი ეკონომიკურ პროცესში სამი ორგანიზაციული შემადგენლის ჩართვით მიიღწევა, კერძოდ:

- პირველი, ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოები თავისუფლდებიან იმ ფუნქციებისაგან, რომელთა რეალიზება ქვემდგომ ორგანოებსაც შეუძლიათ;
- მეორე, იზრდება რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების ორგანოების ბიუჯეტის სახსრების რაციონალური გამოყენებისათვის პასუხისმგებლობა;
- მესამე, იზრდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების რაციონალური გამოყენებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონული პრობლემების გადაწყვეტა სახელმწიფოში განხორციელებული რეფორმების სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქცეს. ამ კონტექ-

სტში კი, საჭიროა პრობლემათა მთელი სპექტრის კომპლექსურად გააზრება და შესაბამისი მიდგომების ჩამოყალიბება.

საქართველოში ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების მოდელის ტრანსფორმაცია უნდა დაეფუძნოს განვითარებული საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლას და მათ შემოქმედებით გამოყენებას. მიზანშეწონილია ქვეყანაში საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის ახალი კონცეფციის შემუშავება. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსურ და სახელმწიფო რეგიონული მიზნობრივი პროგრამების შემუშავება-რეალიზაციას.

ტერიტორიულ ერთეულებში არსებული განსხვავებული ეკონომიკური მდგომარეობის გათანაბრების მიზნით, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი გრანტების, შეღავათიანი კრედიტების და სხვა სახის დახმარებების სწორად წარმართვას, რაციონალურ და სამართლიან გადანაწილებას და გამოყენებას.

უნდა შეიცვალოს, საერთაშორისო დონორებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის არსებული თანამშრომლობის პრაქტიკა, იგი ფოკუსირებული უნდა გახდეს არა მხოლოდ თანამშრომლობის პროცესზე, არამედ კონკრეტული, რეალური და ადეკვატური შედეგების მიღწევაზე.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს შესაძლებლობის მაქსიმუმი იმისათვის, რომ ადგილებზე მოხდეს მცირე ბიზნესის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის სტიმულირება, მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაჭრა, ადგილობრივი საწარმოო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება; ამისათვის საჭირო პირობები ქვეყანაში არსებობს და ის გამოყენებული უნდა იქნეს.

13.4 ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ

2018 წლის ოქტომბერში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გამოვიდა ადგილობრივი ბიუჯეტების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების სისტემის რეფორმირების ინიციატივით, კერძოდ, გაუქმდება გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, სხვადასხვა სახის საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული თანხები და მათ ჩაანაცვლებს დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19 %. საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, გათანაბრებითი ტრანსფერის სისტემა შეიცვალა „განაწილებული გადასახადის" სისტემით.


ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტების დაფინანსების ახალი სისტემა, რომელიც 2019 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში, რეგიონების ეკონომიკური გამოთანაბრების პრობლემას ვერ ხედავს. მუნიციპალიტეტების ფინანსური წილი მთლიან საჯარო ფინანსებში 2019 წელს უმნიშვნელოდ გაიზარდა. ვინაიდან თვითმმართველობების დაფინანსებაზე მიემართება დღგ-დან მიღებული შემოსავლების ფიქსირებული 19%,

2020 წლიდან მუნიციპალური ფინანსების წილი, როგორც მთლიან შიდა პროდუქტში, ისე სახელმწიფო და ქვეყნის ნაერთ ბიუჯეტთან მიმართებით, ფაქტობრივად, უცვლელი დარჩება. [232]

მთავარი არგუმენტი მთავრობას ის აქვს, რომ მოქმედი წესით გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშებისას მის მოცულობაზე მოქმედებდა მუნიციპალიტეტთა საკუთარი შემოსავლები, რაც ერთგვარი დემოტივატორიც იყო მათი მხრიდან საკუთარი შემოსავლების გენერირებაზე მუშაობის თვალსაზრისით. ახალი სისტემით, მისაღები შემოსავალი აღარ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებს, რითაც დამატებით მოტივაციას ქმნის მათთვის ამ მიმართულებით სამუშაოდ. გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულასთან შედარებით, განაწილებული დღგ-ის პროგნოზირება თითოეული მუნიციპალიტეტისათვის უფრო მარტივი იქნება და ხელს შეუწყობს მათ მიერ საშუალოვადიანი და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების გაუმჯობესებას. ეს ცვლილებები მოიცავს 2019-2023 წლების გარდამავალ ეტაპს სისტემის საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის.

დამატებითი ღირებულების გადასახადი ნაწილდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის, 6 წლამდე ბავშვების რაოდენობის, 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობის, მუნიციპალიტეტის ფართობის და მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ადამიანთა რაოდენობის მიხედვით. დღეს მოქმედი კრიტერიუმებიდან ჩამონათვალში არ მოხვდა „იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი (სარეიტინგო ქულა) ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე" და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე (დამატებულია მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ადამიანთა რაოდენობა). კრიტერიუმების წონა ასეთია: 60% ნაწილდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიხედვით; 15% — მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6 წლამდე ბავშვების რაოდენობის მიხედვით; 10% — მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე მოზარდების რაოდენობის მიხედვით; 5% — მუნიციპალიტეტის ფართობის მიხედვით; 10% — მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ადამიანთა რაოდენობის მიხედვით. ასეთი „განაწილებადი გადასახადის მოდელი" ვერ უზრუნველყოფს სუბსიდიარობის პრინციპის განხორციელებას და ვერ შეასრულებს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნას „სოციალურ-ეკონომიკური გათანაბრების შესახებ", რადგან მისი გაანგარიშების კრიტერიუმები ითვალისწინებს არა სოციალურ-ეკონომიკური დონის გათანაბრებას, არამედ მუნიციპალიტეტების მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას. ამ ეტაპზე ასევე უცნობია საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიცია. დამატებითი ღირებულების გადასახადი, თავისი ბუნებით, არ არის ადგილობრივი ან საზიარო. გადასახადების ტიპოლოგიური აღრევა არ ახასიათებს საუკეთესო პრაქტიკებს და როგორ იმუშავებს ეს ინოვაცია საქართველოში, ამას დრო გვიჩვენებს. [233]

2019 წელს დღგ-დან მუნიციპალიტეტების შემოსავლის 50%-ს (473 მლნ ლარს) თბილისი მიიღებს, 5%-ს (48 მლნ ლარს) ბათუმი, 3.5%-ს (33 მლნ ლარს) ქუთაისი და ა.შ. 2018 წელს გათანაბრებითი ტრანსფერიდან და საშემოსავლო გადასახადიდან თბილისი 436 მლნ ლარს იღებს, ანუ 2019 წელს მისი დაფინანსება 37 მლნ ლარით იზრდება.



2019 წლიდან საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული თანხის ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (მუნიციპალიტეტების) ბიუჯეტში აღარ შედის. ამასთან, ადგილობრივი ბიუჯეტები არც გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიიღებენ თანხას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამის ნაცვლად ადგილობრივი ბიუჯეტები დამატებული ღირებულების გადასახადიდან (დღგ) მიიღებენ 19%-ს, (როგორც ზემოთ იყო აღნიშნული) რაც 2019 წლის გეგმით 946.6 მლნ ლარი იყო. ძველი წესით (საშემოსავლო გადასახადი + გათანაბრებითი ტრანსფერი) 2019 წელს მუნიციპალიტეტები 900.6 მლნ ლარს მიიღებდნენ. გამოდის, რომ ახალმა წესმა ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსება 46 მლნ ლარით გაზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი სისტემით, 2019 წელს ადგილობრივმა თვითმმართველობებმა 46 მილიონი ლარით მეტი მიიღეს, ინიციატივა ფისკალური დეცენტრალიზაციისგან შორსაა, ის ვერც დეცენტრალიზაციის არსს, ვერც თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას და ვერც ევროსაბჭოს ადგილობრივი ხელისუფლებების კონგრესის მრავალწლიან რეკომენდაციებს პასუხობს. უმთავრესი პრობლემა, რასაც თვითმმართველობის საკითხზე მომუშავე ადამიანები ხედავენ, ის არის, რომ შემოთავაზებული მოდელით, თვითმმართველობის შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა, გაზარდოს საკუთარი შემოსავლები, ფაქტობრივად, ნულს უტოლდება, ეს მაშინ, როცა დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი ამოცანაა ადგილობრივი ხელისუფლებების კომპეტენციების, პასუხისმგებლობისა და შესაძლებლობების ზრდა, მოიძიონ რესურსები და მოაგვარონ ადგილობრივი პრობლემები. [234]

ცვლილებების თანახმად, ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ზედა ზღვარი საერთოდ უქმდება. ეს ნიშნავს, რომ ე.წ. „მთავრობის ზომა" კანონით აღარ იქნება შეზღუდული და შესაბამისად, მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში ნებისმიერ დონეზე შეიძლება გაიზარდოს. [236]

უნდა აღინიშნოს, რომ ახალ სისტემას ნაკლოვანებებთან ერთად გარკვეული დადებითი მომენტებიც აქვს. კერძოდ, რეფორმა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მიერ საშუალოვადიანი დაგეგმვის გაუმჯობესებას. [235:გვ.16-17]

თავი 14. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და მთლიანი რეგიონული პროდუქტის გაანგარიშების მეთოდოლოგია


14.1 ეროვნულ ანგარიშთა სისტემა

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური (მათ შორის რეგიონული ეკონომიკური) საქმიანობის ეფექტური რეგულირებისათვის საჭიროა ზუსტი და საიმედო ეკონომიკურ-სტატისტიკური ინფორმაცია, რომელმაც ობიექტურად და ყოველგვარი მიკერძოების გარეშე უნდა ასახოს კვლავწარმოებითი პროცესების წანამძღვრები, მიმდინარეობა და შედეგები. მისათვის საჭირო გახდა, შექმნილიყო მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ეროვნული ეკონომიკის ძირითად ტენდენციებსა და უმნიშვნელოვანეს პროპორციებს ასახავს. „მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ერთ სისტემად ინტეგრირების მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, შეიქმნა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას) და მისი განსაზღვრის მეთოდოლოგია საერთაშორისო სტანდარტებს დაექვემდებარა.[237:გვ.21]

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას) – არსებითად ესაა საბაზრო ეკონომიკის სტატისტიკური მოდელი, რომელიც აგებულია ანგარიშებისა და ცხრილების სახით და მასში აისახება კვლავწარმოების ყველა ეტაპი.

ცნობილია, რომ „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას) წარმოიშვა ორი სრულიად სხვადასხვა მიმართულების გამოკვლევების შედეგების შერწყმის საფუძველზე.

კერძოდ, ეს იყო გამოკვლევები ეროვნული სტატისტიკისა და ეკონომიკური ციკლების ანალიზის სფეროში.” [238:გვ.131]



- ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ს.ნ.ა) წარმოადგენს ინტეგრირებულ მაკროეკონომიკურ ანგარიშებს, ბალანსებისა და ცხრილების ერთიან სისტემას, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო დონეზე მიღებულ ცნებებს, ვანდარტებებს, კლასიფიკაციებს და აღრიცხვის ნესებს.

- ეროვნულ ანგარიშთა სისტემის განვითარების ეტაპები:




ეროვნულ ანგარიშთა სისტემა **ეას** აგებულია ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპით და შეიცავს ურთიერთდაკავშირებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სისტემას, რო-

მელიც ფართოდ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობის შედეგების აღრიცხვის, ანალიზისა და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-შეფასებისათვის.

ამჟამად, საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკავშირის სტატისტიკური კომისიის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის (SNA-2008) სისტემის სტანდარტული მეთოდოლოგია. [239]

მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა ეროვნული ანგარიშების წარმოებისას 1993 წლის მეთოდოლოგიას იყენებს;

აღსანიშნავია ისიც, რომ 2009 წელს დასრულდა მუშაობა ეროვნული ანგარიშების სისტემის ახალ, 2008 წლის ვერსიაზე და 2011 წლიდან მიმდინარეობდა SNA 2008 მეთოდოლოგიაზე ეტაპობრივად გადასვლის სამუშაოები. SNA 2008-ის მეთოდოლოგია ბევრ საკითხში იდენტურია SNA-93-ის პრინციპების და მხოლოდ რამდენიმე საკითხში, განსაკუთრებით ფინანსური ანგარიშის ნაწილში, არის შეტანილი გარკვეული ცვლილებები.



განსხვავება ძირითადად შეეხება გლობალიზაციის პროცესის გავლენის გათვალისწინებას მულტინაციონალური კორპორაციების მაჩვენებლებზე. ასევე, ცვლილებები შევიდა კაპიტალის ანგარიშის შედგენის მეთოდოლოგიაში. ძირითად კაპიტალში ინვესტიციებად განიხილება კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეული ხარჯები, რაც SNA-93-ის მიხედვით, განიხილებოდა როგორც მიმდინარე ხარჯები. [240:გვ.1] ასევე, ცალკე იქნა გამოყოფილი ინტელექტუალური საკუთრების ცნება და დაიხვეწა მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია.[241]

საქართველოში აქტუალური მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის რეგიონალიზაციას, რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორების შემუშავებას და დანერგვას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

14.2 მთლიანი რეგიონული პროდუქტი (ანალიზი და შეფასება)

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონებს შორის განსხვავებათა გამოვლენა-შეფასებას, რეგიონებში შექმნილი დისპროპორციების დაძლევის პოლიტიკის შემუშავებას, რეგიონების განვითარების ჰარმონიზაციას.

ამ ამოცანათა გადაჭრაში აქტიური როლის შესრულება შეუძლია მთლიანი რეგიონული პროდუქტის – რეგიონული ეკონომიკური განვითარების მთავარი ინდიკატორის ანალიზსა და შეფასებას. მთლიანი რეგიონული პროდუქტის გაანგარიშება (გაზომვა) ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია საერთაშორისო სტანდარტების შესატყვის რეგიონულ ანგარიშთა სისტემის შესაქმნელად.

რეგიონის ეკონომიკური განვითარების რეგულირებისათვის საჭიროა, გაფართოვდეს მაკროეკონომიკური სტატისტიკური აღრიცხვა. საქართველოს რეგიონული პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, უნდა გარდაიქმნას და დაიხვეწოს რეგიონული სტატისტიკური აღრიცხვა-ანალიზის პროცესი, მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) სისტემა, რეგიონული სტატისტიკური სამსახურების საქმიანობა, გაფართოვდეს მათი უფლება-მოვალეობანი, ტექნიკური ბაზა, ფინანსური შესაძლებლობანი. არსებით გაუმჯობესებას მოითხოვს სტატისტიკური მენეჯმენტი. თუ რა პრობლემებთანაა დაკავშირებული მრპ-ის გაანგარიშება ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის შიგნით წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში გამოხატული მთლიანი ღირებულებაა.

ეროვნულ ანგარიშთა საერთაშორისო სისტემისა და მეთოდოლოგიის მიხედვით, ეროვნული მშპ საბაზრო ფასებით გაიანგარიშება სამი სხვადასხვა მეთოდით: წარმოების მეთოდით; საბოლოო გამოყენების (მოხმარების) მეთოდითა და განაწილების (შემოსავლების) მეთოდით.[242:გვ.9]

4. წარმოების მეთოდი:

ესაა მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე დროის შესაბამის მონაკვეთში ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ (ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეებში) შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამს დამატებული გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი) მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე.

დაანგარიშების სქემა:

საქმიანობის სახეობების მიხედვით, პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების)

მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში – საქონელისა და მომსახურების გამოშვებისათვის გამოყენებული შუალედური მოხმარება = **მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში** + გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე -სუბსიდიები პროდუქტებზე = **მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.**

5. გამოყენების (მოხმარების) მეთოდი:

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება დანახარჯების მეთოდით ეფუძნება ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ მიმდინარე პერიოდში გაწეული დანახარჯების გამოთვლას.

დაანგარიშების სქემა:

შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები+შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურება+სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული კოლექტიური (სახელმწიფოს მართვა, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა) და პერსონალური (განათლებისა და ჯანდაცვის) მომსახურება+ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება+მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება=მთლიანი შიდა ხარჯები საბაზრო ფასებში+საქონლისა და საქონლის მომსახურების ექსპორტი და მომსახურების იმპორტი=მთლიანი შიდა **პროდუქტი საბაზრო ფასებში.**

6. შემოსავლების (განაწილების) მეთოდი:

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება შემოსავლების მეთოდით ემყარება იმ ინსტიტუციური ერთეულების შემოსავლების ჯამს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საქონლისა და მომსახურების შექმნაში მოცემული პერიოდის განმავლობაში.

დაანგარიშების სქემა:

შემოსავალი დასაქმებიდან დარიცხული ხელფასისა და დანამატების სახით (ხელფასზე დარიცხული გადასახადების ჩათვლით)+თვითდასაქმებიდან მიღებული შერეული შემოსავალი+კომპანიების მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მთლიანი მოგება+გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე-სუბსიდიები წარმოებასა და პროდუქტებზე=მთლიანი **შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.**

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ზემოთაღნიშნული მეთოდები სხვადასხვა ქვეყანაში დიფერენცირებულად გამოიყენება, როგორც მთლიანი ეროვნული შიდა პროდუქტის, ასევე რეგიონების მთლიანი პროდუქტის განსაზღვრისათვის. [243:გვ.44]

სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობები შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, რადგან მათი ინფორმაციული წყაროები განსხვავებულია, განსხვავება აისახება ფრაზაში „სტატისტიკური განსხვავება".

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება წარმოების მეთოდით ეფუძნება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს (სეკ 001-2004), რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის ევროპული სტანდარტის ACE rev.1.1 ბაზაზე.

საერთაშორისო მეთოდოლოგიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ეკონომიკური ოპერაციები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით მათი განხორციელების მომენტისათვის არსებულ მიმდინარე საბაზრო ფასებში.

ეროვნულ ანგარიშთა (SNA-93) სისტემით რეკომენდებულია მშპ-ის რეალური ზრდის ინდექსის კვარტალური პერიოდულობით გაანგარიშება. მასთან, რეალური ზრდის მაჩვენებელი გაიანგარიშება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მიმართ მუდმივ ფასებში გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემების საფუძველზე. [244]

მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა ჯერჯერობით მხოლოდ წარმოების მეთოდით ხდება, გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით ორმაგი დეფლირების გზით, რაც ხორციელდება ფასების შესაბამისი ინდექსების მეშვეობით, საქმიანობის სახეების მიხედვით,

მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების ცალ-ცალკე დეფლირებით და შემდეგ მათი სხვაობის გამოთვლით.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას გამოიყენება შემდეგი მონაცემთა წყაროები:

- ბიზნეს-სტატისტიკის კვარტალური და წლიური გამოკვლევები. მონაცემთა ბაზები ყოველკვარტალურად მუშავდება ეროვნულ ანგარიშთა სისტემისათვის საჭირო ფორმატით, რის საფუძველზეც იანგარიშება პროდუქციის მთლიანი გამოშვებები 45 სახის საქმიანობის მიხედვით, დაუკვირვებადი ეკონომიკის გათვალისწინებით;
- შინამეურნეობების კვარტალური კვლევის მონაცემები. ყოველკვარტალურად მუშავდება დასაქმებულთა და შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების მონაცემთა ბაზები ეროვნულ ანგარიშთა სისტემისათვის საჭირო ფორმატით.
- ფასების სტატისტიკის მონაცემები მწარმოებელთა და სამომხმარებლო ფასების შესახებ დეფლირების განხორციელების მიზნით;
- სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სამმართველოს კვარტალური და წლიური გამოკვლევის მონაცემები სოფლის მეურნეობის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების გასაანგარიშებლად;
- ეროვნული ბანკის მონაცემები:
- კომერციული ბანკების ყოველთვიური მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, რის საფუძველზეც იანგარიშება კომერციული ბანკების გამოშვება.
- ეროვნული ბანკის ყოველთვიური მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, რის საფუძველზეც იანგარიშება ეროვნული ბანკის გამოშვება.
- აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით, ხდება ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების მაჩვენებლის გაანგარიშებაც.
- ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მონაცემები;
- სადაზღვევო კომპანიების ყოველკვარტალური მონაცემები, რის საფუძველზეც იანგარიშება სადაზღვევო კომპანიების გამოშვება. ეროვნული და კომერციული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების გამოშვებების შეჯამებით მიიღება საფინანსო შუამავლობის სექტორის გამოშვება.
- ფინანსთა სამინისტროს ყოველთვიური მონაცემები (ნაერთი, სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების (გადასახადის სახეების მიხედვით) და გადასახდელების (ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით)), რომელთა დამუშავებით მიიღება სახელმწიფო მმართველობის სექტორის მთლიანი გამოშვება; აგრეთვე გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი).[245]

მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ-ს) და მთლიანი რეგიონულ პროდუქტს (მრპ-ს) შორის რაიმე პრინციპული სხვაობა არ არსებობს. ისევე როგორც მშპ, მრპ-იც ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგია, ოღონდ რეგიონის დონეზე.[246]

რეგიონული შიდა პროდუქტი განისაზღვრება, როგორც რეგიონის ეკონომიკურ რესურსთა გამოყენებით წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლივი ღირებუ-

ლება გარკვეული პერიოდისათვის. მის შემადგენლობას მიაკუთვნებენ რეგიონის შიგნით მიღებულ ყველა შემოსავლებს, მიუხედავად მუშაკთა საცხოვრებელი და საწარმოს რეგისტრაციის ადგილისა. რეგიონში შექმნილი პროდუქტის მოცულობისა და სტრუქტურის ტერიტორიული ასპექტის გამოყოფა მეურნეობის კომპლექსური განვითარებისა და უზრუნველყოფის მიზნით, რეგიონის მმართველობისათვის აუცილებელ წანამძღვარს წარმოადგენს მის წინაშე მდგომი ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად.

მთლიანი რეგიონული პროდუქტი, თავისი ეკონომიკური შინაარსით, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ანალოგია და წარმოადგენს მის სივრცობრივ-ტერიტორიულ ჭრილს. მთლიანი რეგიონული პროდუქტი განისაზღვრება, როგორც რეგიონის ეკონომიკურ რესურსთა გამოყენებით წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლივი ღირებულება გარკვეული პერიოდისათვის. [247:გვ.369]

მაშასადამე, მშპ ეკონომიკური საქმიანობის სექტორებსა და სფეროებში ახლადშექმნილი ღირებულებების ჯამია საერთოეროვნულ, სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ ფარგლებში, ხოლო მრპ უშუალოდ რეგიონების ტერიტორიაზე ახლადშექმნილი ღირებულებების ჯამია. რპ წარმოადგენს მთლიან დამატებულ ღირებულებათა ჯამს, რომელიც საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ერთეულებისა და რეგიონული ეკონომიკის რეზიდენტების მიერ არის შექმნილი.[248]

მრპ-ის გაანგარიშების ერთ-ერთი პრობლემაა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მთლიანად საზოგადოებაზე გაწეული კოლექტიურ მომსახურებათა ოდენობის განსაზღვრა, აგრეთვე ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული სხვა არასაბაზრო მომსახურების სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების რეგიონული სიდიდის გაანგარიშება.

რეგიონულ დონეზე პრობლემატურია აგრეთვე ფინანსური შუამავლების (მათ შორის ბანკების) მომსახურების მოცულობის განსაზღვრა, რომელთა საქმიანობაც, როგორც წესი, არ იზღუდება რომელიმე რეგიონის ფარგლებში. ასევეა საგარეო ოპერაციების ნაწილშიც, რომლის შესახებაც ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით.[249:გვ.111-121]

ბოლო წლებში ევროკავშირი აქტიურად მუშაობს ეფექტიანობის ანალიზის კიდევ ერთ სისტემაზე, რომელსაც QPF (საჯარო ფინანსების ხარისხიანობა) ეწოდება და რომელიც მნიშვნელობის გასათვალისწინებლად ჯამში 81 პარამეტრის აგრეგაციას ახდენს. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის კვლევა ამ ინდექსის მიხედვით, მისი საკმაო მოცულობის მიუხედავად, ფრიად საინტერესო იქნებოდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველოში არც სტატისტიკის ეროვნული სამსახური და არც რომელიმე სხვა საჯარო უწყება არ ითვლის იმ პარამეტრების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელსაც QPF-ის კალკულაცია უნდა დაეყრდნოს. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება კიდევ ერთი სისტემური ამოცანა – ქვეყანაში ევროსტანდარტების შესაბამისი სტატისტიკის წარმოება.

მრპ-ის გაანგარიშების მეთოდოლოგია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრპ-ის მოცულობა, ისევე როგორც მშპ-ის მოცულობა, შეიძლება გაანგარიშებული იქნეს შემდეგი სამი მეთოდით:

წარმოების მეთოდით (როგორც მთლიანი დამატებული ღირებულების ჯამი);

საბოლოო მოხმარების მეთოდით (როგორც საბოლოო მოხმარების ელემენტების ჯამი);

განაწილების მეთოდით (როგორც პირველადი შემოსავლების ჯამი).

1. **წარმოების მეთოდით** გაანგარიშებისას, მრპ გამოითვლება ყველა საწარმოო რეზიდენტი-ერთეულის მთელი დამატებითი ღირებულების შეჯამების გზით მცირე შესწორების შეტანით. ეს საწარმო რეზიდენტი-ერთეულები ჯგუფდება დარგების ან სექტორების მიხედვით. მოცემული მეთოდით შესაძლებელია მრპ-ში ცალკეული მწარმოებლების, დარგებისა და ეკონომიკის სექტორების წვლილის შეფასება.

საქონლისა და მომსახურების წარმოების მიხედვით, შესაძლებელია მრპ-ის გაანგარიშება სხვადასხვა მეთოდით:

1.1 მრპ საბაზრო ფასებში ტოლია: პროდუქტებისა და მომსახურების საერთო გამოშვებას (სგ) ძირითად ფასში, გამოკლებული შუალედური მოხმარების საერთო ღირებულება (შმ), მიმატებული დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) და წმინდა გადასახადები იმპორტზე (წგი).

$$\text{რპ} = \sum_{\text{სგ}} - \sum_{\text{შმ}} + \sum_{\text{დღგ}} + \sum_{\text{წგი}}$$

1.2 მთლიანი რეგიონული პროდუქტი საბაზრო ფასებში ტოლია ეკონომიკის დარგებში წარმოებული დამატებულ ღირებულებათა საბაზრო ფასების ჯამისა ე.ი. პროდუქტებსა და იმპორტზე წმინდა გადასახადების ჩათვლით (დღგ-ს გარეშე). ამიტომ, ეკონომიკის დარგების მიხედვით მთლიანი დამატებული ღირებულება (მდღ) განისაზღვრება, როგორც სხვაობა მთლიან გამოშვებას (მგ) და შუალედურ გამოშვებას (შმ) შორის

$$\text{მდღ} = \text{მგ} - \text{შმ}$$

1.3 მრპ საბაზრო ფასებში ტოლია ეკონომიკის სექტორების მიხედვით მდღ-ის ჯამისა საბაზრო ფასებში

$$\text{მრპ} = \sum_{\text{მდღ საბაზ.}}$$

მრპ მწარმოებლის ფასებში ტოლია მთლიან გამოშვებას მწარმოებლის ფასებში, გამოკლებული შუალედური მოხმარების საერთო ღირებულება მყიდველის ფასებში, დამატებული გადასახადები იმპორტსა და დამატებით ღირებულებაზე.

$$\text{რპ} = \text{მგ} - \text{შმ} + \text{გი} + \text{გდღ}$$

2.განაწილების მეთოდი – ამ მეთოდის მიხედვით, მრპ წარმოადგენს პირველადი შემოსავლების ჯამს განაწილების სტადიაზე, რომელიც ეკონომიკურ ერთეულ-რეზიდენტებსა და საქონლისა და მომსახურების მწარმოებლებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: დაქირავებული მომუშავეების შრომის ანაზღაურების თანხა (შა), წმინდა გადასახადები წარმოებასა (წგწ) და იმპორტზე (წგი), მთლიანი მოგება (მმ) და მთლიანი შერეული შემოსავლები (მშშ), ანუ შემოსავლები საკუთრებიდან და მეწარმეობიდან.

$$\text{მრპ} = \text{შა} + \text{წგწ} + \text{წგი} + \text{მშშ}$$

განაწილების სტადიაზე გაანგარიშებული მრპ შესაძლებლობას იძლევა, გავაანალიზოთ შემოსავლების სტრუქტურა და შემადგენლობა, დანახარჯები წარმოების ფაქტორების (ძირითადი კაპიტალის, სამუშაო ძალის) მიხედვით.

მრპ-ის გაანგარიშების ამ მეთოდს აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა ეკონომიკური ანალიზისათვის. ეკონომიკის დარგებსა და სექტორებში მრპ-ის გაანგარიშებისათვის ამ მეთოდის გამოყენება იძლევა ანალიზის გაღრმავების საშუალებას და ავლენს მათი ფუნქციონირების შედეგების სპეციფიკას.

3.საბოლოო მოხმარების მეთოდით – მრპ გამოიანგარიშება, საბოლოო მოხმარების სტადიაზე, როგორც საბოლოო მოხმარების (სმ) და მთლიანი დანაზოგების ჯამი, ექსპორტისა და იმპორტის სალდოს ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ მრპ-ის, ისევე როგორც მშპ-ის, სხვადასხვა მეთოდების საფუძველზე გაანგარიშება, იწვევს მათ რაოდენობრივი შეფასებების შეუსაბამობას. მასთან, ყველა ცდომილება ძირითადად, იმითაა გამოწვეული, რომ სტატისტიკური მონაცემები არ იძლევა აბსოლუტურ უტყუარ ასახვას ეკონომიკური პროცესების რაოდენობრივი შედეგების შესახებ. სტატისტიკურ მონაცემებში მოცემული შეუსაბამობა აისახება სპეციალურ პოზიციაში – „სტატისტიკური ცდომილება".

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, თანხვედრა მშპ-ისა და რმპ-ის გაანგარიშების წესებს შორის გამოიხატება იმით, რომ ეკონომიკის დაკვირვებად სექტორში რეგიონის მთლიანი პროდუქტი (ანუ მშპ-ის ტერიტორიული ნაწილი) მოცემულ ტერიტორიულ დონეზე გაიანგარიშება იმავე მეთოდით, როგორც ხდება მშპ-ის გაანგარიშება ქვეყნის მასშტაბით.

მრპ-ის გადაანგარიშება მუდმივ ფასებში. ეკონომიკური ზრდის გაზომვისა და ინფლაციური პროცესების დახასიათებისათვის, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მოკლევადიანი პროგნოზირების, ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების ანალიზის და ფიზიკური მოცულობის დინამიკის შესწავლისათვის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მიმდინარე ფასებში აუცილებელია გადავიყვანოთ მუდმივ ფასებში. ამავე დროს, მაჩვენებელთა დინამიკის დახასიათებისთვის საჭიროა განესაზღვროთ ფასების გავლენა, რომელმაც ინფლაციის პირობებში შეიძლება, არსებითად დაამახინჯოს წარმოდგენა რეალური ცვლილებების მოცულობის შესახებ.

მრპ-ის (მშპ-ის) შეფასება მუდმივ ფასებში ძირითადად ორი მეთოდით წარმოებს:

- საანგარიშო პერიოდისათვის მონაცემთა მუდმივ ფასებში დეფლატირების გზით;
- საბაზისო პერიოდისათვის საბაზისო წლის მიმდინარე ფასებში მონაცემთა ექსტრაპოლირებით შესაბამისი მაჩვენებლების ფიზიკური მოცულობის ინდექსის დახმარებით.

ასევე, არსებობს მრპ-ის (მშპ) მუდმივ ფასებში გადაფასების ორი მეთოდი: წარმოების მეთოდი და საბოლოო მოხმარების მეთოდი. წარმოების სტადიაზე მდღ-ის მუდმივ ფასებში განსაზღვრისათვის გამოიყენება ორმაგი დეფლატირების მეთოდი. მისათვის მთლიანი გამოშვებიდან მუდმივ ფასებში გამოირიცხება შუალედური მოხმარების ღირებუ-

ლება მუდმივ ფასებში. გადაფასების ეს მეთოდი შესაძლებელს ხდის, მივიღოთ მრპ-ის (მშპ-ის) რამდენადმე ზუსტი მნიშვნელობა შესადარ ფასებში.

საბოლოო მოხმარების მეთოდის საშუალებით, მრპ-ის (მშპ-ის) მუდმივ ფასებში განსაზღვრა ხდება მისი შემადგენელი კომპონენტების დაჯამებით მუდმივ ფასებში.

მრპ-ის გადაანგარიშება მუდმივ ფასებში დეფლატირების მეთოდით ფასების ინდექსის დახმარებით შემდეგნაირად ხდება:

წარმოებული მრპ მიმდინარე ფასებში $\left(\sum q_1 p_1\right)$ იყოფა ფასების ინდექსზე, რომელიც გამოხატავს ფასების ცვლილებას მიმდინარე პერიოდში$\left(\frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0}\right)$ საბაზისო პერიოდთან შედარებით. გადაფასების ეს პროცედურა შემდეგნაირად გამოისახება:[250]

$$\sum q_1 p_1 \Big/ \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0} = \sum q_1 p_0$$

სადაც, $\sum q_1 p_1$ - არის წარმოებული მრპ მიმდინარე ფასებში (q_1-პროდუქციის რაოდენობა საანგარიშო პერიოდში; p_1 – ფასები მიმდინარე პერიოდში).

$\left(\frac{\sum q_1 p_1}{\sum q_1 p_0}\right)$ – ფასების ინდექსია;

$\sum q_1 p_0$ – მრპ-ის საერთო ღირებულება მუდმივ ფასებში.

რეგიონული პროდუქტი, ისევე როგორც შიდა პროდუქტი, იქმნება ეკონომიკის დაკვირვებად და დაუკვირვებად (აღურიცხავ) სექტორებში. მათი ერთობლივი რაოდენობა (ჯამი) შესაბამისად, წარმოქმნის მთლიან რეგიონულ პროდუქტს და მთლიან შიდა პროდუქტს. დაკვირვებად სექტორში რეგიონის მთლიანი პროდუქტის გაანგარიშების პრინციპები, მეთოდები და პროცედურები არსებითად, იმ მეთოდებისა და პროცედურების ანალოგიურია, რომლებიც მშპ-ის გაანგარიშებისათვის გამოიყენება საერთო ეროვნულ დონეზე.

მთლიანი პროდუქტი რეგიონში და ქვეყნის მთლიანი პროდუქტი, როგორც რეგიონული პროდუქტების ჯამი, მშპ-ის ანალოგიურად იქმნება ეკონომიკის ორ დაკვირვებად (აღრიცხულ) და დაუკვირვებად (აღურიცხავ) სექტორში. დაკვირვებად სექტორში შექმნილი მთლიანი პროდუქტის გაანგარიშებისათვის გამოიყენება პირდაპირი გაანგარიშების მეთოდი, ხოლო დაუკვირვებად სექტორში – შექმნილი მთლიანი პროდუქტის სიდიდე გაიანგარიშება არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით.[251:გვ.16] არაპირდაპირი შეფასების მეთოდი მრავალ პირობითობასთან და სირთულესთან არის დაკავშირებული, რაც განსაკუთრებულ სიძნელეებს წარმოქმნის რეგიონების დონეზე.

მნიშვნელოვანად მიგვაჩნია, განვიხილოთ მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა რეგიონის ფართობის მიხედვით. უფრო სრულყოფილი მაკროეკონომიკური ანალიზისათვის, მეცნიერებმა შემოგვთავაზეს ახალი ინდიკატორი [252:გვ.66] მშპ-ის საშუალო მაჩვენებლის გაანგარიშება გარკვეული ფართობების მიხედვით (მაგალითად, 1კმ^2, ან 1000 კმ^2 და

ა.შ.). ეს ინდიკატორი საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ ქვეყნის ტერიტორიის ათვისების ხარისხი. იგი რეგიონული (ტერიტორიული) ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და მაკროეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. პროფესორ ნოდარ ხადურის მიერ შემოთავაზებული ფორმულა საკმაოდ მნიშვნელოვანია და ამავე დროს მარტივი. იგი შემდეგნაირად გამოისახება:

$$R = \frac{GDP}{S}.$$

სადაც – S ფართობია კვადრატულ კილომეტრებში;

GDP- მთლიანი შიდა პროდუქტი.

აღნიშნულ ინდექსს პროფესორმა ნ. ხადურმა, ქვეყნის ეკონომიკური ათვისების ინდექსი უწოდა. მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება ქვეყნების შედარება ტერიტორიის ათვისების მიხედვით. ამ ახალი ინდიკატორების გამოყენებით, შეგვიძლია, გავაანალიზოთ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი რეგიონების მიხედვით.

საქართველოში, დღევანდელ ეტაპზე არსებული რეგიონული რეალიების გათვალისწინებით, რეგიონის მთლიანი პროდუქტისა და ქვეყნის მასშტაბით ერთობლივი მთლიანი რეგიონული პროდუქტის გაანგარიშებისათვის, პრიორიტეტი წარმოების მეთოდს უნდა მივანიჭოთ. „საქართველოს პირობების გათვალისწინებით, ამჟამად ქვეყნის მთლიანი რეგიონული პროდუქტის გაანგარიშება ყველაზე მეტად მიზანშეწონილია განხორციელდეს ე.წ „წარმოების მეთოდის" გამოყენებით მთლიანი შიდა პროდუქტის ანალოგიურად" [253:გვ.134]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოუკენის [336];[337] თანახმად, რეალური რეგიონული მთლიანი პროდუქტი GDP–ზე ყოველწლიური ნამატი 2,7% დონეზე უმუშევართა წილს აჩერებს მუდმივ დონეზე. რეალური რეგიონული GDP–ზე ყოველი დამატებითი 2%-ი უმუშევართა წილს 1%-ით ამცირებს.

თავი 15. რეგიონული კონკურენტუნარიანობა და მისი კომპლექსური შეფასება

15.1. კონკურენტუნარიანობის კონცეფცია

21-ე საუკუნეში, რომელიც არის ცოდნის საუკუნე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კონკურენტუნარიან ცოდნასა და ტექნოლოგიებს ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის.[254:გვ.47]

კონკურენტუნარიანობა – დინამიურად განვითარებადი, კომპლექსური და მრავალმხრივი ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც მრავალ წყაროში – სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში – განიმარტება არაერთგვაროვნად. საერთო ტენდენციები ცნებასთან დაკავშირებით შემდეგია:

ტერმინი „კონკურენტუნარიანობა" ხშირად გამოიყენება – წარმოებულ პროდუქციასთან მიმართებით, ფირმის დონეზე, ეკონომიკური სისტემის მიმართ, ანუ ის განიხილება – საქონლისა და წარმოების (მიკრო), დარგებისა და მათი გაერთიანებების (მეზო), რეგიონებისა და ქვეყნის (მაკრო) დონეზე და რეგიონული გაერთიანებების (ჰიპერმაკრო) დონეზე; ის ზოგჯერ განისაზღვრება საქონლის (მომსახურების) ან/და საწარმოების კონკურენტუნარიანობისა ან მწარმოებლურობის საშუალებით; აქცენტი კეთდება მისი დროში ცვლილებაზე; ამ ცნების არსიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ყველა შემთხვევაში საუბარია ეკონომიკური საქმიანობის მონაწილის შესაძლებლობაზე კონკურენცია გაუწიოს თავის მეტოქეს ბაზარზე.

კონკურენტუნარიანობის თანამედროვე საინფორმაციო ფაქტორები ემყარება უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების შექმნისას უპირატესობების ფორმირებას. ეს ტექნოლოგიები ახალი ცოდნისა და ინფორმაციის გადამუშავების, შენახვისა და გამოყენების შეუდარებლად მაღალ საშუალებებს იძლევა წარმოების განვითარების დაჩქარებაში.

კონკურენტული პროცესების განვითარების შემდგომი ეტაპები დაკავშირებული იქნება ინტელექტის შეღწევის უფრო მგრძნობიარე სფეროსთან, როგორიცაა: ადამიანის ფსიქიკა, გენური ინჟინერია, თვით მარეგულირებელი ტექნიკის შექმნა. ეს იქნება ინტელექტუალურ–ფსიქოლოგიური კონკურენტული უპირატესობების ეტაპი.

კონკურენტუნარიანობა სულ უფრო ასახავს ინსტიტუციონალური გარემოს მდგომარეობას, რეგიონის სოციალურ კაპიტალს, ადამიანების ურთიერთობების მექანიზმებს და საშუალებებს. სოციალური კაპიტალი შეიძლება კონკურენტუნარიანობის სერიოზულ რეზერვად იქცეს.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ცვლილებები მოითხოვს, როგორც მსოფლიო საზოგადოების, ასევე ცალკეული ქვეყნების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ახალი მიდგომების ფორმირებას. თანამედროვე პირობებში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს პოლიტიკური პრიორიტეტი მდგომარეობს ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

გლობალური კონკურენციის გაძლიერებასთან ერთად გაჩნდა მოსაზრებები, თითქოს

სახელმწიფოს მნიშვნელობა შემცირდა. სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა: ინტერნაციონალიზაციამ და პროტექციონიზმისა და კონკურენციისათვის სხვა დაბრკოლებების აღმოფხვრამ მხოლოდ გააძლიერა სახელმწიფოს როლი. ჩ. ფრიდმენი და რ. ნელსონი ხაზს უსვამენ თანამედროვე ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოთი განპირობებული ისეთი ფაქტორების წამყვან როლს, როგორიცაა მეცნიერული სკოლების არსებობა, განათლებისა და კადრების მომზადების ხარისხი, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, სხვადასხვა ინსტიტუტის სიმწიფის ხარისხი, ბიზნესის წარმართვის კულტურა და ზოგადი კულტურის საერთო დონე.[255]

ბოლო ათი წლის განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა კონკურენტუნარიანობის პრობლემის მიმართ ინტერესი, რაც ნაწილობრივ აიხსნება იმ გარემოებით, რომ ყველა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს პოლიტიკურ–ეკონომიკური ეფექტიანობის მზარდი სტანდარტები. ყოველივე ეს კი გლობალიზაციის პროცესის შედეგია, გლობალიზაცია აიძულებს ყველა ქვეყანას უკეთ გამოიყენოს საკუთარი რესურსები და კონკურენციული უპირატესობები.

მსოფლიო ეკონომიკა სხვადასხვა ქვეყნის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ეროვნულ ეკონომიკათა ერთობლიობაა და არა უბრალო ჯამი. [256:გვ.19]

საქართველოს საგარეო და პოლიტიკური საქმიანობის წარმატება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეფექტიანი ეკონომიკური კავშირების დამყარება, ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვა).

80–იანი წლების ბოლოს ამერიკელი ექსპერტის ე. ლიუტტვაკის მიერ შემოღებული იქნა ტერმინი „გეოეკონომიკა", რომელიც სწავლობს მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საჭირო პოლიტიკასა და სტრატეგიას. ლიუტტვაკის აზრით, გეოპოლიტიკურ კონფლიქტებს ცვლის გეოეკონომიკური კონფლიქტები: გეოეკონომიკა სწავლობს ქვეყნის სტრატეგიის ანალიზსა და ეროვნული კონკურენტუნარიანობის განვითარების ინსტრუმენტების შემუშავების საკითხებს. გეოეკონომიკა იკვლევს კავშირს ძალაუფლებასა და სივრცეს შორის, ეს არის „ვირტუალური" სივრცე, რომელიც თავისუფალია ტერიტორიული საზღვრებისა და ფიზიკური მახასიათებლებისაგან, რაც დამახასიათებელია გეოპოლიტიკისათვის.

ცალკეული ქვეყნის მიდგომა კონკურენტუნარიანობის მიმართ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მეთოდებსა და საშუალებებს იყენებს ესა თუ ის ქვეყანა თანამედროვე პირობებში არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების დროს.

ჰარვარდის ბიზნესის სკოლის პროფესორის მ. პორტერის აზრით, კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს ცალკეული კომპანიების, ეკონომიკის დარგების, რეგიონების, ერების ან მეზობელი ქვეყნების ჯგუფების უნარს, მიაღწიონ შემოსავლების მიღებისა და დასაქმების მაღალ დონეს საერთაშორისო კონკურენციის პირობებში. ეს მიდგომა ხელსაყრელია რეგიონების, სახელმწიფოების ან ქვეყნების ჯგუფებისათვის იმ მიზეზით, რომ შეე-

საბამება აღნიშნული ერთეულების მთავარ მიზანს, კერძოდ, ცხოვრების დონის ამაღლებასა და შენარჩუნებას.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა დაფუძნებულია შედარებითი უპირატესობის თეორიაზე. კონკურენტუნარიანობის კონცეფცია არის წარმატებული კონცეპტუალური სტრუქტურა კორპორაციული კონკურენტუნარიანობასა და ეროვნულ ეკონომიკას შორის არსებული კავშირის გასარკვევად ეკონომიკის მზრდი გლობალიზაციის პირობებში.

ტერმინი „კონკურენტუნარიანობა" გამოიყენება ფირმების მრეწველობის დარგების, რეგიონების, სახელმწიფოების და ქვეყნების ჯგუფების მიმართ. [257:გვ.24-25]

ქვეყნებმა, რომლებიც ცდილობენ გააძლიერონ თავიანთი შიგა ბაზრები და გახდნენ კონკურენტუნარიანნი, აუცილებლად უნდა დაიწყონ პოლიტიკური რეფორმები და ინსტიტუციონალური განვითარება. მთავრობები აქტიურად უნდა ერთვებოდნენ მაკროეკონომიკური ბალანსის აღდგენასა და მხარდაჭერაში და ავითარებდნენ თავიანთ ინფრასტრუქტურას, ადგენდნენ სტიმულებს სამეწარმეო საქმიანობისათვის და ბიზნესის გაფართოებისათვის. [258:გვ.52]

გასული ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ეკონომიკა უმნიშვნელოდ იზრდებოდა, თუმცა აღნიშნული პროცესიდან ქვეყნის რეგიონებს თანაბარი სარგებელი არ მიუღიათ. ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლებს, თან არ ახლდა რეგიონების ერთმანეთთან მიახლოება შემოსავლების ან პროდუქტიულობის თვალსაზრისით. ამის მაგალითია დედაქალაქი თბილისი, სადაც მოსახლეობის ერთი მესამედი ცხოვრობს და მასზე მოდის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) ნახევარი. ქალაქ-რეგიონში წარმოებული პროდუქციის დონე ერთ სულ მოსახლეზე თითქმის ორჯერ აღემატება ეროვნულ საშუალო მაჩვენებელს და სამჯერ მეტია ჩამორჩენილი რეგიონების მაჩვენებლებზე. საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესი, ასევე, ახდენს გავლენას ფირმების კონკურენტუნარიანობაზე და ზოგადად რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე. დეცენტრალიზაციის პროცესი გვთავაზობს საზოგადოების მონაწილეობის, გამოხატვის და ინკლუზიური მართვის გაძლიერების შესაძლებლობას. ამ რეფორმას, წარმატებით დანერგვის შემთხვევაში, შეუძლია საქართველოში ჩამორჩენილი - რეგიონების და ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებების მხარდაჭერა და ფირმების კონკურენტუნარიანობის და რეგიონების განვითარების პერსპექტივების გაუმჯობესება. თუ საქართველო აპირებს, განაგრძოს საერთაშორისო ვაჭრობის პოტენციალის გამოყენება, მნიშვნელოვანი იქნება, უზრუნველყოს რეგიონები შესაბამისი პასუხისმგებლობის და რესურსების სათანადო ბალანსით, ასევე, შეუქმნას მათ ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობები. რეალური მდგრადი განვითარება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც რეგიონული ადმინისტრაციული ორგანოები შეძლებენ გამოავლინონ და შეაფასონ რა დაბრკოლებებია რეგიონში, რა ნაკლოვანებებია ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

ადგილობრივი სახელმწიფო ხარჯები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და ადამიანური კაპიტალის მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ფირმების კონკურენტუნარიანობისთვის. იზრდება გლობალური ვაჭრობის ინტენსივობა, განსაკუთ-

რებით ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) გაფორმების შემდეგ, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია შეიქმნას შესაძლებლობები ნაკლებად პრივილეგირებულ სფეროებში, რათა კიდევ უფრო არ გაღრმავდეს არსებული რეგიონული უთანასწორობა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ფირმების ბუნება, იმ ფონზე, როდესაც ექსპორტის და დამატებითი ღირებულების დიდი წილი დაბალპროდუქტიულ სექტორებზე მოდის, გავლენას ახდენს მოპოვებული მონაცემების სიმტკიცეზე. სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება კიდევ უფრო მეტ დადებით გავლენას იქონიებს რეგიონებში, რამდენადაც ფირმები განვითარების ისეთ დონეს მიაღწევენ, რომელიც შესაძლებელს გახდის ცოდნის გავრცელებასთან და სავაჭრო შესაძლებლობებთან დაკავშირებული გარე ფაქტორების და სავაჭრო შესაძლებლობების უკეთესად გამოყენებას. განსაკუთრებული პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მცირე ფირმების მხარდაჭერას, რათა ხელი შეეწყოს სამუშაო ადგილების შექმნას და პროდუქტიულობის სწრაფ ზრდას. [259: გვ. 15-16]

პრინციპულად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტის, დამოუკიდებლობა, რომელიც მოწოდებულია საზოგადოების ინტერესები დაიცვას გავლენიანი ელიტებისგან. ოლიგოპოლიური ბაზრის პირობებში ტრანსეროვნული კორპორაციების ბატონობისას მეტად მნიშვნელოვანია ბიუროკრატიული აპარატის ზედაფენის ოლიგარქებთან შეზრდისა და მათთვის სახელმწიფო პოლიტიკის დაქვემდებარების საფრთხე. ამ საფრთხის თავიდან აცილება შეუძლია მხოლოდ ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელსაც ძალუძს მოხელეებისა და ტრანსეროვნული კორპორაციების ქმედებების გაკონტროლება. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგა-დოების ურთიერთქმედებას, გიდენსის მიხედვით, შეუძლია შექმნას სინერგეტიკული ეფექტი, რომელიც საზოგადოებრივ სისტემას გაიყვანს ორგანიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე, რომელიც იძლევა გლობალიზაციის გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემის საშუალება.[260]

15.2 საქართველო და გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

საქართველოს კონკურენტუნარიანობის ზრდა და საგარეო და პოლიტიკური საქმიანობის წარმატება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეფექტიანი ეკონომიკური კავშირების დამყარება, ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვა).

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომელსაც განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს.


მისი რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (სტატისტიკურ) მონაცემებსა

(WB, IMF, etc.) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ალმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. აღნიშნული ყოველწლიური კვლევა ხორციელდება პარტნიორი ინსტიტუტების ხელშეწყობით (სამეცნიერო ინსტიტუტები და ბიზნეს-ორგანიზაციები).

ანგარიში (GCI) ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს-კლიმატის შექმნისათვის და მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით;

GCI განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის. 2018 წლის კვლევა მოიცავდა 140 ქვეყანას.[261] 2018 წელს, საქართველო 66-ე პოზიციაზე იმყოფებოდა 140 ქვეყანას შორის. მისი სარეიტინგო ქულა 1,1 პუნქტით გაუმჯობესდა და 60,9 შეადგენს.

საქართველოს რეიტინგი წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/gci_2018_1_geo.pdf

2019 წელს საქართველო 141 ქვეყანას შორის 74-ე პოზიციაზეა. გლობალურ კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველოს პოზიცია გაუარესდა.

გლობალური კონკურენტობის ინდექსი ქვეყნებს ოთხი ძირითადი მიმართულებით აფასებს:

ხელსაყრელი გარემო;

ადამიანური კაპიტალი;

ბაზარი;

ინოვაციური ეკოსისტემა.

თავის მხრივ, ეს ოთხი მიმართულება მოიცავს 12 ინდიკატორს, როგორებიცაა ინსტიტუტები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ჯანდაცვა, შრომის ბაზარი, ბაზრის ზომა, ინოვაციური შესაძლებლობები და სხვა. 2019 წელს მაკროეკონომიკური სტაბილურობის ნაწილში ქვეყნის პოზიცია გაუარესდა, შედეგად ამ მაჩვენებლით საქრათველო 84-ე პოზიციაზეა. მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციურ შესაძლებლობებში ქვეყანას ქულა

არ შეცვლია, 2018 წელთან შედარებით ამ კომპონენტში საქართველოს რეიტინგი გაუარესდა. 4.2 ქულით შემცირდა და 87-ე ადგილზე გადაინაცვლა ჯანდაცვის კომპონენტმაც. 0.3 ქულით გაუარესდა შრომის ბაზრის შეფასება 2019 წლის მაჩვენებელში. შედეგად, ქვეყანა ამ კომპონენტში 37-ე პოზიციაზეა. 2018 წელს შრომის ბაზრის მაჩვენებლით საქართველო 31-ე პოზიციაზე იყო.

აღსანიშნავია, რომ 2017-2018 წლის ინდექსში საუბარი იყო, რომ ევრაზიული ქვეყნების საერთო ტენდენცია ეკონომიკური პოზიციების ზრდით ხასიათდებოდა და ყველაზე კონკურენტული ეკონომიკები, მათ შორის რუსეთი და მოლდოვა, მაღალ ზღვარს ინარჩუნებდნენ, ხოლო გამონაკლისი საქართველო და ყაზახეთი იყო, რომლებიც 8 და 4 ადგილით ჩამოქვეითდნენ. განსხვავებით წინა წლის ანგარიშისა, 2018 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საუბარია, რომ ევრაზიული ქვეყნებისთვის აუცილებელია ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ეს გულისხმობს ფინანსური სისტემებისა და ინოვაციური შესაძლებლობების გაუმჯობესებას. ზოგიერთ ქვეყანაში (მათ რიცხვშია საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და ყაზახეთი) კი საჭიროა სამუშაო ძალის რეფორმა, რომელიც გაუმჯობესებს კვალიფიციური ძალის შეკავებასა და განაწილებას, ახალი ტექნოლოგიების ათვისებას, დამატებითი ღირებულებებისა და პროდუქტიულობის ზრდას. რაც შეეხება ინსტიტუტების ინდიკატორს, ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ მიიღო 61 ქულაზე მეტი, გამჭვირვალობის მაჩვენებელში კი მხოლოდ საქართველოს ქულაა 35-ზე მეტი.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისების მაჩვენებელში საქართველო ლიდერობს, რუსეთის ფედერაციასა და ყაზახეთთან ერთად, აღნიშნული ქვეყნების ქულები დაახლოებით 20 ქულით უფრო მაღალია ვიდრე რეგიონში ინდიკატორის ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანათა ქულები.[262]

15.3. რეგიონული კონკურენტუნარიანობა და მისი შეფასების კრიტერიუმები

რეგიონული კონკურენტუნარიანობის კვლევისას გადასაწყვეტია შემდეგი ამოცანები: გლობალიზაციის პროცესის მიზნების და მამოძრავებელი ძალების ანალიზი, კონკურენტუნარიანობის არსის განსაზღვრა ტერიტორიულ ერთეულებთან მიმართებაში. რეგიონული კონკურენტუნარიანობის შესწვლის სხვადასხვა მეთოდისა და მიდგომის ხედვა.

რეგიონული კონკურენტუნარიანობა თავისი არსით არის ტერიტორიული ერთეულის კონკურენტუნარიანობა, რომელსაც აქვს განსაზღვრული პოლიტიკურ–ეკონომიკური საზღვრები და აფიქსირებს აღნიშნულის განსხვავებას სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურების კონკურენტუნარიანობასთან შედარებით.

კონკურენტუნარიანობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტერიტორიის შესაძლებლობა, შექმნას ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრესს, მოსახლეობის შემოსავლების მაღალ, სტაბილურ დონეს და გარე ინვესტორებისაგან რესურსების მოზიდვას. საქართველოს მხარეების კონკურენტუნარიანობასა და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობებზე საუბარი ერთობ გართულებულია ქვეყნის მხარეების განვითა-


რების დისბალანსი და მათ სამომავლო პერსპექტივებს შორის არსებული დიდი განსხვავებების გამო. არსებობს მნიშვნელოვანი დისბალანსი დედაქალაქს, სხვა ქალაქებს, მუნიციპალიტეტებს, მაღალმთიან რეგიონებსა და ქვეყნის სხვა ნაწილებს შორის.[263]

ბოლო პერიოდში მიმდინარე ეკონომიკურ კვლევებში, როგორც ფირმის, ისე რეგიონის სოციალურ–ეკონომიკური განვითარება უშუალოდ დამოკიდებულია ინოვაციური პროცესის შესწავლაზე. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს სოციალური კაპიტალის დიდი მნიშვნელობაც. სოციალური კაპიტალი ადამიანური კაპიტალის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით იქმნება და ხდება მისი გადაცემა კულტურის ისეთი მექანიზმებით, როგორიცაა რელიგია, ტრადიციები და სხვა წეს–ჩვეულებები. სოციალური კაპიტალი არათანაბრად არის განაწილებული სხვადასხვა საზოგადოებასა და ტერიტორიას შორის.

როგორც წესი, ლიტერატურაში გამოყოფენ კონკურენტუნარიანობის შეფასების სამ დონეს. მიკრო დონეზე კონკურენტუნარიანობის შეფასების ობიექტად წარმოდგენილია ფირმები და საქონელი. მეზო დონეზე – დარგები და კომპლექსები, ხოლო მაკრო დონეზე – ქვეყნები. სხვადასხვა დონის ობიექტების კონკურენტუნარიანობის შეფასება ერთმანეთთან არის დაკავშირებული, უფრო მეტიც, დამოკიდებულია ერთმანეთზე, რაზეც მრავალი მკვლევარი მიუთითებს.

მ. პორტერის წიგნში „საერთაშორისო კონკურენცია“ (1993) რეგიონი განხილულია, როგორც ფირმის კონკურენტუნარიანობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გარემო. იგი, განაპირობებს ფირმების კონკურენტუნარიანობას, მოცემულია პორტერის რომბის სახით. ეს არის ადგილობრივი ფაქტორების ერთობლიობა, რომელთა შორის მთავარია: მომთხოვნი მომხმარებლები, ძლიერი კონკურენტები, ძლიერი ნედლეულის მომწოდებლები და დამხმარე დარგების კომპლექსები. ეს ერთობლიობა „სამრეწველო კლასტერის“ ცნებაში ინტეგრირდება, რომელიც თავის მხრივ გვაძლევს, ურთიერთქმედების სინერგიას და აყალიბებს კონკურენტუნარიან ფორმებს. ამრიგად, რეგიონის კონკურენციული გარემო გავლენას ახდენს რეგიონის საწარმოო ობიექტების კონკურენტუნარიანობაზე.

ტერიტორიის კონკურენტული უპირატესობის დეტერმინანტები მ. პორტერის მიხედვით



რეგიონის კონკურენტუნარიანობა ნიშნავს რეგიონის უნარს გამოავლინოს, შექმნას, გამოიყენოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა სხვა რეგიონების მიმართ.

რეგიონის კონკურენტული უპირატესობა – ეს არის აღნიშნული რეგიონის შედარებით უფრო მომგებიანი პოზიცია სხვა რეგიონების მიმართ. რეგიონის კონკურენტული პოზიციები– ესაა რეგიონის გამოკვეთილი, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავს რეგიონული მიზნობრივი ბაზრების ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებებს.

რეგიონის კონკურენტული პოზიციები დამოკიდებულია კონკურენტული რესურსების არსებობასა და მათ გამოყენებაზე. კონკურენტული რესურსები მატერიალური და არამატერიალური ელემენტების ერთობლიობაა, რომლებსაც გააჩნიათ საბაზრო ღირებულება ან განაპირობებენ პოტენციური მომხმარებლების ინტერესს რეგიონისადმი, ზრდიან რეგიონის სხვა ელემენტებზე მოთხოვნას, შეიძლება გამოყენებული იქნან რეგიონის კონკურენტული უპირატესობის შესაქმნელად და კონკურენტული წარმატების მისაღწევად და ბოლოს კონკურენტული წარმატება განისაზღვრება რეგიონის მიერ სამიზნე ბაზრების „მომხმარებელთა“ და საჭირო რესურსების მიზიდვით და ამის საფუძველზე, და საქმეების და ცხოვრების დონის ამაღლებით.

მაშასადამე, რეგიონის კონკურენტუნარიანობა გვიჩვენებს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული ურთიერთობების ერთობლიობას სხვა რეგიონებთან მიმართებაში.[264:გვ.91-102]

რეგიონის კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმის არსის განსაზღვრა მოგვცეს დ. საქსმა, ა. ხარტმა, ს. კოენმა, ჯ. გარელილიმ. ისინი გვევლინებიან ქვეყნის კონკურენტუნარიანობის კვლევების ფუძემდებლებად. მათ მიდგომაში საერთო არის ის, რომ ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა განხილულია საზოგადოებრივი პროგრესის პოზიტიური შედეგების მიღწევის კუთხით.

ეკონომიკისა და საზოგადოების პროგრესის უტყუარ კრიტერიუმად ყველგან მიჩნეულია ეკონომიკური და კეთილდღეობის ზრდა, მათი მდგრადი პოზიტიური დინამიკა, ხოლო კონკურენცია საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში – წარმოადგენს საბაზრო ძალების ერთ–ერთ ფუნდამენტურ შემადგენელ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ეფექტურ ფუნქციონირებას და აქედან გამომდინარე, წარმოადგენს ეკონომიკური პროგრესის წინაპირობას. ამიტომაც ნაციონალური ეკონომიკის ეფექტურობის კრიტერიუმის კონცეპტუალური შინაარსი შეიძლება ავიღოთ, როგორც საფუძველი, რეგიონის, როგორც ეკონომიკური სუბიექტის კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმის აგებისა, რომელსაც საკუთარი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში.

რა თქმა უნდა, რეგიონის კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმის არცერთი განსაზღვრება არ აცხადებს პრეტენზიას სრულყოფილებაზე. მნიშვნელოვანია, რომ იგი ასახავდეს რეგიონის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ვექტორს და მიზნებს. კონკურენტუნარიანად ჩაითვლება რეგიონი, რომელსაც აქვს ისეთი ინსტიტუტები, მართვა, რესურსები, საწარმოო და სამეცნიერო ტექნიკური შესაძლებლობები, საგარეო ეკონომიკური პოტენციალი, ფინანსური ინფრასტრუქტურები, რომლებიც აძლევენ მას საშუალებას მიაღწიოს ხანგძლივ კონკურენტულ წარმატებას ეკონომიკური ზრდის დინამიკის მყარ საფუძველსა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის ფონზე.

15.4. ქვეყნებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის რეიტინგული შეფასებები

ინტერესი რეგიონის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის მიმართ გაიზარდა მას შემდეგ, რაც გამოჩნდა პუბლიკაციები ქვეყნებისა და რეგიონების შედარებით რეიტინგული შეფასებით. ეს არის ფართოდ ცნობილი რეიტინგული შეფასებები – გაეროს პროგრამის რეიტინგები: ადამიანის პოტენციალის განვითარების, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის, რეგიონების რეიტინგები მათი საინვესტიციო მომხიბვლელობის მისედვით, ასევე გამოჩნდა რეიტინგები ახალი კონკურენტული უპირატესობების შეფასებით. კერძოდ, 2002 წელს საერთაშორისო განვითარების ცენტრის დირექტორმა ჯ.საქსმა, საერთაშორისო განვითარების პრეზიდენტმა კლაუს შვაბმა და გლობალური კონკურენტუნარიანობის პროგრამის დირექტორმა პიტერ კორნეიუსმა, სხვა მონაწილეებთან ერთად შექმნეს „მოხსენება გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების შესახებ: მზაობა ქსელური სამყაროსათვის". სადაც შეფასებულია შვიდი ქვეყნის შესაძლებლობები გამოიყენოს ინფორმაციული კომპიუტერული ტექნოლოგიები. ასევე გამოჩნდა „მოხსენება პოსტსაბჭოური ქვეყნების კონკურენტუნარიანობის შესახებ".

რეიტინგული შეფასებების გავრცელების მიზეზს წარმოადგენს სურვილი გაიზომოს და დაფიქსირდეს რეგიონების დიფერენციაციის ხარისხი და მისი დინამიკა რიგი წამყვანი ფაქტორების გამოყოფის საფუძველზე. საერთოდ, რეიტინგული მიდგომა დასავლური მეთოდოლოგიისთვისაა დამახასიათებელი, სადაც შეიმჩნევა კონკრეტული პროცესის მონაწილეთათვის „ნიშნების დაწერისადმი" მისწრაფება. მაგალითად, გაეროს პროგრამაში ინტეგრირებული ნიშნები „დაეწერა" 174 ქვეყანას. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მასალებში განსაზღვრულია კონკურენტუნარიანობის რეიტინგები 59 ქვეყნისათვის. მსოფლიო ბანკის პორტალი საშუალებას იძლევა შედარდეს 100 ქვეყნის ეკონომიკა მონაცემთა ბაზაში არსებული 70 მაჩვენებლიდან ნებისმიერი ჯგუფის არჩევის მიხედვით.

მისწრაფება, შეფასდეს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა არაერთგვაროვნად აღიქვეს დასავლეთის ეკონომისტებმა. ცნობილმა ეკონომისტმა პ. კრუგმანმა ერების კონკურენტუნარიანობის შეფასებისადმი სწრაფვას „საშიში" უწოდა.

ჯ.საქსი და ა. უორნერი, რომლებიც არიან ქვეყნის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის იდეოლოგები, აღნიშნავენ, რომ რეიტინგი განკუთვნილია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პერსპექტივების შესაფასებლად და ეხმიანებიან ეკონომიკური ზრდის ტემპებს, სწრაფი ეკონომიკური ზრდისათვის დაგროვილი პოტენციალის გათვალისწინებით.

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი პოლიტიკოსებს აძლევს ინფორმაციას ქვეყნის მდგომარეობაზე რიგი პოზიციების მიხედვით და წარმოადგენს სტიმულს დაბალი რეიტინგული ქვეყნებისათვის, რათა კორექტივები შეიტანოს თავის ეკონომიკურ პოლიტიკაში, აღვივებს ინტერესს მაღალრეიტინგული ქვეყნების გამოცდილების შესწავლისაკენ და სწორედ ამაშია მისი ეკონომიკური მნიშვნელობა. ყველა რეიტინგი არის შეფასების სისტემა, რომელიც აგებულია იდეოლოგიაზე.

რეგიონების რეიტინგი ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის მიხედვით ფასდება რეგიონის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შემდეგი სამი პუნქტის გათვალისწინებით:

1. შიდა რეგიონული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, რომელიც კორექტირებულია ფულის მსყიდველობითი უნარის მიხედვით და ასახავს მოხმარების დონეს და შესაძლებლობებს.

2. მოსწავლეთა/სტუდენტთა წილი მთელ მოსახლეობაში ადამიანის განვითარებაში განათლების მნიშვნელობის გათვალისწინებით.

3. მიმდინარე წლის ახალშობილთა მომავალი სიცოცხლის ხანგძლივობა, რაც ასევე ასახავს ამა თუ იმ ტერიტორიაზე ადამიანის არსებობის პირობებს.

რეგიონის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის განსაზღვრისათვის, ზემოთ მოცემული ინდექსი შეიძლება მნიშვნელოვან დამატებად იქცეს, რადგან საშუალებას იძლევა შეფასებული იქნას რეგიონის მიღწევები ადამიანის განვითარებისათვის შექმნილი პირობების უზრუნველყოფაში. გლობალურ კონკურენტუნარიანობის პროგრამაში წარმოდგენილი ქვეყნების რეიტინგს საფუძვლად დაედო ჯ.საქსისა და გ. სტოუნის მიდგომა, სადაც კონკურენტუნარიანობის რვა ძირითადი ფაქტორია გამოყოფილი, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკის ხანგრძლივი აღმავლობის შესაძლებლობებს.

ყოველ კომპლექსურ ფაქტორს აქვს ფაქტორული წონა და ფასდება მაჩვენებელთა ჯგუფის მეშვეობით. ესენია:

1. გახსნილობა (მნიშვნელობა – 16,7%, 13 მაჩვენებელი)
2. სახელმწიფო (16,7% 22 მაჩვენებელი)
3. ფინანსები (16,7% 24 მაჩვენებელი)
4. ინფრასტრუქტურა (11,1 % 16 მაჩვენებელი)
5. ტექნოლოგია (11,1 % 23 მაჩვენებელი)
6. მართვა (5,5 %, 23 მაჩვენებელი)
7. შრომა (16,7 % 17 მაჩვენებელი)
8. ინსტიტუტები (5,5% 23 მაჩვენებელი)

სულ 161 მაჩვენებელი. მეორე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც იძლევა ქვეყნების კონკურენტუნარიანობის შეფასებას, არის მენეჯმენტის განვითარების ინსტიტუტი (IMD). იგი გამოყოფს მაჩვენებლების მსგავს ჯგუფებს (314 მაჩვენებელი), რაც მიგვანიშნებს ამ საკითხში საერთო მიდგომის არსებობაზე.



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2018 წლის მონაცემები)
http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/gci_2018_1_geo.pdf

ევროპული კომისიის (EU) „რეგიონული კონკურენტუნარიანობის ინდექსი" (RCI)

ევროპული კომისია ყოველ სამ წელიწადში ერთხელ აქვეყნებს „რეგიონული კონკურენტუნარიანობის ინდექსს" (European Regional Competitiveness Index –RCI, Eurostat Regional Yearbook). RCI-ის კვლევა იმით არის მნიშვნელოვანი და ღირებული, რომ ტრადიციული, წმინდა ეკონომიკური მაჩვენებლებით კონკურენტუნარიანობის ანალიზის გარდა, იკვლევს სოციალურ ელემენტებსაც. ის ასევე ითვალისწინებს რეგიონის განვითარების დონეს, რათა ყურადღება გაამახვილოს უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე ინოვაციური ფაქტორებისადმი. ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული მეთოდების სიმრავლე უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს რეგიონების კონკურენტუნარიანობის მეთოდოლოგიის განვითარება და ის საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენტუნარიანობის ინდიკატორების სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ევროპულ გამოცდილებას, კერძოდ ევროკომისიის ერთობლივ კვლევით ცენტრს (Joint Research Centre – JRC). ის გეთავაზობს კონკურენტული უპირატესობების სრულფასოვანი ანალიზის საფუძველზე გამოყვანილ ინტეგრალურ მაჩვენებელს, რომელიც შეიძლება გახდეს რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასებისას არსებული სისტემების ჰარმონიზაციის საფუძველი. კვლევითი ცენტრი კონკურენტუნარიანობის ყოველწლიურ ანგარიშებში მთავარ მაჩვენებლად მიიჩნევს ეფექტიანობას, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე და მის შედეგად მიღებულ ხარისხიანი სტანდარტების შესაბამის პროდუქტზე.[265]

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის თვისებრივი შეფასების გამოყენება რეგიონებისათვის აქტუალურია, რადგან შესაძლებელია იგი შევუსაბამოთ არსებულ მეთოდიკას. ამასთან უნდა დაზუსტდეს რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასებათან დაკავშირებული რამდენიმე მომენტი. კერძოდ, საკვანძო ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკის გან-

ვითარებას შეზღუდულობის პრინციპზე დაყრდნობით, ამავე დროს კონკურენტუნარიანობის ფაქტორებიც არის. ყველაფერი, რასაც გააჩნია შეზღუდულობის ნიშანი, შესაძლებელია გამოვიყენოთ კონკურენტუნარიანობის რესურსად.

კონკურენტული უპირატესობების ჩამოყალიბება ისტორიულად ხდება კონკურენტუნარიანობის ახალ–ახალი ფაქტორების გამოჩენასთან ერთად.

სხვადასხვა ქვეყანა თანმიმდევრულად გადის კონკურენტუნარიანობის ფორმების ერთი და იმავე სტადიებს, რომლებიც შეესაბამება ძირითადად მამოძრავებელ ძალებსა და სტადიებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს მის განვითარებასა და უპირატესობებს მოცემული დროის მონაკვეთში. ესენია: საწარმო ფაქტორები, ინვესტიციები, სიახლეები და სიმდიდრე. ამასთან, ამას უნდა მიემატოს ინფრასტრუქტურული და საინფორმაციო სტადიები.

ამრიგად, შეიძლება გამოვყოთ პირობები, რომლებიც ქმნიან კონკურენტუნარიანობის საკვანძო ფაქტორებს. ესენია: რესურსების, საინვესტიციო, ინფრასტრუქტურული, საინოვაციო და საინფორმაციო ფაქტორები.

კონკურენტუნარიანობის განვითარების ყველა წინამორბედი ეტაპი და მისი შესაბამისი კონკურენტული უპირატესობის განვითარების ფაქტორი ქმნის ბაზისს შემდგომი განვითარებისათვის. ინვესტიციები წარმოების პრობლემების გადაწყვეტისა და ინფრასტრუქტურების შექმნის საშუალებას იძლევა. ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომს ხდის რესურსებსა და ბაზრებს, ქმნის პირობებს საწარმოო, სამეცნიერო საკონსტიტუციო პროცესების მონაწილეების ურთიერთობებისათვის. ინოვაციები ბიძგს აძლევს ახალ ცოდნას, ახალ ტექნოლოგიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციას.

რაც შეეხება კონკურენტუნარიანობის და მასთან დაკავშირებული კონკურენტული უპირატესობების ინფრასტრუქტურულ და ინფორმაციულ ფაქტორებს, მათი მნიშვნელობა უდავოდ დიდია. ორივე ფაქტორს გააჩნია საკმაოდ დიდი გამოყენებული პოტენციალი, რომელიც გავლენას მოახდენს კონკურენტუნარიანობაზე.

კონკურენტუნარიანობის ინფრასტრუქტურული ასპექტი, რომლებიც საშუალებას იძლევა უფრო მაღალი ტემპით გაიზარდოს წარმოების ეფექტურობა, უზრუნველყოფენ საქონლის ბრუნვასა და რეალიზაციის დაჩქარებას და ადამიანის განვითარებას.

თავი 16. რეგიონული კლასტერები – საქართველო და მსოფლიო გამოცდილება

16.1კლასტერული პოლიტიკის ფორმირება საზღვარგარეთის ქვეყნებში

XXI საუკუნის დასაწყისში თვალსაჩინო გახდა სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკების რადიკალური ტრანსფორმაცია, გლობალიზაციის შედეგად, წარმოების ფაქტორები უფრო მობილური გახდა, გაძლიერდა რა ქვეყნებს შორის კონკურენცია, გაქრა ბევრი ტრადიციული დარგი და გაჩნდა ახალი დარგთაშორისი სტრუქტურები, ამიტომაც განვითარებისა და კონკურენტული უპირატესობების მოსაპოვებლად მთავარი ხდება კომპანიებს შორის ურთიერთკავშირები, რამაც დასაბამი მისცა ახალ ქსელურ სტრუქტურებს -კლასტერებს.[266:გვ.460]

კლასტერები იმპულსს აძლევენ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების განვითარებას, ხელს უწყობენ ტერიტორიების ორგანიზაციის ახალი ქსელური რესურსის მობილიზებას, საფუძველს უყრიან ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. ევროპაში, ისევე როგორც მსოფლიოში კლასტერის აქტიური განვითარება მიიჩნევა ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურ მიმართულებად.

კლასტერების თეორიას საფუძველი ჩაეყარა მაიკლ პორტერის კლასიკურ ნაშრომებში, [267: გვ.3] მაგრამ, როგორც თავად ავტორი აცხადებს, აღნიშნული თეორიის ისტორიული და ინტელექტუალური წანამძღვრები სათავეს იღებენ არც მეტი, არც ნაკლები, ალფრედ მარშალის შრომიდან „ეკონომიკური თეორიის პრინციპები“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1890 წელს. მასში მარშალმა გამოიკვლია „განსაზღვრულ ადგილებში სპეციალიზებული დარგების კონცენტრაციის ეფექტი“.[268]

მაიკლ პორტერი კლასტერს ასე განმარტავს, „კლასტერი – ეს „არის განსაზღვრულ დარგებში გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, სპეციალიზებული მომწოდებლების, მომსახურების მომწოდებლების შესაბამის დარგებში მომუშავე ფირმებს, ასევე მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციების ჯგუფები (მაგალითად, უნივერსიტეტების, სტანდარტიზაციის სააგენტოების, აგრეთვე სავაჭრო გაერთიანებების), რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, მაგრამ, იმავდროულად ეწევიან ერთობლივ საქმიანობას.[269]

კლასტერები განაპირობებს ახლებურ შეხედულებას ეკონომიკასა და მის განვითარებაზე, ბიზნესის, მთავრობისა და ინსტიტუტების ახალ როლზე და ურთიერთდამოკიდებულებების აგების ახალ ხერხებზე, როგორიცაა ბიზნესი–მთავრობა ან ბიზნესი–ინსტიტუტები“. [270:გვ.28-29] მ. პორტერი მოცემულ განმარტებაში ყურადღებას ამახვილებს თავისი ცნობილ წიგნში „კონკურენცია“, სადაც მიუთითებს რეგიონული ფაქტორის ცენტრალურ როლზე კლასტერების წარმოქმნის პროცესებში.

კლასტერული პოლიტიკა წარმოადგენს ახალ მიმართულებას ეკონომიკური განვითარების პოლიტიკაში.

საქართველოში კლასტერული მიდგომის წანამძღვრები არსებობს. ეს იმას მოწმობს, რომ საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვადასხვა ქვეყნებისათვის ფრიად აქ-

ტიურია კლასტერული მიდგომის გამოყენება საწარმოების, რეგიონებისა და მთლიანად ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნებისათვის.

ამრიგად, კლასტერად ჩამოყალიბებისათვის გეოგრაფიულად მოსაზღვრე ურთიერთდაკავშირებული კომპანიები და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები უნდა მოქმედებდნენ განსაზღვრულ სფეროში, აერთიანებდეთ ერთობლივი საქმიანობა და ავსებდნენ ერთმანეთს.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ ამჟამად თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნა შეიძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ ინტეგრაციის პროცესებს, მ.შ. კლასტერების განვითარების გზით.

კლასტერის კლასიკურ მაგალითია სილიკონის ველზე არსებული ტექნოლოგიური კლასტერი და იტალიაში არსებული ფეხსაცმლის კლასტერი.

საგულისხმოა, რომ იმ ქვეყნების გარდა, სადაც კლასტერები თავად საბაზრო კანონებმა ჩამოაყალიბა, მრავალი სახელმწიფო მათ ხელოვნურადაც ზრდის. კლასტერულ პოლიტიკას მრავალი განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფო აწარმოებს – იაპონია და სამხრეთ კორეა, სინგაპური და ფინეთი, სლოვენია და კანადა.

როგორც საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, კლასტერული პროგრამების დაფინანსების ძირითადი წყარო განვითარებად ქვეყნებში იყო დონორული პროგრამები (ტექნიკური ხელშეწყობის პროგრამები). კერძოდ, „ქვეყნების კონკურენტუნარიანობის განვითარების პროგრამა,[271] პროექტი „კლასტერები გარდამავალ ეკონომიკაში“ პროგრამით „Local Economic and Employment Development“ ცენტრალური ევროპის ინიციატივისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ხელშეწყობით,[272] კლასტერიზაციის პროექტი უკრაინაში აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, [273] კლასტერიზაციის პროექტი ინდოეთში UNIDO–ს ფინანსური მხარდაჭერით,[274] საშუალო და მცირე საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროექტი განვითარებად ქვეყნებში UNIDO–ს ფინანსური მხარდაჭერით,[275] კლასტერების განვითარების პროგრამა მალაიზიაში გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის მხარდაჭერი,[276] პროექტი „სამრეწველო კლასტერების განვითარება“ (INCLUDE) პროგრამის „INTERREG III B“ ფარგლებში აფინანსებენ კლასტერების განვითარებას იტალიაში, ავსტრიაში, უნგრეთში, პოლონეთში, ბულგარეთში, რუმინეთში.[277]

კლასტერებზე აგებული ეკონომიკა – ეს არის კონკურენტუნარიანი და ინვესტიციურად მიმზიდველი ეკონომიკის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონესა და ხარისხს და წარმოებაში რთავს არა მხოლოდ რეგიონის მსხვილ საწარმოებს, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესს.

ყველაზე განვითარებულ კლასტერებს გააჩნიათ ხუთი პრინციპული მახასიათებელი, რომელთაგან პირველი სამი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კლასტერების შექმნის სასტარტო წინამძღვარი.

1. კონკურენტუნარიანი საწარმოების არსებობა. კლასტერის განვითარების საკვანძო პირობა როგორც ბაზარზე ასევე თვით კლასტერში კონკურენტუნარიანი საწარმოების

არსებობა. კონკურენტუნარიანობის ინდიკატორად შეიძლება განვიხილოთ, კლასტერში შემავალი კომპანიებისა და სექტორების მწარმოებლურობის შედარებით მაღალი დონე, პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტის მაღალი დონე, კომპანიების საქმიანობის მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები.

2. კლასტერების განვითარებისათვის კონკრეტული უპირატესობის არსებობა რეგიონში. მაგალითად, მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობა, ნედლეულის ხელმისაწვდომობა, სპეციალიზებული ადამიანური რესურსების მაკომპლექტებელი მომსახურების მომწოდებლების, სპეციალიზებული სასწავლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მწარმოებელი სპეციალიზებული ორგანიზაციების, აუცილებელი ინფრასტრუქტურის არსებობა და სხვა ფაქტორები. ტერიტორიის კონკრეტული უპირატესობის ინდიკატორებად შეიძლება განხილულ იქნას: მოზიდული უცხოური ინვესტიციების შედარებით მაღალი დონე კლასტერში შემავალი საწარმოების ან სექტორების დონეზე.

3. გეოგრაფიული კონცენტრაცია და სიახლოვე – კლასტერების მთავარი მონაწილეები ერთმანეთთან გეოგრაფიულად ახლოს არიან განლაგებული და აქვთ აქტიური ურთიერთქმედების შესაძლებლობა, გეოგრაფიული მასშტაბი შეიძლება იცვლებოდეს კლასტერის ტიპიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე და მოიცავდეს ქვეყნის ერთ ან რამდენიმე რეგიონს. გეოგრაფიული კონცენტრაციის ინდიკატორებად შეიძლება განხილულ იქნას მოცემული რეგიონის სპეციალიზაციის მაღალი დონის განმსაზღვრელი სხვადასხვა მაჩვენებლები.

4. მონაწილეთა ფართო წრე და „კრიტიკული მასის" არსებობა. კლასტერი შეიძლება შედგებოდეს რეგიონის ფარგლებს გარეთ გასატანი საბოლოო პროდუქციისა და მომსახურების მწარმოებელი კომპანიებისაგან; მაკომპლექტებელ, მოწყობილობებისა და სპეციალიზებული მომსახურების მომწოდებლების; ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების; სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა მხარდამჭერი ორგანიზაციებისაგან, ინდიკატორებად შეიძლება განხილულ იქნას საწარმოებსა და კლასტერში შემავალ სექტორებში დასაქმების მაღალი დონის განმსაზღვრელი მაჩვენებლები, კლასტერში შემავალი კომპანიებისა და ორგანიზაციების ოდენობა.

5. კლასტერების მონაწილეებს შორის კავშირებისა და ურთიერთმოქმედების არსებობა. – კლასტერის განვითარებაში წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამუშაო კავშირებისა და კლასტერის მონაწილეებს შორის ძალისხმევის კოორდინაციის არსებობა, ეს კავშირები შეიძლება განსხვავებული ბუნების იყოს სათაო კომპანიებსა და მომწოდებლებს, თვით მომწოდებლებს შორის ფორმალიზებული ურთიერთობების, მოწყობილობათა და სპეციალიზებული სერვისი მომწოდებლებთან თანამშრომლობის, კომპანიებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციაში თანამშრომლობის ჩათვლით.[278]

კულტურების მრავალფეროვნებამ მკვლევრები მიიყვანა კლასტერების – ქვეყნების (კულტურების) ერთობლიობის – აგების იდეამდე. კლასტერებში გაერთიანებულია იმ

ქვეყნების კულტურები, რომელთაც მსგავსი თვისებები აქვს. ერთ-ერთი ამგვარი კლასიფიკაცია წამოაყენეს რონენმა და შენკარმა.[279] მათ გამოყვეს:

- ✓ სკანდინავიური კლასტერი: ფინეთი, ნორვეგია, შვედეთი, დანია;
- ✓ გერმანული კლასტერი: გერმანია, ავსტრია, შვეიცარია;
- ✓ ინგლისურენოვანი კლასტერი: აშშ, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, კანადა, ახალი ზელანდია, ირლანდია;
- ✓ რომანული კლასტერი: საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, ბელგია;
- ✓ ლათინოამერიკული კლასტერი: არგენტინა, ვენესუელა, მექსიკა, ჩილე, კოლუმბია, პერუ;
- ✓ შორეული აღმოსავლეთის კლასტერი: ტაილანდი, ინდონეზია, ტაივანი, ფილიპინები, სინგაპური, ჰონგ-კონგი, ვიეტნამი;
- ✓ არაბული კლასტერი: ბაჰრეინი, ქუვეითი, გაე-ები, ომანი, საუდის არაბეთი;
- ✓ ახლო აღმოსავლეთის კლასტერი: თურქეთი, საბერძნეთი, ირანი.

ავტორთა მიერ განხილული ზოგიერთი ქვეყნის კლასიფიკაცია (ბრაზილია, იაპონია, ინდოეთი, ისრაელი) არ შესულა არც ერთ კლასტერში. ამ კლასიფიკაციის შემეცნებითი მნიშვნელობა უდავოა, თუმცა იმავდროულად უნდა დავეთანხმოთ მკვლევრებს, რომლებიც მიუთითებენ მის წინააღმდეგობრივობაზე: ასე მაგალითად, კულტურული თვალსაზრისით ერთ კლასტერში მოვათავსოთ თურქეთი და საბერძნეთი, ვფიქრობთ, არამართლზომიერია. იგივე შეიძლება ითქვას ბელგიაზე რომანულ კლასტერში და ა.შ. საერთოდ კი, ეს კლასტერიზაცია უნდა განიხილებოდეს უბრალოდ, როგორც საკმაოდ რთული და მრავალსაზომიანი მომავალი კლასიფიკაციის ერთ-ერთი ნაბიჯი.

16.2 რეგიონული კლასტერები (არსი.პრინციპები)

კლასტერების თეორიამ გაგრძელება ჰპოვა ამერიკელი მეცნიერის მ. ენრაიტის ნაშრომებში. მან შექმნა „რეგიონული კლასტერის“ თეორია და მისცა მას შემდეგი განმარტება:

რეგიონული კლასტერი — ეს არის სამრეწველო კლასტერი, რომელშიც კლასტერის წევრი ფირმები გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობენ ერთმანეთთან.[280:გვ.580-604] ენრაიტის თეორიის თანახმად, კონკურენტული უპირატესობანი იქმნება არა ნაციონალურ დონეზე, არამედ რეგიონულზე, სადაც მთავარ როლს ასრულებენ რეგიონების განვითარების ისტორიული წანამძღვრები, ბიზნესის წარმოების კულტურის, წარმოების ორგანიზაციისა და განათლების მიღების მრავალფეროვნება. სწორედ რეგიონული კლასტერები საჭიროებენ სახელმწიფო სტრუქტურებისა და კვლევითი ორგანიზაციების მიზანმიმართულ მხარდაჭერას. რეგიონული კლასტერი — ეს არის მეურნეობის ერთ ან რამდენიმე მონათესავე დარგში მომუშავე ფირმების ეკონომიკური აგლომერაცია.[281]

ერთ-ერთი ამოცანა, როგორც ქვეყნის ისე რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში არის კლასტერიზაციის პოტენციალის გამოვლენა. როგორც მსოფლიო პრაქტიკა

გვიჩვენებს, კლასტერული მიდგომა არის არა მხოლოდ სამრეწველო პოლიტიკის მიზნების მიღწევის საშუალება (სტრუქტურული ცვლილებები, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ინოვაციური მიმართულების გაძლიერება და სხვა), არამედ ის წარმოადგენს მძლავრ ინსტრუმენტს რეგიონული განვითარების სტიმულირებისათვის, რომელიც საბოლოო ჯამში შეიძლება მდგომარეობდეს რეგიონის სავაჭრო ბალანსის სტიმულირებაში, დასაქმების ამაღლებაში, სახვადასხვა დონის ბიუჯეტებში ანარიცხებისა და ხელფასის ზრდაში, რეგიონის მრეწველობის მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

მეწარმეობის განვითარების კლასტერული კონცეფცია ფოკუსირდება რეგიონის კორპორაციულ სტრუქტურებს, საინვესტიციო, საშუამავლო, სამეცნიერო, სასწავლო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ურთიერთკავშირებზე. კლასტერული კონცეფცია ემყარება კონკრეტული რეგიონის კონკურენტუნარიანობას, რომელიც დამოკიდებულია ურთიერთდაკავშირებული დარგების კლასტერის არსებობაზე.

კლასტერული კონცეფციის არსი მდგომარეობს იმ რეგიონების კონსოლიდებული პოტენციალის რეალიზაციაში, რომელთა ეკონომიკური ტერიტორია წარმოადგენს საფუძველს ევროპული თანამშრომლობის განვითარებისათვის,ხოლო რეგიონული ეკონომიკის პრობლემების გადაწყვეტა ევროპული თანამეგობრობის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას.[282:გვ.104-107]

რეგიონის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მასში მოქმედი სუბიექტების ეკონომიკურ საქმიანობაზე. სწორედ ამიტომ კლასტერული მიდგომა, როგორც ტრადიციული დარგობრივი, სამრეწველო პოლიტიკის ალტერნატივა კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეფექტური მექანიზმია. [283:გვ.124-128]

კლასტერული პოლიტიკის რეალიზაციაში განსაკუთრებული როლი ეკისრება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს. კლასტერული პოლიტიკა ემყარება კონკრეტული რეგიონის კონკურენტუნარიანობას, რომელიც დამოკიდებულია ურთიერთდაკავშირებული დარგების კლასტერის არსებობაზე. [284:გვ.413-417]

უნდა ვაღიაროთ საქართველოში მსხვილი კონკურენტუნარიანი სტრუქტურების შექმნის აუცილებლობა. ასეთი სტრუქტურები შეიძლება იყოს დარგთაშორისი კლასტერული წარმონაქმნები, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას და უზრუნველყოფენ ეკონომიკის განვითარებას.

კლასტერის აგება შესაძლებელია განხორციელდეს სამი ვარიანტით:

- „ზევიდან ქვევით“, როცა კლასტერის სტრატეგიის განსაზღვრა მთლიანობაში და მისი რესურსებით მხარდაჭერა ხორციელდება „ ზევიდან“;

- „ქვევიდან ზევით“, როცა ცალკეული პროექტები და პროგრამები ინტეგრირდება და ერთიანდება კლასტერში „ ქვევიდან“;

- შერეული ვარიანტი, როცა პარალელურ რეჟიმში დროში ერთმანეთს ერწყმის ორივე მიდგომა.

კლასტერის შექმნისაკენ მიმართული პოლიტიკა იწყება რეგიონში მათი წარმოქმნისათვის უკვე არსებული წანამძღვრებით, რომელთაგან უმთავრესია:

- კლასტერის განვითარებისათვის ფუძემდებლური მესაკუთრეებისა და კლასტერის ფარგლებში თანამშრომლობით დაინტერესებული საწარმოების არსებობა;

- კოოპერაციული და სხვა კავშირების, ურთიერთქმედების დამუშავებული მექანიზმების, ურთიერთნდობის მაღალი დონის არსებობა;

- საწარმოთა და ორგანიზაციათა მაღალი ინოვაციურ-ტექნოლოგიური დონე;

- კლასტერის პოტენციური მონაწილე საწარმოებისა და ორგანიზაციების პროდუქციის მაღალი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, რასაც განსაზღვრავს პროდუქციის მაღალი მოცულობა;

- შემდგომი ინოვაციური განვითარების სურვილი;

- ხელისუფლების ორგანოების დაინტერესება რეგიონის ეკონომიკის განვითარების კლასტერული ვარიანტით და კონკურენციისა და თანამშრომლობის გაფართოებით;

- ბიზნესთან ურთიერთქმედების გამოცდილების არსებობა ხელისუფლების ორგანოებში, მათ შორის ეკონომიკის იმ სექტორში, რომელშიც ნავარაუდევია კლასტერის ფორმირება;

- კარგი ნორმატიული სამართლებრივი ბაზის არსებობა რეგიონში;

- სისტემური მუშაობა რეგიონში ბიზნესის მხარდაჭერის არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სრულყოფისათვის;

- რეგიონის ხელმძღვანელობის მზაობა ბიზნესთან დიალოგისათვის;

- თანამშრომლობის პირობები;

- პროფესიული განათლების მაღალკვალიფიციური სისტემის არსებობა, რომელსაც გააჩნია ეკონომიკის შესაბამისი სექტორებისათვის კადრების მომზადების გამოცდილება.

რეგიონის ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებლად პირველ ეტაპზე აუცილებელია გაანალიზდეს ოთხი ძირითადი მიმართულება:

– განისაზღვროს მომუშავეთა რაოდენობა და კვალიფიკაცია, ასევე დაწესებულებათა რიცხვი, რომლებიც მონაწილეობენ სავარაუდო კლასტერის მოცემულ სექტორში;

– განისაზღვროს ლოკალური კლასტერების ხვედრითი წილი კლასტერში და მათი ხვედრითი წილი რეგიონში;

– ქვეყანაში განისაზღვროს დანახარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა ტექნოლოგიური პროცესის ყველა რგოლში, ნედლეულისა და მარაგების მოწოდებით დაწყებული და პროდუქციის რეალიზაციით დამთავრებული;


– განისაზღვროს კლასტერის ზრდის ტემპი.

რეგიონში კლასტერების ჩამოყალიბების ერთ-ერთი პირობაა დარგების სპეციალიზაციის არსებობა. სპეციალიზაციაში იგულისხმება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ფორმა, რომელსაც ასახავს პროდუქციის ცალკეული სახეების ან მისი ნაწილების წარმოების თავმოყრას დამოუკიდებელ დარგებში, წარმოებასა და სპეციალიზებულ საწარმოებში.

რეგიონის ადმინისტრაციისათვის კლასტერი ყველაზე თანამედროვე, მოხერხებული ინსტრუმენტია სამრეწველო პოლიტიკაში; მეორეც, იგი კარგი ასპარეზია ბიზნესთან ურ-

თიერთქმედებისათვის; მესამე, რეგიონულ ადმინისტრაციას აკისრია დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი სახსრები, დრო და ცოდნა. კლასტერული მიდგომა გეაძლევს ეფექტურ ინსტრუმენტებს ძირითადი მიზნების მისაღწევად. ეს მიზნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: რეგიონის შემოსაველიანობის ზრდა და მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა.

რეგიონული კლასტერების ფორმირების ბლოკ-სქემა



კლასტერული პოლიტიკის რეალიზაციაში განსაკუთრებული როლი ეკისრება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს.

საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებისათვის აქტუალურია კლასტერული მიდგომის გამოყენება საწარმოების, რეგიონებისა და მთლიანად ნაციონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნებისათვის.

კლასტერული ინიციატივების განვითარება საქართველოში ითხოვს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

1. შემუშავდეს და დამტკიცდეს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია ინოვაციური კლასტერული სტრუქტურების საფუძველზე;

2. საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფილ იქნას მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი საქმიანი გარემოს შექმნა, აქცენტი გაუკეთდეს ხელისუფლებასთან, ბიზნესთან, მეცნიერებასთან, განათლებასთან და ინოვაციური ქსელური სტრუქტურების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე.

3. შეიქმნას კონკურენტუნარიანობის ეროვნული და რეგიონული საბჭოები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ ინოვაციური კლასტერული გაერთიანებების და სხვა ქსელური ფორმირებების პროექტების შემუშავებასა და რეალიზაციას;

4. უზრუნველყოფილ იქნას ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა ინოვაციური ქსელური სტრუქტურების განვითარებასა და ფუნქციონირებაში მონაწილე სპეციალისტების მომზადება-გადამზადებისათვის;

5. ჩატარდეს ფუნდამენტური კვლევები ქვეყანაში ეროვნული და რეგიონული საწარმოო კლასტერების ფორმირების პრიორიტეტების განსასაზღვრავად.

საზღვარგარეთული გამოცდილებისა და ქვეყნის სპეციფიკური პირობების შესწავლის საფუძველზე უნდა განხორციელდეს კლასტერული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და რეალიზაციის მეთოდოლოგიური საფუძვლები.

თავი 17. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და მოწყობის საკითხები

17.1 საქართველოს სახელმწიფოებრივ – ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლები

ქვეყნის კონსტიტუციით განისაზღვრება სახელმწიფოებრივ–ტერიტორიული მოწყობის ორი ძირითადი პრინციპი: 1. სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვა. 2. სახელმწიფო და ტერიტორიულ ერთეულებს შორის კომპეტენციების გამიჯვნა.

სახელმწიფოებრივ–ტერიტორიული მოწყობის ერთ–ერთი ძირითადი პრობლემაა ქვეყანაში სახელისუფლებო დონეებს შორის კომპეტენციისა და უფლებამოსილებათა გამიჯვნა.

საქართველოში სახელმწიფოებრივ–ტერიტორიული მოწყობის არჩეული მოდელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

1. საქართველოს, როგორც ერთიანი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დაცვა;
2. ადამიანისა და ეროვნული უმცირესობების უფლებათა გარანტიების შექმნა;
3. ეკონომიკის განვითარებისათვის ხელის შეწყობა;
4. დემოკრატიული მართვის ტრადიციების დაფუძნება.

სახელმწიფოებრივ–ტერიტორიული მოწყობის ფორმებთან დაკავშირებით განიხილება ორი ფორმა: ფედერალური და უნიტარული სახელმწიფო.

მიუხედავად იმისა, თუ სახელმწიფო მოწყობის რომელ ფორმას მიენიჭება უპირატესობა ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა უნდა ეშსახურებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. ქვეყანაში უნდა არსებობდეს ძლიერი და ქმედითუნარიანი ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც შეეძლება საერთო ეროვნული პრობლემების მოგვარება. მას უნდა გააჩნდეს ისეთი უფლებამოსილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების გატარებას, ქვეყნის დაცვას საგარეო საფრთხისაგან და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფას.

2. უნდა არსებობდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის უნიფიცირებული სისტემა.

3. უნდა შეიქმნას პირობები ადგილობრივი თავისებურებებისა და სპეციფიკის განვითარებისათვის და მოხდეს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა ინტერესების ჰარმონიზაცია.

4. ცენტრალური ხელისუფლება ისეთი უფლებამოსილებით უნდა აღიჭურვოს, რომელიც მას საშუალებას მისცემს ჩაერიოს ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობაში იმ საგანგებო სიტუაციებში, როდესაც საფრთხე ექმნება ქვეყნის კონსტიტუციური წყობის საფუძვლებს და ერთიანობას.

იკვეთება ტერიტორიული მოწყობისადმი ორი ძირითადი მიდგომა:

1. მკვეთრად ცენტრალიზებული სახელმწიფო წყობილების ფორმა, როცა ცენტრალური ხელისუფლების ხელში იქნება თავმოყრილი ყველა სახელმწიფო ფუნქცია.

2. უნდა მოხდეს უფლებამოსილებათა გადანაწილება ხელისუფლების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებს შორის.

დემოკრატიის განვითარების პირობებში ხელისუფლებას „ცენტრს" შეუძლია და ვალდებულიცაა გამოხატოს და ცხოვრებაში გაატაროს საერთო ეროვნული ინტერესები, მაგრამ ის უნარაოა გაითვალისწინოს რეგიონული სპეციფიკური პირობები. აქედან გამომდინარე, დეცენტრალიზმი გაზრდის რეგიონებში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ურთიერთობების რეგულირების შესაძლებლობებს, რაც თავისთავად აამაღლებს მართვის დონეს და ეფექტურობას. თავის მხრივ ცენტრალური ხელისუფლება გათავისუფლდება სპეციფიკური ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტისაგან, რაც ადგილობრივ ხელისუფლებას უფრო ხელეწიფება და შესაბამისად, ცენტრალურ ხელისუფლებას მეტი შესაძლებლობა ექნება კონცენტრირება მოახდინოს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საკითხებზე.[285]

„...ჩვენი წეს-წყობილება დემოკრატიულია, დემოკრატია კი ორ ძალას ეყრდნობა ქალაქს და სოფელს–გაძლიერება სოფლის და ქალაქის თვითმმართველობათა, აი,ჩვენი მთავრობის საზრუნავი საქმე. სადაც ეს თვითმმართველობანი ძლიერნი არ არიან, იქ დემოკრატია სუსტია. მაგ., ამერიკაში კომუნა ყველაფერია, იქ თვითმმართველობანი ყველაზე უფრო ძლიერია. საფრანგეთში, როგორც ბურჟუაზიულ დემოკრატიულ სახელმწიფოში, საშინელი ცენტრალიზმია განვითარებული. ყველა დემ.ქვეყნებში არის მიდრეკილება ამერიკის კომუნისაკენ და სცდილობენ დაახლოვებით მაგისთანა თვითმმართველობის შექმნას. არადემოკრატიული ქვეყნები კი საფრანგეთის ცენტრალიზისკენ მიისწრაფვიან." ნოე რამიშვილის სიტყვა საქართველოს ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობაზე; ერთობა №213;20.09.1919

ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური რეგულირების ტრადიცია საქართველოში 1921 წლის თებერვლის კონსტიტუციიდან მომდინარეობს, როცა კონსტიტუციაში ცალკე, მე-10 თავი არსებობდა სახელწოდებით „ადგილობრივი თვითმმართველობა". ეს თავი რამდენიმე მუხლისგან შედგებოდა და თვითმმართველობისთვის მნიშვნელოვან, თითქმის ყველა საკითხს მოიცავდა. ჩანაწერი კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველს ქმნიდა ქვეყანაში ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილებისათვის, რაც შემდგომ საკანონმდებლო აქტებში უნდა ასახულიყო. 1921 წლის კონსტიტუცია თვითმმართველობას სახელმწიფო ხელისუფლების გაგრძელებად მოიაზრებდა: „ადგილობრივი თვითმმართველობა არის ორგანო ადგილობრივი მმართველობისა". მისი ძირითადი ფუნქცია სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხების გამგებლობა იყო. მართვა–გამგეობის საქმეში ის მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს ემორჩილებოდა.[286]

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია ადგილობრივ თვითმმართველობასა და მმართველობას ერთად და სახელმწიფო ხელისუფლების გაგრძელებად მოიაზრებდა, კონსტიტუცია ითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ცალკეულ გარანტიებს. ესენია: ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითობა საყოველთაო,

პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით; ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება, კანონის თანახმად, გამოსცეს შესასრულებლად სავალდებულო დადგენილებები; თვითმმართველობის გადაწყვეტილებების მხოლოდ სასამართლოს მიერ გაუქმება, ასევე მისი საბიუჯეტო უფლებამოსილებები.[287]

კანონით უნდა განსაზღვრულიყო თვითმმართველობის ორგანიზაცია, მართვა-გამგეობის წესი და უფლება-მოვალეობანი. კონსტიტუციით იყო განსაზღვრული სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხები: „მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ხოლო ვალდებულნი არიან საქმე დაუყოვნებლივ სასამართლოს გადასცენ."[288]

1918-1921 წლებში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შექმნილმა თემებისა და ერობების სისტემამ მალე შეწყვიტა არსებობა საბჭოთა ხელისუფლების იძულებით დამყარების გამო, რასაც შედეგად მოჰყვა ადგილობრივი საბჭოების სისტემის ჩამოყალიბება. მისი ძირითადი მახასიათებელი იყო ის, რომ არსებობის მთელ მანძილზე თვითმმართველობა განიხილებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ შემადგენელ რგოლად და არ არსებობდა უფლებამოსილებათა გამიჯვნა სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებს შორის.[289:გე.390]

საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის საქართველოში იყო ორი ავტონომიური რესპუბლიკა, ერთი ავტონომიური ოლქი, 65 რაიონი და 4 საქალაქო ზონა, 13 რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი და 942 სასოფლო საბჭო (სულ 4603 დასახლებული პუნქტი, მათ შორის, 51 ქალაქი და 61 დაბა).[290:გე.15]

1921 წელს, საქართველოს სუვერენიტეტის დაკარგვასთან ერთად, საქართველოში შეწყდა კონსტიტუციურ-სამართლებრივი პროცესების ნორმალური განვითარება, რაც კვლავ აქტუალური გახდა 1993-1995 წლებში, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობის დროს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის კონსტიტუციის პროექტებზე მუშაობისას, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები არ ყოფილა განხილვებისა და დისკუსიების ძირითადი თემა, მიუხედავად იმისა, რომ წარდგენილი პროექტები ამ საკითხში ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. 1993-1995 წლებში მიმდინარე საკონსტიტუციო პროცესის განმსაზღვრელი ნიშანი სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის კომპეტენციათა დანაწილება იყო.[291] შედეგად, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია თვითმმართველობის შესახებ მხოლოდ ერთი ჩანაწერით შემოიფარგლა (მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი):

„საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით."

1993 წლის ოქტომბრიდან ქვეყანაში დაიწყო სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულისა და სამხარეო ადმინისტრაციების ინსტიტუტების შემოღება. 1993-95 წლებში ქვეყანა, ავტონომიური რესპუბლიკების გარდა, დაიყო ცხრა რეგიონად. ყოველ რეგიონში დანიშ-

ნული იქნა სახელმწიფოს მეთაურის (შემდგომში – პრეზიდენტის) რწმუნებული. 1995წ. მიღებული იქნა საქართველოს კონსტიტუცია, რომელშიც ღიად დარჩა ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი. კონსტიტუციის მე -2 მუხლის მე -3 პუნქტში აღნიშნული იქნა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა ურთიერთგამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

1998 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა საქართველოს 1031 ადმინისტრაციულ ერთეულში (971 თვითმმართველ (სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი) და 60 ადგილობრივ მმართველობით (ქალაქი, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში და რაიონი) ერთეულში .

1999-2002 წლებში განხორციელდა ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ცვლილებები . ძირითადად მოხდა სოფლების გამოყოფა თემებიდან და შეიქმნა 27 ახალი ადმინისტრაციული ერთეული. შესაბამისად, 2002 წლის 2 ივნისს არჩევნები ჩატარდა 998 თვითმმართველ ერთეულში.

2005 წლისათვის საქართველოს ტერიტორიულ მოწყობაში დე ფაქტო არსებობდა სამი დონე:

ა. ზედა (ე. წ. რეგიონული) დონე : 9 რეგიონი, რომელთან ერთადაც შესაძლოა პირობითად მოვიხსენიოთ დედაქალაქი – თბილისი (რომლის სტატუსიც რეგულირდება ცალკე კანონით), ასევე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები. ეს დონე დე ფაქტო არსებობს, თუმცა კანონმდებლობაში მისი არსებობა არ არის დაფიქსირებული.

ბ. საშუალო დონე : 65 რაიონი და ექვსი ქალაქი, რომელიც არ შედის რაიონის დაქვემდებარებაში. რაიონული დონე, კანონმდებლობის თანახმად, წარმოადგენდა სახელმწიფო მმართველობის დეკონცენტრირებულ სტრუქტურას.

გ. ქვედა დონე : 1004 ერთეული (სოფელი , თემი, დაბა, ქალაქი). ეს იყო ერთადერთი , იურიდიულად დაკანონებული თვითმმართველობის დონე. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, 2003 წლიდან, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მოახდინა თვითმმართველობის რეფორმის აუცილებლობის დეკლარირება.

მმართველობითი სისტემის დეცენტრალიზაციისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის განხორციელების მიზნით, 2004 წლის 22 ივლისს შეიქმნა „ეფექტიანი მმართველობითი სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის" სახელმწიფო კომისია. დეცენტრალიზაციისადმი ინტერესის მნიშვნელოვან ზრდას განაპირობებდა, როგორც ქვეყანაში მიმდინარე შიდა პროცესები (სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების გაძლიერება, ქვეყნის შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების საჭიროება), ისე საერთაშორისო, და განსაკუთრებით ევროპული, ორგანიზაციების მოთხოვნები.

2003 წლის მარტში ევროკავშირმა წარმოადგინა დოკუმენტი „გაფართოებული ევროპა – მეზობლობა : ახალი ჩარჩო აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ჩვენს მე-

ზობლებთან ურთიერთობისათვის", რომელშიც 2004 წლის 14 ივნისს მოხდა ამიერკავკასიის სამი ქვეყნის ჩართვა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში". სამოქმედო გეგმა საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2006 წლის 14 ნოემბერს. [292:გვ.8-9]

2004 წლის 6 თებერვალს, კონსტიტუციამ არსებითი ცვლილებები განიცადა. მაგრამ ცვლილებები შეეხო სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ჩანაწერის ოდნავ განვრცობა მოხდა. მე-2 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატა წინადადება: „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობა არჩევითია." [293]

2004 წლის 26 ოქტომბერს, რატიფიცირებული იქნა "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტია (სტრასბურგი, 15.10.1985), რომელიც საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2005 წლის 1 აპრილიდან. მას, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებას, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საქართველოს საკანონმდებლო აქტების მიმართ. ქარტია, შესაძლებლობის შემთხვევაში, სასურველად მიჩნევს ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციის მიერ რეგულირებას. თვითმმართველობის პრინციპის კონსტიტუციურად განმტიკიცება მას კიდევ უფრო მეტ „წონას" და მნიშვნელობას ანიჭებს საჯარო ხელისუფლების ორგანოთა შორის.

ქარტიის განმარტებით, ადგილობრივი თვითმმართველობა ესაა (1) ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლება (2) და შესაძლებლობა (3), კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი (4), მათი პასუხისმგებლობითა და (5) ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. ამ უფლების განხორციელება ხდება (6) დემოკრატიულად არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ. [294]

2005 წლის 16 დეკემბერს პარლმენტმა მიიღო საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ";

2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების საბოლოო გამოცხადების დღიდან, საქართველოში ამოქმედდა თვითმმართველობის პრინციპზე დაფუძნებული ერთდონიანი ადგილობრივი ხელისუფლების სისტემა, რომელიც, საბოლოო მონაცემებით, აერთიანებს 76 თვითმმართველ ერთეულს: 64 მუნიციპალიტეტს, რომელიც შეიქმნა ყოფილი რაიონების, აგრეთვე კონფლიქტურ რეგიონებში არსებული 4 თვითმმართველი თემის (აჟარის თემი აფხაზეთში, ქურთის, ერედვისა და თიღვის თემები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე) ბაზაზე და 12 თვითმმართველ ქალაქს – თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, ფოთი, ამბროლაური, ახალციხე, გორი, ზუგდიდი, თელავი, მცხეთა, ოზურგეთი; [295]

2009-2010 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, გაძლიერდა ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები. კონსტიტუციაში ჩამოყალიბდა ცალკე, მეშვიდე პრიმა თავი. კონსტიტუციაში დაფიქსირდა, რომ თვითმმართველობასა და სახელმწიფოს შორის უფლებამოსილებები გამიჯნულია;

დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას მოქმედებს მატერიალური კომპენსაციის პრინციპი; თვითმმართველი ერთეულის გაუქმების ან საზღვრების შეცვლი-

სას სავალდებულოა ამ ერთეულთან კონსულტაციების გამართვა; თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ანგარიშვალდებულია წარმომადგენლობითი ორგანოს მიმართ, თვითმმართველობას უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. [296]

2010 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელმაც განსაზღვრა თვითმმართველობის პრინციპები (ეს მუხლები ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან). კონსტიტუციაში გაჩნდა ახალი VII-1 თავი, რომლის თანახმადაც განისაზღვრა თვითმმართველობის:

- საარჩევნო უფლება, თუმცა არ დაფიქსირებულა საკრებულოთა უფლებამოსილების ვადა (მუხლი 1011, პუნქტი 1);

- შექმნისა და გაუქმებისას, აგრეთვე მისი საზღვრების შეცვლისას თვითმმართველ ერთეულთან კონსულტაციების სავალდებულობა (მუხლი 1011, პუნქტი 3);

- საკუთარი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ დელეგირებული კომპეტენციების გამიჯვნის პრინციპები (მუხლი 1012);

- ქონებისა და ფინანსების გამიჯვნის პრინციპები (მუხლი 1013).

ამას გარდა, თვითმმართველობებმა მიიღეს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება (89-ე მუხლი). [297:გვ.10]

2010 წელს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას. ამ ცვლილებით დაკონკრეტდა ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის უფლება, რომელიც ზოგადი განსაზღვრების – მოქალაქეების ნაცვლად, მიეცათ მხოლოდ თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ მოქალაქეებს. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსიც (მუხლი 2. პ.1) ადგილობრივ თვითმმართველობას განმარტავს, როგორც თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა „უფლებას და შესაძლებლობას, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. [298:გვ.36-39]

2014 წელს მიღებულ იქნა ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", რომელმაც გააერთიანა და ორგანული კანონის რანგში აიყვანა მანამდე ცალკე არსებული კანონები „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ", „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" და „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ".

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მნიშვნელოვანი სიახლე იყო ის, რომ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მიერ პირდაპირი კენჭისყრით იქნა არჩეული, როგორც წარმომადგენლობითი, ისე აღმასრულებელი ორგანო – გამგებელი/მე-

რი, შემოღებულ იქნა თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის დამატებითი მექანიზმები.

2017 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს კონსტიტუციაში (პრაქტიკულად, მიღებულ იქნა კონსტიტუციის ახალი რედაქცია), რომელმაც შექმნა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ახალი, დამატებითი კონსტიტუციური გარანტიები. კერძოდ, კონსტიტუციით აღიარებულ იქნა, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა გამიჯვნა უნდა დაეფუძნოს სუბსიდიარობის პრინციპს, რომ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ფინანსური სახსრების შესაბამისობა თვითმმართველი ერთეულის ორგანული კანონით დადგენილ უფლებამოსილებებთან. ასევე კონსტიტუციით აღიარებული იქნა, რომ თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებები უნდა იყოს არა მხოლოდ ექსკლუზიური, არამედ სრულიც. საქართველოს კონსტიტუციით მოცემული ეს დამატებითი გარანტიები ქმნის უმთავრეს სამართლებრივ საფუძველს დეცენტრალიზაციის პროცესის შემდგომი გაღრმავებისა და ევროპული სტანდარტების შესაბამისი ძლიერი თვითმმართველობის შესაქმნელად.

აღიარებულ იქნა მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული დამოუკიდებლობის და ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის უფლება. ასევე, დადგინდა სახელმწიფოს მხრიდან კონსულტაციების გამართვის ვალდებულება თვითმმართველობის საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას.[299]

ამჟამად, საქართველო მოიცავს 2 ადმინისტრაციულ ერთეულს (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები), ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილ დროებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს და 10 სტატისტიკურ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონს (სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, იმერეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი და თბილისი), რომლებსაც (გარდა თბილისისა) არ გააჩნიათ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სტატუსი. (იხ. „საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021" გვ.23)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოს ადმინისტრაციული და პოლიტიკური კონტროლის მიღმა რჩება. ტერიტორიის ფართობი, რომელზეც ამჟამად საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდება 57 ათასი კვადრატული კილომეტრია. ეს ტერიტორია მოიცავს 64 მუნიციპალიტეტს, მათ შორის, 5 თვითმმართველ ქალაქს.[300:გვ.23-24]

17.2 საქართველოს ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ-გეოგრაფიული დარაიონების საფუძვლები

საქართველოს ადმინისტრაციულ–ეკონომიკური დარაიონების საფუძველს მკვეთრად გამოხატული სპეციფიკური ბუნებრივ–ეკონომიკური პირობები წარმოადგენს. საქართველოს თითოეული ადმინისტრაციულ – ეკონომიკური რაიონი წარმოადგენს თავის მხრივ მკვეთრად გამოხატული სპეციფიკური ბუნებრივ–ეკონომიკური პირობებით გამოხატულ ტერიტორიას. უფრო მეტიც ცალკეული ტერიტორიულ–ადმინისტრაციული რაიონების ფარგლებშიც განსხვავებულია ბუნებრივ–ეკონომიკური და სოციალური პირობები. [301:გვ.159]

ბუნებრივია, ისეთ მთიან ქვეყანაში, როგორც საქართველოა, რელიეფი გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანთა დასახლების ქსელის სივრცით ორგანიზაციაში. ქვეყანა ბუნებრივად აშკარად არის გაყოფილი ორ ნაწილად – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. თვითონ ამ რეგიონში მნიშვნელოვანი განსხვავებებია მთას, ბარსა და სხვა მახასიათებლებს შორის. ისტორიულად მდინარეთა ხეობები დასახლების ძირითად ბაზას შეადგენდა. ეს როლი გაძლერდა მე–19 საუკუნის ბოლოდან, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. იმ გზატკეცილების და რკინიგზების მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლებიც ძირითადად მდინარეებს მიჰყვებოდა.

საქართველოს ცალკეული რეგიონები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან ეკონომიკური პოტენციალის თვალსაზრისით. ეს განსხვავება ძირითადად განპირობებულია რეგიონული თავისებურებებით, ამიტომ საჭიროა შეშუშავებულ იქნას და განხორციელდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაემყარება რეგიონების მიმართ დიფერენცირებულ მიდგომას მათი თავისებურებების, შრომის დანაწილებისა და კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი რესურსების გამოყენებას და მის საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონებს შორის ბუნებრივ–კლიმატური პირობების განსხვავების გარდა, ადგილი აქვს ბუნებრივ–რესურსული პოტენციალის მხრივ და ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის არაიდენტურობას, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა აუცილებლად უნდა გახდეს პრიორიტეტული, პროტექციონისტული და დიფერენციული, ცალკეული რეგიონების მიხედვით.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში სიერცობრივი ეკონომიკური კვლევის საკმაოდ დიდი ტრადიცია არსებობს, კერძოდ, ეკონომიკურ – გეოგრაფიული გამოკვლევების ტრადიცია სათავეს სულხან–საბა ორბელიანის, ვახტანგ VI – ის, ვახუშტი ბაგრატიონისა და მათ მიმდევართა შემოქმედებიდან იღებს. უნდა აღინიშნოს რეგიონული გეოგრაფიის ფუძემდებელი ვახუშტი ბაგრატიონი და მისი „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ და სხვათა ნამოღვაწარი.

ეს შრომები ძირითადად აღწერილობით ხასიათს ატარებდნენ, თუმცა მათ სერიოზული საფუძველი შექმნეს ქართული რეგიონული მეცნიერების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

ფეოდალური სახელმწიფო მოწყობილი იყო იმგვარად, რომ დამორჩილებოდა ერთ უზენაეს მმართველს, რომელიც განასახიერებდა, როგორც საერო ისე სასულიერო ერთიანობას, ეს იყო მეფე, რომლის მმართველობა მიმართული იყო თვითმპყრობელობისა და ცენტრალიზაციისაკენ.

ქართული ფეოდალური სამეფოს დაყოფა ადმინისტაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რომელსაც საფუძვლად ედო პოლიტიკური, ეკონომიკური, ბუნებრივი ან ეროვნული საკითხი, საერისთავოებად იწოდებოდა, რომლებიც თავის მხრივ მოიცავდნენ უფრო მცირე ტერტორიულ გაერთიანებებს თემებს, რომლებიც ასევე იყოფოდნენ ხევებად, რაც უფრო წვრილი ტერიტორიული ერთეული იყო ფეოდალურ საქართველოში.

საერისთავოებს განაგებდნენ მეფისთვის სასურველი და მის მიერ დასმული ერისთავები, თემებისა და ხევების შემთხვევაში არსებობდა მეტი თავისუფლების გამომხატველი ურთიერთობები, რაც გამოიხატებოდა მკვიდრი მოსახლეობის მიერ მამასახლისების კანდიდატურების წარდგენაში, რომლებიც იკავებდნენ ამ „თანამდებობებს". ამგვარი დანაწილება მიზნად ისახავდა მმართველობითი სისტემის გაადვილებას და ცენტრალური ხელისუფლების ინტერესების გატარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც საერთო ჯამში სახელმწიფო მართვის მოდელს ცენტრალიზებულს ხდიდა, რადგან ყველა რეგიონის მმართველი განასახიერებდა მეფის ინტერესების დამცველსა და გამომხატველს.

ფეოდალიზმის ხანაში დაუწერელი წეს-ჩვეულებისა და კანონის მიხედვით ფუნქციონირებდნენ თვითმპყრობელი მეფე, მის მიერ დანიშნული ერისთავები და მოურავები, თემის მიერ არჩეული მამასახლისები და მოსამართლეები. [302:გვ.4]

1918 წლამდე რუსული ადმინისტრაციული დაყოფა საქართველოს ტერიტორიას ჰყოფდა ორ დიდი გაერთიანებად, გუბერნიად, თბილისისა და ქუთაისის, რომელშიც ერთიანდებოდა შედარებით მცირე ტერიტორიული ერთეულები მაზრები, სულ საერთო ჯამში არსებობდა თბილისის გუბერნიაში 30, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 24 მაზრა, რომლებიც თავის მხრივ იყოფოდა საბოქაულოებად, უფრო წვრილ ერთეულებად. ასევე არსებობდა სოხუმისა და ბათუმის ოკრუგები, რომლებიც ცალკე იყო გამოყოფილი გუბერნიებიდან, მათი ტერიტორიული მდებარეობისა და იმპერიაში გაერთიანების დროის მიხედვით. „თბილისის გუბერნია: სიღნაღის მაზრა: 1. ბაკურციხის, 2.ქოდალოს, 3. მაჩხაანის, 4. შირაქის. თელავის მაზრა: 5. ყვარლის, 6. წინანდლის, თიანეთის მაზრა: 7. ფშავ-ხევსურეთის, 8. ერწოს, 9. თუშეთ-კახეთის, ღუშეთის მაზრა: 10. ბაზალეთის, 11. მცხეთის, 12. ქსნის, 13. ქვეშეთის. გორის მაზრა: 14. ბორჯომის, 15. მეხვრისხევის, 16. სურამის, 17. ხიდისთავის, 18. ცხინვალის. თბილისის მაზრა: 19. სართიჭალის, 20. თბილისის, 21. ყარაიას. ბორჩალოს მაზრა: 22. ბორჩალოს, 23. ეკატერინფელდის, 24. ლორეს, 25. თრიალეთის, ახალქალაქის მაზრა: 26. ბარალეთის, 27. ბოგდანოვკის, ახალციხის მაზრა: 28. ქვაბლიანის, 29. აწყურის, 30. ურაველის. ქუთაისის გუბერნია: შორაპნის მაზრა: 31. ყვირილის, 32. საჩხერის, 33. ჭიათურის, 34. ჩხარის, 35. ბელაგორის, ქუთაისის მაზრა: 36. ქუთაისის, 37. ტყიბულის, 38. ბაღდადის, 39. სამტრედიის, 40. ხობის, რაჭის მაზრა: 41. ონის, 42. ამბროლაურის, ლეჩხუმის მაზრა: 43. ალპანის, 44. ცაგერის, 45. სვანეთის, ზუგდიდის მაზრა: 46. ზუგდიდის, 47. წალენჯიხის, 48. რე-

დუტ-კალეს, სენაკის მაზრა: 49. აბაშის, 50. მარტვილის, 51. ნაქალაქევის, ოზურგეთის მაზრა: 52. გურიანთის, 53. ლანჩხუთის, 54. ჩოხატაურის, ბათუმის ოკრუგი: 55. ზემო აჭარის, 56. ქვემო აჭარის, 57. გონიოს, 58. კინტრიშის, სოხუმის ოკრუგი: 59. გუმისთის, 60. გუდაუთის, 61. კოდორის, 62. სამურზაყანოს" [303]

საქართველოს პირველი რესპუბლიკა მმართველობის პოლიტიკური მოდელით დემოკრატიული, ხოლო ტერიტორიული მოწყობის კუთხით უნიტარულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც თავის თავში აერთიანებდა ავტონომიურ ერთეულებსა და ფართო უფლებების მქონე თვითმმართველობებს. „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო, მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა". [304]

ახალმა რესპუბლიკამ უარყო ძველი ადმინისტრაციული დაყოფა და 1919 წლის 30 იანვრის კანონით გააუქმა რუსული საგუბერნიო ტერიტორიული დაყოფა და რესპუბლიკა განაწილებულ იქნა სამაზრო და სათემო ერთეულებად, რომლებსაც ბუნებრივი თუ ეთნიკური საფუძველი ჰქონდათ. „საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 30 იანვრის კანონი 1. გაუქმებულ იქნეს რესპუბლიკის გუბერნიებად დაყოფა და საგუბერნიო ადმინისტრატიული დაწესებულებანი" [305]

ახალ დამკვიდრებულ ერთეულებს მიენიჭათ თვითმმართველობის უფლებები, რაც დემოკრატიულობის გამტკიცების საფუძველი უნდა გამხდარიყო, რა იდეასაც ემყარებოდა პირველი რესპუბლიკა მთლიანობაში. პირველმა რესპუბლიკამ განსაზღვრა, როგორც სამაზრო ისე სათემო მმართველობის ფორმები, რომლებიც კანონის დონეზე იქნებოდნენ თავისუფლები და მოაგვარებდნენ რეგიონულ საკითხებს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოში არსებული სეპარატისტული შეხედულბების გამო თვითმმართველობა წარმოადგენდა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს, რომელზეც სახელმწიფო კონტროლს ახორციელებდა. „ჩვენი ერობის ორივე საფეხურზე უნდა იყოს დაწესებული ცენტრალური მთავრობის კონტროლი ნაწილობრივად და კუთვნილებისამებრ ადმინისტრატიულ და ფინანსიურ მხარეებში, როგორც კანონიერების ისე მიზან-შეწონილობის მხრივ".[306]

ცენტრალურ ხელისუფლებას თვითმმართველობის საქმეებში უხეშად ჩარევის უფლება არ ჰქონდა, მიღებული გადაწყვეტილება უქმდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ესა თუ ის დადგენილება ქვეყნის ერთიანობას უქმნიდა საფრთხეს, სხვა შემთხვევაში მხოლოდ სასამართლოს ჰქონდა თვითმმართველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების უფლებამოსილება. [307]

სივრცე, სადაც საქართველო მოექცა 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ გაცილებით მკაცრად ცენტრალიზებული და რეპრესირებული იყო ვიდრე იმპერიული რუსეთის მმართველობის სისტემა. ოკუპაციის შედეგ დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მიღწევა დეცენტრალიზაციის მიმართულებით უარყოფილი და მივიწყებულ იქნა, ქვეყანა გარდაიქმნა კვლავ ცენტრალიზებული მმართველობისთვის, რამაც გასტანა მის დამხობამდე (1991 წ.).

ყოფილ საბჭოთა სივრცეში და მათ შორის საქართველოშიც დაახლოებით XX საუკუნის 50 – იანი წლებიდან ფართო დიაპაზონით დაიწყო ეკონომიკურ-კვლევითი ახალი მიმართულება რეგიონული ეკონომიკის თაობაზე.

თვალსაჩინო წვლილი აქვთ თავიანთი ნაშრომებით შეტანილი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მეცნიერების სხვადასხვა ასპექტის განვითარებაში პროფესორებს: გიორგი გეხტმანს, ლუარსაბ კარბელაშვილს, გიორგი ზარდალიშვილს.

1924 წელს გამოვიდა გ. გეხტმანის „ საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია", 1926 წ – გ. ჯანაშვილის და ზ. კლიმიაშვილის სახელმძღვანელოები.

XX საუკუნის 40–იანი წლებიდან მოქმედი გეოგრაფიული სახელმძღვანელოს ავტორები იყვნენ: ალ. ჯავახიშვილი, გ. გეხტმანი, ლ. კარბელაშვილი, ი. შაქარიშვილი მოგვიანებით იგი ორ ნაწილად დაიყო: ფიზიკური გეოგრაფია შეადგინა ალ. ჯავახიშვილმა, სოციალურ–ეკონომიკური გეოგრაფია ჯერ ლ. კარბელაშვილმა, შემდეგ კი ვ. ჯაოშვილმა.

საქართველოს სოციალურ–ეკონომიკურ პრობლემებს და ქვეყნის ადმინისტრაციულ–ეკონომიკურ დარაიონებას მრავალმა მეცნიერმა მიუძღვნა თავიანთი შრომები და გამოკვლევები. ამ მხრივ აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის, ალ. ჯავახიშვილის, პ. ინგოროყვას, ნ. კეცხოველის, ნ. იაშვილის, გ. გველესიანის, პ. ჟღენტის, დ.მოურავიძის, ე. ბარათაშვილის და სხვათა ნაშრომები.

ასევე, საქართველოში აღნიშნული პრობლემების გარშემო გამოქვეყნებულია მეცნიერ-მკვლევარების (ნ. ჭითანავა, რ. აბესაძე, ა. თვალჭრელიძე, რ. ოთინაშვილი, ნ. ჩიხლაძე, ნ. ხარებავა და სხვ.) რიგი მონოგრაფიები და სამეცნიერო პუბლიკაციები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ეკონომიკური დარაიონების პრობლემებს არაერთი ქართველი მკვლევარის მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა. ამ მხრივ აღსანიშნავია XVIII საუკუნის სახელოვანი ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბატონიშვილის ღვაწლი. მეცნიერმა საქართველოს ზონალურ დანაწილებას მთად და ბარად საფუძვლად დაუდო ქვეყნის ტერიტორიის დაყოფა ვენახ-ხილიან და უვენახო–უხილო არეებად.

ამის შესახებ მითითებული აქვს აგრეთვე აკად. ი მიქელაძეს, რომელიც წერდა: „სავსებით სამართლიანია, რომ ვ. ბაგრატიონმა საქართველოს დარაიონებას სამეურნეო დარგების განვითარების ნიშანი დაუდო, მან დარაიონების საფუძვლად აიღო მევენახეობისა და მეხილეობის, ე.ი. ისეთი დარგების გავრცელების არეალი, რომელიც ფეოდალური საქართველოს ეკონომიკის ძირითად საფუძველს ქმნიდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საერთაშორისო ურთიერთობაში.

ყურადღებას იმსახურებს საქართველოს ეკონომიკური რეგიონების თვალსაზრისით დაყოფის საკითხებში ივ. ჯავახიშვილის ნამოღვაწარი. მან მოსავლიანობისა და ნაყოფიერების თვალსაზრისით საქართველო ხუთ ძირითად არედ დაყო: 1. თურინჯ-ნარინჯის არე; 2. ბრინჯ-ბამბის არე; 3. ვენახ-ხილიანი არე; 4. უვენახო-ხილიანი არე; 5. ბალახოვან-ყვავილოვანი, უმთავრესად საზაფხულო საძოვრების არე.

ივ. ჯავახიშვილის მიერ განხორციელებული დარაიონება, როგორც აკად. ი. მიქელაძე აღნიშნავდა, „იმით არის ღირშესანიშნავი, რომ ფეოდალური წარმოების წესის პირობებშიც კი საქართველოს მიწა-წყალი მთლიან ერთეულს წარმოადგენდა".

XX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს საბჭოთა საქართველოში დღის წესრიგში დადგა ქვეყნის ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის აუცილებლობა. მომზადდა ე.წ. „დიდი ოლქების" ორი პროექტი: 1. საქართველოში (ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანში) უნდა დაენერგათ ოთხსაფეხურიანი სისტემა (რესპუბლიკა-დიდი ოლქი-რაიონი-სოფელი). ამ პროექტს იცავდა ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისია; 2. მეორე პროექტით უნდა მომხდარიყო არსებული მაზრების გაერთიანება, რაც ფაქტობრივად დიდ ოლქებზე გადასვლას გულისხმობდა.

ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ პავლე ინგოროყვამ მოამზადა საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის მესამე პროექტი. ამ ნაშრომიდან იკვეთება, რომ მეცნიერს კარგად შეუსწავლია საბჭოთა რესპუბლიკებში არსებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის პრინციპები, თუმცა ის მთავარ აქცენტს ქართული რაიონების/თემების სპეციფიკაზე აკეთებს და აცხადებს, რომ პირდაპირ რომელიმე პრინციპის ავტომატურად გადმოღება და დანერგვა დიდი შეცდომა იქნებოდა.საქართველოს რაიონებად დაყოფის პრინციპის შემუშავებისას პავლე ინგოროყვა ეყრდნობა სამ მთავარ პრინციპს: ეკონომიკა, ადმინისტრაციული დაყოფის სიმარტივე და აპარატის ღირებულება. მეცნიერის აზრით, რაიონებად დაყოფამ ხელი არ უნდა შეუშალოს ქვეყნის სამეურნეო – ეკონომიკურ ცხოვრებას და ზედმეტი ბიუროკრატიული რგოლები უნდა აცილოს მას თავიდან, რაც, თავის მხრივ, გაადვილებს რესპუბლიკურ ცენტრთან რაიონების დაკავშირებას.

.. მთის სპეციფიკის გათვალისწინება აუცილებელია საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის დროს. მეცნიერს არ მოსწონს იმ დროს საქართველოში არსებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის პრინციპიც და მისი შეცვლის აუცილებლობას ასაბუთებს. [304:გვ.3-4]

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საქართველოში ძირითადად დარგობრივი ხასიათის რამდენიმე სქემა იქნა შედგენილი. ამ მხრივ აღსანიშნავია აკად. ნ. კეცხოველის აგრო-ბოტანიკური დარაიონება. 1960 წელს ავტორთა კოლექტივის პროფ. პ.ჟღენტის, ნ. კუპრავას, პროფ. მ. რჩეულიშვილის, კ. როგავასა და დ. ცალქალამანიძის მიერ შედგენილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარაიონების სქემა ითვალისწინებს საქართველოს ფარგლებში 11 ზონისა და 3 ქვეზონის გამოყოფას: 1. მევენახეობის ზონა – ალაზნის ველი; 2. მარცვლეულ-მევენახეობის ზონა – გარე კახეთის ზეგანი; 3. საგარეუბნეო სოფლის მეურნეობის ზონა – ქვემო ქართლის დაბლობი; 4. მთიანი მეცხოველეობის ზონა – აღმოსავლეთ კავკასიონი; 5. მეხილეობისა და მარცვლეულის ზონა, შაქრის ჭარხლის წარმოებით – შიდა ქართლის დაბლობი; 6. მეცხოველეობა-მარცვლეულის ზონა – ჯავახეთის ზეგანი; 7. მეცხოველეობა-მეხილეობის ზონა მარცვლეულის მეურნეობით – სამცხე თრიალეთი; 8. მევენახეობის ზონა – იმერეთის მაღლობი და რაჭა–ლეჩხუმი; 9. მთიანი მეცხოველეობის ზონა – დასავლეთი კავკასიონი; 10. სუბტროპიკული მეურნეობის ზონა – კოლხეთის დაბლობი სამი ქვეზონით: ა. მეთამბაქოების და ციტრუსოვან კულტურათა ქვეზონა; ბ. მეჩაიეობისა და ციტრუსოვან კულტურათა ქვეზონა; გ. მეჩაი-

ეობის ქვეზონა განვითარებული საგარეუბნეო სოფლის მეურნეობით; 11. მეთამბაქეობა-მეცხოველეობის ზონა –ზემო აჭარა.

წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის განვითარებაში მომხდარი ცვლილებებისა და მის წინაშე დასახული ამოცანების შესაბამისად 1970 წელს პროფ. პ. ჟღენტისა და პროფ. ო. ქეშელაშვილის მიერ სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონალურ სქემაში შეიტანეს ცვლილებები – გამოიყო 11 ზონა 7 ქვეზონით. ამავე ავტორების მიერ 1981 წელს დამუშავდა ამ სქემის კორექტირებული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ოფიციალურად დადგინდა 13 ზონა 11 ქვეზონით.

უკანასკნელ წლებში მომხდარმა გარდაქმნებმა კვლავ საჭირო გახადა ამ სქემის შეცვლა-კორექტირება. სქემის ავტორები არიან პროფესორები: ვ. ბურკაძე და ო. ქეშელაშვილი, რომლებიც საქართველოში სოფლის მეურნეობის გადადგილებისა და სპეციალიზაციის დარგთა შეთანაწყობის და მათი განვითარების რეგიონული, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროდ თვლიან გათვალისწინებულ იქნას ორი ძირითადი კრიტერიუმი – პირველ ყოვლისა, ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და ისტორიული ტრადიციები და მეორე მხრივ – საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ეტაპობრივი ცვლილებები ქვეყნის შიდა და გარე მარკეტინგული მოტივაციები, მოთხოვნები, შეზღუდვები, სტრატეგია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ზონების დღევანდელი სქემის მიხედვით არსებობს 13 ზონა 6 ქვეზონით.

ინტერესს იწვევს პროფ. გ. გველესიანის მიერ შემოთავაზებული ქვეყნის შიდა დარაიონების ქსელი, რომელსაც მისმა ავტორმა საფუძვლად დაუდო ქვეყნის სხვადასხვა რეგიონულ ნაწილებს შორის ურთიერთეკონომიკური და სოციალური მიზიდულობის პრინციპი, ოპტიმალური სატრანსპორტო პირობები და სხვ. მის მიერ შემუშავებული საქართველოს საერთო-ეკონომიკური დარაიონება, რომელიც 8 შემადგენელი რეგიონული ერთეულისაგან შედგება, შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

1. აღმოსავლეთ-ცენტრალური (თბილისის) ეკონომიკური რაიონი – თბილისი რუსთავის, გორი – ხაშურის (შიდა ქართლის), დუშეთ – თიანეთის (ფშავ-ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი) და თეთრიწყარო ბოლნისის (ქვემო ქართლი) ქვერაიონებით;

2. აღმოსავლეთის ეკონომიკური რაიონი – თელავ ლაგოდეხის (შიდა კახეთი) და საგარეჯო-წითელი წყაროს (გარე კახეთი) ქვერაიონებით;

3. დასავლეთ-ცენტრალური (ქუთაისის) ეკონომიკური რაიონი. – ქუთაისის (ქვემო იმერეთი), ჭიათურა-ზესტაფონი (ზემო იმერეთი) და ამბროლაური ცაგერის (რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი) ქვერაიონებით;

4. დასავლეთის ეკონომიკური რაიონი – გურია, სამეგრელო, ზემო სვანეთის ქვერაიონებით;

5. სამხრეთის ეკონომიკური რაიონი – ახალციხე, სამცხე-ჯავახეთი ქვერაიონებით;

6. აფხაზეთის ეკონომიკური რაიონი – ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვერაიონებით;

7. აჭარის ეკონომიკური რაიონი – აჭარის ზღვისპირითა და შიდა აჭარით;

8. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ამ დარაიონების საფუძვლად აღებულია არა ბუნებრივ-ლანდშაფტური და სამეურნეო საქმიანობის ერთგვაროვნების ნიშნები, არამედ ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში განლაგებული ცალკეულ ტერიტორიათა შორის ჩამოყალიბებული ეკონომიკური მიზიდულობა, მთისა და ბარის თანამშრომლობის პრინციპი, სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობის მქონე ტერიტორიათა მთლიანობა აღნიშნული სქემის მიხედვით. ქვერაიონების ჩამოყალიბებაში უპირატესი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო და სატრანსპორტო კავშირთა შესაძლებლობას და ტვირთთა ნაკადის განაწილებას.

თანამედროვე ეკონომიკური დარაიონების პრობლემები საქართველოს ეროვნული მეურნეობის ტერიტორიული ორგანიზაციის ჭრილში. ეკონომიკური რაიონები წარმოიქმნება, ყალიბდება და ვითარდება შრომის საზოგადოებრივ–ტერიტორიული დანაწილების საფუძველზე. შრომის დარგობრივ დანაწილებასთან, წარმოების უფრო მცირე დარგებად დაყოფასთან, სპეციალიზებული წარმოებების შექმნასთან დაკავშირებით ეკონომიკური დარაიონება იწვევს სამეურნეო ტერიტორიის დაყოფას გარკვეული სპეციალიზაციით კიდევ უფრო მეტად დანაწევრებულ ურთიერთდაკავშირებულ რეგიონებად. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ხელს უწყობს სხვადასხვა სახის პროდუქციის მასიურ და ეფექტურ წარმოებას და ბაზრის გაფართოებას.

ეკონომიკური დარაიონებისა და რეგიონალიზაციის პრობლემების მეცნიერულად დასაბუთების ამოცანა მოითხოვს და საჭიროებს არსებული მრავალრიცხოვანი ფაქტორების ღრმა გამოკვლევას, მათ შორის ქვეყანაში ჩამოყალიბებული საწარმოო ძალების განლაგების გათვალისწინებასაც.

საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების ამჟამინდელ ეტაპზე წარმოების ინტენსიფიკაცია განიხილება ტექნოლოგიური პროგრესის უახლეს მიღწევებთან მჭიდრო კავშირში. განსაკუთრებით მწვავე მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვის პრობლემა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის წინაშე დგას, რადგანაც ქვეყანაში 90–იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა თითქმის მთლიანად მოშალა სახალხო მეურნეობის არსებული, საკმაოდ მძლავრი, მატერიალურ–ტექნიკური ბაზა.

ქვეყნის ტერიტორიაზე ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრი დიფერენციაციის გამომწყვეტ ფაქტორს პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯები ცალკეული რაიონთაშორისი განსხვავებები წარმოადგენს. ცალკეულ რაიონებში ეკონომიკური მაჩვენებლების დიფერენციაციის ფაქტორია აგრეთვე კონკრეტულ რაიონებში ეკონომიკის ფაქტობრივი მდგომარეობაც. ამიტომ ახლებურად დარაიონების, ტერიტორიული დაყოფის ამოცანა დღის წესრიგში ტექნიკურ პროგრესთან ერთად აყენებს საწარმოო ფაქტორის გაზრდილი როლის გათვალისწინებას.

ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების პირობებში ახალ თვისებებსა და ხასიათს იძენს ტერიტორიული დაყოფისა და რეგიონწარმომქმნელი ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა რეგიონების მეურნეობათა ტერიტორიული კომპლექსურობა. ამ უკანასკნელის მნიშვნელოვან მაჩვენებლად გვევლინება მოცემული რეგიონის მეურნეობის მისსავე ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებთან შესაბა-

მისობა, წარმოებული სპეციალიზებული წარმოებებისა და მათი ტერიტორიული კონცენტრაციის ბაზაზე დარგების რაციონალური შეთანწყობა–შეხამება, ტერიტორიაზე ფუნქციონირებულ დარგთა სტრუქტურების შედარებითი მსგავსება. საბაზრო ურთიერთობები, ისე როგორც სოციალურ–ეკონომიკური ცხოვრების ყველა სხვა ურთიერთობები ტერიტორიულ ჭრილში სხვადასხვაგვარია ანუ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ისინი განსხვავებულად ვლინდება.

საქართველოს საწარმოო ძალების თანამედროვე მდგომარეობის, მისი განვითარების და განლაგების ანალიზი ეკონომიკური რაიონების პრინციპებთან მიმართებაში იმის საშუალებას იძლევა, რომ გაკეთდეს შესაბამისი დასკვნა. ქვეყნის, რიგი ამჟამინდელი მუნიციპალიტეტებისა არასრულად და უზუსტოდ ასახავენ მოცემული კონკრეტული ტერიტორიული მონაკვეთების სამეურნეო და ბუნებრივ პოტენციალს, ასევე საწარმოო პროფილს, ტერიტორიების კომპლექსური განვითარების ამოცანებს, მათ სამეურნეო პრობლემებს. [309:გვ.240-241]

ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ძირითადი პრინციპები უნდა ეფუძნებოდეს:

1. ეკონომიკურ პრინციპს, რომელიც რეგიონს განიხილავს, როგორც ქვეყნის ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის სპეციალიზებულ ნაწილს და რომელიც თავის შემადგენლობაში მოიცავს გარკვეულ დამხმარე და მომსახურე წარმოებებს. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, რეგიონის სპეციალიზაცია უნდა განსაზღვროს ისეთმა დარგებმა, რომლებშიც პროდუქციის წარმოებაზე სახსრებისა და შრომითი დანახარჯები, აგრეთვე დანახარჯები საქონლის მომხმარებლამდე მიტანაზე სხვა რეგიონებთან შედარებით მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები იქნება.

2. ეროვნულ პრინციპს, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, მათი შრომისა და ყოფის ისტორიულად ჩამოყალიბებულ თავისებურებებს.

3. ადმინისტრაციულ პრინციპს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ ნაწილებად დაყოფისა და ტერიტორიული პოლიტიკურ–ადმინისტრაციული მოწყობის ერთიანობას. ეს პრინციპი შექმნის პირობებს რეგიონების დამოუკიდებლად ეფექტიანად განვითარებისათვის და საქართველოს შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში რეგიონების როლის განსამტკიცებლად.

უნდა ითქვას, რომ 2006 წელს განხორციელებული მუნიციპალიტეტების გამსხვილების რეფორმამ ვერ გაამართლა. თვითმმართველობის ტერიტორიული გამსხვილება უნდა მომხდარიყო იქ, სადაც რესურსების სიმცირის გამო თვითმმართველობის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. ამასთან, თითოეულ დასახლებაში არჩევითი ორგანოების ჩამოყალიბება უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. [310:გვ.24-25]

ეკონომიკური დარაიონების პროცესი არ გულისხმობს პროცესების უძრაობას. იგი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესის კვალობაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენით შეიძლება შეიცვალოს და უფრო სრულყოფილი გახდეს.

17.3 ილია ჭავჭავაძე საერთო-ეროვნული და რეგიონული (ადგილობრივი) თავისებურებების შესახებ

საქართველოს სახელმწიფოებრიობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ცხადია, სახელმწიფო შედგებოდა ქვეყნის გარკვეული კუთხეებისაგან და წარმოადგენდა ცალკეულ სივრცობრივ–ტერიტორიული რეგიონების ერთობასა და ერთობლიობას.

ნებისმიერი ეკონომიკური საკითხის სამართლიანი გადაწყვეტისათვის აუცილებელია ადგილობრივი თავისებურებების, ადგილობრივი ჩვეულებების გათვალისწინება.

ილია ჭავჭავაძეს რეფორმის გატარებისას ადგილობრივი გარემო პირობების და ჩვეულებების გათვალისწინება აუცილებლად მიაჩნდა. ამიტომ მას არ მოსწონდა, რომ „მთელი კანონმდებლობა ამ საგანზედ (მამულების შესყიდვის შესახებ) იმავე საფუძველზედ არის დამყარებული, როგორც საერთოდ რუსეთში".

ილია ჭავჭავაძეს ღრმად სწამდა, რომ საერთო-ეროვნული და რეგიონული ინტერესები და მმართველობა ერთმანეთთან უთუოდ შეთანხმებული უნდა იყოს ზომიერად, ანუ, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, საჭიროა მათ შორის ზომიერი თანაფარდობის დადგენა.

ასეთი ზომის დადგენაა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საჭიროებებს შორის, ეროვნულ და რეგიონულ ინტერესებს, ზოგადსაკაცობრიოსა და ეროვნულს შორის. ცხოვრება ისეთია, რომ ერთდროულად ყველა მომენტს მოიცავს, მაგრამ მათ შორის თანაფარდობის დადგენაა უმთავრესი.

ილია მიიჩნევდა, რომ ადგილობრივ საქმეებს უნდა განაგებდნენ ადგილობრივი მკვიდრნი. რაც შეეხება სახელმწიფოს, იგი უნდა განაგებდეს, მართავდეს ისეთ საკითხებს, რომლებიც ყველა ადამიანს ერთნაირად შეეხება და მათ კეთილდღეობას ერთნაირად განაპირობებს. მათ მიეკუთვნება: საყოველთაო კანონმდებლობის წარმოება, საყოველთაო ფინანსები (შემოსავალი, გასავალი) და „საყოველთაო მხედრობის განწყობილება", ანუ ქვეყნის თავდაცვა.

ადგილობრივი თვითმმართველობა და უმაღლესი მთავრობა არც ერთი და იგივეა, არც ურთიერთის მოკამათე და მოცილენი არიან. ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე სახელმწიფოში, ორნივ მშვიდობიანად თავსდებიან და ურთიერთის სახეიროდ მოქმედობენ. [311]

ყოველი სახელმწიფო, თუნდ გვარტომობით ერთისა და იგივე ხალხით იყოს შემდგარი, მაინც, ადგილობრივის სხვადასხვაობისა გამო, ბევრს სხვადასხვა თვისების მხარესა და მხარეს წარმოგვიდგენს. [312]

ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის დამკვიდრებაში, სამოქალაქო საზოგადოების აშენებაში ილია ჭავჭავაძე ხედავდა ქართველთა საკუთარ მე-სა და პირადი ეგოისტური ინტერესების ტყვეობიდან გამოხსნის საშუალებას. სწორედ ამ სენის დაძლევას მიიჩნევდა იგი ხსნის გზად. საზოგადოებრივი ინტერესების წინა პლანზე წამოწევის, ერის ნამდვილი მთლიანობის მთავარ გზად ილია ჭავჭავაძეს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შემოღება მიაჩნდა. ეს ერთიანობა დიდ ილიას ესმოდა ისე, რომ ყველა მოქალაქეს აქტიური მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოს ყველა ფუნდამენტური ინტერესების გადაწყვეტაში, ეს იქნებოდა – საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრება,

პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, სამხედრო სამსახური თუ სხვა საკითხები. ის ასაბუთებდა, რომ ჩვენი წინაპრები ასეთი ერთიანობით ახერხებდნენ ქვეყნის გადარჩენას.

„რასაკვირველია, თვითმმართველობას იმისთანა ზოგადი თვისებანიცა აქვს, რომელნიც ყველასათვის ერთნაირად სახეიროა, მაშასადამე ყველგან გამოსადეგია, და იმისთანანიც, — რომელნიც ადგილობრივს მოთხოვნილებას და სხვადასხვაობას უნდა შეეფერებოდეს".[313]

ილიას ნაშრომებიდან ნათელია, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნდა სხვა ქვეყნების კანონების გამოყენება, იქიდან ყოველივე იმის ამოღება, რაც ამა თუ იმ ქვეყანას სიკეთეს მოუტანდა. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევდა ამ კანონების გამოყენებას ადგილობრივი თავისებურებების უეჭველი გათვალისწინების საფუძველზე. ამას კი მხოლოდ მაშინ მივაღწევდით, თუ დავამკვიდრებდით ადგილობრივ თვითმმართველობას.

1905 წლის 9 მარტს თავადაზნაურობის კრებაზე ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „ჩვენი ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენი ქვეყნის მიერ არჩეული წარმომადგენელთა კრებულისაგან". ამ სიტყვებიდან შეიძლება სახელმძღვანელო დასკვნის გაკეთება. ეკონომიკური რეფორმის გატარებისას ადგილობრივი თავისებურებების სრულყოფილი გათვალისწინება მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრების პირობებში შეიძლება.

ეკონომიკური რეფორმის გატარებაში ადგილობრივი გარემოებების გათვალისწინების გარეშე, სხვა ქვეყნებიდან ზუსტი კოპირების სახით გადმოტანილ უხეირო (ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლობიდან გამომდინარე) კანონებთან ერთად ავტორს უმთავრეს პრობლემად მიაჩნდა ბიუროკრატიზმი. ილია სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ბიუროკრატიზმი საქმის უდიდესი მტერია. თუ როგორ მოქმედებს იგი საქმის საზიანოდ, ილიას კლასიკურად აქვს აღწერილი 1887 წელს დაწერილ სტატიაში – „ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი".

ცივილიზაციის მიღწეული დონე ახალ აზროვნებას მოითხოვს. თანამედროვე ეკონომიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს ღრმა მეცნიერულობა, რეალისტურობა, მასშტაბურობა, სისტემურობა, მოქნილობა. ახალი აზროვნება უნდა დაფუძნდეს ობიექტურ კანონზომიერებათა ღრმა შემეცნებაზე. უნდა შეგვეძლოს წარსულის სამართლიანი შეფასება. ყოველი საკითხი კი კომპლექსურად უნდა გადაეწყვიტოთ.

„თვითმმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს... ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტათ თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს".

დიდი ილია თვითმმართველობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ერის განვითარების საქმეში: „თვითმმართველობა თავის ადგილას ყოველის შინაურის საქმის გამგებელია და მეორე; ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განმაწილებელია, ადგილობრივი საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობია, მისი ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია. ყოველივე ამის მომქმედია იმოდენად, რამოდენადაც ყოველივე ეს მის სამმართველოს წრეში მცხოვრებთა განკერძოებით შეეხება და არ ეწინააღმდეგება საერ-

თო სახელმწიფო კანონსა და განკარგულებას. აქედამ სჩანს, რომ თვითმმართველობა ერთის მხრით ადგილობრივ საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით უმაღლესის მთავრობის ხელისუფალი ორგანოა. ამ საზით, იგი ერთსა და იმავე დროს ადგილობრივის საზოგადოების ორგანოც არის უმაღლესი მთავრობის წინაშე, და უმაღლესის მთავრობის ორღანოცა წინაშე ადგილობრივის საზოგადოებისა''. [314]

თუმცა ასევე აღნიშნავდა, რომ „თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ საშიშარიაო – საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოს: აურზაურს მოჰყვება, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდამ გამოვაო... ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩეული და დაყენებული ჩვენთვის არავითარ შიშს არ მოასწავებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე კი მათთვის უცხო კაცი იქნება და ერთი ურიგო რამ ქცევა უცხო კაცისა უკმაყოფილებას ჩამოაგდებს''.

...ქვეყნიერობაზედ მმართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს. თუ სადმე რაიმე ცვლილება არის, მაინც არ შეიძლება, რომ მმართველობა ან ერთისაკენ არ იყოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ. ერთგვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველგან და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთაერობა ყოველგვარის საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, – ყოველის მზრუნველი და გამგეა, ასე რომ ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარად გამგეობისათვის მას თავისი საკუთარნი მოხელე-კაცნი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი. ამგვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან.

მეორე-გვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას თვითმმართველობას უწოდებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითოეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოისა თავის საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უელის და თვით ჰმართავს. ერთის სიტყვით, ამგვარის მმართველობის დედააზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს.

ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობასა: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამგვარი მმართველობა ისეთის თვისებისაა, რომ, საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველს ხალხში ისეირებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოიტანს. იქ, საცა მაგას გზა და ადგილი ჰქონია, ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვავებია და მთაერობისათვისაც მძიმე ტვირთი ქვეყნის გამგეობისა შეუმსუბუქებია, აუხსნია. [315]


თავი 18. რეგიონის მდგრადი განვითარების პროგლემები

18.1.ახალი გლობალური დღის წესრიგი მდგრადი მომავლისათვის


ტერმინმა „მდგრადი განვითარება" (Sustainable Development) ფართო გავრცელება ჰპოვა ბოლო 20-30 წლის მანძილზე, თუმცა დღემდე მისი ექსკლუზიური დეფინიცია არ არსებობს და სხვადასხვა შემთხვევაში იგი საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობით შეიძლება იქნეს გამოყენებული. ადრეულ ეტაპზე მდგრადი განვითარება ძირითადად ეკოლოგიურ კონტექსტში განიხილებოდა. [316]

ტერმინი "მდგრადი ეკონომიკური განვითარება" პირველად გამოყენებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისიის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი გ. ბრუნტლანდი. 1987 წელს გავრცელდა აღნიშნული კომისიის მოხსენება – "ჩვენი საერთო მომავალი", (Our Common Future) [317] რომელშიც შემოთავაზებული იყო მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ უნდა გაგრძელებულიყო ეკონომიკის უწყვეტი განვითარება ახლანდელი თაობის მოთხოვნათა დაკმაყოფილების გასაუმჯობესებლად, ოღონდ მომავალი თაობების არსებობისათვის ზიანის მიყენების გარეშე.[318:გვ.1]

მდგრადი განვითარების სისტემის კომპონენტები



მდგრადი განვითარების სისტემის კომპონენტების ურთიერთქმედება



მდგრადი განვითარების თანამედროვე კონცეფცია ეყრდნობა სამი კომპონენტის, საზოგადოების, გარემოსა და ეკონომიკის ინტერესების ოპტიმალურ თანწყობას, ეკვილიბრიუმს. მდგრადი განვითარების კონცეფციის ვიზუალიზაციის ბევრი განსხვავებული სქემა არსებობს, თუმცა მათი უმეტესი ნაწილი აქ მოცემულ დიაგრამებზე ნაჩვენები ვარიანტის ნაირსახეობას წარმოადგენს დეტალიზაციის სხვადასხვა დონით. აღნიშნული სამი კომპონენტის ურთიერთქმედების მექანიზმები კომპლექსური და ამავდროულად ძალიან დინამიურია.

აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად შეუძლებელია მდგრადი განვითარების უნივერსალური, ცალსახად სწორი სტრატეგიის ერთხელ არჩევა და მისი განუხრელად იმპლემენ-

ტაცია. შესაბამისად, ყველა ქვეყანა ინდივიდუალურად განსაზღვრავს, როგორც სტრატეგიულ მიზნებს, ასევე სამოქმედო ტაქტიკას.

1997 წელს, ამსტერდამში, ხელი მოეწერა დოკუმენტების პაკეტს, რომლითაც ძირეული ცვლილებები იქნა შეტანილი ევროკავშირის სადამფუძნებლო დოკუმენტში, 1992 წლის მაასტრიხტის შეთანხმებაში. მათ შორის განისაზღვრა, რომ ამ მომენტიდან „ევროკავშირის მიზნები, ეკონომიკური და სოციალური განვითარება უნდა ეფუძნებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს".[319:გვ.340]

2001 წელს, გეტებორგის სამიტზე ევროკავშირმა, ევროკომისიის რეკომენდაციით დაამტკიცა „ევროკავშირის მდგრადი განვითარების სტრატეგია", [320] რომელმაც შექმნა მდგრადი განვითარების არა მარტო ევროპული ბირთვი, არამედ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა იოჰანესბურგში, მდგრადი განვითარების 2002 წლის მსოფლიო სამიტის გადაწყვეტილებებზე და მნიშვნელოვანწილად აისახა საერთაშორისო განვითარების პროექტების (მათ შორის, გაეროს ეგიდით) რეალიზაციაში.

მდგრადი განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი წარმატების მიუხედავად, ევროპის საბჭომ და ევროკომისიამ საჭიროდ ჩათვალეს მისი საფუძვლიანი ანალიზი და გადახალისება, პირველ რიგში, ამ დრომდე მოუგვარებელი პრობლემების აქცენტირების მიზნით. უკვე 2005 წელს, ევროკომისიამ გამოაქვეყნა „მდგრადი განვითარების სახელმძღვანელო პრინციპები" [321] რომლის საფუძველზე, 2006 წელს, ევროპის საბჭომ დაამტკიცა განახლებული „მდგრადი განვითარების მიმდინარე სტრატეგია". [322]

2006 წლის დოკუმენტში შესულია რამდენიმე თეზისი, რომლებიც ქმნიან მყარ ფუნდამენტს ამ სტრატეგიის იმპლემენტაციისათვის. ამ თეზისების აქცენტირება მნიშვნელოვანია იმით, რომ მსგავსი დათქმები, ერთი შეხედვით, თავისთავად იგულისხმება, მაგრამ კვლევა გვიჩვენებს რომ ENP AP-ს იმპლემენტაციის ღონისძიებათა გეგმაში აღნიშნული თეზისები ვერ მოხვდა ან სრულიად არასწორად იქნა გაგებული. კერძოდ, მდგრადი განვითარების ევროპული სტრატეგია მთავარ მიზნებს შორის განიხილავს ეკონომიკურ კეთილდღეობას, როგორც: „მდიდარი, ინოვაციებზე, განათლებაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი და ეკოლოგიურად ეფექტიანი ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობას, რომელიც უზრუნველყოფს ცხოვრების მაღალ სტანდარტებს და სრულ და ხარისხიან დასაქმებას ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე".[323:გვ.38-40]

მდგრადი განვითარების ინდიკატორთა სისტემა (EU SDIs), რომელსაც დღეს ევროკავშირი იყენებს, ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს საკითხისადმი საფუძვლიანი მიდგომის მაგალითს. აღნიშნული სისტემა ოპერირებს 10 თემის ფარგლებში 3 დონეზე განაწილებული 100-ზე მეტი ინდიკატორით[324].ეს სექტორებია:

1. სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;
2. მდგრადი მოხმარება და წარმოება;
3. სოციალური ჩართულობა;
4. დემოგრაფიული ცვლილებები;
5. ჯანდაცვა;
6. კლიმატის ცვლილება და ენერგეტიკა;

7. მდგრადი სატრანსპორტო სისტემა;

8. ბუნებრივი რესურსები;

9. გლობალური თანამშრომლობა;

10. ეფექტური მმართველობა (Good Governance).

2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, [325] (UN Agenda for Sustainable Development) სათაურით – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის". ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. (Sustainable Development Goals, SDGs)

ახალი მიზნები წარმოადგენს გაბედული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილს, და ორიენტირებულნი არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები გლობალური ბუნების და უნივერსალური გამოყენებისანი არიან, რადგან ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს და განვითარების დონეს და პატივს სცემენ ეროვნულ პოლიტიკას და პრიორიტეტებს. ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არ არიან – მათი განხორციელება ინტეგრირებულად უნდა მოხდეს.

მდგრადი განვითარების მიზნები არის შედეგი გამჭვირვალე მონაწილეობრივი პროცესისა, სადაც ისმის ყველა დაინტერესებული მხარის და ადამიანის ხმა. ეს არის უპრეცენდენტო შეთანხმება მდგრადი განვითარების შესახებ 193 წევრ ქვეყანას შორის. მიზნებმა მიიღეს მსოფლიოს სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის, პარლამენტარების და სხვა ადამიანების მხარდაჭერა. გადაწყვეტილება მდგრადი განვითარების მიზნების შემუშავების პროცესის დაწყების შესახებ მიღებული იქნა გაეროს წევრი ქვეყნების მიერ, გაეროს კონფერენციაზე მდგრადი განვითარების შესახებ (რიო + 20), რომელიც 2012 წელს რიო დე ჟანეიროში ჩატარდა.

მდგრადი განვითარების მიზნებია:

მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა

მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა

მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება

მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა

მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის

მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.

მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

მიზანი 12: მდგრადი მოხმარება და წარმოება.

მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება

მიზანი 14: ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის

მიზანი 15: დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება დაიწყო 2016 წლის 1 იანვარს და დასრულდება, ანუ მიზნები მიიღწევა 2030 წლის 31 დეკემბრისათვის. თუმცა რიგი ამოცანები, რომლებიც ეფუძნება წინასწარ საერთაშორისო შეთანხმებებს, შესაძლოა 2030 წლის 31 დეკემბრამდე იქნეს მიღწეული. [326]

მდგრადი განვითარება წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის სტაბილური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას და გამონაკლისი არც საქართველოა. [327:გვ.400]

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების თავიდან აცილება. გადაწყვეტილებების მიღებისას, აუცილებელია, როგორც ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასება, ასევე ეკოლოგიური და სოციალური ეფექტიანობის გათვალისწინება. სწორედ ასეთი ურთიერთკავშირი ემსახურება ადამიანის კეთილდღეობას. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია მწვანე ეკონომიკის წახალისება, რომელიც ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს და ამავე დროს, მწვანე ზრდის წახალისება გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ბიზნესის მხრიდან დანახარჯების შემცირებას, ასევე ბიზნესის ახალი მიმართულებების განვითარებას.

მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) და ამოცანები გლობალური ბუნების და უნივერსალური გამოყენებისა არიან, რადგან ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვი-

სებებს, შესაძლებლობებს და განვითარების დონეს და პატივს სცემენ ეროვნულ პოლიტიკას და პრიორიტეტებს. ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არ არიან – მათი განხორციელება ინტეგრირებულად უნდა მოხდეს. ახალი მიზნები ორიენტირებულია მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე – ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

მდგრადი განვითარების მიზნების მნიშვნელობიდან და თემატიკის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით დაიწყო აღნიშნული მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი, რომლის დროსაც SDG-ის 17-ვე მიზნიდან და მათი 169 ამოცანიდან შეირჩა 98 ამოცანა და შესაბამისი ეროვნული ინდიკატორები. პროცესების უკეთ მართვის მიზნით, შემუშავდა სპეციალური მატრიცა, რომელშიც თავმოყრილია SDG-ის განსახორციელებლად თითოეული სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პასუხისმგებლობა აქვს აღებული 4 მიზნის 14 სხვადასხვა ამოცანის შესრულებაზე, კერძოდ:

მე-7 მიზანი – ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა;

მე-8 მიზანი – სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის;

მე-9 მიზანი – მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;

მე-10 მიზანი – ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირება.

აღნიშნული ამოცანები მოიცავს ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიების, ენერგო-მომსახურებაზე წვდომის, ეკონომიკური ზრდის, მეწარმეობის, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების, ტურიზმის, კავშირგაბმულობის, დასაქმების, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისა და მათი ფინანსებზე წვდომის საკითხებს. სამინისტროს მიერ განსაზღვრულია კონკრეტული ქმედებები, სამიზნე ინდიკატორები და მათი კავშირი სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტებთან, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მდგრად განვითარების მიზნების ნაციონალიზებული ამოცანების განხორციელებას.

2016 წელს საქართველო შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მწვანე ზრდის დეკლარაციას, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის. აღნიშნული დეკლარაციის პრინციპებზე დაყრდნობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მუშაობს მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის დოკუმენტისა და მწვანე ზრდის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების საკითხზე, რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზების ხელშეწყობა, მდგრადი და მწვანე განვითარების საფუძვლის შექმნა. მწვანე განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯები დადებითად აისახება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე და მოგვცემს შესაძლებლობას საქართველო განვითარებული, მოწინავე ქვეყნების რიგებს შეუერთდეს. [328]

საქართველოს ეროვნული ბანკი მხარს უჭერს ქვეყნის მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერებას და ამ მიზნით მწვანე, სოციალური და მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ავითარებს. აღნიშნული ჩარჩო გულისხმობს ფინანსური სექტორისა და კაპიტალის ბაზრის მონაწილეების მიერ სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებას და მათთან დაკავშირებული რისკების მართვას, რაც მნიშვნელოვანია, როგორც ფინანსური სტაბილურობისთვის, ასევე ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის. ეროვნული ბანკი კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს მდგრადი დაფინანსების ხელშეწყობის მიმართულებით. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი 2017 წლის სექტემბერში მდგრად საბანკო ქსელში (Sustainable Banking Network, SBN)[329] გაწევრიანება იყო. ამ დროიდან მოყოლებული, ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, როგორებიცაა SBN, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

(OECD), საქართველოში მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებისთვის. მდგრადი დაფინანსების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ეროვნულმა ბანკმა კერძო სექტორთან თანამშრომლობით ქართულ ენაზე თარგმნა კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო ასოციაციის (International Capital Market Association, ICMA) მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების ობლიგაციების პრინციპები, რომელიც ICMA-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. [330]

2018 წლის 26 სექტემბერს, ეროვნულმა ბანკმა IFC/SBN-თან ერთად უმასპინძლა მდგრადი დაფინანსების სამუშაო შეხვედრას. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ IFC-ის ექსპერტები, SBN-ის წევრი ქვეყნების და რეგიონის ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ფინანსთა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების წარმომადგენლები, ფინანსური ინსტიტუტების პრეზიდენტები/აღმასრულებელი დირექტორები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეებმა განიხილეს მდგრადი დაფინანსების არსებული გამოწვევები, სოციალური და მწვანე ობლიგაციების ბაზრისა და მწვანე კრედიტის განვითარების შესაძლებლობები, და გარემოსდაცვითი საკითხების გამჟღავნების მნიშვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ფინანსური ზედამხედველობის როლზე, არსებულ რეგულატორულ გამოცდილებებსა და ინიციატივებზე. [331:გვ.9-10]

გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) განხორციელება აქტიურ მოქმედებას მოითხოვს. ამისთვის საჭიროა სხვადასხვა სფეროში პოლიტიკის კოორდინირება, ახალი პარტნიორობებისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბება და მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფა. ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) არის უნიკალური შესაძლებლობა გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისათვის. ხელისუფლების ღიაობისა და ეფექტიანობისთვის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები მსოფლიოს 66 ხაზელმწიფოში თანამშრომლობენ.[332]

18.2 რეგიონის მდგრადი განვითარების ძირითადი მიმართულებები

ქვეყნის მდგრადი განვითარება გარკვეულწილად განისაზღვრება სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის ეფექტურობით. დღეს სახელმწიფოს როლის ზრდა ობიექტურად განპირობებულია საზოგადოების განვითარებაში კრიზისის დაძლევის აუცილებლობით, ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისკენ გადასვლის აუცილებლობით, ამიტომ იცვლება სახელმწიფოს როლი. ეს ხდება ეკონომიკური სისტემის განვითარების ეტაპთან დამოკიდებულებაში რეგულირების პირდაპირი მეთოდებიდან ირიბისაკენ თანდათანობითი გადასვლის გზით.

სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ საბაზრო ეკონომიკური თვითრეგულირება საჭიროებს კორექტირებას, ობიექტური ეკონომიკური კანონების, კანონზომიერებების დამატებით მოქმედებას და მიზანმიმართული მართვის ზემოქმედების ტენდენციებს. ეს ხელს უწყობს მისთვის დამახასიათებელი სტიქიურობისგან საბაზრო მექანიზმების დაცვას.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს კანონშემოქმედებითი, სააღმსრულებლო და მაკონტროლებელი ხასიათის ზომების ერთობლიობას, რომელსაც ატარებს უფლებამოსილი დაწესებულებები სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურების და პროცესების საბაზრო ეკონომიკური მეურნეობისთვის დამახასიათებელი პირობებისადმი ადაპტაციის მიზნით.

ვიწრო გაგებით სახელმწიფო რეგულირება უკავშირდება სახელმწიფოს პრაქტიკულ ზომებს — დოტაციებს, პირდაპირ ფინანსირებას, შესყიდვებს, სახელმწიფო შეკვეთებს და ა.შ. ფართო გაგებით კი სახელმწიფო რეგულირება დაკავშირებულია საერთო ეკონომიკურ და სხვა წანამძღვრებსა და პირობებთან, რომელთა დროსაც რეგიონებში ეფექტურად მოქმედებს საბაზრო მექანიზმები, საერთო ეროვნულ მიზნებსა და პრიორიტეტებზე ორიენტირებული მათი სამეურნეო და ინფრასტრუქტურული ინსტიტუტები თვითონ ირჩევენ თავისი მოქმედების ოპტიმალურ საშუალებებს.

რეგიონული მართვის ორგანოებსა და ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებში ჯერ კიდევ საკმარისად არ არის გააზრებული უშუალო მართვიდან რეგულირებაზე გადასვლის აუცილებლობა. არ არის ცოდნა აპრობირებული მეთოდების გამოყენებისა, ეკონომიკის სუბიექტების წაქეზებისა რეგიონის მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, ამისათვის მოტივაციის შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით.

დღეისათვის მდგრადობის ფენომენი დაფიქსირებულია მხოლოდ აბსტრაქტულ ფორმებში, ამიტომ ძნელია მისი გახსნა რეგიონისთვის დამახასიათებელ მკაფიო ღონისძიებებში. თვით ეს ღონისძიებები შეიძლება გავყოთ ეკონომიკური და ადმინისტრაციული ხასიათის პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების, ტაქტიკური და სტრატეგიული ტიპის, სტანდარტულ და ანტიკრიზისულ, სახელმწიფო, რეგიონულ და მუნიციპალური დონის ღონისძიებებად.

სახელმწიფო რეგულირების სუბიექტებს (სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები) შორის ყალიბდება მდგრადი განვითარების მიზნების

რეალიზაციის გარკვეული მექანიზმი, რომელიც რეალიზდება სამართლებრივი (ნორმატიული) რეგულირების, ფინანსური რეგულირების (სუბსიდიების და გადასახადების გამოყენებით საქონლის ფასებსა და სამეურნეო სუბიექტებზე ზემოქმედებისთვის) საქონლის წარმოების და შემოსავლების გადანაწილების (ტრანსფერების მინიჭება) მომსახურების გზით.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებული სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკა ორიენტირებული იყო არა რეგიონების ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე, არამედ ძირითადად მიმდინარე პრობლემების გადაწყვეტაზე, მიმართული რეგიონებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის გზით "ხვრელების ამოვსებაზე". ამასთან ასეთი პოლიტიკის ეფექტურობა ძალიან დაბალი იყო. ეს ყველაფერი განაპირობებს მდგრადობისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის განსაზღვრაში სახელმწიფოს მონაწილეობის ახალი ფორმების ძიების აუცილებლობას.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების ამოცანების გადაწყვეტის ფუძემდებლური მეთოდოლოგიური პრინციპია ეკონომიკური სინამდვილის განპირობებულობა, რომელიც მოიცავს:

1.ობიექტური და სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებებისა და ძირითადი ეკონომიკური ინტერესების ფორმულირება სივრცობრივ დროით განზომილებაში;

2.საერთო სოციალური კეთილდღეობის ოპტიმალური შერწყმა მეურნე სუბიექტების ეკონომიკურ ინტერესებთან.[333:გვ.402]

თავი უნდა დავანებოთ ადგილობრივი ბიუჯეტების დოტაციის მანკიერ პრაქტიკას და მუნიციპალური წარმონაქმნების ფინანსური დამოუკიდებლობის კურსი უნდა ავიღოთ. საბიუჯეტო სახსრების განაწილების რაციონალური სისტემის არარსებობამ ცენტრს და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის, იქამდე მოგვიყვანა, რომ უფრო სასარგებლოა მუნიციპალიტეტი იყოს კრიზისული და გაჭირვებული, ვიდრე ეკონომიკურად ძლიერი. ცენტრალური ხელისუფლება ხომ მას მაინც დაიხმარება?! ამიტომ მუნიციპალიტეტებიც აქტიურად და გაძლიერებულად ცდილობენ მოძებონონ გაჭირვების მიზეზები და „მყარი არგუმენტებით" დაადასტურონ თავიანთი უნიათობა. ქვეყნის ბიუჯეტიდან თვითმმართველობების დახმარება ყოველთვის არ უკავშირდება მდგრადი შედეგების მიღებას.

რეგიონული ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე სახელმწიფო რეგულირების ზემოქმედების გაძლიერებისთვის აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების შეტანა მოქმედ კანონმდებლობაში, რომელიც ითვალისწინებს რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიერ მდგრადი განვითარების პოლიტიკის სტიმულირებას.

რეგიონების მდგრადი განვითარების სახელმწიფო მართვის მექანიზმების პრაქტიკული რეალიზაციისთვის საჭიროა მეთოდური მუშაობა, კადრების მომზადების შესაბამისი ორგანიზება, ტერიტორიების მდგრადი განვითარების მონიტორინგის სისტემის შექმნა.[334]

მდგრადობის შესაფასებლად უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი გარემოს პარამეტრების და მათი მიმართულებების ცვლილებების შეფასებას. აუცილებელია ეკოლოგიური გარემოს მდგომარეობის სტატისტიკური შეფასების გაფართოება, აგრეთვე რეგიო-

ნის სამეურნეო სისტემის მდგრადობაზე ეკოლოგიური ფაქტორების გავლენის კონკრეტიზება. არის რიგი მიდგომებისა რეგიონის გარემოს მდგომარეობის შეფასებისადმი, თუმცა საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკა ჯერჯერობით არ არის, ამიტომ საჭიროა გარემოს მდგომარეობის, ბუნებრივი რესურსების მოხმარების მასშტაბების, სამრეწველო ნარჩენების გამონაყოფის და ცხოველმყოფელობის შეფასების სისტემა. ამ სისტემამ უნდა მოიცვას ზარალის და ეკოლოგიური რისკის შეფასება, ბუნების დაცვისთვის გაწეული დანახარჯების ასახვა, ნარჩენების გაწმენდის ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენების ხარისხი და სხვა მნიშვნელოვანი ეკოლოგიური მაჩვენებლები. [335:გვ.12]

რეგიონის მდგრადი განვითარების შეფასება ეფუძნება რეგიონის განვითარების დაბალანსებულობის განსაზღვრას. აუცილებელია დაბალანსებულობის მიღწევა მოსახლეობის მოთხოვნილებასა და მის შემოსავლებს შორის; მოსახლეობის შემოსავლებსა და ფასებს, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილსა და მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას შორის; საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ მოსახლეობას და დანარჩენ მოსახლეობასა და აგრეთვე მათ შემოსავლებს შორის; ინვესტიციების მოცულობას რეგიონის საკუთარ კაპიტალს და საინვესტიციო რისკებს შორის; გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურასა და რეგიონის მოთხოვნილებას შორის, ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ჩამოთვლილ სფეროებში დაბალანსებულობის დაცვას მივყავართ გარემოს, საზოგადოების და ეკონომიკის ჰარმონიზაციამდე და მდგრადი განვითარების საფუძველს ქმნის. ეს ვლინდება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ციფრებით პარამეტრების არსებობაში, რეგიონში ეკონომიკური პროცესების დაბალანსებულობაში, სტრუქტურული პროპორციების რაციონალიზაციაში, სამეურნეო მოტივაციების ცვლილებაში, რეგიონის ეკონომიკური ზრდის რეზერვების შექმნაში.

ამგვარად, სახელმწიფო რეგულირების ფარგლებში ხელისუფლების რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მიღებულ უნდა იქნას მასშტაბური საორგანიზაციო- სამართლებრივი, სტრატეგიული და ოპერატიულ-სამეურნეო, საინფორმაციო ანალიტიკური, საკადრო და სხვა ღონისძიებები რეგიონის მდგრადი განვითარებისთვის.

ცხოვრების ხარისხის მთავარი მაჩვენებლებია: საერთო ან ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქტის მოცულობა, მოხმარების დონე, შემოქმედებითი უნარის განვითარების და რეალიზაციის საშუალება, სიცოცხლისათვის შესაფერისი ბუნებრივი გარემოს ფართო მასშტაბებში შენარჩუნება და კვლავწარმოება, კულტურათა მრავალფეროვნების გამყარება, პიროვნებათაშორის და კულტურათშორის კავშირების ჰარმონიის მიღწევა.

ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგია მიმართული უნდა იყოს სამართლებრივი, ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და ეთნოკულტურული გარემოს ფორმირებისკენ, რაც უზრუნველყოფს რეგიონის მდგრად განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები

1. Hoover, Edgar Malone; Giarratani, Frank -AN INTRODUCTION TO REGIONAL ECONOMICS (1984). P.4
2. ე.ბარათაშვილი, ნ.გრძელიშვილი – რეგიონული ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირება საქართველოში (რეგიონული მენეჯმენტი) თბ.2012 გვ.13-14
3. Stimson, R. J., R. R. Stough and B. H. Roberts. 2006. Regional Economic Development: Analysis and Planning Strategy. Berlin: Springer.
4. Feser, E. 2014. Planning local economic development in the emerging world order. Town Planning Review 85(1): 19-38.
5. Speiser, B., Europa am Oberrhein. Der grenzüberschreitende Regionalismus am Beispiel der oberrheinischen Kooperation, Basel, 1993, S. 193.
6. Etymologische Wörterbuch des Deutschen, 2. Aufl., 1993. germanuli „Regierung", „Recht", „Regiment" warmodgeba amave Zirisagan.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., 1960, გვ.387
8. Esterbauer, F., Regionalismus. Phänomen-Planungsmittel-Herausforderung für Europa, München, 1978, S. 27.
9. Hrbek/Weyand, Betrifft: Das Europa der Regionen, 1994.
10. ე. ბარათაშვილი ნ. გრძელიშვილი ნ. გალახვარიძე ნ. ნადარეიშვილი „რეგიონული ეკონომიკა". სახელმძღვანელო. თბ.2010.გვ.14-15
11. საქართველოს მთავრობის დადგენილება №172. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ. 2010 წლის 25 ივნისი ქ. თბილისი.
12. გ.ხუბუა – „ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი" თბ.2000.გვ.524.
13. ნ. ჭითნავა სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური და სოციალური ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული ტ.V თბ. 2000წ. გვ.456.
14. http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Regional-Development_Spread-File_for-WEB_180808.pdf
15. რეგიონის განვითარება CENN; პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.2018.გვ,19-25
16. რეგიონის განვითარება CENN; პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.2018.გვ,26-27
17. https://mrdi.gov.ge/ka/about/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90
18. Филимоненко, И. В. Региональный рынок труда как индикатор экономического развития региона: монография / И. В. Филимоненко. – Красноярск : Сибирский федеральный ун-т, 2011. С-20
18. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/projects/fostering-regional-and-local-development-in-georgia.html

19. Шемякина Л. В. РЫНОК ТОВАРОВ И УСЛУГ В ЭКОНОМИКЕ РЕГИОНА. Иркутск Издательство БГУЭП 2013.ст 5-11;
19' Д.В. Рожкова „К ВОПРОСУ ФОРМИРОВАНИЯ И РАЗВИТИЯ ЛОКАЛЬНОГО РЫНКА: ТЕОРЕТИЧЕСКИЙ АСПЕКТ"Вестник Алтайского государственного аграрного университета № 2 (124). 2015. С-138
20. Региональная экономика и управление: учебное пособие / О.С. Белокрылова, Н.Н.Киселева, В.В. Хубулова. – М.: Альфа-М: ИНФРА-М, 2009 – 240 с.
20' Алимбаев А.А., Утешев С.Б. и др. Региональная социально-экономическая система. — Караганда, 2002. — Т. 1. — С. 66.
21. Региональная экономика: Учебное пособие / Г.П. Ермошина; Под ред. В.Я. Позднякова. – М.: ИНФРА-М, 2009 – 576 с.:
22. Региональная экономика. Основной курс. / РЭА им. Г.В. Плеханова; Под ред. В.И. Видяпина, М.В. Степанова. – М.: ИНФРА-М, 2008 – 686 с.
23. კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია 2016. გვ.18-20
24. ნ.გრძელიშვილი-რეგიონული და მუნიციპალური ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები. ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნეს-პროცესების მართვა. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. 15-16 აპრილი, სტუ. თბილისი 2011 წელი;
25. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=46
26. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4593949#DOCUMENT:1;
27. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3735939?publication=0#DOCUMENT:1;
28. Capello, Roberta. Regional Economics (Routledge Advanced Texts in Economics & Finance) , Routledge, 2007
29. Андреев, А.В., Борисова, Л.М., Плучевская, Э.В. Основы региональной экономики. М. : Издательство "КноРус", 2014 — 334 с.
30. ნოდარ გრძელიშვილი- რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმების და მეთოდების სისტემა. სამეცნიერო ჟურნალი „ეკონ-ომიკა" №3-4, 2011, გვ.63-68;
31. ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები და ქონება. გვ.3
32. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., ციმინტია კ., საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის კომპლექსური შეფასება. თბილისი, 2008, გვ. 89.
33. Марков Д. В. Прогнозирование потребности региона в кадрах с профессиональным образованием. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата экономических наук. Иркутск –2009. с.23
34. New Directions in federal Ekonomic Development Programs Exploration in Ekonomic Research, 1977m, pp.345-469.
35. Dennison S. The Location of Industry and the Depressed Areas, London, 1939.
36. Лёш. А Географическое размешение хозяйства М. 1959, изд. „Иностранной литературы." с.10.
37. Hoover E., The Location of Economic Activity, New Yourk, 1948, pp 58-76.
38. ე.ბარათაშვილი, ნ.გრძელიშვილი – რეგიონული მენეჯმენტი. თბილისი 2012. გვ.46-47
39. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2097940?publication=0
40. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2712045?publication=0
41. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3972510?publication=0
42. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4302561?publication=0
43. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4449377?publication=0
44. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021. გვ.21

45. https://transparency.ge/ge/blog/saxelmcipo-rcmunebulebis-administraciuli-xarjebi-2018-2019-clebshi?fbclid=IwAR1zHLi6tHFtw94eRERYTiF9puokPBvdyFzHEt_Ct4ySXgvyY8oXjyueEZQ#.Xl9b5UZ7rRk.facebook
46. Маркетинг территорий : учебник для академического бакалавриата / О. А. Артемьева [и др.] ; под ред. О. Н. Романенковой. М. : Юрайт, 2014. С. 123.
47. Маркетинг мест. Привлечение инвестиций, предприятий, жителей и туристов в города, коммуны, регионы и страны Европы / Ф. Котлер, К. Асп- лунд, И. Рейн, Д. Хайдер. СПб. : Стокгольмская школа экономики, 2005. С. 55.
48. Begg I. Cities and competitiveness // Urban Studies. — 1999. — Vol.
49. მუნიციპალურ დონეზე ტერიტორიული მარკეტინგის დანერგვისა და განხორციელების თავისებურებები – მაია ახვლედიანი. „ეკონომიკა" საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. №5-6. 2019. გვ.16.
50. https://unhabitat.org/ 4.Lever W.F. Competitive Cities in Europe // Urban studies. — 1999. — Vol. 36. No. 5-6
51. Аакер Д. Как обойти конкурентов. Создаем сильный бренд. СПб. : Питер, 2012. С. 67.
52. Anholt S. Competitive Identity: The New Brand Management for Nations, Cities and Regions / S. Anholt. — 1- stedition. — Palgrave Macmillan, 2007
53. American Marketing Association. (2011. 3April). Marketing Power www.marketingpower.com:http://www.marketingpower.com/_layouts/Dictionary.aspx?dLetter=B
54. Анхолт С. Брендинг: Дорога к мировому рынку: Пер с англ. М., 2004. -272 с.
55. Бренды и брендинг / Клифтон Р.и др./ : Пер. с англ. М., 2008. – 352 с.
56. Котлер Ф., Асплунд К., Рейн И., Хайдер Д. Маркетинг мест. Привлечение инвестиций, предприятий, жителей и туристов в города, коммуны, регионы и страны Европы. — СПб:Стокгольмская школа экономики, 2005. — 375 с.
57. გრძელიშვილი ნ., „რელიგიის ფაქტორი აჭარის ტურისტული ბრენდის ფორმირების პროცესში" ქრისტიანობა და ეკონომიკა VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. ბათუმი, 5-6 სექტემბერი. 2015.
58. ნ.გრძელიშვილი, რ.გრძელიშვილი – „ბრენდინგის როლი რეგიონის (ტერიტორიის) ტურისტული მიმზიდველობის ფორმირებაში". საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია.სამეცნიერო ჟურნალი „მოამბე" №20; 2014.გვ.83-85
59. Леш А., Географическое размещение хозяйства, М., 1959.
60. Гранберг А. Г., Учебник «Основы региональной экономики: о структуре, методологии и содержании, РЭЖ, 2000, N10, ст. 65.
61. Бутов В. И., Игнатов В. Г., Кетова Н. П., Основы региональной экономики, М., Экономика и Управление, 2000, ст. 40.
62. Гранберг А. Г., Основы региональной экономики, М., Высшая школа экономики, 2001, ст. 60.
63. ე. ბარათაშვილი, ჯ. ზარანდია, ა. აბრალავა – რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა. შსუ გამომცემლობა.თბ.2009.
64. ე.ბარათაშვილი, გ.ჯოლია, ნ.გრძელიშვილი, და სხვ. „ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება" (თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, მექანიზმები და რესურსული ბაზა) სახელმძღვანელო.წიგნი II. თბ.2011.გვ.81-91
65. Анимица Е.Г., Анимица П.Е., Денисова О.Ю. Эволюция научных взглядов на теорию размещения производительных сил // Экономика региона. – 2014 – № 2

66. Дорошенко И.В. Региональная экономика и размещение производительных сил: учеб. пособие. М. : Благовест-В, 2006 152 с.
67. ე.ბარათაშვილი, გ.ჯოლია, ნ.გრძელიშვილი, და სხვ. „ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება" (თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, მექანიზმები და რესურსული ბაზა) სახელმძღვანელო.წიგნი II. თბ.2011.გვ.84-85
68. თავისუფლება – სწრაფი განვითარება -კეთილდღეობა სამთავრობო პროგრამა 2016-2020 წ.გვ.26-28
69. ჭითანავა ნ., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა და მართვა: მიზნები, მიმართულებები, მექანიზმი, გამოცდილება, „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში", ბათუმი-თბილისი, 2001, გვ. 8-9.
70. Дмитриев,Ю.А.,Васильева,Л.П.Региональнаяэкономика (длябакалавров).М. Издательство "КноРус", 2015 — 264 с.
71. მოურავიძე დ., რეგიონული განვითარების აქტუალური საკითხები საქართველოში, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სკ ინსტიტუტის შრომების კრებული, ტომი I, თბ., 1996, გვ. 518
72. დ. მოურავიძე, საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები. იხ. წიგნში „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში", ბათუმი-თბილისი, 2001, გვ. 22
73. საქართველოს მთავრობა ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი) თბილისი 2018. გვ.32
74. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021. გვ.72
75. ე.ბარათაშვილი, ნ.გრძელიშვილი – რეგიონული ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირება საქართველოში (რეგიონული მენეჯმენტი)თბ.2012; გვ.245
76. Холодова, Е.И. Региональная экономика и управление. Томск : Издательство: Национальный исследовательский Томский государственный университет, 2015 — 104 с.
77. Лексин Владимир Николаевич, Швецов Александр Николаевич Государство и регионы: Теория и практика государственного регулирования территориального развития. Изд. 6-е, стереотипное. — М.: Книжный дом «ЛИБРОКОМ», 2012. — 368 с
78. Yilmaz, S and Bindebir, S (2003) Intergovernmental Transfers: Concepts and Policy Issues. World Bank policy Paper. World Bank, Washington.
79. Martinez-Vazquez, J. and Boex, J. (1999). The Design of Equalization Grants: Theory and Applications. Washington DC: The World Bank;
80. Ahmad, E and Craig, J. (1997) Intergovernmental Fiscal Transfers. In Ter-Minassian (ed) Fiscal Federalism in Theory and Practice, Washington, DC: IMF.
81. Bahl, R and Linn, J (1992). Urban Public Finance in Developing Countries. New York: Oxford University Press.
82. ნოდარ გრძელიშვილი - საბიუჯეტო-სატრანსფერო პოლიტიკა საქართვე-ლოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. სამეცნიერო ჟურნალი „სამართალი და ეკონომიკა" №1, 2009. გვ.85-99.
83. Shah, A. (1996) A Fiscal Needs Approach to Equalization Transfer in a Decentralized Federation, Canadian Public policy 2:99-115
84. Boadway, R. (2003) Options for Fiscal Federalism, Royal Commission on Renewing and Strengthening Our Place in Canada, Newfoundland and Labrador, St. Johns, March;
85. World Bank (1997), Bangladesh Municipal Finance Management Sector Study, Washington: The World Bank.
86. Slukhai, S (ed.) (2003) Dilemmas and Compromises: Fiscal Equalization in Transition Countries. Budapest, OSI/LGI.

87. Oliveira, J. and Martinez-Vazquez, J. (2001) Intergovernmental Fiscal Relations in the Transition: Czech Republic, World Bank Technical Paper no. 517. Washington D.C.: The World Bank.
88. Martinez-Vazquez, J. (1994) The Challenge of Expenditure Assignment Reform in Russia. Environment and Planning C: Government and Policy:12, 277-292.
89. Alm, J. and Martinez-Vazquez, J. (2002). On the Use of Budgetary Norms as a Tool for Fiscal Management. Public Finance and Management. Harrisburg, Pennsylvania, vol. 2, no.3, 387-435.
90. Zhang, Z. and Martinez-Vazquez, J. (2002) The System of Equalization Transfers in China." Ministry of Finance, China and International Studies Program Working Paper.
91. United States Advisory Commission on Intergovernmental Fiscal Relations (1990), Representative Expenditures: Addressing the Neglected Dimension of Fiscal Capacity, Information Report M-174, Washington, DC;
92. Dafflon, B. (1999). Fiscal Federalism in Switzerland. In . Fossati, A. and Panella G. Fiscal Federalism in the Europea Union, London: Routledge
93. Martinez-Vazquez, J. (2000) Latvia's Equalization Fund. International Studies Program, Andrew Young School of Policy Studies, Georgia State University.
94. Organization for Economic Cooperation and Development (1981) Measuring Government Local Expenditure Needs: the Copenhagen Workshop, OECD, Paris; Organization for Economic Cooperation and Development (1994) State financial support for local government, OECD, Paris
95. Organization for Economic Cooperation and Development (1981) Measuring Government Local Expenditure Needs: the Copenhagen Workshop, OECD, Paris; Organization for Economic Cooperation and Development (1994) State financial support for local government, OECD, Paris
96. https://ec.europa.eu/info/strategy/european-semester/framework/europe-2020-strategy_en
97. http://cor.europa.eu/en/Pages/home.aspx
98. https://goo.gl/VvzfCF
99. http://www.coe.int/t/dgap/localdemocracy/EAP/Terms-of-Ref_en.pdf
100. https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/106
101. https://goo.gl/Ck97fY
102. https://goo.gl/RwNmxV
103. 2015 წლის მონაცემი
http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/Garemo_2015.pdf
104. "საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებები, რომელთა შესრულების ვადა გავიდა 2016 წლის დეკემბერში" http://www.parliament.ge/uploads/other/53/53783.pdf
105. http://www.for.ge/view_news.php?news_id=69027&news_cat=0
106. ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში. მომზადებულია ნორვეგიის ადილობრივი და რეგიონული მთავრობების ასოციაციისა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში. თბ.2017. გვ9-11.
107. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021. გვ.136
108. ნოდარ გრძელიშვილი-„რეგიონალური სიტუაციისა და პრობლემების მონიტორინგი " სამეცნიერო ჟურნალი „სამართალი და ეკონომიკა"#3. – გვ.67-78. თბ. 2012.
109. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის №1215 დადგენილებით დამტკიცებულია საბაზო დებულებები და სპეციალური ფორმა შესაბამისი პროგრამის მონიტორინგის ხელშესაწყობად
110. ეს შეთანხმება 2014-2016 წლებისთვის საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის შემდეგი ფაზის ფინანსურ მხარდაჭერას (26 მლნ ევრო საბიუჯეტო დახმარება, და 4 მლნ ევრო ტექნიკური დახმარება) გულისხმობს.

111. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა"
112. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგისთვის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის 20.10.2014 გადაწყვეტილებით. ეს ჯგუფი რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიაში წარმოდგენილი უწყებების წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული.
113. გაითვალისწინეთ, რომ ღონისძიებების არსებული ცხრილები არ შეიცავს მისაღწევ რაოდენობრივ სამიზნეებს – მისი დამატება მოხდება უფრო მოგვიანებით, როგორც კი ცნობილი გახდება საბოლოო მონაცემები ბიუჯეტის ასიგნებათა შესახებ
114. გამომდინარე იქიდან, რომ ახლახანს შეიქმნა რეგიონული განვითარების და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის კომისია, პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით და ყველა მინისტრის მონაწილეობით, რგპ-ს მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემასთან დაკავშირებით აღნიშნული კომისიის როლი შემდგომში დამატებით უნდა გამოიკვეთოს.
115. მონიტორინგის გეგმა "2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის" განხორციელებისთვის. საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია 2014. გვ. .2-12
116. Nn. grZeliSvili -„რეგიონალური სიტუაციისა და პრობლემების მონიტორინგი " სამეცნიერო ჟურნალი „სამართალი და ეკონომიკა"@#3. – გვ.67-78. თბ. 2012.
117. ნოდარ გრძელიშვილი-რეგიონების საინვესტიციო გარემო და საინოვ-აციო პოლიტიკა. თანაავტორობით,. სამეცნიერო ჟურნალი ,,სოციალური ეკონომიკა", #6, 2010. გვ.110-116;
118. საქართველოს კონკურენტუნარიანი მრეწველობის ტექნიკური დახმარების პროექტის საინფორმაციო ფურცელი. მსოფლიო ბანკი – ივნისი, 2013 წელი.
119. საქართველოს კონკურენტუნარიანი მრეწველობის სექტორის წინასწარი დიაგნოსტიკა, მსოფლიო ბანკი, ივნისი, 2013 წელი.
120. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. გვ.14
121. forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeqsi-da-saqarTvelo.
122. www.Geostat.ge.
123. Eekonomikis saministro. http://www.economy.ge/?page=news&nw=1227
124. მურმან კვარაცხელია – ინოვაციური პოლიტიკა საქართველოში გვ.201-204 eprints tsu.ge
124* http://www.economy.ge/uploads/publications/economy_303939805cdab85766f151.63396294.pdf
125. http://www.economists.ge/ka/activities/publications/ #141-mtsire-da-sashualo-biznesi-saqartveloshi
126. http://www.economy.ge/uploads/publications/economy_303939805cdab85766f151.63396294.pdf
127. აკაკი გვარუციძე – სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის მეთოდები. სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი" #1 2011. გვ.201
128. ევროკავშირთიანების აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა და საქართველოს ინოვაციური განვითარების პერსპექტივები. თბ.2011; გვ.48
129. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020. Ggv.27-28.
130. http://liberali.ge/articles/view/29697/teqnologia-da-inovatsiebi--akhali-amerikuli-ekonomika
131. First Action Plan for Innovation in Europe. European Commission, 1996 (cordis.europa.eu/documents)
132. Per Dannemand Andersen, Mads Borup, Thorvald Finnbjornsson, Eirny Vals and Thomas Malmer. Foresight in the Nordic research and innovation council systems. Riso-R-1613(EN), Riso National Laboratory, Technical University of Denmark, Roskilde, Denmark, January 2007
133. Per Dannemand Andersen, Mads Borup, Thorvald Finnbjornsson, Eirny Vals and Thomas Malmer. Foresight in the Nordic research and innovation council systems. Riso-R-1613(EN), Riso National Laboratory, Technical University of Denmark, Roskilde, Denmark, January 2007

134. Presidency Conclusions. European Council, Lisbon, 23-24 March 2000. (www.europarl.europa.eu/summits/lis1_en.htm)
135. http://ec.europa.eu/europe2020/index_en.htm
136. Trippl, M., Sinozic, T., & Lawton Smith, H. (2015). The role of universities in regional development: conceptual models and policy institutions in the UK, Sweden and Austria. European Planning Studies, 23(9), 1722-1740.
137. Clark B (1998) Creating Entrepreneurial Universities: Organizational Pathways of Transformation, New York: Elsevier
138. Etzkowitz H (1983) Entrepreneurial scientists and entrepreneurial universities in American academic science. Minerva 21: 198-233.
139. Grimaldi R, Kenney M, Siegel D, et al. (2011) 30 years after Bayh-Dole: Reassessing academic entrepreneurship. Research Policy 40: 1045-1057.
140. Goldstein H (2010) The 'entrepreneurial turn' and regional economic development mission of universities. Annals of Regional Science 44: 83-109.
141. Cooke P (1992) Regional Innovation Systems: Comparative Regulation in the New Europe. Geoforum 23: 365-382.
142. Gibbons M, Limoges C, Nowotny H, et al. (1994) The new production of knowledge: The dynamics of science and research in contemporary societies: Sage
143. Gunasekara, C. (2006). Reframing the role of universities in the development of regional innovation systems. The Journal of Technology Transfer, 31(1), 101-113.
144. Breznitz S and Feldman M (2012) The engaged university. Journal of Technology Transfer 37: 139-157.
145. უნივერსიტეტების როლი რეგიონულ განვითარებაში ერაზმუს + ეროვნული ოფისი საქართველოში. ავტორები: თამარ ბრეგვაძე, ქეთევან გურჩიანი, ირმა გრძელიძე, აბდულ კახიძე. გვ.30
146. ტერიტორიული კონკურენტუნარიანობის ფაქტორები ბიზნესის განვითარებაში – უშვერიძე ლილი. გვ.187-188. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი-ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული I ნაწილი
147. Urayaa, E. 2010: Conceptualizing the Regional Roles of Universities, Implications and Contradictions. European Planning Studies, vol. 18 no.8, 2010.
148. Croissant, J.L., Smith-Doerr, L. (2008): Organizational Contexts of Science: Boundaries and Relationships between University and Industry. The Handbook of Science and Technology Studies, 3rd edition. Cambridge u.a.: The MIT Press, 2008
149. (https://ec.europa.eu/education/policy/higher-education/knowledge-innovation-triangle_en).
150. ლია დავითაძე – უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის პრაქტიკის კვლევა (საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების ტექნოლოგიური ფაკულტეტების საფუძველზე). გვ.30
151. Belderbos, R., Carree, M., Diederen, B., Lokshin, B., Veugelers, R. 2004: Heterogeneity in R&D Cooperation Strategies, International Journal of Industrial Organization, 22, 2004.
152. ე. ბარათაშვილი, ნ. გრძელიშვილი, ნაირა გალახვარიძე, ნანა ნადარეიშვილი – რეგიონული ეკონომიკა, თბილისი 2010, გვ.62
153. ნოდარ გრძელიშვილი – „დაგეგმვის, პროგნოზირებისა და პროგრამი-რების როლი ეკონომიკის ტერიტორიული რეგულირების სისტემაში სა-მეცნიერო ჟურნალი „სამართალი და ეკონომიკა" N#2. – გვ.62-70. თბ. 2011.
154. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, ნ. გრძელიშვილი – ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება, თბილისი 2010, გვ.313.

155. ე. ბარათაშვილი, ნ.გრძელიშვილი – „რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება საქართველოში (რეგიონული მენეჯმენტი)" თბ.2012. გვ.
156. Региональное управление и территориальное планирование: Учебник / Р.А.Попов. – М.: НИЦ ИНФРА-М, 2014 – 288с. //http://znanium.com/bookread.php?book=445588
157. Бреусова А.Г. Оценка эффективности государственных программ //Вестник Омского университета. Серия «Экономика». – 2015 – № 2
158. Региональная экономика: учебник для студентов высших учебных заведений,обучающихся по экономическим специальностям: по специальностям экономики и управления (080100) / [Т. Г. Морозова др.]; под ред. проф. Т. Г. Морозовой.4-е изд.,перераб. и доп.Москва: ЮНИТИ-ДАНА, 2010.526 с.:
159. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/188/istoria
160. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/189/sakstatis-shesakheb
161. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 სახელმწიფო სტრატეგია სახელმწიფო.გვ.13-14
162. ე. ბარათაშვილი, ნ. გრძელიშვილი, ჯ. ზარანდია „რეგიონული განვი-თარების დიაგნოსტიკა" სახელმძღვანელო. თბ. 2013; 396 გვ.
163. Некрасов Н.Н. Региональная экономика: теория, проблемы, методы / Н.Н. Некрасов. – М., 1978 – 344 с.
164. Некрасов Н.Н. Региональная экономика: теория, проблемы, методы / Н.Н. Некрасов. – М., 1978 – 344 с.
165. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.თბ.2019.გვ.6
166. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D
167. ჭითანავა ნ., ამერკავკასიის რეგიონის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, თავისებურებები, პერსპექტივები, სმედსი, შრომების კრებული, ტომი I, 1997, გვ. 560.
168. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023. Gv.8
169. http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/magalmtiani_dasaxlebebis_ganvitarebis_strategia_2019-2023_proekti_1.pdf
170. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023 . გვ.12
171. https://bm.ge/ka/article/rashi-ixarjeba-mtis-ganvitarebis-fondistvis-gamoyofili-20-milioni-lari-/43478
172. http://www.mrdi.gov.ge/ge/news/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%99%E1%83%94%E1%83%97%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1

%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1

172*.https://gnta.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/

173. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2924386?publication=4

174. რალფ ჰაკერტი, მოსახლეობის დინამიკა საქართველოში. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, 2017, გვ.14.http://census.ge/files/results/publication/ge/3.%20Population%20Dynamics%20_GEO-Print_F.pdf

175. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, საქსტატი, გვ.3. http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

176. დემოგრაფიული ტვირთი – ბავშვებისა და ასაკოვანი მოსახლეობის (არასამუშაო ასაკის პოპულაციის) ფარდობა 1000 სულ აქტიური შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობასთან.

177. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, საქსტატი, გვ.7 http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

178. რალფ ჰაკერტი, მოსახლეობის დინამიკა საქართველოში. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, 2017, გვ.10-11;
http://census.ge/files/results/publication/ge/3.%20Population%20Dynamics%20_GEO-Print_F.pdf

179. OXFAM, სასურსათო უსაფრთხოება და კვების უსაფრთხოება საქართველოს მთიანეთში; თბილისი 2016 წ.

180* საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, ივნისი, 2020 წ. გვ.3-7

180. https://for.ge/view/51105/saqarTveloSi-erTkaciani-soflebis-arseboba-aRaravis-ukvirs.html

181. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027, გვ.11.

182. https://www.geostat.ge/media/28787/Mtliani-shida-produqti-regionuli-2018-%28geo%29.pdf

183. WOMEN – ქალების საჭიროებების და პრიორიტეტების კვლევა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში; 2014 წლის დეკემბერი

184. საქსტატი, 2017http://www.geostat.ge/?action=page&p_id=751&lang=geo

185. OXFAM, სასურსათო უსაფრთხოება და კვების უსაფრთხოება საქართველოს მთიანეთში; თბილისი 2016 წ.

186. OXFAM, სასურსათო უსაფრთხოება და კვების უსაფრთხოება საქართველოს მთიანეთში; თბილისი 2016 წ.

187. რეგიონების მიხედვით ანალიზისას განხილულია მხოლოდ ის მუნიციპალიტეტები, სადაც მნიშვნელოვანია მაღალმთიანი დასახლებების წილი.

188. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

189. ამმეტის მუნიციპალიტეტის ის ნაწილი, რომელიც მოიცავს თუშეთს.

190. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023 (პროექტი) თბილისი 2019.გვ.13-17

191. http://acda.gov.ge/index.php/geo/static/237

192. მამუკა აბულაძე, ოთარ კონჯარია საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ გზამკვლევი 2017, გვ.3

193. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/42829/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83

%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1

193[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2924386?publication=4;

193[2] https://mof.ge/4919;

193[3]https://mrdi.gov.ge/ka/presscenter/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20&%20%E1%83%A6%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%95-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1.html;

193[4]https://www.mrdi.gov.ge/ka/presscenter/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20&%20%E1%83%A6%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C.html

194. Кривошей В.А. Государственное регулирование социально- экономической дифференциации качества жизни населения в регионах. Концепция, механизм, методика: монография. – М.: ИД «Экономическая газета»,ИТКОР,2012

195. Overviews of the European Union Activities – Regional Policy European Union; http:/europa.eu.inf/pol/reg/overview_en.htn

196. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017. გვ.3
http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=3f4d3d8f-e53a-4292-923e-ee2527bcb2f3

197. საქართველოს გეოგრაფია, 2003, 73.

198. http://www.mrdi.gov.ge/ge/news/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90

199. https://mrdi.gov.ge/pdf/5d148e85571f3.pdf/2018-2021%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90.pdf

200. საქართველოს მთავრობა. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2017-2020 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი) თბილისი 2016; გვ.26.

201. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019. გვ.48
http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=30ad9f6d-7c9e-48f2-b90c-d56bc719d0bd
202. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4761861?publication=0
203. საყოველთაო კეთილდღეობისთვის ღინადადება უთანასწორობების შემცირებისა და ინდუსტრიული განვითარებისთვის რესურსების მობილიზების მიზნით, საქართველოში საშემოსავლო გადასახადის რეფორმის შესახებ. სარა გოდარი,ტატო ხუნდაძე, ახიმ ტრუგერი 2018
204. "Economic Consequences of Income Inequality", Federal Reserve Bank of Kansas: Journal Proceedings, 1998, pp. 221-232.
205. European Economic Review 40, 1996, pp. 1203-1228)
206. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე.საქართველოს მთავრობის დადგენილება N400; 2014 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი. გვ.50-51
207. Atkinson, A. (2015). Inequality What Can Be Done? Massachusetts: Harvard University Press.
208. საქართველომი რეგიონული უთანსწორობების ანალიზი, განახლებული ვარიანტი 2016 წლის მარტის მდგომარეობი.
209. Williamson 2005; Brülhart 2011; Rodríguez-Pose 2012.
210. Japaridze, D. (2010). Post-Crisis Challenges of Regional Economi c Development in Georgia, Spatial Economy for Society Conference: Poznan
211. საქართველო: შესაძლებლობები კეთილდღეობის მისაღწევად. 2014, გვ.90 ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური მართვის განყოფილება. მსოფლიო ბანკის დოკუმენტი.
212. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა, სოხუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2007, (გვ. 385).
213. ამაშუკელი ე., საქართველოს ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სრულყოფის მეთოდოლოგიური საკითხები, შრ. კრ. თბ. ფსკი 2002, გვ. 194.
214. კაკულია რ., ადგილობრივი (რეგიონული) ფინანსების მართვა, „ადგილობრივი (რეგიონული) ეკონომიკის განვითარების და მართვის პრობლემები:", თბილისი, 2001, გვ. 54.
215. http://www.parliament.ge/files/1107_17617_537760_QA-Self-Governance-FINAL.pdf გვ.16
216. https://matsne.gov.ge/ka/document/view/26332?publication=5
217. https://matsne.gov.ge/ka/document/view/88390?publication=0
218. ნოდარ გრძელიშვილი – „საბიუჯეტო ფედერალიზმის მნიშვნელობა რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში". მესამე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე საზღვაო ტექნოლოგიები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები". ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი. 2017 წლის 24 ივნისი.
219. საქართველო. სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) ეფექტიანობის შეფასების ანგარიში მუნიციპალიტეტების შემაჯამებელი ანგარიში გვ. 30-31
220. საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიური ანგარიში – 2006; 2006 წლის ანგარიშის მოკლე მიმოხილვა – პოლიტიკის ანალიზი. თბ.2007.გვ.3-4
221. საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია. საქართველოს რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკური მოხსენება. თბილისი 2010.
222. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, იხ. www.geostat.ge
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, იხ. www.matsne.gov. ge.
223. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, იხ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006?publication=3543
224. https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006?publication=35#!44
225. https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006?publication=35

226. 2018 წლის 28 ოქტომბერს არჩეული პრეზიდენტის ფიცის მიღებიდან: „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე. მაღალმთიანი რეგიონების გან-ვითარებისათვის კანონი ქმნის განსაკუთრებულ პირობებს."
227. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=3545
228. ადგილობრივი თვითმმართველობა – ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის საჭიროებათა კვლევა თბილისი 2018.გვ39-46
229. ჩიხლაძე ნ., რუსაძე ნ. (2015). ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი ასპექტები.
230. http://www.civilin.org/FAQ_Council.php?q=31#31
231. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2019 წ. საქართველოს ადგილობრივი თვით-მმართველი ერთეულები.გვ.6
232. https://droa.ge/?p=40101
233. ადგილობრივი თვითმმართველობა – ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის საჭიროებათა კვლევა თბილისი 2018.გვ39-46
234. პოპიაშვილი, მ. მთავრობის ახალი ინიციატივა – ნაბიჯი ფისკალური ავტორიტარიზმისკენ დეცენტრალიზაციის სახელით. http://droa.ge/?p=35974
235. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2018-2021, გვ.16-17
236. https://transparency.ge/ge/blog/sakartvelos-2019-clis-saxelmcipo-biujetis-proektis-analizi-da-rekomendaciebi
237. Кулагина Г.Д националъное щотаводство М. финанси и статистика 1997 ст 21.
238. Peter Fon Lippe ,,экономическая статистика,, пер. с немецкого. издательство FCY FRG 2006.ст 131.
239. https://www.geostat.ge/media/29303/Mtliani-shida-produqtis-metodologia.pdf
240. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ზოგადი მეთოდოლოგია. გვ.1
241. www.geostat.ge.
242. ასლამაზიშვილი ნ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თბ., 1997, გვ.9.
243. Гранберг А., Зайцева Ю. Производство и использование валогого регионального продукта: межрегио-нальные сопоставления. Российский экономический журналю 2002, №10, с. 44.
244. დეტალური მეთოდოლოგია იხილეთ ბმულის საშუალებით http://unstats.un.org/unsd/sna1993/toctop.asp.
245. www.geostat.ge.
246. სულაია ნ., მშპ რეგიონული სიდიდის გაანგარიშების მეთოდიკის და ანალიზის საკითხები. III-საერ-თაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. ქუთაისი 1999.
247. ე.ბარათაშვილი, ჯ.ზარანდია, ა.აბრალავა – რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა. სსუ გამომ-ცემლობა. თბილისი 2009. გვ.369
248. Гранберг А, Маскатова И, Заицев И. ,,валовой региональный продукт как индикатор диференциаций экономического развития регионов. вопросы статистики, 1998 г.
249. ე. ბარათაშვილი, ნ. გრძელიშვილი – მთლიანი რეგიონული პროდუქტის გაანგარიშება – რეგიონებში ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ფაქტო-რი. სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი" #1 2011, გვ.111-121;
250. Економическая статистика. Под редакций И.Н. Иванова, М, инфа 1998 г.
251. ბერიძე თ., წაქაძე რ. დაუკვირვებადი ეკონომიკა და მისი გაზომვის მეთოდები. "სოციალური ეკო-ნომიკა" 2003, №2, გვ. 16.
252. ნოდარ ხადური, მაკროეკონომიკური პოლიტიკა, გვ. 66.
253. მოურავიძე დ. მთლიანი რეგიონული პროდუქტი: არსი და გაანგარიშების მეთოდოლია. ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა". №3, 2003 გვ.134.

254. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განვითარების დონე – ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი რევაზ შენგელია, ჟურნა წიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია. ეკონომიკა ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. №5-6; 2019 გვ.47

255. Freemen C. Technology Policy and Economic Performance: Lesson from Japan. L., 1987. Nelson R. National Innovation Systems: A Comparative Analysis. N.Y., 1993.

256. გ.ჯოლია „ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბ. 2008 გვ.19.

257. ე. ბარათაშვილი ლ. თაკალანძე ნ. გრძელიშვილი-ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება. სახელმძღვანელო. თბილისი 2011. გვ.24-25

258. რ. ასათიანი, ს. ასათიანი – ბიზნეს-მენეჯმენტი და გლობალური კონკურენცია. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ.2009.გვ.52

259. მსოფლიო ბანკის დოკუმენტი. საქართველო: შესაძლებლობები კეთილდღეობის მისაღწევად 2014. გვ.15-16.

260. Giddens A. A. Third Way and its Critics. L., 2000.

261. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2018. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2018. http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/gci_2018_1_geo.pdf

262. https://afba.ge/assets/uploads/documents/research_-_afba.pdf

263. იფშირაძე აზა, ღვთაძე გიორგი – „რეგიონთაშორისი დისპროპორციები საქართველოში და მათი დაძლევის გზები (ევროპული გამოცდილების მიხედვით)".

264. ნ.გრძელიშვილი – რეგიონული კონკურენტუნარიანობის პრინციპები და შეფასების მეთოდები, თანაავტორობით, სამეცნიერო ჟურნალი „ეკ-ონომიკა" #10-12, 2010. გვ.91-102;

265. ლილი უშვერიძე – „კონკურენციის თანამედროვე ნიშნები და ტერიტორიული კონკურენტუნარიანობის მენეჯმენტი საქართველოში. თბ.2019

266. ე. ბარათაშვილი ნ. გალახვარიძე კ. არაბული ნ. გრძელიშვილი – „საქართველოს ეკონომიკა" სახელმძღვანელო. ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, ილია II-ს. 460gv , თბ.2012.

267. Porter M.E. The Competitive Advantage of Nations.- The MacMillan Press LTD. 1990. p. 3.

268. Nesta L., Patel P., Arundel A. Background Paper on Methods for Cluster Analysys for the Trend Chart Policy Workshop "Innovative Hot Spots in Europe: Policies to promote trans-border clusters of creative activity", 5-6 May 2003, Luxembourg, 2003. Режим доступа: www. cordis.lu/trendchart

269. Портер, М. Конкуренсия М .Издат дом „Вильямс" 2003

270. Портер М.Э. Конкуренция/ Пер. с англ. О.Л. Пелявского, А.П. Уриханяна, Е.С. Усенко и др., под ред. Я.В. Заблоцкого, М.С. Иванова, К.П. Казаряна и др. Изд. Испр., М.: ИД «Вильямс», 2005. gv. 28-29

271. Sacari Luukkainen. Industial Cluster in the Finnish Economy. VTT Group for Technology Studies. P.O. BOX 1002 // Сайт Organisation for Economic Cooperation and Development _ http://www. oecd. org/daf/corporate;

272. Local Economic and Employment Development (LEED). Clusters in transition economies _ progress report. Note by the Secretariat It is submitted to the Committee for information and comments at its 40th Session on 20-21 June 2002 _ http://www. oecd. org/daf/corporate.

273. Sokolenko S. East _ West Cluster Conference. 28-31 October 2002, Udine, Grado. Cluster development in Ukraine. Experience and perspectives // Сайт Organisation for Economic Cooperation and Development _ http://www. oecd. org/daf/corporate;

274. Mukesh Gulati. Improwing efficiency of service provision_ relevance of cluster approach/UNIDO _ Vew Delhi, December 3, 2003 _ www. oecd. org/daf/corporate;

275. Ganeshan Wignaraia Promouting SME Exports in Developing Countries Promoting SME Exports from Developing Countries Ganeshan Wignaraia Head, Competitiveness and SME Strategy Maxwell Stamp PLC Draft 23 November 2003 _ http://www. oecd. org/daf/corporate;
276. Michael H. Best. Cluster in Theory and Practice: Singapore / Johor and Penang Electronics _ http://www. oecd. org/daf/corporate.
277. Cental Hungary regional report // Сайт INCLUDIVE: Industrial cluster development 2003 _ www.includ.net;
278. ნოდარ გრძელიშვილი-რეგიონული კლასტერები და საქართველო. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი. 2014 წლის 27-28 ივნისი; გვ.413-417.
279. Ronen S. Comparative and Multinational Management, N.Y., 1986.
280. Пилипенко И.В. Новая геоэкономическа модель развития страны: повышение конкурентоспособности с помощью развития кластеров и промышленных районов // Безопасность Евразии. 2003, № 3. gv. 580-604
281. იქვე;
282. ნ.გრძელიშვილი, ე. გიგოლაშვილი „რეგიონული კლასტერების ფორმირების ევროპული გამოცდილება" მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე გლობალიზაციის აქტუალური ეკონომიკური და სოციალური პრობლემები" ევროპის უნივერსიტეტი 30 ივნისი-1ივლისი. თბილისი 2018. გლობალიზაცია და ბიზნესი. #5 / 2018 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. გვ.104-107
283. Roelandt Theo, Pim den Hertog, Jacobs Dany, 1997. "Nederlandse clusters in beeld" //ESB – V.12, N2. –P.124-128
284. ნ. გრძელიშვილი, 2014. რეგიონული კლასტერები და საქართველო. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი გვ. 413-417.
285. ე. ბარათაშვილი ნ. გალახვარიძე კ.ა არაბული ნ. გრძელიშვილი „საქართველოს ეკონომიკა" 2011, გვ.
286. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია; მუხლები 98, 104
287. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია; მუხლები 100, 101, 102, 106
288. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია; მუხლი 103
289. ზაზა რუხაძე- „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი„ თემა 11; ბათუმი 1999, გვ.390
290. კ.კანდელაკი, დ.ლოსაბერიძე, ი. მელაშვილი, თ. შერგელაშვილი -საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის განვრცობილი კონცეფცია. თბილისი, 2012გვ.15
291. „კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995)"; ვოლფგანგ გაული; თბილისი, 2002 წ.
292. დ. ლოსაბერიძე – ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული მოწყობა სამოქალაქო საზოგადოებისთვედვა 2009. გვ.8-9
293. საქართველოს კონსტიტუცია; მუხლი 2, პუნქტი 4
294. ევროპული ქარტია "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ"; მუხლი 3
295. https://civicuscela.wordpress.com/2017/04/09/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94/
296. https://emc.org.ge/ka/products/adgilobrivi-tvitmmartvelobis-damoukideblobis-garantiebi-sakartvelos-konstitutsiashi
297. ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი თბილისი 2015; გვ.10

298. დავით ლოსაბერიძე, კონსტანტინე კანდელაკი, მამუკა აბულაძე, ოთარ კონჯარია – „ადგილობრივი თვითმმართველობა" 2016: გვ.36-39
299. http://www.lsgindex.org/uploadimages/adm_folder/LSGINDEX_Report_GEO_WEB_final.pdf
300. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021,გვ.23-24
301. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ. „ საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა" თბ. 2007 გვ. 159
302. ბენდიანიშვილი, ა. (2008). თვითმმართველობის ორგანოთა ადგილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გამოცდილება: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი(გვ. 4). თბილისი.
303. ხარაძე, კ – საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. თბილისი 2003
304. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი I. 1, 1921 წელი)
305. "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული", 1990
306. ერობა და ქალაქი, 1919-1920
307. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი X. 102-103, 1921
308. პაელე ინგოროყვა – საქართველოს რაიონები. თბ.2019; გვ.3-4. ნაშრომი გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ისტორიის დოქტორმა ლევან ჯიქიამ.
309. ე.ბარათაშვილი, ნ.გრძელიშვილი – რეგიონული ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირება საქართველოში (რეგიონული მენეჯმენტი)თბ.2012; გვ.240-241
310. კ.კანდელაკი, დ.ლოსაბერიძე, ი. მელაშვილი, თ. შერგელაშვილი -საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის განვრცობილი კონცეფცია. თბილისი, 2012გვ.24-25
311. ქება თვითმმართველობისა – ილია ჭავჭავაძე „ცხოვრება და კანონი" წერილი მეოთხე
312. იქვე;
313. ილია ჭავჭავაძე „ცხოვრება და კანონი" წერილი მეხუთე
314. ჭავჭავაძე ი., ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაცია. „საინფორმაციო ბიულეტენი". №11, 2013 წ.
315. ილია ჭავჭავაძის სტატია „ცხოვრება და კანონი" (გაზეთი „ივერია", 1877 წელი),
316. Stivers, R., The Sustainable Society: Ethics and Economic Growth. Philadelphia: Westminster Press, 1976.
317. Our Common Future, World Commission on Environment and Development, UN A/42/427, 1987.
318. რამაზ პეისაძე – მდგრადი ეკონომიკური განვითარება – XXI საუკუნის გლობალური გამოწვევა. გვ.1
319. Treaty of Amsterdam, EU Official Journal C 340/1997.
320. A Sustainable Europe for a Better World: A European Union Strategy for Sustainable Development, EU COM/2001/0264.
321. 9 Draft Declaration on Guiding Principles for Sustainable Development, EU COM/2005/0218.
322. Renewed EU Sustainable Development Strategy, EU 10917/06 Annex.
323. „აღმოსავლეთის პარტნიორობა" და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა. თ.2011 გვ.38-40
324. ევროსტატი,http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/sdi/indicators
325. https://sustainabledevelopment.un.org/
326. http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.Xinyf_4zbIU
327. ე .ბარათაშვილი, ნ. გალახვარიძე, კ.არაბული, ნ. გრძელიშვილი – „სა-ქართველოს ეკონომიკა" სახელმძღვანელო. თანაავტორობით. ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარე-პისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, ილია II-ს. თბ.2012.გვ.400
328. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=43
329. "SBN წარმოადგენს 36 განვითარებადი ქვეყნის ცენტრალური ბანკების, საბანკო ზედამხედველებისა და ასოციაციების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლის მიზანია ხელის შეუწყოს ფინანსური ბაზრის მდგრად განვითარებას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი ბმული: www.ifc.org/sbn

330. IMCA პრინციპების ოფიციალური დოკუმენტები და ქართული თარგმანი იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://www.icmagroup.org/green-social-and-sustainability-bonds/green-bond-principles-gbp/
331. საქართველოს ეროვნული ბანკი მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის 2019. გვ. 9-10
332. http://www.parliament.ge/uploads/other/46/46079.pdf
333. ე. ბარათაშვილი, ნ.გრძელიშვილი, კ. არაბული ნ. გალახვარიძე – საქართველოს ეკონომიკა. 2012. გვ.402
334. Дохолян А.С. Проблемы устойчивого развития экономики региона //Современные проблемы науки и образования. 2011 № 5
335. ე. ბარათაშვილი, გ. ჯოლია, ნ. გრძელიშვილი, ი. მამალაძე, დ. სეხნიაშვილი, დ. ჩახვაშვილი – ეკონომის სახელმწიფო რეგულირება.2011. ნაწ.1. თავი 12.
336. https://dutyfree58.ru/ka/formula-bezraboticy-uroven-bezraboticy-kak-rasschitat/
337. https://beetlebooks.ru/ka/uroven-bezraboticy-ischislyaetsya-kak-otnoshenie-formula.html
338. http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=213
339. http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=214

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

აფხაზეთი – არის საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთის ისტორიული პროვინცია. ამჟამად მისი ჩრდილოეთ საზღვარი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემს გასდევს, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით შავი ზღვა აკრავს, ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის, ხოლო აღმოსავლეთი სვანეთ-აფხაზეთის ქედზე და მდინარე ენგურზე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფართობი 8,7 ათასი კვ.კმ-ია, რაც საქართველოს ტერიტორიის 12,5 პროცენტს შეადგენს. (1990 წლის მონაცემებით).

ადმინისტრაციული ცენტრი – სოხუმი.

სახელმწიფო ენები – ქართული, აფხაზური.

სოხუმი – მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, სოხუმის ყურეში. ის მდინარეების – გუმისთისა და კელასურის ქვემო დინებათა შორისაა მოქცეული. თბილისიდან სოხუმამდე მანძილი 444 კმ–ია.

სოხუმში ჰავა ზომიერად ნოტიო, სუბტროპიკულია.

ისტორიულ წყაროებში სოხუმი იხსენიება ძვ.წ. VI საუკუნიდან, ქართული სახელით დიოსკურია. ქალაქი კოლხეთის სამეფოს მნიშვნელოვანი კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი იყო, სადაც ბერძნული სავაჭრო ფაქტორია არსებობდა.

ჩვ.წ. I საუკუნიდან მას სებასტოპოლისი ეწოდება, ხოლო VIII საუკუნიდან, ქართული წყაროების მიხედვით, ცხუმი ერქვა. იგი შედიოდა ჯერ ცხუმის, შემდეგ სამეგრელოს საერისთავოში. სამეგრელოს მთავრების ნებართვით, XIV-XV საუკუნეებში ცხუმში არსებობდა გენუელთა სავაჭრო ფაქტორია. XV საუკუნის ბოლოდან ქალაქში თურქები გაბატონდნენ, რამაც მისი დაქვეითება გამოიწვია. 1810 წელს ქალაქს რუსები დაეუფლნენ.

სოხუმი ქალაქად გამოცხადდა 1848 წელს.

1864 წლიდან იგი სოხუმის სამხედრო განყოფილების (შემდგომში სოხუმის ოკრუგის) ადმინისტრაციული ცენტრია.

1919 წლიდან სოხუმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური აფხაზეთის, ხოლო 1921 წლიდან საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია.

1991 წლიდან ქ. სოხუმი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია.

სოხუმის მრავალრიცხოვანი ღირსშესანიშნაობებიდან გამოირჩევა 1840 წელს შექმნილი სოხუმის ბოტანიკური ბაღი, რომელსაც მესამეული პერიოდის ნამარხ მცენარეთა უნიკალური კოლექცია აშშენებს.

სოხუმის რაიონში ფსხუს და გუმისთის ნაკრძალები მდებარეობს. ფსხუს ნაკრძალი დაარსებულია 1978 წელს და მისი ფართობია 27334 ჰა. გუმისთის ნაკრძალი კი დაარსებულია 1941 წელს და მისი ფართობი 13400 ჰა-ს შეადგენს.

სოხუმში და სოხუმის რაიონში მდებარეობს მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები: დი-

ოსკურიის ციხის ნანგრევები, ბესლეთის XII საუკუნის ხიდი, ბაგრატის XI—XII სს. ციხე-კოშკისა და ეკლესიის ნანგრევები, შუა საუკუნეების აკლდამა – „ნართ სასრუეა", სოხუმის კათედრალური ტაძარი.

სოხუმი ომამდე საქართველოს მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა. სოხუმსა და სოხუმის რაიონში თავმოყრილი იყო მრავალი საწარმო და ფაბრიკა-ქარხანა:

გაზის მოწყობილობების ექსპერიმენტული, „სოხუმხელსაწყოს", ლუდისა და ხილის წვენების, ნახშირმჟავების ექსტრაქტების საცდელი, ქიმიური, გეშსარემონტო და მექანიკური ქარხნები; ფეხსაცმელების, ქსოვილების, სამკერვალო, გალანტერიის, სუვენირებისა და ხალხური რეწვის, საკონდიტრო, ჩაის, თამბაქოს და ავეჯის ფაბრიკები; თევზმჭერი და თევზსაკონსერვო კომბინატი, „აფხაზღვინკომბინატი", ციტრუსების, მეცხოველეობის, სატყეო, მეფუტკრეობის მეურნეობები და ა.შ.

სოხუმში არსებობდა სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო – საგანმანათლებლო დაწესებულებები:

სოხუმის უნივერსიტეტი, რომელიც 1979 წელს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სსმი), სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი (სფტი), სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (მაიმუნთსაშენი), სოხუმის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ.ი.გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტი.

სოხუმში მოქმედებდა 3 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, ინდუსტრიული ტექნიკუმი, სამედიცინო და სამხატვრო სასწავლებლები.

სოხუმში შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა სამი თეატრი (ქართული, აფხაზური, რუსული), მომღერალთა ქართულ -აფხაზური გუნდები (1904 წ.), აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (1931 წ.), სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი (1931 წ.), სახელმწიფო სიმფონიური და საგუნდო კაპელა (1932 წ.), სოხუმის სიმფონიური ორკესტრი. ასევე, არსებობდა კომპოზიტორთა და მწერალთა კავშირები.

სოხუმსა და სოხუმის რაიონში იყო 2 სანატორიუმი, 4 დასასვენებელი სახლი, 2 ტურისტული ბაზა, 1 პანსიონატი, 1 სპორტული ბაზა, 1 პანსიონატი.

სოხუმისა და სოხუმის რაიონის მოსახლეობის ჯანდაცვას ემსახურებოდა: 7 საავადმყოფო, 5 პოლიკლინიკა, 6 დისპანსერი, 15 ამბულატორია, სამშობიარო სახლი, ნეირო-ქირურგიული ცენტრი, 8 აფთიაქი და სხვ.

სოხუმში და სოხუმის რაიონში იყო 12 ქართული, 3 აფხაზური, 8 ქართულ-რუსული, 7 რუსული, 7 სომხური, 1 ქართულ-რუსულ-აფხაზური, 1 ქართულ-რუსულ-სომხური სკოლა.

1992 წლამდე ქ. სოხუმის და სოხუმის რაიონის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირი იყო:

ქ. სოხუმი

აფხაზი- 12,5 %, ქართველი- 41, 5%, რუსი-21, 6%, სომეხი-10, 3%, ბერძენი -6.2%, სხვა -7.9%

სოხუმის რაიონი

აფხაზი – 5.1%, ქართველი – 44, 4 %, რუსი -7,2 % სომეხი -28, 9 %, ბერძენი - 10.2% სხვა- 4, 4%

გაგრა – მდებარეობს გაგრის უბის ვიწრო სანაპირო ზოლში, გაგრის ქედის სამხრეთ კალთაზე. მანძილი თბილისიდან გაგრამდე – 534 კმ, მანძილი სოხუმიდან გაგრამდე – 90 კმ. გაგრაში ჰავა ზღვის ნოტიო, სუბტროპიკულია.

გაგრის ტერიტორია პალეოლითის ხანიდან არის დასახლებული. II საუკუნის ავტორის, კლავდიოს პტოლემაიოსის მიხედვით, თანამედროვე გაგრის ტერიტორიაზე სვანოკოლხები სახლობდნენ. V-VI საუკუნეებში ის, როგორც მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი ყალიბდება. ფეოდალურ ხანაში გაგრა საქართველოს ერთ-ერთ ნავსადგურს და სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა.

XIX საუკუნის დასაწყისში, ქ გაგრა, სხვა დანარჩენ საქართველოსთან ერთად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა.

1904 წელს გაგრა, რუსეთის იმპერატორის ბრძანებით გამოეყო სოხუმის ოკრუგს და გადაეცა შავი ზღვის ოკრუგს. ქალაქის აღმშენებლობა და მისთვის თანამედროვე სახის მიცემა პრინც ალექსანდრე ოლდენბურგსკის სახელთან არის დაკავშირებული. ამიერკავკასიის მთავრობის ხელმძღვანელების, აკაკი ჩხენკელისა და ევგენი გეგეჭკორის ძალისხმევით 1917 წლის 6 დეკემბრიდან გაგრა კვლავ სოხუმის ოკრუგს დაუბრუნდა და ასე იქნა შენარჩუნებული საქართველოს შემადგენლობაში.

გაგრა ქალაქად გამოცხადდა 1933 წელს.

1991 წლიდან იგი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქია.

გაგრას, უნიკალური მდებარეობის და შექმნილი მიკროკლიმატის გამო, საქართველოს კურორტებს შორის გამორჩეული ადგილი ეჭირა. ტურისტების მზარდ რაოდენობას უზრუნველყოფდა გაგრის განვითარებული ინფრასტრუქტურა, კერძოდ: 10 სანატორიუმი, 7 პანსიონატი, 8 დასასვენებელი სახლი, 3 დასასვენებელი ბაზა, 2 სპორტული ბაზა და 1 კემპინგი.

გაგრის მრავალრიცხოვანი ღირსშესანიშნაობებიდან გამოირჩევა :

• ძველი გაგრის ცნობილი ტყე–პარკი, რომელიც მდიდარია მსოფლიოს მრავალი კუთხიდან ჩამოტანილი ეგზოტიკური ხეებით, სუბტროპიკული მცენარეებით, ლამაზი ხეივნებით, შადრევნებით და აუზებით.

• გაგრის მიდამოებს 3 ულამაზესი ხეობა ამშვენებს. ესენია: ჟოეკვარა, გაგრიფში და ციხერვა. ასევე,

მთა მზიური (მამზიშხა), რომელიც გაგრიდან ჩრდილო–აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 1883 მეტრზე მდებარეობს.

• გაგრის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რიწის ტბა აფხაზეთის უმნიშვნელოვანეს ტურისტულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. იგი მდ.ლაშიპსესა და მდინარე იუპშარას ხეობებშია მოქცეული. რიწის ტბის და მისი შემოგარენის დასაცავად 1957 წელს რიწის დაცული ტერიტორია შეიქმნა. ნაკრძალის ტერიტორიაზე, ავადჰარის მიდამოებში მრავ-

ლადაა მინერალური წყაროები.

• განსაკუთრებით ყურადსაღებია გაგრის ძველი ისტორიული ძეგლები: IV-VI საუკუნეებში აგებული ჟოეკვარას სიმაგრე, ხაშუფსეს ციხე, VI საუკუნის გაგრის ბაზილიკა – ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი.

• გაგრის ზონის ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი ისტორიული დაბაა ბიჭვინთა, რომელიც კავკასიის შავიზღვისპირეთის მთელ პერიმეტრზე ყველაზე პოპულარული კურორტია.

• ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს ბიჭვინთის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც იყო აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრა და აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია. ნიშანდობლივია, რომ ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების (325) მონაწილე იყო.

• ტურისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალი, რომელიც 1966 წელს შეიქმნა. ნაკრძალის ბიჭვინთის მონაკვეთის ფართობი 347 ჰექტარია და მასში 27 ათასი ძირი უნიკალური ფიჭვი ხარობს.

• გაგრასა და გაგრის ზონაში კარგად იყო განვითარებული ეკონომიკა. აქ მრავალი სამრეწველო საწარმო ფუნქციონირებდა, კონკრეტულად: თევზის, ხილის წვენების, საკონსერვო და რკინა–ბეტონის ქარხნები, ღვინის და ღორღის ქარხნები,მეფრინველეობის ფაბრიკა, ციტრუსების, სატყეო მეურნეობები და სხვ.

ქ. გაგრაში და გაგრის ზონაში არსებობდა 25 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელთაგან 7 ქართული, 4 აფხაზური, 7 რუსული და 7 სომხური იყო.

გაგრისა და გაგრის ზონის მოსახლეობის ჯანდაცვას ემსახურებოდა 4 საავადმყოფო, 3 პოლიკლინიკა, 2 დისპანსერი, 3 აფთიაქი და 11 ამბულატორია.

1992 წლამდე გაგრის ზონაში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირი იყო:

აფხაზი-9.1%, ქართველი – 28%, რუსი -24, 2%, სომეხი- 29.7% , სხვა 9 %

გუდაუთა – მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე, მდინარე გუდოუს შესართავთან. მანძილი თბილისიდან გუდაუთამდე 442 კმ-ია, სოხუმიდან კი – 37 კმ.

გუდაუთაში ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰაეაა.

ისტორიულ წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI საუკუნეში.

XIX საუკუნის მე-2 ნახევრიდან დაბა გუდაუთის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული განვითარება დაიწყო. 1917 წლამდე ახლანდელი გუდაუთის რაიონი ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგში შედიოდა. 1921 წლიდან საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფით — აფხაზეთში გუდაუთა სამაზრო ცენტრია, ხოლო 1930 წლიდან ცალკე რაიონად გამოიყო .

ქალაქად გამოცხადდა 1926 წელს.

1991 წლიდან ქ. გუდაუთა დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქია.

გუდაუთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები:

აბაანთას ციხე (VII ს.), აფხაზეთის ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათაგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ძეგლი – მიუსერის ტაძარი (VIII-IX ს.ს.) ლიხნის ღვთისმშობლის სა-

ხელობის ეკლესია (XI ს.), შერვაშიძეების ორსართულიანი სასახლის ნანგრევები, სოფელ ანუხვის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელობის ეკლესიის ნაშთები უნიკალური ქართული წარწერებით (XI). სოფელ ბობმბორაში მდებარეობს ქართული ქრისტიანული ტაძარი (VIII-IX ს.ს.),

გუდაუთის რაიონში მდებარეობს ბიჭვინთა- მიუსერის ნაკრძალის მიუსერის მონაკვეთი, რომლის ფართობი 1,040 ჰექტარია.

რაიონში არსებობდა ავტოსარემონტო , ღვინის და საკონსერვო ქარხნები , ჩაის ფაბრიკა, საკალმახე, ციტრუსების, სატყეო, მეფუტკრეობის მეურნეობები და სხვა.

გუდაუთის რაიონში მოქმედებდა 5 სანატორიუმი, 3 ტურისტული ბაზა, 3 დასასვენებელი ბაზა, 3 დასასვენებელი სახლი, 3 პანსიონატი.

გუდაუთასა და გუდაუთის რაიონში 2 ქართული, 19 აფხაზური , 1 რუსული, 7 სომხური, 7 რუსულ-აფხაზური, 2 ქართლ-აფხაზური სკოლა იყო.

რაიონის ჯანდაცვას ემსახურებოდა 1 საავადმყოფო, რაიონული პოლიკლინიკა, რაიონული სანეპიდსადგური და რაიონული აფთიაქი.

1992 წლამდე გუდაუთის რაიონში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირი იყო:

აფხაზი-53.1%, ქართველი -13, 4%, რუსი-13, 5%, სომეხი-15, 4%, სხვა 4.6%

ახალი ათონი – გუდაუთის რაიონის შემადგენლობაშია. მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე და მიმდებარე მთების სამხრეთ კალთებზე. ახალი ათონის ფართობია – 1.2 კვ კმ. მანძილი თბილისიდან ახალ ათონამდე 464 კმ-ია, სოხუმიდან ახალ ათონამდე კი – 21 კმ.

ახალ ათონში ჰავა ზომიერად ნოტიო, სუბტროპიკულია.

„ქართლის ცხოვრებაში" ანაკოფია (ახალი ათონი) VII საუკუნიდან იხსენიება. ანაკოფიაში, ივერიის მთაზე, ანტიკური ხანის ტაძრისა და ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევებია შემორჩენილი. 1875 წლიდან იხსენიება, როგორც ახალი ათონი.

ქალაქად გამოცხადდა 1987 წელს.

ახალი ათონი 1991 წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქია.

ახალი ათონის მატერიალური კულტურის უძველეს ძეგლებს შორის საყოველთაოდ ცნობილია: წმ. მოციქულ სვიმონ კანანელის სახელობის ტაძარი (VII-VIII ს.ს.), ახალი ათონის მამათა მართლმადიდებლური მონასტერი, რომელიც 1875 წელს საბერძნეთის ათონის მთის წმინდა პანტელეიმონის მონასტრის ბერებმა დააარსეს, ანაკოფიის ციხე-სიმაგრე ივერიის მთაზე, ანაკოფიის ტაძარი (VII-VIII ს.ს.).

ახალი ათონის ტერიტორიაზე, ივერიის მთის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს ბუნების შესანიშნავი ძეგლი – ახალი ათონის მღვიმე, მსოფლიოს უგრძესი მღვიმე მღვიმურ სისტემათა შორის. იგი მეზოზოური ასაკის კირქვებშია წარმოქმნილი და დარბაზების ნაკრებს წარმოადგენს.

ახალი ათონის ღირსშესანიშნაობებს შორის გამოირჩევა ზღვისპირა პარკი, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთა და ტურისტთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი იყო.

ქალაქის ტერიტორიაზე არსებობდა ციტრუსების და ყურძნის მეურნეობები.

ახალ ათონში მოქმედებდა 1 სანატორიუმი, 1 დასასვენებელი სახლი, 1 პანსიონატი და 3 ტურისტული ბაზა .

1992 წლამდე ახალ ათონში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირი იყო:

აფხაზი – 23.1%, ქართველი – 7.6%, რუსი – 44 %, სომეხი-16.7%, სხვა – 8.6 %

ოჩამჩირე – ქალაქი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. ქალაქ ოჩამჩირეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება კავკასიონის ქედი, ხოლო დასავლეთით – შავი ზღვა. მანძილი სოხუმიდან ოჩამჩირემდე არის 53 კმ, თბილისიდან ოჩამჩირემდე – 391 კმ.

ოჩამჩირისთვის დამახასიათებელია ზღვის ნოტიო, სუბტროპიკული ჰავა.

ისტორია:

ოჩამჩირე შავიზღვისპირეთის უძველეს ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი დასახლებულია ძვ.წ. აღ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტები გაიგივებულია ფსევდოსკილაკ კარიანდელის (ძვ.წ. IV ს) „პერიპლუსში" მოხსენიებულ ქალაქ გიენოსთან. ფსევდოსკილაკ კარიანდელი გიენოსს, როგორც ელინურ ქალაქს ისე იხსენიებს. დასახლება განსაკუთრებით ვითარდება ძვ.წ. IV-V საუკუნეებში. ანტიკურ ხანაში (ძვ.წ. IV-Vსს) გიენოსს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა საბერძნეთის უძველეს ცენტრებთან და საგარეო ვაჭრობას აწარმოებდა მცირე აზიის ქვეყნებთან, გამორჩეულად სინოპთან. ძვ.წ. I საუკუნეში გიენოსი დაკნინდა. მისი შემდგომი გამოცოცხლება ემთხვევა ეგრისის სამეფოს გაძლიერებას და ჭალაქო ცხოვრების ახალ აღმავლობას (IV-V).

ოჩამჩირეში ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ააშენეს ნავმისადგომი, სკოლა, აფთიაქი, საექიმო პუნქტი, სასტუმრო და ფოსტა; ასევე, სახელმწიფო დაწესებულებები – კოდორის ნაწილის უფროსის კანცელარია, სასამართლო, საბაჟო.

ოჩამჩირე ქალაქად 1926 წლიდან გამოცხადდა.

1991 წლიდან ქ. ოჩამჩირე დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქია.

ოჩამჩირის ტერიტორიაზე შემორჩენილია ისტორიული ძეგლები, რომლებიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ:

მოქვის საკათედრო ტაძარი (957-967 წ.წ.), ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში, ქართული კულტურის ძლიერი კერა. აქ მიმდინარეობდა უძველესი ხელნაწერების გადაწერა.

ბედიის სამონასტრო კომპლექსი (X ს),რომელიც ააგო გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ. ბედიის ტაძრის „სამკაულთა" შორის უძვირფასესია ჩვენამდე მოღწეული ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუში – ბედიის ბარძიმი.

ილორის წმიდა გიორგის ეკლესია (XI ს-ის I ნახ.), დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო ცენტრი და სალოცავი. ეკლესიის კედლის ფასადებზე დღემდე შემორჩენილია ხუთი ქართული ლაპიდარული წარწერა.

ოჩამჩირის რაიონის ღირსშესანიშნაობათა შორის გამორჩეულია სკურჩის ნაკრძალი,

რომელიც 1978 წელს დაარსდა. მისი ფართობი 85 ჰექტარს შეადგენს.

ოჩამჩირესა და ოჩამჩირის რაიონში, 1992 წლის მონაცემებით, მრავალი სამრეწველო საწარმო მოქმედებდა, მათ შორის:

მოქვის ზეთის ექსტრაქტების, ტამიშის ეთერზეთების, სკურჩის არამადნეული მასალების, საკონსერვო და კომბინირებული საკვების ქარხნები, ასფალტისა და ბეტონის ოთხი ქარხანა: 3 მეფრინველეობის ფაბრიკა (ოჩამჩირის, ილორის, კინდღის); 7 ჩაის ფაბრიკა; თევზსაშენი, ჩაის, ციტრუსების, სატყეო მეურნეობები, კინდღის, მოქვის და ოხურეის თერმული წყლების საბადოები, რამაც აქ მძლავრი სასათბურე მეურნეობების მშენებლობა განაპირობა; გარდა ამისა, ტამიშში სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მაიმუნთსაშენი მეურნეობა იყო განთავსებული.

ოჩამჩირესა და ოჩამჩირის რაიონის მოსახლეობის ჯანდაცვას ემსახურებოდა: 10 საავადმყოფო, 1 პოლიკლინიკა, 20 საფერშლო პუნქტი, 5 ამბულატორია , ტუბდისპანსერი და ვენდისპანსერი.

ოჩამჩირის რაიონში მოქმედებდა 4 ტურისტული ბაზა, 1 დასასვენებელი სახლი, 1 დასასვენებელი ბაზა, 1 სპორტული ბაზა,

ოჩამჩირესა და ოჩამჩირის რაიონში არსებობდა 48 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. მათგან: 11 ქართული, 24 აფხაზური, 7 ქართულ -რუსული, 1 ქართულ-რუსულ -აფხაზური, 2 რუსული და 3 სომხური იყო.

1992 წლამდე ოჩამჩირის რაიონის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირი იყო:

აფხაზი- 36,7%. ქართველი- 46, 2 %, რუსი-5,9%, სომეხი -8,3% , სხვა – 2.9%;

ტყვარჩელი – მდებარეობს მდინარე ღალიძგას ხეობაში. მანძილი სოხუმიდან ტყვარჩელამდე – 80 კმ. თბილისიდან ტყვარჩელამდე – 418 კმ.

ტყვარჩელი მოხსენიებულია ქართულ ისტორიულ წყაროებში XVI- XVII საუკუნეებიდან ტკაურუს, ტკავრუს, ტკაუჩის სახელწოდებებით. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე (1654 წ.) აღნიშნულია ტკვაჯას სახელწოდებით.

ტყვარჩელი ქალაქად გამოცხადდა 1942 წელს.

1991 წლიდან ქ. ტყვარჩელი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქია.

ქ. ტყვარჩელის მთავარი ინდუსტრია 1935 წლიდან ქვანახშირის მოპოვება იყო. ქალაქში, ასევე, მოქმედებდა სამშენებლო მასალების ფაბრიკა, „საქნახშირგაზის" კომბინატი, გამამდიდრებელი ფაბრიკა, ტყვარჩელის ელექტროსადგური და სხვ.

ტყვარჩელის მიდამოები მდიდარია თერმულ-მინერალური საბადოებით. ქალაქის მახლობლად არსებობდა აკარმარის ბალნეოლოგიური კომპლექსი.

ტყვარჩელის ტერიტორიაზე მდებარეობს ლაშქნდარის ტაძარი (X-XIს.ს.).

ქალაქ ტყვარჩელის მოსახლეობის ჯანდაცვას ემსახურებოდა 2 საავადმყოფო, 1 პოლიკლინიკა, 1 სანეპიდსადგური, 1 აფთიაქი.

ტყვარჩელში 3 ქართული, 3 ქართულ-რუსული, 2 რუსულ-აფხაზური, 2 ქართულ-აფხაზური სკოლა იყო.

1992 წლამდე ქალაქ ტყვარჩელში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირი იყო:

აფხაზი – 42,3%, ქართველი – 23,5%, რუსი- 24,5 %, სომეხი – 1,5%, სხვა- 8,2%

გალი – მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, მდინარე ერისწყალის ორივე ნაპირზე. მანძილი სოხუმიდან გალამდე – 83 კმ. თბილისიდან გალამდე – 363კმ.

გალის რაიონში ზღვის ნოტიო, სუბტროპიკული ჰავაა.

გალის ტერიტორიაზე ადამიანს ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში უცხოვრია. ნაპოვნია, აგრეთვე, ნეოლითური ხანის კაჟის იარაღები და ბრინჯაოს ნივთები. გალი ალნიშნულია იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის რუკაზე (1654 წ.) გოგიელის სახელწოდებით. ამ დროს იგი ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში შედიოდა. 1906 წელს სამურზაყანოს ცენტრი ოქუმიდან გალში გადაიტანეს. 1921 წელს საქართველოს სსრ-ს ადმინისტრაციულ – ტერიტორიული დაყოფით ჯერ გალის მაზრის, ხოლო 1939 წლიდან – გალის რაიონის ცენტრია.

ქალაქად 1932 წელს გამოცხადდა.

1991 წლიდან გალი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთის ერთ-ერთ რაიონულ ცენტრად დარჩა.

გალის რაიონის ტერიტორიაზე უამრავი ისტორიული ძეგლია მიმოფანტული:

ზიგანეოსი-რომის, ბიზანტიის საეპისკოპოსო კათედრის ნანგრევები-სოფელი გუდავა (III-IXს.). საეკლესიო კომპლექსი (ფშაური) – მეორე ბედია (XIV). დედოფლის ეკლესია (მაფაში ოხვამე) – სოფელი წარჩე (XVს.). წკელკარის ეკლესია-სოფ. რეჩხი (Xს.). სათანჯოს კოშკი (სანტა ანჯელო). იქვე კარსტული მიწისქვეშა გასასვლელი მდ.ენგურზე – სოფ. დიხაზურგა (აფხაზეთში ყველაზე მაღალი კოშკი – (XII-XVს.). სოფ.დიხაზურგას ეკლესია (ადრეული საუკუნეები).

გარდა ამისა, გალის რაიონში მდებარეობს „ჩე ოხვამეს", „ზენიში ოხვამეს", „გეანათის" ეკლესიები, სამეთვალყურეო კოშკები, დიხაგუძუბათა უნიკალური სისტემა – სოფ.ფიჩორი (ადრეული პერიოდი).

გალის რაიონში მოქმედებდა მნიშვნელოვანი სამრეწველო საწარმოები, კერძოდ:

10 ჩაის ფაბრიკა, საკონსერვო და ხე-ტყის დამზადებისა და გადამამუშავებელი კომბინატები, გალის თევზის გადამამუშავებელი საწარმო, ეთერზეთების ქარხანა, ციტრუსების, მეცხოველეობის, ჩიას, ტუნგოს მეურნეობები, ენგურჰესების კასკადი, რომელიც მოიცავს საბერიოს მიწისქვეშა ელექტროსადგურს, რეჩხის I ვარდნილჰესსა და II და III ვარდნილჰესებს.

გალისა და გალის რაიონის მოსახლეობის ჯანდაცვას ემსახურებოდა გალის ცენტრალური რაიაააგადმყოფო, სასწრაფო სამედიცინო დახმარების განყოფილება, სამშობიარო სახლი, რაიონული პოლიკლინიკა, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერი, დერმატოვენეროლოგიური დისპანსერი, 6 უბნის საავადმყოფო, 9 ამბულატორია და სხვა,

გალის რაიონში ომამდე 51 ქართული, 1 აფხაზური და 6 ქართულ-რუსული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა არსებობდა და 1 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

1992 წლამდე გალის რაიონში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის პროცენტული

მაჩვენებელი შემდეგნაირი იყო:

აფხაზი – 0.8%, ქართველი – 93.8%, რუსი-3.1%, სხვა – 2.3% .

მიუხედავად რუსული იმპერიული ძალების მცდელობისა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა სამართლებრივად საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია. [338]

სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქი მდებარეობს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთაზე. ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას, აღმოსავლეთით ყაზბეგსა და დუშეთს, სამხრეთით – კასპს, გორს, ქარელსა და ხაშურს, დასავლეთით – ხაჩხერესა და ონის რაიონებს.

ფართობი 3,8 ათასი კმ (საქართველოს ტერიტორიის 5,4 %). სამხრეთ ოსეთში 4 ადმინისტრაციული რაიონია: ზნაურის, ახალგორის, ცხინვალისა და ჯავის. ერთი საოლქო დაქვემდებარების ქალაქი (ცხინვალი).

საქართველოში მცხოვრებ ოსთა რაოდენობა 1990 წლამდე 164 ათასი იყო. 2002 წლის აღწერით, დარჩა 38 ათასი (სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის მონაცემების გამოკლებით).

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რეგიონის მთელ ტერიტორიას აკონტროლებს რუსეთის საოკუპაციო არმია.

2008 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ." [339]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შავი ზღვის სანაპიროზე. მისი სამხრეთი საზღვარი ემთხვევა თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარს და მიჰყვება შავშეთის ქედს; ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება მესხეთის ქედი, აღმოსავლეთით – არსიანის ქედი, დასავლეთით – შავი ზღვა. აჭარის ფართობი 2,9 ათასი კვ.კმ.-ია, რაც შეადგენს საქართველოს ტერიტორიის 4,2%. აჭარის სანაპირო ზოლის სიგრძეა 57 კმ.

აჭარას, როგორც საქართველოს შემადგენლობაში არსებულ ავტონომიურ რესპუბლიკას, გააჩნია საკუთარი დროშა და გერბი. იგი სამხრეთით ესაზღვრება თურქეთს.

თვითმმართველი ქალაქი ბათუმი.

ბათუმი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, კახაბრის დაბლობზე.

ქალაქი – 1878 წლიდან; მოსახლეობა -122.500 ადამიანი (2009); ქალაქის ფართობი – 19,37 კმ ;

ქედა – მუნიციპალიტეტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მდებარეობს მდ. აჭარისწყლისხეობაში. ქედის რაიონს ესაზღვრება – ქობულეთის, ხელვაჩაურის და შუახევის მუნიციპალიტეტები. სამხრეთ ნაწილში კი შავშეთის ქედზე გადის საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი.

ფართობი – 452 კმ2 ;

მოსახლეობის რაოდენობა – 20.317 ადამიანი;

მოსახლეობის სიმჭიდროვე – 44.3 ადამიანი კმ -ზე;

მუნიციპალიტეტში 64 დასახლებული პუნქტია – დაბა – ქედა და სოფლები – აბუქეთა, აგოთა, არსენაული, აქუცა, ახო, ბალაძეები, გარეტყე, გეგელიძეები, გობრონეთი, გოგიაშვილები, გოგინიძეები, გულები, გუნდაური, დანდალო, დოლოგანი, ვაიო, ვარვანისი, ზედა აგარა, ზედა ბზუბზუ, ზედა მახუნცეთი, ზენდიდი, ზესოფელი, ზვარე, ზუნდაგი, ინაშარიძეები, კანტაური, კვაშტა, კოკოტაური, კოლოტაური, კორომხეთი, კუჭულა, მერესი, მეძიბნა, მილისი, მოსიაშვილები, ნამლისევი, ნამონასტრევი, ორთაძელა, ორცვა, ოქტომბერი, პირველი მაისი, საბადური, სასადილოყელი, სილიბაური, სირაბიძეები, სიხალიძეები, ტაკიძეები, უჩხითი, ქედა, ქვედა აგარა, ქვედა ბზუბზუ, ქვედა მახუნცეთი, ქოსოფელი, შეკაბური, ჩეტკიძეები, ცხემნა, ცხმორისი, ძენწმანი, წონიარისი, ჭალახმელა, ჭინკაძეები, ხარაულა, ხუნკუდა, ჯალაბაშვილები

ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა ქედა მდინარე აჭარის წყალზე, ბათუმიდან 41 კმ-ზე. დაბა – 1966 წლიდან. მოსახლეობა – 1200 კაცი (2002);

ქობულეთი – მუნიციპალიტეტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ–დასავლეთით – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით – ქედის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ–აღმოსავლეთით – შუახევის მუნიციპალიტეტი. ზღვისპირა ზოლის სიგრძეა 24 კმ.

ფართობი – 720 კმ2;

მოსახლეობის რაოდენობა – 90 934 ადამიანი;

სიმჭიდროვე – 122.3 ადამიანი კმ -ზე;

მუნიციპალიტეტში 51 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ქობულეთი, დაბები – ოჩხამური, ჩაქვი და 48 სოფელი – ალამბარი, აჭი, აჭყვისთავი, ბობოყვათი, ბუკნარი, გვარა, გოგმაჩაური, გორგაძეები, დიდეკე, ვარჯანაული, ზედაჭყვა, ზედადგვა, ზედაკვირიკე, ზედა კონდიდი, ზედა სამება, ზენითი, კაკუჩა, კეჭიეთი, კვირიკე, კობალაური, კობი, ლელვა, მუხაესტატე, ნაკაიძეები, ნაცხავატევი, ოხტომი, საჩინო, სახალვაშო, სკურა, სტალინისუბანი, ტყემაკარავი, ქაქუთი, ქვედა აჭყვა, ქვედა დაგვა, ქვედა კვირიკე, ქვედა კონდიდი, ქვედა სამება, ქობულეთი, შუაღელე, ჩაისუბანი, ჩაქვისთავი, ციხისძირი, ცხრაფონა, წყავროკა, ჭახათი, ხალა, ხინო, ხუცუბანი, ჯიხანჯური.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ქობულეთი მდებარეობს ქობულეთის დაბლობზე, შავი ზღვის სანაპიროზე, ზღვის დონიდან 5 მ.: ქალაქი – 1944 წლიდან. მოსახლეობა – 18.302 ადამიანი (2009).

ხელვაჩაური – მუნიციპალიტეტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე. 1917 წლამდე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ბათუმის ოკრუგში, 1921 წლიდან საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფით – აჭარის ბათუმის ოკრუგში. 1924 წელს ცალკე გამოიყო და ეწოდა ჭოროხის

მაზრა, 1929 წლიდან ეწოდა ბათუმის მაზრა, 1930 წლიდან 1968 წლამდე ბათუმის რაიონი იყო. 1968 წლიდან ხელვაჩაურის რაიონია.

ჩრდილოეთით ესაზღვრება ქობულეთის და აღმოსავლეთით – ქედის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით თურქეთი, ხოლო დასავლეთით და ჩრდილოეთით – შავი ზღვა.

ფართობი – 430 კმ ;

მოსახლეობის რაოდენობა – 92.800 ადამიანი;

მოსახლეობის სიმჭიდროვე – 219.8 ადამიანი კმ -ზე;

მუნიციპალიტეტში 72 დასახლებული პუნქტები – დაბები -ხელვაჩაური; მახინჯაური, სოფლები – აგარა, აგარა, ავგია, აჭარისალმართი, აჭარისწყალი, ახალსოფელი, ახალშენი, განახლება, გვარა, გონიო, ერგე, ზანაქიძეები, ზედა ახალშენი, ზედა თხილნარი, ზედა კირნათი, ზედა ღელე, ზედა ჩხუნტეთი, ზედა ჭარნალი, ზემო ერგე, ზემო ჯოჭო, თოდოგაური, თხილნარი, ინჯალო, კაპნისთავი, კაპრეშუმი, კვარიათი, კიბე, კირნათი, კობალეთი, მარადიდი, მასაურა, მაღლაკონი, მაჭახლისპირი, მახვილაური, მახო, მინდა, მირვეთი, მნათობი, მურმანეთი, მწვანეკონცხი, ომბოლო, ორთაბათუმი, სალიბაური, სამება, სარფი, სიმონეთი, სინდიეთი, სკურდიდი, ურეხი, ფერია, ქედქედი, ქვედა ახალშენი, ქვედა მახო, ქვედა სალიბაური, ქვედა სამება, ქვედა ქოქოლეთი, ქვედა ჩხუნტეთი, ქვემო ჯოჭო, ქოქოლეთი, ყოროლისთავი, შავლიძეები, შარაბიძეები, შუამა ხინჯაური, შუშანეთი, ჩიქუნეთი, ცხემლარა, ძაბლავეთი, წინსვლა, ჭარნალი, ხერთვისი, ხელრუ.

ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა ხელვაჩაური მდებარეობს კახაბრის დაბლობზე, მდინარე ჭოროხის მარჯვენა ნაპირას, ზღვის დონიდან 80 მ, ბათუმიდან 8 კმ. : დაბა -1968 წლიდან. მოსახლეობა – 6143 ადამიანი (2002).

შუახევი – მუნიციპალიტეტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მდებარეობს აჭარის წყლის ხეობის შუა ნაწილში. მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი ნაწილი ზღვის დონიდან 1200-1600 მეტრზეა განთავსებული. შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1952 წლამდე შედიოდა ხულოს რაიონის შემადგენლობაში. 1952 წლიდან გამოიყო ცალკე რაიონად. 1962–1965 წლებში კვლავ ხულოს რაიონის შემადგენლობაში იყო და 1965 წლიდან საბოლოოდ დამოუკიდებელი რაიონია. 2006 წლიდან არსებობს შუახევის მუნიციპალიტეტის სახით.

ჩრდილოეთით მას ესაზღვრება ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით თურქეთი, აღმოსავლეთით ხულოს მუნიციპალიტეტი, დასავლეთით ქედის და ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

ფართობი – 58.800კმ ;

მოსახლეობის რაოდენობა – 22.370 ადამიანი;

სიმჭიდროვე – 37.2 ადამიანი კმ -ზე;

მუნიციპალიტეტში 68 დასახლებული პუნქტია – დაბა -შუახევი და 67 სოფელი – შუახევი, ბარათაული, ბესელაშვილები, ბრილი, ბუთურაული, გოგაძეები, გოგინაური, გომარდული, გორი, გუნდაური, დაბაძველი, დარჩიძეები, დღვანი, ვანი, ვარვკანაული, ზამლეთი, ზედაყანა, ზემოხევი, თერნალი, იაკობაური, ინწკირვეთი, კარაპეტი, კვიახიძეები, კვირიაული,

კლდისუბანი, კობალთა, ლაკლაკეთი, ლომანაური, მაწყვალთა, მახალაკიძეები, მომწვარი, მოფრინეთი, მჭედლური, ნაღვარევი, ნენია, ნიგაზეული, ოლადაური, ოქროპირაული, პაპოშვილები, ჟანიერი, სამოლეთი, სხეფი, ტაკიძეები, ტბეთი, ტომაშეთი, ფოთარო, ფოთელაური, ფურტიო, ქიძინიძეები, ქუთაური, შუბანი, ჩანჩხალო, ცეკვა, ცენტერაძეები, ციკაძეები, ცინარეთი, ცხემლისი, წაბლანა, წანკალაური, წელათი, წყაროთა, ჭალა, ჭვანა, ხაბელაშვილები, ხიჭაური, ჯაბნიძეები, ჯვარი, ჯუმუშაური

ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა შუახევი მდებარეობს მდინარეების აჭარისწყლის და ჩირუხისწყლის შესართავთან (ზღვის დონიდან 420 მ, ბათუმიდან 67 კმ). დაბის სტატუსი მიიღო 1974 წელს. მოსახლეობა – 980 კაცი (2002).

ხულო – მუნიციპალიტეტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის ხეობაში. იგი, არსიანის ქედის დასავლეთით და ძირითადად სამი – ღორჯომისწყლის, სხალთისწყლისა და აჭარისწყლის – ხეობისგან შედგება. ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ბათუმის ოლქში, 1924 წელს ამჟამინდელი შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიასთან ერთად ჩამოყალიბდა ცალკე მაზრად და ეწოდა ხულას მაზრა, 1930 წლიდან – ხულას რაიონი, ხოლო 1940 წლიდან – ხულოს რაიონი. 1965 წელს მას საბოლოოდ გამოეყო შუახევის რაიონი და ჩამოყალიბდა ამჟამინდელ საზღვრებში. 2006 წლიდან არსებობს ხულოს მუნიციპალიტეტის სახით.

ხულოს მუნიციპალიტეტს სამხრეთიდან ესაზღვრება თურქეთი , დასავლეთით – შუახევის მუნიციპალიტეტი , ჩრდილო-დასავლეთით – ოზურგეთის მუნიციპალიტეტი , ჩრდილოეთით – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი , აღმოსავლეთით – ადიგენის მუნიციპალიტეტი.

ფართობი – 710 კმ ;

მოსახლეობის რაოდენობა – 35.000 ადამიანი;

სიმჭიდროვე – 47.1 ადამიანი კმ -ზე;

მუნიციპალიტეტში 79 დასახლებული პუნქტია – დაბა – ხულო და 78 სოფელი – აგარა, ადაძეები, ახალიუბანი, ახალშენი, ბაკო, ბელღეთი, ბოლაური, ბოძაური, განახლება, გელაური, გელაძეები, გოდგაძეები, გორგაძეები, გუდსახო, გურძაული, დანისპარაული, დეკანაშვილები, დიაკონიძეები, დიდაჭარა, დიოკნისი, დუაძეები, ელელიძეები, ვანაძეები, ვაშაყმაძეები, ვერნები, ზედა თხილვანა, ზემო ვაშლოვანი, თაგო, იაკობაძეები, ირემაძეები, კალოთა, კვატია, კორტოხი, კურცხალი, ლაბაიძეები, მანიაკეთი, მახალაკაური, მეკეიძეები, მერჩხეთი, მეხელაშვილები, მთისუბანი, მინთაძეები, ნამონასტრევი, ოქრუაშვილები, ოშანახევი, პანტნარი, პაქსაძეები, რაქეთა, რიყეთი, საციხური, სკვანა, სტეფანაშვილები, სხანდარა, ტაბახმელა, ტუნაძეები, უჩხო, ფაჩხა, ფუშრუკაული, ქედლები, ქვედა თხილვანა, ქვემო ვაშლოვანი, ქორდული, ღორჯომელაძეები, ღორჯომი, ღურტა, ყინჩაური, ყიშლა, შუასოფელი, შურმული, ჩაო, ძირკვაძეები, ძმაგულა, წაბლანა, წინწკალაძეები, ჭახაური, ჭერი, ხიხაძირი, ჯვარიქეთი.

ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა ხულო მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის ხეობაში, ზღვის დონიდან 923 მ, ბათუმიდან 88 კმ. დაბა – 1964 წლიდან. მოსახლეობა – 1142 ადამიანი (2002).

მცხეთა-მთიანეთი – მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების შიდა ქართლის, ერწო-თიანეთის, ფშავის, ხევსურეთის, მთიულეთის, გუდამაყრის, ჭსნის ხევის ტერიტორიებს. მხარის ფართობი შეადგენს 6785 კვ.კმ-ს, მოსახლეობა – 125 ათასს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე– 18. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი მცხეთა.

თიანეთი – მუნიციპალიტეტი მცხეთა-მთიანეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე თბილისის გუბერნიის თიანეთის მაზრაში შედიოდა, 1921 წლიდან თიანეთის მაზრაში, 1924-დან — დუშეთის მაზრაში, 1929-დან თბილისის მაზრაში, 1930 წლიდან ტფილისის ოლქის ერწო-თიანეთის რაიონში, 1932-დან ცალკე რაიონია.

თიანეთის მუნიციპალიტეტს ჩრდილო-დასავლეთით საზღვრავს დუშეთის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით ახმეტის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით კი მცხეთისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები. ფართობი – 906,3 კმ ;

მუნიციპალიტეტში 82 დასახლებული პუნქტია: 2 დაბა და 80 სოფელი – თიანეთი (თეთ-რახევა, მამადაანები, საჭურე, ჭურჭელაურები) სიონი (ბადაანი, ბოჭორმა, გრძელვეელები, ომარაანი, ორხევი, საყინიბო, ფიჭვიანი, ყუდრო), არტანი (ბოდახევა, დულუზაურები, ზემო არტანი, თეთრაულები, კვერნაულა, ლიშო, სახევი, სხლოვანი, ქვემო არტანი, ჭუშხევი), ახალსოფელი (გოჯიაანები, ჩაბანო, ჭიაურა, ხაიშო), ზარიძეები (ბუჭყინტა, ვერხველი, ზემო შარახევი, ზენამხარი, იარაჯულები, ივლიან-თგორი, ლაბატო, საკრეჭიო, ქვემო შარახევი, ხოფცა, ჯიჯგეთი), ნაქალაქარი (ბეწენწურები, დორეულები, ვეძათხევა, ზემო ნაქალაქარი, მაგრანეთი, ქვემო ნაქალაქარი), ჟებოტა (თეგერაანები, თხილა, ლელოვანი, ძებნიაურები), სიმონიანთხევი (გორანა, თოლენჯი, მელიასხევი, ნადოკრა, ჩიტაურები, ცალულელაანთკარი), ტუშურები (ალაჭანი, კახოიანები, წიკვლიანთკარი, ჯერვალიძეები), ღულელები (ბალებისხევი, გუდანელები, თოხოლჩა, თრანი, კვერნაულა, კვირიასხევი, სიონთგორი, ტოლათსოფელი, წყაროთუბანი, ხადოელები), ჩეკურაანთგორი (ალოტი, ბოკონი, ევუენტი, ძირხვნიანი), ხევსურთსოფელი (დევენაანთხევი, საყდრიონი).

ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა თიანეთი მდებარეობს თიანეთის ქვაბულში, მდინარე ივ-რის მარჯვენა სანაპიროზე (ზღვის დონიდან 1100 მ, თბილისიდან 75 კმ). დაბის სტატუსი მიენიჭა 1960 წელს. მოსახლეობა 3.6 ათასი (2002).

მცხეთა – მუნიციპალიტეტი მცხეთა-მთიანეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში შედიოდა, 1917-29 წლებში — თბილისის მაზრაში, 1930-34 წლებში ცალკე რაიონია, 1938 წლამდე თბილისის გარეუბნის რაიონს დაექვემდებარა, შემდეგ კვლავ ცალკე რაიონია.

მცხეთის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, დასავლეთით კასპის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით გარდაბნის, თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტები და თბილისი.ფართობი – 805 კმ ;

მუნიციპალიტეტში 71 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი – მცხეთა, და 70 სოფელი – აგარაკი, არაშენდა, აღდგომელაანთკარი, ახალდაბა, ახალი ნიჩბისი, ახალსოფელი, ახალუბანი, ბეკრეთი, ბიწმენდი, ბურიანი, გალავანი, გლდანი, გოროვანი, დიდგორი, დიღომი, ერედა,

ვაზიანი, ვარდისუბა-ნი, ზაქარო, ზემო ნიჩბისი, ზურგოვანა, თეზამი, თელოვანი, თხინვალი, კარსანი, კევლიანი, კოტორაან-თკარი, ლამი, ლელობი, ლელუბანი, ლისი, მამკოდა, მისაქციელი, მსხალდიდი, მუხათგვერდი, მუხათ-წყარო, მუხრანი, მშრალხევი, ნავდარაანთკარი, ნავაზი, ნატახტარი, პატარა ქანდა, საგურამო, სათოვლე, სასხორი, სხალტბა, ტაბარუკი, უფურუთი, ფრეზეთი, ქვემო ლისი, ქვემო ნიჩბისი, ქსანი, ქსოვრისი, შანკევანი, ჩარდახი, ციხისძირი, ცხვარიჭამია, ძალანთხევი, ძალისი, ძეგვი, ძველი ვეძისი, ძველი ქანდა, წეროვანი, წილკანი, წინამძღვიანთკარი, წიწამური, წოდორეთი, ჭილაანთკარი, ხეკორძი, ჯიღაურა.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი მცხეთა, მდებარეობს მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესაყართან, მტკვრის ორივე და არაგვის მარჯვენა ნაპირზე. თბილისიდან 21 კმ-ზე. ქალაქად გამოცხადდა 1956 წელს. მოსახლეობა 7,7 ათასი (2002 წ.). მცხეთა გამოცხადებულია ქალაქ-მუზეუმად და იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.

დუშეთი – მუნიციპალიტეტი მცხეთა-მთიანეთის მხარეში; მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე შედიოდა თბილისის გუბერნიაში დუშეთის მაზრის სახელწოდებით, 1917-28 წლებში — დუშეთის მაზრაა, 1928-30 წლებში თბილისის ოლქში დუშეთის რაიონის სახელწოდებით, 1930 წლიდან ცალკე რაიონია.

დუშეთის მუნიციპალიტეტს სამხრეთით საზღვრავს მცხეთის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით კასპისა და ახალგორის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაცია და ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით ახმეტისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები. ფართობი – 2981.5 კმ;

მუნიციპალიტეტში 298 დასახლებული პუნქტია: ქალაქი დუშეთი, 2 დაბა და 295 სოფელი. – ჟინვალი (არანისი, ბიჩნიგაური, ბზიკურთკარი, ბოდავი, გუდრუხი, ეთვალისი, ზემო ხორხი, თვალივი, ლაუშა, მენესო, ნეძიხი, ჟინვალა, სონდისველა, სწროფავი, უბანი, ფუძნარი, ქვემო არანისი, ქვემო ხორხი, ჩინთი, ხარტიშო, ხირაუშა), ფასანაური (ბანცური, დავითურნი, ვეშაგურნი, ზემო ამირნი, მეჯილაურნი, სოდევე, უკანამხარი, ჩადისციხე, ჩირიკი, ცხვედიეთი, წინამხარი, წინკობანი, წიფორი, ჭიკანი, ხევშა) ანანური (ავენისი, ბანცურთკარი, დგნალი, ზოტიკიანთკარი, თანდილაანთკარი, კადოეთი, პავლეური, უფურეთი, ფხუნდავი, შალიკიანთკარი, ციკწყარო, ციხისძირი, ციხისსოფელი, ჭივილაანები), ბაზალეთი (ბაგა, გრიგოლაანთკარი, ვარსიმაანი, ლაზვიანი, მლაშე, ნაგლიანთკარი, პირმისაანი, საკრამულო, საშაბურო, უნდილაანთკარი, ფარსიმაანთკარი, ჩანადირთკარი, ჩირდილელიან-თკარი, ჩუბინიანთკარი, ძველი საკრამულო, ჭონტილი), გრემისხევი (ციხისუბანი, არბოეთი, ახალი ბურღული, თხილოვანი, მიქელიანი, პეტრიანი, ტონჩა, ქარქუშაანი, ქედელობა, ციგრიანთკარი, ძველი ბურღული), გუდამაყარი (კიხოტი, ათნოხი, ბაკურხევი, ბახანი, ბოსელი, ბურსაჭირი, გამსი, დიდებანი, დიხჩო, დუმაცხო, ზანდუკი, თოთიაურნი, თორელაანი, ლუთხუბი, მაქართა, საკერპო, საჩალისჭალა, სიჯანანი, ფახვიჯი, ჩობალაურნი, ჩოხი, წინამხარი), ლაფანაანთკარი (აბანოსხევი, ახალი ოსები, დავათი, ზემო უბანი, კოშკასყელი, მაღრანი, მწითურები, ნოჯა, ნოჯიკეთი, ქერიაანთკარი, ძველი ოსები, ხიზნები), მაღაროსკარი (არბაჩხანი, აფშო, გომეწარი, გუდარახი, ინო, კანატია, კაწალხევი, კუჭეჭა, მიგრიაულთა, საშევარდნო, ქალილო, შარახევი, ჩარგალი, წიფრანი, ხილიანა, ხომი), მჭადიჯვარი (ახალი კაღოეთი,

ბაქაჭურები, ებნისი, ზემო კოდისწყარო, ზემო შუახევი, ილტოზა, ლამოვანი, მილისწყარო, ოძისი, ქვემო კოდისწყარო, ქვემო შუახევი, ქვითკირისწყარო, ციხეედავი, წიწამურა, ჭაშა, ჭილურტი), უკანაფშავი (შუაფხო, ახადი, ბეტისჩრდილი, ბინდაურთა, გოგოლაურთა, თხილიანა, მათურა, მუქო, უძილაურთა, ცაბაურთა, ჭიჩო, ხოშარა), ქვეშეთი (არახვეთი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, გვიდაქე, გოგნაური, ზაქათკარი, ზემო მლეთა, იუხო, კაიშაურნი, ლაკათხევი, მანასეური, მულურე, ნადიბანი, ნაღვა-რევი, ჟოჟონი, სალაჯური, სეთურნი, სეფე, სვიანა-როსტიანი, სონჩო, უშარნი, ქვემო მლეთა, ქოროღო, ყველანი, შარმიანი, ჩოხელნი, ციხიანი, წკერე, ხარხეთი, ჯალმიანი), შატილი (ანდაქი, არდოტი, არჭილო, გიორგწმინდა, კისტანი, მუცო, ხახაბო, ხონისჭალა), ჭართალი (ბუჩაანი, დოლასქედი, ვაშლობი, ზენუბანი, მენესო, მუგუდა, საქერე, სონდა, ჩიტაურები, ჭალისოფელი, ჯულისი), ჭონქაძე (არაგვისპირი, არღუნი, ახალაანი, ახალი ტონჩა, ბოდორნა, დუდაურები, ველთაურთკარი, ვეძათხევი, თანიანთკარი, იორი, მგლიანი, მეზვრიანთკარი, მჭედლიანთკარი, ნანიანი, ოქრუაანი, ფრიდონაანთკარი, ქარაულები, ქერანა, ქვემო აში, ყვავილი, ჯავახიანთკარი), ჭოპორტი (ახატანი, ბულაჩაური, ზემო ღარის-წყალა, ქვემო ღარისწყალა, ქუბრიანთკარი, წითელსოფელი), ხევსურეთი (აკუშო, ამღა, ატაბე, აყნელი, აჭე, ახიელი, ბარისახო, ბაცალიგო, ბისო, ბლო, ბოქჩვილო, ბუჩუკურთა, გველეთი, გუდანი, დათვისი, ზეისტეჩო, კარწაულთა, კორშა, მაღრაანი, მოწმაო, ოხერხევი, როშკა, უბანი, უკანახო, უკანხადუ, ქმოსტი, ქობულო, ღელისვაკე, ღული, ჩირდილი, ჩხუბა, ძეძეურთა, ჭალისოფელი, ჭიე, ჭიმღა, ჭორმეშავი, წინხადუ, ხახმატი), ხეობა (ახალციხე, დოლოშა, ვარცლა, კენჭაკლდე, მიგრიაულები, საცხავატლო, ფიჭვიანი, წითელი კლდე.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი დუშეთი მდებარეობს დუშეთის ქვაბულში, მდინარე დუშეთისხევის ორივე ნაპირზე. ოფიციალურად ქალაქად გამოცხადდა 1801 წელს, 1756 წელს მან ფეოდალური ქალაქის სტატუსი მიიღო, 1802 წელს კი ახლადშექმნილი დუშეთის მაზრის ცენტრი გახდა. მოსახლეობა 4,6 ათასი (2002 წ.).

ყაზბეგი – მუნიციპალიტეტი მცხეთა-მთიანეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის ქვეშეთის უბნის შემადგენლობაში შედიოდა, 1917-30 წლებში — დუშეთის მაზრაში, 1930 წლიდან ცალკე რაიონია.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება დუშეთის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით ახალგორის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით ჯავა , ჩრდილოეთით კი რუსეთის ფედერაცია. ფართობი – 1081.7 კმ ;

მუნიციპალიტეტში 40 დასახლებული პუნქტია: 1 დაბა – სტეფანწმინდა და 39 სოფელი – გორისციხე, გუდაური, კობი, სიონი, სნო, აბანო, ალმასიანი, ართხმო, არშა, აჩხოტი, ახალციხე, ბურმა-სიგი, გაიბოტენი, განისი, გარბანი, გველეთი, დესი, ერეთო, ვარდისუბანი, ზემო ოქროყანა, თოთი, კარ-თაყაუ, კარკუჩა, კეტრისი, მნა, ნოგყაუ, რესი, საყურიანი, სუათისი, ტეფი, ტყარშეთი, უხათი, ფალაგ-ყაუ, ფანშეტი, ფხელშე, ქვემო ოქროყანა, ქოსელი, ქუმლისციხე, ყანობი, შევარდენი, ცდო, ცოცოლთა, ხურთისი, ჯიმარა, ჯუთა.

ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა სტეფანწმინდა (ყოფილი ყაზბეგი) მდებარეობს მდინარე თერგის ხეობაში, მყინვარწვერის ძირში ზღვის დონიდან 1750 მეტრზე. დაბის სტატუსი მიენიჭა 1966 წელს. მოსახლეობა 1 820 (2002). 2006 წელს დაბა ყაზბეგს დაუბ-

რუნდა მისი ყოფილი სახელი.

კახეთი — მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავს ისტორიულ–გეოგრაფიული პროვინციების კახეთის, ჰერეთის (ნაწილობრივ) და თუშეთის ტერიტორიებს, მდინარე ივრის შიდა და ქვემო დინებისა და მდინარე ალაზნის აუზს. კახეთის ცალკეულ მხარეებს ეწოდებოდა გარე კახეთი (მდინარე ივრის შუა წელი), ქიზიყი (მდინარე ივრის ქვემო წელი), შიგნი კახეთი (მდინარე ალაზნის მარჯვენა სანაპირო) და გაღმა მხარი (მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპირო).

მხარის ფართობი შეადგენს 11.310 კვ.კმ–ს, მოსახლეობა — 407 ათასს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ–ზე — 36 კაცს.

მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი თელავი.

საგარეჯო – მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში. 1917 წლამდე ახლანდელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა თბილისის გუბერნიის თბილისის მაზრაში, 1921 წლის საქართველოს სსრ ადმინისტრაციული-ტერიტორიული დაყოფით ისევ თბილისის მაზრაში იყო, 1929 – გარეკახეთის რაიონის სახელწოდებით შედის თბილისის ოლქში. 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია. ამჟამად მუნიციპალიტეტი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება გარდაბნისა და მცხეთის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთით სიღნაღისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით თელავის, თიანეთისა და ახმეტის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით კი ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკა. ფართობი – 1491 კმ;

მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტებია: ქალაქი საგარეჯო და სოფლები ბოგდანოვკა, გიორგიწმინდა (ანთოკი, მარიამჯვარი), გომბორი (ასკილაური, ვაშლიანი, ვერონა, რუსიანი), დუზაგრამა (პალდო, წიწმატიანი), თოხლიაური, თულარი (კაზლარი), იორმუღანლო (ქეშალო), კაკაბეთი(ვერხვიანი), კოჭბაანი (ბოტკო, გორანა, იკალიევგორანა, ოთარაანი, სასადილო, ხინჭები), კრასნო-გორსკი, ლამბალო, მანავი (ბურდიანი), ნინოწმინდა (წყაროსთავი), პატარძეული, უდაბნო, უჯარმა (პალდო) ყანდაურის (ქვემო ყანდაურა, ბადიაური, ზემო ყანდაურა), შიბლიანი, ჩაილური (დიდი ჩაილური, პატარა ჩაილური), ხაშმი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი საგარეჯო, მდებარეობს გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთის მთისწინეთში, მდინარე თვალთხევის (ივრის მარცხენა შენაკადი) ნაპირას, თბილისი-გურჯაანის საავტომობილო გზაზე. ზღვის დონიდან 700 მ, თბილისიდან 45კმ. ქალაქის სტატუსი მიიღო 1962 წელს. მოსახლეობა 12566.

გურჯაანი – მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917-მდე შედიოდა თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში, 1921 წლიდან შედიოდა სიღნაღის მაზრაში, 1930-დან კახეთის ოლქშია დამოუკიდებელ რაიონად, შემდეგ ცალკე რაიონია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-დასავლეთით თელავის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით ყვარლის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით კი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი. ფართობი – 849,2 კმ;

მუნიციპალიტეტში 29 დასახლებული პუნქტია: ქალაქი გურჯაანი და 28 სოფელი – არაშენდა (დარჩეთი, ზიარი, ფხოველი, ქოდალო), ახაშენი, ბაკურციხე, გურჯაანი, ვაზისუბანი, ვაჩნაძიანი (კახიფარი), ველისციხე, ვეჯინი, კალაური, კარდანახი, კაჭრეთი (მახარაძე), კოლაგი, მელაანი, მუკუზანი (ზეგაანი), ნანიანი, შაშიანი, ჩალაუბანი, ჩუმლაყი (ყიტაანი), ძირკოკი, ჭანდარი, ჭერემი, ჯიმითი;

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი გურჯაანი მდებარეობს ალაზნის ველზე, ბაკურციხე-თელავის საავტომობილო გზაზე. ზღვის დონიდან 415 მ სიმაღლეზე, თბილისიდან 122 კმ. ქალაქად გამოცხადდა 1934 წელს. მოსახლეობა 10013.

სიღნაღი – მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში – კახეთში. სიღნაღის მუნიციპალიტეტი 1917 წლამდე სიღნაღის მაზრის სახელწოდებას ატარებდა, 1928 წლიდან მუნიციპალიტეტი კახეთის მაზრაში შედიოდა, 1929 წლიდან კი კახეთის ოლქში. 1930 წლიდან ჩამოყალიბდა ცალკე რაიონად.

მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთ-დასავლეთით და დასავლეთით საზღვრავს გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით კი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი და აზერბაიჯანის რესპუბლიკა. ფართობი – 1251,7 კმ;

მუნიციპალიტეტში 25 დასახლებული პუნქტია – 2 ქალაქი: სიღნაღი, წნორი და 23 სოფელი: ანაგა, ასანური, ბოდბისხევი, ვაქირი, ზემო ბოდბე, ზემო მაღარო, კვენაკელი, მაშნაარი, ნუკრიანი, პრასიანი, საქობო, ტიბაანი, ულიანოვკა, ფანიანი, ქედელი, ქვემო ბოდბე, ქვემო მაღარო, ქვემო მაჩხაანი, ყარაღაჯი, ძველი ანაგა, ჭოტორი, ხირსა, ჯუგაანი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი სიღნაღი ქალაქად გამოცხადდა 1801 წელს. მოსახლეობა 2,1 ათასი (2002 წ.)

დედოფლისწყარო – მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში. 1917 წლამდე ახლანდელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა სიღნაღის მაზრაში, 1928 წლიდან კახეთის მაზრაშია, 1929 წლიდან კი კახეთის ოლქში. 1930-1937 წლებში სიღნაღის რაიონშია. 1938 წლიდან ჩამოყალიბდა ცალკე რაიონად. 1963-1964 წწ. ისევ სიღნაღის რაიონს შეუერთეს, 1965 წლიდან კვლავ გამოიყო ცალკე ერთეულად.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს დასავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება სიღნაღის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით და სამხრეთით კი აზერბაიჯანი. ფართობი – 2 532 კმ ;

მუნიციპალიტეტში 16 დასახლებული პუნქტია – ქალაქი დედოფლისწყარო და 15 სოფელი: მირზაანი, არბოშიკი, არხილოსკალო, გამარჯვება, ზემო მაჩხაანი, ზემო ქედი, მირზაანი, ნაცარიანი, ოზაანი, პატარა შირაქი, საბათლო, სამთაწყარო, ფიროსმანი, ქვემო ქედი, ჯაფარიძე.

სოფელი კასრისწყალი (ყოფ. ელდარი) ადმინისტრაციულად ექვემდებარება ახმეტის მუნიციპალიტეტს, თუმცა ტერიტორიულად მდებარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი დედოფლისწყარო ყოფილი წითელწყარო. მდება-

რეობს შირაქის ვაკეზე, ქალაქად გამოცხადდა 1963 წელს. მოსახლეობა 7378

ლაგოდეხი – მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში შიგა კახეთში. 1927 წლამდე ახლანდელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია სიღნაღის მაზრაში შედიოდა. 1930 წლიდან ყალიბდება ცალკე რაიონად.

აღმოსავლეთით ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკა, დასავლეთით ყვარლის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთით სიღნაღისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები. ფართობი – 890, 2 კმ;

მუნიციპალიტეტში 64 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ლაგოდეხი და 63 სოფელი – არეშფერანი (ზემო ბოლქვი, ქვეხიანი, ქვემო ბოლქვი, ხოშატიანი), აფენი (ბაღდადი, გვიმრიანი, ზემო ნაშოვარი, ონანაური, ფოდანი, ქვემო ნაშოვარი, ჭაბუკიანი), ბაისუბანი (ზემო მსხალგორი, პატარა გორი, ქვემო მსხალგორი), გიორგეთი (გუჯარეთი, ვერხვის მინდორი, ლაფნიანი, ფიჩხისბოგირი), ვარდისუბანი (მშვიდობიანი, საქობო, სვიდება), კაბალი (განჯალა, უზუნთალა, ყარაჯალა), კართუბანი (ბოლოკიანი, ნაენდროვალი, ნაწისქვილარი), ლეღიანი (ბალთა, ბებურიანი, მირსკისეული, ქალქვა-ნამესარალი), მაწიმი (რაჭისუბანი), ნინიგორი (განათლება, გელათი, გურგენიანი, ზემო ხიზა, ხიზაბაერა), ულიანოვკა (ერეთისკარი, თამარიანი, წითელგორი), ფონა (დონა, ზემო ხეჩილი, ქვემო ხეჩილი), შრომა (კაუშირი), ცოდნისკარი (თელა, სვობოდნოე, შეერთება, ჩადუნიანი, წიფლისწყარო).

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ლაგოდეხი მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, კახეთის კავკასიონის სამხრეთ კალთის ძირში, მდინარე ლაგოდეხისწყლის (მაწიმისწყლის მარჯვენა შენაკადი) ნაპირებზე, ზღვის დონიდან 435 მ, თბილისიდან 165 კმ-ზე..ქალაქად გამოცხადდა 1962 წელს. მოსახ-ლეობა 7189.

ყვარელი – მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. 1917 წლამდე ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში შედიოდა, 1921 წლის ადმინისტრაციული დაყოფით ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ისევ თელავის მაზრას მიაკუთვნეს. 1930 წლიდან კი ყალიბდება ცალკე რაიონად.

ყვარლის მუნიციპალიტეტს სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრება მდინარე ალაზანი, ჩრდილოეთიდან – დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა (რუსეთის ფედერაცია), აღმოსავლეთით – ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, ხოლო დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთ თელავის მუნიციპალიტეტი. ფართობი – 1000,8 კმ;

მუნიციპალიტეტში 23 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ყვარელი და 22 სოფელი – ახალსოფლის (ბალღოჯიანი, თივი, თხილისწყარო, სარუსო, საცხენე), გავაზი, გრემის (გრძელი ჭალა, შაქრიანი), ენისელი, კუჭატანის (სანავარდო, წიწკანათსერი), მთისძირი, საბუეს (ალმატი), შილდა, ჭიკაანის (ზინობიანი, ჩანტლისყურე).

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ყვარელი მდებარეობს მდინარეების ბურსას და დურუჯის შუაში, ზღვის დონიდან 450 მეტრზე. თბილისიდან დაცილებულია 134 კმ. ქალაქის სტატუსი მიიღო 1964 წელს. მოსახლეობა – 10356;

თელავი – მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში, შიგა კახეთში. მუნიციპალი-

ტეტის ტერიტორია 1917-მდე შედიოდა თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში, 1921 წლიდან თელავის მაზრაში. 1930 წლიდან კი ყალიბდება ცალკე რაიონად. ამჟამად მუნიციპალიტეტი.

თელავის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ყვარლის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-დასავლეთით ახმეტის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-დასავლეთით საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, ხოლო ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით საზღვრავს რუსეთის ფედერაციის დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა. ფართობი – 1094.5 კმ;

მუნიციპალიტეტში 31 დასახლებული პუნქტია – ქალაქი თელავი და 30 სოფელი – ლაფანყური, ნაფარეული, სანიორე, ფშაველი, ართანა, ლეჩური, ლალისყური, თეთრი წყლები, პანტიანი, იყალთო, ვარდისუბანი, რუისპირი, ყარაჯალა, გულგულა, კურდღელაური, შალაური, ნასამხრალი, კისისხევი, კონდოლი, წინანდალი, ქვემო ხოდაშენი, ბუშეტი, ვანთა, აკურა.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი თელავი მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი კალთის ძირას და ალაზნის ვაკეზე. ზღვის დონიდან 550-800 მ, თბილისიდან 158 კმ. ქალაქად გამოცხადდა 1801 წელს. მოსახლეობა 21,8 ათასი (2002 წ.).

ახმეტა — მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში, შიგა კახეთში. 1930-მდე ახლანდე-ლი ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა თიანეთის მაზრაში, 1930 წლიდან თელავის მაზრაში, 1951 წლიდან გამოიყო ცალკე რაიონად, 1963-1964 ისევ შეუერთეს თელავის რაიონს. 1964 წლის აგვისტოდან კვლავ გამოიყო ახლანდელ საზღვრებში.

მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით საზღვრავს ჩეჩნეთი, აღმოსავლეთით ესაზღვრება თელავის მუნიციპალიტეტი და დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთით კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტი. ფართობი – 2207.6 კმ ;

მუნიციპალიტეტში 76 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი – ახმეტა, 75 სოფელი- დუისი (წინუბანი), ზემო ალვანი (ხორბალო), ზემო ხალაწანი (დუმასტური, ქვემოხალაწანი, შუახალაწანი), ზემო ხოდაშენი (აწყური, ახალდაბა, ჩარექაული), მაღრაანი (არგოხი, ფიჩხოვანი), ომალო(დანო, დართლო, დიკლო, დოჭუ, ქუმელაურთა, შენაქო, შტროლთა, ხახაბო, ხისო), ოქო (ალავერდი, კოლოთო, ჩაბინაანი, ხორხელი), საკობიანო (ბაყილოვანი, დედისფერულა, კუწახტა, ქორეთი, ყვარელწყალი, ხევისჭალა) ქვემო ალვანი (ბაბანეური), ჭისტაური (არაშენდა, ახალშენი, ახშანი, ახშნისველები, ინგეთი, კოჯორი, ოსიაური, საჩალე), შახვეტილა (ბულაანი, ვეძები, ნადუქნარი, საბუე, ჩაჩხრიალა, ჭართალა), ჯოყოლო (ბირკიანი, ომალო), მატანი, კასრისწყალი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ახმეტა მდებარეობს მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარეზე, ზღვის დონიდან 567 მ სიმაღლეზე. გაშენებულია პანკისის ხეობის შესასვლელთან. 1959 წელს სოფელი ახმეტა გარდაიქმნა დაბად, ქალაქად გამოცხადდა 1966 წელს. მოსახლეობა 8571 ათასი (2002 წ.). მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 174 კმ.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი — მხარე, რომელიც მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, მოიცავს ისტორიულ–გეოგრაფიული პროვინციების რაჭის, ლეჩხუმისა და სვანეთის (ნაწილობრივ) ტერიტორიებს. რეგიონის ფართობი – 4.954 კმ; მოსახლეობის რაოდენობა – 50.969 (2002). მოსახლეობის სიმჭიდროვე-10 კაცი კვ.კმ–ზე ადმინისტრაციული ცენტრი- ამბროლაური.

ონი – მუნიციპალიტეტი რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში. 1917 წლამდე ახლანდელი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრაში, 1917 წლიდან 1928 წლამდე – რაჭის მაზრაში, 1929 წლიდან – რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში, 1930 წლის მარტის ადმინისტრაციული-ტერიტორიული დაყოფით – ქუთაისის ოლქში, 1930 წლის ოქტომბრიდან იყო დამოუკიდებელი რაიონი. 1963-1964 წლებში შედიოდა ამბროლაურის რაიონში. 1965 წლიდან გამოიყო დღევანდელი საზღვრებით და იყო დამოუკიდებელი რაიონი.

ონის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ეკვრის ჯავის, დასავლეთით ამბროლაურისა და ლენტეხის, სამხრეთით საჩხერის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაციის ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკები. ფართობი – 1712 კმ;

მუნიციპალიტეტში 73 დასახლებული პუნქტია – ქალაქი – ონი; დაბა – კვაისა; 71 სოფლები – ქვემო ბარი, სამთისი, შარდომეთი, შუა ბარი, ზემო ბარი, სორი, ფარახეთი, ჭიბრევი, ზვარეთი, მრავალძალი, სევა, ჯოისუბანი, ედალი, კვაშხიეთი, ხეითი, ბოყვა, ხარისთვალი, ქრისტესი, კომანდელი, სომიწო, სხიერი, ხრისხონისი, ქორთა, ჟაშქვა, ღუნდა, ცხმორი, ფსორი, ჩორდი, ლესორა, ბაჯიხევი, უშულთა, შქმერი, სორგითი, პიპილეთი, ჩვებარი, გადამში, ხურუთი, ნიგვზნარა, ლაჩთა, შეუბანი, ლაგვანთა, ფარავნეში, საკაო, მაჟეთი, ხიდეშლები, ნიგავზები, უწერა, ბოლთა, წოლა, ონჭევი, ქვედი, დარი, კვაჟა, ნაკიეთი, გომი, ჯინჭვისი, ქვედრულა, სხანარი, წედისი, ირი, ჩასავალი, შეუბანი, ხოპიტო, თევრეშო, ღები, პატარა ღები, გონა, ჭიორა, გლოლა, შოვი, ჭალა.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ონი მდებარეობს მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე., ღრმა ხეობაში. ზღვის დონიდან 830 მ, მოსახლეობა – 3,3 ათასი ადამიანი (2002).

ამბროლაური – მუნიციპალიტეტი რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში. მუნიციპალი-ტეტის ტერიტორია 1917 წ-მდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრაში, 1921 წ-დან — რაჭის მაზრაში, 1928 წ-დან — რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში, 1930 წ-დან დამოუკიდებელი რაიონია. 1951-53 წლებში შედიოდა ქუთაისის ოლქში. ფართობი – 1142 კმ ;

მუნიციპალიტეტში 72 დასახლებული პუნქტია - ქალაქი – ამბროლაური; დაბა – ხარის-თვალა; 70 სოფელი – აბანოეთი, აბარი, აგარა, ახალსოფელი, ბარეული, ბაჯი, ბეთლევი, ბუგეული, ბოსტანა, გენდუში, გოგოლეთი, გორი, გორისუბანი, დიდი ჩორჯო, ველევი, ზედა თლუღი, ზედა ღვარდია, ზედა შავრა, ზედა ჭყვიში, ზემო კრიხი, ზემო სხვავა, ზემო ჟოშხა, ზნაკვა, თხმორი, იწა, კაჩაეთი, კვაცხუთი, კვირიკეწმინდა, კლდისუბანი, ლიხეთი, მეორე ტოლა, მოტყიარი, მუხლი, ნამანევი, ნიკორწმინდა, პატარა ონი, პატარა ჩორჯო, პირველი ტოლა, სადმელი, საკეცია, სხარტალი, ტბეთი, ურავი, უჯეში, ფუტიეთი, ქედისუ-

ბანი, ქვედა თლული, ქვემო კრიხი, ქვედა ღვარდია, ქვედა შავრა, ქვედა ჭყვიში, ქვემო ჟოშხა, ქვიშარი, ღადიში, ღვიარა, ჯვარისა, შუა კრიხი, შუა სხვავა, შხივანა, ცახი, ძირაგეული, წესი, წკადისი, ჭელიაღელე, ჭრებალო, ხვანჭკარა, ხიმში, ხონჭიორი, ხოტევი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ამბროლაური მდებარეობს ზღვის დონიდან 550 მ სი-მაღლეზე, გაშენებულია რიონის და კრიხულის შესართავთან.. ქალაქი – 1966 წლიდან; მოსახლეობა – 2,338 ადამიანი. მანძილი ქალაქ თბილისსა და ქ. ამბროლაურს შორის 280კმ.

ცაგერი – მუნიციპალიტეტი რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში. მდებარეობს ლეჩხუმში, ჩრდილოეთით ესაზღვრება ლენტეხის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით – მარტვილს; სამხრეთით – ხონისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტები, ხოლო აღმოსავლეთით – ამბროლაურის მუნიციპალიტეტი. ფართობი – 756 კმ;

მუნიციპალიტეტში 60 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ცაგერი, დაბა ლაყანურჰესი და სოფლები – ალპანა, აჭარა, ბარდნალა, გაგულეჩი, გვესო, დებვირი, ზარაგულა, ზედა აღვი, ზედა ლუხვანო, ზედა საირმე, ზედა ღვირიში, ზოგიში, ზუბი, თაბორი, ისუნდერი, კენაში, კურცობი, ლაილაში, ლარჩვალი, ლასურიაში, ლასხანა, ლაცორია, ლახეფა, ლაჯკანა, ლესინდი, ლეშკედა, მახაში, მახურა, ნაკურალეში, ნასპერი, ორბელი, ორხვი, ოფიტარია, ოყურეში, სანორჩი, სპათაგორი, სურმუში, ტვიში, უსახელო, უცხერი, ქვედა აღვი, ქვედა ლუხვანო, ქვედა საირმე, ქვედა ღვირიში, ქვედა ცაგერი, ქორენიში, ქულბაქი, ღუ, შუა აღვი, ჩქუმი, ჩხუტელი, ცაგერა, ცხუკუშერი, წილამიერი, წიფერჩი, ჭალისთავი, ხოჯი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ცაგერი მდებარეობს მდინარე ცხენისწყლის ნაპირას, ზღვის დონიდან 475 მ სიმაღლეზე. ქალაქად გამოცხადდა 1968 წელს. ფართობი - 16,85 კმ. მოსახლეობა – 1900 ადამიანი (2002).

ლენტეხი – მუნიციპალიტეტი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წ-მდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრაში, 1921 წლიდან – ლეჩხუმის მაზრაში, 1930 წ-დან დამოუკიდებელი რაიონია. 1953 წლამდე ქვემო სვანეთის რაიონი ეწოდებოდა. ფართობი – 1344 კმ ;

მუნიციპალიტეტში 61 დასახლებული პუნქტია – დაბა ლენტეხი და 60 სოფელი – ბაბილი, გულიდა, კახურა, ლასკადურა, ლექსურა, მაცხვარლამეზური, მელურა, ყარიში ჟახუნდერი (ლამფალაში, ლეკოსანდი, ლემზაგორი, ლუჯი, მებეცი, სასაში, ჩუკული, ხერია), რცხმელური (გვიმბრალა, ლაღარვაში, ნაღომარი, ყველრეში), ჩიხარეში (ახალშენი, ბენიერი, ლაშხარაში, მარგვიში, მახაში, მელე, ნაცული, ღობი, შკედი), ჩოლური (თეკალი, ბულეში, დურაში, ლეუშერი, მამი, მუწდი, საყდარი, ტვიბი, ფანაგა, შტვილი, ჭველიერი, ჭველფი, ცანა, ზესხო, ყორულდაში), ხელედი (ბავარი, ლესემა, მნანაური, ფაყი, ცხუმალდი, წანაში, ხაჩეში), ხოფური (მაზაში, ნანარი, წიფლაკაკია).

ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა ლენტეხი მდებარეობს სვანეთის ქედის სამხრეთ კალთებზე, ცხენისწყლის შენაკადის მდინარე ლასკანურაზე (ზღვის დონიდან 760 მ), დაბა – 1969 წლიდან. მოსახლეობა – 1.700 ადამიანი (2002).

ᲖᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ – მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავს ისტორიულ-გეოგრა-

ფიული პროვინცია შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილს. შიდა ქართლი ისტორიულად მოიცავდა ტერიტორიას, რომელიც შემოფარგლული იყო: აღმოსავლეთით – არაგვით, ჩრდილოეთით – კავკასიონით, დასავლეთით-ლიხის ქედით, სამხრეთით-თრიალეთის ქედით. რეგიონის ტერიტორიის ფართობი-4807 კვ.კმ. მოსახლეობა-314 ათასი; ადმინისტრაციული ცენტრი – ქ. გორი.

კასპი – მუნიციპალიტეტი შიდა ქართლის მხარეში. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მტკვრის ორივე მხარეს მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა, 1917-30 წლებში – გორის მაზრაში, 1930 წლიდან ცალკე რაიონია. ფართობი – 803.2 კმ;

მუნიციპალიტეტში 72 დასახლებული პუნქტია – ქალაქი კასპი; 71 თემი/სოფელი – აღაიანი (საქადაგიანო, ხიდისყური), ახალქალაქი (ახალსოფელი, გარიყულა, გოსტიბე, ერთაწმინდა, ზემო ჩოჩეთი, თეძმისხევი, კაპრაშიანი, ჩაჩუბეთი), ახალციხი (მთიულთუბანი, ნოსტე, ცხავერი), გომი (ნიაბი), დოესი (გრაკალი), ზემო ხანდაკი, (ზენადრისი, ფაშიანი, ჭყოპიანი), თელიანი (სასირეთი), კავთისხევი (გუდალეთი, ეზატი, თვალადი, მირიანი, ქებაანი, ქვემო ჩოჩეთი, ქვემო ხანდაკი, ციხისუბანი, წიფორი), კოდისწყარო (ზადიანთკარი, ზემო რენე, ნიგოზა, სარიბარი, ქვემო რენე, ყარაფილა, ჩობალაური), ლამისყანა (თვაურები, ხვითი), მეტეხი (ბარნაბიანთკარი), ოკამი (თეზი, იგოეთი, მრგვალი ჭალა, ფერმა, ჩანგილარი), სამთავისი (ბოჟამი, თოგოიანთკარი), ქვემო ჭალი (ახალშენი, გამდლისწყარო, გორაკა, ვაკე, პანტიანი, საკორინთლო), წინარეხი (გომისუკვარი, თელათგორი, იდლეთი, ლავრისხევი), ხოვლე.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი კასპი მდებარეობს მდინარე ლეხურის ნაპირებზე. ზღვის დონიდან 560 მ, თბილისიდან 48 კმ.. ქალაქი – 1959 წლიდან; მოსახლეობა – 19,9 ადამიანი (2005);

გორი – მუნიციპალიტეტი შიდა ქართლის მხარეში. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა, 1917–30 წლებში – გორის მაზრაში, 1930 წლიდან ცალკე რაიონია. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შემდეგ გორის რაიონს მიეკუთვნა ყოფილი ცხინვალის რაიონის ტერიტორია. ფართობი – 2327.2 კმ;

მუნიციპალიტეტში 268 დასახლებული პუნქტია – ქალაქი გორი; 267 თემი/სოფელი – ატენი (ბნავისი, გარდატენი, დეგეულა, დიდი ატენი, დრე, ზემო ქსოვრისი, იკვნევი, ოლოზი, პატარა ატენი, ღვარები, ღვედრეთი, წედისი, ჭეჭელაანთუბანი, ხანდისი, ჯებირი), ახალუბანი (აძვი, ახრისი, მუმლაანთკარი, ქვემო არცევი, ქვეში, ციცაგიანთკარი, ჯარიაშენი), ბერბუკი (ზემო რეხა, თორტიზა, სვენეთი, ქვემო რეხა, ხელთუბანი), ბოშური (ბიისი, ბობნევი, გაგლუანთუბანი, გაიჩაანთუბანი, ზემო ბოშური, თხინალა, იფნარა, ლევიტანა, ორმოცი, ტუსრები, ფეტვისხევი, ქვემო ბოშური, ყველაანთუბანი), დიცი (არბო, ქორდი), ვარიანი (არაშენდა, ახალდაბა, საქაშეთი), ზედდულეთი (ახალშენი, ბერშუეთი, ზემო სობისი, კირბალი, ქვემო ახალსოფელი, ქვემო სობისი), კარალეთი (დიდი გარეკვარი, პატარა გარეკვარი), მერეთი (გუგუტიანთკარი, ზარდიანთკარი, კარბი, კოშკა, ქერე), მეკვრისხევი (დიდი მეკვრისხევი, ზერტი, კვარხითი, მეკუდისპირი, პატარა მეკვრისხევი), მღებრიანი (ბორცვა-

ნა. დიდი წერეთი, დიდი ჭვარები, ოქიანი, პატარა წერეთი, პატარა ჭვარები, პიტნარა, საბორცე. ტამი, ჭანჭახა), ნიქოზი (ზემო ნიქოზი, ზემო ხვითი, ქვემო ნიქოზი), საყავრე (გულხანდისი, დიდთავი, ზემო ახალსოფელი, ლული, ნადარბაზი, ფელი, ფიცესი, წითელწყარო), სკრა (ახალხიზა, დიდი გორიჯვარი, კოშკები, პატარა გორიჯვარი, ქვემო რიეთი), ტინისხიდი (თედოწმინდა, ოთარშენი), ტირძნისი (ბროწლეთი, ერგნეთი, თერგვისი, მელვრეკისი), ტყვიავი (მარანა, ფლავი, ფლავისმანი), ქვახვრელი (ავკვეთი, ველები, უფლისციხე), შავშვები (ახალი ხურვალეთი, დიდი ხურვალეთი, ნადარბაზევი, ნაწრეტი, პატარა ხურვალეთი, ქვემო შავშვები, შავშვები, წითელუბანი), შინდისი (ფხვენისი, ქვემო ხვითი, ყელქცეული), ძევერა (სათემო, ქიწნისი, შერთული), ხიდისთავი, ბელოთი (ალბირი, აწრისხევი, ბისოითა, გოზო, ელტურა, ზემო ზონკარი, ინაური, ლაცაური, მალძიგათა, ქვემო ზონკარი, ჭნოლო, შამბიეთი, შულაური, ხადურიანთკარი, ხოშური), ბერწულა (არგვიცი, ერედვი, ზემო ფრისი, მამისაანთუბანი, ფრისი), ვანათი (გუჩმასთა, დიდხევი, ზემო სარაბუკი, თლიაყანა, კოხათი, მარმაზეთი, ორტევი, საცხენეთი, ქვემო სარაბუკი, ღორტევი, ძიყი, წყალწმინდა, ჯოჯკიანი), ქსუისი (ბერიჯვარი, დისევი, დმენისი, ზემო კორკულა, ზემო სნეკვი, ზემო ქერე, კულბითი, ნანიაური, სათიხარი, ქვემო კორკულა, ჭარები, ხელჩუა, ხუგასთა), ქემერტი (ანდისი, ზალდა, მამითა, საბაწმინდა, სვერი, ქირწინა, ძარწემი, ჭალისუბანი, ხეითი), ქურთა (ბრილი, გარდანთა, გუჯაბაური, დამპალეთი,ზემო აჩაბეთი, ზემო დოდოთი, ზემო მონასტერი, თამარაშენი, კეხვი, კერნეთი, მებრუნე, რუსთავი, ქვემო აჩაბეთი, ქვემო დოდოთი, ქვემო მონასტერი, ჩელეხსათა,ძარი, ჯაბიტა), არცევი (აძვისთავი, გოიათა, ვალითა, ზემო ოტრევი, იკორთა, ნოგყაუ, პანტნაური, ქარჩითი, ქვემო ოტრევი, ჩხარაული), ბიყარი (არდისი, არკინარეთი, ახალისა, ბენდერი, დვალიანთკარი, ზემო ბიყარი, ზემო ვილდა, ისროლისხევი, ქვემო ბიყარი, ქვემო ვილდა, ქვემო მახისი, შუა მახისი, წიფორი, ჭალისუბანი), გერი (გუდისი, კლარსი, მარალეთი, მიფარეთი, საბოლოკე, ღვრია, შელეური,წიარა), ღრომი (ანდორეთი, ახსარგინა, ბიეთი, დიდი ღრომი, ზემო გორეთი, ზემო ქლივანა, თელაგინა, ივრეთი, ნიში, პატარა ღრომი, საკვირეთი, ქვემო გორეთი, ქვემო ქლივანა, ჯვარეთი), ხეთაგუროვი (ბაგატა, გალუანთა, თიბილაანი, კროზა, კუსირეთი, ტბეთი, ქვასათალი, ღრუბელა, ხოდი)

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი გორი მდებარეობს მტკვრისა და დიდი ლიახვის შესართავთან, ზღვის დონიდან 588 მ სიმაღლეზე, თბილისიდან 68 კმ . ქალაქი – 1801 წლიდან. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი 1950 – 1991 წლებში. ფართობი – 16,85 კმ. მოსახლეობა – 46.680 ადამიანი (2005).

ქარელი – მუნიციპალიტეტი შიდა ქართლის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში შედიოდა, 1917 – 29 წლებში – დუშეთის მაზრაში, 1929 – 30 წლებში – ტფილისის ოლქში, ხოლო 1930 – 39 წლებში – გორისა და ხაშურის რაიონებში. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შემდეგ ქარელის რაიონს მიეკუთვნა ყოფილი ყორნისის (ზნაურის) რაიონის ტერიტორია. ფართობი – 1092.1 კმ ;

მუნიციპალიტეტში 163 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ქარელი; 162 თემი/სოფელი – აბისი (აბისისთავი, ბერძენაული), აგარა, ავლევი (კნოლევი, ცერონისი), აენევი (არკნეთი, დიდმუხა, ზემო დვანი, მიმინოსხევი, მუგუთი, ნული, სამწყარო, უბიათი, ფრინევი, ქვემო

სამწყარო, ქვემო ღვერთევი, ღვერთეთი, შუა სამწყარო, ჭორბაული), ახალსოფელი (კუდატყე, ოქროსოფელი, სუქითი, ჯაგარაანთკარი), ბალთი (ბზისხევი, გვირგვინა, ლაშებალთა, ლოპანი, მეტეხი, სერიბალთა, ფათქინეთი, ქალეთი, წნელისი) ბებნისი (აფნისი, გომბორი, ზემო ლეთეთი, ქვემო ლეთეთი), ბრეთი (არადეთი, დოღლაური, სასირეთი, საღოლაშენი, ძლევისჯვარი, წვერი), ბრეჭი (აბანო, ატოცი გულიკაანთუბანი, კოდა, საცისური, ჭვრინისი), დვანის(ტახტისძირი), დირბი, ზემო ხვედურეთი(თრეხვი, მეხეთი, ტყემალა, ქვენაფლავი, ქვემო ხვედურეთი, ღვლევი, ჭანდრები, ხეობა), ზღუდარი (აბუხალო, არცევი, ბანი, ბატიური, გვერძინეთი, ელბაქიანი, ველისციხე, იმერხევი, კლდისთავი, კოდმანი, ლოშკინეთი, მუხილეთი, ორბოძალა, ორთუბანი, სუქანაანთუბანი, ტყემლოვანა, ქვათეთრი, ყინწვისი, ძაძვის მონასტერი, წითელსოფელი წიფლოვანა), თერეგვანი (ახალშენი, გადიგინა, ვახტანა, ზემო ძაღინა, თანდიწყარო, თებოთა, თერეგვანი, ლისა, მუხაური, ნაგუთნი, ოჯორა, ფიჭვიგვინა, ქვემო ძაღინა, ღარისთავი, ჩრდილეთი), თიღვი (ალიბარი, ახალსოფელი, ზემო ოქონა, ისაკყაუ, ნაბაკევი, ნედლათი, სუნისი, ქვემო ოქონა, შინდარა, ხუნდისუბანი) კეხივკვარი (ვედრება, თათანაანთუბანი, კლდუ, კრობანი, სამწევრისი, სანებელი, ქობესაანთუბანი) მოხისი (ზემო შაქშაქეთი, კოდავარდისუბანი) რუისი, ურბნისი, ფცია (თამარაშენი, ქვემო შაქშაქეთი, ღოღეთი) ყორნისი (ბეყმარი, განითყაუ, გვინჯინა, დიდი ციხითა, ზემო ამბრეთი, ზემო ყორნისი, ზემო წორბისი, თორმანეული, მალდა, პატარა ციხითა, საკვარე, ქვემო ამბრეთი, ჩაჩინაგი, ძაგოითყაუ, წორბისი, ხოდაბული), ძველეთი (ბაღიანი, გვირგვინა, გობოზაანი, ველეები, ზემო ქვათეთრი, იონჩა, ლაშე, სხლითი, ყორული,შუაქვათეთრი,წნელისი,ხაბელაანი).

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ქარელი მდებარეობს მდინარე მტკვარზე. ქალაქი -1981 წლიდან; მოსახლეობა – 7,2 ადამიანი (2002);

ხაშური – მუნიციპალიტეტი შიდა ქართლის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა, 1917–30 წლებში – გორის მაზრაში, 1930 წლიდან ცალკე რაიონია. ფართობი – 585.2 კმ ;

მუნიციპალიტეტში 77 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ხაშური; 75 სოფელი – სურამი (ბიჯნისი, დიდი ბეკამი, ზეკოტა, პატარა ბეკამი, ურთხვა); ალი (ახალუბანი, ბრილი, დუმაცხოვი, ზემო აძვისი, კლდისწყარო, ნაბახტევი, უწლევი, ქინძათი, მცხეთისჯვარი), გომი (აგარები, დიდი სატივე, ვაყა, პატარა სატივე, ქვემო აძვისი, ხიდისყური), ოსიაურის (ახალსოფელი, ზემო ოსიაური, ქვემო ოსიაური), ფლევის (დიდი ფლევი, ნაცარგორა, პატარა ფლევი, ტკოცა), ქვიშხეთი (ბელლეთი, ბულბულისციხე, მონასტერი, რუსაანთუბანი, სავანისუბანი, სათივე, სარმანიშვილისკარი, ტაშისკარი, ტეზერი, ყიფიანთუბანი), ცოცხნარა (ოძისი, ქემფერი, ცედანი, ციცწყარო, წაბლოვანა), ცხრამუხა (დამჩხრეულა, თაგვეთი, რბონა), წაღვლი (ზემო ბროლოსანი, კლდისწყარო, ტიტვინისწყარო, ქვემო ბროლოსანი, ჩორჩანა, წელვერი), წრომი (ახალშენი, დიდი ყელეთი, დიდი ხავლეთი, იმერლიანთკარი, ნადარბაზევი, პატარა ყელეთი), ხალების (ალექსანდრესწყარო, დიდი ხალები, პატარა ხალები, სარტყელა, ღართა, ღერიაწყალი), ხცისი (დიდი თხინალა, კრისხევი, მიწობი, პატარა თხინალა).

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ხაშური მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდინარე სურამულას ნაპირზე, ზღვის დონიდან 700 მ. სიმაღლეზე. 1872-1917 წლებში მას

მიხაილოვო ერქვა, 1918-1931 — ხაშური, 1931-1934 წლებში — სტალინისი. ქალაქი – 1921 წლიდან; მოსახლეობა – 28 560 ადამიანი (2002).

სამეგრელო – ზემო სვანეთი — მხარე დასავლეთ საქართველოში, მოიცავს ისტორიულ–გეოგრაფიული პროვინციების სამეგრელოს და სვანეთის (ნაწილობრივ) ტერიტორიებს. მხარის ფართობი შეადგენს 7441 კვ.კმ-ს, მოსახლეობა — 466 ათასს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე — 63 კაცს. დასავლეთიდან სამეგრელო-ზემო სვანეთს აფხაზეთი და შავი ზღვა, ჩრდილოეთიდან მთავარი წყალგამყოფი ქედი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონი (საზღვარი სვანეთის, ეგრისის ქედზე და ასხის მასივზეა), სამხრეთ-აღმოსავლეთით იმერეთის და სამხრეთით გურიის რეგიონი ესაზღვრება.

მესტიის – მუნიციპალიტეტი სამეგრელოს და ზემო სვანეთის მხარეში. მდებარეობს მდ. ენგურის აუზის ზემო წელში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917-მდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში სვანეთის საბოქაულოს სახელით, 1921-დან — ზემო სვანეთის მაზრა, 1930-დან — მესტიის რაიონი.

მესტიის მუნიციპალიტეტს ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება კავკასიონის მთავარი ქედი, დასავლეთით სვანეთ-აფხაზეთის ქედი, სამხრეთით სვანეთის ქედის თხემი. ფართობი – 3 045 კმ;

მუნიციპალიტეტში 135 დასახლებული პუნქტია – დაბა მესტია და 134 სოფელი: აგრაი, ადიში, არცხელი, ბაგვდანარი, ბარში, ბარჯაში, ბოგრეში, გვალდერი, დავბერი, დევრა, დიზი, დოლასვიფი, დოლი, ვიჩნაში, ზაგარი, ზარდლაში, ზეგანი, ზედა ვედი, ზედა ლუჰა, ზედა წვირმინდი, ზემო მარღი, თავრალი, თოთანი, იდლიანი, იელი, იენაში, ისკარი, იფრარი, იფხი, კაერი, კალაში, კაცხი, კვანჭიანარი, კიჩხულდაში, ლაბსყალდი, ლადრერი, ლალხორალი, ლალხორი, ლამხერი, ლანტელი, ლანხვრი, ლარილარი, ლასკრალი, ლაყვრი, ლაშთხვერი, ლაშხრერი, ლახამი, ლახამულა, ლახანი, ლახირი, ლახუშდი, ლაჰილი, ლებურცხილა, ლეზგარა, ლელბაგი, ლემსია, ლეშუკვი, ლეწფერი, ლუხი, მაგარდელი, მაზერი, მაცხვარიში, მაჯვდიერი, მურყმელი, მურშკელი, მუხაშურა, ნაკიფარი, ნაკრა, ნალქორვალი, ნანყვამ-ზაგრალი, ნაშთჩოლი, ნესგუნი, ნოდაში, ჟაბეში, ჟამუში, ჟიბიანი, სგურიში, სვიფი, სვიჟი, სიდიანარი, სკორძეთი, სოლი, ტვებიში, ტვიბერი, ტიტა, ტობარი, უსგვირი, უღვალი, უშხვანარი, ფალედი, ფარი, ფხუტრერი, ქართვანი, ქაშვეთი, ქედანი, ქვედა ვედი, ქვედა იფარი, ქვედა ლუჰა, ქვედა წვირმინდი, ქვემო მარღი, ჭურაში, ღეშდერი, ღვებალდი, ღვებრა, ყაზაყი, ყარი, ყვანა, შდიხირი, შყალერი, ჩაჟაში, ჩვაბიანი, ჩვიბიანი, ჩუბარი, ცალამარი, ცალდაში, ცალერი, ციცხვარი, წვირმი, ჭელირი, ჭერი, ჭკიდანარი, ჭოლაში, ჭოხულდი, ხაიში, ხალდე, ხე, ხელრა, ხერხვაში, ხოსრარი, ჯორკვალი, ჰამაში–თოთოლეში, ჰებუდი, ჰეშკილი.

ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა მესტია მდებარეობს მესტიის ქვაბულში, მდინარეე-

ბის მესტიაჭალასა და მულხრის ნაპირებზე ზღვის დონიდან 1500 მ, თბილისიდან 456 კმ. დაბის სტატუსი მიენიჭა 1968 წელს. მოსახლეობა 2.6 ათასი (2002).

აბაშა – მუნიციპალიტეტი სამეგრელოს და ზემო სვანეთის მხარეში. მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრაში შედიოდა, 1917-1930 წლებში — სენაკის მაზრაში, 1930 წლიდან ცალკე მუნიციპალიტეტია, 1963-1966 წლებში შედიოდა ყოფილ გეგეჭკორის (ამჟამად მარტვილის) მუნიციპალიტეტში.

აბაშის მუნიციპალიტეტს ჩრდ.-ით ესაზღვრება – მარტვილის, აღმოსავლეთით სამტრედიის, სამ-ხრეთით სამტრედიისა და ლანჩხუთის, დასავლეთით სენაკის მუნიციპალიტეტი. ფართობი – 320,8 კმ;

მუნიციპალიტეტში 41 დასახლებული პუნქტია: ქალაქი აბაშა და სოფლები გეზათი (გუ-ლუხეთი), ზანათი (გამოღმაზანათი, გაღმაზანათი),კეთილარი (გაღმა კოდორი, გულეიკარი), მარანი (გუგუნაყათი, მარანჭალა), ნაესაკაო (გამოღმა კოდორი), ნორიო (აბაშისპირი, განათლებისკარი, საბოკუჩავო, საგვაზავო), ონტოფო (პირველი ონტოფო, ეწერი, მეორე ონტოფო), პირველი მაისი (გაუწყინარი, თხმელარი, ქვიშანჭალა), სამიქაო (მაიდანი), სეფიეთი, სუკუნა (მეორე ეწერი, პირველი ეწერი, წალიკარი), ტყვირი (ცილორი), ქოლობანი (ბულვანი, გუგუნაყათი, პატარა გეზათი), ძველი აბაშა, წყემი (ძიგური)

ადმინისტრაციული ცენტრი – ქ. აბაშა. მდებარეობს მდინარეებს აბაშასა და ნოღელას შორის, ზღვის დონიდან 23 მ სიმაღლეზე. ქალაქად გამოცხადდა 1964 წელს. მოსახლეობა 6,4 ათასი (2002 წ.)

სენაკი – მუნიციპალიტეტი სამეგრელოს და ზემო სვანეთის მხარეში.სენაკის მუნიციპალიტეტი იშლება რიონისპირეთიდან და უნავირას მთის ორივე კალთაზეა გადაჭიმული. უჭირავს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთი ნაწილის ცენტრი. ფართობი – 520,7 კმ;

მუნიციპალიტეტში 64 დასახლებული პუნქტია – ქალაქი სენაკი და 63 სოფელი: ახალსოფელი,ბათარია, ბეთლემი, გახმელა, გეგეთი, გოლასკური, დიდი,ხორში, ეკი, ეწერი,ზანა, ზედა,ნაქალაქევი, ზედა,სორტა, თეკლათი, ისულა,კვარჩხიღალი, კვაუთი,კოტიანეთი, ლებაღათურე, ლეგოგიე, ლეგოგიე,ნასაჯუკუ, ლეგოგინე, ლეკოკაიე, ლესაჯაიე,ლეკაძამე, მეორე მოხაში, მოხაში, მუხური,ნოსირი, პატარა, ზანა, პერტული, პირველი ნოსირი, რეკა, საადამიო, საადანაიო, საბესლიო, საგაბესკირიო, საგვარამიო, საგვიჩიო, საგუგუნავო, საგუნიო, საესებუო, საკილასონიო, საოდიშარიო, სატყებუჩავო,საშურღაიო, საჩიქობავო, საცხვიტაო, საწულეისკირიო, სახარბედიო, სირიაჩქონი, სკურია, ტყირი, უშაფათი, ფოცხო, ქვედა,სორტა, შრომისკარი, შუანოსირი, შუახორში, ციზეთი, ძველისენაკი, ძიგიდერი, ჯიხა, ჯოლევი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი სენაკი მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირას, ზღვის დონიდან 28 მ სიმაღლეზე., 1933-1976 წლებში მიხა ცხაკაია ერქვა, 1976-1989 — ცხაკაია. ქალაქად გამოცხადდა 1966 წელს. მოსახლეობა 28,6 ათასი (2002 წ.). მანძილი თბილისამდე – 270 კმ.

მარტვილი – მუნიციპალიტეტი სამეგრელოს და ზემო სვანეთის მხარეში. მდებარეობს

დასავლეთ საქართველოში, ოდიშის დაბლობზე (სამხრეთი ნაწილი) და ეგრისის ქედის მთისწინეთში (ცენტრალური ნაწილი) და მის სამხრეთ კალთებზე (ჩრდილოეთი ნაწილი). მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917-მდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრაში მარტვილის სახელით, 1921-დან სენაკის მაზრაში. 1930-დან დამოუკიდებელი რაიონია. 1936-90 წლებში გეგეჭკორის რაიონი ერქვა.

ჩრდილოეთით ესაზღვრება ლენტეხის, აღმოსავლეთით ხონისა და ცაგერის, სამხრეთით — სენაკის და აბაშის, დასავლეთით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები. ფართობი — 881 კმ ;

მუნიციპალიტეტში 77 დასახლებული პუნქტია — ქალაქი მარტვილი და 76 სოფელი: აბედათი, ალერტი, ბანძა, ბობოთი, გაჭედილი, გოდოგანი, დიდი ინჩხური, დიდი ჭყონი, დობერაზენი, დოშაყე, დღვანა, ეწერი, ვახა, ვედიდკარი, ზემო ნაგვაზავო, ზემო ხუნწი, თამაკონი, თარგამეული, კურზუ, ლებაჩე, ლეგულორდავე, ლედგებე, ლევახანე, ლეკეკელე, ლეკვანტალიე, ლემიქავე, ლეპატარავე, ლეფუანიე, ლესხულუხე, ლეფოჩხუე, ლექაჯაიე, ლექობალე, ლეცავე, ლეციცხვაიე, ლეხაინდრავო, მახათი, მეორე ბალდა, მეორე გურძემი, მეორე კიწია, მესამე ბალდა, მუხურჩა, ნაგებერავო, ნამიკოლავო, მეორე ნამიკოლავო, პირველი ნახუნავო, ნახურცილავო, ნაჯახავო, ნობულევი, ნოღა, ნოჯიხევი, ონოღია, ორქა, ოჩე, პატარა თამაკონი, პატარა ინჩხური, პატარა ოჩე, პატარა ჟინოთა, პირველი ბალდა, პირველი გურძემი, პირველი კიწია, ჟინოთა, საბერულავო, სალხინო, სანაჭყებიო, სერგიეთი, სკურდი, სტეფასდაბალი, ტალერი, ქვემო ნაგვაზავო, ქვემო ხუნწი, წაჩხური, წინაკვერკვე, ჭაბურთა, ჯოლევი.

ადმინისტრაციული ცენტრი — ქალაქი მარტვილი მდებარეობს მდინარე აბაშისწყლის ნაპირას. ქალაქად გამოცხადდა 1964 წელს და ეწოდებოდა "გეგეჭკორი". მოსახლეობა 20,1 ათასი (2002 წ.) მანძილი თბილისამდე — 279 კმ

ხობი — მუნიციპალიტეტი სამეგრელო ზემო-სვანეთის მხარეში, მდებარეობს დასავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში, კოლხეთის დაბლობის ცენტრში. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-აღმოსავლეთით — ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით — სენაკის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით — ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-დასავლეთით — ქ. ფოთის ტერიტორია, დასავლეთით — შავი ზღვა. ფართობი — 676 კმ კ;

მუნიციპალიტეტში არის 57 დასახლებული პუნქტი — ქალაქი ხობი და დ 56 სოფელი: ალ-იონი, ახალსოფელი, ახალხიბულა, ბია, ბია-საშონიო, ბულიში, ბულიწყუ, გამოღმა პირველი ხორგა, გამოღმა ქარიატა, გამოღმა შუა ხორგა, განთიადი, გაღმა პირველი ხორგა, გაღმა საჯიჯაო, გაღმა ქარიატა, გაღმა შუა ხორგა, გაშფერდი, გვიმარონი, გიმოზგონჯილი, დასახლება დურღენა, დღვაბა, ზემო ბია, ზემო ქვალონი, ზენი, ზუბი, ზუბი თორსა, კუთხენოჯიხევი, ლარჩვა, მეორე გურიფული, ნაფოშტუ, ნოჩხონი, ნოჯიხევი ოხვამეკარი, პატარა ფოთი, პირველი გურიფული, საალანიო-საფაჩულიო, საბაჟო, საბუკიო, საგვიჩიო, საკვიკვინიო, სა-

კუკავო, საქირიო, საქორქიო, საღვამიჩავო, საჭოჭურო, სახოჭოლავო, ყორათი, ყულევი, ძველი ხიბულა, წინაგოლა, ჭითაუშქური, ჭიხუ, ხამისკური, ხეთა, ჯაპშაქარი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ხობი მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, მდინარე ხობის ნაპირას, ზვის დონიდან 25 მ სიმაღლეზე. ქალაქად გამოცხადდა 1981 წელს. მოსახლეობა 5,6 ათ-ასი (2002 წ.). დედაქალაქიდან დაშორებულია 285 კმ-ით

ზუგდიდი – მუნიციპალიტეტი სამეგრელოს და ზემო სვანეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917-მდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრაში, 1921-დან ზუგდიდის მაზრაში. 1930-დან ცალკე რაიონია. ფართობი – 662 კმ;

მუნიციპალიტეტში 59 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ზუგდიდი და 58 სოფელი: აბასთუმანი, ანაკლია, ახალი აბასთუმანი, ახალკახათი, ახალსოფელი, ბალმარანი, ბაში, განარჯიის მუხური, გრიგოლიში, დავითიანი, დარჩელი, დიდი ნეძი, დიდი ნეძის კახათი, დიხაგუბუბა, ერგეტა, ზედა ეწერი, თიქორი, ინგირი, კახათი, კიროვი, კოკი, კორცხელი, მენჯი, მოგირი, ნარაზენი, ნაცატუ, ნაწულუკუ, ნაჭკადუ, ოდიში, ორირემე, ორსანტია, ორულუ, ოფაჩხაფუ, ოქტომბერი, რიყე, რუხი, საბეჭვაიო, საჭურღულიო, ტყაია, ურთა, უჩაშონა, ფალაზონი, ყულიშკარი, შამდელა, შამგონა, ჩხორია, ჩხოუში, ცაიში, ცაცხვი, ცვანე, ჭაქვინჯი, ჭითაწყარი, ჭკადუაში, ხეცერა, ხურჩა, ჯიხაშკარი, ჯუმი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ზუგდიდი გაშენებულია ოდიშის დაბლობზე, მდინარე ჩხოუშის ნაპირას, ზღვის დონიდან 110 მ სიმაღლეზე. მოსახლეობა 69 000 (2009 წ.).

წალენჯიხა – მუნიციპალიტეტი სამეგრელოს და ზემო სვანეთის მხარეში. მდებარეობს მხარის ცენტრალურ ნაწილში მდ. ენგურისა და ჭანისწყალის ხეობებში, ფართობი – 646,6 კმ ;

მუნიციპალიტეტში 36 დასახლებული პუნქტია – ორი ქალაქი: წალენჯიხა, ჯვარი და 34 სოფელი: ეწერი, ეწერფერდი, ზედა ლია, კუხეში, ლარა, ლეთკანთი, ლეკაკულე, ლესალე, ლეშამუგე, ლეხარჩილე, ლეჯოლიხე, ლია, მედანი, მიქავა, მუჟავა, ნაგურუ, ნაკიფუ, ნაშამგუ, ობუჯი, ოლორი, პალური, სამესხიო, საჩინო, ულურია, ფახულანი, ფოცხოეწერი, ქალაღალი, ჩქვალერი, წყოუში, ჭალე, ჭველე, ჯალირა, ჯგბალი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი წალენჯიხა მდებარეობს მდინარე ჭანისწყლის ნაპირზე, ზღვის დონიდან 222 მ სიმაღლეზე. ქალაქად გამოცხადდა 1964 წელს. მოსახლეობა 8,9 ათასი (2002 წ.). მანძილი თბილისამდე – 350 კმ.

ჩხოროწყუ – მუნიციპალიტეტი სამეგრელოს და ზემო სვანეთის მხარეში. მდებარეობს დასავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. როგორც ადმინისტრაციული ერთეული (რაიონი) ჩამოყალიბდა 1921 წლის ნოემბერში; გაუქმდა 1962 წელს შეუ-

ერთდა სენაკის რაიონს, ხოლო 1964 წლის 23 დეკემბერს ისევ აღადგინეს. 1989 წლის მონაცემებით ამ რაიონში სულ 29,840 ადამიანი სახლობდა, თუმცა 1993 წლის აფხაზეთის ომის შემდეგ ის საგრძნობლად გაიზარდა ლტოლვილების ხარჯზე. ფართობი – 619,7 კმ:

მუნიციპალიტეტში 30 დასახლებული პუნქტია – დაბა ჩხოროწყუ და 29 სოფელი: ახუთი, ზუმი, თაია, კირცხი, ლეახალე, ლეგახარე, ლედარსალე, ლესიჭინე, ლექარჩე, ლექობალე, ლეწურწუმე, ლეჭიქე, მეორე ლესიჭინე, მეორე ჭოლა, მოიდანახე, მონგირი, მუხური, ნაგვაზუ, ნაკიანი, ნაფიჩხოვო, ოჩხომური, პირველი ჭოლა, სარაქონი, ქვედა ჩხოროწყუ, ქოყო, ხაბუმე, ხანწკი, ჯუმითი.

ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა ჩხოროწყუ მდებარეობს მდინარე ხობისწყალსა და ოჩხომურს შორის, დაბის სტატუსი მიენიჭა 1960 წელს. მოსახლეობა 4.3 ათასი (2007). დედაქალაქიდან დაშორებულია 317 კმ-ით;

ფოთი – მუნიციპალიტეტი სამეგრელოს და ზემო სვანეთის მხარეში. მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, მდინარე რიონის შესართავში.

ფოთს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა. ჩრდილოეთით ხობის მუნიციპალიტეტი და მდინარე რიონის მარჯვენა ტოტი, სამხრეთ აღმოსავლეთით მდინარე კაპარჭა და პალიასტომის ტბა. ფართობი – 69 კმ;

იმერეთი – მხარე დასავლეთ საქართველოში, მოიცავს ისტორიულ–გეოგრაფიულ პროვინცია იმერეთის ტერიტორიას. საკუთრივ იმერეთი შემოსაზღვრულია აღმოსავლეთით ლიხის ქედით, დასავლეთით ცხენისწყლით, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედით და სამხრეთით მესხეთის მთებით. ფართობი – 6,552 კმ; მოსახლეობის რაოდენობა-513,701 (2002)

ხარაგაული – მუნიციპალიტეტი იმერეთის მხარეში. მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. 1917 წლამდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში, 1921 წლიდან საქართველოს სსრ ადმინისტრაციული-ტერიტორიული დაყოფით ქუთაისის მაზრაშია, 1928-1929 წლებში ქუთაისის ოლქში, 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია. 1934-1989 წლებში ორჯონიკიძის რაიონი ეწოდებოდა

მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით ბორჯომის, აღმოსავლეთით ხაშურის ჩრდილოეთით კი ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტები. ფართობი – 914 კმ;

მუნიციპალიტეტში 77 დასახლებული პუნქტია – დაბა ხარაგაული და სოფლები – ბა-ზა-ლეთი (ქროლი, ღარიხევი, წიფი), ბორითი (ამაშუკეთი, ერეთა, ვაშლევი, კვესრევი, მაქათუბანი, საქასრია, უბისი), ვარძია, ვახანი (ზედუბანი, სერბაისი), ზვარე (ნუნისი, ჩრდილი), კიცხი (ბორი, თეთრაწყარო, კიცხის იგორეთი, საქარიქედი), ლაშე (ლაშის იგორეთი, უჩამეთი, ღვერკი, ხემალალი), ლელვანი (დიდვაკე, მარელისი, პატარა სახვლარი), მოლითი (ბაბი, ბეჟათუბანი, დეისი, ნებობძირი, ქვები), ნადაბური (დიდი გოლისი, პატარა გოლისი), სარგვეში (საბე, წითელხევი, ჭარტალი, ხორითი), საღანძილე (ვანი, ზარანი, სხლითი, ჩხერი, ჯა-

ფარაული;, ფარცხნალი (ახალსოფელი, ისლარი, ღუდუშექედი), ღორეშა, წიფა (გოლათუბანი, გუდათუბანი, ფონა), წყალაფორეთი (ლახუნდარა, პატარა ვარძია, ჩალხეეთი, ხონი), ხევი (გრიგალათი, ციცქიური, წაქვა), ხიდარი, ხუნევი (ბჟინევი, გედსამანია, ვერტყვილა, ვერტყვიჭალა).

ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა ხარაგაული მდებარეობს მდინარე ჩხერიმელას ორივე ნაპირზე ვიწრო და ღრმა ხეობაში, ზ.დ. 280–400 მ-ზე. თბილისიდან დაშორებულია 198 კმ-ით, ხოლო ქუთაისიდან 65 კმ-ით. ადრეული სახელი იყო ორჯონიკიძე (1934-1989). დაბის წოდება მიენიჭა 1944 წლიდან. ფართობი – 204 კმ; მოსახლეობა – 3215 ადამიანი (2002);

თერჯოლა – მუნიციპალიტეტი იმერეთის მხარეში. მდებარეობს იმერეთის დაბლობზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წ-მდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში, 1821-დან შორაპნის მაზრაში, 1930-დან ქუთაისის ოლქში. ამავე წელს გამოიყო ცალკე, როგორც ჩხარის რაიონი. 1950 წლიდან ეწოდება თერჯოლის რაიონი. თერჯოლის მუნიციპალიტეტი თბილისიდან 200 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ფართობი – 357 კმ;

მუნიციპალიტეტში 46 დასახლებული პუნქტია – ქალაქი თერჯოლა და 45 სოფელი – ახალი თერჯოლა, ახალუბანი, ბარდუბანი, ბოსელა, ბროლისქედი, გოგნი, გოდოგანი, დელტასუბანი, ეწერი, ვარდიგორა, ზარნაძეები, ზედა ალისუბანი, ზედა საზანო, ზედა სიმონეთი, თავასა, თუზი, თხილთაწ-ყარო, კაკაბური, კვახჭირი, მაჩიტური, მუჯირეთი, ნაგარევი, ნავენახევი, ნახშირღელე, ოდილაური, ოქონა, ოქტომბერი, რუფოთი, სათემო, სარბევი, სეფარეთი, სიქთარვა, სკანდე, ტელეფა, ქვედა ალისუბანი, ქვედა სიმონეთი, ღვანკითი, შიშმილაქედი, ჩიხორი, ჩხარ-ეწერი, ჩხარი, ძევრი, ჭალასთავი, ჭოგნარი, ჯგილათი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი თერჯოლა მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდინარე ჩხარის მარჯვენა ნაპირას, ზღვის დონიდან 170 მ სიმაღლეზე. მოსახლეობა – 5.500 ადამიანი (2002). ქალაქი 1983 წლიდან.

საჩხერე – მუნიციპალიტეტი იმერეთის მხარეში. მდებარეობს მდინარეების ყვირილის და ძირულის ზემო და შუა დინებების აუზში. 1917 წლამდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში, 1930 წლამდე ქუთაისის ოლქში, 1939 წლამდე ჭიათურის რაიონში, მას შემდეგ დამოუკიდებელი რაიონია.

აღმოსავლეთით ის ესაზღვრება ჯავისა და ყორნისის, დასავლეთით – ჭიათურის, სამხრეთ აღმოსავლეთით – ხაშურის, სამხრეთ დასავლეთით – ხარაგაულის, ხოლო ჩრდილოეთით და ჩრდილო და-სავლეთით ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებს. ფართობი – 973 კმ ;

მუნიციპალიტეტში 55 დასახლებული პუნქტია – ქალაქი საჩხერე და სოფლები სხვიტორი, დუნთა, არგვეთა(ბახითი, ირტავაზა, იცქისი, მახათაური, საკანე, შალაური, ცხამი), გორისი (გამოლმა არგვეთი), კორბოული (ნიგვზარა, შომახეთი), მერკვეთი (ივანწმინდა), საირხე (კალვათა, ჭორვილა), სარეკი (ბაჯითი, ქვემობევი), ქორეთი, ჩიხი (დუნთა, ზედა ორღული, სხვიტორი ქვედა ორღული), ცხომარეთი (მოხვა), ჭალა (დარყა, დრბო, ზემო ქარზმანი, თედელეთი, პერევი, საკოხია, სინაგური, სპეთი, ტბეთი, ქვემო ქარზმანი, ღონა, ჭურნალი, ხახეთი, ჯალაბეთი, ჯრია), ჭალოვანი (ვაკისა, ლიჩი, ღოდორა, ხევანი), ჯალაურთა

(მოძვი).

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი საჩხერე მდებარეობს მდინარე ყვირილის ნაპირებზე, საჩხერის ქვაბულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ქალაქად გამოცხადდა 1964 წელს. მოსახლეობა – 56,7 ათასი(2008 წ.). ფართობი – 771 000 კმ . მანძილი თბილისიდან – 176 კილომეტრი.

ზესტაფონი – მუნიციპალიტეტი იმერეთის მხარეში, მდებარეობს კოლხეთის დაბლობსა და იმერეთის პლატოზე. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება ხარაგაულის, ჩრდილო აღმოსავლეთით ჭიათურის, დასავლეთით თერჯოლის, სამხრეთ დასავლეთით ბაღდათის მუნიციპალიტეტები.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წ – მდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში, 1930 წელს გამოიყო დამოუკიდებელ რაიონად. ფართობი – 423 კმ;

მუნიციპალიტეტში 60 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ზესტაფონი, დაბა – შორაპანი და 58 სოფელი – ბოსლევი (ბელლევი, გამოღმა ბოსლევი, გაღმა ბოსლევი, დიდწიფელა, მარცხენა რკვია, მარჯვენა რკვია), დილიკაური (ქველეთუბანი), ზედა საქარა(ბელლევი), ზოვრეთი, ილემი (ზედა ილემი, ქვედა ილემი), კვალითი (ქვედა კვალითი, შუა კვალითი), კლდეეთი (ალავერდი, ზედა კლდეეთი, თვრინი, კინოთი, მწყერისციხე, ტაბაკინი, ქვედა კლდეეთი), მეორე სვირი (ახალი სვირი), პირველი სვირი, როდინაული (აჯამეთი, სვეტმაღალი, ცხენთარო), სანახშირე (ზედა წიფლავაკე, მარტოთუბანი, საღვინე, ქვედა წიფლავაკე), ფუთი, ქვედა საზანო (ტყლაპივაკე, შიმშილაქედი), ქვედა საქარა (არგვეთა, ჭალატყე), შრომა (ამსაისი, საწაბლე, ქვედა საწუმბო), ცხრაწყარო (ზედა კვალითი, ძლოურ-დანეთი), ძირულა(აჭარა, დიდი განთიადი, ვაშპარიანი, ზედაწევა, ლელაძისეული, პატარა განთიადი, ქვედა წევა, ღვერკი).

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ზესტაფონი მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, მდინარე ყვირილის ორივენაპირზე. 1921 წლამდე ყვირილა ეწოდებოდა. ქალაქად გამოცხადდა 1926 წელს. მოსახლეობა – 24,2 ათასი (2002 წ.).

ბაღდათი – მუნიციპალიტეტი იმერეთის მხარეში. მდებარეობს მესხეთის ქედის კალთებზე, მთისწინეთსა და იმერეთის დაბლობზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917-მდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრაში, 1917-28 – ქუთაისის მაზრაში, 1930 წელს გამოიყო ცალკე რაიონად. 1940-90 – მაიაკოვსკის რაიონი ერქვა. ფართობი – 815 კმ;

მუნიციპალიტეტში 23 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ბაღდათი და 22 სოფელი – დიმი (საიმედო), ვარციხე, ზეგნი (ზედაზეგანი, ქვედაზეგანი, წიფა), მეორეობჩა, ნერგეეთი (ალისმერეთი, ზედადიმი, წაბლარასხევი, წყალთაშუა), პირველი ობჩა, როკითი (დიდველა), როხი, საკრაულა, ფერსათი (შუბანი), წითელხევი, ხანის (კაკასხიდი);

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ბაღდათი ქალაქი მდებარეობს მდინარე ხანისწყალზე, ზღვის დონიდან 232 მ. 1940-1990 წლებში მაიაკოვსკი ეწოდებოდა. ქალაქად გამოცხადდა 1981 წელს. მოსახლეობა – 4700 ადამიანი (2002);

ვანი – მუნიციპალიტეტი იმერეთის მხარეში. მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის დაბლობსა და მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე. რაიონის ტერიტორია 1917 წ-მდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრაში, 1917-28 წ.-ში ქუთაისის მაზრაში, 1929 წ-დან ქუთაისის ოლქში, 1930 წელს გამოიყო ცალკე რაიონად. მუნიციპალიტეტს ესაზღვრება ბაღდათის, სამტრედიის, წყალტუბოს, ადიგენისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები. ფართობი – 557 კმ;

მუნიციპალიტეტში 44 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ვანი და სოფლები – ამაღლების (ინაშაური), ბზვანის (ზედა ბზვანი, ქვედა ბზვანი), გადიდის (ონჯოხეთი), გორის (ზედა გორა, ქვედა გორა), დიხაშხოს (ისრითი, ციხისუბანი), ზედა ვანის (ტყელვანი), ზეინდარის (შუა გორა), მუქედის (ზედა მუქედი, ქვედა მუქედი), სალომინაოს (ბაგინეთი), სალხინოს (ზენობანი), საპრასიის (რომანეთი), სულორის, ტობანიერის (ზედა ეწერ-ტობანიერი, კუშუბაური, მიქელეფონი), უხუთის (იმერუხუთი), ფერეთის (ბაბოთი), ყუმურის (დუცხუნი, მაისაური), შუამთის (მთისძირი, ჭაგან-ჭყეიში, ჭყეიში), ციხე-სულორის (ქვედა ციხესულორი), ძულუხის.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ვანი მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდინარე სულორის (რიონის მარცხენა შენაკადი) ნაპირას. ზღვის დონიდან 60 მ. ქალაქი 1981 წლიდან. მოსახლეობა – 4,6 ათასი ადამიანი (2002).

სამტრედია – მუნიციპალიტეტი იმერეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ძირითადი ნაწილი კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს, ხოლო მცირე ნაწილი საყავახოს ზეგანზეა შეჭრილი. ფართობი – 364.1 კმ;

მუნიციპალიტეტში 50 დასახლებული პუნქტია – ქალაქი სამტრედია, დაბა კულაში და სოფლები – ახალსოფელი, ბულნარა, გვიმრალა, გომმუხაყრუა, გომნატეხები, გორმაღალი, დაბლაგომი, დაფნარი, დიდიოფეთი, დიდიჯიხაში, დობირო, ვაზისუბანი, ზედაბაში, ზედაეწერი, ზემოაბაშა, ზე-მონოლა, თხილაგანი, იანეთი, კეთილაური, კეჭინარი, კვირიკე, კვირიკე, მელაური, მეორეეწერაბაში, მთისძირი, მიწაბოგირა, მტერჩეული, ნაბაკევი, ნაწილოფეთი, ნიგორზღვა, ნინუაკუთხე, ოჭოფა, პატარაეწერი, პატარაოფეთი, პირველიეწერაბაში, საყავახო, ტოლები, ქვაყუდე, ქვედაბაში, ქვედაეწერი, ქვემოაბაშა, ქვემონოლა, ქორეისუბანი, ღანირი, შუაბაში, ჩხენიში, ციცწყალა, წიაღუბანი, ჭაგანი, ჭოგნარი, ხიბლარი, ხუნკულაური, ჯიქთუბანი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი სამტრედია მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ქალაქი – 1921 წლიდან. მოსახლეობა – 29.761 ადამიანი(2002);

ხონი – მუნიციპალიტეტი იმერეთის მხარეში, მდებარეობს მდინარე გუბისწყლის ნაპირზე და ცხენისწყლის ხეობაში. ხონის მუნიციპალიტეტს ესაზღვრება მარტვილის, აბაშის, სამტრედიის, წყალტუბოს და ცაგერის მუნიციპალიტეტები. ფართობი – 428.5 კმ;

მუნიციპალიტეტში 40 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ხონი და სოფლები – ახალბედისეული, ახალშენი, ბანგვეთი, ბესიაური, გამოღმანოლა, გაღმანოლა, გელავერი, გვაზაური, გვაშტიბი, გოჩაჯიხაში, დედალაური, დიდიგუბი, დიდიკუხი, ზედაგორდი, ზედაკინჩხა,

ივანდიდი, კინჩხა-ფერდი, კონტუათი, ლეფილიე, მათხოჯი, ნახახულევი, ორაგვეთი, პატარაგუბი, პატარაკუხი, პატარა-ჯიხაიში, რონდიში, საწისქვილო, საწულუკიძეო, სუხჩა, უძლოური, ქვედაგორდი, ქვედაკინჩხა, ჭუტირი, ღვედი, შუაგუბი, ჩუნეში, ძეძილეთი, ხარაბაული, ხიდი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ხონი მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდინარე ცხენისწყლის ნაპირას, ზღვის დონიდან 114 მ სიმაღლეზე. ქალაქი – 1921 წლიდან. მოსახლეობა – 11.315 ადამიანი(2002);

ჭიათურა – მუნიციპალიტეტი იმერეთის მხარეში. მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ჭიათურის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთით ესაზღვრება საჩხერეს, დასავლეთით – თერჯოლას, ტყიბულს, სამხრეთ დასავლეთით – ზესტაფონს, ხარაგაულს, ხოლო ჩრდილოეთით ამბროლაურს. ფართობი – 542 კმ;

მუნიციპალიტეტში 62 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ჭიათურა და სოფლები – გეზ-რული (შუა გეზრული, ქვედა გეზრული), ვაჭევი (მელუშეთი, ღვითორი, ჯოლხეთი), ზოდი (დარკვეთი, ზედუბანი, მოხორჯოთუბანი), ითხვისი (ბეგიაური, ბჟინევი), კაცხი (დიდი კაცხი, ეწერი, მორძღვეთი, ნავარძეთი, სალიეთი, ჯოყოეთი), მანდაეთი (მეჩხეთური, პატარა ჩხირაული, ტყემლოვანა, ქბილარი), ნიგოზეთი (გუნდაეთი, ზედა ბერეთისა, მერევი, უსახელო, ქვედა ბერეთისა, წასრი, წყალშავი), პერევი (კალაური, სკინდორი, შუქრუთი, წინსოფელი, ჭილოვანი), რგანი, სარქველთუბანი (ბუნიკაური, ზედარგანი, თაბაგრები), სვერი (თვალუეთი, ცხრუკვეთი), ქვაცხე (ბილა, რცხილათი, საკურწე), წირქვალი (მღვიმევი, ქვედა ჭალოვანი, ხალიფაური), ხვაშითი (ვაკევისა, ვანი, ზედა ჭალოვანი, კვაბავჯელეთი), ხრეითი.

მუნიციპალიტეტის ცენტრი – ქალაქი ჭიათურა მდებარეობს მდინარე ყვირილას ნაპირებსა და მიმდებარე პლატოზე. ქალაქად გამოცხადდა 1921 წელს. მოსახლეობა – 13,8 ათასი (2002 წ.).

ტყიბული – მუნიციპალიტეტი იმერეთის მხარეში. მოიცავს ისტორიულ ოკრიბას და მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ – ქვემო იმერეთში. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით თერჯო-ლის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-დასავლეთით ქალქი ქუთაისი და დასავლეთით წყალტუბოს მუნიციპალიტეტი. ფართობი – 478.8 კმ ;

მუნიციპალიტეტში 47 დასახლებული პუნქტები – ქალაქი ტყიბული და სოფლები – ანტორია, ახალდაბა, ახალსოფელი, ბზიაური, ბობოთი, ბუეთი, გადაღმა წყალწითელა, გადმოღმა წყალწითელა, გელათი, გურნა, დაბაძველი, ზედაჭყეპი, ზედუბანი, ივანეული, კითხიჯი, კისორეთი, კოკა, კორეეთი, კურსები, ლაფეთი, ლაშია, ლელვა, ლეყერეთი, მანდიკორი, მოწამეთა, მუხურა, ნაბოსლევი, ნაძვა, ორპირი, ოხომირა, ოჯოლა, სამტრედია, საწირე, სოჩხეთი, ქვედაჭყეპი, შუყერი, ციხია, ცუცხვათი, ძიროვანი, ძმუისი, ჭუყნური, წყნორი, ხორჩანა, ხრესილი, ჯვარისა, ჯონია;

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ტყიბული მდებარეობს ნაქერალას ქედის სამხრეთით გაშენებულია მდინარე ტყიბულას (მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადი) ორივე ნაპირზე, ზღვის დონი-დან 590 მეტრზე.. საქართველოს დედაქალაქიდან დაშორებულია 264 კმ-ით.

მოსახლეობა – 14,6 ათა-სი ადამიანი (2002). ქალაქი 1939 წლიდან.

წყალტუბო – მუნიციპალიტეტი იმერეთის მხარეში, მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთით, მდინარეების რიონისა და გუბისწყლის ხეობაში. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება ქალაქი ქუთაისი, დასავლეთით სამტრედიისა და ხონის, ჩრდილოეთით ცაგერის და ამბროლაურის, ხოლო სამხრეთით ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტები. ფართობი – 632.3 კმ;

მუნიციპალიტეტში 42 დასახლებული პუნქტია – ქალაქი წყალტუბო და სოფლები – ბანოჯა, ბენთქოულა, ბესიაური, გეგუთი, გვიშტიბი, გუბისწყალი, გუმათი, გუმბრა, დერჩი, დღნორისა, ვა-ნისჭალა, ზარათი, ზედა მესხეთი, ზედა ონჭეიში, თერნალი, კუდოთი, ლეხიდრისთავი, მაღლაკი, მექვენა, მეჩხერი, მიწაწითელი, მუხიანი, ნამოხვანი, ნოღა, ოფურჩხეთი, ოფშკვითი, პატრიკეთი, პირველი წყალტუბო, ჟონეთი, რიონი, საყულია, საჩხეური, სორმონი, ტყაჩირი, უკანეთი, ფარცხანაყანევი, ქვედამესხეთი, ქვედაონჭეიში, ქვილიშორი, ქვიტირი, ყუმისთავი, ჩუნეში (ცხუნკურისთემი), ჩუნეში (წყალტუბოსთემი), ცხუნკური, წყალტუბო, ჭაშლეთი, ჭოლევი, ხომული, ჯიმასტარო.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქ. წყალტუბო მდებარეობს მდინარე წყალტუბოსწყლის ნაპირზე, ზღვის დონიდან 120 მ სიმაღლეზე. ქალაქად გამოცხადდა 1953 წელს. მოსახლეობა – 16.800 ადამიანი (2002).

ქუთაისი – თვითმმართველი ქალაქი, იმერეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც თბილისიდან 221 კილომეტრით არის დაშორებული. მდებარეობს მდინარე რიონზე. ქუთაისი სიდიდით არის საქართველოს მეორე ქალაქი თბილისის შემდეგ. ოფიციალურად ქალაქად გამოცხადდა 1811 წელს; ფართობი – 70 კმ; მოსახლეობა – 192.500 ადამიანი (2010); სიმჭიდროვე – 2.750 ადამიანი კმ – ზე;

ქვემო ქართლი — საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის უმეტესი ნაწილი თბილისიდან სამხრეთით მდებარეობს. მისი საზღვრები ძირითადად ემთხვევა ისტორიული პროვინციის საზღვრებს, თუმცა აერთიანებს გარე კახეთის ნაწილსაც (კუხეთი და გარდაბანი). ჩრდილოეთი და დასავლეთი საზღვრები მიუყვება თრიალეთისა და სამსარის ქედებს. სამხრეთიდან ესაზღვრება აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები.

მხარის ფართობი შეადგენს 6528 კვ.კმ–ს, რაც საქართველოს საერთო ფართობის 10%-ია. საქართველოს მხარეებს შორის ქვემო ქართლს ფართობით მე-4 ადგილი უკავია, ხოლო მოსახლეობით მე-3. მოსახლეობა — 497 ათასი, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ–ზე— 76.

რუსთავი — თვითმმართველი ქალაქი, ქვემო ქართლის მხარის ადმინისტრაციული ცენტრი. ქა-ლაქი 1948 წლის 19 იანვრიდან. მდებარეობს ქვემო ქართლის ვაკეზე, მდინარე მტკვრის ორივე ნაპირას, ზღვის დონიდან დაახლოებით 350 მეტრზე. მანძილი თბილისამდე 28 კილომეტრი. ფართობი – 60 კვ.კმ;

გარდაბნის მუნიციპალიტეტი (1947 წლამდე ყარაიის რაიონია) მდებარეობს ქვემო ქარ-

თლის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის ტფილისის მაზრაში შედიოდა, 1921 წლიდან – ტფილისის მაზრაში, 1938 წლიდან – თბილისის ოლქის ყარაიის რაიონია.

გარდაბნის მუნიციპალიტეტს სამხრეთით ესაზღვრება აზერბაიჯანი, ჩრდილოეთით მცხეთის, აღმოსავლეთით – საგარეჯოს, დასავლეთით – თეთრიწყაროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტები. ფართობი – 1304.1 კმ;

მუნიციპალიტეტში 42 დასახლებული პუნქტია: ქალაქი გარდაბანი და 41 სოფელი – აღთაქლა (ყარათაქლა, ყარაჯალარი), ახალი სამგორი, ახალსოფელი (მუხროვანი, საცხენისი), გამარჯვება, ვახტანგისი, თელეთი (ზემო თელეთი, ახალწყარო, მუხრან-თელეთი, ქვემო თელეთი, წალასყური), კალინინო (ამბართაფა, ახალშენი, ბირლიკი, თაზაქენდი), კრწანისი, კუმისი, ლემშვენიერა (მზიანეთი, ნაგები), მარტყოფი (ვაზიანი, საკაძე), ნაზარლო, ნორიო (ქვიშიანი, წითელუბანი), სართიჭალა (მუღანლო), ქესალო, ჯანდარი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი გარდაბანი. ადრე მას ყარაია ერქვა. მდებარეობს გარდაბნის ვაკეზე. ზღვის დონიდან 310 მ, თბილისიდან 39 კმ. ქალაქად გამოცხადდა 1969 წელს. მოსახლეობა 11,9 ათასი(2002 წ.).

მარნეულის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ქვემო ქართლის ვაკეზე. მარნეულის მუნიციპალიტეტი 1917 წლამდე შედიოდა თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში. 1921 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ისევ ბორჩალოს მაზრაშია. 1929 თბილისის ოლქშია ბორჩალოს რაიონის სახელწოდებით. 1930-დან ლუქსემბურგის (ახლანდელი ბოლნისის) რაიონში 1947-დან მარნეულის რაიონია.

მარნეულის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება ბოლნისის, ჩრდილოეთით – თეთრიწყაროს და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით გარდაბნის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით – აზერბაიჯანის და სომხეთის სახელმწიფოები. ფართობი – 935 კმ;

მუნიციპალიტეტში 72 დასახლებული პუნქტია – ქალაქი მარნეული, დაბა შაუმიანი და 70 სოფელი- ალგეთი (აზიზქენდი, აჯიისქენდი, თაზაქენდი, საბირქენდი), ახქერფი (ულიანოვკა, ჩანახჩი), დამია-გიაურარხი (ახლოლალალო, დამია, კიროვკა), კასუმლო (აღმამედლო, ბაითალო, ბეითარაფჩი, კუშჩი, ულაშლო), ოფრეთი (ხოხმელი), სადახლო(ბურმა, თაზაქენდი, მოლაოღლი), ქაფანახჩი (ამბაროვკა, ილმაზლო, მეორექესალო, პირველიქესალო, ქეშალო), ჭურთლარი (ბაიდარი, დიდიმუღანლო, ლეუბადინი, ხუტორ-ლეუბადინი), ყაჩაღანი(თექალი, ქირაჩ-მუღანლო, ხანჯი-გაზლო), ყიზილ-აჯლო, ყულარი (ქვემო-ყულარი, ბუდიონოვკა, დაშთაფა, ზემოყულარი, კირიხლო, ყირმიზქენდი), შულავერი (არაფლო, ახალიმამუღლო, ენიქენდი, ზემოსარალი, იმირი, სეიდხოჯალო, ქვემოსარალი), წერაქვი (სიონი, ჯანხოში), წერეთელი (ორჯონიკიძე, დიდიბეგლარი, ნორგიული, პატარაბეგლარი), ხოჯორნი (ბურდაძორი, გულბალი, წოპი).

ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი მარნეული (1947 წლამდე ბორჩალო) – მდებარეობს მარნეულის ვაკეზე, მდინარე ალგეთის ნაპირზე. ქალაქად გამოცხადდა 1964 წელს. მოსახლეობა 19,9 ათასი (2002 წ.).

ბოლნისის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ქვემო ქართლში (1943-მდე ლუქსემბურგის რაიონი). 1917-მდე ახლანდელი ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია თბილისის გუბერნი-

ის ბორჩალოს მაზრაში შედიოდა, 1917-30 – თბილისის ოლქში. 1930-ში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით გამოეყო თბილისის ოლქს ცალკე რაიონად. 1963-66 ბოლნისის მუნიციპალიტეტი აერთიანებდა მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას. 1966-დან გამოიყო ახლანდელი ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზღვრებით.

ბოლნისის მუნიციპალიტეტს სამხრეთის საზღვარი ემთხვევა საქართველო-სომხეთის საზღვარს, რომელიც ლოქის ქედზე გადის. დასავლეთით მას ესაზღვრება დმანისის, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – მარნეულის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით – ქციის ხეობა გამოყოფს თეთრიწ-ყაროს მუნიციპალიტეტისგან. ფართობი – 798,3 კმ;

მუნიციპალიტეტში 48 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 2 დაბა და 45 სოფელი – ბოლნისი, თამარისი (ფარიზი, ცურტავი), კაზრეთი (ბალიჭი) აკაურთა (ბერთაკარი, გეტა, იწრია, სენები, ფოცხვერიანი, ძეძვნარიანი, ძველიქვეში), ბოლნისი (სამწევრისი, ფოლადაური, შუაბოლნისი), დარბაზი (წიფორი, ჭრეში, ხახალაჯვარი), მამხუტი (ზემოარქევანი, ქვემო არქევანი, ხატავეთი), ნახიდური (ბალახაური, მუხრანა, მწყნეთი, ჭაპალა, ხიდისყური), რატევანი (ზვარეთი), რაჭისუბანი (ვანათი, სამტრედო, ხატისსოფელი), ტალავერი (პატარა დარბაზი, სავანეთი), ტანძია, ქვემო ბოლნისი, ქვეში (კიანეთი, მუშევანი, საბერეთი, ჯავშანიანი).

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი-ქალაქი ბოლნისი (1943 წლამდე დაბა ლუქსემბურგი), ქალაქი (1967 წლიდან) მდებარეობს ქვემო ქართლში, მდინარე მაშავერას ხეობაში. ზღვის დონიდან 560 მეტრ სიმაღლეზე; თბილისიდან 52 კმ-ის მანძილზე;

დმანისის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის დასავლეთ ნაწილში. 1917 წლამდე ახლანდელი დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ტფილისის გუბერნიაში, 1917 წლიდან 1930 წლამდე ტფილისის მაზრაში. 1930 წლიდან დმანისის რაიონი შეუერთეს წალკის რაიონს, 1933 წლიდან ხდება დამოუკიდებელი რაიონი. ამჟამად მუნიციპალიტეტი.

დმანისის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით საზღვრავს წალკის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ ნაწილში ესაზღვრება სომხეთის რესპუბლიკა. ფართობი – 1198.8 კმ ;

მუნიციპალიტეტში 59 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი (დმანისი) და 58 სოფელი – ამამლო (ანგრევანი, ბეზაქლო, მამიშლო, საფარლო, ტყისპირი), განთიადი (ტნუსი, ჯავახი), გომარეთი (დიდიგომარეთი, კაკლიანი, მამულა, პატარა გომარეთი, ფიჭვების ხევი, ჩათახი, ჭოჭიანი), გუგუთი (კამიშლო, ლოქჯანდარი), დიდი დმანისი (ბოსლები, ვარდისუბანი, პატარა დმანისი), დმანისი (იაყუბლო, პანტიანი, შინდილიარი), ირგანჩაი, კამარლო (ქარიანი, შახმარლო), კიროვისი (ბახჩალარი, დაგარახლო, ორმაშენი, საჯა, ყიზილაჯლო), მაშაერა (უკანგორი), საკირე (გორა), სარკინეთი (განახლება, ველისპირი), ქვემო ოროზმანი (დალარი, ვაკე, ზემო ოროზმანი, მთისძირი), ყარაბულახი (ზემო ყარაბულახი, ახა, გედაგდალი, მამიშლარი, სალამალეიქი, სოღუთლო, უსეინქენდი, ქვემო ყარაბულახი), ყიზილქილისა (კაკლიანი).

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი დმანისი, მდებარეობს დმანისის ვულკანურ პლატოზე, მდინარე მაშაერის ორივე ნაპირზე. 1921-1947 წლებში მას ბაშკირეთი ეწოდებოდა.

ოფიციალურად ქალაქად გამოცხადდა წელს. მოსახლეობა 3441 (2010 წ.).

წალკის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ქვემო ქართლის მხარეში, წალკის ზეგანზე, რომელიც შემოფარგლულია თრიალეთის, ჯავახეთისა და სამსარის ქედებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში შედიოდა, 1917-30 წლებში — ტფილისის მაზრაში, 1930 წლიდან ხდება დამოუკიდებელი რაიონი. 1963-1964 წწ. შედიოდა თეთრიწყაროს რაიონში. 1965 წლიდან კვლავ გამოეყო ცალკე რაიონად. ამჟამად მუნიციპალიტეტი.

წალკის მუნიციპალიტეტი ჩრდილოეთიდან ისაზღვრება ბორჯომის მუნიციპალიტეტით, აგრეთვე გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებით. დასავლეთით ესაზღვრება ახალქალაქის მუნიციპა-ლიტეტი, სამხრეთით ნინოწმინდისა და დმანისის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთით საზღვრავს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი. ფართობი – 1051 კმ;

მუნიციპალიტეტში 51 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი- წალკა, 2 დაბა- ბედიანი (ხრამ-ჰესი), თრიალეთი (ჩაპაევკა) და 48 სოფელი, აგრეთვე 20-მდე ნასოფლარი-ავარანლო (ტარსონი), არჯე-ვანსარვანი (გედაქლარი, მინსაზქენდი, ჩოლმანი), აშკალა, ახალიკი (ქვემო ხარაბა, შიპიაკი), ბაშქოი (იმერა, ლივადი, ყარაკომი), ბურნაშეთი, ბეშთაშენი (ქარიაქი, შუახარაბა), გუმბათი, გუნიაკალა, დარა-ქოი, დაშბაში, ედიქილისა (აიაზმი), თეჯისი, თიქილისა, კაბური, კუშჩი, ნარდევანი, ოზნი, ოლიანგი, რეხა, ყიზილქილისა, ჩივთქილისა, წინწყარო (აქენდა,სანთა), ხანდო, ხაჩკოი (თაზახარაბა), ჯინისი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი წალკა – მდებარეობს ზღვის დონიდან 1460 მ სიმაღლეზე. მისი ძველი სახელია ეძანი, მოგვიანებით ბარმაქსიზი (1932 წლამდე). ქალაქად გამოცხადდა 1984 წელს. მოსახლეობა,7 ათასი(2002 წ.).

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი მდებარეობს ქვემო ქართლის მხარეში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის თბილისის მაზრაში შედიოდა, 1921-29 წლებში — თბილისის მაზრაში, 1930-1940 წლებში – თბილისის ოლქში, როგორც ღმუელაღის რაიონი. 1940 წლიდან ეწოდება თეთრიწყაროს რაიონი.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს სამხრეთით ესაზღვრება ბოლნისის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთით გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით კი კასპისა და მცხეთის მუნიციპალიტეტები. ფართობი – 1174.5 კმ;

მუნიციპალიტეტში 84 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი – თეთრიწყარო, 1 დაბა – მან-გლისი და 82 სოფელი (4 დაუსახლებელი) – ასურეთი (ენაგეთი, შავსაყდარი), ახალსოფელი (გოხნარი, ზირბითი, საფუძრები), ბორბალო (ერტისი, ვაშლოვანი, ღოუბანი), გოლთეთი, დაღეთი (სამშვილდე), დურნუკი (დიდიდურნუკი, პატარა დურნუკი), თონეთი(დიდი თონეთი, მოხისი, პატარა თონეთი), ირაგა(პატარა ირაგა, ალექსეევკა, დიდი ირაგა, ვიზიროვკა, ივანოვკა, მენქალისი, ნავთიანი, ჯიგრაშენი), კლდეისი (დიდი ლდეისი, პატარა კლდეისი), კოდა (მუხათი), მარაბდა (ახალი მარაბდა, ქოთიში, ძველი მარაბდა), ორბეთი (ამლევი, ახალი ზირბითი, ახალი პანტიანი, დიდგორი, დრე, ვანეთი, მესამეშამთა, ნაოსარი, ღვევი, ღოლოვანი, შამთა), შუხვეტილა (არხოტი, კოდისწყარო, ნამტვრიანი, ჭინჭრიანი,

ჯვრისხევი), ჩხიკეთა (აბელიანი, გუდარეხი, ვაკე, მაწევანი, ტბისი, ქსოვრეთი, ხოპისი), წინწყარო (ქოსალარი), ჭივჭავი (დუმანისი, ზემოახალშენი, ზემო ახკალაფა, იფნარი, ლიპი, სამღერეთი, ფიტარეთი, ქვემო ახალშენი, ქვემო ახკალაფა, შიხილო, წყნარი აბანო), ხაიში, ჯორჯიაშეილი (აბრამეთი, არდისუბანი, ბოგვი, საღრაშენი, ფარცხისი).

ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი თეთრიწყარო მდებარეობს გომერის ქედის კალთაზე, მდინარე ჭივჭავის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 1180 მ სიმაღლეზე. 1940 წლამდე აღბულაღი ერქვა, ქალაქად გამოცხადდა 1966 წელს. მოსახლეობა 4,0 ათასი (2002 წ.).

სამცხე-ჯავახეთი – მხარე ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს და სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება. მოიცავს ისტორიულ–გეოგრაფიული პროვინციების სამცხის, ჯავახეთის და თორის ტერიტორიებს. ფართობი-6.414 კმ.

მოსახლეობა – 210.000 (აქედან 54.5 პროცენტი სომეხია, 43 პროცენტი- ქართველი. რეგიონში აგრეთვე ცხოვრობენ რუსების, ოსების, ბერძნების და უკრაინელების მცირერიცხოვანი თემები).

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ახალციხე.

ბორჯომი – მუნიციპალიტეტი სამხრეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში შედიოდა, 1917-30 წლებში – გორის ოლქში, 1930 წლიდან ცალკე რაიონია, 1963-66 წლებში ჩართული იყო ხაშურის რაიონის შემადგენლობაში. ფართობი – 1189 კმ;

მუნიციპალიტეტში 42 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ბორჯომი; 4 დაბა – ახალდაბა, ბაკურიანი (დიდი მიტარბი, პატარა მიტარბი, პატარა ცემი, საკოჭავი), ბაკურიანის ანდეზიტი, წაღვერი (დაბა, ტიმოთესუბანი, მზეთამზე) და სოფლები – ბალანთა (ჭიხარულა), გვერდისუბანი (ვარდევანი, მაჭარწყალი, ღვთისმშობელი, წინუბანი), გუჯარეთი (ოდეთი, ღინტური, წითელსოფელი), დვირი (ქვაბისხევი, ჩითახევი, ჭობისხევი), ტაბაწყური (მოლითი), ტაძრისი (დგვარი, საკირე), ტბა (ლიბანი, სადგერი, ცემი), ყვიბისი (ვარდგინეთი, ზანავი, კორტანეთი, რველი), ციხისჯვარი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ბორჯომი მდებარეობს მდინარების მტკვრის, ბორჯომულასა და გუჯარეთისწყლის შესართავთან, მესხეთის ქედის აღმოსავლეთ და თრიალეთის ქედის დასავლეთ კალთებზე, ზღვის დონიდან 800-900 მ. სიმაღლეზე. . ქალაქი – 1921 წლიდან. ფართობი – 16,85 კმ . მოსახლეობა – 14445 ადამიანი (2002).

ახალციხე – მუნიციპალიტეტი. სამხრეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის მხარეში. მდებარეობს ახალციხის ქვაბულში, უჭირავს მტკვრისა და ფოცხოვის ხეობები. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში შედიოდა, 1917–30 წლებში – აღმოსავლეთ საქართველოში ახალციხის მაზრის სახელწოდებით, 1930 წლიდან ცალკე რაიონია დღევანდელ საზღვრებში.

ახალციხის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ხარაგაულისა და ბორჯომის, აღმოსავლეთიდან – ასპინძის, ხოლო დასავლეთიდან ადიგენის მუნიციპალიტეტი. სამხრეთის საზღვარი ემთხვევა საქართველო – თურქეთის სახელმწიფო საზღვარს. მუნიციპალიტეტის

ფართობი – 1010.3 კმ ;მოსახლეობის რაოდენობა – 46.9 ათასი ადამიანი (ქართველები 56.3%, სომხები 43%. 2009 წ.); მოსახლეობის სიმჭიდროვე – 63.9 ადამიანი კმ-ზე;

მუნიციპალიტეტში 47 დასახლებული პუნქტია – 2 ქალაქი – ახალციხე და ვალე; 45 სოფელი – აბათხევი, აგარა, ანდა, ანდრიაწმინდა, ანი, აწყური, ბოგა, გიორგიწმინდა, გურკელი, დიატომიტი, ელიაწმინდა, ზემოსხვილისი, ზიკილია, თისელი, ივლიტა, კლდე, მინაძე, მიქელწმინდა, მუგარეთი, მუსხი, ნაოხრები, ორალი, პატარაპამაჯი, საყუნეთი, საძელი, სვირი, სხვილისი, ტატანისი, ტყემლანა, ურაველი, ფერსა, ღრელი, ყულალისი, შურდო, წინუბანი, წირა, წნისი, წყალთბილა, წყორძა, წყრუთი, ჭაჭარაქი, ჭვინთა, ხაკი, ხეოთი, ჯულღა.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ახალციხე მდებარეობს ახალციხის ქვაბულში, მდინარე ფოცხოვის ორივე ნაპირზე, ზღვის დონიდან 1000 მ სიმაღლეზე: ახალციხეს ქალაქის სტატუსი მიენიჭა 1840 წელს. მოსახლეობა – 18,452 ადამიანი (2002).

ადიგენი – მუნიციპალიტეტი სამხრეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის მხარეში. მდებარეობს ახალციხის ქვაბულის დასავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთი ნაწილი უჭირავს მესხეთის ქედის, ხოლო დასავლეთი — არსიანის ქედის ფერდობებს. ადიგენის მუნიციპალიტეტი 1917 წლამდე შედიოდა თბილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში, 1917–30 წლებში – ახალციხის მაზრაში, 1930 წლიდან ცალკე რაიონია.

ადიგენის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ჩრდილოეთით – ჩოხატაურის, ვანის, ბაღდათის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთით – ახალციხის მუნიციპალიტეტი, სამხრეთი საზღვარი ემთხვევა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს. ფართობი – 799.6 კმ;

მუნიციპალიტეტში 55 დასახლებული პუნქტია – დაბები – აბასთუმანი, ადიგენი; სოფლები – აბასთუმანი, ადიგენი, ამხერი, არალი, არზნე, აფიეთი, ბენარა, ბოლაჯური, გომარო, გორგული, დერცელი, დიდიზანავი, დიდისმადა, ვარხანი, ზაზალო, ზარზმა, ზედუბანი, ზემოენთელი, იმერთუბანი, იჯარეთი, კახარეთი, კეხოვანი კიკიბო, ლელოვანი, მლაშე, მოხე, ნამინაური, ნაქურდევი, პატარა-ზანავი, პატარასმადა, საირმე, სამყური, უდე, უნწა, უტყისუბანი, ფარეხა, ფლატე, ფხერო, ქვემოენთელი, ქიქინეთი, ღორთუბანი, ღორძე, შოლავერი, შოყა, ჩორჩანი, ციხისუბანი, წარბასთუმანი, წახანი, წახანწყარო, წრე, ჭელა, ჭეჭლა, ხარჯანი, ხევაშენი.

ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა ადიგენი მდებარეობს ახალციხის ქვაბულში, მდინარე ქვაბლიანის ნაპირას, დაბის სტატუსი მიენიჭა 1961 წელს. მოსახლეობა -1221 ადამიანი (2010).

ასპინძა – მუნიციპალიტეტი სამცხე-ჯავახეთის მხარეში. მდებარეობს ახალციხის ქვაბულის აღ-მოსავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია თრიალეთის მთების კალთებით, სამხრეთი-დან — ერუშეთის მთების კალთებით. 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში შედიოდა, 1921 წლიდან – ახალციხის მაზრაში ტოლოშის რაიონის სახელით, 1930 წლიდან – ცალკე ტოლოშის რაიონია, 1933 წლიდან დაერქვა ასპინძის რაიონი. მუნიციპალიტეტის სამხრეთი საზღვარი ემთხვევა საქართველო – თურქეთის სახელმწიფო საზღვარს. ფართობი – 825 კმ;

მუნიციპალიტეტში 24 დასახლებული პუნქტია – დაბა – ასპინძა; სოფლები – აწყვეტა, გულსუნდა, დამალა, ვარგავი, თმოგვი, თოკი, იღუმალა, იერრია, მირაშხანი, ნაქალაქევი, ნიჟგორი, ოთა, ორგორა, ოშორა, რუსთავი, სარო, საყუდბელი, ტოლოში, ფია, ძველი, ჭობარეთი,ხერთვისი,ხიზაბავრა.

ადმინისტრაციული ცენტრი – დაბა ასპინძა მდებარეობს ახალციხის ქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქ ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 34 კმ-ზე. დაბის სტატუსი მიენიჭა 1961 წელს. მოსახლეობა – 3200 ადამიანი (2002).

ახალქალაქი – მუნიციპალიტეტი სამცხე-ჯავახეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის ახალქალაქის მაზრაში შედიოდა, 1921-30 წლებში – აღმოსავლეთ საქართველოს ახალქალაქის მაზრაში, 1930 წლიდან ცალკე რაიონია. სამხრეთი საზღვარი ემთხვევა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს. ფართობი – 1235 კმ;

მუნიციპალიტეტში 65 დასახლებული პუნქტია – ქალაქი ახალქალაქი და 64 სოფელი – აბული, აგანა, აზავრეთი, აზმანა, ალათუბანი, ალასტანი, არაგვა, აფნია, ბაერა, ბალხა, ბარალეთი, ბეჟანო, ბოზალი, ბუზაევთი, ბურნაშეთი, ბუღაშენი, გოგაშენი, გოკიო, გომანი, გულიკამი, დაბნია, დადეში, დიდი სამსარი, დილისკა, ერინჯა, ვარევანი, ვაჩიანი, ზაკვი, თახჩა, თირკნა, თოთხამი, იხტილა, კარტიკამი, კარწახი, კიროვაკანი, კოთელია, კორხი, კოჭიო, კუმურდო, ლომატურცხი, მარტუნი, მაჭატია, მერენია, მიასნიკიანი, მოდეგა, მურჯახეთი, ოკამი, ოლავერდი, ორჯა, პატარა სამსარი, პტენა, სირქვა, სულდა, ტურცხი, ფილიპოვკა, ქარცები, ღადო, ჩამძვრალა, ჩუნჩხა, ხავეთი, ხანდო, ხორენია, ხოსპიო, ხულგუმო.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ახალქალაქი მდებარეობს ჯავახეთის ზეგანზე, მდინარეებს ფარავანსა და მურჯახეთისწყალს შორის, ზღვის დონიდან 1700 მ სიმაღლეზე, ახალციხიდან 74 კმ. მოსახლეობა – 9 800 ადამიანი (2002).

ნინოწმინდა – მუნიციპალიტეტი სამცხე-ჯავახეთის მხარეში. მდებარეობს იგი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთის ვულკანურ ზეგანზე, ახალქალაქის პლატოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ხანჩალის ტბის აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 1950-2200 მ სიმაღლეზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის ახალქალაქის მაზრაში შედიოდა, 1917-30 წლებში – ახალქალაქის მაზრაში, 1930 წლიდან გამოეყო ახალქალაქის მაზრას გორელოეს რაიონის სახელწოდებით. 1933 წლიდან ეწოდა ბოგდანოვკის რაიონი. 1991 წლიდან ნინოწმინდის რაიონია, ხოლო 2006 წლიდან – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი.

მუნიციპალიტეტის სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი ემთხვევა საქართველო-თურქეთის, ხოლო სამხრეთით სომხეთს ესაზღვრება. ჩრდილოეთით წალკის მუნიციპალიტეტს, დასავლეთით ახალქალაქის მუნიციპალიტეტს, აღმოსავლეთით – დმანისის მუნიციპალიტეტს. ფართობი – 1354 კმ ;

მუნიციპალიტეტში 32 დასახლებული პუნქტია – ქალაქი – ნინოწმინდა და 31 სოფელი – ასფარა, ახალი ხულგუმო, განძანი, გორელოვკა, დიდი არაქალი, დიდი გონდური, დიდი ხანჩალი, დილიფი, ეფრემოვკა, ეშტია, ვლადიმიროვკა, თორია, კათნატუ, მამწყარა, ორ-

ლოვკა, ოროჯოლარი, პატარა არაქალი, პატარა გონდური, პატარა ხანჩალი, ჟდანოვაკანი, როდიონოვკა (ფარავანი), სათხე, სამება, საღამო, სპასოვკა, ტამბოვკა, უჯმანა, ფოკა, ჯურმა, ჯულალისი, ჯიგრაშენი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ნინოწმინდა მდებარეობს ჯავახეთის ზეგანზე, ახალქალაქის პლატოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ხანჩალის ტბის აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 1940 მ სიმაღლეზე. ქალაქად გამოცხადდა 1983 წელს. 1991 წლამდე ბოგდანოვკა ერქვა. ნინოწმინდა ახალციხიდან დაშორებულია 91 კმ-ით, თბილისიდან წალკის გავლით 161 კმ-ით, ხოლო ახალციხის გავლით 320 კმ-ით. მოსახლეობა – 6.300 ადამიანი (2002).

გურია – მხარე დასავლეთ საქართველოში, მოიცავს ისტორიულ–გეოგრაფიული პროვინცია გურიის ტერიტორიას. ის მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობსა და მიმდებარე მთიან ზონაში, მას აკრავს შავი ზღვის 22 კილომეტრიანი ზოლი.

მხარის ფართობი შეადგენს 2030,7 კვ.კმ–ს, მოსახლეობა – 148 ათასს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ–ზე– 73. მოსახლეობის 96% ეთნიკურად ქართველია. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ოზურგეთი.

ოზურგეთი – მუნიციპალიტეტი გურიის მხარეში, მდებარეობს მდინარეების ნატანებისა და სუფსის ხეობებში, დასავლეთიდან შავი ზღვა აკრავს, სამხრეთ-აღმოსავლეთით — მესხეთის ქედის კალთები, ხოლო ჩრდილოეთიდან ნასაკირალის სერი და მდინარე სუფსა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 1917-მდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში, 1930-1934 და 1990-2006 წლებში ოზურგეთის რაიონი ეწოდებოდა, ხოლო 1934-1990 წლებში – მახარაძის რაიონი. სიმჭიდროვე – 144 ადამიანი კმ-ზე.

მუნიციპალიტეტში 74 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი – ოზურგეთი, 4 დაბა – ურეკი, ლაითური, ნარუჯა, ქვედა ნასაკირალი და 69 სოფელი – ასკანა, აჭი, ახალსოფელი, ბაილეთი, ბაღდადი, ბოგილი, ბოხვაური, განთიადი, გაღმა დვაბზუ, გოგიეთი, გომი, გონებისკარი, გურიანთა, დაბალი ეწერი, დვაბზუ, ვაკე, ვაკივკვარი, ვანისქედი, ვაშტიალი, ზედა ბახვი, ზედა უჩხუბი, ზედა ძიმითი, ზედუბანი, ზემო მაკვანეთი, ზემო ნატანები, თხინვალი, იანეთი, კვაჭალათი, კვირიკეთი, კონჭკათი, ლი-ხაური, მაღალი ეწერი, მელექედური, მერია, მზიანი, მთისპირი, მოცვნარი, მშვიდობაური, ნაგომარი, ნასაკირალი, ნაღობილევი, ნაბაური, ოზურგეთი, ორმეთი, ოქროსქედი, ოქროსქედი, ჟანაურა, სილაური, უკანავა, ფამფალეთი, ქაქუთი, ქვედა ბახვი, ქვედა ძიმითი, ქვემო მაკვანეთი, ქვემო ნატანები, შეკეთილი, შემოქმედი, შრომა, შუა ისნარი, ციხისფერდი, ცხემლისხიდი, ძირიჯუმათი, წითელმთა, ჭალა, ჭანიეთი, ჭანიეთური, ჭახვათა, ხვარბეთი, ხრიალეთი, ჯუმათი.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ოზურგეთი მდებარეობს მდინარეებს ნატანებსა და ბჟუჟს შორის. ოზურგეთი წარმოიქმნა გვიან ფეოდალურ ხანაში, იყო გურიის სამთავროს ცენტრი. ქალაქად გამოცხადდა 1840 წელს. მანძილი თბილისამდე 325 კმ. მოსახლეობა 20 636.

ლანჩხუთი – მუნიციპალიტეტი გურიის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია-მდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში, 1921-დან ოზურგეთის მაზრაში. 1930-

დან ცალკე რაიონია, 2006 წლიდან – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

მუნიციპალიტეტი მდებარეობს შავ ზღვას, მდინარე ფიჩორისა და გურიის ქედს შორის. უკავია ოდიშ-გურიის დაბლობი და მიმდებარე სერები. დასავლეთიდან მას ესაზღვრება შავი ზღვის 18 კმ-ია-ნი სანაპირო (საკურორტო) ზოლი. ფართობი – 533 კვ.კმ.

მუნიციპალიტეტში 55 დასახლებული პუნქტია: ქალაქი – ლანჩხუთი და 54 სოფელი – არჩეული, აცანა, ახალსოფელი, ბაღლები, გაგური, გვიმრალაური, გომბური, გრიგოლეთი, გულიანი, ეწერი, ზემოაკეთი, ზემოშუხუთი, ზემოჩიბათი, კოკათი, კონჭკათი, ლაშისღელე, ლესა, მალთაყვა, მამათი, მაჩხვარეთი, მოედანი, ნიგვზიანი, ნიგოითი, ნინოშვილი, ოკვანე, ომფარეთი, ორაგვე, სუფსა, ტაბანათი, ტელმანი, ქვედამამათი, ქვემოაკეთი, ქვემოშუხუთი, ქვემოჩიბათი, ქვიანი, ღრმაღელე, ყელა, შათირი, ჩანჩეთი, ჩოლაბარგი, ჩოჩხათი, ჩქუნი, ცაცხვიანი, წყალწმინდა, ჭალა,ჭანჭათი, ჭინათი, ჭყონაგორა, ხაჯალია, ხიდმაღალა, ხორეთი, ჯაპანა, ჯიხანჯირი, ჯუნეწერი, ჯუნმერე.

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ლანჩხუთი, მდებარეობს გურიის დაბლობზე, ზღვის დონიდან 20 მ. ქალაქად გამოცხადდა 1961 წელს. მოსახლეობა 7 500.

ჩოხატაური – მუნიციპალიტეტი გურიის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917-მდე შედიოდა ოზურგეთის მაზრაში, 1930-1963 წლებში – ცალკე რაიონი იყო, 1963-1964 წლებში შედიოდა მახარაძის რაიონში, 1965-დან ცალკე რაიონია. 2006 წლიდან ეწოდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი. ფართობი – 825 კვ.კმ;

მუნიციპალიტეტში 61 დასახლებული პუნქტია – დაბა ჩოხატაური და 60 სოფელი: ახალშენი, ბასილეთი, ბჟოლიეთი, ბუკისციხე, ბუკნარი, ბურნათი, ბუქსიეთი, განახლება, განთიადი, გამოლმა დობირო, გალმა დობირო, გოგოლესუბანი, გოგოური, გორაბერეჟოული, გუთური, გურისტყე, დაბლაციხე, ვაზიანი, ვანი, ზემო ერკეთი, ზემო ონჭიქეთი, ზემო სურები, ზემო ფარცხმა, ზენობანი, ზომლეთი, ზოტი, თავპანტა, თხილაგანი, იანეული, ინტაბუეთი, კალაგონი, კოხნარი, მამულა.

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“
თბილისი, 0186, ა, პოლიტკოვსკაიას №4. ტ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com